ISSN 0132—590 X

# მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 9-10

1991

# მნათობი

წელიწადი 67-ე № 9–10 სექტემბერი-ოქტომბერი 1991 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


ბიბლია, ძველი აღთქმა . . . . . . . . . . . . . 3

### პროზა. პოეზია

ოთარ ჩხეიძე — ამაღლება. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . . . 38
გივი გეგეჭკორი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 92
გიგი სულაკაური — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 102
ნაირა გელაშვილი — სარკის ნატეხები. გაგრძელება . . . . . . . . . . 105
ზაზა თვარაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 125
გიორგი ლობჟანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 133
ალექსანდრე გიგიტაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 135
ადამ ბოზლიაშვილი — გაუღუნავი სიტყვა. მოთხრობა . . . . . . . . . . 137
ლეოპოლდ სტაფი — ნეტარი წამის სევდა-სალბუნი. ლექსი. თარგმნა
ბათუ დანელიამ . . . . . . . . . . . . . . 145

### კრიტიკა. პუბლიცისტიკა

დიმიტრი ლიხაჩოვი — ინტელიგენტობის შესახებ. თარგმნა ზაზა კვერცხიშვილმა 152
ემზარ კვიტაიშვილი — გიორგი ლეონიძის პოეზია. გაგრძელება . . . . . 154
ალექსანდრე აბდალაძე — ასე ულმერთოდ? . . . . . . . . . . . . . 165
სოლომონ ლეკიშვილი — ი. ჭავჭავაძის ერთი მივიწყებული ავტოგრაფის
შესახებ . . . . . . . . . . . . . . 170
ალექსანდრ მენი — ჭეშმარიტი ქრისტეს ძიებისას. თარგმნა მანანა მიქელაძემ . 175
ია გაჩეჩილაძე — გახსენება. (ტერენტი გრანელის 70 წლისთავის გამო) . . . . 188


საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ზრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. ბვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

# ბიბლია,

# ძველი აღთქმა

## პირველი მეფეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თავი პირველი

1. იყო ერთი კაცი რამათაიმ-ცოფიმიდან, ეფრემის მთიდან, და სახელად ერქვა ელკანა, ძე იეროხამისა, ძისა ელიჰუსი, ძისა თოხუსი, ძისა ცუფისა, ეფრათელი. 2. ორი ცოლი ესვა: ერთს ერქვა ხანა, მეორეს — ფენინა. ფენინას შვილები ჰყავდა, ხანა კი უშვილო იყო. 3. ყოველ წელიწადს ადიოდა ეს კაცი თავისი ქალაქიდან ცაბაოთ უფლისათვის თაყვანისცემად და მსხვერპლის შესაწირავად სილოამში, სადაც ელის ორი ვაჟი — ხოფნი და ფინხასი, უფლის მღვდლები იყვნენ. 4. შესწირავდა მსხვერპლს ელკანა და მისცემდა ხოლმე წილს ფენინას, თავის ცოლს და მის ვაჟებსა და ასულებს. 5. ხანას კი ზედმეტ წილს აძლევდა, რადგან უყვარდა ხანა, თუმცა საშო დაეხშო მისთვის უფალს. 6. მისი მეტოქე კიდევ უფრო აჭირვებდა მას, აწუხებდა იმის გამო, რომ საშო დაუხშო უფალმა. 7. ასე იქცეოდა კაცი ყოველწლიურად, როცა კი ხანა უფლის სახლში ადიოდა. და ფენინა აწუხებდა მას, ის კი ტიროდა და არაფერს ჭამდა. 8. ელკანა, მისი ქმარი, ეუბნებოდა: ხანა, რატომ ტირი? რატომ არაფერს ჭამ? გული რატომ გაქვს დამწუხრებული? განა ათ შვილს არ გირჩევნივარ? 9. ადგა ერთხელ ხანა სმაჭამის შემდეგ სილოამში. ელი მღვდელი საკარცხულზე იჯდა უფლის სახლის წირთხლთან. 10. სულგამწარებულმა ქალმა დაუწყო ვედრება უფალს და ცხარედ ტიროდა. 11. აღუთქვამდა და ეუბნებოდა: ცაბაოთ უფალო, თუ მოხედავ შენი მხევლის ტანჯვას, თუ გამიხსენებ და არ დაივიწყებ შენს მხევალს და მისცემ შენს მხევალს ვაჟიშვილს, უფალს მივცემ მას. ვიდრე ცოცხალი იქნება, დანა არ შეეხება მის თავს. 12. დიდხანს ლოცულობდა ქალი უფლის წინაშე, ხოლო ელი მის ბაგეებს აკვირდებოდა. 13. რაკი ხანა გულში ლაპარაკობდა, ბაგეებს ამოძრავებდა, ხმა კი არ ისმოდა, მთვრალიაო, იფიქრა ელიმ. 14. უთხრა ელიმ: რამდენ ხანს უნდა იყო მთვრალი? გამოიფხიზლე ღვინისგან. 15. მიუგო ხანამ და უთხრა: არა, ჩემო ბატონო. ერთი დაჩაგრული ქალი ვარ. ღვინო და მაგარი სასმელი არ დამილევია, უფლის წინაშე ვღვრი ჩემს სულს. 16. უგვანო დედაკაცი ნუ გეგონება შენი მხევალი. მხოლოდ დიდი მწუხარებისა და სიმწრის გამო ვლაპარაკობდი ამდენ ხანს. 17. მიუგო ელიმ და უთხრა: წადი მშვიდობით და ისრაელის ღმერთი აგისრულებს სათხოვარს, რასაც მოითხოვ მისგან. 18. თქვა ქალმა ნეტავ მადლი პოვოს შენმა მხევალმა შენს თვალში. და წავიდა ქალი თავისი გზით. საჭმელი ჭამა და აღარ დამწუხრებია სახე. 19. ადგნენ დილაადრიანად და თაყვანი სცეს უფალს. როცა დაბრუნდნენ რამათს და მივიდნენ თავიანთ სახლში, შეიცნო ელკანამ ხანა, თავისი ცოლი, და გაიხსენა იგი უფალმა. 20. ერთი წლის შემდეგ დაორსულდა ხანა, შვა ვაჟი და დაარქვა სახელად სამუელი, რადგან: უფალს გამოვთხოვეო იგი. 21. წავიდა

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 8.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი ელკანა მთელი თავისი სახლეულით უფლისადმი ყოველწლიური მსხვერპლის შესაწირად და თავისი აღთქმის აღსასრულებლად. 22. ხანა არ წასულა, უთხრა ქმარს: როცა ძუძუს მოსწყდება, მაშინ წავიყვან, გამოცხადდება უფლის წინაშე და უკუნისამდე იქ დარჩება. 23. უთხრა ელკანამ, მისმა ქმარმა: ისე მოიქეცი, როგორც გერჩიოს. დარჩი, ვიდრე ძუძუს მოსწყვეტდე. ოღონდ აგვისრულოს უფალმა თავისი ნათქვამი. დარჩა ცოლი და ძუძუს აწოვებდა ბავშვს, სანამ არ მოსწყვიტა. 24. როცა გაზარდა, წაიყვანა იგი უფლის სახლში, სილოამში. თან სამი კურატი, ერთი ეფა ფქვილი და ერთი ტიკი ღვინო წაიტანა. ჯერ კიდევ ჩვილი იყო ყმაწვილი. 25. დაკლეს კურატი და ელის მიუყვანეს ყმაწვილი. 26. თქვა ქალმა: იცოცხლე, ჩემო ბატონო! მე ის ქალი ვარ, აქ რომ ვიდექი შენს ახლოს და უფალს ვევედრებოდი. 27. ამ ყმაწვილის გამო ვევედრებოდი და, აჰა, ამისრულა უფალმა სათხოვარი, რასაც ვთხოვდი. 28. ამიტომაც უფლისთვის მიმიბარებია იგი. ვიდრე ცოცხალია, უფლისთვის იქნება მიბარებული. და თაყვანი სცა იქ უფალს.

## თავი მეორე

1. ილოცა ხანამ და თქვა: გამიხალისდა გული უფლის წყალობით და ღვთის წყალობით რქა ამიმაღლდა. გამეხსნა ბაგე მტრების წინააღმდეგ, რადგან გავიხარე შენი შეწევნით. 2. არავინ არის უფალივით წმიდა, რადგან არავინ არის შენს გარდა, არავინ არის ღმერთივით მფარველი. 3. აღარ ილაპარაკებთ მედიდურად, აღარ გამოვა თავხედური სიტყვები თქვენი ბაგიდან, რადგან ყოვლისმცოდნე ღმერთია უფალი, ყოველი საქმე მას აბარია. 4. ძლიერთა მშვილდი დალეწილია, უძლურნი ძალას შემოისარტყლავენ. 5. მაძღარნი პურისთვის ქირაზე დადიან, მშიერნი კი აღარ შიმშილობენ. სამოლახშულმა შვილი დაბადა, მრავალშვილიანი კი დაჭკნა. 6. უფალი აკვდინებს და აცოცხლებს, შავეთში ჩაჰყავს და ამოჰყავს. 7. უფალი აღატაკებს და ამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს. 8. საპყარს მტვერიდან წამოაყენებს, სანეხვედან აღამაღლებს უპოვარს, რათა დიდებულთა გვერდით დასვას. ტახტს დიდებისას დაუმკვიდრებს, რადგან უფლისაა დედამიწის საფუძვლები და სამყარო მათზე დაამყარა. 9. თავის წმიდათა ნაბიჯებს იცავს, უკეთურები ბნელში ინთქმებიან, რადგან საკუთარი ძალით ვერ მაგრობს კაცი. 10. უფალი შემუსრავს თავის წინააღმდგომთ და ციდან დამეხავს მათ უფალი, განსჯის ქვეყნის კიდეებს და მისცემს ძალას თავის მეფეს, და თავის ცხებულს რქას აუმაღლებს. 11. წავიდა ელკანა რამათს, თავის სახლში, ყმაწვილი კი ელი მღვდელთან დარჩა უფლის მსახურად. 12. უგვანები იყვნენ ელის ვაჟები: უფალი არ იცოდნენ 13. და არც მღვდლობის მოვალეობა ხალხის წინაშე. როცა კი ვინმე საკლავს დაკლავდა, მოვიდოდა ხორცის ხარშვისას ახალგაზრდა მღვდელი სამკაპით ხელში, 14. ჩაჰკრავდა ავაზანში, ან ქვაბში, ან კოჰობში, ან კარდალში და ყველაფერი, რაც სამკაპს ამოჰყვებოდა, მღვდელს მიჰქონდა. ასე ექცეოდნენ მთელს ისრაელს, სილოამში მიმსვლელს. 15. ქონის დაწვამდეც მოდიოდა ახალგაზრდა მღვდელი და ეუბნებოდა საკლავის პატრონს: მიეცი მღვდელს შესაწვავი ხორცი. მოხარშულს არ გამოგართმევს, უმი მიეცი. 16. თუ ეტყოდა ვინმე: ქონს დაწვავენ და მერე წაიღე, რაც გენებოსო, მიუგებდა: არა, ახლა მომეცი, თორემ წაგართმევ. 17. ძალზე დიდი იყო ახალგაზრდა მღვდლების ცოდვა უფლის წინაშე, რადგან ბილწავდა ეს ხალხი საუფლო ძღვენს. 18. სამუელი უფლის მსახურად იყო, სიყრმიდანვე სელის ეფოდი ემოსა. 19. პატარა წამოსასხამს უკერავდა ხოლმე დედა და ამოუტანდა ყოველ წელიწადს, როცა ქმართან ერთად ყოველწლიური მსხვერპლის შესა-

წირად ამოდიოდა. 20 აკურთხებდა ხოლმე ელი ელკანას და მის ცოლს და ეტყოდა: უფალი მოგცემს ამ ქალისგან შთამომავლობას მიბარებულის ნაცვლად, რომელიც უფალს მიაბარე. და ბრუნდებოდნენ უკან. 21. მოჰხედა უფალმა ხანას, დაორსულდა იგი და შვა სამი ვაჟი და ორი ასული. ყრმა სამუელი კი უფალთან იზრდებოდა. 22. ძალზე მოხუცდა ელი. გაგებული ჰქონდა ყველაფერი, როგორ ექცეოდნენ მისი შვილები მთელს ისრაელს, რომ წვებოდნენ იმათ ცოლებთან, ვინც სადღესასწაულო კარვის კართან სამსახურს სწევდა. 23. ეუბნებოდა მათ: რატომ აკეთებთ ამას? ხალხისგან მესმის თქვენი უკეთურობის ამბავი. 24. ნუ იზამთ, შვილებო! ცუდი ხმები მესმის. გზიდან აცდენთ უფლის ერს. 25. თუ კაცმა კაცს შესცოდა, ღვთის სამართალია ქომაგი. თუ უფალს შესცოდა კაცმა, ვინ გამოექომაგება? არ ისმინეს მამის სიტყვა, რადგან უნდოდა უფალს მათი დაღუპვა. 26. ყრმა სამუელი კი იზრდებოდა და სიკეთე ემატებოდა უფლისა და ხალხის თვალში. 27. მივიდა ერთი ღვთისკაცი ელისთან და უთხრა: ასე თქვა უფალმა: ხომ გამოვეცხადე მამაშენის სახლს ეგვიპტეში, ფარაონის სახლში ყოფნისას? 28. ჩემთვის გამოვარჩიე იგი ისრაელის ყველა შტოდან ჩემს მღვდელად, რომ ასულიყო ჩემს სამსხვერპლოზე საკმევლის საკმევლად, რომ ეფოდი ეტარებინა ჩემს წინაშე. მე განვუკუთვნე მამაშენის სახლს ისრაელიანთა მთელი საცეცხლო მსვერპლი. 29. რატომ წიხლავთ ჩემს მსხვერპლს და შესაწირავს, ტაძრისთვის რომ დავაწესე? რატომ ამჯობინე ჩემს თავს შენი შვილები, რომ სუქდებით ისრაელის, ჩემი ერის შესაწირავის საუკეთესო წილით? 30. ამიტომ ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ნათქვამი მქონდა: უკუნისამდე ივლიან ჩემს წინაშე შენი სახლი და მამაშენის სახლი. ამიერიდან, ამბობს უფალი, არამც და არამც! რადგან ჩემს პატივმცემელს პატივს მივაგებ, ჩემი მოძულენი კი დამცირდებიან. 31. აჰა, მოაწია ჟამმა და უნდა მოვკვეთო შენი მკლავი და მამაშენის სახლის მკლავი ისე, რომ მოხუცებული აღარ დარჩეს შენს სახლში. 32. დაინახავ მეტოქეს ტაძარში, როცა კეთილი დღე დაუდგება ისრაელს, შენს სახლში კი მოხუცებული არასოდეს იქნება. 33. ყველას არ მოვკვეთ ჩემი სამსხვერპლოდან, რომ თვალები შევსობოდეს და სული მიწუხდეს. მაგრამ შენი სახლის მთელი მამრული მონაგარი გაწყდება. 34. აჰა, ნიშანი, რომელიც ახდება შენს ორ ვაჟზე — ხოფნიზე და ფინხასზე: ერთ დღეს დაიხოცებიან ორთავენი. 35. დავიყენებ ურყევ მღვდელს, რომელიც ჩემს ნებაზე მოიქცევა. ავუშენებ ურყევ სახლს, რათა სულ მუდამ ჩემი ცხებულის წინაშე დადიოდეს. 36. მივა მასთან შენს სახლში დარჩენილი ვინმე და თაყვანს სცემს მას გროშისა და პურის ნატეხისთვის და ეტყვის: მომეცი სამღვდელო რამ ხარისხი, რომ ლუკმაპური ვჭამო.

## თავი მესამე

1. ყრმა სამუელი უფალს ემსახურებოდა ელისთან. უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ ხანებში. ხილვები არ იყო ხშირი. 2. ერთხელ ელი თავის ადგილზე იწვა (თვალები დასნეულებული ჰქონდა და ვეღარ ხედავდა). 3. ღვთის სანთელი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი და სამუელს უფლის ტაძარში ეძინა, სადაც ღვთის კიდობანი იდგა. 4. დაუძახა უფალმა სამუელს. გაეპასუხა: აქა ვარ. 5. გაიქცა ელისთან და უთხრა: აჰა, მოვედი, რომ დამიძახე. უთხრა: არ დამიძახნიხარ, წადი, დაწექი. ისიც წავიდა და დაწვა. 6. კვლავ დაუძახა უფალმა სამუელს. ადგა სამუელი, მივიდა ელისთან და უთხრა: აჰა, მოვედი, რომ დამიძახე. უთხრა: არ დამიძახნიხარ, შვილო, წადი, დაწექი. 7. ჯერ კიდევ ვერ სცნობდა სამუელი უფალს, ჯერ კიდევ არ გამოსცხადებოდა მას უფლის

სიტყვა. 8. მესამეგზის დაუძახა უფალ-
მა სამუელს. ადგა. მივიდა ელისთან
და უთხრა: აჰა, მოვედი, რომ დამიძა-
ხე. მიხვდა ელი, რომ უფალი ეძახდა
ყმაწვილს. 9. უთხრა ელიმ სამუელს:
წადი, დაწექი. თუ დაგიძახეს, უთხარი:
ბრძანე, უფალო, გისმენს შენი მსახუ-
რი-თქო. წავიდა სამუელი და დაწვა
თავის ადგილზე. 10. მოვიდა უფალი
და დადგა, კვლავ დაუძახა წინანდებუ-
რად: სამუელ, სამუელ! უთხრა სამუ-
ელმა: ბრძანე, რადგან გისმენს შენი
მსახური. 11. უთხრა უფალმა სამუელს:
ისეთ რასმე მოვახდენ ისრაელში,
რომ ყოველ მის მსმენელს ორთავე ყუ-
რი გაუყრუვდება. 12. იმ დღეს თავი-
დან ბოლომდე აღვასრულებ ელიზე
ყველაფერს, რაც მის სახლზე წარმო-
ვთქვი. 13. ხომ გამოვუცხადე, რომ
უკუნისამდე განვსჯიდი მის სახლს უკ-
ეთურების გამო, რადგან იცოდა, რომ
თავს ირცხვენდნენ მისი შვილები და
არ ამხილებდა მათ. 14. ამიტომაც და-
ვემუქრე ელის სახლს, არც მსხვერპ-
ლით და არც ძღვენით არ გამოისყი-
დება-მეთქი უკუნისამდე ელის სახ-
ლის უკეთურება. 15. დილამდე ეძინა
სამუელს. მერე გააღო უფლის სახლის
კარი. ეკრძალებოდა სამუელს გაემხილა
ელისთვის ეს ხილვა. 16. დაუძახა სა-
მუელს და უთხრა: სამუელ, შვილო!
მიუგო: აქა ვარ. 17. უთხრა ელიმ: რა-
ზე გელაპარაკა? ნუ დამიმალავ, თორემ
შენც იმასვე დაგმართებს ღმერთი და
უარესსაც, თუ დამიმალე და არ მიამ-
ბე ყველაფერი, რაც გელაპარაკა. 18.
უამბო სამუელმა მთელი ნალაპარაკე-
ვი, არაფერი დაუმალავს მისთვის. თქვა
ელიმ: უფალი ყოფილა. ქმნას, რაც
ენებოს. 19. იზრდებოდა სამუელი და
უფალი იყო მასთან. ცუდად არ ჩაუვ-
ლია არცერთ მის სიტყვას. 20. შეიტ-
ყო მთელმა ისრაელმა, დანიდან ბერ-
შებამდე, რომ სამუელი უფლის წინა-
სწარმეტყველად იქნა დამტკიცებული
21. კვლავ ცხადდებოდა სილოამში
უფალი მას შემდეგ, რაც მოევლინა
უფალი სამუელს სილოამში უფლის
სიტყვის მეშვეობით.

## თავი მეოთხე

1. მოედო სამუელის ამბავი მთელს
ისრაელს. გავიდა ისრაელი ფილისტი-
მელებთან საბრძოლველად და დაიბა-
ნაკა ებენ-ეზერთან. ფილისტიმელე-
ბი კი აფეკში დაბანაკდნენ. 2. დაეწყვ-
ნენ ფილისტიმელები ისრაელის პი-
რისპირ. შენივთდა ბრძოლა და დამა-
რცხდა ისრაელი ფილისტიმელებთან.
ოთხიათასამდე კაცი დააწვინეს ბრძო-
ლის ველზე. 3. ბანაკში რომ მოვიდა
ხალხი, ისრაელის უხუცესებმა თქვეს:
რისთვის დაგვამარცხა დღეს უფალმა
ფილისტიმელებთან? წამოვიღოთ სი-
ლოამიდან უფლის აღთქმის კიდობანი,
იაროს ჩვენს შორის და გვიხსნას
მტრების ხელიდან. 4. შეთვალა ხალხმა
სილოამში და მოიტანეს ქერუბიმებზე
მჯდარი ცაბაოთ უფლის აღთქმის კი-
დობანი. ელის ორი ვაჟი — ხოფნი და
ფინხასი ახლდა ღვთის აღთქმის კი-
დობანს. 5. როცა უფლის აღთქმის კი-
დობანი ბანაკში მოვიდა, მაღალი ხმით
იგრიალა მთელმა ისრაელმა და შეიძრა
მიწა. 6. მოესმათ ფილისტიმელებს
გრიალი და თქვეს: ეს რა გრიალი
დგას ებრაელთა ბანაკში? შეიტყვეს,
რომ უფლის კიდობანი მოსულიყო ბა-
ნაკში. 7. შეეშინდათ ფილისტიმელებს,
როცა ითქვა: ღმერთი მოვიდაო ბანაკ-
ში. თქვეს: ვაი ჩვენ, რადგან ასეთი
რამე არც გუშინ, არც გუშინწინ არ
მომხდარა. 8. ვაი ჩვენ, ვინ გვიხსნის
ამ ძლიერი ღმერთებისგან! ეს ისინი
არიან, ის ღმერთებია, ეგვიპტელები
რომ გვემეს უდაბნოში ყოველგვარი
საგვემელით. 9. გამაგრდით და ვაჟკა-
ცურად იყავით, ფილისტიმელებო, რომ
არ დავემონოთ ებრაელებს, როგორც
თქვენ გემონებიან. ვაჟკაცურად დადე-
ქით და შეებრძოლეთ. 10. შეებრძო-
ლენ ფილისტიმელები და დამარცხდა
ისრაელი, და გაიქცნენ თავთავიანთ კარ-
ვებში. მეტისმეტად დიდი იყო მარცხი:

ოცდაათი ათასი ქვეითი დაეცა ისრაე-
ლიდან. 11. წაიღეს ღვთის კიდობა-
ნი, დაიხოცა ელის ორივე ვაჟი — ხო-
ფნი და ფინხასი. 12. გამოიქცა ერთი
ბენიამინელი კაცი ლაშქრიდან და იმა-
ვე დღეს მივიდა სილოამს. სამოსელი
შემოჰგლეჯოდა და მიწის მტვერი ეყა-
რა თავზე. 13. მოვიდა და, აჰა, ზის
ელი თავის საკარცხულზე გზის პირას
და ელოდება, რადგან გული უკრთოდა
ღვთის კიდობნის გამო. მოვიდა კაცი
ამბის შესატყობინებლად ქალაქში და
აბღავლდა მთელი ქალაქი. 14. მოესმა
კივილის ხმა ელის და თქვა: ეს რა
ხმაურია. საჩქაროდ მივიდა ის კაცი და
ყველაფერი უამბო ელის. 15. ოთხმოც-
დათვრამეტი წლისა იყო ელი, თვა-
ლისჩინი წართმეული ჰქონდა, ვერ ხე-
დავდა. 16. უთხრა კაცმა ელის: ლაშქ-
რიდან მოვდივარ, დღეს გამოვიქეცი
ლაშქრიდან ჰკითხა ელიმ: რა ამბავი
იყო, შვილო? 17. მიუგო მაცნემ და
უთხრა: უკუექცა ისრაელი ფილისტი-
მელებს. სასტიკად დამარცხდა ხალხი,
შენი ორი ვაჟიც — ხოფნი და ფინხა-
სი დაიხოცნენ და ღვთის კიდობანიც
წაღებულია. 18. როგორც ახსენა მან
ღვთის კიდობანი, უკან გადაიქცა ელი
საკარცხულიდან კარისკენ, ხერხემალი
გადაუტყდა და მოკვდა, რადგან მოხუ-
ცებული იყო და მძიმე. ორმოც წელი-
წადს მსაჯულობდა იგი ისრაელში. 19.
მისი რძალი, ფინხასის ცოლი, მოსა-
ლოგინებელი იყო, როცა გაიგო,
ღვთის კიდობნის წაღების და თავისი
მამამთილისა და ქმრის დახოცვის ამ-
ბავი, მუხლებზე დავარდა და შვა, რა-
დგან უწია შობის ჟამმა. 20. როცა
კვდებოდა, ეუბნებოდნენ თავზე მდგო-
მნი: ნუ გეშინია, რადგან ვაჟი გეყო-
ლა. მაგრამ ქალი არ პასუხობდა, უგ-
ძნობი იყო მისი გული 21. დაარქვა
ვაჟს სახელად იქაბოდი (უპატიობა).
თქვა: განეშორა დიდება ისრაელს,
ღვთის კიდობნის წაღების გამო, მისი
მამამთილისა და ქმრის გამო. 22. თქვა:
განეშორა დიდება ისრაელს, რადგან
წაღებულია ღვთის კიდობანი.

## თავი მეხუთე

1. ხელთ იგდეს ფილისტიმელებმა
ღვთის კიდობანი და ებენ-ეზერიდან
აშდოდში წაიღეს. 2. აიღეს ფილისტი-
მელებმა ღვთის კიდობანი და მიიტა-
ნეს დაგონის ტაძარში და გვერდით
დაუყენეს დაგონს. 3. ადგნენ მეორე
დღეს დილით აშდოდელები და ხედა-
ვენ, უფლის კიდობნის წინ ძირს გდია
დაგონი. აიღეს დაგონი და დააბრუნეს
თავის ადგილას. 4. ადგნენ მეორე
დღეს დილით და ხედავენ, ძირს გდია
დაგონი უფლის კიდობნის წინ. დაგო-
ნის თავი და ორთავე ხელის მტევანი,
მოწყვეტილნი, ყრია ზღურბლთან, მხო-
ლოდ ტანი აქვს შერჩენილი დაგონს.
5. ამიტომაც ერიდებიან აშდოდში და-
გონის ქურუმები და დაგონის ტაძრად
მომსვლელნი დაგონის ტაძრის
ზღურბლის გადალახვას. 6. დამძიმდა
უფლის ხელი აშდოდელებზე. ანადგუ-
რებდა და გვემდა მათ ბუგრებით,
მთელს აშდოდს და მის სანახებს. 7.
ხედავდნენ ამას აშდოდელები და ამ-
ბობდნენ: არ უნდა დარჩეს ჩვენთან ის-
რაელის ღვთის კიდობანი, რადგან
სასტიკია მისი ხელი ჩვენზე და და-
გონზე, ჩვენს ღმერთზე. 8. შეუთვალეს
და შეკრიბეს თავისთან ფილისტიმელ-
თა მთავრები, იკითხეს: რა ვუყოთ ის-
რაელის ღვთის კიდობანს? თქვეს:
გათში გადაიტანეთ ისრაელის ღვთის
კიდობანი. და გადაიტანეს გათში ის-
რაელის ღვთის კიდობანი. 9. მას შემ-
დეგ რაც მიიტანეს იგი, იყო უფლის
ხელი ქალაქზე, შეიქნა დიდი ჩოჩქოლი:
ჰგვემა უფალმა ქალაქის მკვიდრთ დი-
დიან-პატარიანად, და გამოაჩნდათ ბუ-
გრები. 10. გაგზავნეს ღვთის კიდობა-
ნი ეკრონს. როცა მივიდა ეკრონში
ღვთის კიდობანი, აკივლდნენ ეკრო-
ნელები: მოგვიტანეს ისრაელის ღვთის
კიდობანი, რომ ამოგვხოცონ ჩვენცა
და ჩვენი ხალხი! 11. შეუთვალეს და
შეკრიბეს ფილისტიმელთა მთავრები,
თქვეს: გაგზავნეთ ისრაელის ღვთის
კიდობანი. დაბრუნდეს თავის ადგილზე.

რომ არ ამოგვხოცოს ჩვენ და ჩვენი
ხალხი. რადგან შიშისზარი იყო მთელს
ქალაქში, მეტისმეტად ლამძიმდა იქ
უფლის ხელი. 12. ვინც სიკვდილს გა-
დაურჩა, ბუგრები გამოაჩნდა ყველას.
ცას მისწვდა ქალაქის ღაღადი.

## თავი მეექვსე

1. შვიდ წელიწადს იყო უფლის კი-
დობანი ფილისტიმელთა ქვეყანაში. 2.
იხმეს ფილისტიმელებმა ქურუმები და
მისნები და უთხრეს: რა ვუყოთ უფ-
ლის კიდობანს? გვასწავლეთ, როგორ
გავგზავნოთ თავის ადგილზე. 3. მიუგეს:
თუ ისრაელის ღვთის კიდობნის გაგზა-
ვნა გინდათ, ძღვნის გარეშე ნუ გაგ-
ზავნით. შესწირეთ დანაშაულის გამო-
სასყიდი მსხვერპლი. მაშინ განიკურნე-
ბით და გაიგებთ, რატომ არ გცილდე-
ბათ მისი ხელი. 4. თქვეს: რა უნდა
შევწიროთ დანაშაულის გამოსასყიდ
მსხვერპლად? მიუგეს: ხუთ-ხუთი ოქ-
როს ბუგრი და ხუთ-ხუთი ოქროს თა-
გვი ფილისტიმელთა მთავრების რიც-
ხვისამებრ. რადგან ერთია სასჯელი
თქვენთვის და ფილისტიმელთა მთავრე-
ბისთვის. 5. გააკეთეთ თქვენი ბუგრე-
ბის გამოსახულებები და თქვენი თაგ-
ვებისა, რომლებიც ყანებს ჟინადგუ-
რებენ, და პატივს მიაგებთ ამით ის-
რაელის ღმერთს, ვინძლო შეამსუბუქოს
ხელი თქვენზე, თქვენს ღმერთებზე და
თქვენს ქვეყანაზე. 6. რატომ ისასტი-
კებთ გულს, როგორც ეგვიპტელები
და ფარაონი ისასტიკებდნენ? ხომ გა-
უშვეს მათ ხალხი, როგორც კი გაამ-
წარა ისინი უფალმა? 7. ახლა ადექით
და ერთი ახალი ურემი გააკეთეთ. გა-
მოარჩიეთ ორი მეწველი, უღელდაუდ-
გმელი ფური და შეაბით ფურები ურ-
ემში. ხბორები კი მოაცილეთ და სახ-
ლში გაუშვით. 8. აიღეთ უფლის კი-
დობანი და ურემზე შედგით. სკივრში
ოქროს ნივთები ჩააწყვეთ, რომელთაც
დანაშაულის გამოსასყიდ მსხვერპლად
ატანთ, და გვერდში მიუდგით. მერე
გაუშვით. და წავიდეს. 9. თვალი გაა-
ყოლეთ და, თუ თავისი ქვეყნის გზას
დაადგა, ბეთშემეშისკენ, მას დაუწევია
ჩვენს თავზე ეს დიდი უბედურება. თუ
არადა. გეცოდინებათ, რომ მის ხელს
არ ვუგვემივართ. შემთხვევით გვწევია
ეს ამბავი. 10. ასეც მოიქცა ხალხი. გა-
მოარჩიეს ორი მეწველი ფური და
ურემში შეაბეს. ხბორები კი სახლში
დაამწყვდიეს. 11. ურემზე შედგეს უფ-
ლის კიდობანი და სკივრი ოქროს თა-
გვებითა და ოქროს ბუგრების გამო-
სახულებებით. 12. პირდაპირ ბეთ-შე-
მეშის გზას დაადგნენ ფურები. ერთ
გზას მიჰყვებოდნენ და ზმუოდნენ,
არც მარჯვნივ გადაუხვევიათ, არც
მარცხნივ. უკან ფილისტიმელთა მთავ-
რები მისდევდნენ ბეთ-შემეშის საზღვ-
რამდე. 13. ბეთ-შემეში ამ დროს პურს
მკიდა ველზე. გაიხედეს და დაინახეს
კიდობანი, და გაუხარდათ დანახვა. 14.
ბეთ-შემეშელ იესოს ყანაში შევიდა
ურემი და იქ გაჩერდა. დიდი ქვა
იდო იქ. ურმის ხეები დაჩეხეს,
ფურები კი აღსავლენ მსხვრეპლად
აღუვლინეს უფალს. 15. ლევიანებმა
გადმოიღეს უფლის კიდობანი და
სკივრი ოქროს ნივთებით და იმ დიდ
ქვაზე დადეს. ბეთ-შემეშელებმა კი
აღსავლენი აღავლინეს და საკლავი და-
უკლეს უფალს იმ დღეს. 16. ეს რომ
დაინახეს, იმავე დღეს გაბრუნდა ეკ-
რონს ფილისტიმელთა ხუთი მთავარი.
17. აი. ოქროს ბუგრები, რომლებიც
უფალს შესწირეს ფილისტიმელებმა
დანაშაულის გამოსასყიდელ მსხვერპ-
ლად: ერთი აშდოდისთვის იყო, ერ-
თი — ღაზისთვის, ერთი — ასკალონი-
სთვის, ერთი გათისთვის, ერთიც ეკ-
რონისთვის. 18. იყო აგრეთვე ოქროს
თაგვები ფილისტიმელთა ქალაქების
რიცხვის მიხედვით, რომლებიც ეკუთვ-
ნოდა ხუთ მთავარს — ციხე-სიმაგრი-
ანი ქალაქებიდან მოყოლებული უგა-
ლავნო დაბებამდე. რაც შეეხება დიდ
ქვას, სადაც დაასვენეს უფლის კიდო-
ბანი, ის დღემდე ბეთ-შემეშელი იე-
სოს ყანაში იმყოფება. 19. მოსრა
უფალმა ბეთ-შემეშელნი, რადგან ჩა-

იხედეს მათ უფლის კიდობანში. ორმოცდაათიათას სამოცდაათი კაცი მოსრა უფალმა. მოთქვამდა მთელი ბეთ-შემეში, რადგან დიდად დააზარალა უფალმა ხალხი. **20.** თქვეს ბეთ-შემეშელებმა: ვინ დაუდგება უფალს, ამ წმიდა ღმერთს? ვისთან წავა ჩვენგან? **21.** გაუგზავნეს მოციქულები კირიათ-იეყარიმის მოსახლეობას: დააბრუნეს ფილისტიმელებმა უფლის კიდობანი, ჩამოდით და წაიღეთო.

## თავი მეშვიდე

**1.** მოვიდნენ კირიათ-იეყარიმელნი, წაიღეს უფლის კიდობანი და მიიტანეს აბინადაბის სახლში, გორაკზე, და განაწესეს მისი შვილი, ელეაზარი უფლის კიდობნის დასაცავად. **2.** გამოხდა მრავალი ხანი კიდობნის დასვენებიდან კირიათ-იეყარიმში, გავიდა ოცი წელი და მოენატრა უფალი მთელს ისრაელს. **3.** ასე უთხრა სამუელმა მთელს ისრაელის ხალხს: თუ მთელი გულით მიისწრაფით უფლისკენ, მოიშორეთ უცხო ღმერთები და აშთორეთები. მიმართეთ გულები უფლისაკენ და მხოლოდ მას ემსახურეთ. მაშინ გიხსნით იგი ფილისტიმელთაგან. **4.** მოიშორეს ისრაელიანებმა ბაალები და აშთორეთები და მხოლოდ უფალს ემსახურებოდნენ. **5.** თქვა სამუელმა: შეკრიბეთ მთელი ისრაელი მიცფაში და შევევედრები თქვენთვის უფალს. **6.** შეიკრიბნენ მიცფაში; ამოჰქონდათ წყალი და უღვრიდნენ უფალს და მარხულობდნენ იმ დღეს. თქვეს იქ: შევცოდეთ უფალს. განსაჯა სამუელმა ისრაელიანები მიცფაში. **7.** შეიტყვეს ფილისტიმელებმა, მიცფაში რომ იყვნენ შეკრებილნი ისრაელიანები, და დაიძრნენ ფილისტიმელთა მთავრები ისრაელის წინააღმდეგ. გაიგეს ისრაელიანებმა და შეუშინდნენ ფილისტიმელებს. **8.** უთხრეს ისრაელიანებმა სამუელს: ნუ შეგვაწყვეტ უფლის, ჩვენი ღვთისადმი ღაღადს, იქნებ გვიხსნას ფილისტიმელთაგან. **9.** აიყვანა სამუელმა ძუძუთა ბატკანი და მთლიანად აღუვლინა იგი უფალს. შეჰღაღადა სამუელმა უფალს ისრაელისათვის და უსმინა მას უფალმა. **10** როდესაც სამუელი აღუვლენდა უფალს აღსავლენს და ფილისტიმელებიც მოდგნენ ისრაელთან საბრძოლველად, იგრგვინა ძლიერი ხმით იმ დღეს უფალმა ფილისტიმელებზე, შეაძრწუნა და იძლივნენ ისინი — ისრაელიანთაგან. **11.** გამოვიდნენ ისრაელის კაცები მიცფიდან, დაედევნენ ფილისტიმელებს და მუსრი გაავლეს მათ ბეთქორის მახლობლად. **12.** აიღო სამუელმა ერთი ლოდი და დადო იგი მიცფასა და კლდის შერილს შორის. თქვა: აქამდე შეგვეწია უფალი. და უწოდა იმ ადგილს სახელად ებენ-ყეზერი (ქვა შეწევნისა). **13.** დაცხრნენ ფილისტიმელები და აღარ შემოდიოდნენ ისრაელის საზღვრებში. უფლის ხელი იყო ფილისტიმელებზე სამუელის სიცოცხლეში. **14.** დაუბრუნდა ისრაელს ფილისტიმელთაგან წაღებული ქალაქები ყეკრონიდან გათამდე. გამოგლიჯა ისრაელმა მათი საზღვრები ფილისტიმელებს. ისრაელსა და ამორეველთა შორის ზავი იყო. **15.** და სჯიდა ისრაელს სამუელი მთელი თავისი სიცოცხლე. **16.** დადიოდა იგი წლიდან წლამდე, მიმოივლიდა ბეთელს, გილგალს და მიცფას. და სჯიდა ისრაელს ყველა ამ ადგილში. **17.** ბრუნდებოდა რამათს, რადგან იქ იყო მისი სახლი, და აქაც სჯიდა ისრაელს. იქ აუგო მან სამსხვერპლო უფალს.

## თავი მერვე

**1.** როცა მოხუცდა სამუელი, ისრაელის მსაჯულებად თავისი შვილები დაადგინა. **2.** მის პირმშოს სახელად ერქვა იოველი, ხოლო უმცროსს — აბია. ბეერ-შებაში იყვნენ მსაჯულებად. **3.** არ გაჰყვნენ შვილები მამის გზას, ანგარებას მისდევდნენ, ქრთამს იღებდნენ და სამართალს ამრუდებდ-

ნენ. 4. შეიკრიბა ისრაელის უხუცესობა და მივიდა სამუელთან რამათს. 5. უთხრეს: შენ მოხუცდი, შენი შვილები კი არ მიჰყვებიან შენს გზას. დაგვისვი ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ გვსჯიდეს. 6. არ მოეწონა ეს ამბავი სამუელს, როცა თქვეს, მეფე მოგვეცით მსაჯულად. მაშინ შეევედრა სამუელი უფალს. 7. უთხრა უფალმა სამუელს: შეისმინე ხალხის ყოველი სიტყვა, რასაც გეტყვის, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ. 8. როგორც იქცეოდნენ იმ დღიდან, როცა ეგვიპტიდან გამოვიყვანე, დღემდე, როცა დამივიწყეს და უცხო ღმერთებს დაემონენ, ასევე გექცევიან შენც. 9. ახლა შეისმინე მათი სიტყვა, ოღონდ გააფრთხილე და აუხსენი უფლებები მეფისა, რომელმაც მათზე უნდა იმეფოს. 10. უთხრა სამუელმა უფლის სიტყვები ხალხს, მეფეს რომ მოითხოვდნენ მისგან. 11. უთხრა: აი, რა უფლებები ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე: წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან დაიყენებს, და ირბენენ მისი ეტლის წინ. 12. დანიშნავს მათ ათასისთავებად და ორმოცდაათისთავებად, თავისი ყანის მხვნელებად და თავისი სამკალის მოსამკელად, თავისი საბრძოლო საჭურველისა და ეტლების მკეთებლებად. 13. აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და პურის მცხობლებად. 14. წაგართმევთ საუკეთესო ყანებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს და თავის მსახურებს დაურიგებს. 15. მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და თავის კარისკაცებს და მსახურებს უწყალობებს. 16. წაგართმევთ საუკეთესო ყმებს, მხევლებს, მსახურ ბიჭებს, სახედრებს და თავის საქმეზე ამსახურებს. 17. წაიღებს მეათედს თქვენი ფარიდან და თქვენც მისი ყმები გახდებით. 18. მაშინ მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, მაგრამ არ მოგისმენთ უფალი. 19. არ დაუჯერა ხალხმა სამუელს. თქვეს: არა და არა, მეფე უნდა გვესვას. 20. ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს. 21. მოისმინა სამუელმა ხალხის ნათქვამი და შეატყობინა უფალს. 22. უთხრა უფალმა სამუელს: შეიწყნარე მათი სიტყვა და დაუდგინე მეფე. უთხრა სამუელმა ისრაელის კაცებს: წადით თქვენ-თქვენს ქალაქებში.

## თავი მეცხრე

1. იყო ერთი კაცი ბენიამინის შტოდან სახელად კიში, ძე აბიელისა, ძისა ცერომისა, ძისა შექორათისა, ძისა აფიახისა, ბენიამინელი, მაგარი ვაჟკაცი. 2. ჰყავდა ვაჟი, გამორჩეული და მშვენიერი, სახელად საული. ისრაელიანთა შორის მასზე უკეთესი არავინ იყო ერთი თავით მაღალი იყო მთელ ხალხზე. 3. დაეკარგა ხრდალი ვირები კიშს, საულის მამას, და უთხრა კიშმა საულს, თავის შვილს: წაიყვანე რომელიმე მსახური ბიჭი, წადი და მოძებნე ვირები. 4. გადაიარა ეფრემის მთა, მოიარა შალიშას მხარე, მაგრამ ვერ იპოვნეს. მოიარეს შაყალიმის მხარე, არც იქ იყო. მოიარა ბენიამინის მხარე, და ვერ იპოვეს. 5. მივიდნენ ცუფის მხარეში და უთხრა საულმა მსახურ ბიჭს, თან რომ ახლდა: წამო, გავბრუნდეთ უკან. დაავიწყდებოდა მამაჩემს ვირები და ახლა ჩვენი დარდი იქნება. 6. მან მიუგო: აი, რას გეტყვი, ღვთისკაცი ცხოვრობს ამ ქალაქში. პატივდებული კაცია, რასაც იტყვის, ყველაფერი სრულდება. წავიდეთ იქ, ეგებ გვასწავლოს, რა გზას დავადგეთ. 7. უთხრა საულმა თავის მსახურს: კარგი, წავიდეთ, მაგრამ რა მივუტანოთ იმ კაცს? გუდაში პური აღარ გვაქვს, არც საჩუქარი გვაქვს რამე, ღვთის კაცს რომ მივუტანოთ. რა გვაქვს თან? 8. კვლავ მიუგო მსახურმა საულს და უთხრა: აჰა, მეოთხედი შეკელი ვერცხ-

ლი მაქვს ხელში, მივცეთ ღვთისკაცს. და გვასწავლის გზას. 9. უწინ ისრაელში ასე ამბობდა კაცი, ღმერთთან საკითხავად რომ მიდიოდა: მოდი, წავიდეთ მისანთან (რადგან ახლა რომ წინასწარმეტყველია, უწინ მისანი ეწოდებოდა). 10. უთხრა საულმა თავის მსახურს: სწორს ამბობ. წამო, წავიდეთ. წავიდნენ ქალაქში, სადაც ღვთისკაცი ცხოვრობდა. 11. აიარეს ქალაქის აღმართი და შემოხვდათ წყალზე მიმავალი გოგონები: ჰკითხეს: არის აქ სადმე მისანი? 12. მიუგეს: აქვეა, ახლოში. ოღონდ იჩქარეთ, დღეს ამოვიდა ქალაქში, რადგან მსხვერპლშეწირვა აქვს ხალხს გორაკზე. 13. როგორც კი ქალაქში შეხვალთ, მაშინვე მოძებნეთ იგი, ვიდრე გორაკზე არ ასულა პურის საჭმელად, რადგან ხალხი მის მისვლამდე არაფერს შეჭამს. მან უნდა აკურთხოს საკლავი, და მხოლოდ ამის მერე დაიწყებენ ჭამას მიწვეულები. აბა, წადით, რადგან სწორედ ამ დროს შეგეძლებათ მისი ნახვა. 14. ავიდნენ ქალაქში. როცა შუა ქალაქში შევიდნენ, ხედავენ, ეგებება მათ გორაკისკენ მიმავალი სამუელი. 15. საულის მოსვლამდე ერთი დღით ადრე გამოეცხადებინა უფალს სამუელისთვის: 16. ხვალ ამ დროს კაცს გამოგიგზავნი ბენიამინის მხარიდან და სცხებ მას ჩემი ერის, ისრაელის, მეფედ. იგი იხსნის ჩემს ერს ფილისტიმელთაგან, რადგან მოვხედე მე ჩემს ერს, როცა მისმა ღაღადისმა ჩემამდე მოაღწია. 17. დაინახა სამუელმა საული და უფალმაც დაუდასტურა: აჰა, ის კაცი, რომელზეც გელაპარაკე. იგი იმეფებს ჩემს ერზე. 18. შეხვდა ჭიშკართან საული სამუელს და ჰკითხა: მასწავლე, სად არის აქ მისანის სახლი. 19. მიუგო სამუელმა საულს და უთხრა: მე ვარ მისანი. წამომყევი გორაკზე. დღეს ჩემთან ერთად შეჭამთ პურს, დილას კი გაგიშვებ. ყველაფერს გეტყვი, რაც გულში გაქვს. 20. ნუ გადარდებს ვირები, სამი დღის წინ რომ დაკარგე, რადგან ნაპოვნია ისინი. ვის ეკუთვნის ისრაელის მთელი საუნჯე, თუ არა შენ და მამაშენის მთელს სახლს? 21. მიუგო საულმა და უთხრა: მე ხომ ბენიამინელი ვარ, ისრაელის უმცირესი ტომის კაცი. ჩემი საგვარეულოც ხომ მცირეა ბენიამინის ტომის საგვარეულოთა შორის? რისთვის მეუბნები ამას? 22. წაიყვანა სამუელმა საული და მისი მსახური, შეიყვანა დარბაზში და ოცდაათი წვეული კაცის თავში დასვა. 23. უთხრა სამუელმა მზარეულს: მომეცი ნაჭერი, რომელიც მოგაბარე და გითხარი, დაიტოვე-მეთქი. 24. გამოიტანა მზარეულმა მთელი ბეჭი და წინ დაუდო საულს. უთხრა სამუელმა: ეს არის, რაც მორჩა. წინ დაიდე და ჭამე, რადგან იმ დროისთვის გადაგინახე, როცა ხალხის მოწვევა განიზრახე. პურობდა საული იმ დღეს სამუელთან ერთად. 25. ჩამოვიდნენ გორაკიდან ქალაქში და სახლის ბანზე ელაპარაკა საულს. 26. ადგნენ დილადრიანად. განთიადისას დაუძახა სამუელმა საულს ბანზე და უთხრა: ადექი, უნდა გაგისტუმრო. ადგა საული და გავიდნენ ორთავენი, ის და სამუელი, გარეთ. 27. როცა ქალაქის ბოლოზე ჩადიოდნენ, სამუელმა უთხრა საულს: უთხარი, ჩვენს წინ წავიდეს მსახური და იაროს. შენ კი მცირეხანს დადექი, რომ ღვთის სიტყვა გამოგიცხადო.

## თავი მეათე

1. აიღო სამუელმა ზეთით სავსე ქილა, თავზე დაასხა, აკოცა და უთხრა: აჰა, გცხო უფალმა თავისი სამკვიდროს მთავრად. 2. დღესვე, როცა ჩემგან წახვალ, ორ კაცს შეხვდები რახელის საფლავთან, ბენიამინის საზღვარზე, ცელცახში. გეტყვიან: ნაპოვნია ვირები, რომელთა საძებრადაც წამოხვედი. აჰა, დაავიწყდა მამაშენს თავისი ვირები და თქვენზე დარდობს: რა ვიღონო ჩემი შვილისთვის? 3. გასცდები ამ ადგილს და მიხვალ თაბორის მუხნართან და შეხვდები ბეთელისკენ

სალოცავად მიმავალს სამ კაცს. ერთს სამი თიკანი მიჰყავს, მეორეს სამი პური მიაქვს, მესამეს ტიკით ღვინო. 4. მშვიდობით მოგიკითხავენ და ორ პურს მოგცემენ, შენც გამოართმევ. 5. შემდგომ ამისა ღვთის ბორცვზე ახვალ, სადაც ფილისტიმელთა სადარაჯოებია. ქალაქში შესვლისას შეხვდები გორაკიდან ჩამომავალ ქადაგთა გუნდს, რომელთაც წინ მიუძღვებიან ქნარით, დაფდაფით, სტვირითა და ებნით, თავად კი ქადაგებენ. 6. ღვთის სული გადმოვა შენზე და მათთან ერთად აქადაგდები, სხვა კაცად გარდაიქმნები. 7. როცა ყოველივე ეს აგიცხადდება, როგორც მოგიხდეს, ისე მოიქეცი, რადგან ღმერთი იქნება შენთან. 8. ჩემზე წინ ჩახვალ გილგალში და მეც მალე მოვალ შენთან, რათა შევწირო აღსავლენი და სამშვიდობო მსხვერპლი. შვიდ დღეს მელოდე, ვიდრე არ მოვალ შენთან და არ გასწავლი, რა უნდა გააკეთო. 9. როგორც კი გატრიალდა საული სამუელისგან წასასვლელად სხვა გული ჩაუდო მას ღმერთმა და ყველა ნიში აუცხადდა იმ დღეს. 10. ავიდნენ გორაკზე და, აჰა, მოდის მისკენ ქადაგთა გუნდი. გადმოვიდა მასზე ღვთის სული და ისიც მათთან ერთად აქადაგდა. 11. ყველანი, ვინც მანამდე იცნობდნენ მას, ხედავდნენ ქადაგებთან ერთად გაქადაგებულს და ლაპარაკობდნენ ერთმანეთში: რა დაემართა კიშის ძეს? ნუთუ საულიც გაქადაგდაო? 12. თქვა პასუხად ერთმა იქაურმა კაცმა: ვინ არის მათი მამა? ასე წარმოიშვა ანდაზა: ნუთუ საულიც გაქადაგდა? 13. მორჩა ქადაგობას და ავიდა გორაკზე. 14. უთხრა საულის ბიძამ საულსა და მის მსახურს: სად იარეთ? მიუგო: ვირებს ვეძებდით და როცა ვერსად ვიპოვეთ, სამუელთან წავედით. 15. უთხრა საულს ბიძამ: მომიყევი, რა გითხრათ სამუელმა. 16. უთხრა საულმა ბიძას: გამოგვიცხადა, ნაპოვნიაო ვირები. ხოლო მეფობის ამბავი, რაც სამუელმა უთხრა, არ გაუმხელია მისთვის. 17. მოუხმო სამუელმა ხალხს უფალთან მიცფაში. 18. უთხრა ისრაელიანებს: ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: მე გამოვიყვანე ისრაელი ეგვიპტიდან, მე გიხსენით თქვენ ეგვიპტელთაგან და ყველა სამეფოსგან, რომელიც კი გავიწროებდათ. 19. ახლა უარყავით თქვენს ღმერთს, რომელმაც გიხსნათ ძნელბედობასა და გასაჭირში, რადგან ეუბნებით: მეფე დაგვისვიო. აბა, წარმოუდექით უფალს თქვენ-თქვენი ტომისა და გვარეულობის მიხედვით. 20. სათითაოდ მიიყვანა სამუელმა ისრაელის ყველა ტომი და ბენიამინის ტომს ხვდა წილი. 21. მიიყვანა ბენიამინის ტომი საგვარეულოების მიხედვით და მატრის საგვარეულოს ხვდა წილი; მერე საულს, კიშის ძეს, ხვდა წილი. დაუწყეს ძებნა და ვერსად იპოვეს. 22. კვლავ შეეკითხნენ უფალს: თუ კიდევ არის აქ ვინმე მომსვლელი? თქვა უფალმა: აჰა, ჰურჯლებს არის ამოფარებული. 23. გაიქცნენ და გამოიყვანეს იქიდან. ჩადგა ხალხში და ერთი თავით ყველაზე მაღალი გამოჩნდა. 24. უთხრა სამუელმა მთელს ხალხს: ხომ ხედავთ, ვინ აირჩია უფალმა? რადგან მთელს ხალხში არვინაა მისი მსგავსი. იხუვლა ხალხმა და თქვა: დღეგრძელი იყოს მეფე!! 25. გამოუცხადა სამუელმა ერს მეფობის უფლებანი. წიგნში ჩაწერა და უფლის წინაშე დადო. მერე დაითხოვა სამუელმა ხალხი და წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავის სახლებში. 26. საულიც გაემართა თავისი სახლისკენ, გიბყაში. თან გაჰყვა მამაცი ხალხი, რომელთა გულებს ღმერთი შეეხო. 27. უგვანი ხალხი ამბობდა: ეგ ჩვენ როგორ გვიხსნისო, და შეიძულეს იგი და ძღვენი არ მიართვეს. მას კი არაფერი უთქვამს.

## თავი მეთერთმეტე

1. წამოვიდა ნახაშ ყამონელი და შემოადგა გალადის იაბეშს. უთხრეს იაბეშელებმა ნახაშს: შეკარი კავშირი ჩვენთან და დაგემორჩილებით. 2. უთხრა მათ ნახაშ ყამონელმა: ჯერ ყველას

მარჯვენა თვალებს დაგთხრით, რომ სირცხვილი ვაჭამო მთელს ისრაელს, და მერე შევკრავ თქვენთან კავშირს. 3. უთხრეს იაბეშის უხუცესებმა: შვიდი დღე გვაცალე, რომ მოციქულები დავგზავნოთ მთელს ისრაელში და, თუ არავინ იქნა ჩვენი მხსნელი, გამოვალთ თქვენს წინააღმდეგ. 4. მივიდნენ მოციქულები საულის გიბყაში და გამოუცხადეს ეს ამბავი ხალხს. ახმაურდა ხალხი და მორთო ტირილი. 5. აჰა, საულიც მოდის, ხარებს მოჰყვება ყანიდან. იკითხა საულმა: რა ატირებს ხალხს? ამცნეს იაბეშელთა ნათქვამი. 6. ამ სიტყვების გაგონებისას ღვთის სული გადმოვიდა საულზე და ძლიერ განრისხდა იგი. 7. ადგა და აკუწა ორივე ხარი და მოციქულების ხელით დაგზავნა მთელს ისრაელში. შეუთვალა: ვინც საულსა და სამუელს არ გაჰყვება, ასე მოუვა მის ხარებს. უფლის შიში დაეცა ხალხს და გამოვიდნენ როგორც ერთი კაცი. 8. აღრიცხა ისინი ბეზეკში: ისრაელიანი სამასი ათასი იყო, იუდას ხალხი — ოცდათი ათასი. 9. უთხრეს მოსულს მოციქულებს: ასე უთხარით გალაადის იაბეშის ხალხს: ხვალ, მზე რომ დააცხუნებს, მოგევლინებათ ხსნა. მივიდნენ მოციქულები და შეატყობინეს იაბეშელებს. მათაც გაიხარეს. 10. შეუთვალეს იაბეშელებმა ყამონელებს: ხვალ გამოვალთ თქვენს წინააღმდეგ და გვიყავით, რაც გენებოთ. 11. მეორე დღეს სამ რაზმად გაჰყო საულმა ხალხი. დილის სახმილავზე შევიდნენ შუაგულ ბანაკში და შუადღის პაპანაქებამდე გაწყვიტეს ყამონელები. გადარჩენილნი კი ისე დაიფანტნენ, რომ ორს ერთად ვერ ნახავდა კაცი. 12. უთხრა ხალხმა სამუელს: ვინ ამბობდა, ნუთუ საულმა უნდა იმეფოსო ჩვენზე? მოგვეცი ის ხალხი, რომ დავხოცოთ. 13. უთხრა საულმა: ერთი კაციც არ მოკვდება დღეს, რადგან ხსნა მოავლინა უფალმა დღეს ისრაელში. 14. უთხრა სამუელმა ხალხს: წამოდით, წავიდეს გილგალში და განვაახლოთ იქ მეფობა. 15. წავიდა მთელი ხალხი გილგალს და გაამეფეს საული უფლის წინაშე იქ, გილგალში. შესწირეს იქ სამშვიდობო მსხვერპლი უფლის წინაშე და ძლიერ გაიხარეს იქ საულმა და ყველა ისრაელიანმა.

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

## თავი მეთორმეტე

1. უთხრა სამუელმა მთელს ისრაელს: აჰა, ყველაფერი მოგისმინეთ, რასაც მოითხოვდით ჩემგან და გაგიმეფეთ მეფე. 2. ამიერიდან მეფე წაგიძღვებათ წინ. მე მოვხუცდი და გავთეთრდი. აქ არიან ჩემი შვილებიც თქვენთან ერთად. სიყმაწვილიდან დღემდე წინ მიგიძღოდით. 3. აჰა, აქ ვარ, მამხილეთ უფლისა და მისი ცხებულის წინაშე, თუ ოდესმე ვინმესთვის ხარი ან სახედარი წამერთმიოს, თუ ვინმე შემევიწროებიოს, თუ ვინმე დამეჩაგროს, თუ ვინმესგან ქრთამი ამეღოს მის საქმეზე თვალის დასახუჭად, პასუხს ვაგებ. 4. უთხრეს: არც შეგვივიწროებივართ და არც დაგიჩაგვრივართ არც ვინმესაგან რამე აგიღია. 5. კვლავ უთხრა მათ: უფალი იყოს მოწამე თქვენს შორის და მისი ცხებული იყოს მოწამე ამ დღეს, რომ ვერაფერი ჰპოვეთ ჩემს ხელში. უთხრეს: მოწამე იყოს! 6. უთხრა სამუელმა ხალხს: ჰო, უფალი, რომელმაც მოსე და აარონი შექმნა, რომელმაც თქვენი მამა-პაპა ეგვიპტელთა ქვეყნიდან გამოიყვანა. 7. ახლა დადექით, რომ განგსაჯოთ უფლის წინაშე ყველა სიკეთის გამო, რაც გიყოთ უფალმა თქვენ და თქვენს მამა-პაპას. 8. როცა იაკობი მივიდა ეგვიპტეში, შეჰღაღადა თქვენმა მამა-პაპამ უფალს და მოავლინა უფალმა მოსე და აარონი. მათ გამოიყვანეს თქვენი მამა-პაპა ეგვიპტიდან და ამ ადგილზე დაასახლეს. 9. მაგრამ დაივიწყეს მათ უფალი, თავიანთი ღმერთი, და ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა სისარას, ხაცორის მხედართმთავარს, ფილისტიმელებს და მოაბელთა მეფეს,

რომელნიც ებრძოდნენ მათ. 10 შეჰ-
ღაღადეს უფალს და თქვეს: შევცოდეთ,
რადგან განვუდექით უფალს და ვემ-
სახურებოდით ბაალებსა და აშთორე-
თებს. ახლა გვიხსენი მტრების ხელთა-
გან და გემსახურებით. 11. მოავლინა
უფალმა იერობაალი, ბადანი, იფთახი
და სამუელი. ისინი გიფარავდნენ გა-
რეშემო მტრებისგან და თქვენც ცხო-
ვრობდით მშვიდად. 12. დაინახეთ, რომ
ამონელთა მეფე ნახაში მოდის თქვენს
წინააღმდეგ და მითხარით: არა, მეფემ
იმეფოს ჩვენზე! თქვენი მეფე კი უფ-
ალია, ღმერთი თქვენი. 13. ამიერიდან,
აჰა, მეფე, რომელიც აირჩიეთ, რომელ-
საც მოითხოვდით, აჰა, და მოგცათ უფ-
ალმა მეფე. 14. თუ გექნებათ უფლის
შიში, თუ ემსახურებით მას, თუ
შეისმენთ მის სიტყვას და წინ არ
აღუდგებით მის ნაბრძანებს, მაშინ და-
გიფარავთ უფალი, თქვენი ღმერთი,
თქვენცა და მეფესაც, თქვენზე რომ
მეფობს. 15. თუ არ შეისმენთ უფლის
სიტყვას და წინ აღუდგებით უფლის
ნაბრძანებს, უფლის ხელი იქნება
თქვენს წინააღმდეგ, როგორც თქვენი
მამა-პაპის წინაღმდეგ იყო. 16. ახლაც
დადექით და შეხედეთ ამ დიდ საქმეს,
რაც უფალმა აღასრულა თქვენს თვა-
ლწინ. 17. ხომ პურის მკის დრო არის
ახლა? შევსთხოვ უფალს და მოავლენს
იგი ჭექ-ქუხილსა და წვიმას, რომ
იცოდეთ და ნახოთ, რა დიდია თქვენი
ბოროტება, უფლის წინაშე რომ ჩაიდი-
ნეთ, როცა მეფე მოითხოვეთ. 18. შეს-
თხოვა სამუელმა უფალს და მოავლი-
ნა უფალმა ჭექა-ქუხილი და წვიმა იმ
დღეს. ძლიერ შეშინდა ხალხს უფლისა
და სამუელისა. 19 უთხრა ხალხმა სა-
მუელს: შეევედრე უფალს, შენს
ღმერთს, შენს მსახურთა გულისათვის,
რომ არ დავიხოცოთ, რადგან მთელს
ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაც დავუ-
მატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ. 20.
უთხრა სამუელმა ხალხს: ნუ გეშინიათ,
უკვე ჩადენილი გაქვთ მთელი ეს ბო-
როტება. ოღონდ ნულა განუდგებით
უფალს და მთელი გულით ემსახურეთ.
21. ნუ გაიწევთ ფუჭი ღმერთებისკენ,
არ დაგიფარავენ და არ გიხსნიან, რად-
გან ფუჭნი არიან. 22. უფალი კი არ
დააგდებს თავის ერს თავისი დიდებუ-
ლი სახელის გამო, რადგან გადაწყვე-
ტილი აქვს უფალს, რომ თავის ერად
გაგხადოთ თქვენ. 23. მე კი ნუმც შე-
მიცოდავს უფლისათვის, ნუმც შემიწყ-
ვეტია თქვენს გამო ვედრება. მე დაგა-
ყენებთ სასიკეთო და ჭეშმარიტ გზაზე.
24. ოღონდ უფლის გეშინოდეთ და
ემსახურეთ წრფელად და მთელი გუ-
ლით, რადგან ხედავთ, რა დიდი საქმე
აქვს აღსრულებული თქვენთვის. 25.
თუ ბოროტად მოიქცევით, თქვენც და-
ილუპებით და თქვენი მეფეც.

## თავი მეცამეტე

1. გავიდა ერთი წელი საულის გამე-
მეფიდან და ისრაელზე მეფობის მე-
ორე წელს. 2. გამოარჩია საულმა თა-
ვისთვის ისრაელში სამი ათასი კა-
ცი. ორიათასი საულთან დადგა მიქმა-
შში და ბეთილის მთაზე, ათასი კაცი კი
იონათანთან ბენიამინის გიბყაში. და-
ნარჩენი ხალხი თავ-თავის კარვებში
გაისტუმრა. 3. იონათანმა დაამარცხა
ფილისტიმელთა სარდალი, რომელიც
გებაყში იდგა, და გაიგეს ეს ფილის-
ტიმელებმა. საულმა ბუკს დააყვირები-
ნა მთელს ქვეყანაში და გამოაცხადა:
გაიგონონ ებრაელებმა! 4. და გაიგო მთე-
ლმა ისრაელმა, რომ დაამარცხა საულმა
ფილისტიმელთა სარდალი და რომ
მტრად მოეკიდა ისრაელი ფილისტიმე-
ლებს, და შეიყარა ხალხი საულთან
გილგალში. 5. ფილისტიმელებიც შე-
იკრიბნენ ისრაელის წინააღმდეგ საომ-
რად. ოცდაათი ათასი საომარი ეტლი,
ექვსი ათასი ცხენოსანი ზღვის ქვი-
შასავით ურიცხვი ხალხი. წამოვიდნენ
და მიქმაშში, ბეთ-ავენის აღმოსავლე-
თით დაბანაკდნენ. 6. დაინახეს ისრა-
ელიანებმა, რომ გაუჭირდათ, რომ გა-
წვალდა ხალხი, და სათითაოდ მიიმალნ-
ენ გამოქვაბულებში ეკალ-ბარდებში.

კლდის ნაპრალებში, კოშკებში თუ ორმოებში. 7. ზოგი ებრაელი იორდანეს გაღმა გადავიდა გადისა და გალაადის მხარეში. საული კი ჯერ ისევ გილგალში იმყოფებოდა და მთელი ხალხი, ვინც გაჰყვა, შეშინებული იყო. 8. შვიდ დღეს იცადა მან, როგორც დაუთქვა სამუელმა, მაგრამ არ მოდიოდა სამუელი გილგალში. ხალხი კი ეფანტებოდა. 9. თქვა საულმა: მომიყვანეთ აღსავლენი და სამშვიდობო მსხვერპლიო. და აღავლინა აღსავლენი. 10. როცა გაასრულა აღსავლენის აღვლენა, სამუელიც მოვიდა. გამოვიდა საული მის შესახვედრად და მისასალმებლად. 11. უთხრა სამუელმა: რა ჰქენი? მიუგო საულმა: დავინახე, რომ მეფანტებოდა ხალხი და შენც არ მოხვედი დათქმულ დროს. ფილისტიმელები კი მიქმაშში არიან შეკრებილნი. 12. ვიფიქრე, ახლა დამესხმებიან ფილისტიმელები გილგალში, მე კი არ შევევედრებივარ-მეთქი უფალს. თავს ვიკავებდი, მაგრამ მაინც აღვავლინე აღსავლენი მსხვერპლი. 13. უთხრა სამუელმა საულს: უგუნურად მოიქეცი, რომ არ დაიცავი უფლის, შენი ღმერთის ნაბრძანები. ეს რომ არ გექნა, უკუნისამდე განამტკიცებდა უფალი შენს მეფობას ისრაელზე. 14. ამიერიდან ველარ იმყარებს შენი მეფობა. გამოძებნის უფალი თავის სასურველ კაცს და თავის ერის წინამძღოლობას უბრძანებს, რაკი შენ არ დაიცავი, რაც ნაბრძანები ჰქონდა შენთვის უფალს. 15. ადგა სამუელი და წავიდა გილგალიდან ბენიამინის გიბყაში. დათვალა საულმა თავისთან მყოფი ხალხი — ექვსასამდე კაცი. 16. საული და მისი ვაჟი იონათანი და მათთან მყოფი ხალხი ბენიამინის გიბყაში დადგნენ. ფილისტიმელები კი მიქმაშში დაბანაკდნენ. 17. გამოვიდა ფილისტიმელთა ბანაკიდან სამი მარბიელი რაზმი. ერთი ყოფრას გზაზე გაემართა, შუყალის ქვეყნისკენ. 18. მეორე რაზმი ბეთ-ხორონის გზას დაადგა, მესამე კი ცებოიმის ველისკენ მიმავალ გზას, უდაბნოზე რომ გადის. 19. მჭედელი არ მოიძებნა მთელს ისრაელში, რადგან მოილაპარაკეს ფილისტიმელებმა, რომ არც მახვილი, არც შუბი არ ექონებინათ ებრაელებს. 20. ჩადიოდა მთელი ისრაელი ფილისტიმელებთან სახნისების, თოხების, ცულების და ნამგლების მოსაპირავად, 21. როცა დაუბლაგვდებოდათ პირი სახნისებს, თოხებს, ფიწლებს, ცულებს ან თუ დეზებს იქნებოდა გასამართავი. 22. როცა ბრძოლის დრო დადგა, არ აღმოაჩნდათ საულისა და იონათანის თანამდგომ ხალხს მახვილები და შუბები. მხოლოდ საულს და მის ვაჟს, იონათანს აღმოაჩნდათ. 23. გაემართნენ ფილისტიმელთა მოწინავენი მიქმაშის ვიწროებისკენ.

## თავი მეთოთხმეტე

1. უთხრა ერთ დღეს იონათანმა, საულის ძემ, მსახურს, თავის საჭურველთმტვირთველს: წამო, გავიდეთ ფილისტიმელთა საყარაულოსთან, იქითა მხარეს რომ არის. მამისთვის არაფერი უთქვამს. 2. საული გიბყას ბოლოში იმყოფებოდა ბროწეულის ხის ქვეშ, მიგრონში რომ დგას. თან ახლდა ხალხი, ექვსასამდე კაცი, 3. მათ შორის ახია, ძე ახიტუბისა, ძისა იქაბოდისა, ძისა ფინხასისა, ძისა ელისა, სილოამში უფლის მღვდელი რომ იყო და ეფოდს რომ ატარებდა. არ იცოდა ხალხმა, სად წავიდა იონათანი. 4. იმ ვიწროებში, საიდანაც უნდოდა იონათანს ფილისტიმელთა მოწინავე რაზმთან გასვლა, ერთ მხარესაც კლდის შვერილი იყო და მეორე მხარესაც, ერთის სახელი — ბოცეცი, მეორისა — სენე. 5. ერთი შვერილი ჩრდილოეთის მხრიდან იყო აღმართული მიქმაშის გასწვრივ, მეორე — სამხრეთიდან, გებაყის გასწვრივ. 6. უთხრა იონათანმა მსახურს, თავის საჭურველთმტვირთველს: წამო, გავიდეთ მაგ წინადაუცვეთელთა საყარაულოსთან, ეგების გაგვამარჯვებინოს უფალმა, რად-

გან უფლისათვის არ არის დაბრკოლე-
ბა, ბევრი ხალხით იხსნის თუ მცირე-
თი. 7. მიუგო მისმა საჭურველთ-
მტვირთველმა: გააკეთე, რაც გულში
გაქვს. მიდი და, აჰა, მეც შენთანა ვარ
შენი გულივით. 8. თქვა იონათანმა:
აჰა, მე გავალ მაგ ხალხთან და დავე-
ნახვები მათ. 9. თუ ასე გვეტყვიან:
შეიცადეთ, ვიდრე ჩვენ თქვენთან მო-
ვიდოდეთო, გავჩერდეთ ჩვენს ადგილ-
ზე და ნუ ავალთ მათთან. 10. თუ ასე
გვეტყვიან: ჩვენთან ამოდითო, ავი-
დეთ, რადგან ჩვენს ხელთ ჩაუგდია
ისინი უფალს. ეს იქნება ჩვენთვის ნი-
შანი. 11. დაენახნენ ორივენი ფილის-
ტიმელთა ყარაულს და თქვეს ფილის-
ტიმელებმა: აჰა, ებრაელები გამოდიან
ხეობიდან, სადაც დამალულები იყვ-
ნენ. 12. გაეხმიანენ მოყარაულენი იო-
ნათანს და მის საჭურველთმტვირთ-
ველს და უთხრეს: ამოდით ჩვენთან და
გაგაგებინებთ ამბავს. უთხრა იონათან-
მა თავის საჭურველთმტვერველს: მომ-
ყევი, რადგან ხელში ჩაუგდო ისინი
უფალმა ისრაელს. 13. ფორთხვით ავ-
იდა ზევით იონათანი, უკან მისი სა-
ჭურველთმტვირთველი მიჰყვა. ეცემოდ-
ნენ იონათანის წინაშე, მისი საჭურ-
ველთმტვირთველი კი მის უკან ხოცა-
ვდა მათ. 14. ეს პირველი შეტაკება
იყო, რომლის დროსაც ოცამდე კაცს
გაავლეს მუსრი იონათანმა და მისმა
საჭურველთმტვირთველმა ნახევარ ქცე-
ვა მიწაზე. 15. შიშის ზარმა მოიცვა ბა-
ნაკი, ველი და მთელი საყარაულო. თვით
მარბიელიც კი შეძრწუნდა, იძრა მიწა
და გარდამოვიდა ღვთის ზარი. 16.
დაინახეს საულის მოთვალთვალეებმა
ბენიამინის გიბყადან, რომ იფანტე-
ბოდა ჯარი და აქეთ-იქით აწყდება. 17.
უთხრა საულმა თავისთან მყოფ ხალხს:
მოათვალიერეთ და ნახეთ, ვინ არის წა-
სული ჩვენიანებიდან. მოათვალიერეს
და, აჰა, არც იონათანი ჩანს, და არც
მისი საჭურველთმტვირთველი. 18.
უთხრა საულმა ახიას: მოიტანე ღვთის
კიდობანი, რადგან ისრაელიანებთან
იყო იმ დღეს ღვთის კიდობანი. 19.
ვიდრე მღვდელს ელაპარაკებოდა სა-
ული, კიდევ უფრო იმატა აურზაურმა
ფილისტიმელთა ბანაკში, უთხრა სა-
ულმა მღვდელს: დაუშვი ხელი. 20.
დასცეს ყიჟინა საულმა და მასთან
მყოფმა მთელმა ხალხმა და ამოვიდ-
ნენ ბრძოლის ადგილზე. და აჰა, გაი-
მართა ხელჩართული ბრძოლა და შე-
იქმნა მეტისმეტი აღრეულობა. 21. ებ-
რაელებმა, ადრე რომ ფილისტიმელებ-
თან იყვნენ და ყველგან დაჰყვებოდნენ
მათ ბანაკს, ახლა ისრაელიანებს შე-
უერთდნენ, რომელნიც თან ახლდნენ
საულსა და იონათანს. 22. ეფრემის
მთებში მიმალულმა ყველა ისრაელი-
ანმა გაიგო ფილისტიმელების უკუქ-
ცევა და ისინიც გაჰყვნენ მათ ბრძო-
ლაში. 23. იხსნა უფალმა იმ დღეს ისრა-
ელი ბეთ-ავენს გადასწვდა ბრძოლა. 24.
გაიტანჯნენ იმ დღეს ისრაელიანები.
რადგან დააფიცა საულმა ხალხი და
უთხრა: წყეულიმც იყოს, ვინც პური
შეჭამოს საღამომდე, როცა შურს ვი-
ძიებ მტრებზე. და ხალხსაც პირი არ
მიუკარებია საჭმელისთვის. 25. მთე-
ლი ხალხი ტყეში წავიდა, და აჰა, თაფ-
ლი დევს მიწაზე. 26. შევიდა ხალხი
ტყეში და, აჰა, თაფლის ღვარია,
მაგრამ არავის მიუტანია ხელი პირთან,
რადგან ფიცის ეშინოდა ხალხს. 27.
არ ჰქონდა გაგებული იონათანს, რომ
დააფიცა მამამისმა ხალხი. გაიწვადა
ჯოხი, ხელში რომ ეჭირა, ჩააწო მისი
წვერი გოლეულში და პირთან მიიტანა
ხელი, და გაუნათდა თვალები. 28. მი-
უგო ერთმა კაცმა ხალხიდან და უთხრა:
ფიცით დააფიცა მამაშენმა ხალხი:
წყეულიმც იყოს, ვინც პური ჭამოსო
დღეს. ამიტომაც დაიქანცა ხალხი. 29.
თქვა იონათანმა: გააწამა მამაჩემმა ქვე-
ყანა. ხომ ხედავთ, თვალები გამინათ-
და. როგორც კი ეს თაფლი ვიგემე.
30. რა იქნებოდა, დღეს რამე ეჭამა
ხალხს იმ ნადავლიდან, მტერს რომ და-
აგდებინა? უფრო დიდი არ იქნებოდა
მაშინ ფილისტიმელთა მარცხი? 31.
დაამარცხეს იმ დღეს ფილისტიმელები
მიქმაშიდან აიალონამდე და დაიქანცა

ხალხი. 32. მიცვივდა ხალხი ნადავლს, გამოასხა ცხვარ-ძროხა, ხბორები და დახოცა ისინი მიწაზე, სისხლიანად ჭამდა ხალხი. 33. შეატყობინეს საულს. აჰა, სცოდავს ხალხი უფალს, სისხლიანად ჭამს. თქვა: ფიცი გატეხეთ. ახლა მოაგორეთ ჩემსკენ დიდი ლოდი. 34. თქვა საულმა: გადით ხალხში და უთხარით: მომიყვანეთ თითოეულმა თითო ხარი და თითო ცხვარი, აქ დაკალით და ჭამეთ. ნუ სცოდავთ უფალს, სისხლიანად ნუ ჭამთ. მიჰყავდა ყველას თავისი ხარი ღამით და კლავდა იქ. 35. აუგო საულმა სამსხვერპლო უფალს. ამით დაიწყო უფლისთვის სამსხვერპლოების შენება. 36. თქვა საულმა: დავესხათ ფილისტიმელებს ამ ღამით და გათენებამდე ვძარცვოთ, რომ ერთი მათგანიც არ გადარჩეს. უთხრეს: როგორც გნებავს, ისე მოიქეცი. თქვა მღვდელმა: მივმართოთ აქ ღმერთს. 37. დაეკითხა საული ღმერთს: დავესხა ფილისტიმელებს? თუ ჩაუგდებ მათ ისრაელის ხელში? პასუხი არ გაუცია იმ დღეს. 38. თქვა საულმა: აქ მოდით, ერის თავკაცებო, და გაარკვიეთ, რა ცოდვა იყო დღეს ჩადენილი. 39. რადგან, ვფიცავ უფალს, ისრაელის მხსნელს, თუ ჩემს ძეს იონათანს აწევს ცოდვა, სიკვდილი არ ასცდება. პასუხი არვის გაუცია ხალხიდან. 40. უთხრა მთელს ისრაელს: თქვენ ერთ მხარეს იყავით, ხოლო მე და ჩემი ძე იონათანი მეორე მხარეს ვიქნებით. მიუგო ხალხმა: როგორც გნებავს, ისე მოიქეცი. 41. უთხრა საულმა უფალს: ღმერთო ისრაელისა! აბა, ვინ არის უბრალო? დაკავდნენ იონათანი და საული, ხალხი კი გაშვებული იქნა. 42. თქვა საულმა: წილი გვიყარეთ მე და ჩემს ძეს იონათანს. და დაკავდა იონათანი. 43. უთხრა საულმა იონათანს: გამომიტყდი, რა ჩაიდინე? გამოუტყდა იონათანი და უთხრა: ჩემი ჯოხის წვერიდან, ხელში რომ მეჭირა, ცოტაოდენი თაფლი ვიგემე. აჰა, მზადა ვარ სასიკვდილოდ. 44. თქვა საულმა: ასე და ასე მიყოს ღმერთმა, დღესვე თუ არ მოკვდე, იონათან! 45. უთხრა ხალხმა საულს: ნუთუ უნდა მოკვდეს იონათანი, რომელმაც ასეთი დიდი გმირობა ჩაიდინა ისრაელში? ეს არ მოხდება! უფალს ვფიცავთ, თმის ერთი ღერიც არ დავარდება მისი თავიდან მიწაზე, რადგან ღვთით მოქმედებდა დღეს იგი. ასე იხსნა ხალხმა იონათანი და არ მოკვდა იგი. 46. გაეცალა საული ფილისტიმელებს და დაბრუნდნენ ფილისტიმელები თავიანთ ადგილზე. 47. იპყრა საულმა მეფობა ისრაელზე და ებრძოდა ირგვლივ ყველა მტერს — მოაბს, ყამონიანებს, ედომს, ციბას მეფეებს, ფილისტიმელებს და, საითკენაც არ უნდა წასულიყო, ყველგან იმარჯვებდა. 48. შექმნა ლაშქარი და დაამარცხა ყამალეკი, და იხსნა ისრაელი მძარცველებისგან. 49. საულის ვაჟები იყვნენ: იონათანი, იშვი და მალქიშუაყი. მის ორ ასულს ერქვა: პირმშოს — მერაბი, უმცროსს — მიქალი. 50. საულის ცოლი იყო ახინოყაბი, ახიმაყაცის ასული. მისი მხედართმთავარი — აბნერი, ძე ნერისა, საულის ბიძისა. 51. კიში, საულის მამა, და ნერი, აბნერის მამა, აბიელის შვილები იყვნენ. 52. სასტიკი ბრძოლები იყო ფილისტიმელებთან საულის დროს. მონახავდა საული მაგარსა და გულად ვაჟკაცს და თავისთან მიჰყავდა.

## თავი მეთხუთმეტე

1. უთხრა სამუელმა საულს: უფალმა გამომგზავნა, რომ მეცხე ისრაელის, ჩემი ერის, მეფედ. ახლა ისმინე უფლის სიტყვები. 2. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: მე მახსოვს, როგორ ექცეოდა ისრაელს ყამალეკი, როგორ აბრკოლებდა გზაზე ეგვიპტიდან გამომავალს. 3. ახლა წადი და სძლიე ყამალეკს და გაუნადგურე მთელი საბადებელი. ნუ დაინდობ, გაწყვიტე კაცი და ქალი, ყრმა და ძუძუთა ბავშვი, ხარი და ცხვარი, აქლემი და სახედარი. 4. შეჰყარა საულმა ხალხი დათვალა ტელა-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იმში ორასი ათასი ქვეითი, მათ შორის ათი ათასი იუდაელი. 5 მიადგა საული ყამალეკის ქალაქს და ხევში ჩასაფრდა. 6. უთხრა საულმა კენიელებს: ადექით და განუდექით, გაშორდით ყამალეკელებს, რომ მათთან ერთად თქვენც არ გაგანადგუროთ. რადგან სიკეთე გაქვთ გაკეთებული მთელი ისრაელისათვის, როცა ის ეგვიპტიდან გამოდიოდა. განუდგნენ კენიელები ყამალეკს. 7. შემუსრა საულმა ყამალეკი ხავილადან შურამდე, ეგვიპტის გასწვრივ რომ არის. 8. ცოცხლად შეიპყრო აგაგი, ყამალეკის მეფე, მთელი ხალხი კი მახვილით გაანადგურეს. 9. დაინდეს საულმა და ლაშქარმა აგაგი და საუკეთესო ცხვარი და ძროხა, საკვები, ბაღვენახები და ყველაფერი, რაც საუკეთესო იყო და რისი განადგურებაც არ მოინდომეს, ყველაფერი უვარგისი და ცუდი კი გაანადგურეს. 10. იყო უფლის სიტყვა სამუელის მიმართ: 11. ვნანობ, რომ გავამეფე საული, რადგან განმიდგა მე და აღარ ასრულებს ჩემს სიტყვებს. ეწყინა სამუელს და მთელი ღამე უხმობდა უფალს. 12. ადგა დილაადრიანად სამუელი, რომ შეხვედროდა საულს. შეატყობინეს სამუელს, რომ საული ქარმელში ყოფილა, იქ სვეტი აღუმართავს თავისთვის და, იქიდან გამობრუნებული, გილგალში ჩასულა. 13. მივიდა სამუელი საულთან და უთხრა მას საულმა: კურთხეული ხარ უფლისაგან! აღვასრულე უფლის სიტყვა 14. უთხრა სამუელმა: რა არის, ცხვრისა და ძროხის ბღავილი რომ მესმის? 15. მიუგო საულმა: ყამალეკისგან წამოასხეს, რადგან დაინდო ლაშქარმა საუკეთესო ცხვარი და ძროხა, რომ უფლის, შენი ღმერთისთვის, შეეწირა. დანარჩენი გავანადგურეთ. 16. უთხრა სამუელმა საულს: მათქმევინე, რა გამომიცხადა უფალმა წუხელ. მიუგო: თქვი. 17. თქვა სამუელმა: ხომ არ გეღირსებოდა თავი, როცა ისრაელის ტომთა მეთაური გახდი და ისრაელის მეფედ გცხო უფალმა. 18. დაგაყენა გზაზე უფალმა და გითხრა: წადი და გაანადგურე ცოდვილი ყამალეკი. ებრძოლე მას, ვიდრე არ მოუღებ ბოლოს. 19. რატომ არ ისმინე უფლის სიტყვა, რატომ დახარბდი ნადავლს და ჩაიდინე ბოროტება უფლის თვალში? 20. უთხრა საულმა სამუელს: არა, მე გავიგონე უფლის სიტყვა და წავედი იმ გზით, რაზედაც დამაყენა უფალმა. მოვიყვანე აგაგი, ყამალეკის მეფე, ხოლო ყამალეკი გავანადგურე. 21. ლაშქარმა აიღო ნადავლიდან ცხვარი და ძროხა — დაისხებულის საუკეთესო ნაწილი, რომ უფლის, შენი ღმერთისათვის შეეწირა მსხვერპლად გილგალში 22. უთხრა სამუელმა: განა ისევე ეამება უფალს აღსავლენი მსხვერპლნი და საკლავები როგორც მოსმენა უფლის სიტყვისა? მოსმენა უკეთესია საკლავზე, მორჩილება — ცხვრების ლუერთებზე. 23. რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა. ერთი ცოდვაა კერპთაყვანისმცემლობა და სიჯიუტე. რაკილა მოიძულე უფლის სიტყვა, ისიც მოიძულებს შენს მეფობას. 24. უთხრა საულმა სამუელს: შევცოდე, რომ გადავედი უფლის ბრძანებას და შენს სიტყვას, რადგან ხალხის შემეშინდა და გავუგონე მის ხმას. 25. ახლა შემინდე ცოდვა და დაბრუნდი ჩემთან ერთად, რომ თაყვანი ვცე უფალს. 26. უთხრა სამუელმა საულს: არ დავბრუნდები შენთან ერთად, რადგან შეიძულე უფლის სიტყვა და უფალმაც მოგიძულა ისრაელის მეფედ. 27. შეტრიალდა სამუელი წასასვლელად და მოექიდა საული მის მოსასხამის კალთას, და გაიგლიჯა კალთა. 28. უთხრა მას სამუელმა: გამოგგლიჯა დღეს უფალმა ისრაელის მეფობა და მისცა იგი შენს თვისტომს, შენზე უკეთესს. 29. არ იცრუებს ისრაელის დიდება და არ გადაიფიქრებს, რადგან ადამიანი ხომ არ არის, რომ გადიფიქროს. 30. თქვა საულმა: შევცოდე. ახლა ჩემი ერის უხუცესობის და ისრაელის წინაშე მაინც მომაგე პატივი და წამომყევი, რომ

თაყვანი ვცე უფალს, შენს ღმერთს. **31.** წაჰყვა სამუელი საულს და თაყვანი სცა საულმა უფალს. **32.** თქვა სამუელმა: მომიყვანეთ აგაგი, ყამალეკის მეფე. მოვიდა მასთან შებორკილი აგაგი და იფიქრა აგაგმა: ნამდვილად ამცდა მწარე სიკვდილი. **33.** თქვა სამუელმა: როგორც უშვილო ქმნა შენმა მახვილმა დედაკაცები, ისევე უშვილო იქნება დედაშენი ქალთა შორის და აჩეხა აგაგი სამუელმა გილგალში უფლის წინაშე. **34.** გაბრუნდა სამუელი რამათს, საული კი თავის სახლში, საულის გიბყაში წავიდა. 35. აღარ უნახავს სამუელს საული სიკვდილს დღემდე, რადგან სწუხდა სამუელი საულზე. ინანა უფალმა, საული რომ გაამეფა ისრაელში.

## თავი მეთექვსმეტე

**1.** უთხრა უფალმა სამუელს: როდემდის უნდა სწუხდე საულის გამო? ხომ განვაყენე იგი ისრაელზე მეფობისგან? აავსე შენი რქა ზეთით და წადი. ბეთლემელ იესესთან გგზავნი, რადგან მის შვილთა შორის დავიგულე ჩემთვის მეფე. **2.** თქვა სამუელმა: როგორ წავიდე? გაიგებს საული და მომკლავს. უთრა უფალმა: წაიყვანე ხბო შენი ხელით და თქვი: უფლისთვის მსხვერპლის შესაწირავად მოვედითქო. **3.** მსხვერპლთან დაუძახე იესეს და მე გასწავლი, რაც უნდა გააკეთო. ზეთს სცხებ მას, ვისზედაც გეტყვი. **4.** ყველაფერი გააკეთა სამუელმა, რაც ბრძანა უფალმა და წავიდა ბეთლემს. პატივით გამოეგებენენ ქალაქის უხუცესები და უთხრეს: მშვიდობით მოგვიხველ? **5.** მიუგო სამუელმა: მშვიდობით. მსხვერპლის შესაწირავად მოვედი. განიწმიდენით და მსხვერპლთან წამომყევით. განწმიდა სამუელმა იესე და მისი ვაჟები და მსხვერპლთან მიიწვია ისინი. **6.** როცა მოვიდნენ, დაინახა სამუელმა ელიაბი და თქვა: აჰა, უფლის წინაშეა მისი ცხებული. **7.** უთხრა უფალმა სამუელს: ნუ უყურებ მის გარეგნობას და ტანის სიმაღლეს, რადგან მე განვაყენე იგი. რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს. **8.** დაუძახა იესემ აბინადაბს და სამუელის წინ ჩაატარა იგი. თქვა სამუელმა: არც ეს აურჩევია უფალს. **9.** ჩამოატარა იესემ შამა და თქვა სამუელმა: არც ეს აურჩევია უფალს. **10.** ჩამოატარა იესემ თავისი შვიდი ვაჟიშვილი სამუელის წინ და უთხრა სამუელმა იესეს: არ აურჩევია ესენი უფალს. **11.** უთხრა სამუელმა იესეს: სულ ესენი არიან შენი ყმაწვილები? მიუგო: კიდევ დარჩა უმცროსი, მაგრამ ცხვარშია ახლა. უთხრა სამუელმა იესეს: გაგზავნე კაცი და მოაყვანინე, რადგან არ დავსხდებით, ვიდრე აქ არ მოვა იგი. **12.** გაგზავნა კაცი და მოაყვანინა. წითური იყო, თვალადი და ლამაზი შესახედავი. თქვა უფალმა: ადექი, სცხე მას, რადგან სწორედ ეს არის ის. **13.** აიღო სამუელმა ზეთი რქით და სცხო მას მისი ძმების თანდასწრებით. ამ დღიდან და მერეც უფლის სული წარუმართავდა დავითს. ადგა სამუელი და წავიდა რამათს. **14.** განეშორა საულს უფლის სული და დაუწყო მას წვალება ბოროტმა სულმა უფლისაგან. **15.** უთხრეს მისმა მსახურებმა საულს: აჰა, ბოროტი სული ღვთისგან გაშფოთებს შენ. **16.** უბრძანოს ჩვენმა ბატონმა შენს მსახურთ, მოძებნონ კაცი, ქნარზე დამკვრელი, და როცა შემოგაწვება ბოროტი სული ღვთისგან, დაუკრავს და შვება მოგეცემა. **17.** უთხრა საულმა თავის მსახურთ: მომიძებნეთ კაცი, კარგად რომ უკრავდეს ქნარზე, და მომიყვანეთ. **18.** მიუგო ერთმა მსახურთაგანმა და უთხრა: ბეთლემელი იესეს შვილი მეგულება, იცის ქნარზე დაკვრა, ქველი და მამაცი კაცია, სიტყვაგონიერი და ლამაზი, უფალია მასთან. **19.** გაგზავნა საულმა მოციქულები იესესთან და დაამარა: გამომიგზავნე დავითი, შენი ვაჟი, ცხვარში რომ გყავს. **20.** აჰკი-

და ისემ სახედარს პური და ერთი ტიკი ღვინო, გამოიყვანა ერთი ციკანი და გაატანა დავითს, თავის შვილს, საულთან. **21.** მივიდა დავითი საულთან და დადგა მის წინაშე. ძალზე შეიყვარა იგი საულმა და თავის საჭურველთმტვირთველად დანიშნა. **22.** შეუთვალა საულმა იესეს: დარჩეს ჩემთან საული და იდგეს ჩემს წინაშე, რადგან მადლი ჰპოვა ჩემს თვალში. **23.** როცა კი შემოაწვებოდა ბოროტი სული ღვთისაგან საულს, აიღებდა დავითი ქნარს და უკრავდა, და ამოისუნთქავდა საული და უკეთ ხდებოდა, გაეცლებოდა ბოროტი სული.

## თავი მეჩვიდმეტე

**1.** შეჰყარეს ფილისტიმელებმა საომრად ლაშქარი. შეიკრიბნენ იუდას სოქოთში და დაიბანაკეს სოქოთსა და ყაზეკას შორის, ეფეს-დაბიმში, **2.** ხოლო საული და ისრაელი შეიყარნენ და დაბანაკდნენ მუხნარის ველზე, დაეწყვნენ ფილისტიმელებთან საბრძოლველად. **3.** ფილისტიმელები ერთი მთის ფერდობზე იდგნენ, ისრაელი მეორე მთის ფერდობზე. ხევი იყო მათ შორის. **4.** გამოვიდა ფილისტიმელთა ბანაკიდან მორკინალი კაცი, სახელად გოლიათი, გათელი. ექვსი წყრთა და ერთი მტკაველი იყო მისი სიმაღლე. **5.** თავზე სპილენძის მუზარადი ეხურა და ჯაჭვის ჯავშანი ემოსა. ჯავშნის წონა ხუთი ათასი შეკელი იყო. **6.** ფეხებზე სპილენძის საბარკულები ეკეთა და მხარზე სპილენძის ჰოროლი ჰქონდა გადებული. **7.** მისი შუბის ტარი საქსოვი ლილვის ოდენა იყო. შუბის რკინის წვერი ექვსას შეკელს იწონიდა. წინ ფარის მტვირთველი მიუძღოდა. **8.** მოდგა იგი და შესძახა ისრაელის რაზმებს: რატომ გამოხვედით საბრძოლველად? განა მე ფილისტიმელი არა ვარ ან თქვენ საულის მსახურნი არა ხართ? გამოარჩიეთ თქვენში კაცი და ჩამოვიდეს ჩემთან. **9.** თუ გამიმკლავდება და დამამარცხებს, თქვენი მსახურები გავხდებით. თუ მე გავუმკლავდი და დავამარცხე, თქვენ გაგვიხდით მსახურებად და გვემსახურეთ. **10.** თქვა ფილისტიმელმა: სირცხვილს ვაჭმევ დღეს ისრაელის რაზმებს. გამომიყვანეთ კაცი ვინმე, რომ პირისპირ შევებათ ერთმანეთს. **11.** გაიგონეს საულმა და მთელმა ისრაელმა ფილისტიმელის სიტყვები, დაფრთხნენ და შეშინდნენ მეტისმეტად. **12.** დავითი იყო შვილი იმ ეფრათელისა, იუდას ბეთლემიდან, რომელსაც სახელად ერქვა იესე და რვა ვაჟიშვილი ჰყავდა. საულის დროს მოხუცებული იყო ეს კაცი, ხანდაზმული. **13.** წაჰყვა საულს ბრძოლაში იესეს სამი უფროსი ვაჟიშვილი. ომში წასული მის ვაჟიშვილების სახელები იყო: პირმშოს — ელიაბი, მომდევნოსი — ამინადაბი, მესამესი — შამა. **14.** დავითი კი მათზე უმცროსი იყო. წაჰყვა სამი უფროსი საულს. **15.** ხოლო დავითი მოდიოდა ხოლმე საულთან და უკან ბრუნდებოდა, რათა ემწყესა მამამისის ფარა ბეთლემში. **16.** გამოდიოდა ის ფილისტიმელი დილით და საღამოთი და ასე იქცეოდა ორმოცი დღე. **17.** უთხრა იესემ დავითს, თავის ვაჟიშვილს: აიღე ეს ერთი ეფა ქუმელი. ეს ათი პური და სასწრაფოდ წაუღე შენს ძმებს ბანაკში. **18.** ხოლო ეს ათი თავი ყველი ათასისთავს წაუღე. ნახე, როგორ არიან ძმები და მოიტანე მათი ამბავი. **19.** საული, ისინი და მთელი ისრაელი მუხნარის ველზე ებრძოდნენ ფილისტიმელებს. **20.** დილაადრიანად ადგა დავითი, ცხვარი ყარაულს დაუტოვა, აიკიდა ტვირთი და წავიდა, როგორც იესეს ჰქონდა მისთვის ნაბრძანები. მიადგა ბანაკს, როცა ჯარი ირაზმებოდა და საბრძოლო ყიჟინას სცემდა. **21.** დაეწყვნენ რაზმებად ერთმანეთის პირისპირ ისრაელი და ფილისტიმელები. **22.** ჩააბარა დავითმა თავისი ტვირთი ტვირთის ყარაულს და მიაშურა რაზმს. მივიდა და მშვიდობით მოიკითხა თავისი ძმები. **23.** მათთან ლაპარაკში იყო, რომ

გამოვიდა ფილისტიმელთა რაზმიდან მორკინალი კაცი, სახელად გოლიათი, ფილისტიმელი, გათელი, და წინანდებურად იწყო ლაპარაკი. ყველაფერი მოისმინა დავითმა. **24.** როგორც კი დაინახეს ეს კაცი, გაიქცნენ მისგან ისრაელიანები, რადგან შეშინდნენ მეტისმეტად. **25.** ამბობდნენ ერთმანეთში ისრაელიანები: ხედავთ ამ კაცს, რომ ალზევებულა? ისრაელის შესარცხვენად ალზევდა იგი. მის მძლეველს დოვლათით აავსებს მეფე, თავის ასულს მიათხოვებს ცოლად და მამამისის სახლს გაააზატებს ისრაელში. **26.** ჰკითხა დავითმა ახლოს მდგარ კაცებს: რა ბედი ეწევა კაცს, ვინც იმ ფილისტიმელს დაამარცხებს და სირცხვილს მოხოცავს ისრაელს? რადგან ვინ არის ეგ წინადაუცვეთელი ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს ღვთის რაზმებს? **27.** უთხრა მას ხალხმა იგივე სიტყვები: ასეთი და ასეთი ბედი ეწევა კაცს, ვინც მას დაამრცხებსო. **28.** გაიგონა ელიაბმა, მისმა უფროსმა ძმამ, ხალხს რომ ელაპარაკებოდა დავითი და განურისხდა მას ელიაბი, და უთხრა: რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის მცირე ფარა უდაბნოში? ვიცი შენი ამპარტავნებისა და შენი ავგულობის ამბავი, რადგან ბრძოლის საყურებლად ხარ ჩამოსული. **29.** თქვა დავითმა: რა გავაკეთე ახლა ისეთი? ცუდი რომ არაფერი მითქვამს? **30.** სხვა მხარეს გატრიალდა მისგან და იკითხა იგივე ამბავი. იგივე უპასუხა ხალხმა, რაც სხვებმა უთხრეს. **31.** გაიგონეს დავითის ნათქვამი სიტყვები და მიუტანეს საულს, და მოაყვანინა იგი. **32.** უთხრა დავითმა საულს: ნურავის გული ნუ შედრკება მის წინაშე. წავა შენი მსახური და შეებრძოლება ამ ფილისტიმელს. **33.** უთხრა საულმა დავითს: ვერ გახვალ საბრძოლველად მაგ ფილისტიმელთან, რადგან შენ ყმაწვილი ხარ, ის კი მებრძოლია სიყრმითგანვე. **34.** უთხრა დავითმა საულს: მწყემსავდა შენი მსახური თავისი მამის ფარას და, როცა დაეცემოდა ლომი ან დათვი და გაიტაცებდა ფარიდან ცხვარს, **35.** გამოვეკიდებოდი, ვკლავდი და პირიდან გამოვგლეჯდი. თუ დამეცემოდა, ყბაში ჩავავლებდი ხელს და ვკლავდი. **36.** ლომსაც და დათვსაც ამარცხებდა შენი მსახური. ამ წინადაუცვეთელ ფილისტიმელსაც იგივე დაემართება, რადგან სირცხვილში აგდებს იგი ცოცხალი ღვთის რაზმებს. **37.** თქვა დავითმა: უფალი, რომელსაც დავუხსნივარ ლომისაგან და დათვისაგან, ახლაც დამიხსნის ამ ფილისტიმელისგან. უთხრა საულმა დავითს: წადი, უფალი იყოს შენთან! **38.** შემოსა საულმა დავითი თავისი საკუთარი სამოსელით, თავზე სპილენძის მუზარადი დაახურა და ჯავშანი ჩააცვა. **39.** შემოირტყა მახვილი დავითმა სამოსელს ზემოდან და იწყო სიარული, რადგან ნაჩვევი არ იყო. უთხრა დავითმა საულს: არ შემიძლია ამაში სიარული, რადგან არა ვარ ნაჩვევი. და მოიხსნა ისინი დავითმა. **40.** აიღო ხელში თავისი კომბალი, გამოარჩია ხუთი რიყის ქვა და ჩაყარა ისინი მწყემსის გუდაში, რომელსაც თან ატარებდა. ხელთ იპყრა შურდული და გავიდა ფილისტიმელთან. **41.** გამოვიდა ფილისტიმელიც და წავიდა დავითისკენ. წინ ფარისმტვირთველი მიუძღოდა. **42.** დაინახა ფილისტიმელმა დავითი და საცინლად აიგდო, რადგან ყმაწვილი იყო იგი და წითური, ლამაზი შესახედავიც. **43.** უთხრა ფილისტიმელმა დავითს: ძაღლი ხომ არა ვარ, ჯოხით რომ გამოდიხარ ჩემთან. და წყევლა ფილისტიმელმა დავითი თავისი ღმერთების სახელით. **44.** უთხრა ფილისტიმელმა დავითს: ახლოს მოდექი, რომ ცის ფრინველებს და ველის მხეცებს გადავუგდო შენი გვამი. **45.** უთხრა დავითმა ფილისტიმელს: შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გამოვდივარ, რომელიც შენ შეურაცხყავი. **46.** დღეს ჩამაგდებინებს ხელში შენს თავს უფალი და დაგამარცხებ,

და თავს მოგაცლი, ფილისტიმელთა ბანაკის გვამებს კი ცის ფრინველი და მიწის მხეცებს გადავყრი დღეს, რათა გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ ჰყავს ისრაელს ღმერთი. **47.** გაიგოს მთელმა კრებულმა, რომ არა მახვილითა და შუბით იხსნის უფალი, რომ უფლის ნებაზეა ომი, და ხელში ჩაგვაგდებინებს თქვენს თავს. **48.** როცა აღიმართა ფილისტიმელი და წამოვიდა, და მოახლოვდა დავითთან შესახვედრად, ისწრაფა დავითმა და გაიქცა საბრძოლო ხაზისკენ ფილისტიმელთან შესახვედრად. **49.** ჩაჰყო ხელი დავითმა გუდაში და ამოიღო იქიდან ქვა, სტყორცნა შურდული და შიგ შუბლში მოარტყა ფილისტიმელს. შუბლში ჩაექიდა ქვა და პირქვე დაემხო ფილისტიმელი. **50.** სძლია დავითმა ფილისტიმელს შურდულითა და ქვით. დაამარცხა ფილისტიმელი და მოკლა იგი. მახვილი არ სჭერია ხელში დავითს. **51.** მიირბინა დავითმა და თავზე დაადგა ფილისტიმელს. აიღო მისი მახვილი, იშიშვლა და მოკლა იგი, და მახვილით მოსჭრა თავი. დაინახეს ფილისტიმელებმა, რომ მკვდარი იყო მათი გმირი, და გაიქცნენ. **52.** მაშინ წამოიშალნენ ისრაელისა და იუდას მებრძოლები და ყიჟინით დაედევნენ ფილისტიმელებს ხეობამდე და ყეკრონის კარიბჭეებამდე, ეცემოდნენ განგმირული ფილისტიმელები შაყარაიმის გზაზე, გათამდე და ყეკრონამდე. **53.** მობრუნდნენ უკან ისრაელიანები ფილისტიმელთა მდევნელობიდან და გაძარცვეს მათი ბანაკი. **54.** აიღო დავითმა ფილისტიმელის თავი და წაიღო იერუსალიმში, მისი საჭურველი კი თავის კარავში დააწყო. **55.** როცა დაინახა საულმა ფილისტიმელის წინააღმდეგ გამავალი დავითი, ჰკითხა აბნერს, მხედართმთავარს: ვისი შვილია ეს ყმაწვილი, აბნერ? მიუგო აბნერმა: შენს თავს გეფიცები, არ ვიცი, მეფეო. **56.** თქვა მეფემ: იკითხე, ვისი შვილია ეს ჭაბუკი. **57.** როცა დაბრუნდა დავითი ფილისტიმელის დამარცხების შემდეგ, ხელი მოჰკიდა მას აბნერმა და წარუდგინა საულს. ხელში ფილისტიმელის თავი ეჭირა. **58.** უთხრა საულმა: ვისი შვილი ხარ, ყმაწვილო? მიუგო დავითმა: შენი მსახურის, იესეს შვილი ვარ, ბეთლემელის.

## თავი მეთვრამეტე

**1.** მოათავა საულთან ლაპარაკი და შეკრა იონათანის სული დავითის სულს, და შეიყვარა იგი იონათანმა როგორც საკუთარი თავი. **2.** წაიყვანა იმ დღეს იგი საულმა და არ გაუშვა მამის სახლში. **3.** შეკრა იონათანმა დავითთან კავშირი, რადგან შეიყვარა იგი როგორც საკუთარი თავი. **4.** გაიძრო იონათანმა მოსასხამი, თან რომ ჰქონდა, და მისცა დავითს, აგრეთვე შესამოსელი, მახვილი, მშვილდი და სარტყელი. **5.** ყველგან დადიოდა დავითი, სადაც კი გააგზავნიდა მას საული, და ჰკვიანურად იქცეოდა. დაადგინა იგი საულმა ლაშქრის მეთაურად და ყველას მოეწონა ეს ამბავი, ხალხსაც და საულის მსახურებსაც. **6.** როცა ბრუნდებოდა დავითი ფილისტიმელის დამარცხების შემდეგ, გამოდიოდნენ ქალები ისრაელის ყველა ქალაქიდან საულ მეფის მისაგებებლად სიმღერით და როკვით, დაფდაფებით, მხიარული შეძახილებით, **7.** გაჰყვიროდნენ მხიარული ქალები, ამბობდნენ: შემუსრა საულმა თავისი ათასი, დავითმა თავისი ათი ათასიო! **8.** მეტად განაწყენდა საული, არ მოეწონა ეს სიტყვები, და თქვა: დავითს ათი ათასს აძლევენ, მე კი ათასს. მეფობაღა აკლიაო. **9.** ამ დღის შემდეგ იყო, რომ ალმაცერად უყურებდა საული დავითს. **10.** მეორე დღეს შეიპყრო საული ღვთის ბოროტმა სულმა და გაშმაგდა იგი სახლში. დავითი ქნარზე უკრავდა ჩვეულებრისამებრ, საულს კი შუბი ეჭირა ხელში. **11.** მოისროლა საულმა შუბი, იფიქრა, კედელს მივაგმირავო დავითს. მაგრამ ორგზის გაუსხლტდა მას დავითი, **12.** და შეეშინდა საულს დავითისა,

რადგან უფალი იყო დავითთან, საულს კი განეშორა. **13.** განიშორა საულმა დავითი და დაადგინა იგი ათასთავად. გამოდიოდა და შედიოდა იგი ხალხის წინაშე. **14.** მუდამ ჭკვიანურად იქცეოდა დავითი და უფალი იყო მასთან. **15.** დაინახა საულმა, რომ მეტად გონიერი იყო იგი და შეეშინდა მისი. **16.** მთელს ისრაელსა და იუდას უყვარდა დავითი, რადგან წინამძღოლობდა მათ. **17.** უთხრა საულმა დავითს: აჰა, უფროსი ასული მყავს, მერაბი. ცოლად მოგათხოვებ, ოღონდ ვაჟკაცად მეყოლე და გადაიხადე უფლის ომები. ფიქრობდა საული: ჩემი ხელი ნუ იქნება მასზე, ფილისტიმელთა ხელი იყოს მასზეო. **18.** უთხრა დავითმა საულს: ვინ ვარ მე, რა არის ჩემი ცხოვრება ან მამაჩემის გვარი ისრაელში, რომ მეფის სიძე გავხდე? **19.** დადგა დრო, როდესაც საულის ასული მერაბი უნდა მიეთხოვებინათ დავითისთვის, მაგრამ მეჰოლათელ ყადრიელს მიათხოვეს. **20.** შეუყვარდა მიქალს, საულის ასულს დავითი. ამცნეს საულს და მასაც მოეწონა ეს ამბავი. **21.** იფიქრა საულმა: მივათხოვებ, რომ მახედ ექცეს მას და მისწვდეს ფილისტიმელთა ხელი. უთხრა საულმა დავითს მეორეგზის: დამესიძები დღეს. **22.** უბრძანა საულმა თავის მსახურთ: ჩააგონეთ დავითს და უთხარით, კარგად გიყურებს მეფე და მის მსახურებსაც უყვარხარ-თქო, დაესიძე-თქო მეფეს. **23.** მიიტანეს საულის მსახურებმა დავითის ყურამდე ეს სიტყვები და თქვა დავითმა: ადვილი გგონიათ მეფის სიძეობა? მე ხომ ერთი უპოვარი და უბირი კაცი ვარ. **24.** აცნობეს მისმა მსახურებმა საულს, ასე ლაპარაკობსო დავითი. **25.** თქვა საულმა: ასე უთხარით დავითს: სხვა ურვადი არ სურს მეფეს, გარდა ასი წინადაუცვეთელი ფილისტიმელისა, რათა შური იძიოს მეფის მტრებს. ფიქრობდა საული, ფილისტიმელთა ხელში ჩააგდებდა დავითს. **26.** აცნობეს საულის მსახურებმა დავითს ეს სიტყვები და მოეწონა დავითს, მეფის სიძე რომ უნდა გამხდარიყო. ჯერ არ იყო დრო გასული, **27,** რომ ადგა დავითი და წავიდა თავის მებრძოლებთან ერთად და მოსრა ორასი ფილისტიმელი. მოიტანა დავითმა მათი ჩუჩები და სრულად ჩააბარა მეფეს, რათა გამხდარიყო მეფის სიძე. მაშინ მიათხოვა საულმა მიქალი, თავისი ასული, ცოლად. **28.** დაინახა საულმა და მიხვდა, რომ უფალი იყო დავითთან და რომ უყვარდა იგი მიქალს, მის ასულს, **29.** და კიდევ უფრო შეეშინდა დავითისა და სამუდამოდ მტრად გადაეკიდა. **30.** გამოდიოდნენ ფილისტიმელთა სარდლები საომრად და, როცა კი გამოვიდოდნენ, საულის ყველა მსახურზე გონივრულად იქცეოდა დავითი და დიდად განითქვა მისი სახელი.

## თავი მეცხრამეტე

**1.** ეუბნებოდა საული თავის ძეს იონათანს და თავის მსახურთ, მოეკლათ დავითი, მაგრამ იონათანს, საულის ძეს, ძლიერ უყვარდა დავითი. **2.** შეატყობინა იონათანმა დავითს, უთხრა: შენი მოკვლა სურს საულს, მამაჩემს. ფრთხილად იყავი ხვალ დილით, არ გამოჩნდე, სადმე დაიმალე. **3.** მე გამოვალ და მამაჩემის გვერდით დავდგები მინდორში, სადაც შენ იქნები. შენზე დავუწყებ ლაპარაკს მამაჩემს. შევხედავ საქმეს და შეგატყობინებ. **4.** გამოესარჩლა იონათანი დავითს საულთან, თავის მამასთან და უთხრა: ნუ დაიდებს მეფე თავისი მსახურის, დავითის ცოდვას, რადგან არ შეუცოდავს მას შენს წინაშე. მეტად სასიკეთოა შენთვის მისი საქმეები. **5.** არად ჩააგდო სიცოცხლე, როცა ფილისტიმელს კლავდა, და მოუტანა კიდეც დიდი ხსნა უფალმა ისრაელს. ხედავდი და ხარობდი. რისთვის უნდა შესცოდო უდანაშაულო სისხლით, რომ მოკლავ დავითს ტყუილუბრალოდ? **6.** დაუგდო ყური საულმა იონათანის სიტყვას

და დაიფიცა საულმა: უფალს ვფიცავ, არ მოკვდება. 7. დაუძახა იონათანმა დავითს და შეატყობინა ეს ყველაფერი. მიუყვანა იონათანმა დავითი საულს, რათა წინანდებურად ყოფილიყო მის წინაშე. 8. კიდევ გაიმართა ომი, გამოვიდა დავითი, შეებრძოლა ფილისტიმელებს და სასტიკად დაამარცხა ისინი. ივლტოდნენ მისგან ფილისტიმელები. 9. და იყო ბოროტი სული უფლისაგან საულზე, როცა შინ იჯდა შუბით ხელში, დავითი კი ქნარს უკრავდა. 10. უნდოდა საულს კედელზე მიეგმირა შუბით, მაგრამ გაუსხლტა დავითი და კედელს მოხვდა შუბი. დავითი კი გაიქცა და ასე გადარჩა სიკვდილს იმ ღამით. 11. მიუჩინა საულმა დავითის სახლს გზირები, რათა დადარაჯებოდნენ მას და მოეკლათ დილით. შეატყობინა ეს ამბავი დავითს მიქალმა, მისმა ცოლმა, უთხრა: თუ ამაღამ არ იხსნი თავს, ხვალ უეჭველად მოგკლავენ. 12. სარკმლიდან გადაჰპარა მიქალმა დავითი და წავიდა იგი, გაიქცა და ასე გადარჩა. 13. აიღო მიქალმა თერაფიმი, საწოლზე დადო, სასთუმლად თხისურის ფარდაგი დაუგო და სამოსელი გადააფარა. 14. გაგზავნა საულმა გზირები დავითის შესაპყრობად, მაგრამ მიქალმა თქვა: ავად არის. 15. გაგზავნა საულმა გზირები დავითის სანახავად და დააბარა: თავის საწოლიანად წამოიყვანეთ, რათა მოიკლას. 16. მივიდნენ გზირები და, აჰა, თერაფიმია საწოლზე და თხისურის ფარდაგი უგია სასთუმლად. 17. უთხრა საულმა მიქალს: ასე რატომ გამაცურე, რატომ გაუშვი ჩემი მტერი, რომ გადარჩენილიყო? უთხრა მიქალმა საულს: მითხრა, გამიშვი, რისთვის უნდა შემომაკვდე? 18. გაიქცა დავითი და გადაირჩინა თავი, მივიდა სამუელთან რამათში და ყველაფერი უამბო, რაც საულმა გაუკეთა მას. მერე წავიდნენ ის და სამუელი და ნავათში დადგნენ. 19. შეატყობინეს საულს: აჰა, ნავათშია დავითი, რამათს. 20. გაგზავნა საულმა გზირები დავითის შესაპყრობად, მაგრამ როცა იხილეს ქადაგთა გუნდი და სამუელი, მათი ზედამდგომელი, ღვთის სულით აივსნენ ისინი და გაქადაგდნენ. 21. შეატყობინეს საულს ეს ამბავი და მანაც სხვა გზირები გაგზავნა, და ისინიც გაქადაგდნენ. მესამედ გაგზავნა საულმა გზირები, და ისინიც გაქადაგდნენ. 22. მაშინ თვითონ გაემართა რამათს და მივიდა ერთ დიდ ჭასთან, სეკუსთან რომ არის, და იკითხა, სად არიანო სამუელი და დავითი? მიუგეს: ნავათში არიან რამათს. 13. გაემართა ნავათისკენ, რამათს, და მასზედაც გადმოვიდა ღვთის სული და ისიც გაქადაგდა გზაში, ნავათში მისვლამდე. 24. შემოიძარცვა სამოსელი და ისიც ქადაგებდა სამუელის წინაშე. შიშველი ეგდო მიწაზე მთელი დღე და მთელი ღამე, ამიტომაც ამბობენ: საულიც კი გაქადაგდაო.

## თავი მეოცე

1. გაიქცა დავითი რამათის ნავათიდან, მივიდა და უთხრა იონათანს: რა გავაკეთე, რა დავაშავე, რა შევცოდე მამაშენს, მოსაკლავად რომ დამდევს? 2. მიუგო: ღმერთმა დაგიფაროს, არ მოკვდები! ახლა ყური მიგდე: არაფერ საქმეს, დიდი იქნება თუ მცირე, არ აკეთებს მამაჩემი, მე თუ არ გამიმხილა. რატომ დამიმალავდა მამაჩემი ამ საქმეს? ეს არ მოხდება. 3. დაიფიცა დავითმა და თქვა: კარგად იცის მამაშენმა, რომ მადლი ვპოვე შენს თვალში. ამიტომ ამჯობინა, არ გაეგო ეს იონათს, რომ არ დამწუხრებულიყო. უფალს და შენს თავს გეფიცები. თუ ერთი ნაბიჯი არ იყოს ჩემსა და სიკვდილს შორის. 4. უთხრა იონათანმა დავითს: რასაც შენი გული იტყვის, იმას გავაკეთებ შენთვის. 5. უთხრა დავითმა იონათანს: აჰა, ხვალ ახალმთვარობაა. წესისამებრ, პურის საჭმელად უნდა ვიჯდე მეფესთან. გამიშვი, რომ დავიმალო მინდვრად ზეგ სა-

ღამომდე. 6. თუ მომიკითხა მამაშენმა, უთხარი: დავითმა მთხოვა ბეთლემში, ჩემს ქალაქში მეჩქარება, საწელიწდო მსხვერპლშეწირვა გვაქვსო მთელს საგვარეულოს. 7. თუ თქვა: კეთილი, მაშინ მშვიდობით იქნება შენი მსახური. თუ განრისხდა, იცოდე, ავი საქმე გადაუწყვეტია. 8. მიყავი სიკეთე შენს მსახურს, რაკი უფლის აღთქმით მიგიღივარ შენი მსახური: ბარემ შენ მომკალი, თუ რამე დანაშაული მაქვს. რისთვის უნდა მიმიყვანო მამაშენთან. 9. თქვა იონათანმა: დარდი ნუ გაქვს. როგორ იქნება, არ შეგატყობინო, თუკი გავიგე, რომ ავი საქმე გადაუწყვეტია შენთვის მამაჩემს. 10. უთხრა დავითმა იონათანს: ვინ შემატყობინებს, მკაცრი პასუხი თუ გაგცა მამაშენმა? 11. უთხრა იონათანმა დავითს: წამო, მინდორში გავიდეთ. და გავიდნენ ორთავენი მინდორში. 12. უთხრა იონათანმა დავითს: უფალი, ისრაელის ღმერთი იყოს მოწამე, რომ ხვალ ან ზეგ ამ დროს გავიგებ მამაჩემისგან, კეთილი თვალით უყურებს თუ არა დავითს. ხოლო თუ არავინ გამოვგზავნე შენთან და ცხადად არ გაგიმხილე, 13. ასე და ასე დასაჯოს უფალმა იონათანი და უარესადაც. თუ ნებავს მამაჩემს ბოროტება შენთვის, გაგიმხელ და გაგიშვებ, რომ მშვიდობით წახვიდე. უფალი იყოს შენთან, როგორც მამაჩემთან იყო. 14. თუ ცოცხალი ვიქენი, მადლი მიყავი უფლის გულისთვის. თუ მოვკვდი, 15. უკუნისამდე ნუ მოაკლებ შენს წყალობას ჩემს სახლს; ნურც მაშინ, როცა აღგვის უფალი სათითაოდ დავითის მტრებს მიწის პირისგან. 16. დადო აღთქმა იონათანმა დავითის სახლთან: დავითის მტრებს აგებინოს პასუხი უფალმა! 17. და კიდევ სიყვარული შეჰფიცა იონათანმა დავითს, რადგან საკუთარი თავივით უყვარდა იგი. 18. უთხრა იონათანმა: ხვალ ახალმთვარობაა. მოგიკითხავენ, რადგან ცარიელი იქნება შენი ადგილი. 19. სამ დღეს მოიცადე და მერე წადი იმ ადგილას, სადაც იმალებოდი და აზელის კლდესთან დაჯექი. 20. სამ ისარს ვისვრი შენსკენ, თითქოს მიზანში მესროლოს. 21. მერე ბიჭს გამოვგზავნი, წადი, ისრები მოძებნე-მეთქი. თუ ვეტყვი ბიჭს, აჰა, შენს ახლოს არის ისრები, აიღე და მომიტანე-მეთქი, მშვიდობაა, შენს თავს. არაფერი არ მოხდება, უფალს გეფიცები. 22. თუ ვეტყვი ბიჭს: აჰა, შენს იქით არის ისრები-მეთქი, წადი, რადგან გაუშვიხარ უფალს. 23. იმ საქმეში კი, რაზეც მე და შენ ვილაპარაკეთ, უფალი იყოს ჩვენს შორის უკუნისამდე. 24. დაიმალა დავითი მინდორში. დადგა ახალმთვარობის დღე და დაჯდა პურობად მეფე. 25. დაჯდა მეფე თავის საჯდომზე, ჩვეულებისამებრ, კედელთან რომ საჯდომი იყო. იონათანი ადგა და საულის გვერდით აბნერი დაჯდა. დავითის ადგილი კი თავისუფალი იყო. 26. არაფერი უთქვამს საულს იმ დღეს, რადგან იფიქრა, შემთხვევა არისო. განუწმედელი იქნება, არ განწმედილაო ალბათ. 27. ახალმთვარობის მეორე დღესაც თავისუფალი იყო დავითის ადგილი. უთხრა საულმა იონათანს, თავის ძეს: რატომ არ მოვიდა პურობად იესეს ძე, არც გუშინ და არც დღეს? 28. მიუგო იონათანმა საულს: ბეთლემში წასასვლელად დამეთხოვა დავითი. 29. მითხრა: გამიშვი, რადგან საგვარეულო მსხვერპლშეწირვა გვაქვს ქალაქში. ძმამ შემომითვალაო. ახლა, თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, დამანებე წასვლა, რომ მოვინახულო ჩემი ძმებიო, ამიტომ არ მოსულა სამეფო სუფრაზე. 30. განურისხდა საული იონათანს და უთხრა: შე ურჩო და უკულმართო!! განა არ ვიცი, რომ მეგობრად მოჰკიდებიხარ იესეს ვაჟს შენდა სამარცხვინოდ და დედაშენის შესარცხვენად. 31. რადგან ვიდრე ცოცხალია იესეს ძე ამქვეყნად, ვერც შენ განმტკიცდები და ვერც შენი მეფობა განმტკიცდება, ახლა აქ მომიყვანე, რადგან სიკვდილის ღირსია. 32. მიუგო იონათანმა საულს, თავის მამას, და უთხრა: რისთვის უნ-

და მოკვდეს, რა გააკეთა? 33. და სტყორცნა საულმა მას შუბი მოსაკლავად. მიხვდა იონათანი, რომ გადაწყვეტილი ჰქონია მამამისს დავითის მოკვლა. 34. ადგა იონათანი სუფრიდან, რისხვამორეული, არ უჭამია პური ახალმთვარობის მეორე დღეს, რადგან წუხდა დავითზე, ასე რომ გალანძღა იგი მამამისმა. 35. მეორე დილას გავიდა იონათანი მინდორში დავითთან დათქმულ დროზე. პატარა ბიჭიც თან ახლდა. 36. უთხრა ბიჭს: გაიქეცი და მომიძებნე ისრები, მე რომ ვისვრი. გაიქცა ბიჭი, და ისროლა იონათანმა ისრები და ყმაწვილს გადააცილა. 37. მივიდა ბიჭი იმ ადგილას, სადამდისაც მიაწვდინა იონათანმა ისრები და მიაძახა იონათანმა ყმაწვილს: შენს იქით ხომ არ არის ისრები? 38. კიდევ მიაძახა იონათანმა ბიჭს: ჩქარა დაბრუნდი, რას უდგეხარ? აკრიფა იონათანის ყმაწვილმა ისრები და მივიდა თავის ბატონთან. 39. თავად ბიჭი ვერაფერს მიხვდა. მხოლოდ იონათანისა და დავითისთვის იყო მისახვედრი ეს ამბავი. 40. მისცა იონათანმა ბიჭს თავისი საჭურველი, თან რომ ჰქონდა, და უთხრა: წადი, ქალაქში წაიღე! 41. ბიჭი წავიდა, ხოლო დავითი ადგა სამხრეთის მხრიდან, პირქვე დაეცა და სამგზის თაყვანისცა. მერე გადაკოცნეს ერთმანეთი და ატირდნენ ერთად. დავითი უფრო მეტს ტიროდა. 42. უთხრა იონათანმა დავითს: მშვიდობით იარე! როგორც ჩვენ ორთავემ დავიფიცეთ უფლის სახელით: უფალი იყოს ჩვენს შორის, ჩემსა და შენს შთამომავლობას შორის უკუნისამდე!

## თავი ოცდამეერთე

1. ადგა და წავიდა იონათანი, და მივიდა ქალაქში. 2. ხოლო დავითი ნომბაში წავიდა ახიმელექ მღვდელთან. შიშით გამოეგება ახიმელექი დავითს და ჰკითხა: მარტო რატომ ხარ? რატომ არავინ გახლავს? 3. მიუგო დავითმა ახიმელექ მღვდელს: საქმე დამავალა მეფემ და მითხრა: არავინ იცოდეს, რა საქმეა, რაზედაც გგზავნი და რასაც გავალებ. ამიტომაც ამა და ამ ადგილს დავიბარე მსახურები. 4. ახლა, რა გექნება სახელდახელოდ? მომეცი ხუთი პური ან რაც მოგეძევება. 5. მიუგო მღვდელმა დავითს და უთხრა: სადაგი პური არა მაქვს ახლა, მხოლოდ ნაკურთხი პური მაქვს, ოღონდ ქალებისგან თუ არიან [illegible] ყმაწვილები? 6. მიუგო დავითმა მღვდელს და უთხრა: ნამდვილად აღკვეთილია ჩვენთვის ქალი გუშინდლიდან, გუშინწინიდან, რაც გამოვედი, და ჭაბუკთა ჭურჭლებიც წმიდაა, ეგ პურიც სადაგად ჩაითვლება, რადგან დღეს მაინც ახალი უნდა იკურთხოს ჭურჭელში. 7. მისცა მას მღვდელმა ნაკურთხი, რადგან არ იყო იქ სხვა პური, გარდა საწინაშეო პურისა, რომელსაც იღებენ ხოლმე უფლის ტაბლიდან, რომ მის ნაცვლად ცხელი პური დააწყონ. 8. იყო იქ იმ დღეს უფლის წინაშე ერთი კაცი, საულის მსახურთაგანი, სახელად დოეგი, ედომელი, საულის მწყემსების უფროსი. 9. უთხრა დავითმა ახიმელექს: ხომ არ გაქვს სადმე შუბი ან მახვილი, რადგან არც მახვილი წამომიღია და არც სხვა რამ საჭურველი, ისე სასწრაფო იყო სამეფო საქმე. 10. უთხრა მღვდელმა: იმ ფილისტიმელი გოლიათის მახვილია აქ, მუხნარის ველზე რომ დაამარცხე. აგერ დევს, ეფოდის უკან, მოსასხამში გახვეული. თუ წაღება გინდა, წაიღე, რადგან მის გარდა სხვა არაფერი გვაქვს. თქვა დავითმა: ამას არაფერი შეედრება, მომეცი. 11. ადგა დავითი და გაიქცა იმ დღეს საულისგან, და მოვიდა აქიშთან, გათის მეფესთან. 12. უთხრეს აქიშს მსახურებმა: ეს დავითი არ არის ქვეყნის მეფე? მას არ უმღეროდნენ როკვისას: საულმა სძლია ათასს, დავითმა ათი ათასსო? 13. გულში ჩაიდო დავითმა ეს სიტყვები და ძლიერ ეშინოდა აქიშისა, გათის მეფისა. 14. გონება შეიშალა დავითმა მათ თვალში, თავი

მოიგიჟიანა, ხაზებს ავლებდა ჭიშკრის კარებზე და წვერებზე დორბლი ჩამოსდიოდა. 15. უთხრა აქიშმა თავის მსახურთ: ხომ ხედავთ, რომ შეშლილია ეს კაცი. რისთვის მოიყვანეთ ჩემთან? 16. შეშლილებიღა მაკლდნენ, რომ მოგიყვანიათ და გიჟობს ჩემს წინაშე? ეს უნდა შემოსულიყო ჩემს სახლში?

## თავი ოცდამეორე

1. წავიდა იქიდან დავითი და ყადულამის გამოქვაბულს შეაფარა თავი. გაიგეს ეს ამბავი მისმა ძმებმა და მამამისის მთელმა სახლმა, და ჩავიდნენ იქ. 2. იკრიბებოდა მასთან ყველა შეჭირვებული, ყველა დავალიანებული, ყველა სულგამწარებული, და უფროსად გაუხდა იგი მათ. ასე შეიკრიბა მასთან ოთხასი კაცი. 3. წავიდა იქიდან დავითი მოაბის მიცფაში და უთხრა მოაბის მეფეს: შეიფარეთ მამაჩემი და დედაჩემი, ვიდრე გამოვარკვევდე, რას მიპირებს ღმერთი. 4. დატოვა ისინი მოაბის მეფის წინაშე და ცხოვრობდნენ მასთან, ვიდრე დავითი ამ თავშესაფარში იმყოფებოდა. 5. უთხრა წინასწარმეტყველმა გადმა დავითს: ნუ დარჩები ამ თავშესაფარში. ადექი და იუდას ქვეყანაში წადი. წავიდა დავითიც და მივიდა ხარეთის ტყეში. 6. შეიტყო საულმა რომ გამოჩნდა დავითი თავისი ხალხითურთ. საული იჯდა გიბყაში, მაღლობზე მუხის ქვეშ, ხელში შუბი ეჭირა და მსახურები ადგნენ თავს. 7. უთხრა საულმა მასთან მდგარ მსახურთ: ისმინეთ, ბენიამინელნო! ყველას ჩამოგირიგებთ იესეს ძე ყანებსა და ვენახებს? ყველას დაგნიშნავთ ათასისთავებად და ასისთავებად, 8. ყველანი რომ შეითქვით ჩემს წინააღმდეგ და არ გამიმხილეთ, კავშირი თუ ჰქონდა შეკრული ჩემს შვილს იესეს ძესთან? რომ არავინ შემიცოდეთ და არ გამიმხილეთ, ჩემი შვილი თუ მიმხედრებდა ჩემს მსახურთ, როგორც დღეს გამოაშკარავდა? 9. მიუგო დოეგ ედომელმა, საულის მსახურებთან ერთად რომ იდგა, და უთხრა: მე ვნახე იესეს ძე, ნობში რომ მოვიდა ახიმელექთან, ახიტუბის ძესთან, 10. რომელმაც უფალს შეეკითხა მის გამო, საგზალიც მისცა და გოლიათ ფილისტიმელის მახვილიც. 11. დაიბარა მეფემ ახიმელექ მღვდელი, ახიტუბის ძე, მამამისის მთელი სახლი და სამღვდელოება, ნობში რაც იყო. და მოვიდნენ მეფესთან ყველანი. 12. უთხრა საულმა: ყური მიგდე, ახიტუბის ძევ! მიუგო: გისმენ, ჩემო ბატონო. 13. უთხრა საულმა: რად მომიწყვეთ შეთქმულება შენ და იესეს ძემ, პური და მახვილი რომ მიეცი მას და ღმერთს რომ შეეკითხე მის გამო, რათა აღმდგარიყო ჩემს წინააღმდეგ, როგორც დღეს გამოაშკარავდა? 14. მიუგო ახიმელექმა მეფეს და უთხრა: ვინ არის დავითივით ერთგული შენს მსახურთა შორის? მეფის სიძე, შენი მსახური და შენს სახლში პატივდებული? 15. ახლა დავიწყებდი მისთვის მკითხაობას ღმერთთან? შორს ჩემგან! ნურაფერში ნუ დაადანაშაულებს მეფე თავის მსახურს და მამაჩემის მთელს სახლს, რადგან ამ საქმისა არაფერი იცის შენმა მსახურმა, არც მცირე, არც დიდი. 16. თქვა მეფემ, უნდა დაიხოცოთ, ახიმელექ, შენცა და მამაშენის მთელი სახლი. 17. უთხრა მეფემ მორბედებს, მის წინაშე მდგართ: წადით, და მოკალით უფლის მღვდლები, რადგან დავითის მხარი უჭირავთ. იცოდნენ, რომ გაქცეული იყო და არ შემატყობინეს. მაგრამ არ უნდოდათ მეფის მსახურთ ხელი აღემართათ და დასხმოდნენ თავს უფლის მღვდლებს. 18. უთხრა მეფემ დოეგს: შენ წადი და დახოცე მღვდლები. წავიდა დოეგ ედომელი და დაეცა მღვდლებს და დახოცა იმ დღეს ოთხმოცდახუთი კაცი, სელის ეფოდით შემოსილი. 19. მახვილით მოსრა ნობი, მღვდელთა ქალაქი, კაცი და ქალი, ჭაბუკი და ძუძუთა ბავშვი, ხარები, სახედრები, ცხვრები და თხები. მახვილით მოსრა.

20. გადარჩა მხოლოდ ახიმელექ ახიტუბის ძის ერთი ვაჟიშვილი, სახელად აბიათარი, და გაიქცა დავითთან იგი. 21. უამბო აბიათარმა დავითს, როგორ დახოცა საულმა უფლის მღვდლები. 22. უთხრა დავითმა აბიათარს: მივხვდი იმ დღეს, დოეგ ედომელის დანახვისას, რომ უეჭველად ამბავს მიუტანდა საულს. ჩემზეა მამაშენის სახლის სისხლი. 23. ჩემთან დარჩი, ნუ გეშინია. ვისაც ჩემი მოკვლა უნდა, იმას შენი მოკვლაც უნდა. ჩემთან არაფერი გაგიჭირდება.

## თავი ოცდამესამე

1. შეატყობინეს დავითს: აჰა, ფილისტიმელები დასხმიან თავს კეყილს და კალოებს აჩანაგებენ. 2. დაეკითხა დავითი უფალს: თუ წავედი, დავამარცხებ ამ ფილისტიმელებს? მიუგო უფალმა დავითს: წადი და დაამარცხებ ფილისტიმელებს და იხსნი კეყილს. 3. უთხრეს დავითს მისმა კაცებმა: ჩვენ აქ, იუდაშიც, შიშით აღარა ვართ და კეყილში როგორღა წავიდეთ ფილისტიმელთა მხედრობის წინააღმდეგ? 4. კვლავ დაეკითხა დავითი უფალს და მიუგო მას უფალმა და უთხრა: ადექი და ჩადი კეყილში, რადგან ხელში ჩაგიგდებ ფილისტიმელებს. 5. წავიდნენ დავითი და მისი კაცები კეყილს და შეებრძოლნენ ფილისტიმელებს, გამოირეკეს მათი საქონელი და სასტიკად დაამარცხეს. ასე იხსნა დავითმა კეყილს მკვიდრნი. 6. როცა დავითთან გამოიქცა აბიათარი, ახიმელექის ძე, თან ეფოდი წამოიღო. 7. აცნობეს საულს, რომ კეყილში იყო დავითი მისული, და თქვა საულმა: ხელში ჩამიგდო იგი ღმერთმა, რადგან კარიბჭეებიან და ურდულებიან ქალაქში შესვლით თვითონვე გამოიკეტა თავი. 8. საომრად შეჰყარა საულმა მთელი ხალხი, რათა ჩასულიყვნენ კეყილში და ალყაში მოექციათ დავითი და მისი კაცები. 9. შეიტყო დავითმა, ავს რომ უპირებდა მას საული, და უთხრა აბიათარ მღვდელს: მოიტანე ეფოდი! 10. თქვა დავითმა: უფალო, ღმერთო ისრაელისა! ნამდვილად იცის შენმა მსახურებმა, რომ კეყილისკენ მოდის საული, რათა ჩემს გამო გაანადგუროს ქალაქი. 11. თუ მიმცემენ მათ ხელში კეყილელნი? თუ ჩამოვა საული, როგორც შეიტყო შენმა მსახურმა? უფალო, ღმერთო ისრაელისა! აუცხადე შენს მსახურს! მიუგო უფალმა: ჩამოვა. 12. თქვა დავითმა: თუ მიგვცემენ კეყილელნი მე და ჩემს ხალხს ხელში? საულს თქვა უფალმა: მიგცემენ. 13. აიყარნენ დავითი და მისი კაცები, ექვსასამდე კაცი, და გავიდნენ კეყილიდან. დადიოდნენ, სადაც კი შეიძლებოდა სიარული. ხოლო საულს ამცნეს, რომ გაიქცა დავითი კეყილიდან და აღარ გამოვიდა საბრძოლველად. 14. ჩერდებოდა ,დავითი უდაბნოში, მიუვალ ადგილებში და მთაში, ზიფის უდაბნოში. მთელი დღეები ეძებდა მას საული, მაგრამ უფალმა ხელში არ ჩაუგდო იგი. 15. დაინახა დავითმა, რომ გამოვიდა საული მის მოსაკლავად, და დარჩა ზიფის უდაბნოში, ხორშაში. 16. ადგა იონათანი, საულის ძე, და მივიდა დავითთან ხორშაში, და გაამხნევა ღვთის სახელით. 17. უთხრა: ნუ გეშინია, ვერ მოგწვდება მამაჩემის, საულის ხელი. შენ იმეფებ ისრაელზე, ხოლო მე შენს შემდეგ მეორე კაცი ვიქნები. მამაჩემმა საულმაც კი იცის ეს. 18. შეკრეს კავშირი ორმა უფლის წინაშე. დარჩა დავითი ხორშაში, ხოლო იონათანი შინ დაბრუნდა. 19. მივიდნენ ზიფელები საულთან გიბყაში და უთხრეს: აჰა, ჩვენთან იმალება დავითი, მიუვალ ადგილებში, ხორშაში, ხაქილის გორაზე, იეშიმონის ხელმარცხნივ. 20. ახლა, შენს ნებაზეა, მეფეო, წახვალ თუ არა. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ მეფეს ჩავუგდოთ იგი ხელში. 21. თქვა საულმა: უფალიმც გაკურთხებთ, რომ შემიბრალეთ! 22. წადით, ერთხელ კიდევ დაიბეჯითეთ და მიათვალიერმოათვალიერეთ ის ადგილები, სადაც

კი ფეხი დაუდგამს, ან თუ ვინმეს უნახავს იქ, რადგან მითხრეს, ფრთხილად იქცევაო. **23.** ეძებეთ და დაჩხრიკეთ ყველა სამალავი, სადაც კი შეიძლება იმალებოდეს, და მართალი პასუხი მომიტანეთ. მხოლოდ ამის მერე წამოგყვებით. თუ ჩვენს ქვეყანაში არის სადმე, იუდას ყველა სამთავროში დავუწყებ ძებნას. **24.** ადგნენ და წავიდნენ საულისგან ზიფში. ხოლო დავითი და მისი ხალხი ამ დროს მაყონის უდაბნოში იყვნენ, ვაკეზე, იეშიმონის მარცხნივ. **25.** წავიდა საული საძებრად თავისი კაცებითურთ. შეატყობინეს დავითს, და მივიდა იგი კლდესთან და დადგა მაყონის უდაბნოში. შეიტყო ეს საულმა და დაედევნა დავითს მაყონის უდაბნოში. **26.** მიდიოდა საული მთის ერთ მხარეს, ხოლო დავითი თავისი კაცებითურთ მთის მეორე მხარეს. გამალებით გაურბოდა დავითი საულს, ხოლო საული და მისი ხალხი ცდილობდნენ გზა მოეჭრათ დავითისა და მისი ხალხისთვის და შეეპყრათ ისინი. **27.** ამ დროს მაცნე მოვიდა საულთან და მოახსენა: იჩქარე, რადგან ფილისტიმელები დაესხნენ ქვეყანას. **28.** მიანება თავი დავითის დევნას საულმა და გაემართა ფილისტიმელებთან შესახვედრად. ამიტომ უწოდეს ამ ადგილს კლდი გაყრათა (სელა ჰამახალკოთ).

## თავი ოცდამეოთხე

**1.** აიყარა დავითი იქიდან და ენგადის მიუვალ ადგილებში ჩაჯდა. **2.** როგორც კი დაბრუნდა საული ფილისტიმელთაგან, შეატყობინეს, ენგადის უდაბნოშიაო დავითი. **3.** აიყვანა საულმა მთელი ისრაელისგან გამორჩეული სამი ათასი კაცი და წავიდა დავითისა და მისი ხალხის საძებრად სანიამორე კლდეებში. **4.** მივიდა ცხვრის სადგომებიდან გზის ნაპირას, სადაც გამოქვაბული იყო. შევიდა შიგ საული საჭირო საქმეზე, დავითი და მისი კაცები კი გამოქვაბულის შიგნით ისხდნენ. **5.** უთხრეს დავითს მისმა კაცებმა: აჰა, ის დღეც, რომელზეც გითხრა უფალმა: აჰა, ხელში ჩაგიგდებო შენს მტრებს და უყავი მათ, რაც გენებოსო. წამოდგა დავითი და ჩუმად მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს. **6.** ამის შემდეგ სტკიოდა გული დავითს, რომ მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს. **7.** უთხრა თავის ხალხს: ღმერთმა დამიფაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბატონს, უფლის ცხებულს! ხელს როგორ აღვმართავ მასზე, რადგან უფლის ცხებულია იგი. **8.** გაკიცხა თავისი კაცები დავითმა და ნება არ მისცა, თავს დასხმოდნენ საულს. გამოვიდა საული გამოქვაბულიდან და გავიდა გზაზე. **9.** ადგა ამის შემდეგ დავითი და გამოქვაბულიდან გამოვიდა, და მიაძახა საულს: მეფევ ბატონო! როცა უკან მოიხედა საულმა, მიწად დაიხარა დავითი და თაყვანისცა მას. **10.** უთხრა დავითმა საულს: რატომ უგდებ ყურს ხალხის სიტყვებს, აჰა, ბოროტს გიმზადებსო დავითი? **11.** ახლა ხომ შენი თვალით დაინახე, რომ ჩამიგდო დღეს ხელში შენი თავი უფალმა გამოქვაბულში და მეუბნებოდნენ: მოჰკალიო. მაგრამ შეგიბრალე და ვთქვი, ხელს არ ალვმართავ ჩემს ბატონზე, რადგან უფლის ცხებულია-მეთქი. **12.** შეხედე, მამაჩემო, და დააკვირდი შენი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავს. შენი მოსასხამის კიდის მოჭრისას რომ არ მოგკალი, ამაზე მიხვდი, რომ არ არის ჩემში ბოროტება და სივერაგე. არ შემიცოდავს შენს წინაშე, შენ კი მოსაკლავად მდევნი. **13.** უფალმა განგვსაჯოს და უფალმა მოგიზღოს სამაგიერო ჩემს გამო. მე კი შენზე ხელს არ ალვმართავ. **14.** როგორც ძველი ანდაზა ამბობს: ბოროტისაგან ბოროტება გამოდისო, მე კი შენზე ხელს არ ალვმართავ. **15.** ვის წინააღმდეგ გამოვიდა ისრაელის მეფე? ვის სდევნი? მხოლოდ მკვდარ ძაღლს, მხოლოდ რწყილს რასმე! **16.** უფალი იყოს მსაჯული და განგვსაჯოს ჩვენ. იგი შეხედავს და გაიკითხავს ჩემს სამართალს

და მიხსნის შენი ხელიდან. 17. როცა დაასრულა დავითმა ამ სიტყვების ლაპარაკი საულთან, თქვა საულმა: ეს შენი ხმაა, დავით, ჩემო შვილო? და ატირდა საული. 18, უთხრა დავითს: მართალი ხარ ჩემთან, რადგან შენ სიკეთით მიხდიდი, მე კი ბოროტებით გიხდიდი. 19. დღესაც დაამტკიცე, რომ კეთილად მექცევი, რადგან, როცა უფალმა ჩაგიგდო ჩემი თავი ხელში, არ მომკალი. 20. ვინ არის ისეთი, რომ დაჭერილი მტერი გაუშვას გზაზე? უფალმა გადაგიხადოს სიკეთით იმის საზღაურად, რაც დღეს მიყავი. 21. ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილად იმეფებ და განმტკიცდება შენს ხელში ისრაელის მეფობა. 22. ახლა უფლის სახელით შემომფიცე, რომ არ გასწყვეტ ჩემს შემდეგ ჩემს შთამომავლობას და არ გააქრობ ჩემს სახელს მამაჩემის საგვარეულოდან. 23. შეფიცა დავითმა საულს და წავიდა საული თავის სახლში, ხოლო დავითი და მისი კაცები თავშესაფარში ავიდნენ.

## თავი ოცდამეხუთე

1. მოკვდა სამუელი, და შეიკრიბა მთელი ისრაელი, დაიტირეს და დამარხეს იგი თავის სახლში, რამაში. ხოლო დავითი ადგა და ფარანის უდაბნოსაკენ წავიდა. 2. იყო კაცი ვინმე მაყანში და სამუშაკო ქარმელში ჰქონდა. ძალზე მდიდარი იყო ეს კაცი, ჰყავდა სამი ათასი სული ცხვარი და ათასი თხა. ცხვრის პარსვისას ქარმელში იმყოფებოდა. 3. სახელად ამ კაცს ერქვა ნაბალი, მის ცოლს — აბიგაილი. კეთილგონიერი იყო და ლამაზი შესახედავი ეს ქალი, ხოლო კაცი უკმეხი და ავისმქმნელი. ხალების გვარიდან იყო იგი. 4. შეიტყო დავითმა უდაბნოში, რომ ცხვარს პარსავს ნაბალი. 5. გაგზავნა დავითმა ათი ჭაბუკი და დაავარა მათ: წადით ქარმელში, მიდით ნაბალთან და მოიკითხეთ ჩემი სახელით. 6. უთხარით ასე: იცოცხლე! მშვიდობა შენდა, მშვიდობა შენს სახლს, მშვიდობა მთელს შენს საბადებელს! 7. ახლახან გავიგე, რომ ცხვარს პარსავ. შენი მწყემსები იყვნენ ახლახან ჩვენთან, არ დაგვიჩაგრავს ისინი, არაფერი დაჰკარგვიათ ქარმელში ყოფნისას. 8. ჰკითხე შენს მსახურებს და მოგახსენებენ. იქნება მადლი ჰპოვონ ჩემმა მსახურებმა შენს თვალში, რაკი სასიხარულო დღეს მოვედით. მიეცი, რაც შეგიძლია შენს მსახურებს და შენს შვილს, დავითს. 9. წავიდნენ დავითის მსახურნი და მიუტანეს ნაბალს ეს სიტყვები, და დაელოდნენ. 10. მიუგო ნაბალმა დავითის მსახურთ და უთხრა: ვინ არის დავითი, ვინ არის იესეს ძე? გამრავლდნენ დღეს მსახურნი, თავიანთ ბატონებს რომ გაურბიან. 11. ავიღო ჩემი პური, წყალი და ღვინო, მპარსველეზის გამზადებული საკლავი, და მივცე კაცებს, რომლის ასავალ-დასავალი არ ვიცი? 12. უკან დაბრუნდნენ თავისი გზით დავითის მსახურნი, მივიდნენ დავითთან და მიუტანეს ეს სიტყვები. 13. უთხრა დავითმა თავის კაცებს: ყველამ შეიბით მახვილები წელზე! ყველამ შეიბა მახვილი, შეიბა დავითმაც თავისი მახვილი და გაჰყვა დავითს ოთხასამდე კაცი. ორასი კაცი ადგილზე დარჩა. 14. მიუტანა ამბავი ნაბალის ცოლს, აბიგაილს, ერთმა მსახურთაგანმა და უთხრა: მოციქულები გაუგზავნა დავითმა უდაბნოდან ჩვენს ბატონს და მოიკითხა, მაგრამ მან აბუჩად აიგდო ისინი. 15. ძალიან კარგად გვეპყრობოდა ეს ხალხი, არ დავუჩაგრივართ, არაფერი დაგვკარგვია ველზე ყაოფნისას, როცა მათთან ერთად დავდიოდით. 16. კედლად გვედგნენ დღისით და ღამით სამწყესურში, როცა მათთან ვიყავით. 17. ახლა აწონ-დაწონე, როგორ უნდა მოიქცე, რადგან სასჯელი ელის შენს ქმარსა და მთელს მის სახლს. თავად კი უკეთური კაცია, მასთან ლაპარაკი არ იქნება. 18. არ დააყოვნა აბიგაილმა, აიღო ორასი პური, ორი ტიკი ღვინო, ხუთი გამზადებული ცხვარი, ხუ-

თი სეა ქუმელი, ასი მტევანი ჩამიჩი, ორასი ტყლაპი და აჰკიდა ვირებს. 19. უთხრა თავის მსახურებს: თქვენ წინ წადით, მეც ახლავე უკან გამოგყვებით. არაფერი უთქვამს ნაბალისთვის, თავისი ქმრისთვის. 20. როცა ვირზე მჯდარი ეშვებოდა ხეობაში, აჰა, დავითი და მისი კაცებიც გამოჩნდნენ და შემოხვდა მათ აბიგაილი. 21. ამბობდა დავითი: ტყუილად ვიცავდი ამ კაცის საბადებელს უდაბნოში, არაფერი დაუკარგავს ქონებიდან, მაგრამ ეს სიკეთე ბოროტად გადამიხადა. 22. ასე და ასე უყოს ღმერთმა დავითს და უარესიც, თუ მისი საბადებლიდან დილამდე ერთი ძაღლიც დავტოვე. 23. როგორც კი დაინახა აბიგაილმა დავითი, სასწრაფოდ ჩამოხდა ვირიდან და პირქვე დაემხო დავითის წინაშე და მდაბლად თაყვანისცა. 24. ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: ჩემზეა, ჩემო ბატონო, დანაშაული. ლაპარაკის ნება მიეცი შენს მსახურს და ყური უგდე შენი მსახურის სიტყვებს. 25. ყურადღებას ნუ მიაქცევს ჩემი ბატონო იმ უგვან კაცს, რადგან როგორი სახელიცა აქვს, თავადაც ისეთია. ნაბალი ჰქვია მას და ბილწებით არის სავსე. მე, შენს მსახურს, არ მინახავს ჩემი ბატონის გამოგზავნილი კაცები. 26. ახლა, უფალსა და შენს თავს გაფიცებ, ჩემო ბატონო, უფალმა დაგაკავოს სისხლის ღვრისა და შურისგებისგან, ნაბალივით იქნენ ამიერიდან შენი მტრები, ავი რომ განუზრახავთ ჩემი ბატონისათვის. 27. აჰა, ეს მოსაკითხი, რომელიც შენს მხევალს მოუტანია ჩემი ბატონისთვის. მიეცეს ჭაბუკებს, ჩემი ბატონის ფეხს რომ დაჰყვებიან. 28. აპატიე დანაშაული შენს მსახურს. ნამდვილად მტკიცე სახლს დაუმყარებს უფალი ჩემს ბატონს, რადგან უფლის ომებს ეწევა ჩემი ბატონი და ბოროტება არ მოგეკარება არასოდეს. 29. თუმცა აღდგა კაცი და მოსაკლავად დაგდევს, მაგრამ სიცოცხლის საკვრელით არის შეკრული უფალ ღმერთთან ჩემი ბატონის სული, ხოლო შენი მტრების სულს შურდულივით მოისვრის. 30. როცა აღუსრულებს უფალი ჩემს ბატონს ყველაფერ სიკეთეს, რასაც დაჰპირდა, და ისრაელის მეფედ დაადგენს, 31. ნუ შეაწუხებს გულის ქენჯნა ჩემს ბატონს, რომ არ დაღვარა უბრალო სისხლი და შური არ იძია. როცა გაბედნიერებს უფალი ჩემს ბატონს, მაშინ გაიხსენე შენი მხევალი. 32. უთხრა დავითმა აბიგაილს: კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც ჩემს შესახვედრად გამოგგზავნა დღეს. 33. კურთხეული იყოს შენი გონიერება და კურთხეული იყავი შენ, რომ არ მიმიშვი სისხლის ღვრამდე და შურისგებამდე. 34. მაგრამ ცოცხალია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც ბოროტება არ გამაკეთებინა შენთვის, რადგან რომ არ აჩქარებულიყავ და არ შემხვედროდი, ძაღლიც არ გადაურჩებოდა ცოცხალი დილამდე ნაბალს. 35. მიიღო დავითმა აბიგაილის ხელიდან ყველაფერი, რაც მოტანილი ჰქონდა მისთვის აბიგაილს, და უთხრა: მშვიდობით წადი შენს სახლში. ხომ ხედავ, შევიწყნარე შენი ვედრება და გაპატიე. 36. მივიდა აბიგაილი ნაბალთან და, აჰა, ლხინი ჰქონდა სახლში, სამეფო ლხინის მსგავსი. გული უხაროდა ნაბალს და ძალიან მთვრალიც იყო. არაფერი უთქვამს მისთვის დილამდე აბიგაილს, არც მცირე, არც დიდი. 37. მეორე დილით, როცა ღვინო გამოუნელდა ნაბალს, ყველაფერი უამბო ცოლმა. გული ჩაუკვდა მკერდში ნაბალს და ქვასავით გახდა კაცი. 38. ათიოდე დღის შემდეგ დაჰკრა უფალმა ნაბალს და მოკვდა იგი. 39. გაიგო დავითმა ნაბალის სიკვდილი და თქვა: კურთხეულია უფალი, რომ უზღო ნაბალს ჩემი შეურაცხყოფისათვის, რომ აარიდა თავისი მსახური ბოროტის ქმნას და ნაბალის ბოროტება მასვე დაატეხა თავზე უფალმა. მაშინ შეუთვალა დავითმა აბიგაილს, რომ ცოლად თხოულობდა მას. 40. მივიდნენ და-

ვითის კაცები აბიგაილთან ქარმელში და გამოუცხადეს: დავითმა გამოგვგზავნა შენთან, რომ ცოლად ვუთხოვოთ შენი თავი. **41.** ადგა აბიგაილი, მიწამდე თაყვანისცა და თქვა: აჰა, მოახლედ წამოვა შენი მხევალი რომ ფეხი დაბანოს ჩემი ბატონის მსახურებს. **42.** არ დააყოვნა აბიგაილმა, ადგა და შეჯდა სახედარზე, თან ხუთი გოგო წაიყოლა და მიჰყვა დავითის მოციქულებს. ასე გახდა იგი დავითის ცოლი. **43.** იზრეელიდან ახინოყაბი მოიყვანა დავითმა და იყვნენ ეს ორნი მისი ცოლები. **44.** ხოლო მიქალი, თავისი ქალიშვილი, დავითის ცოლი, საულმა ფალტის, ლაიშის ძეს, გალიმელ კაცს მიათხოვა.

## თავი ოცდამეექვსე

**1.** მივიდნენ ზიფიელები საულთან გიბყაში და უთხრეს: არ იცი, რომ დავითი ხაქილას გორაკზე იმალება, იეშიმონის გასწვრივ? **2.** ადგა საული და სამი ათასი რჩეული ისრაელიანითურთ ზიფის უდაბნოსკენ გაემართა, რათა მოეძებნა დავითი ზიფის უდაბნოში. **3.** დადგა საული ხაქილის გორაკზე, იეშიმონის გასწრივ, გზის პირას, ხოლო დავითი უდაბნოში იყო და ხედავდა, როგორ მოვიდა მის კვალზე საული უდაბნოში. **4.** გაგზავნა დავითმა მზვერავები და დარწმუნდა, რომ ნამდვილად მოსული იყო საული. **5.** ადგა დავითი და მივიდა იმ ადგილას, სადაც საული იყო გაჩერებული. დაინახა დავითმა ის ადგილი, სადაც ეძინათ საულსა და აბნერს, ნერის ძეს, მის მხედართმთავარს. საული შუაგულ ბანაკში იწვა, ხოლო ხალხი მის ირგვლივ იყო განლაგებული. **6.** მიუბრუნდა დავითი ახიმელექ ხეთელს, და აბიშაის, ცერუიას ძეს, იოაბის ძმას, და უთხრა: ვინ წამომყვება საულთან მის ბანაკში? უთხრა აბიშაიმ: მე წამოგყვები. **7.** მივიდნენ ღამით დავითი და აბიშაი ხალხთან და, აჰა, ხედავენ: წევს მძინარე საული შუაგულ ბანაკში და მისი შუბი სასთუმალთან არის ჩარჭობილი მიწაში. აბნერი და ხალხი მის ირგვლივ წვანან. **8.** უთხრა აბიშაიმ დავითს: ღმერთმა ჩაგიგდებინა ხელში შენი მტერი. ახლა ერთი დაკვრით დავჭკლავ მიწას, მეორე აღარ დამჭირდება. **9.** უთხრა დავითმა აბიშაის: ნუ დაღუპავ მას, რადგან უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელად არ გადარჩება. **10.** თქვა დავითმა: უფალს ვფიცავ, თავად უფალი გაანდგურებს მას, ან მისი დღე მოაწევს და მოკვდება, ან საბრძოლველად წავა და დაიღუპება. **11.** უფალმა დამიფაროს, რომ უფლის ცხებულზე ხელი აღვმართო. ახლა აიღე მისი სასთუმლიდან ეგ შუბი და მათარა, და წავიდეთ ჩვენთვის. **12.** აიღო დავითმა შუბი და მათარა საულის სასთუმლიდან და წავიდნენ თავისთვის. არავის დაუნახავს, არავის გაუგია, არც არავის გაუღვიძნია, ყველას ეძინა, რადგან უფლისმიერ ძილს მოეცვა ისინი. **13.** გადავიდა დავითი გაღმა და დადგა მთის წვერზე, მოშორებით: დიდი მანძილი იყო მათ შორის. **14.** გასძახა დავითმა ხალხს და აბნერს, ნერის ძეს: ხმა გამეც, აბნერ! ხმა გასცა აბნერმა და უთხრა: ვინა ხარ, რომ ჰყვირი და აწუხებ მეფეს? **15.** უთხრა დავითმა აბნერს: ხომ კაცი ხარ შენ? ვინ არის ისრაელში შენი ტოლი. მაშ, რატომ არ დაიფარავ შენს ბატონს, მეფეს? ვიღაც მოსულა მეფის, შენი ბატონის მოსაკლავად. **16.** ვერ არის კარგი საქმე, რასაც შენ აკეთებ. უფალს ვფიცავ, სიკვდილის ღირსნი ხართ, რომ არ იფარავთ თქვენს ბატონს, უფლის ცხებულს. ახლა მიიხედ-მოიხედე, სად არის მეფის შუბი და მათარა, მის სასთუმალთან რომ იყო? **17.** იცნო საულმა დავითის ხმა და თქვა: ეს შენი ხმა არის, დავით, შვილო? მიუგო დავითმა: ჩემი ხმაა, მეფევ ბატონო! **18.** კვლავ თქვა: რისთვის მდევნის ჩემი ბატონი თავის მსახურს? რა გავაკეთე ისეთი, რა ცოდვა მაწევს? **19.** ახლა, ისმინოს მეფე ბატონმა მისი მსა-

ხურის სიტყვები: თუ უფალმა წაგაქეზა ჩემს წინააღმდეგ, სურნელოვანი იყოს ეს მსხვერპლი. თუ ადამიანებმა — წყეულიმც არიან ისინი უფლის წინაშე, რადგან მათ განმდევნეს მე დღეს, რომ წილი არ მქონოდა უფლის სამკვიდროში, და მითხრეს, წადი, უცხო ღმერთებს ემსახურეო. 20. არ დაიღვრება ჩემი სისხლი მიწაზე უფლის წინაშე, რადგან ერთი ბეწო რწყილის საძებრად არის გამოსული ისრაელის მეფე, როგორც გნოლებს ედევნებიან ხოლმე მთებში. 21. თქვა საულმა: შევცოდე. დაბრუნდი, შვილო დავით. მეტს აღარ გიბოროტებ, რადგან არ გაიმეტე დღეს ჩემი სიცოცხლე. მე კი უგუნურად ვიქცეოდი და დიდად ვცდებოდი. 22. მიუგო დავითმა და უთხრა: აჰა, მეფის შუბი. გადმოვიდეს ვინმე მსახურთაგანი და წაიღოს. 23. უფალმა მიუზღოს ყველას მისი სიმართლისა და ერთგულების წილ. დღეს მომცა შენი თავი ხელში უფალმა, მაგრამ არ ვინდომე, უფლის ცხებულზე აღმემართა ხელი. 24. აჰა, როგორც დღეს არ გავიმეტე შენი სიცოცხლე, ისევე არ გაიმეტოს უფალმა ჩემი სიცოცხლე და მიხსნას ყოველგვარი გასაჭირისაგან. 25. უთხრა საულმა დავითს: კურთხეული იყავი, შვილო დავით! კიდევაც აღასრულებ აღსასრულებელს, კიდევაც შესძლებ შესაძლებელს. წავიდა დავითი თავის გზაზე და საულიც გაბრუნდა თავის ადგილას.

## თავი ოცდამეშვიდე

1. თქვა დავითმა თავის გულში: ერთხელაც იქნება, დავიღუპები საულის ხელით. ამიტომაც მიჯობს, თავი შევაფარო ფილისტიმელთა ქვეყანას, მომეშვება საული და აღარ დამიწყებს ძებნას ისრაელში, და მეც გადავურჩები მას. 2. ადგა დავითი და ექვსასი კაციანურთ გადავიდა აქიშთან, მაოქის ძესთან, გეთის მეფესთან. 3. ცხოვრობდა დავითი აქიშთან გეთში, თვითონ და მისი კაცები თავ-თავისი ოჯახებითურთ, დავითი და მისი ორი ცოლი — ახინოყაბი და ქარმელელი აბიგაილი, ნაბალის ქვრივი. 4. შეატყობინეს საულს, გეთში გაიქცაო დავითი, და მეტი აღარ უძებნია იგი. 5. უთხრა დავითმა აქიშს: თუ მადლი ვპოვე შენს თვალში, მომცენ ადგილი რომელიმე მცირე ქალაქში და ვიცხოვრებ იქ. რატომ უნდა ცხოვრობდეს შენი მსახური შენს გვერდით სამეფო ქალაქში? 6. მისცა აქიშმა იმ დღესვე ციკლაგი. ამიტომაც ეკუთვნის ციკლაგი დღემდე იუდას მეფეებს. 7. ერთი წელი და ოთხი თვე დაჰყო დავითმა ფილისტიმელთა მხარეში. 8. ამხედრდებოდნენ დავითი და მისი კაცები და არბევდნენ გეშურელებს, გერიზელებს და ყამალეკელებს. ესენი სახლობდნენ ძველთაგანვე ამ ქვეყანაში, შურამდე და ეგვიპტემდე კი. 9. დაამარცხებდა დავითი მთელს ამ ქვეყანას, ცოცხალს არ დატოვებდა არც კაცს და არც ქალს, წამოასხამდა ცხვარსა და ძროხას, ვირებს და აქლემებს, წამოიღებდა სამოსელს და დაბრუნდებოდა აქიშთან. 10. ეტყოდა აქიში: სად არბევდით დღეს? მიუგებდა დავითი აქიშს: იუდას სამხრით, იერახმეელთა სამხრით და კენიელთა სამხრით. 11. არც კაცს და არც ქალს ცოცხალს არ ტოვებდა დავითი და არ მიჰყავდა გეთში. ამბობდა, არ ილაპარაკონ ჩვენზე, ასე იქცეოდა დავითი, ეს ჰქონდა წესად, როცა ფილისტიმელთა მხარეში ცხოვრობდა. 12. მიენდო აქიში დავითს, ფიქრობდა: თავი შეაძულა თავის ერს, ისრაელს, და სამუდამო ყმად გამიხდებაო.

## თავი ოცდამერვე

1. იმ ხანებში იყო, რომ შეჰყარეს ფილისტიმელებმა მხედრობა ისრაელთან საომრად და უთხრა აქიშმა დავითს: იცოდე, ჩემთან ერთად გამოხვალ ბანაკად შენ და შენი ხალხი! 2. უთხრა დავითმა აქიშს: ახლა გაიგებ, რას

მოიმოქმედებს შენი მსახური. უთხრა აქიშმა დავითს: ამისთვის ჩემს მცველად დაგნიშნავ სამუდამოდ. **3.** მოკვდა სამუელი და დაიტირა იგი მთელმა ისრაელმა, და დამარხეს რამათში, თავის ქალაქში. განდევნა საულმა ქვეყნიდან მუცლითმეზღაპრენი და მკითხავები. **4.** შეიყარნენ ფილისტიმელები, მივიდნენ და შუნემში დაიბანაკეს. საულმაც შეჰყარა მთელი ისრაელი და გილბოაყში დაიბანაკეს. **5.** როცა დაინახა საულმა ფილისტიმელთა ბანაკი, შეეშინდა და ძლიერ შეუკრთა გული. **6.** დაეკითხა უფალს საული, მაგრამ პასუხი არ გაუცია მისთვის უფალს, არც სიზმრად, არც ურიმითა და არც წინასწარმეტყველთა პირით. **7.** უთხრა საულმა თავის მსახურს: მომიძებნეთ დედაკაცი მესულთანე. მივალ მასთან და ვამკითხვინებ. უთხრეს მსახურებმა: აჰა, ყენდორში არის მესულთანე დედაკაცი. **8.** სახე იცვალა საულმა, გადაიცვა სხვა სამოსელი, თან გაიყოლა ორი კაცი და მივიდა დედაკაცთან ღამით. უთხრა: მიმკითხავე მისნობით და ამომიხმე, ვისზეც გეტყვი. **9.** უთხრა დედაკაცმა: კარგად უწყი, რა გააკეთა საულმა, რომ მოსპო ამ ქვეყანაში მესულთანენი და მკითხავენი. მახეს რატომ მიგებ დასაღუპავად? **10.** უფალი დაიფიცა საულმა: ცოცხალია უფალი! ავი არაფერი შეგემთხვევა ამ საქმისთვის. **11.** ჰკითხა დედაკაცმა: ვინ ამოგიხმო? მიუგო: სამუელი ამომიხმე. **12.** დაინახა სამუელი დედაკაცმა და ხმამაღლა იყვირა, და უთხრა ქალმა საულს: რისთვის მომატყუე? საული ხარ შენ! **13.** უთხრა მას მეფემ: ნუ გეშინია. რას ხედავ? უთხრა დედაკაცმა საულს: სულს ვხედავ, მიწიდან ამომავალს. **14.** ჰკითხა: როგორ გამოიყურება? მიუგო: მოხუცებული კაცია, ვინც ამოდის, მოსასხამი ბურავს. მაშინ მიხვდა საული, რომ სამუელი იგი, და მიწად დაიხარა და თაყვანისცა. **15.** უთხრა სამუელმა საულს: რისთვის შემაწუხე, რომ ამომიყვანე? უთხრა საულმა: ძალიან მიჭირს. ფილისტიმელები მებრძვიან, ღმერთი კი განმიდგა და პასუხს აღარ მცემს, არც წინასწარმეტყველთა პირით და არც სიზმრეში. შენ ამოგიხმე, რომ მასწავლო, როგორ მოვიქცე. **16.** უთხრა სამუელმა: მე რისთვის მეკითხები, როცა უფალი განგშორდა და მტრად გექცა? **17.** ყველაფერს აგისრულებს უფალი, რაც ბრძანა ჩემი პირით: გამოგგლეჯს ხელიდან სამეფოს და მისცემს შენს თვისტომს დავითს. **18.** რადგან არ ისმინე უფლის ხმა და არ აღასრულე უფლის რისხვა ყამალეკზე. ამიტომაც აღასრულებს დღეს უფალი შენზე თავის სიტყვას. **19.** ისრაელსაც შენთან ერთად ჩაუგდებს უფალი ხელში ფილისტიმელებს. ხვალვე ჩემთან იქნებით შენ და შენი შვილები. ისრაელის ბანაკსაც ჩაუგდებს უფალი ხელში ფილისტიმელებს. **20.** უცებ მთელი ტანით დაეცა მიწაზე საული, დიდად შეეშინდა სამუელის სიტყვებისა. ძალაც გამოლეოდა, რადგან მთელი დღე და ღამე არ ეჭამა პური. **21.** მივიდა დედაკაცი საულთან და როცა დაინახა, რომ დიდად შეშფოთებული იყო იგი, უთხრა: აჰა, ისმინა შენი ბრძანება შენმა მხევალმა და ხიფათში ჩავიგდე თავი. **22.** ახლა შენც ისმინე შენი მხევლის სიტყვა: პურის ნაჭერს დაგიდებ წინ და შეჭამე, ძალა რომ მოიცე უკან წასასვლელად. **23.** იუარა საულმა და თქვა: არ შევჭამ. როცა არ მოეშვნენ მისი მსახურნი და დედაკაციც, დაჰყვა მათ ნებას. მიწიდან ადგა და საწოლზე ჩამოჯდა. **24.** ჰყავდა დედაკაცს სახლში ნასუქალი ხბო. სასწრაფოდ დაკლა იგი, აიღო ფქვილი, ცომი მოზილა და ხმიადები გამოაცხო. **25.** მიართვა საულს და მის მსახურთ და მათაც ჭამეს. მერე ადგნენ და იმ ღამესვე წავიდნენ.

## თავი ოცდამეცხრე

**1.** ამასობაში ფილისტიმელებმა შეკრიბეს მთელი თავიანთი ლაშქარი

აფეკში, ხოლო ისრაელი, იზრეელში რომ წყაროა, იქ იყო დაბანაკებული. 2. ფილისტიმელთა წინამძღოლნი თავთავიანთი ასეულებითა და ათასეულებითურთ ვიდოდენ. დავითი და მისი ხალხი უკან მოდიოდნენ აქიშთან ერთად. 3. თქვეს ფილისტიმელთა სარდლებმა: რა უნდათ ამ ებრაელებს? მიუგო აქიშმა ფილისტიმელ მთავრებს: ეს ხომ დავითია, საულ ისრაელის მეფის მსახური. რამდენიმე წელია ჩემთან არის და ცუდი არაფერი შემინიშნავს მისთვის დღიდან მისი გამოქცევისა დღემდე. 4. გაუბრაზდნენ მას ფილისტიმელი მთავრები და უთხრეს ფილისტიმელმა მთავრებმა: უკანვე გაისტუმრე ეგ კაცი, დაბრუნდეს თავის ადგილას, სადაც გაგიჩესებია. ნუ წამოგვყვება ბრძოლაში, რომ ბრძოლის დროს მტრად არ გვექცეს. რითი მოიგებს თავის ბატონის გულს, თუ არა ჩვენი კაცების თავებით? 5. ეს ხომ ის დავითია, რომელზეც მღეროდნენ მროკველები: მოსრა საულმა თავისი ათასი, ხოლო დავითმა ათიათასი? 6. უხმო აქიშმა დავითს და უთხრა: ცოცხალია უფალი! რიგიანი კაცი ხარ და მახარებს შენი მისვლა-მოსვლა ჩემს ბანაკში რადგან ცუდი არაფერი შემინიშნავს შენთვის დღიდან შენი მოსვლისა ჩემთან. მაგრამ წინამძღოლებს არ მოსდიხარ თვალში. 7. ახლა მშვიდობით გაბრუნდი უკან და ისეთი არაფერი გააკეთო, რაც თვალში არ მოსდით ფილისტიმელ წინამძღოლებს. 8. უთხრა დავითმა აქიშს: რა გავაკეთე ან რა შენიშნე ისეთი შენს მსახურს დღიდან შენთან მოსვლისა, რომ ამეკრძალოს ჩემი ბატონი მეფის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა? 9. მიუგო აქიშმა და უთხრა დავითს: ვიცი, რომ ანგელოზივით ხარ ჩემს თვალში, მაგრამ ფილისტიმელი მთავრები ამბობენ, არ წამოგვყვესო ბრძოლაში. 10. ადექით დილაადრიანად შენ და შენი ბატონის მსახურნი, შენ რომ მოგყვნენ, ადექი დილაადრიანად და როცა ინათებს, გაბრუნდით უკან. 11. ადგნენ დავითი და მისი კაცები, რათა წასულიყვნენ დილით და გაბრუნებულიყვნენ ფილისტიმელთა ქვეყანაში. ხოლო ფილისტიმელები იზრეელისკენ ავიდნენ.

## თავი ოცდამეათე

1. ვიდრე მესამე დღეს დავითი და მისი კაცები ციკლაგში მივიდოდნენ, ამალეკელები სამხრეთიდან დაესხნენ ციკლაგს, გაანადგურეს ციკლაგი და გადაწვეს. 2. ტყვედ წაასხეს ქალები, ვინც კი იყვნენ, დიდიდან პატარამდე. არვინ მოუკლავთ, მხოლოდ გაიტაცეს და წავიდნენ თავისი გზით. 3. მივიდნენ დავითი და მისი კაცები ქალაქში და ხედავენ: გადამწვარია ქალაქი, ცოლ-შვილი ტყვედ არის წაყვანილი. 4. გამართეს მოთქმა დავითმა და მისმა ხალხმა და ტიროდნენ, ვიდრე ძალი შესწევდათ. 5. ტყვედ იყვნენ წაყვანილნი დავითის ორი ცოლიც — იზრეელელი ახინოყამი და ქარმელელი ნაბალის ქვრივი. 6. დამწუხრდა დიდად დავითი, რადგან მისი ჩაქოლვა განიზრახა ხალხმა. გამწარებული იყო მთელი ხალხი თავიანთი ვაჟებისა და ასულების გამო, მაგრამ უფლის, თავისი ღვთის იმედით გაიმხნევა დავითმა თავი. 7. უთხრა დავითმა აბიათარ მღვდელს, ახიმელექის ძეს: მომიტანე ეფოდი! მიუტანა აბიათარმა ეფოდი დავითს. 8. დაეკითხა დავითი უფალს: დავედევნო იმ ურდოს? მივეწევი? მიუგო: დაედევნე, რადგან უსათუოდ დაეწევი და წაართმევ ნადავლს. 9. წავიდა დავითი ექვსასი კაცითურთ და მიადგნენ ბესორის ხევს. ერთი ნაწილი დარჩა. 10. დაედევნა დავითი ოთხასი კაცითურთ. დარჩა ორასი კაცი, რომელთაც დაღლილობის გამო ვერ შეძლეს ბესორის ხევის გადალახვა. 11. ნახეს მინდორში ერთი ეგვიპტელი კაცი და მიიყვანეს დავითთან, მისცეს პური და შეჭამა, და წყალიც დაალევინეს. 12. მისცეს ტყლაპის ნაჭერი და ორი მტევანი ჩამიჩი. შეჭამა კაცმა და მო-

სულიერდა, რადგან სამი დღე და ღამე უჭმელ-უსმელი იყო. 13. ჰკითხა დავითმა: ვისი ხარ და სადაური ხარ? მიუგო: ეგვიპტელი კაცი ვარ, ერთი ამალეკელის მსახური. მიმატოვა ჩემმა ბატონმა, რადგან, მესამე დღეა, რაც ავად ვარ. 14. თავს დავესხით ქერეთის სამხრეთს, იუდას, ქალების სამხრეთს და ციკლაგს, და გადავწვით. 15. უთხრა დავითმა: თუ მიმიყვან იმ ურდომდე? მიუგო: ღმერთი დაიფიცე, რომ არ მომკლავ და ჩემს ბატონს არ მიმცემ, და ჩაგიყვან იმ ურდომდე. 16. ჩაიყვანა და, აჰა, გაფანტულან მთელს არემარეზე, ჭამენ, სვამენ და ზეიმობენ ფილისტიმელთა ქვეყნიდან და იუდადან წამოღებული დიდი ნადავლის გამო. 17. მუსრავდა მათ დავითი დილის ბინდიდან მეორე დღის საღამომდე. არავინ გადარჩენილა ოთხასი ჭაბუკის გარდა, რომელნიც მოახტნენ აქლემებს და გაიქცნენ. 18. უკან დაიბრუნა დავითმა ყველაფერი, რაც წაღებული ჰქონდა ამალეკს. თავისი ორივე ცოლიც დაიბრუნა დავითმა. 19. არაფერი დაჰკარგვიათ, არც მცირე, არც დიდი, არც ვაჟებიდან და არც ასულებიდან — მთელი ნადავლიდან, რაც გატაცებული ჰქონდათ. ყველაფერი დაიბრუნა დავითმა. 20. წამოასხა დავითმა მთელი ცხვარი და ძროხა. ერეკებოდნენ ამ საქონელს და ამბობდნენ: დავითის ნადავლიაო ეს. 21. მივიდა დავითი ორას კაცთან, რომელთაც დაეზარათ გაჰყოლოდნენ დავითს და ბესორის ხევთან დარჩნენ. გამოეგებნენ ისინი დავითსა და მასთან მყოფ ხალხს მისაგებებლად. მივიდა დავითი ამ ხალხთან და მოიკითხა. 22. ასე ამბობდა ზოგიერთი ბოროტი და უგვანი კაცი, დავითთან ერთად რომ იყო წასული: რაკი არ წამოგვყვნენ, ნურაფერს გავუნაწილებთ ნადავლიდან, ჩვენ რომ დავიბრუნეთ უკან. ხოლოდ თავ-თავისი ცოლ-შვილი წაასხან და წავიდნენო. 23. თქვა დავითმა: ნუ იზამთ ამას, ძმებო, რადგან უფლის მოცემულია ეს ყველაფერი, მან დაგვიფარა, მან ჩაგვიგდო ხელში ეს ურდო, თავს რომ დაგვესხა. 24. ვინ მოგცემთ დასტურს ამ საქმეში? რადგან რა წილიც ნაბრძოლებ კაცს უდევს, იგივე წილი უნდა ხვდეს ბანაკში დარჩენილს. ყველას უნდა ხვდეს წილი. 25. ასე იყო ამ დღიდან და მერეც. ეს არის მისგან დადგენილი წესად და რჯულად დღესამომდე. 26. მივიდა დავითი ციკლაგში, ჩამოურიგა ნადავლიდან წილი იუდას უხუცესებს, თავის მეგობრებს, და შეუთვალა: აჰა, წყალობა თქვენთვის უფლის მტრების ნადავლიდან: 27. მათთვის, ვინც ბეთელში არიან, ვინც სამხრეთის რამოთში არიან, ვინც იათირში არიან, 28. ვინც ყაროყერში არიან, ვინც შიფმოთში არიან, ვინც ეშთემოაყში არიან, 29. ვინც რაქალში არიან, ვინც იერახმეელთა ქალაქებში არიან, ვინც კენელთა ქალაქებში არიან, 30. ვინც ხორმაში არიან, ვინც ქორ-ყაშანში არიან, ვინც ყათაქში არიან, 31. ვინც ხებრონში არიან — ყველა ადგილისთვის, სადაც კი დავითსა და მის კაცებს უვლიათ.

## თავი ოცდამეთერთმეტე

1. გაუმართეს ბრძოლა ფილისტიმელებმა ისრაელს და გაექცნენ ისრაელიანები ფილისტიმელებს, და გილბოაყის მთაზე ეცემოდნენ დახოცილნი. 2. მიეწივნენ ფილისტიმელები საულს და მის ვაჟებს და დახოცეს ფილისტიმელებმა იონათანი, აბინადაბი და მალქიშუაყი — საულის შვილები. 3. გაუძნელდა ბრძოლა საულს. ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა და მძიმედ დაჭრეს იგი მშვილდოსნებმა. 4. უთხრა საულმა თავის საჭურველთმტვირთველს: იშიშვლე მახვილი და გამიყარე, რომ იმ წინადაუცვეთელებმა არ მომკლან და არ შეურაცხმყონ. ვერ გაბედა საჭურველთმტვირთველმა, რადგან ძალიან ეშინოდა. მაშინ აიღო საულმა მახვილი და ზედ დაეგო. 5. როცა დაინახა საჭურველთმტვირთველმა, რომ მოკვდა საული, ისიც

ზედ დაეგო მახვილს და მოკვდა მასთან ერთად. 6. ერთად დაიხოცნენ ერთ დღეს საული და მისი სამი ვაჟიშვილი, მისი საჭურველთმტვირთველი და ყველა მისი თანამებრძოლი. 7. როცა დაინახეს ტაშირს გაღმა და იორდანეს გაღმით მცხოვრებმა ისრაელიანებმა, რომ უკუიქცნენ ისრაელიანები და რომ დაიხოცნენ საული და მისი ვაჟიშვილები, დააგდეს ქალაქები და თავადაც გაიქცნენ. მივიდნენ ფილისტიმელები და ჩასახლდნენ იქ. 8. მეორე დღეს მოვიდნენ ფილისტიმელები დახოცილთა გასაძარცვავად და, როცა ნახეს გილბოაყის მთაზე დაცემული საული და მისი სამი ვაჟიშვილი, 9. თავები დაჭრეს და საჭურველი აჰყარეს, და დაგზავნეს კაცები ფილისტიმელთა ქვეყანაში, რათა ეხარებინათ ეს ამბავი საკერპოებისათვის და ხალხისათვის. 10. დადვეს მისი საჭურველი აშთორეთების ტაძარში, ხოლო მისი გვამი ბეთშანის კედელზე მიაჭედეს. 11. როცა გაიგეს გალაადის იაბეშელებმა, როგორ მოექცნენ ფილისტიმელები საულს, 12. ადგა ყველა ვინც ვაჟკაცი იყო, მთელი ღამე იარეს, წამოიღეს საულის და მისი ვაჟიშვილების გვამები, და მოიტანეს იაბეშში და დაწვეს. 13. აკრიფეს ძვლები და დამარხეს იაბეშში იალღუნის ქვეშ. და მერე შვიდ დღეს მარხულობდნენ.

ოთარ ჩხეიძე

# ამაღლება

რომანი

რაღაც შეიხლაკნა საბნის ქვეშა, რაღა რაღაცაო, სხეული შეიხლაკნა, აქამდის რო გაშეშებულიყო, აიწია, დაეშვა, აიწია, ამობრუნდა ისევა, საბანი ქვეშ მოექცა, დაფლეთილი სხეული ზემოდანა, მოუვლიდა ასეთი ტკივილი ხოლმე, დროდადრო რო მოუვლიდა, აღარ გაეგებოდა მაშინ აღარაფერი, აღარც ამ კითხვის პასუხი გაეგებოდა. გვარამი მაინც ჰო მიჰხვდებოდა იმდენსა, შველა რო უნდოდა, შველა რო შეეძლო ექიმსა, იმასაც მიჰხვხდებოდა, დაფაცურდებოდა, გავარდებოდა, გამოვარდებოდა, პოლიკლინიკას მიაკითხავდა პირველყოვლისა. ასეთ დროს სასწრაფოს იხმობენ ხოლმე. ამან ამდენი აღარ იცოდა, არც რა აწუხებდა, არც არავინ აწუხებდა, პოლიკლინიკაც გაეგონა და მიაკითხა, მიირბინა გულამოვარდნილმა. იქ არავის არ გადმოვარგნია გული: რაღა დროისიაო, ექიმი უნდა გამოგეწერაო, უკვე გავიდნენ უბნებშიაო, ხვალამდე აღარც მობრუნდებიანო; ავადმყოფი ბევრია, ექიმი ცოტაო: არაო. არაო, ექიმი ბევრია, შტატები ცოტაო. ავადმყოფი ბევრია და ცოტა შტატი ვერა სწვდებაო. უფასო სამედიცინო მომსახურებაო. უფასოო. უფასოო. რეგისტრატორმაც ასე მოახსენა, ასევე აუხსნა მთავარმა ექიმმაცა, რო არ მოეშვა, რაიმე ილონეთ, ექთანი მაინც გამატანეთო. ექთანები უფრო გვიჭირსო, ესეც აუხსნა, ორ ექიმს ერთი ექთანი ახლავსო. უმუშავარი ექთანები ჰერეხივითა ყრია, შტატებს არავინ არ გვიმატებსო, ესეც არ დაჰფარა. გაბედული ქალი გამოდგა: ხელისუფლება ამტკიცებდა, უმუშავარი არც არის და არც შეიძლება რო იყოს ჩვენშიო. ამტკიცებდა. გაბედული ქალი გამოდგა. მაშ რა ვილონო.ო სასწრაფოო, იმანვე ურჩია, თვითონვე დაურეკა, გულისხმიერი ქალიც გამოდგა, სხვა არც ურჩევდა, არც დაურეკავდა, ჩემს მოვალეობაში არ შედის ესაო. გულისხმიერი ქალიც გამოდგაო. ერთი რამ მაინც ჯერკიდევ ვერ შეემჩნია გვარამსა: ყველა რო ყველაფერს თავიდან იცილებდა, ყველა რო ცდილობდა, საქმე რო სხვისთვის შეეჩეჩებინა. სასწრაფო დახმარებაო. ხოლო სასწრაფომ — საავადმყოფოშიო. დაჰხედა და ბრძანა, საავადმყოფოშიო. სხვა რა უნდა ეთქვა. თვითონ რო მალამოც არ აღმოაჩნდა. წნევის აპარატი ჰო არ გექნებათო, აჰათ მოჰკითხა: წნევას

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 8.

მაინც გავუშინჯავდიო. ნემსი მაინც გაურჭეს ოღონდ ღმერთმა უწყის, რისა იყო თუ რას არგოდა. საავადმყოფოშიო, ახლა იმათ იხალონ თავშიო, ამას გულში იტყოდა ცხადია, ხმამაღლადაც იტყოდა, ისიც კაცი იყო, იმასაც აწუხებდა, ვერავის ვერაფერს რო ვერა შველოდა, რო არ იკურნებოდა ავადმყოფი უფასოდა. საავადმყოფოშიო. იუარა ჰხვთისომა. მაინც წაგიყვანენო, ურჩია ექიმმა. როგორ თუ წაიყვანენო, ახირდა გვარამი, არ უნდა და ვინ წაიყვანსო. ექიმმა გაიცინა. მიუხვდა ჰხვთისოი, მიუხვდა: ამათაც ავალებდნენ პროფილაქტორიუმში, შეეტყობინებინათ, დაჭეჭყილ მანქანას რო მიუტანდნენ შესაკეთებლადა, — მილიციისთვისა, მილიციისთვისა რაღა თქმა უნდა, ავალებდნენ, უბრძანებდნენ ემუქრებოდნენ. დაჭეჭყილი მანქანა. დაჭეჭყილი კაცი. უნდა შეეტყობინებინა, ამასაც უბრძანებდნენ. დაჭეჭყილი კაცი. დაჭეჭყილი თუნუქი. თუნუქს ჩაქუჩები უნდოდა მარჯვენა უნდოდა. ჩაქუჩებიც იშოვებოდა, მარჯვენაცა ჰქონდა, ღონიერი, მოუღლელი, დაუზარელი, უფრო დაუზარელი, მოუღლელი გაზვიადებული იქნება, არა?.. ცხადია!.. ცხადია!.. ექიმიც ეგებ რო დაუზარელი გახლდა, მაგრამ არ გაჩნდა წამალი, მალამო არ გააჩნდა, სასწრაფო მხოლოდ მანქანა გააჩნდა და კიდევაც მოარბინა სწრაფადა, სწრაფადვე მიარბენინებდა ამბავსა იქა, სადაც რო ჯერ არს, სამსახურიც შესრულდებოდა, უფასოდა, უფასოდა. მეტი რო არც არაფერი მოგვარდებოდა უფასოდა.

„ნუ შეწუხდებით..."

გააფრთხილა ჰხვთისომა. მეტიც არ უთქვამს. ისევ წამოუარა ტკივილმა, ისევ წაიშალა ყველაფერი იმის თვალშია: ექიმიცა, გვარამიცა, დაკითხვაც წაიშალა, ახლა თუ სად იყო, ისიცა ცხადია. სავადმყოფოშიო, კიდევა ბრძანა ექიმმა, შემოატანინა საკაცეცა. საკაცეც გაუგგდო და ექიმიც მიაბრძანა გვარამმა. პასუხს თქვენ აგებთო.

გულს იმშვიდებდა ექიმი, გულსაც იმშვიდებდა და ემუქრებოდა კიდევაცა. გვარამი ყურს აღარ უგდებდა: არას არგებდა დევნაი უფასოთა, ვინმე უნდა მოეძებნა, ფასსაც არ უნდა დაჰრიდებოდა რაღა თქმა უნდა, თუმცა ეს კანონით აკრძალული იყო, მაგრამ გინდ დაგიდევდა კანონსა, ადამიანს თუ ილუპებოდა. აღარც კანონს დაგიდევდა, აღარც ზნეობას დაგიდევდა. ამან თუ ახსნა ხალხი: კანონსა რო გაურბოდა, უზნეობას რო უპირისპირდებოდა უზნეობითვე. ძარცვავდა ხელისუფლებაი და ძარცვავდა ხალხიცა, ვინც რას მოასწრებდა, ვინც რო ვერაო, უჭირდა, ანთუ ილუპებოდა. იცი, იცი, რა ახსნა უნდა. არც დაენდობი უფასო მკურნალობასა, თავი თუ არ გაგიმეტებია. გვარამიც მიჰხვდა, გაუკუღმართებულ ცხოვრებაში გაადვილებულიყო მიჰხ ედრაცა, მიჰხვდა, მიჰხვდა და გაიხსენა ნაცნობი ექიმები, დაბადების დღეებზე რო შეჰხვედროდა. გაიხსენა. ქირურგი არ აღმოჩნდა არცერთი იმათ შორისა, ეს ამბავი იუმორის საგანი რო იყოს, ითქმოდა: პირველი თურმე გინეკოლოგი ყოფილიყო, მეორე ვენეროლოგიო და მართლაც ასედაც რო ყოფილიყო, ქირურგებს ისინი მიასწავლიდნენ უფრო ადვილადა, მიასწავლეს კიდევაცა და თვითონაც მიჰყვნენ. უბნის ინსპექტორს უკვე შეეტყო თუ რა მომხდარიყო და თვითონვე ურჩევდა, ჰხვთისოსა ცხადია: საავადმყოფოებს დაანებე თავიო, რად გინდა ყველამ თავიდან იძიოს ეს ამბავი, რა სიკეთეს მოგიტანსო, მონახე ვინმე კერძო ექიმი, მალეც მოშუშდები, მალეც დაგავიწყდება ყველაფერიო; მონახე, თუ გინდა, მე გამოგიგზავნიო. შეეტყო. ურჩევდა. ესენიც წაადგნენ თავსა. სალაპარაკო არ არისო, ამათაც ურჩია ინსპექტორმა. ვიცითო, მიუგეს. { ის წავიდა. ამათ თავიანთი საქმეც იცოდნენ. ხორცი მორჩებოდა, მოშუშდებოდა, მოიკეთებდა. სული ვერაო, იტყვი და მართალიც იქნები. სული ისედაც დადაღოდა, მანამდისაც დადაღოდა

სული. ზოგი ეგრედაც იბადება — დადაღული სულითა. ეს მაინც ეგრე დაბადებულიყო.

დადაღული სულითა.

ზოგი მერე დადაღულიყო, ანთუ ყველა დადაღულიყო და ბარბაცებდა დადაღული სული, ბარბაცებდა, აწყდებოდა ერთიმეორესა. ბარბაცებდა გამზირი რუსთაველისა, დადაღული სულებით აღვსებული გამზირი. ქალები მომეტებულიყვნენ გამზირზე. ეს მათი სული დადაღულიყო. ათწლეული თუ დაწყებულიყო, ყოველწელიწადს რო ათწლეული იწყებოდათ. ათწლეული, კიდევ ერთი შემზარავი ათწლეული. კაცები ჰქრებოდნენ განუკითხავადა, დღითაცა და ღამითაცა შინიდანაცა და სამსახურიდანაცა, მივლინებიდანა და ექსკურსიებიდანაცა, ჰქრებოდნენ, ჰქრებოდნენ, შინიდანა ჰქრებოდნენ, თორემ ავსებდნენ ციხეებსა, ციმბირს ავსებდნენ, ავსებდნენ და ავსებდნენ. აღარა მშვენოდა გამზირი რუსთაველისა. მომეტებულიყვნენ ქალნი, ართუ უსახონი, ართუ გონჯნი, არა, პირიქით, შთამომავალნი სილამაზით განთქმული ხალხისა, შთამომავალნი და თვითონაც კეთილი სახისანი, მაგრამ ელფერი აკლდებოდათ თურმე უკაცოდა, ველარა ბრწყინავდნენ მარტოდ შთენილნი, მარტოდშთენილნი და დადაღულნი. ანთუ რა ბრწყინვათ, ანთუ რა ნარნარიო, როცა ეს უფრო აჩქარებულ ბარბაცსა ჰგავდა, რო ეხლებოდნენ ერთიმეორესა, რო გაურბოდნენ და რო ეხლებოდნენ, რო ბრუნავდნენ ერთ ადგილასა, გზა რო ვერ გაეგნოთ, რო აღარც იყო გზაი აღარსაითა და იქაც რო აღარ ედგომებოდათ; მოშლილიყვნენ, მოფუტკნულიყვნენ, მოშხამულიყვნენ, ისედაც მოუვლელნი, თავი რო აღარც აგონდებოდათ. ქვრივნი თუ ობოლნი, ანთუ ქვრივნი ნახევრადა, ობლონი ნახევრადა, ქმრები თუ მამები სადღაც რო ლპებოდნენ, შორეულ ციხეებში, ციმბირს ჰო არც უნდა ეს დამატებაი— შორეულიო, წყეულიმც ყოფილა!.. შვილებიც იქავე, ძმებიც იქავე. ანთუ ჯარშიო, აგრეთვე შორეულსა და მოუსავალში. მოშხამულიყვნენ. მოშლილიყვნენ. მოფუტკნულიყვნენ ვიდოდნენ თუ მიბარბაცებდნენ. რის მშვენებათ, რომელთ სილამაზეთ, სადღა ვიპოვოთ ქართველი ქალიო. მაგრამ ბუნება ჰო მაინც არ დაიშლის თავისასა, როგორც რო ელვასაც ვერ დაიშლის. მშვენიერებაც გადაჰკრავს გამზირსა. ელვად გადაჰკრავს, ელვად გადაუვლის, ხან თუ დროდადრო, ხანაც მოხშირებითა, ისევ რო მიწყდება და ისევ რო იფეთქებს სიცოცხლეი, სიცოცხლეც რო არ დაიშლის თავისასა, არა, არ დაიშლის თავისას. სიკვდილიც არ დაიშლის რაღა თქმა უნდა, თვითონაც არ დაიშლის, ადამიანიც სიკვდილს ეშველება, ადამიანიც აჩანაგებს ადამიანსა. აჩანაგებს. პოლიტიკური ბრალდებანიც აღარა სჭირდებოდათ, აღარც სასურველი გახლდა, ჰელსინკის შეთანხმებაო, სამსახურებრივი ბრალდებანი ვისი რა საკითხავი იყო, — და ეზიდებოდნენ მამაკაცებსა წვენების ქარხნებიდანა, ღვინის ქარხნებიდანა, სპირტის ქარხნებიდანა, ჩაის ფაბრიკებიდანა, თამბაქოს ფაბრიკებიდანა, ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ, გაუყენებდნენ შორეულ გზებსა. ეზიდებოდნენმეთქი, ნუ ახირდები, ნუ ახირდები, სულიერზე სხვანაირად უნდა ითქვასაო, — სულს ამოაცლიდნენ და ეზიდებოდნენ. ახლა?.. ერეკებოდნენ ჯარში ავადმყოფებსაცა. ერეკებოდნენ, მოჰფატავდნენ კიდით კიდემდისა, „ნაციონალიზმის ბაცილა“ ოღონდ აეცილებინათ. სხვა ავადმყოფობა მოსარჩენიაო. ბავშვებსაც წამოჰკრეფდნენ მცირე რამ საბაბითა, კოლონიებში უკრავდნენ თავსა, უკეთ რო აღეზარდათო, სატანურადაო ესეიგი. ეს ისე ცხადია, მხოლოდ იმის ასახსნელადა, თუ რად დამგვანებოდა ამორძალების კუნძულსა თბილისი. ძველ ბერძნებს მაინც აქეთ ეგულებოდათ ამორძალების კუნძული. ყველაფერი აქეთ ეგულებოდათ, სიკეთეცა და სიავეცა, სიკე-

თისა რო აღარაფერი გადარჩენილიყო, სიავეს რო დაესაკუთრებინა მამულ-დედული. ამორძალები მაინც შემორჩანილიყვნენ, ისეთი ლაღნი, ისეთი თამამნი, ისეთი შეუპოვარნი აღარა. ანტიოპე აღარსად იყო, თეზევსიც ველარსაით მიუდგებოდა. განვითარებული სოციალიზმისა იმათ არაფერი არ გაეგბოდათ, ამათ გაეგებოდათ, თეორიაც დაესწავლებინათ და განხორციელების მოწმენი გახლდნენ. ისინი არ ისურვებოდნენ ამდაგვარს არაფერსა, ამათ სურვილს არავინ არ დაგიდევდა. ისინი დაიცავდნენ თავსა, შურსაც იძიებდნენ, განცხორომასაც მიეცემოდნენ, თავსაც გასწირავდნენ, ამათ წართმეოდათ უფლებაი საამისოი, ძალაც წართმეოდათ, საშუალებაცა, განვითარებული სოციალიზმი ჰო იცოდნენ, — იმათ არ იცოდნენ არაფერი, თავისუფლება იცოდნენ, თავისუფლება ჰო ჰიანჭველამაც იცის. ამათ ასე არ დაამდაბლებდნენ, სხვა ცხოვრებით უნდა ეცხოვრათ 9 მარტის შვილებსა, სხვა ცხოვრებითა, სულ სხვა ცხოვრებითა, უნდა ეცხოვრათ და ცხოვრობდნენ კიდევაცა: დადრუკილნი, დაბეჩავებულნი, ქანცგაწყვეტილნი, უსიხარულონი, უფერულნი, უფერულადაც რო დიოდნენ გამზირზედა. მშვენიერება უფრო ანათებდა, ხანდახან თუ გაიელვებდა, — გაიელვებდა, გაიელვებდა, ჰექა-ქუხილიც რო არ მოჰყვებოდა. მონანათებდა ჯერ შორიდანვე, ცისკარიაო თითქოსაო, გაკაშკაშდებოდა, გადაიელვებდა, ჩაილეოდა მერე ნელნელა. გვარამი გრძნობდა მცირე კიაფსაცა, აჰყვებოდა, აფოფინდებოდა, ჰხვთისო არაო, არც კიაფისა გაეგებოდა, აფოფინებასაც რო ვერ ატყობდა: წრუპავდა შინდის წყალსა, ანთუ ჯერ ქაფსა ხვრეპდა, მილულავდა რო თვალთაცა, გემო უკეთ ჩავაყოლოო.

იქ იყვნენ,

დარბაზში ლალიძის წყლებისა.

იქ დუნდგო იდგა, უფრო სწორედ რო რიგები იდგა, მშვიდი, წესიერი, საკვირველიც რო გახლდა, მაგრამ გაჰკვროდა რიგები ერთიმეორესა, თასუბი რო მიედგათ ახლოახლოსა, დუნდგოაო. ამიტომაც გეგონებოდა; გეგონებოდა რო თუნდაც სხვა რამეი, ესენი მაინც გამონაპირებულიყვნენ, მისდგომოდნენ ვიტრინასა, მისდგომოდნენ თუ მისჭყეტოდნენ გამზირის მხარესა. გვარამს თვალები ზედ გაეკრა ვიტრინაზედა, მთლად თვალებად რო გადაქცეულიყო თითქოს ესაა, კაცი ესაა, თვალებია და კაცი ესააო. უმალვეც შენიშნა, ჯერ შუქი შენიშნა, ჰიქაი თავისი მიაჩეჩა ჰხვთისოსა, გასჭრა ხალხი, დუნდგოი იგი, ლაზერივითაო, ალბათ რო ითქმის, გასჭრა, გააპო, გავარდა აქეთა, გამზირისაკენა, და იქით შეიპყრო შუქი იგი ქუჩის კუთხეში. პატარა ალმართი რო ასდევდა კონსერვატორიისაკენა. ვიტრინა იქითაც ჰო გადიოდა, — სჩანდა აქედანა ეს ყველაფერი, მაგრამ ჰხვთისოს არ დაუნახავს, დასჩერებოდა მიჩეჩებულ ჰიქასა, თავისას ჰო წრუპავდა, ის რაღად უნდოდა, ვეღარ გაეგო. ის მაინც შეამჩნია, დუნდგო რო მოიღრიცა, რიგები რო მოიღრიცა, ამისკენ მოიღრიცა და გვარამიც უკვე იქა ბრძანდებოდა, გვარამი და ასული იგი შუქი იგი, რო აელვარა ჩახაშმული დარბაზი. დარბაზი თუმცა ახლად მოეხატათ, მოეხატათ ბრჭყვიალა ფერებითა, მაგრამ თითქოს აიჭვარტლებოდა, ხალხი შეცვიოდა თუ არა. აიჭვარტლებოდაო და აჭვარტლულიყო აქამდისა, ახლა აელვარდა, უცებ აელვარდა, ჰხვთისო დაიბნა და სხვა ველარაფერი რო ვერ მოახერხა, ის მეორე ჰიქა გაუწოდა მოულოდნელ ასულსა. გვარამმა აართვა, თავისიც აართვა, შემოტრიალდა და შევარდა დუნდგოშია.

„ნესტანი!..“

წარმოსთქვა და ისე შევარდა: გააპო. ეცა. სამი ჰიქა გამოიტაცა. ერთი ნესტანსაო. ერთი ჰხვთისოსაო. მესამე მოიყუდა და თვითონ გამოსცალა სულმოუთქმელადა. რა ისეთი გამოცლა უნდოდა?.. სულისმოთქმა მაინც

უნდოდა?... მერელა მოითქვა სული, ჩაისუნთქა ერთი ღრმადა, ერთი ღრმადაც ამოისუნთქა და მოითქვა სული.

„ნესტანი!..“

თითქოს ამოსუნთქვასაც ამოაყოლაო.

ჰო ის არ მითქვამს: არ აჰხირებია არავინა, ურიგოდ რად მიიწევო. ურიგობა არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ შენიშნავდნენ მაინცა, გაცხარდებოდნენ მაინცა, ეს თითქოს ვერც შენიშნესო, თქმითაც რო არაფერი უთქვამთ, ისევ აქეთ რო იმზირებოდნენ, ხოლო იმაზე მაინც გაიღიმეს, ისე უეცრად რო გამოსცალა თავისი ჭიქა.

„ნესტანი!..“

გაიმეორა იმის მერეცა, ამოსუნთქვას რო ამოაყოლა.

„ნესტანი?..“

იკითხა ჰხვთისომა. სხვა რო ვერაფერი მოიფიქრა.

„ნესტანი!..“

გაიმეორა უფრო მტკიცედა გვარამმა, ცარიელ ჭიქას რო უტყაპუნებდა ხელის გულსა, თითქოს რო ბეჭდით ადასტურებსო.

„ნესტანი მე მქვიან,“ — დასძინა ნესტანმა, ეგონა ვერ გაიგო, ანთუ სმენა მოჰკლებია ამ ყმაწვილსაო, ამისთვის დასძინა, ხოლო გვარამს ასე მიმართა, — „მეგონა, წახვედით...“

„ისე ვერ წავიდოდით...“

როგორ ისეო, მიაჩერდა ნესტანი, არ უთქვამს ცხადია, მიაჩერდა.

„არის კიდევ მოსაგვარებელი...“

განუმარტა გვარამმა, ამასაც თუ განმარტება ეთქმის.

„ვერც ვერაფერი მოგვარებულა ბოლომდისა. თუ არ დავთმობთ, გვერდს თუ არ ავუქცევთ, ნაბიჯის გადადგმაც გაგვიჭირდება.“

ისე თქვა ნესტანმა, ჭიქა რო მიიტანა ტუჩთანა. მიიტანა და მოიცილა, რო არც მოუსვამს.

„ყველაფერს თუ დავთმობთ!..“

ჩაერია ჰხვთისოი.

„ყველაფერი არც დაითმობა.“

მიუგო ნესტანმა, ცოტაც გაჰკვირდა, სმენა თურმე ვარგებიაო.

„ვერც დაუთმია...“

ისევ ჰხვთისო შეეპასუხა.

„მაშინ უნდა მოაგვაროს.“

„რა თქმა უნდა!..“

ისევ ჰხვთისო და ნესტანი ამბობდნენ. მხოლოდ თვალები გადაჰქონდა გვარამსა ერთიდან მეორეზე. ჭიქასაც ისე ათამაშებდა, ცარიელ ჭიქას, ალბათ რომ კიდევ შეუვსებოდა, — გამობდა კიდევა, ხოლო დაუთმობდნენ თუ არა კიდევა, საკითხავი აი ეს იყო, წყევლაკრულვიანი საკითხავი.

„უნდა..“

ასელი დაუდასტურა გვარამმა.

„ესაა, გოგოს უნდა ჰკითხოს: დაუცდის თუ არა...“

გამოტყდა ჰხვთისოი.

„ჰკითხოს მერე!..“

მოისმა უმალვე, გვარამი რო არც ელოდა, ჰხვთისოც არაო.

„ის ისეთი გოგოა თურმე!..“

ჰხვთისომაც ერთბაშად გამოსცალა თავისი ჭიქა,ახლაღა გამოსცალა.

„ისეთი რა გოგოა?!.“

„ვერაფერს რო ვერა ჰკითხავ თურმე...“

„ჰა, ჰა, ჰა...“ — ოდნავ გაიცინა ნესტანმა, — „ეგრეთი გოგო ჯერ არ გაჩენილა, მე ასე მგონია.“

„ის როგორღა გგონიათ: დაუცდის თუ არა?..“

„რა მოგახსენოთ“, — წამწამები დაუშვა ნესტანმა, დაუშვა, დაუშვა, აღარ მოუჩანდა თვალები, — „მე თუ მკითხავთ: ვინც დაუცდის, ის იქაც გაჰყვება.“

„სადა?.. იმ კლდეღრეში?!..“

„სადაც უნდა იყოს...“

აჰყარა წამწამები ნესტანმა.

ჰხვთისომ რაღაც ჩაიბურდღუნა. თითქოს ჭიქა უნდა დაახეთქოსო, ისე დაიქნია, მაგრამ არაო, გვარამს მიაჩეჩა და გავარდა ისე, სიტყვაც რო ველარ დაეწეოდა, ანთუ გვარამიც რო არ დააწევდა, ახლა რო ყველა ზედმეტი გახლდა, ყველა, ყველაფერი, ეს დარბაზიცა. სჯობდა აჰყოლოდნენ ტაატითა აღმართსა, მთაწმინდის აღმართსა,

ტაატითა, ტაატითა, აღმართში სიჩქარე ჰო არავის არგია.

XIII

დიდედას არაფერი არ გაჰკვირვებია: არც ისა, რო ერთად მივიდნენ, არც ისაო, რო აუწყეს, გამოვუტყდით ერთმანეთსაო, არც ისაო, რო რახან მივჰყვები, ბარემ მივჰყვებიო, არ გაჰკვირებია, გავქვავდიო, მერეღა ამბობდა, ავსაცა და კარგსაც ერთნაირად შევეყრებოდიო. ეს მერეო, ხოლო მაშინ ეს მაინც ბრძანა: უწესოდ არაფერი არ გამაგონოთო, ხელი უნდა მოაწეროთ ახლავე, პატარა სუფრაც უნდა გავშალოთო. ერთიც აღუსრულეს, მეორეცა. მცირე რამ ხალხიც შემოუსხდა პატარა სუფრასა, მხიარულებაც მცირე გახლდა, ასეთი ხალხი რო შემოუსხდა: ნეფე-დედოფალი ჰო უთუოდა რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდობიდან კიდევ ორი, დანარჩენნი დიდედას ხნისანი, დაფახირებულნი, დაფხავებულნი, დაცხრილულნი, როგორ მოვიდნენ, რო გაოცდებოდი, როგორ ისხდნენ, რო გაოცდებოდი, კიდევ როგორ რო ილებდნენ ხმასა, გაგაოცებდა ესეცა აგრეთვე. გაგაოცებდა თუ რაც იქნებოდა: მოვიდნენ, დასხდნენ, დალოცეს, აღდგერძელეს, იმხიარულეს კიდევაცა, ანთუ მიჰბაძეს მხიარულებასა, ანთუ გაიხსენეს ოდესღაც თუ ემხიარულათ, გაიხსენეს თუ მაინც არ გადავიდენ რჯულსა თუ ადათსა, რახან ქორწილია, კიდევაც უნდა ვიმხიარულოთო, ანთუ გაიხსენეს, ანთუ არ გადავიდნენ, იმხიარულეს რაც რო შეეძლოთ, აჰყვნენ ასულსა, იმა ასულსა, ნეფე-დედოფლის ნაცნობობა ვისგანაც დაიწყო. აჰყვნენ. ჰხვთიისო არ აჰყვა. მოღუშულიყო ეს ერთადერთი, თუ გაიღიმებდა თითქოს უფრო სამოწყალოდაო, რახან ქორწილია, რახან უნდა გემღერებოდესო. სთხოვა ასულმა, თავმა მხიარულობისაი, პირველს იტყვი, მეორესა თუ მესამესაო, თითებით აჩვენა, დაიფუშხალა ჰხვთისოი, არცერთს არ ვიტყვიო. ასული სამივეს თვითონ წამოიწყებდა, სხვებს აქეზებდა, ჰხვთისოს აღარა, გადაგრიხავდა მხოლოდ რო წარბებსა, დედოფალს ანიშნებდა, ეს რა პირქუში მაზლი შეგხვედრიაო, ანიშნებდა ისე, რო ეტყობოდა მოსწონდა კიდევაცა, სწორედ ასეთი, სწორედ პირქუში და გაუცინარი, დამძიმებული ქვეყნის ტვირთითა, თითქოს მოსწონდა და თითქოს დასცინოდა კიდევაცა, ისე გადაგრიხავდა. და ეს ამბავი აქ მთავრდება, რო აღარც შეჰხვდებოდნენ ერთმანეთსა ჰხვთისოი და ასული იგი. ეგება უკეთესიცა ყოფილიყო, რო შეჰხვედროდნენ, ანთუ ეგებ რო თანაც გაჰყოლოდა იმა კლდელრეშია, მაგრამ ეს იმისთვის არავის უკითხავს, რო არც ის უთქვამთ თუ საით დაეთქვათ საქორწინო მოგზაურობაი. მხიარულობდა. მხიარულობდა. მხიარულობდ დედოფლის მდადი, ეჯიბი მეფისა მოქუფრულიყო. პროფესორიც დიდად არ გამოირჩეოდა, ისიც მეფის მხრიდანა რაღა თქმა უნდა. და კიდევ ერთი მანდილოსანიც მოიწვია გვარამმა, დიდედას ხნისა, პროფესორის ხნისა, ანთუ ყველა დანარჩენთა ხნისაი, დეიდა სალომედ რო მოიხსენიებდნენ ყველანი შინაურობაში და გვარამიც ასევე რაღა თქმა უნდა, თუმცა არც იცოდა, მართლა თუ ერგებოდა დეიდათა, ანთუ მამიდათ თუ ერგებოდა, ანთუ ნათლიაdა, არც იცოდა და არც იძიებდა. და აღარც სალომე იძიებდა: წარმოუდგებოდა ბუნდოვნადა გარდასული, ძირისძირობამდის აღარ ჩასდევდა. აღარც სხვები მოიგონებდნენ, ხმამაღლა აღარა, ჩუმად ახსოვდათ, ჩურჩულით გადადიოდა მომდევნო თაობაზე, ჩუმადა, ჩურჩულითა, ამოხეთქავდა როცა იქნებოდა, ამოხეთქავდა. და გაიხსენებდა სალომეცა გარდასულსა უფრო კანთიელადა, ანთუ ბინდბუნდში ამოელანდებოდა ისევ ისევე:

თეკლა,

ფერმკრთალი, გაცრეცილი სახითა, ტანით აღვსებული, ფეხმძიმე. ეგო-

ნათ, რო ქმრისგან დარჩაო. ასეც ჩაივლიდა, ეჭვი არავის არ ამოეხლართებოდა. დრო იყო ისეთი, ღამე იყო ისეთი, არავის რო არაფერი არ დაუნახია. არც არავინ დაიჯერებდა: ქალი თუ შეიპარებოდა ბექას ციხეში, თუ შეუერთდებოდა განწირულ ვაჟკაცსა, თუ გამოიყოლებდა ნაყოფსა იმისასა, რო გადაერჩინა თავგანწირვის გენი, არავინ დაიჯერებდა. დილით ჰო ციხე მიწასთან გაასწორეს, ძვლებიც რო ვეღარ გამოარჩიეს ბექასი. ძვლებიც ვეღარ გამოარჩიეს, ნაყოფი დარჩა. სალომეს გამოუტყდა თეკლაი: მე ვერ გადავრჩები, შენ იცოდეო. იცოდა. სჯეროდა და არცა სჯეროდა. აფორიაქებულიყო თეკლაი, შეიძლება რო მოჩვენებებს იმეორებდა. მაგრამ ის მაინც ნათელი იყო, ფეხმძიმედ რო გახლდა და აუხდა ისიცა: დიდი დღე არ მიწერიაო. და მართლაც მალე იხმეს სალომეი თეკლას დაკრძალვაზე — და. ორი ბიჭუნაც უჩვენეს ერთდროულადა, ორივე ძუძუებზე ეკიდა ერთ სანდომიან ქალსა, ერთისა რო დედა იყო, მეორესი ძიძაი, თეკლასი ეს არისო, მიუთითეს. დიდადაც არ გაწირჩეოდნენ ძუძუმწოვრები ერთმანეთისაგანა, სალომესაც არ გაურჩევია, არც რო მაშინა, არც რო მერეო. რო წამოიზარდნენ. ისინიც დეიდას უწოდებნენ სალომესა, დისწულები რო ჰყავდა საკმაოდა და დეიდად რო მოიხსენიებდნენ რაღა თქმა უნდა. ლამის ესენიც დისწულებში არეოდა სალომესა, ეს ლამისაო, ხოლო ეგებ რო ერთმანეთშიაც არეოდა ეს ორნი, ერთი გვარისანი რო იყვნენ. აქაც იფრთხილა თეკლამა: თავისი გვარი არ დაუტოვა თავის ძესა, თავადიშვილის გვარი არ დაუტოვა, — ძიძამ იშვილა, გამოაცხადა ტყუპისცალადა. ტყუპებივითაც იზრდებოდნენ, ტყუპებივითა და ისეთი გვარითა, სადღაც შუმერებში თუ მოიძიებოდა ძირი იმისა, ახალ გვარებში ვერ აღმოაჩენდნენ ბევრიც რო ეჩხრიკათ. შუმერებამდის ვერ აღწევდა ჭკუაი ამათი, ამა მდევართა, ულმობელთა, და არც უნდოდათ, ყელამდის სისხლში რო ჩამდგარიყვნენ ისედაცა. ყიჟყიჟებდნენ, ყიჟყიჟებდნენ. არც ელოდათ სისხლის საბაბი, — ეს ციხეებიო, მერე: ომიო. ერთმა ციხეში ამოჰყო თავი, მეორემ ომშია. რუსეთი ჩემი სამშობლო არ არისო, ერთმა განაცხადა და ციხეში ამიტომაც ამოჰყო თავი, მერე ციმბირშია რაღა თქმა უნდა. მეორემ ამის თქმა ვერ გაბედა, ანთუ დაებნიათ ისე იმგვარადა. ვეღარ გაერკვია, სამშობლო თუ სადა თავდებოდა, სად იწყებოდა სიცრუეი. ომში ამიტომაც ამოჰყო თავი, მერე ტყვეობაშია. დაბრუნდნენ რო თითქმის ერთადა, ერთადაც მოეკიდნენ ოჯახსა. პირველი ბიჭი შეეძინა ერთსაცა და მეორესაცა. ერთმაც თავისი სახელი უწოდა, მეორემაცა. ერთმა ჰხვთისო უწოდა, მეორემ გვარამი: აი ეს ჰხვთისო და აი ეს გვარამი. მამები ისევ დააპატიმრეს, ისევ გაუყენეს შორეულ გზასა, ანთუ ერთზე ითქმის ისევ დააპატიმრესო, ხოლო შორეულ გზას რო გაუყენეს, — ორივეზე ითქმის რასაკვირველია. ერთი იმიტომა, რუსეთი რო მაინც არ მიაჩნდა თავის სამშობლოდა, მეორე იმიტომა, ტყვედ რად ჩავარდიო. — მიზეზს რა დალევდა: გაუყენეს ერთისიტყვითა, სადით აღარ დაბრუნებულან. დედებიც გადაჰყვნენ დარდსა თუ სიავესა სხვასა და სხვასა და, რაც თავი ახსოვდათ, ბიჭებსა ცხადია, სიმარტოვე და გაჭირვება ახსოვდათ. დეიდა სალომეც ახსოვდათ, ესენიც დეიდად რო მოიხსენიებდნენ, თუმცა უკვე ბებიდა ეთქმოდა რახან არ დაიშლიდნენ, გვარამისთვის ბებიდაი, ჰხვთისოსათვის პაპიდაი, — ბაქარი ჰო სალომეს ნათესავი გახლდა. ამათ ეს არ იცოდნენ. ბიჭებმა ცხადია. ხოლო სალომე თუ მოინდომებდა განესხვავებინა, განასხვავებდა კიდევაცა: ჰხვთისო!.. საცოდავი თეკლა. ამოვიდოდა ბინდბუნდშია. ეს უკვე ცხედარი. ამოვიდოდა და ჩაიძირებოდა ბინდბუნდშია თუ სიცარიელეში, იმას იქით რო აღარაფერი მოსჩანდა. ამოვიდოდა და

ჩაიძირებოდა. ქორწილში მაინც სულაც არ გამოჩენილა, ბინდბუნდშიო რაღა თქმა უნდა, ქორწილში გვარამისა, ასული რო მღეროდა. ასული რო ხმაშეწყობას ითხოვდა, ის მაინც შეუწყობდა ხმასა, თუმცა რო უკვე გახებილსა, გახუნებულ ხმასა. რა ვუყოთ მერეო, — უპირველესი ხალისია, ეშხი არის უპირველესიო, ეშხი ხმასაც შეანავარდებსო. და ხალისობდა, ხალისობდა დიდა სალომეი.

სხვანი ნესტანისანი გახლდნენ.

სიცილი სიცილს არ ჰგავდა იმათი, სიხარული სიხარულს არა ჰგავდა, მხოლოდ წუხილი რო ჰგავდა წუხილსა და, რო არ უნდოდათ, აქაც მწუხარედ გამოჩენილიყვნენ, ეტყობოდათ ესეცა, აშკარად ეტყობოდათ ნესტანისანი გახლდნენ. ეგება აღარც გინდა, ამათი ამბავიც ასე წვრილადვე რო შეიტყო, — კაცია და გუნებაო, მაგრამ ის მაინც უნდა აღინიშნოს: ერთი ქალი რო ისე წმინდადა ლაპარაკობდა ქართულსა, ისე მკვეთრადა, ისე მკაფიოდა, თანაც ისე, რო რუსულზე არ გადატყდებოდა ჩალიმალა, არც გამოურევდა კალცსა რუსულსა, ისე სუფთადა, ისე ლაზათიანადა, ისე, ისე, ქართველი რო არ გეგონებოდა და მართლაც რო ქართველი არ გახლდა. იერიც გადაჰკრავდა უცხოური თუ დააკვირდებოდი, უცხოური, ფრანგული, შუაპარიზული, ქართველსაც იქვე მისთხოვებოდა, ქართველ ემიგრანტსა. ქართულიც შეესწავლა იქვე, იქვე, შვილებიც აღეზარდა ქართულადა და ნოსტალგიაც ისეთივე დამართნოდა საქართველოსი, როგორც რო მეუღლესა იმისასა, ისეთივე დამართნოდა და ისევე გადაეკლა თავი, უნდა დავბრუნდეთ სამშობლოშიო, რადაც არ უნდა დაგვიჯდესო, უნდა დავბრუნდეთო, თუნდაც იმავდღეს ყელი გამოგვჭრან. ასე დამართნოდა. ყელისგამოჭრას გადარჩენილიყვნენ აქნობამდისა, ჯერჯერობითა და ეგება რო სულაც გადარჩენილიყვნენ: რაღაც იცვლებოდა ამ გამოკეტილ სახელმწიფოშია, ჰაერი ირეოდა, ღრუბელი ირეოდა, ეგება რო გადიკარსო. ვისა სჯეროდა, მაგრამ ეგებაო, იმედი იმედი თავისასა სჩადიოდა.

„ეგება გვეშველოს!..."

გაისმა კიდევაცა, რო თავი არავის არ ჰქონია, თვითონვე რომ უგრძნა, ეს მე გამოვთქვიო.

„ეგება!.."

ესეც ისევე ითქვა.

„მაგრამ ჯერ მაინც ისე შევბოჭილვართ, სუნთქვა გვიჭირს."

ეს ნაფრანგალის ნათქვამი გახლდა.

„რა კარგად გამოსთქვით „შევბოჭილვართ!.." მოუწონა სალომემა." ახლა თბილისში ასე ველარავინ გამოსთქვამს და ვგონებ, ბევრმა აღარც იცის თუ რასა ნიშნავს „შევბოჭილვართ".

„რასა ბრძანებთ?!."

შეიცხადა დიდედამა.

„იცით".. არ დასთმო სალომემ თავისი. „თქვენ არსად დადიხართ, თქვენ მხოლოდ შებოჭილებს იცნობთ და შესაძლოა რო გაგიკვირდეთ."!

„სამწუხაროა..."

დასთმო დიდედამა.

„მე მაინც ვურჩევდი ამ ჩემს ქალბატონსა," ეს მეუღლემ წარმოსთქვა ფრანგი ქალისამა, „ცოტა ერიდოს ამგვარ ლაპარაკსა, თუნდაც რო ასეთ შებოჭილთა შორისა."

„მართალია?, მეუღლე დაეთანხმა, „მაგრამ ისიც ძნელია: დილით გავიდეს ქმარშვილი სახლიდანა და მთელი დღე შიშობდე, შინ თუ დამიბრუნდებიანო, საღამოს დაიძინონ და მთელი ღამე თვალი ვერ მოჰხუჭო, ვინ იცის ხვალ თუ სად გაუთენდებათო, ძნელია, ძნელი!.."

„ძალიან ძნელი!.."

დაუდასტურა თუ ამოიგმინა, ვისაც რო განეცადა: შინ რო დაეძინა და მერე სადღაც გაჰღვიძებოდა. დაჩაჩაკებულიყო, ნიკაპი ჩამოედო მაგიდაზედა, თითქოს რო ასე იმაგრებდა მორღვეულ ტანსაო.

„ძნელია!.."

თითქოს რო ერთად ამოიგმინესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დუმილმა ჩამოიარა, მერე ვილაცამ ამოიოხრა:

„ძნელი საუკუნე გვარგუნა ღმერთმა...“

„შესაძლოა რო ჩვენი უკეთურობის ბრალიც არის...“

შეეჭვდა ერთი.

„არც უმაგისობა იქნება...“

სხვაც აჰყვა ეჭვითა.

კიდევ სხვამ მკვეთრად გამოსთქვა:

„ჩვენი ბრალია. ვის შევეფარეთ?.. რის ერთმორწმუნეო, რომელი ერთმორწმუნეო?!. რა სისულელეა!..“

ეს ითქვა ისე, ისე მწარედა, სახე რო წამოუჭარხლდა მთქმელსა, — ჯერ წამოუჭარხლდა, მერე გადაფითრდა, მერე ნელნელა დაუბრუნდა ფერი თავისი.

„არც ის ივარგებდა, სპარსეთს რო შევრჩენოდით...“

„აქეთ სპარსეთსა, იქით თურქეთსა...“

„ვინ იცის?..“

„ვინ იცის?..“

„რა ცოდნა უნდა!..“

გადაიტყორცნებოდა რო ბურთივითა დიდედა მოსჭრიდა:

„თუ შეიძლება.... თამადას მოვუსმინოთ!..“

„მართალს არ ვამბობ?!.“ აჰხირდა იგივეი, ციმბირი რო უკვე ეხეხა ამგვარივე სიმართლისათვისა, მაინც სიმართლეს რო ეძიებდა, მაინც ჭკუა ვერ ისწავლაო. ზოგი ადვილადა სწავლობდა ჭკუასა, ზოგი სულ ვერა, ამასაც ვერ ესწავლა.

„თამადას, თამადას მოვუსმინოთ!..“ შეკანკალდა დიდედასა, „თა-მა-დას!.“ დამარცვლა კანკალითა.

„მოვუსმინოთ... დათანხმდა“ იგი ახირებული, ზურგთუკანაც გადაიხედა, ზურგთუკან რო კედელი გახლდა, ოღონდ კედლად აღარ მოსჩვენებოდა, თითქოს გველეშაპს დაეღო პირი.

თამადაც რო არა ჩქარობდა?.. პროფესორი თამადობდა, ოსტატი გვარამისა. არა ჩქარობდა. თამადობაც არა სჩვეოდა. არც დათანხმდებოდა. აქ ყველაზე მხნედ შენ გამოიყურებიო, დიდედამ დაარწმუნა. მხვთისთა ეჯიბობდა, აქ არ შეჰფეროდა თამადობაო. დაარწმუნა. ირწმუნა. თამადობდა, და არცა თამადობდა. თუ ელოდა, ეგება შეთვრეს ვინმეო, დაინარჩუნოს ბურთი და მოეფინოს დამთრობაც არავინა სჩანდა. არ გასცილდებოდა ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოსა, თითქოს ის იყო, თითქოს რო არაც წავიდოდნენ წინა. წინაც ის იყო და აქანაც ეს იყო. თითქოსაო. იდგნენ. იქ მაინც თავი გამოიდო ყველამა, მეფე-დედოფლის დღეგრძელობისასა, თამადამაცა, თვით თამადამა დიდედამაცა, იმანაცა, ნიკაპით რო დაჰკიდებოდა მაგიდასა, იმანაცა, სალომემ ჰო და რალა თქმა უნდა, ეჯიბმაცა, მდადემაცა, ყველამამეთქი, — ნახევრობამდის მოსვეს ჰიქები, ასე გამოიდეს თავი. თამადა არ ახირებულა: ძირამდისაო. არც სხვა არავინ ახირებულა. მერე დიდედამა თქვა: რაც არის, არის, მოდით, ეს დავცალოთო, თქვა და გამოსცალა. გამოსცალა და აეფაკლა ლოყები. იდაყვებით დაეყრდნო მაგიდასა. ხელები აიფარა სახეზედა. სიცილი მორთო. დასცალეს სხვებმაცა. იცინეს სხვებმაცა, დიდიხანია რო ჰიქა არ გამოეცალათ. ქორწილიაო, იმართლეს თავი. ქორწილიაო. შესძახა იმანაცა, ნიკაპით რო დაჰკიდებოდა მაგიდასა, კინალამ გადავარდა სკამიდანა. ხელი შეაშველეს. გამაგრდა ისევე. მოვუსმინოთო და ყურადღებადა ქცეულიყო ისიცა. უნდა თქმულიყო, უნდა ეთამადა თამადასა: მაშ გაუმარჯოს დიდედასაო, იდღეგრძელოსო, ასწია ჰიქაი, შემართა, მოსვა, დადგა ფრთხილადა, — თამადობდა; გაუმარჯოსო, იდღეგრძელოსო, დასძენდნენ სხვანიცა, მოსვამდნენ სხვანიცა, ოდნავადა რალა თქმა უნდა. არ იყაბულა დეიდა სალომემა: უნდა ითქვასო, უნდა დაიცალოს კიდევაცაო, ეს უბრალო დიდედა არ არის და დიდედა უბრალო არც შეიძლება იყოსო. ეამა თამადასა, გაიღიმა ღიმილითა დაამებულსა. არიქა, ეგება გვეშველესო, ცეცხლი შეუნთოს ეგებაო. შეუნთოსო

და შეუნთო, ქადაგად დავარდა თითქოსაო, დეიდა სალომეი რაღა თქმა უნდა ,თქვა და თქვა, ილაპარაკა და ილაპარაკა, გმირი თუ გმირიაო, დიდედაც გმირიაო, — დაასკვნა ბოლოსა, — შეჰხედავ, ფერფლი გეგონებაო, ოღონდ ის ფერფლია, სიცოცხლე რო წარმომდგარა ამისაგანაო, სიცოცხლე და სილამაზეო, თქვა და თქვა, ასე იგავადა და ცხადლივადა ასე, გატაცებითა, ალტაცებითა, თითქოს რო უნდა გაალვივოს ეს სხვანიცაო, ეს აგრეთვე ფერფლადქცეულნიო, გაალვივოს და დააიმედოს, ახალი სიცოცხლის წყარონი რო ბრძანდებიანო, ანთუ უშვიათ უკვე ახალი სიცოცხლეი, სიცოცხლენი ახალნი, უშვიათ, აფრენილან, დანავარდობენ. შემოიქროლებენ აგერ აქაცა, შემოევლებიან ჭერსა, ჭიკჭიკითაო, გალობითაო, შემოევლებიან და დაჰხედავენო ნაცართა მათა, საიდან რო აფრენილანო.

„ზღაპრებია!..“

ხელი ჩაიქნია, სუსტი ხელი, გამხდარმა ქალმა, ლამის მოსწყდება ჩინჩხვარივითაო, გეგონებოდა. გამხდარმაო. დიდი ვერაფერი მინიშნებაა, თითქმის ყველა რო გამხდარიყო, რო ვერ შეედრებოდა ვერცერთი იმათგანი დეიდა სალომესა, ვერ შეედრებოდა. დეიდა სალომეს შურდა იმათი. სხვაგან დიეტის ახალ-ახალ მეთოდებს იძიებდა ხოლმე დეიდა სალომეი, იქ დიეტიანი ქალები ისხდნენ, აქ არა, ამათ დიეტა არ უნდოდათ, აქ ამაზე არც არას ამბობდა დეიდა სალომეი: ფერფლი, სიცოცხლე რო აფრინდებაო...

„ზღაპრებილა შემოგვრჩა....“

„ჩვენც ზღაპრებს შევრჩით...“

„ერთმანეთსაც შევრჩით...“

„რანილა შევრჩით?!.“

„აი თუ რანი!...“ — ახალგაზრდებით რაღა თქმა უნდა.

„ღმერთმა დაიფაროთ ჩვენი ღლისაგანა!...“

„ღმერთმა დაიფაროთ!..“

„მაგრამ!..“

„ჰოოოოოო!..“

„და შემოგვრჩება ისევ ზღაპრები.“

„მთხრობელნიცა ზღაპრებისა...“

„მთხრობელნი და არა შემოქმედნი...“

„ზღაპრებისა?..“

„თუნდაც ზღაპრებისა, არც უზღაპრებოთ რო არ იქნება...“

„ზღაპრებითაც ველარ დავრჩებით.“

„ვერარა!..“

„ღმერთო, შენ გვიხსენ, შენღა ხარ მხოლოდ იმედი ჩვენი!..“

არც იოხებოდნენ, არც შეიმჩნეოდა თითქოსაო ვინ თუ რას ამბობდა, გამოთითოებაც არ იყო საჭირო, იგივეს ამბობდნენ, ერთგვარივე განწყობილებითა, ხმითაცა თითქოს ერთგვარივეთიო, რომელს თუ რომელი მოუწევდა, იმას წარმოთქვამდა, სხვა თუ მოუწევდა, სულერთიაო, მიადევნებდა იმავე განცდასა. თამადაც რო არა ჩქარობდა, ერჩივნათ ცხადია, არც ამ შესიტყვებაში ჩაერეოდა, მხოლოდ უსმენდა, უსმენდა და ეთანხმებოდა, რო არც მოესმინა, ნაცნობი გახლდა ჰო ყველაფერი, რო არც რო ეთქვათ იმათაცა, უცხო რა იყო?.. ამბობდნენ მაინცა, გულს იოხებდნენ, აქ იოხებდნენ გულსა, აქაც შიშითა, შიშს რო დიდი თვალები აქვსო, მაინც აქ უფრო გაგულადებულიყვნენ.

„ღმერთმა ჰო გვიბრძანა, მკლავი გაანძრიეთ და გიშველითო?..“

„რომელი მკლავი, თუ შეგიკრეს და ისე გადაგაგდეს ზღვაშია?!.“

„შენ ეგა თქვი!..“

„ჯერ ხელი შეგვიხსნას...“

„ღმერთმა?..“

„თუნდაც ეშმაკმა...“

„არა!.. არა, არა, არა, არა, არა!.. მხოლოდ ღმერთმა!..“

„მოჯამაგირედ დაგიყენებია და ისაა!..“

„დაგვზარებია ყველაფერი, ხელის გახსნაც დაგვზარებია...“

„ჩვენ დაგვამსხვრიეს!..“

„გლეხი?..“

„გლეხიც დაამსხვრიეს.“

„დაამსხვრიეს!.. ჰმ!.. ვაზს რო გას-

ჩეხს და საზამთროს დასთესს ქართველი გლეხი!..“

„ქართველი გლეხი!.. ამაყადა ძღერს, მაგრამ რად გინდათ, რო სულელი იყვეს ქართველი გლეხი?!.““

„ვენახს რო გასჩეხს!..“

„როცა ტყემალსა და ყურძენს ერთი ფასი დასდებია და როცა ფასს გადამთიელი გიდგენს!..“

„როგორ აურიეს ყველაფერი ერთიმეორეში ,როგორ ჩახლართეს, რა ღმერთიო, რა ეშმაკიო, ორივენი ერთადაც ვეღარ გამოხსნიან!..“

ეს დასკვნა იმანვე გამოიტანა, ციმბირი უკვე რო ახეხინეს, რო ავიწყდებოდა თუ რა ახეხინეს, დიდედაც თითქოს იმასვე დარაჯობდა: სსსსს.... თამადას მოვუსმინოთო. კეთილიო, დათანხმდა თამადაცა ასეთი თამადა გახლდა. უახლოესი, ღვიძლი ნათესავების სადღეგრძელო უნდა თქმულიყო: ვინც რო ყველაზე მეტად გაიხარეს ამათი ბედნიერებითაო, ერთად უნდა თქმულიყო, ნეფისაცა, დედოფლისაცა, მაგრამ არა სხანდა არცერთი არცერთი მხრიდანა, თუმცა დიდედა ჰოო,—ჰოო და მორჩა, მოთავებულიყო, გაეზიდა დანარჩენი დროის ქარბორბალასა, უდროოდროოდ გაეზიდა, ხოლო ესენი შენათესავებოდნენ მხოლოდ ბედითა, ასევე რო დარბეულიყვნენ, ასევე რო შემორჩენილიყვნენ თითოთითოდა, მხოლოდ ბედით შენათესავებოდნენ ამათაცა და ერთმანეთსაცა, დარბეული სულით შენათესავებოდნენ და ეგება ეს იყო, რაც იყო, თვით სისხლიერ ნათესაობას რო შეუტოლდებოდა. შეუტოლდებოდა. და აჩქარდა თამადაი: თქვენს დანათესავებას გაუმარჯოსო, ჩვენს დანათესავებასო, თქვენ გაგიმარჯოთო, თქვენი დღეგრძელობა იყოსო, თქვენი სურვილები აღსრულდეს ღმერთმაო, გეყოთ, რაც ტანჯვა გამოიარეთ, ახლა აგისრულოთ იმედებიო, ის დიდი იმედი აგისრულოთ, გულში რო გინთიათ რო გაცოცხლებთ, უმისოდ რო ვერ გასძლებდითო, ის დიდი იმედიო, ის დიდი იმედიო, მიაწყო ასე გალექსილივითა, ჩაარაკრაკა სიტყვები და ჰიმაც; ისევე ჩაარაკრა ეშხში შესული თამადასავითა, ანთუ შემთვრალი თამადასავითა. და ეგება რო მართლაც შემთვრალიყო, გაუბედავი რო გაებედა, ამდგარიყო კიდევაცა, წამოგზნებულიყო კიდევაც, და გულში რაც გინთიათო, შესძახოდა გალეწილ ხალხსა, გალეწილსა, გათქვეფილსა, განიორწყლებულსა, შესძახოდა, გულში მართლაც თუ შერჩენოდათ ნაპერწკალი მაინცა, მართლაც თუ, თორემ აღარც იქნებოდნენ: უბედურობაც არსებობა ყოფილა. და წამოდგნენ უბედურნი კაციან ქალიანადა, ისიც წამოდგა, ნიკაპით რო ეკიდა მაგიდასა, წამოდგა, წამოდგა, როგორც იქნა წამოდგა, არც არავინ მიაშველა ხელი, არც უნდა მიეშველებინა თუ ენთო, კიდევაც უნდა წამომდგარიყო თავისითა. მართალია რო წაიწია ჰჯეთისობმა, ეჯიბმა, მხიარულმა ასულმაც წაიწია, მდადემა, არაო, ანიშნეს ორივესა და შეჰყურებდნენ გულის ფანცქალითა: უნთია თუ არაო. და გაუმარჯოსო, შესძახეს, წამოდგა თუ არა დიდის წვალებითა, შესძახეს ერთადა, შესძახეს რიხითა, თითქოს როგარდაქმნილიყო ის დაფხავებული ხალხი, გარდაქმნილიყო ე ასე თვალდათვალა. ცალკეც დალიეს სადღეგრძელოი იმ ნიკაპითდაკიდულისა: როგორ უხაროდა, როგორ უხაროდა, ეგონა ჩემი კორწილიაო. უბედურება ჯვარსიწერდა. ენთო, ენთო, რახან რო ენთო, ჯვარსაც იწერდა. ენთო, ენთო და გამოხსნაც აქ იყო, თავისუფლებაცა. ენთო. ენთო, ენთო და ეს იყო: მაინც თუ როდის გამოხსნილა ქართველი კაცი, ასე უცებ რო გამოხსნილიყო, — ენთო და ეს იყო. თქვენა ხართ, თქვენაო, ჰიკქიკებდა ფრანგი ქალიცა, ნათესავებიც თქვენა ხართო, სულიც თქვენა ხართ, გულიც თქვენა ხართ თბილისისაო, ლაზითიც თქვენა ხართ, ნამუსიც თქვან ხართ, მშვენებაც თქვენა ხართო, თქვენ რო არ იყოთ, რა გამაჩერებდა ამ ქალქშიო, ამ დაშლილსა

და დაწეწილ ქალაქშიო, ჰკუაგონება რო გაბნეულა, პატიოსნება რო გადახვეწილა, რწმენა შებღალულა, ერთგულობა გამოფიტულა, სიყვარული დამჭკნარა და ველარაფერი ველარ მოასულიერებსო, — რა გამაჩერებდა, რა დამაყენებდაო; არაფერიო, ჩუდასტურებდა მეუღლეცა: თავი გადავიკალი და დავბრუნდი, თავს გადავიკლავდი და ისევ გავიქცეოდი, თქვენც რო არ დამხვედროდით, ეს ცეცხლი რო არ შემოგენახათო. რო არ დამხვედროდით რო არ შემოგენახათო. თავი გამოიდო სალომემაცა, სხვებმაცა, სხვებმაცა, სიტყვის უთქმელად არ დამჯდარა არცერთი, სალომე მაინც განსხვავდებოდა: ცხოვრებამ თქვენს ბედს რო დამაშორა, აზრიც დაჰკარგა ჩემმა არსებობამაო, — აი ასე განსხვავდებოდა — ახლა თქვენთან ვარ და აზრიც მიპოვნია. ცეცხლიც იგივე გამჩენიაო. ამას შეეფერებოდა ცეცხლი, ლოყებიც ისე აპიწპიწებოდა, იმას არაო, ნიკაპით დაკიდულ კაცსა, უცხო თვალისათვის სასაცილოც იქნებოდა: ცეცხლიო, ცეცხლიო, ისე ხაოდა, მაგრამ იქ არავის არ გაუცინია, არც რო სიბრალული მოჰკიდებია არავისა: იფერფლებოდა ნალვერდალი, შეუკეთებდი და აბრიალდებოდა. აბრიალდებოდა.

დაიზრიალა ზარმა ტელეფონისამა, ჯერ კარის ზარი რო ეგონათ, კარებს მიეჯახა ყველა თვალი.

. დიდედა მიჰხვდა: ტელეფონიაო. მიცუხცუხდა თუ მისრიალდა, ვითომც გაახალგაზრდავებულა, ხმაც ისეთივე ამოუვიდა, ახალგაზრდა რო გეგონებოდა, შემღერებაც რო გეგონებოდა: ალო!.. მაგრამ მალე ფერი წაუვიდა, ისედაც ძლივას შესამჩნევი ფერი, ხელიც მოაფათურა, თითქოს რო სკამი უნდა მიიდგას, თითქოს ველარ გასძლებსო. ჰხვთისომ მიურბებინა სკამი, უშველა კიდეცა, რო ჩამომჯდარიყო, ყურმილიც ჩამოართვა, გაწყვეტილიყო საუბარი, ანთუ დამთავრებულიყო, ჩამოართვა, დასდო.

„ვინ იყო?!.“

იკითხა სალომემა.

„ის...“

ამოიოხრა დიდედამ.

სალომემ ვერ გაიგო, ვინ ისაო, ბევრმაც ვერ გაიგო. შეიძლება რო დაბნეულიყვნენ, რო არ მოჰყოლოდა სიცილი დიდედასი, ჯერ მინელებული, მერე, რო სულაც მინავლებული სიცილი:

„რამდენჯერ უნდა მომილოცონ... რამდენი დაბადების დღე აქვს ადამიანს წელიწადში?!“

„ქორწილია,“ ნიკაპით დაკიდულმა თქვა, „ქორწილიც დაბდების დღეა...“-

XIV

განაგრძეს ქორწილი, თუნდაც დაბადების დღე ყოფილიყო, განაგრძეს.

განაგრძეს და მოათავეს იმავე დღესა, მეორე დღეს რო მიემგზავრებოდნენ.

მიემგზავრებოდნენ და გაემგზავრნენ.

ავიდნენ.

ავიდნენ,

ისე მაღლა, გეგონებოდა:მაღლით ჰო დასცქეროდათ ვარსკვლავები, ძირსაც ეყარა თითქოსაო, ფერთხითაც ეყარა თითქოსა, ვარსკვლავებით რაღა თქმა უნდა. აცეკვდა ნესტანი, ეგონა, რო ვარსკვლავებზე ვცეკვავო. აცეკვდა. აღარა ჰგავდა თაის თავსა, ანთუ ასეთი არ ეხილა გვარამსა.

„გიკვირს?..“

იკითხა ნესტანმა.

„არა!..“

იუარა გვარმმა, იუარა ისე, მართლაც რო უკვირდა, უკვირდა და აროდა კიდევაცა, მხოლოდ სევდისა რო არა ყოფილიყო ნესტანი, ალტაცებაც რო შესძლებოდა.

„მეც მიკვირს,“ მიატანა ნესტანმა, რო გაეხარა, რო ნარნარებდა, „მაგრამ მომბეზრდა თბილისი ისე, აღარ ვიცოდი თუ რა წყალს მივცემოდი. ესეც თუ გიკვირს, გეტყვი ამასაცა, ყველაფერს გეტყვი: მომბეზრდა ყვე-

ლა რო მოდუნებულა, ყველას თავპირი რო ჩამოსტირის, ყველას რო სწყურია, რაღაც რო სწყურია, რო არ იცის თუ რა სწყურია, ხოლო თუ იცის, რო არა სჯერა, რო მოიკლავს წყურვილსა; რო არც იცის, რო არცა სჯერა, რო მაინც უნდა და აღეგზნება ხანდახან ისე, ცეცხლი მოედება ხანდახან ისე, რო აღარცა გგონია თუ არ ჩაიფერფლება, თუ არ გაჰქრება ცეცხლთან ერთად; მაგრამ ჰმ!.. მაგრამ გადაივლის ცეცხლი ისევე, როგორც რო გაჩნდება, და დარჩებიან ადამიანები მოთენთილნი ისევე, მოდუნებულნი ისევე, როგორებსაც რო ცეცხლი მოედოთ; თუ კიდევ რამეს მოინდომებენ, ანთუ კიდევ რაიმე მოაფიქრდებათ, დაბადების დღე თუ მოაფიქრდებათ, დალოცავენ დაბადების დღესა, ამ დაწყევლილ დაბადების დღესა, რო მიმხვდარან, რო დაწყევლილია, მაგრამ დალოცავენ მაინცა, რადგან რო ჰიქას რახან ასწევენ, უნდა დალოცონ, და დალოცავენ თუნდაც წყეულსა.და ლოცავენ წყეულსა. დაწყევლილსა. მომბეზრდა. მომბეზრდა. ანთუ მომბეზრდაო, სუსტი გამოთქმაა, ანთუ ვერც ვახერხებ თუ როგორ გამოვთქვა, ანთუ შენ თუ იცი, უკეთ როგორ ითქმის, — მე მხოლოდ გეტყვი თუ რას განვიცდიდი: ტირილი მერეოდა, მერეოდა და ვერა ვტიროდი. ძალა არა მყოფნიდა. ანთუ ვიღიმოდი უაზროდა, ანთუ ავდევდი მოცინართა, უაზროდა ასევე ცხადია, ავდევდი და ვეშურებოდი, დავრჩენილიყავი ჩემთვისა მარტოდა, რო მეტირა ჩემთვისა, მარტოს მეტირა, უაზროდვე, გაუგებრადვე, რო არც ვიცოდი თუ რა მატიბდა. ვეშურებოდი. ვრჩებოდი მარტოდაცა. და ველარც მარტოდ ვახერხებდი ტირილსა, ვერა, ველარა, ლოდივით მაწვა რაღაც გულზედა, — არა, არა: მაჯლაჯუნასავითა, და არ მანებებდა ცრემლსა. არ მანებებდა. და იცინოდა, რო არ მანებებდა, და მაცინებდა მეცა, რო არა მნებდებოდა ცრემლი, მაცინებდა და ვიცინოდით, ვიცინოდით, ვიცინოდით, ის რო ტკბებოდა და მე რო ვიტანჯებოდი, ამაზე ვიცინოდით. და აღარ მინდოდა დაბადების დღეები, აღარ მინდოდა სადღეგრძელოები დაწყევლილი დღეებისა, სადღეგრძელოები წყეულისა აღარ მინდოდა; აღარც მინდოდა და ვერც წაუვიდოდი. ყველა რო იწყევლიდა დაბადების დღესა და მაინც რო ადღეგრძელებდა. ყველა. ყველანი. სხვა მინაარსი ვერც მოეძებნათ ცხოვრებისა, ვერც მოეძებნათ და ეტყობა, რო არც გააჩნდა სხვა მინაარსი, არც გააჩნდა და არც ექნება არასოდესა, ეტყობა. რა ვიცი. ასე მგონია. უაზრობაა ჩვენი ცხოვრება. უაზრობაა. მომბეზრდა!.. სხვა თუ რა დავარქვა, რო არც გამეგება. ამდენს მაინც მივუხვდი ჩემს თავსა, რო უნდა გამეგლიჯა არტახები ჩემი, რო უნდა სადღაც გადავვარდნილიყავი. მივუხვდი და აი აჰაა: აქა ვარ და აქაც დავრჩები...“

„აქ დარჩები?!.“

ამას მაინც რო აღარ მოელოდა გვარამი.

„ასე მგონია,“ განაგრძო ნესტანმა ისევ იგივე გატაცებითა, „და ნუ იფიქრებდა და ნურც გაიკვირვებ და ნურც გეგონება თითქოს უეცრად გამოვიცვალე. ხმას არ ვიღებდი და ბევრსა ვლაპარაკობ, თავი მაღლა ვერ ამეწია და ვარსკვლავებზე ვცეკვავ, ნუ, ნუ, ნუ გაიკვირვებ: არცა ვლაპარაკობ და არცა ვცეკვავ, მხოლოდ დამტანჯა დუნე სიცოცხლემა, ჩემმაცა და სხვებისამაცა, და გამოვექეცი დუნე სიცოცხლესა, ჩემსასა და სხვებისასაცა მეტი არაფერი. მეტი არაფერი. დამტანჯა და გამოვექეცი. ნუ მიწყენ: შენ თუ არა, ეგება ისედაც გამოვქცეულიყავი, აქ თუ არა, სადმე სხვაგანა, ოღონდ გავქცეულიყავი ოღონდ დამეღწია თავი. ნუ მიწყენ. მიწყენ?.. მაინც ჰო შენ მოგეკოწიწე: მიზანი რო გქონდა. რო ესწრაფოდი, რო ვერ გითრევდა ის დუნე ხალხი, დუნე და ყბედი, აღვსებული უაღრესი სურვილებითა, აღვსებული და უძლურნი იმდენადვე, რამდენადაც რო დიადია სურვილები მათი, უძლურნი,

ჯასრესილნი, განრთხმულნი, ჩაჭყლეტილნი იმა სურვილთა სიდიადის ქვეშა. სხვა არც რა მოჰყვება უმწეობასა სიდიადის წინაშე. არც რა, არც რა!.. ვერ გარკვეულხარ, სიდიადე რო შორეულია, აქვე გგონია და შორეულია, შარაგზა თუ გეგულება იქამდისა, ხოლო სინამდვილეში ბილიკების მეტი რო არაფერი არ გააჩნია, წვრილი, წვრილი, უხილავი ბილიკების მეტი, უამრავ იბილიკისა, ყველას რო თავისი შეჰხვედრია, ყველამ რო თავისი ბილიკით უნდა იაროს, ისე მივიდეს, მიაღწიოს, ანთუ მიაღწიოს უნდა ყველამა, ყველა ბილიკი რო იქ იყრის თავსა, იქა, იქა, ბოლოსდაბოლოსა, მხოლოდდამხოლოდ, ბოლოსდაბოლოსა; თუ ვერ გარკვეულხარო, ვამბობ, ოღონდ არა, შენზედ არ ვამბობ: შენ გამორჩეულიყა ჩემს თვალშია, შენ გეპოვნა ბილიკი შენი და აღარც გახსოვდა სხვა აღარაფერი, ვერც რო მიგეტოვებინა ისინი, უბილიკონი, დაბნეულნი, თუმცა რო აღარც გულში ჩაგქროდა, მაინც ასდევდი უნებლიედა, თანაც ყოველთვის გაგვიანდებოდა, თანაც გეჩქარებოდა ყოველთვისა, არ დაიცდიდი არსად ბოლომდისა, რო გეწეოდა ბილიკი შენი. გეწეოდა. გეწეოდა. გამორჩეულიყა ჩემს თვალშიმეთქია და ეს ვიგრძენი პირველივე შეხვედრისასა. შენ ეს არ გიგრძვნია. შენი უყურადღებობაც არაფრად ჩამიგდია.."

„ჩემი უყურადღებობა?!.",

„თავიდანა... თავიდანა..."

„რომელ თავიდანა?!."

„ჰა, ჰა, ჰა... თავი ერთია, ბოლოც ერთია, შუაა, რაც არის, ზოგჯერ რო თვალიც ველარ მისწვდება, ჰკუაც ველარა."

„მე მეგონა, რო...."

„მოიცა რა!.." შესთხოვა ნესტანმა, შეპასუხება არ ენება, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, უცხო ხმა უშლიდა, „მეც ჰო ავჰყევი იმ საცოდავ ზეიმებსა, დაბადების ზეიმებსა?.. ავჰყევი!.. შენთვის ავჰყევი და შენ ველარა გხვდებოდი, ანთუ: შემოვარდებოდი მოგვიანებითა, გავარდებოდი ნაადრევადა, მე რო ვერც მამჩნევდი და მე რო არცა მწყინდა, რადგან რო სხვებსაც რო ვერ ამჩნევდი, რო ჩაგბეჭდვდოდა ბილიკი შენი, სხვას რო ვერაფერს ვერ დაინახავდი, მე არა მწყინდა, არა, არა, მე არა მწყინდა. არც ისა მწყინდა, რო დაგცინოდნენ. ყველას დასცინოდნენ და დაგცინოდნენ შენცა, ვიდრე გამოჩნდებოდი, მერე გეგებებოდნენ ხარხარითა, სხვებსაც ჰო ასევე!.. რა სიცრუე იყო, რა თვალთმაქცობა!.. მაგრამ მე არა მწყინდამეთქი, თითქოს მართობდა კიდევაცა, თითქოს ამითი გიხდიდი სამაგიეროსა. ერთობოდნენ და ვერთობოდი. მერელა მწყინდა: უკვე ჩვენთან რო დადიოდი, დიდედას ამჩნევდი, მე არა, არა, მაინც ვერ მამჩნევდი. ლობეს ეხვევიან ყურძნის სიყვარულითაო, გამეგონა რაღა თქმა უნდა, მაგრამ არ მინდოდა ავჰყოლოდი სიამაყესა, მერჩივნა, რო მეც არად ჩამეგდო, ანთუ დავლოდებოდი თუ როდის მოიკრებდი ყურადღებასა. ჰა, ჰა, ჰა... სასაცილოა, არა!. ანთუ რაც იყო: მართობდა, მართობდა, დიდედას რო ჰხატავდი და რო ვერა ჰხატავდი. ვერა. ვერა. მართლაც რო ვერა ჰხატავდი. ეს თამაში არ იყო, — ვერა ჰხატავდი. და ვერთობოდი, რო ვერა ჰხატავდი, რო ცხარობდი, რო ბრაზობდი, რო ჰკრულავდი შენივე თავსა. ვერთობოდი. ვერთობოდი. ერთხელ ისედაც გაჰხიე ნახატი, ისე მწარედა, რო დაიკვნესა დიდედამა, დაიკვნესა ისე, მეც ასე მეგონა, ალბათ იმასაცა, რო თვითონ ის გახიე, გაფლითე, გაგლიჯე, თვითონ ისა, ის ცოცხალი ადამიანი. იმან დაიკვნესა, მე სიცილი წამსკდა. ეგება სულელიცა გგონებოდი, ყურადღება რო გყოფნიდა. შენ დიდედას ებოდიშებოდი, ის შენ გამშვიდებდა. გავარდი და გამიწყრა დიდედაი: ეს შენგანაა, თავგზა რო აბნევია, შენ აბუჩად ეკიდებიო. გამიწყრა. გამიწყრა. არც ავხირებივარ. მივმხვდარიყავი, რო მივდგომოდი მეც ჩემს ბილიკსა, შენს ბილიკს რო ასდე-

ვნებოდა, მივდგომოდი და უნდა გავ-ყოლოდი. მივმხვდარიყავი."

„მე რატომ ვერ მივმხვდარიყავი?!."

„მე უნდა აგიხსნა?!."

„თუნდაც!.. მაგრამ რაღა დროსია?!."

„მე მაინც უნდა ვთქვა ჩემი სათქმე-ლი."

„თქვი..."

„დამაცდი?.."

„უთუოდ, უთუოდ!.. აჰა. თუნდაც რო სუნთქვასაც გავიკმიდავ."

„მიმხვდარიყავი," თვალებში უსხდა ვარსკვლავები თითქოსა ნესტანსაო. უს-ხდა და ფუთფუთებდა, „შენც მიმხვ-დარიყავი, მაგრამ უარისა გეშინოდა. ამაყი ბიჭი, ამპარტავანი ბიჭი!.. მე მეცინებოდა, თანაც მეშინოდა მეცა, ვაი თუ სულაც ვერ გაბედოს მეთქი. მეშინოდა და მიკვირდა: ასეთ გაბე-დულს, ამდენი როგორ ვერ გაუბედ-ნიამეთქი. ასე გაბედულსა!." ხელი მოატარა ნესტანმა, ხელი, ზედაც რო ვარსკვლავები დაჰხტოდნენ," მე ჰო ეს უკვე წარმომედგინა?.. სად მოდიოდი, რა განგეზრახა?.. წარმომედგინა. განდ-გე და ალადგინო, რაც რო შებილწა შებილწა ბრბომა, ხელისუფლებისაგან წაქეზებულმა ბრბომა, შემზარავმა ბრბომა. ბრბო რო ყოველთვის ბრბოა და ყოველი ხელისუფლება რო სარგებ-ლობს მისი სიბრმავითა. — გაბედული განზრახვაა, მე ამ გაბედულებამ წამა-ქეზა. ბრბოს ადვილად ვერ დაუპირის-პირდები, განწირულია, ვინც რო დაუ-პირისპირდება ბრბოსა. ვინც მოინ-დომებს. რო თვალი აუხილოს .განწი-რულია ბრბოს უნდა რო ბრმა იყოს. ბრმა იყოს და ბრმად იაროს. ასე ნე-ბავს ბროსა. ცრუბელადები ამითი სარ-გებლობენ. ცრუბელადები მიათრევენ ბრბოსა და მიეთრევინება ისიცა უფს-კრულიდან უფსკრულამდისა. იცვლე-ბიან მიმათრეველნი, ბრბო უცვლელია. ირწმუნებიან, ყველაფერი იცვლებაო, არ ვიცი თუ რამდენად მართალია, ბრბო მაინც უცვლელია, ბრბო მაინც არის მარადიული თუ მართლაც ყველა-ფერი იცვლება ქვეყნადა. ბრბო მარა-დიულია. მე ეს შენმა გადაწყვეტილე-ბამ მომაფიქრა. შენ მარცხისათვის გა-დაგედო თავი, თავი გადაგედო ასე ცამოწმენდილზე, როცა თავგანწირვას სახელი არ მოსდევს, მითუმეტეს თუ მარტოცა ბრძანდები, ამბის გამომტა-ნიც თუ არ გახლავს თანა. არ მემეტე-ბოდი ამდაგვარი სიმარტოვისთვისა. მეცოდებოდი მეცოდებოდი და შენ-თან მინდოდა. ჰა, ჰა, ჰა... გამოგიტყ-დი?!.. შენთან მინდოდა, ისე, ისე, არა-ფერს სხვას რო არა ვფიქრობდი თავ-დაპირველადა, არაფერს სხვასა: ოლ-ონდ რო შემომხედა თანაგრძნობითა, ოლონდ რო ჭირისოფლი მომეწმინდა შენთვისა და მეთქვა რაიმ გამამხნევე-ბი, სასოწარკვეთიდან რო გამოგიყვან-და, რო აღგიდგენდა ისევა ძალღონესა. შეიმართებოდი ისევ ისევე. ჰა, ჰა, ჰა... რა დიდ მოვალეობასა ვკისრულობ-დი!.. ვინ მოშლიდა, მე ვიყავი და ჩე-მი წარმოსახვანი, ჰა, ჰა, ჰა!.. შენ ამას აბა როგორ მიჰხვდებოდი, თითქოს რო გამირბოდი კიდევაცა, ანთუ ყოველ-თვის რო გარბოდი, ყოველთვის რო სადღაც მიგეჩქარებოდა. ვერ მიმიხვ-დებოდი რაღა თქმა უნდა. არც მე შე-მეტყობოდა, მართალი რო გითხრა, არა, არაფერი არ შემეტყობოდა. ამ-ას ახლა ვამბობ. თორემ მაშინ ჰო არ გამოვტყდებოდი, რო ჩამციებოდი კი-დევაცა. ეს ერთხანსა რაღა თქმა უნდა, მერე ველოდი, ველოდი.. აი მოხდვი-დოდი და... ჰა, ჰა, ჰა!.. მერე იმედი გა-დამიწყდა... მერე ხელი ჩავიქნიე...."

„და რო არ წამოსცდენოდა ჰხვთი-სოსა?!."

„წამოსცდა?!."

„წამოსცდა..."

„ოოოოო... მეგონა, რო წინასწარ მოემზადენით, მეგონა, რო მიცდი-დით."

„მე გიცდიდი, ჰხვთისო არა, ჰხვთი-სომ ამდენი არც იცოდა, ანთუ არც არაფერი არ იცოდა, მხოლოდ სწუხდა, რო ვყოვნდებოდი, თვითონაც რო აღ-არ ედგომებოდა თბილისშია".

„განგება!.."

„მიზეზით და შედეგით...“

„რა ამაღლებულია განგების ხელი და რა მდაბიურია ეგ გამონაგონი.“

„მდაბიურობის თეორიიდანაა. რაც იყო, იყო...“

„რაც არის თუ არის?!.“

„ეს მაინც არის: აგერ აქა ვართ.“

„ვართ...“

„ნულარ იკითხავ: თუ ვართო!..“

„აღარ ვიკითხავ...“

ლოდს მისდგომოდნენ, ვეებასა ჰო თავისთავადა, ჩამოთლილსაცა, ჩამობრტყელებულსა, დაფის მინამგვანსა ცალი მხრითა და ეგება რო დაფადაც იყენებდნენ ბერნი მონასტრისანი; მისდგმოდნენ, დაყუდებულიყო რო ნაპრალის პირასა, სიღრმეს თვალი რო ვერ უწვდებოდა, ვერც სხვა ნაპრალთ ვერ მიუწვდებოდა, რკალად რო ერტყა მონასტრის გარემოსა, ხოლო სივიწროვე აქ იმადა თქმულა, კინკიბურად რო იდგა ლოდი, კინკიბურადა და აქარებულადაცა, თითქოს აი შეინძრევაო, აყირავდება და გადაიქცევაო, გადაიქცევა და გადაიშოტება იქითა ნაპირამდისაო, თითქოსაო, თითქოსაო, ისე თითქოსაო, სცადეს კიდევაცა, გადაექციათ, გაედოთ ხიდადა, გადასულიყვნენ იქითა, ველობზედა. გადსულიყვნენ. შემოერბინათ, დამიჰირე — დაგიჰეროთ, შემოერბინათ იქით ველობი გაფენილიყო. მთას ჩამოეკალთავებინა. მერე იქ შვეულმფრენიც ჩამოჯდება. მერე. მერე. ჯერ აქამომდე დიდიხანია აღარავის დაედგა ფეხი, აღარავისა. ესენი ცდილობდნენ. ამაოდა ცდილობდნენ, ძვრაც რო ვერ უყვეს ვეება ლოდსა, თუმცა ისე სჩანდა, წკიპურტი ეყოფა, ერთი შებერვაც ეყოფაო, ამჩატებულა თითქოს ეგრედაო, მიყრდნობითაც რო ვერ მიეყრდნობოდი, შეგეშინდებოდა რაღა თქმა უნდა. მერე ძელურიც იქვე აავეს. ხიდიც იქ გასდეს, ქათმებიც ჰო იქით გაუშვეს იალაღადა, ციცირებიცა, ინდაურებიცა. თუმცა ერიჰაა, რა დროს ქათმებია, ვარსკვლავები რო დაყრილიყო ზედა, თითქოს დაყრილიყო რაღა თქმა უნდა, ისე რო ციმციმებდა ველობი, გაღმა ციმციმებდა. ხელი რო უნდა მიეწვდინა ნესტანსა, თითქოს უნდა მიეწვდინა, თანაც რო ლოდსაც რო დაჰყრნობოდა ცალი ხელითა, ლოდიც რო თითქოს რო უნდა გაფრინდესო, რა დროს ქათმებია თუ ინდაურებით, მაგრამ რას იზამ, როცა რო არაფერი არ გამოეპარება თვალსა, მომთხრობელის თვალსა, არც უნდა გამოეპაროს, არა ცხადია. მაგრამ ქათმების დრო მაინც არ არის, არა, არა, ნამდვილად არა, — ჯაურებისა კიდევ ჰოო, ჯაურებიც რო პოეტურად აზიმზიმდებოდა ვარსკვლავიანი ცისქვეშეთშია. ახლა თუ მართლა იმასაც იკითხავ: ნეტავი ეს ჯაურა რაღა არისო, — ნუ აჩქარდები, კიდევ ითქმის, კიდევაც დაიხატება, ხოლო თუ მაინც ამიჩქარდები, ჩაჰხედე ლექსიკონსა. ეგება რო გამორჩენოდეთ კიდევაცა, მაშინ გაიკითხ-გამოიკითხე; ეგება რო ვერც გიპასუხონ, რაც კომბაინი შემოვიდა, ბევრი რამ დაიკარგა მკის ლექსიკიდანა, თიბვის ლექსიკიდანა. მთაში მაინც უნდა შემორჩენილიყოს, კომბაინს იქამდის რო ვერ აუღწევია, მაგრამ მთიდან რო ხალხი აიყარა?.. ერიჰააა, ველარ მიმისწავლებია და ისაა. ჰო.... თუმცა ჯერ მაინც ჰო იქა ვარ: ლოდიც რო თითქოს უნდა გაფრინდესო, — იქა ვარ: და შეიპყრო გვარამმა ხელიცა ნესტანისა, ლოდიცა თითქოსაო, შეიპყრო და ეპყრა, ეგრე ეპყრო და ეგრედვე განაგრძობდა ნესტანი:

„აქა ვართ და უნდა გავაცოცხლ წარსული. წარსული. წარსული. აწმყო უნდა გავაცოცხლოთ. არა?!. წარსული რო აწმყოა, იმიტომ უნდა გავაცოცხლოთ წარსული, იმიტომა, იმიტომა. აწმყო იმიტომა გვაქვს, წარსული რო გვაქვს და იმიტომაც უნდა მოგვისპონ წარსული, აწმყო რო მოგვისპონ. აწმყო სძულთ ჩვენი, აწმყო სძულთ და წარსულს იმიტომაც გადაჰკიდებიან. სხვების წარსული მოიშორეს ერთი ხელის კვრითა, ჩვენი არ გამოდგა ეგრე ადვილად მოსაშორებელი, იმიტო-

მაცა ვძულვართ სხვებზე მეტადა, იმიტომაც დაგვცინიან მომეტებულადა: გიორგობას გვართმევენ და იაკინთობას გვთავაზობენ, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, გვარწმუნებენ იმიტომაცა, გაზაფხული თებერვალში იწყებაო, ჩაგვჩიჩინებენ ამასაცა, და რო ვდუმვართ, თანხმობა ჰგონიათ, — დუმილი თანხმობის ნიშანიაო, მართალი ჰგონიათ. ჰგონიათ თუ არა ჰგონიათ, ურჩევნიათ რო მაინც რო ესა: რო არ ირხევა ხალხი, არ ინძრევა, არც არასა ჰქმნის, არც არასა ფიქრობს, აზრიც არ უჩანს არავითარი. მაინც ეს ურჩევნიათ. ჩვენ ამითი უარვჰყოფთ ძალადობასა და ჩვენს თავსა რო უარვჰყოფთ ამითივე, უბედურება აი ეს არის. სხვა უბედურება ვერას დაგვაკლებდა, ესაა რო გადაგვაშენებს. გადაგვაშენებს. გადაგვაშენებს. ვდგევართ ასე უფსკრულის პირასა, ასე, ასე: წავა ეს ლოდი და წაგვიღებს თანა..."

„გამოეცალე!.."

გვარამი შეშინდა თითქოსაო.

„აბა იმ უფსკრულს გამოეცალე?.."

ორივე ხელი შემოჰხვია ლოდსა ნესტანმა, თითქოს რო აი უნდა ასწიოს, გადააგდოს და თან გადაჰყვესო.

„ემანდ ეშმაკის მახე არ ეგოს!.."

მხრები დაუქირა გვარამმა.

„სად არ აგია?!."

„მითუმეტესა!.."

„მაინც ვერ ასცდები. ეშმაკი წყლის რიაო. ყველაფერიც გაწყალებულა და ყველგანაც წამოსკუპებულა ეშმაკი." მაინც არ მოეშვა ნესტანი ლოდსა, შემობრუნდა, მიეყრდნო ზუოგითა, ალბათ რო ასე ზურგთუკულმა უნდა გადაჰყვესო. „აქ მაინც აღარ უნდა გაჩერებულიყვეს, აუკლია აქ ყველაფერი, მოუმუსრია, მოუნარიკლებია, მოუთავებია საქმეი თავისი, მოუკლავს ჟინი. ახლა აქ ისევ ღვთის თვალი ტრიალებს, ჩვენც ალბათ ღვთის თვალს მოუწვევიართ, ჩვენ აღვადგენთ წარსულსა ჩვენსა და აღვიდგენთ თავსა ჩვენს. ღმერთსაც მეტი რაიღა ძალუძს: გვიჩვენოს გზაი!.. და აი გზაი: აღვადგინოთ წარსული ჩვენი..."

„ცოტა დრო არ გვეყოფა..."

„ბევრი იყოს."

„იყოს?..."

„იყოს!.."

„აქ... აქ არც ისე ადვილი ...ნება."

„იქა?.. იქ ადვილია?.."

„იქ მაინც..."

„აქ რაო?.."

„იცი...

„ჩემი გეეჭვება?.."

„არა!.. არა!.. სხვა რამის თქმა მინდა."

„ნუ გეეჭვება!.. არა!.. უეცრად არ გადამივიწყვეტია, არც გადავთქვამ რო უეცრადა. რა მომენატრება: საცოდავი დაბადების დღეები თუ კომკავშირული ქორწინებანი ბორის ძნელაძეში?.. არა, მაინც რა მომენატრება?.."

„მე სხვა რამის თქმა მინდოდა."

„ჯერ ეს მიპასუხე."

„ვთქვათ.." დააყოვნა გვარამმა. დააყოვნა, დაყოვნა, მერე დამარცვლა: „დი-დე-და?.."

„დიდედა!.." ჯერ თითქოს სული შეუგუბდა ნესტანსაო, ამოისუნთქა მერე ისე გაჭირვებითა, მერე ცრემლები გადმოსცვივდა, აციმციმდა ცრემლები, აქვე აციმციმდა მომცრო ვარსკვლავები.

„არ უნდა მეთქვა..." ინანა გვარამმა.

„ის უნდა მეთქვა, რაც უნდა მეთქვა: აქ მაინც მთაა, ბუნებას თავისი სიმკაცრე გააჩნია".

„რა არის სიმკაცრე ბუნებისა, კაცთა სიმკაცრესთან შედარებითა?.." შეიშრო ცრემლი ნესტანმა.

„ორივე გაუსაძლისია."

„რომელი უფრო?.."

„იქ ისა, აქ ესა: აქ საშინელი ზამთარი ელოდინება."

„იქაც ჰო ზამთარია, გაუნელებელი ზამთარი?!." მიადევნა ნესტანმა.

„ერთი გაყინული გონება განაგებს ყველაფერსა. ერთი გაყინული გონება ბრძანებს, უამრავი უკანტურებს თავსა, გაყინულ თავსა, უკანტურებს და უკანტრებს. მოძრაობაც ესაა, პროგრესიც ესაა, წინსვლაც ესაა აღაყლაყებული

მწვერვალებისაკენა. საქმეც ამასა ჰქვიან რალა თქმა უნდა ამ ყიამით ზამთარშია, ყიამეთსა და ქარბუქიანში, როცა აღარაფერიც აღარ დაინახება, ანთუ მხოლოდ იმას თუ დაინახავ, როგორ რო ცვივა ხალხი, როგორ რო ეყრება თოვლი, როგორ იფლობა და ჰქრება ლანდები, უსახური ლანდები, ანთუ ლანდები ერთგვაროვანი, ჰქრება, იფლობა, ითოშება, იყინება აუღებელი თოვლის ქვეშა. იყინება. და თუ გალხვა ოდესმე, გონება თუ გალხვა, თოვლი თუ აიღო, თუ გალხვა ხალხიცა, მერე რა იქნება, ეს აღარ ვიცი. ეგება ისევ ეს გამყინვარება სჯობდეს. ეგება. ეგება. რაც თუ იქნება, მაინც გაზაფხულს ელოდებიან და გაზაფხულიც ჰო დიდი მოსდევს ზამთარსა დიდსა, — ნიაღვრებიანი, მეწყერებიანი, წარღვნებიანი. ის წარღვნაც სწორედ რო გაზაფხულისა გახლდა, ერთი კიდობანი როლა გადარჩა. ერთი, ერთი. და მოვხვდებით თუ არა კიდობანში ჩვენცა კიდევა, — აი რა არის საკითხავი, მწარე საკითხავი. უნდა გვჯეროდეს, რო მოვხვდებით. უნდა. უნდა. თორემ ისე რა აზრი ექნება ტაძრის აღდგენასა, წარსულის აღდგენასა, რა აზრი, რაი, თუ კიდობანში არ გვერგო ადგილი?!. მანამდე ზამთარია გაუსაძლისი. უნდა გავუძლოთ. გაძლებაც ეს არის. ისტორიას რო არ დავკარგავთ, გადარჩენაც ეს არის, სიცოცხლეც ეს არის. იცი. მე არ შთაგაგონებ რალა თქმა უნდა. მე ეს შენგან დამისწავლია, შენ რო არც იცოდი, რო მასწავლიდი, მე რო არ ვიცოდი თუ რასა ვსწავლობდი. უცნაურია, არა?.. არა, რადა, რადა?!. არაფერი აქ უცნაური არ არის: შენ გამოდექი მასწავლებლადა, მე მოწაფედა... არა?.. აი აქა ვარ!.. ვარ!.. შენ გეგონა, რო არ მოგიცდიდი, სწორედ გეგონა, სად უნდა მეცადა?!" და გადეკრა ლოდსა ნესტანი, გადაეფინა ეგრე ზურგითა, მკლავები გადაჰყარა, გაშალა, გაჰიმა, ჯვარივით დააცხვა და შანათა თვალები ცასა, თვალები სავსე ვარსკვლავებითა ვარსკლავებიან ცას შეანათა, მთვარე რო არ იჯდა ჯერ რო ცაზედა, მთვარეს დაევახშმა, რო ჰაზჰახებდა უიმისოდა.

„სადა?!. აქ არა სჯობიან!.."

დაუდასტურა გვარამმა ცხადია, დაუდასტურა ისე იმგვარად, თითქოს რო მაინც არა სჯეროდა, თითქოს სიზმარია, ცხადლივი სიზმარიო, რო მილულავდა თვალსა, რო იტყუებდა თავს: ვითომ რო აი მთასაც მივადექით, ვითომ რო აი ავდივართ კიდევაცაო, ვითომ რო აი წინაც მიმიხტის ქურციკვითაო, ნესტანი ცხადია, ვითომ რო აი ხელსაც მიქნევსო, ისევ მიმიხტის და ისევე მიქნევს ხელსაო, ვითომც რო აი დაიღლებაო, დაიღლება და მიცდის, მიცდის და დამეყრდნობა, ეგრე მომდევს, ეგრე მომყვება და რაც უფრო მაღლა ავდივართ, მითუფრო მეტად მოსწყდება მუხლიო, ვითომ რო მერე ხელში ავიყვან და ამყავს ეგრე ხელთაყვანილიო, ამყავს, ავდივარ და ვდგევართ მთაზედა მე და ტაძარი, ამაღლების ტაძარი, ჩვენ ორნი ორნი ვდგევართ და ორივეს გვიპყრია ხელთა დაღლილი ასული, ანთუ ორივე ერთად მივუდივართ ტაძარსა, ერთადა, ერთადა, ვითარცა სტუმარი სანუკვარიო, აქამდე სტუმარი, ამიერიდან რო აქ დარჩება და სიცოცხლეს მიანიჭებს უდაბურებასა, რადგან რო მკვდარია ტაძარიცა უადამიანოდა, თვით პირველქმნილი, ხელშეუხები, მითუფრო გაპარტახებული ასე ამგვარადა. მკვდარია. მკვდარია. და ვითომ ცრემლიცა სდიოდა ტაძარსა, სიხარულის ცრემლი. ვითომ ვითომაო. რო მილულავდა თვალსა, გახლდა და ფაფუ, ანთუ დაჰყურებდა თავისი ნახატები: შიშველი ქალები, ზოგი ასლები, ზოგი თავი მხოლოდა, მშვენიერი თავი, ანთუ გულმკერდი მხოლოდა, ანთუ წელი, ანთუ წელსქვევითაც: გავა, მუხლები, ნაჭრები, რო აირეოდა და ერთიან დებოდა თითქოსაო, ანთუ დაიგლიჯებოდა მთელი სხეული და დაჰქროდა ეგრე ნაფლეთებადა. მილულავდა და

გაახელდა. მილულავდა და გაახელდა იგივე გახლდა: გადაჰკვროდა ლოდსა ნესტანი, ემოსა თეთრი და სახეც ისევე გადასთეთრებოდა და ლოდი იყო ლოდისფერი რაღა თქმა უნდა, აბზინებული შარავანდითა და იჯდა ჯვარი შარავანდშია, თეთრი, თეთრი ჯვარი, ქათქათებდა ჯვარი შარავანდშია და მუხლი მოიყრებოდა თავისთავადაც, თავისთავადა...

და შეძოძგინდა

გვარამი:

აღარსად ასული, არც რო სიტყვაო, სუნთქვაც აღარაო, იყო ჯვარი და მეტი არაფერი. სასწაულიც ალბათ რო ესა ყოფილა: იყო ჯვარი და მეტი არაფერი, ჯვარი შარავანდმოსილი. და რო შეძოძგინდა, ის არაფერიო, მერე გაქვავდა, გვარამი ცხადია, ჯვარივით გაქვავდა თითქოსაო და ზედ დაეცა ჯვარსა შარავანდოვანსა, თითქოს რო ჩაამსხვრევს და დაემსხვრევაო. მაგრამ არაო, შენივთდა თითქოსაო, შენივთდა, უძრავიქმნა. და ჰახჰახებდა ცაი, ცაი ისეთი, ვარსკვლავებს რო გადმოჰყრის ხოლმე, გადჰმოყრის, აფრქვევს, ფანტავს ხოლმე უშურველადა, ხან თითქოს რო ბლუჯადაც მოგაყრის, წაგეკიდება თითქოსაო. საით გაიქცე რო აღარ იცი, ცაი ისეთი, ოღონდ იმწუთას ბწკალიც რო არ ჩამოსწყვეტია, შეჩერდა თითქოსა გაკვირვებული თავისივე სასწაულითა, მხოლოდ იმ წუთსა. მერე ჩამოიფრქვევა ერთბაშადაო. და აიშალა ჯვარი და შეიკრა ჯვარი და შეისკვნა ჯვარი და აღიმართა... ჯვარი აღარა: კაცი აღიმართა, თუნდაც რო ლანდიო, სხივთა კონა რო გაედო მკლავზედა, ეგრე აღიმართა, ეგრევ გაექანა სენაკებისაკენა, ქვის კიბეც ეგრევე აირბინა, აირბინა მაღალი საფეხურები, სხვა დროს რო მაღლად ეჩვენებოდა, ლაღად აირბინა მსუბუქად აირბინა, აირბინა და შთაინთქა ბნელშიო თითქოსა, ბნელად რო მოსჩანდა შესასვლელები სენაკებისა: ეფინა ნათელი და ასხდა ბნელი. და იფრქვევოდა ცაი და იყო ნათელი და ასხდა ბნელი.

XV

— ეს ასე გახლდა — ასე და უცებ: ვეღარ დაგაცდით, — უცებ, უცება, მანამდე რო არაფერი არა თქმულა ამდაგვარი, შემჩნევათაც არ შემჩნევია, ოდნავადაც არა. უცაბედად გამოდგა უცებ — მოვდივარო, უცებ — დავბრუნდეთო. არა: წავიდეთო, ასე გამოთქვა, მაგრამ სულერთია, გავეცალოთ აქაობასაო. უცაბედა გამოდგა. ის მოგეწონა, ეს აღარ გიჯდება ჭკუაშია, მაშინ მაშინვე აჰყევი, ნარზე რო იჯექი ჩიტივითა, ახლა თავის აწევაც არ მოგიხერხდება, ყელამდის რო ჩაფლულხარ საქმეშია; რო ვერ დაბრუნდები ასე ხელდახელა. მტკიცება არ უნდა, რო არც ეს გადასთქვამს, ეს გამხდარა თავშისაცემადა. იეცი თავში!.. აქამდის რო ხმამაღალი სიტყვა არა თქმულა, ხმადაბალიც რო ლამის დაივიწყეს, ეგონა, რო ასეც გასტანდა. ამან თავისი საქმე იცოდა, იმან თავისი, ასეც გასტანდა. ასეც გინდოდა. თუმცა გაგეგონა: ცოლქმრობა ბრძოლააო, გაგეგონა, იდეალური ცოლი შეიძლება რო ქვრივებში გამოერიოსო, გაგეგონა, ქმრიანი ქალი იდეალური ვერ იქნებაო, გაგეგონა, იდეალური რო არც არაფერიო, არავინაო. არც არასოდესაო, გაგეგონა, გაგეგონა და ელოდი შენცა ხვედრსა შენსა, ულელში რო ჰყოფდი თავსა, სიხარულითა ჰყოფდი რა თქმა უნდა, სიხარულითვე რო იდგამენ სხვებიცა ულელსა, სიხარულითა, ზეიმითა, ალტაცებითა, იდგამენ და მერე ამტვრევენ ტაბიკებსა, წყვეტენ აპეურებსა, ამტვრევენ რო ლამის ულელსაცა, ამტვრევენ, ამტვრევენ. ზოგს რო მაინც გაუძლებს ულელი. ზოგსა თუ ბევრსა, ტაბიკებს მაინც ამტვრევენ ყველანი, ტაბიკებს მაინც გამოცვლა უნდა, წყვეტენ აპეურებსაცა, აპეურებსაც გამოცვლა უნდა და ეს უფრო გაძნელებულა, თოკიც რო არსად არ

იშოვება, თავი რო ჩამოიხრჩოს კაცმა, იმხელა თოკიცა. ამათ აქამდის გაუძლო აპეურებმა, ტაბიკებმაც გაუძლო აქამდისა. გაუძლო. გაუძლო. ასეც გასტანდა, — გჯეროდა თუ გინდოდა ასე, სულერთია რაღა თქმა უნდა: გაიწიეს ტაბიკებმა, დაიჭიმა აპეურები. დავიწყებოდა, რაც გაეგონა, იქ დარჩენოდა, ქალაქში დარჩენოდა შეუფერებელი ყოველი უკაცრიელი მთებისათვისა. დარჩენოდა. რა დრო გასულიყო?.. ისე უცებ ვერც გამოითვლიდა, რო ვერც იტყოდა თუ რომელი წელი დამდგარიყო. თვესაც ვერ გეტყოდა, ვერც რო დღესა, არცა სჭირდებოდა, არც ეკითხებოდა. იყო ზაფხული რო ამოვიდნენ, ახლაც ზაფხული გათამაშებულიყო. ორი ვაჟი დაბადებულიყო ამ ორი ზაფხულის შუა, — დროც ეს გახლდა, წლებიც ეს იყო, აზრიც ეს იყო ცხოვრებისა. ორი ვაჟი ეზრდებოდათ და ორი სიტყვაც არ ეკადრებინათ ერთმანეთისათვისა მშობლებსა ცხადია. უღელი მიიწევდა გაწონასწორებული, თანაბრად მიჰქონდა ურემი ცხოვრებისა. კარგადრო გასულიყო.

ეგებ რო ბოლომდისაც გასულიყო, უხსენებელი რო — არა...

ჰო გააფრთხილა დიდედამა, — გააფრთხილა, ოღონდ ის მაინც ისე მიიღეს, გოგირდს ვახრჩოლებთ და ის იქნებაო. გოგირდი. გოგირდიც არის დიდიხანია, უხსენებელიც არის და არის. ხელს ვერ უშლიან ერთმანეთსა. ვერავინ ვერაფერს ვერ უშლის ხელსა, მავნეს ვერ უშლის, მავნე რო ბუდობს ყველგან და ყველაფერში. მაინც ის სხვაა, ეს სხვა რამ გამოდგა: ბიჭი იღუპებოდა იმის თვალწინა, აყალყულიყო შემზარაობაი... არა, არა, გახსენებაც საშინელია. წამი, წამი და... არა, არა, გახსენებაც შემზარავია. ვერა, ვეღარა, ვეღარ გამტყუნებ, აქ გაჩერება რო აღარ უნდოდეს, ანთუ აძრწუნებდეს აქ ყველაფერი, ვეღარ გაამტყუნებ. მაგრამ გაუძლოს, რა მოჰხდა, გაუძლოს, ეს ჰო აღარ განმეორდება. განმეორდება და აიცილებენ, მოასწორებენ აქაობასა. ბიჭიც მიჰხვდება, გაფრთხილდება ბიჭი. რაცთუ იქნება ეუნდა, გაუძლო! გუმბათი ეწევა, ისე ეწევა, ვეღარ მიატოვებს: გუმბათის ყელი, მერე გუმბათი, რაც გადარჩენილა, ისიც ისეა, უსაზღვროებას მიერთვის ფითქოსაო, ფითქოს არაფერიც არ გადაჰფარებია. ცა არის და ცაში ადისო, ასე იქნებოდა, უნდა აღადგინოს ასეთადა, უნდა, უნდა, უნდა აღადგინოს. წავიდეთო, ადვილად ითქმის, მერე როდისღა ამობრუნდება, ანთუ შერჩება შთაგონებაი ისეთიგვარი?.. საეჭვოა რაღა თქმა უნდა. უნდა გადაათქმევინოს, ანთუ ეგებ რო გადადებინოს მაინცა. მოაგონოს აღთქმაი იგი ვარსკვლავებიანი ღამისა, ჯერ რო ჯვარსა ჰგავდა, მერე რო სხვათა კონასა, მოაგონოს. მოაგონოს და მოიგონებს, გადაუვლის ეს ქრუანტელი, ის ქრუანტელი დაუბრუნდება. უთუოდა. უთუოდა.. ანთუ ეგებ რო შექანებაი ესე, შენჯღრევაი ესე, უფრო სხვა რამის მანიშნებელიც გახლდა, — რო ერიდებოდა, რო ვერ შეებედნა, დრო იყო უკვე ჰკვეთებოდა ამაღლებასა, დრო იყო, დრო იყო, შთაგონებაც რო გაჰქრება ზოგჯერა, გაჰქრება ისევე, როგორც რო იშვა, უცაბედადა და უშედეგოდა, ეგება ამისი მანიშნებელი გახლდა?..

ეგება?..

იყოს, —

ეკვეთება ამაღლებასა.

ჰხვთისო იქავეა, როგორც რო დასტოვა, ისევე ჰხვდება: მიაგორებს ურიკასა, მიიტანს, ასწევს, ააყირავებს, წავა ხრიალი, წავა, წავა, ჩაიკარგება სადღაც შორსა. ჩაიკარგება. აუჩხია რო მაყვალიცა მთლიანად არა, რაც რო ღორღი გამოუცლია ისე იმდენი, აუგროვებია, აუმთავებია, გახმება, აანთებენ ჰიაკოკონასა. ბიჭი გაიხარებს. გადაახტუნებენ ბიჭსა, გადაახტუნებენ და გადმოახტუნებენ, გადახტებიან თვითონაცა, ვითომც რო ბიჭს ვახალისებთო, თვითონაც რო მოინდომებენ გადახალისებასა, ბავშვობას რო მოიგონებენ, ბავშვობასა, რაც დრო გასულა

სანატრელი რო გამხდარა, მაშინ რო მხოლოდ ვაი და უბედურება რო იყო. და შეჰღიმებენ ერთმანეთსა, შეჰღიმებენ, იგივე რო გაივლო გულში ორივემა, ხოლო ჰხვთისომ ესეც გაივლო: არაფერიც არ უნდა მომხდარიყვეს. დაღლილა, დასვენება წყალმაც იცის. და უფრო გულდაგულ აავსებს ურიკასა, თავს შეუდგამს, დაამძიმებს, დაწნეხს თითქოსაო, გაგორებაც რო გაუჭირდება, ხრიალიც უფრო ძალუმად გაისმის, უფრო ხანგრძლივადაცა, ანთუ ჩხრიალს თუ გადაებმის, ჩხრიალსა ჩაჩხჭერისაი, სადღაც რო ვარდება, სადღაც რო იკარგება, უხმოდ იკარგება უფრო ხშირადა, ინთქმება უფსკრულშია, მერე სიცოცხლე აღარა აქვს აღარც რო ხმასა, მერე შთანთქმაა. ურიკაც ბარემ რო თან გადააყოლოს, ხმა მოიმატებს რაღა თქმა უნდა, გახანგრძლივდება ხმის სიცოცხლეცა და ასწევს ურიკასა ჰხვთისო ისე, რო გადუშვას და თვითონაც გადაჰყვესო, ისე, ისე ენაღვლებოდა. ურიკა მაინ დაენანება, ძლივას აიტანეს იმსიმაღლეზე, კიდევაც საჭიროა, დაენანება, ამოითრევს, გადმოქანდება თვითონაცა რაღა თქმა უნდა, გადმოქანდება, წაფორთხილდება. „ფრთხილად!..“ მიაწვდენს გვარამი, „ჰოო..“ აიმედებს ჰხვთისოი. უფსკრული დუმს, დუმან მთებიცა, ცაც ისეთია, გაავდრებას რო არ აპირებს. მაინც თუ რა სიღრმის უფსკრულთან იდგნენ, უნდოდათ სცოდნოდათ, დროს თუ იშოვნიდნენ, ჩაზომავდნენ კიდევაცა, ჩაეკიდებოდნენ, ჩავიდოდნენ, ჩაზომავდნენ რაღა თქმა უნდა, რო იზომებოდა სიღრმეები დედამიწისაი, ცხოვრების სიღრმეები რო არ იზომებოდა, ცხოვრების უფსკრულები რო არ იზომებოდა, აი ეს იყო სადარდებელი. ამ თვალით შეჰხედეს ერთიმეორესა, ერთიდაიგივე დაიდასტურეს. კარსტულ მღვიმეებსაც დაალწევდა თავსა ადამიანი, ცხოვრების მღვიმეებს ვერავითარ შემთხვევაშიო. აქაცა თანხმდებოდნენ. სიტყვა უკვე ეზედმეტებოდათ, თვალის შევლებაც რო აღარა სჭირდებოდათ, აღარა, აღარა. ურიკაც დაავდეს ისევე ღორღთანა, ნიჩაბიც მიაყუდეს, წერაქვიცა. ხარაჩოები უნდა ამაღლებულიყო.

ამაღლებამდის

უნდა

ამაღლებულიყო

- ჰხვთისომ არ იცოდა, თუ რა ინება სულტანმა, გვარამმა თუ რა გადაუწყვიტა, ურიკა მიაგდო თავისთავადა. ნაჯახი და ბირდაბირი, ხელეჩო და ლურსმანი გამოარჩია: ხარაჩო უნდა ამაღლებულიყო გუმბათამდისა, არც თქმა უნდოდა, არც თხოვნა უნდოდა, გვარამი თუ მიეშველებოდა ჰო კარგიო თუ არა და მარტოდაც გაართმევდა თავსა, გაართმევდა. მიეშველებოდა გვარამიცა რაღა თქმა უნდა, მიეშველებოდა. ადიოდნენ, იწევდნენ ზევით-ზევითა, იწევდნენ. იწევდნენ. ბუბუნებდა ტაძარი, ბუბუნებდა. დაიგუგუნებდა ხანდახანა, შეძოძგინდებოდა, გაგრძელდებოდა მერე ბუბუნი, ღვთაებრივი არა, ავის მომასწავებელი ბუბუნი გაგრძელდებოდა, თითქოს რო არცა ჰგავდა ავსა. უფრო ღვთაებრივი უნდა გვონებოდა, ოღონდ გუგუნი მაინც ავისა გახლდა, ზევიდან რო არა, უდავოდ სიღრმიდან რო ამოდიოდა, ტაძრის სიღრმიდანა, მთების სიღრმიდანა, ისედაც ირყეოდა კედლები, ისე იმგვარადა. ტაძარი ეგება გამეტებულიყო კიდევაცა, მთლად კავკასიონი რო ზანზარებდა თავითობოლომდისა თავითბოლომდისა. თავითბოლომდისა. ღვთის რისხვა თუ ახლოვდებოდა. ღმერთი ჯერ ჰკუას წაართმევს კაცსო. წაერთმია. ახლოვდებოდა. რაღა ჩვენთვის წაერთმიაო. ვაგლახ, ასე იყო. კითხვას პასუხი აღარ გააჩნდა, იქვე წყდებოდა, გაჩანაგება რო იწყებოდა იმას იქითა. უამრავი ჰეფესტო შეჰსეოდა ჯოჯოხეთის მანქანებითა კავკასიონსა, ერთი ამირანი რაღას დაუდგებოდა, ვერ რო გაუძლებდა ვერც რო უამრავი. საავტომობილო გზებით. რკინიგზებით. მეგობრობით. ინტერნაციონალიზმით. თვალნი მიელულათ ალანთა. თავიანთი მიწები წაერთმიათ.

ჩვენსკენ მოერეკათ და: ჩვენც ეგ გვინდაო. თვალნი მიელულათ. ინტერნაციონალიზმიო. განვითარებული სოციალიზმიო. ჩვენც ეგ გვინდაო. ხელგაშვერილის ძეგლი აეგოთ, ხელს ჩვენსკენ იშვერდა ხელგაშვერილი. მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო. ჩვენც ეგ გვინდაო. მზისა რა გითხათ, ამოსვლით მაინც ამოდიოდა ცივი, მყინვარი, გამთოშველი, რაღაც საშინელი. ვეღარ დაუდგებოდა მყინვარებიცა კავკასიონისა, მყინვარი მყინვარს გაასწორებდა, გაშოტავდა მთაგრეხილებს, გაატრამალებდა, ტრამალის ვნება მთაგრეხილებს ვერ მოითმენდა მიყუჟულიყვნენ მაინცა ალანნი, ჩვენ ჩვენთვის რამეს მაინც დავითრევთო. მიყუჟულიყვნენ. მიყუჟულიყვნენ. ირ—არ—რ—აე, არიელნი ვართ, მთლად კავკასია ჩვენ გვეკუთვნისო. ხელი გაეშვირა სამხრეთისაკენა. მოგყვებით მარად შენი ერგულნიო, მარად და მარადო, მთლად ქვეყნიერებამაც რომ ჩაგქოლოსო. და გაეშვირა ხელი, მწყურვალი ხელი, სისხლის მწყურვალი. სად ირ და სად ალ, ვის ისტორიას ჩამოჰკიდებოდნენ, ვისი გაგრძელება ენებათ?.. ისტორიას იპარავდნენ, მიწებს იპარავდნენ, მომავალს იპარავდნენ, მომავალს იპარავდნენ: ჩვენა ვართ არიელნი პირველთაგანნი, გერმანიას ჩვენ გავაგრძელებთო. ღმერთი რო კაცს შემოსწყრება, ჯერ ჭკუას წართმევსო. თუმცა: თუ გაასწორებდნენ კავკასიონსა, ჭკუა ჭკუასთან ახლოს მოვიდოდა. ახლოსა. ახლოსა. ასწორებდნენ მართლა უბედურნი. «არიელნი» წამელიყვნენ. მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო. ამოდის და ამოვიდესო. ჩვენც ეგ გვინდაო, ეგ გვინდაო. თბილისი ემზადებოდა საზეიმოდ. ილიჩს გამოეშვირა ხელი. თბილისი ილიჩს ელოდებოდა. ამოდიოდა, ამოდიოდა, ჩრდილოეთის მზე ამოდიოდა. ილიჩ. ილიჩ. და პრაჟუნებდა ტაძარი და ჰკვნესოდა ტაძარი და ბუზუნებდა ყრუანტელითა, ზოგჯერ რო თითქოს მინელდებოდა, თითქოს რო კიდევაც მიილევაო, გეგონებოდა, მაგრამ იგრგვინებდა სწორედ რო მაშინა, იგრგვინებდა ზეციდანაცა თითქოსაო, ქვესკნელიდანაცა თითქსაო, შედავებულან ღმერთი და სატანაი თითქოსაო, — ვინ იმარჯვებს, ვის დარჩებაო.

ტკრიაცებდა თბილისი,
საზეიმოდ გაბადრებულიყო თბილისი,
ცეკვავდა თბილისი, მღეროდა თბილისი,
უფრო ცეკვავდა, — ცერებზე შემდგარიყო,

ემზადებოდა, ემზადებოდა: ოღონდ რო თავი მოეწონებინა, აღარ ახსოვდა სხვა არაფერი ღმერთი არა სწამდა, არც ეშმაკი სწამდა, არც ისა სჯეროდა თუ შებმულიყვნენ ღმერთი და ეშმაკი: ცეკვავდა, ცეკვავდა, — ტაში, ტაში, ტაში თებრო!.. ემზადებოდა. საეჭვონი გაიყვანეს თბილისიდანა, უფრო საეჭვონი ციმბირს გაუყენეს, იქვე რო დაელიათ სული სამშობლოს ღრუბლის ნატვრაშია, ეს საეჭვონიო, სამი კაცი მართლაც იპოვნეს, გარნიზონიდან რო წაემოღოთ ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ჭაჭაზე გაეცვალათ, კიდევაც რო დაჰპირებოდნენ: თქვენ ჭაჭა მოიტაო, ჩვენ იმდენს გაგატანთ თუნდაც ქვეყანა ამოატრიალეთო. იპოვნეს ვეღარ ამოატრიალებდნენ: ქვეყანას კი არა, ილიჩსაც ვეღარაო. ტაში, ტაში, ტაში თებრო!.. ემზადებოდნენ, ემზადებოდნენ: ჩამობრძანებულიყო, გამოეცხადებინა თუ როგორ გაანგრევდნენ კავკასიონსა, როგორ გაიტანდნენ დროშასა ინტერნაციონალურსა, გაიტანდნენ და გამოიტანდნენ, გაიტანდნენ და გამოიტანდნენ: შირაკა სტრანა მაია როდნაია, — გაიტადნენ და გამოიტანდნენ. ტაში თებრო!.. ემზადებოდნენ: ეგება კიდევაც აღმიწერია ეს ამბავი, ეგება კიდევაც წამოშალეს და აღარ მახსენდება. იმდენი წაუშლიათ, რომელი ერთი გაახსენდება ადამიანსა, რომელ ერთზე იფიქროს, რაც დასაწერია თუ რაც წაუშლიათ?.. — ალბათ ერთზედაცა და მეორეზედაცა. რაც უნდა იყოს, ითქვას კიდევა, რაც უნდა იყოს, სხვაგვარად ითქმის, ან

სხვა რამ ითქმის, გამომრჩებოდა, და ჩამობრძანდა. აჰ!.. იმას არ ვამბობდი, ემზადებოდნენმეთქი?.. ჯერ ემზედებოდნენ რაღა თქმა უნდა: ტრიბუნას აგებდნენ ჯერ კარგახანსა, თუმცა: ჯერ ადგილს არჩევდნენ, — როგორ მავიწყდება!.. არჩევდნენ და თვალი დაადგეს საბურთალოს მოედანსა, — თვალი დაუდგესო, სხვა რამესა ნიშნავს, — თვალი დაადგესმეთქი. მანამდე იქ ისტორიული მნიშვნელობისა არაფერი მომხდარა. თუმცა არაო: სტალინს იქ ერთხელ მანქანა ჩაჰფლობია, გადმოსულა და თვითონ აწვებოდა, ტალახიდან რო ამოეთრია. ოციან წლებშიო, რო ჩამობრძანდაო, რო ენებაო, თავისი თვალით რო ეხილა თავისი გასაბჭოებული საქართველოო. ენება. ეხილა. ტალახშიც აქვე ჩაფლულიყოო. მაშინ ეს მხოლოდ გარეუბანი გახლდა ქალაქისა, ახლა ლამის რო შუაგულშიც მოქცეულიყო, ლამისამეთქი, რო შემოფარგლულიყო ვეება სასტუმროთი, სპორტის სასახლითა, კორპუსებითა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, შემოფარგლულიყო, დაეგდო მოედანი, ისტორიაში რო შევიდოდა ამიერიდანა, იმიტომაცა, აქ რო ითქმოდა კავკასიონი თუ როგორ დაიფშხვნასო და აგრეთვე ისიცა: დროა სტრატეგიულ შეიარაღების ამ გამალებულ პროცესზედაც ავიღოთ ხელიო, ამიტომცა, ამიტომაცა, იქ დასავლეთი რო ამაზე დააჰყეტდა თვალებსა და აქ ავლანეთს რო მიაყრიდა ჯარსა, ამიტომაცა, ამიტომაცა. ძლივს დაფახფახებდა, ყბები მონგრეოდა, ჰკუა მაინც ისევე უჰრიდა. ისევე. აქ ეს ისტორია იკვეთებოდა, ამ მოედანზედა, რო გადასცქეროდა დიდუბესა, სად თამარმა რო იქორწინა, მთლად საქართველო რო ზეიმობდა, საქართველო მაშინდელი: ნიკოფსიიდან დარუბანდამდისა, ბუზს რო ვერავინ აუფრენდა კავკასიონსა, ვერა, ვერავინა. კარგახანს ეძებდნენ ერთისიტყვითა,

ტრიბუნასაც კარგახანს აგებდნენ, —
ალმართეს,
დაანგრიეს,
ააგეს,
მოშალეს,

ვგონებ, რო მესამეთი დაიჯერეს გული. პირველს კიბე მარცხნით მოჰქცეოდა, პროექტით მარჯვნივ იგულისხმებოდით, ამასთან: პირველ კიბესთან მოუშენეს ერთი ტუალეტი, პროექტით ორი უნდა ყოფილიყო: ქირხაცა მაღლაცა, ეს კიბესთანაც ორივე — ოუავე: სადღაც იგი სიტყვა ითქმოდა, იგი უმაღლესი, უზენაესი, იქავე და ისე: ერთის კარი რო მარცხნით გაღებულიყო, მეორესი მარჯვნითა, იმის მიხედვითა თუ რომელ ხელს ასწევდა იგი უზენაესი, გაჭირვებული რო შებრუნდებოდა ზურგისაკენა. იმის მიხედვითა. ამბობდნენ: მეხუთესაც მოიინიშნავდნენო, ხუთი რო საკრალურია ამათთვისა, — ეს ხუთწლედებიო, ეს ხუთქიმიანი ვარსკვლავიო, ამბობდნენ. ოღონდ შესაძლოა ხუმრობა გახლდა. შესაძლოა. თუმცა შეუძლებელიც არ უნდა ყოფილიყოო: არ არის ისეთი ციხესიმაგრე, ბოლშევიკებმა რო ვერ აიღონო, — ამასაც აიღებდნენ რაღა თქმა უნდაო. რაც უნდა იყოს, ტუალეტი ოთხი გამართეს საბოლოოდა, ასეთი ლოზუნგიც რო ჰქონდათ: ხუთწლედი ოთხ წელიწადშიო. ოთხი გამართეს: ორი კიბე აქეთ იქითა, თავის თითო ტუალეტიოა, ერთი ლიფტი შუაგულში, აგრეთვე თავისი ტუალეტითა, ვეებერთელა ტუალეტითა, მოპირკეთებული საუცხოოდა, გასაოცარის ბრწყინვალებითა , მზეს რო შეშერდებოდა, გააღეთ კარი და მაგან ანათოს, მე გადავდგებიო; ეს ჰო სამიო და სამივე იმ ერთისთვისა, ილიჩისთვისა, დანარჩენთათვის ტრიბუნის უკან საფუნთუშე გადააკეთეს სახელდახელოდა, ხუთასი უნიტასი დადგეს, ამბობენ ათასიო, ალბათ რო ხუთასი იკმარებდა, არა და თუნდაც ათასი იყოს, ამალისათვისა, დაცვისათვისა, ერთბაშადაც რო გასჭირებოდათ, ერთბაშადაც მოითავებდნენ, არ მოცდებოდნენ რიგში დგომითა, შეცვივდებოდნენ და გაცვივდებო-

დნენ, რო არ დარჩენოდათ მარტოდა იგი ხალხის წინაშე იგი მოვლენილი მოციქულადა მშვიდობისა, ბედნიერებისა, სოციალისტური თანამეგობრობისა. სიკეთისა ყოველივესი კაცობრიობას რაზეც ეოცნება. სიკეთისა ყოველივესი, ყოველივესი, ეს ისე, მხოლოდ სავარაუდოთა, რაიმ შესაძლო შემთხვევისათვისა, თორემ როგორ მოსცილდებოდნენ, ტყესავით ერტყნენ გარეშემოსა, ქვეშაც ჩეფსათ, ფეხს არ მოიცვლიდნენ, არა, არა რაღა თქმა უნდა.

და არც მოუცვლიათ ფეხით, იქ არავის არ გაუჭაჭანებია, გადააკეთეს და გადმოაკეთეს ისევ ისე საფუძნთუშედათ.

სამაგიეროდა:

თვითონ

სამივეში

მოინებივრათ. მესამედან გამოსვლაც არ ენებათ, იმ მესამედანა: მზე რო გადადგა, მაგან ანათოსო. რაც უნდა იყოს, უნდა გამოსულიყოთ: ზიმზიმებდა ხალხი, ელოდა ხალხი, — ის ჰო ხალხისათვის გაჩენილიყო, — ხალხი, ნეკსხ რო არ ჩავარდებოდა, მოედნისათვისაც რო ფრთა აეწიათ და ცას რო ეთოოდა ხალხი, ცამდე ასულიყო ესეიგით. უკეთ რო ითქვას: ციდან ვარსკვლავი დასვენებულიყო აშვერილ ფრთაზედა. გაჰქრა ვარსკვლავი დაწამწამების უმალა, ისევ ცამ თუ აიტაცათ, ჩამოესვენა ნამგალ-ჩაქუჩი თავთავების კონითა, კონა აბიბინდა, კონები მატულობდა, ბიბინებდა კონები. გული აუჩქროლდა ნებასა უმაღლესსა, წამოებურცა ტუჩებიცა, ლამის კბილები გადმოსცვივათ, მაგრამ არათ, აიფარა ხელები მაშინვე, თითებში გამოსცრა ამონასუნთქი. დაჰქროლა თითქოს ამ ნიავმათ, მოედო ფერდობსა, უკვე ყანად რო გადაქცეულიყო, ყანა ღელავდა' კურდღლაობდა ყანაი, ახტოდა, დახტოდა, გორავდა, სრბოლავდა, ელამუნებოდა თავანსა ზეცისათ, თითქოს რო აი გადაიხსნა უსაზღვრო ველები, უსაზღვრო მინდვრები. ის სახელგანთქმული შავმიწა ნიადაგეში, ქვეყნიერებას რო შურდა რუსთათვისა, თვითონ რო ველარაფრად გამოეყენებინათ, მთლად დედამიწის შესანახი პური იქ რო მოვიდოდა, ხოლო ისინი კანადაში რო ყიდულობდნენ პურსა, ოქროზე ყიდულობდნენ, — აღარ იჭიდიდნენ. თვალიც დაუდგება კანადასა, აღარ იყიდიან: ჰღელავდა თავთუხი, დოლი ჰღელავდა, ფხო ჰღელავდა, ჰღელავდა, ჰღელავდა ამოისუნთქა უფრო [illegible]და, უფროც აღელდა უსაზღვრო მინდვრები. მართლაც რო ჰირნახული ყოფილიყო, მართლაც რო გაეძღო დამშეული ხალხი!.. ვაგლახ, ოცნებად გადაქცეულიყო, ოცნებადა თუ მოლანდებადა: იქ ჰო ბავშვები თამაშობდნენ, ვარსკვლავებადაც რო ისინი ქცეულიყვნენ, ნამგალ—ჩაქუჩადაცა, ყანადაც ისინი, მწყრებადაც ისინი, რო ჭუკჭუკებდნენ აბიბინებულ ყანებშია, მთელი წელიწადი ავარჯიშებდნენ საამისოდა, ტყუილიც მართალი გეგონებოდა, საამისოდა, თუ გენატრებოდა, მითუმეტესათ; ენატრებოდა გამაძღარი ხალხი, ნუგიშ იტყვის, არ ენაღვლებოდათ, ამას მაინც ნუღარავინ იტყვის, რო ჩააწვეთეს, აქეთკენ რო მობრძანდებოდა: რიღათი რა ვიყიდოთ, აღარ ვიცითო და რო ჩაუწერეს აქ წარმოსათქმელ საზეიმო სიტყვაშიცა: ეგება ვიფიქროთ განიარაღებაზეო, მკრთალად ჩაუწერეს, გადაკვრით ჩაუწერეს, მაგრამ გაფაციცებულიყო სმენაი დასავლეთისა, არაფერი არ გამოეპარებოდა.

ამოისუნთქა,

ამოისუნთქა,

კიდევ ამოისუნთქა,

შეუბერა კიდევაცა, მაგრამ იქ ყანა აღარა ჰღელავდა, ვარსკვლავებადა ქცეულიყვნენ ბავშვები, პატარ-პატარა ვარსკვლავებადა. ვარსკვლავები ამასაც ებნია გულზედა. დროშაც მოტანათ საქ. სს რესპუბლიკისა, იმასაც ებნია. ერთი ამასაც ჩამოეტანა, კიდევ უნდა მიებნია დროშაზედა. ვარსკვლავები უთამაშებდა ხელში.

რიდა გულზედა, აყრიდა სხვებსაცა ცინცხალ ვარსკვლავებსა, ანაპერწკლებულსა, დასწვოდა ხელები, დასთუთქოდა ხელები, დაჰქანცვოდა, უკანკალებდა, მაინც აბნევდა, იბნევდა და აბნევდა, იბნევდა და აბნევდა, უყვარდა ვარსკვლავები, გაიწვდინა რო ხელებიცა, ლამის მოეხვეტა მთელი ფერდობი, გულზე მიეკრა და აღარ გაეშვა. აღარა. აღარა. მეტი სიკეთე აღარც რო თქმულიყო, კაცთმოყვარება უფრო მეტი აღარც გაეგონათ. ამასაც პო აგერ აუწყებდა: ჩვენ თანახმანი ვართ, თქვენ აღისრულეთ თქვენი საუკუნო ოცნებაო, გაანგრიეთ კავკასიონი, რახან რო გინდათ, თანახმანი ვართო, გაანგრიეთო, გაატრამალეთო, აუწყებდა უმაღლეს ნებასა, თუმცა რო ჯლოყინითა, თუმცა რო აი და ყბებიც გადმოუცვივაო, მაგრამ ვინოა, ვინ შენიშნავდა ასეთ წვრიმალსა ესოდენ დიადი გამოცხადებისასა, — არავინა რაღა თქმა უნდა. ფერდობზე მიიგრაგნებოდა უმძლავრესი მანქანები. მწვერვალები ეფშხვნებოდა მანქანებსა. ამასაც ისევ ბავშვები თხზავდნენ რაღა თქმა უნდა. სასტუმროს თავზე, მაღლივ შენობაზე ფრიალებდა დროშები, თითქოს ქარიც ამოვარდნილიყო სწორედ მაშინა, ბრძანებდა როცა: გაატრამალეთო; ეს რო მარჯვნითაო ტრიბუნისა, მარცხნივ ასევე ფრიალებდა დროშები, მძლეთა, მძლეთა მძლეთა, დროშები პოლიტიკური ინსტიტუტის კორპუსებისა, — ეს ამათი იდეა გახლდა: გავატრამალებთო. ფრიალებდა. აზვირთებულიყო. მაღლივი მაინცა, სასტუმრო „აჭარა", მოზიდულიყო ისე იმგვარადა, აი და აჰაა დაიგუგუნებს, აიწევს, ავარდება, მიერთვის კოსმოსსაო, ბარემ ტრიბუნასაც თან აიტანს და ამ აფრთიანებულ ხალხსაცაო. ტაშიც ცაში გადავიდოდა, ვაშაც ცაში გადავიდოდა, გაერთბაშდებოდა ცაი და მიწაი, გაერთბაშდებოდა. მხოლოდ ესაა:

სპორტის

სასახლე

მობუზულიყო, — ნეტავი არ მოვხვდე ამის თვალშიო, თუნდაც ეშმაკი გადამეფაროსო. მობუზულიყო, მობუზულიყო. მაშინ გაშლილიყო, გალაღებულიყო ეს მაშინა. ნიკიტა რო ჩამოატარეს, თავს რო იწონებდნენ წარმატებებითა, აი იხილე, რა ავაშენეთო. როგორ თუ თქვენ ააშენეთო, რატომ ჩვენ არ ავაშენეთო. აი თურმე რაში ფლანგავდა ჩვენს ქონებასა ის ულვაშაიო, კიდევ რო ჩამოვალ, აღარ დამანახოთ, გაასწორეთ მიწასთანაო, მობუზულიყო. ეგონა, რო გაასწორებენ მიწასთანაო, ესეც ის ეგონა, ისე ეგონა, სწორე ეგონა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ამან ის გაანადგურა, მაინც ის იყო, ისევ ის იყო, ესეც იყო, ისიც ეს იყო. მობუზულიყო, დაშინებულიყო. ეს უკვე ვარსკვლავებში სცურავდა. ფაფისგან დაშინებული დოს უბერავდაო. მოხდენილი ნათქვამი გახლავს. დავიწყებულა: დო რო აღარ იცის აღარავინა, ფაფაც რო სანატრელი გამხდარა.. ანდაზებიც წყალში გადაყრილა, იდიომებიცა, მეტაფორებიცა, ანთუ ცალცალკე რა მოსათვლელია. ენა რო მიჰქონდა წყალსა, იმ ხალხის ენაი, მოედანი რო გაეჭექა?.. ანთუ უფრო სწორად რო ითქვას, მოედანი ვისაც ეკუთვნოდა, ქალაქი ვისაც რო ეკუთვნოდა, ანთუ უფრო უკეთესადა: ვისაც რო აღარ ეკუთვნოდა აქ აღარაფერი, ათასი ჯურისანი რო შემოერეკათ, ათასი ჯურისანი, ვინც რო ბღაოდნენ მომეტებულადა: გავატრამალოთო. ანალვლე!.. გავატრამალოთო. და ძაგძაგებდა, ერთხელაც დავწერე: სპორტის სასახლემ აღაშფოთა ერთი დიდი მოგზაურიმეთქი, „ლანდებში" ჩავწერე. გაეპარაო. მთავლიტსაც გაეპარა, რედაქტორებსაცა, ლიტმუშაკებსაცა, კორექტორებსაცა, ისინიც რო გაფაციცებულიყვნენ: აცა, რას ვიპოვნით, აცა, რა წარმატება გველოდებაო. გაიპარა. გაძვრა. „დიდმა მოგზაურმა" დააბნია ყველანი: ანთუ კოლუმბი რო ეგონათ, ანთუ მაგელანი, ანთუ თუნდაც რო მიკლუხო-მაკლაი, ოღონდ იმათ თუ რა უნდოდათ თბილისშიო — ჭკუას ვე-

ლარ მიატანდნენ ამდენსა. ვერა. ველარა ბევრი რამ ჰხდებოდა ჰორაციო, ამ გატეხილი ჰქუის იმედითა. ეს თავისას მიერეკებოდა. რალა თქმა უნდა, რალა თქმა უნდა. ანთუ უფრო ჯლოყინებდაო, და ერთიც ვნახოთ ისედაც გაუჭირდა, ლრძილები რო დაუცვივდა ქალალდებზედა, ლრძილები, ჩადგმული რალა თქმა უნდა, დაუცვივდა. მობლუჯა ქალალდები, მობლუჯა ლრძილებიცა, თუ რას იზამდა, ძნელი სათქმელია, ეგება რო: ქალალდებიანად შეებრუნებინა პირის უბეშია, ეგებაო, ვინ უწყის, მაგრამ იქვე უდგა აქა მბრძანებელი, დიდგორელ---მამათელი, რო დაუბრიალა თვალები ,მოედანსა, დაჰხარეთ თუვიო, რო დაუბრიალა და რო დაჰხარეს, ანთუ რო დაჰხარა, ვითომც რო ერთი თავიაო, იმან დაჰხარა და ამან გაუყო ქალალდებ ლრძილებისაგანა, ლრძილები შეუყარა პირშია, ქალალდები მიაჩეჩა ხელში ისევა. და. და განაგრძო იმან ისევე: გაატრამალეთო, ვითომდაც აქ არაფერიო, ანთუ ასეა ჩვეულებისამებრაო. ჩვეულებისამებრაო. ტრიბუნა მიფრინავდა, მიფრინავდა მოედანიცა, აჰარაც დაბლა დარჩენილიყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსებიცა, სპორტის სასახლეცა, დაბლა, დაბლა, ჩაძირულიყო.

წაქეზებალა აკლდათ.

ისედაც ჰო ანგრევდნენ საიმედო ზურგსა, თვითონვე ანგრევდნენ.

წაქეზებალა აკლდათ.

და გუგუნებდა ტაძარი, მთებში შემალული ტაძარი, ისედაც შიგნიდან გამოფხრეწილი, გვერდებმილეწილი ისედაცა, გუგუნებდა, ძაგძაგებდა, ქუხდა მთების გული, არც რო ზეცა დაიშლიდა თავისასა. წყნარი დლეებიც წაებმოდა ერთიმეორესა, ჰექა-ქუხილიც წაებმოდა ხოლმე.

## XVI

წაებმოდა. წაებმოდა.

ოლონდ უჭირდათ გაერჩიათ: ცისა არის თუ მიწისა არისო, ანთუ ორივე ჰო არ აგვიტყდა ებრთაშადაო. უჭირდათ გაერჩიათ ხანდახან მაინცა. ალარც გაარჩევდნენ მერედამერე, საშველი რო ალარსაით მოსჩანდა. ეჩვეოდნენ. ეჩვეოდნენ. პირი შეჰყროდათ, შესჩვეოდნენ, ეს რალა იყო. კაცები ალარად ჩააგდებდნენ, ალარც რო ნესტანი, ბეჭიც ალარა, მიეჩვეოდა მერე ჩვეულთა, კიდევ დიდხანს თუ შერჩებოდნენ მთებსა, თუო! ახლა რალა თუო: ისე ვაც რო არ უჩანდა სამასო პირი, რო წამოეწიათ ერთი შემთხვევაცა, იმან რო აისხა თავისი რგოლები, ჯაჭვად აისხა, ჯაჭვად შემოერტყა, გაუწყვეტ ჯაჭვადა.

ისიც ქუხილს მოჰყვა,

რო მოიკრიალა გადაბმული ჰექაქუხილის მერე, უეცარი თქეშის მერე რო მოიკრიალა, სწორედ რო იმას მოჰყვა. გალურჯდა ყველაფერი მაშინვე: ცაცა, მიწაცა, მთებიცა, ხევებიცა, ლამის მზეც რო ლურჯად ანათებდა, უცებ რო გამოვარდა ლრუბლებიდანა, ისიც თითქოს რო სადლაც იქიდან გამოვარდაო. ასე იყო თუ ასე მოეჩვენა ნესტანსა, მიწიერ მოვლენას მაინც არა ჰგავდა.. ველობზე გასულიყო ნესტანი, კვერცხებსა ჰკრეფდა, ეს მიწიერი გახლდა რალა თქმა უნდა, მართლა რო ჰკრეფდა ბალახებიდანა. ველურად გაეშვათ ქათმები, ციცრები, ადვილადაც გეველურებულიყვნენ: ბალახებშივე სდებდნენ კვერცხსა, იქვე ბუდობდნენ, მრავლდებოდნენ თავისთავადა, ხელი არ უნდოდა ადამიანისა, ზრუნვა არ უნდოდა, არც რო ადვილად დაეჭერინებოდნენ დასაკლავადა, თოფით თუო, ისე არაო, არ ჩაუვცვივდებოდნენ ხელშია. კვერცხები მაინც არ აფრინდებოდნენ, კვერცხებს ნესტანი წამოჰკრეფდა ხოლმე. წამოჰკრეფდაო და აი ჰკრეფდაო, რო გალურჯებულიყო ყველაფერი და ლრუბელთა ნაფლეთები ცვივოდა იქითა, — მოწყდებოდა და ჩავარდებოდა, მოწყდებოდა და ჩავარდებოდა. ისიც თითქოს იქავე მოსწყდაო, ნაკადულს დაეცა, ნაკადულს მიჰყვა, ნაკადულშივე ჩაიწეწებოდა, გადაჰყვებოდა დგაფუნითა ნაკადულსა-

ვე ველობსაც ფრიალო შემორკალოდა. იქ იკარგებოდა ის ნაკადულიცა. ისიც ისევე ლურჯადა ბზინავდა, ფრიალოს პირას იშლებოდა ლეჩაქივით, ქათქათებდა ლეჩაქივითა. რაღაც რო დაეცა, ზევზევით, რო ღრუბელსა ჰგავდა, გამოიკვეთა თანდათანობითა, ჯერ რაღაც უცნაური ცხოველისამებრა, მერე თითქოს რო მაიმუნისებრა, მერე თითქოს რო კაცს მიემგვანა, თითქოსაო თუ მართლაო, — ჯერ თითქოსაო, მერე მართლაო: მიხტუნაობდა ქვიდან ქვაზედა, ქვიდან ქვაზედა, ისევ ქვაზე გადაინაცვლა, ბრტყელ ქვაზედა, დაფას რო ჰგავდა, თითქოს რო უფრო ეიმედებოდა, ოლონდ სწორედ რო იმან უმტყუნა, მოცურდა, წავიდა, წაილო, წაილო, გადაეშვა, გადაიყოლა. ეშმაკი თუ იყო, თვითონვე გამოიხსნიდა თავსა, ანგელოზი თუ იყო, ასე ბრმად არ გადაიჩეხებოდა, კაცი თუ იყო, შველა უნდოდა. კაცნი შეჰსეოდნენ მთებსა, შურს თუ იძიებდნენ მთები, გამოენაპირებინათ აგერ ეს ერთი, შურს იძიებდნენ ნამდვილადა. შველა უნდოდა, რაც უნდა იყოს. კალათა დაავდო ნესტანმა. დაიდგაფუნა კვერცხით სავსემა. არც მიუხედია. გაფრინდაო ითქმის, გაფრინდა. თოკი მოარბენინა. ჩაჰკიდა, ჩაეკიდა:

კაცი ყოფილიყო,

კაცი გაჭედილიყო ნაპრალშია,

ანთუ უკეთ თუ: ქვა გაჭედილიყო, ქვა ყანყალებდა, კაციცა ყანყალებდა და ეფხოჭიალებოდა ქიმებსა ნაპრალისა, ეფხოჭიალებოდა, ეტოტინებოდა, ეკიდებოდა, ებღაუჭებოდა, ეფხოტებოდა. თოკმა ვერ უწია. ლოდს რო გამოაბა მანამდე თოკი, ცოტა მოუშვა, კიდევ მოუშვა, მეტი აღარ შეიძლებოდა, — ვერა, ვერ უწია მაინცა. ჰა და ჰა, ბევრი აღარაფერი აკლდებოდა. ამასაც აღარ უფიქრია ბევრი: გაიძრო კაბაი ,გაჰხია, შეასკვნა ერთმანეთსა, ამოიტაც თოკიცა, შეასკვნა იმასაცა, შეასკვნა და გადაისროლა ისევ ნაპრალშია. არ გაუგონია თუ ყურადღება აღარა ჰყოფნია თუ რა გმინვა აღმოხდა ნაპრალსა, თოკი რო ზევით ამოიტაცა, სამაგიეროდ ის კარგად მოუსმა თუ რა კიჟინი ამოიჭრა იქიდანვე, ისევ რო ჩაეშვა თოკი: ასეთი ხმა ჯერ არ გაეგონა, არ გაეგონა ასეთი აღტაცება. ალბათ აღტაცება სწორედ ეს თუ იყო, მხოლოდ სიტყვა რო შემორჩენილიყო, განცდა აღარა, გაწირულიყო რო ყველა, და ყველაფერი, ხსნა არ მოსჩანდა და განცდაც აღარა. ალბათ აქ ამას გადარჩენა ეწერა, ამოძახილი რო ისეთი გახლდა, ჯერ არცერთ კომპოზიტორს რო არ დაეჭირა, არა, არა, ასეთი აღტაცება არ გაგონილიყო. ჩავარდა ქვაცა და კაციც ჩაეჭიდა საბელსა, ჩაეჭიდა და ჩაებღაუჭა, ჩაებღაუჭა და ამოხოხდა, და ამოხოხდა, ამოხოხდა და ამოხოხდა და აი ამოვიდოდა, ამოვიდოდა, კაცი ამოვიდოდა, და მოეგო ნესტანი გონსა; იდგა შიშველი, თითქმის შიშველი, კანისფერივე აზლუდითა და კანისფერივე საბეწვითა, თითქმის შიშველი რაღა თქმა უნდა; მოეგო გონსა და გაიქცა, გაიქცა, მოიხედა მაინცა: ხელები ამოჩნდა, თავი ამოჰყვა, ამობობღდა კაცი, ამობობღდა, აიწია, აიწია, შექანდა და დაასკდა მიწასა...

კრიალებდა ზეცაი, გადაეყარა მუქ სილურჯეი, კრიალებდა, იისფერილა გადაჰკრავდა, ბაცი, ბაცი იისფერი მწვერვალებთანა, უფრო მკაფიოდ რო გამოკვანწულიყო თოვლიანი საბურველები. კრიალებდა, ვითომც არაფერიო. ანთუ რაო, — ეწვალა, გადარჩა სხვები წვალებულან და ვერც გადრჩენილან. ისიც არაფერიო, ზეცისთვის რაო, მიწისთვის რაო, — არაფერიო. მაშ ვისთვის რაო, კრიალებდა, კრიალებდა.

აქ მაინც ამას ვერ ავუქცევთ გვერდსა:

შიშველი ქალი

და

უცხო მამაკაცი, ღონეწართმეული რო დაასკდა მიწასა. ესაა ჩვენი ბოლო სურათი ამჯერადა, ბევრი რამ შეიძლება აისხას ამ სურათმა, ბევრი რემ შეიძლება რო წარმოიდგინო, ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრგვარ წარმოსახვას აღძრავს კლასიკური კონფლიქტები, — ტრაგიკულსა თუ დრამატულსა თუ წმინდაწყლის კომიკურსა, ადამიანურ ურთიერთობათა ფარგლებში რო ბრუნავს, მაგრამ სულ სხვაგვარი გართულებანი გამოიწვია ამ შემთხვევამა, სულ სხვაგვარი, კლასიკური კონფლიქტებიც რო ხუნდება ჩვენი ცხოვრების უაზრობათა წინაშე, ხუნდება, ბაცდება, მკრთალდება. და გავყვები იმას თუ რაც მოჰხდა და არა იმას თუ რა მოხდებოდა, იქ სადაც ადამიანებს საკუთარი თავი ახსოვთ, ანთუ გახსენდებათ ხანდახან მაინცა.

გავჰყვები:

მიეშველნენ. ჩაუგდეს ამოვარდნილი ძვალი, გადტეხილი ჩაუსწორეს, შეუკრეს, შეუბოჭეს. მობანეს ჭრილობანი, მოუსუფთავეს, მალამო წასცხეს. საკაცე გამართეს, სადმე საავდმყოფოში რო ჩაეყვანათ, კაცებსა ცხადია, ნესტანი ალარც რო გარეულა. ჩაყვანა გაჭირდა. თითოთითოდ რო აღჩადიოდნენ თავიანთივე დაქნილ ბილიკზედა, საკაცით მაინც ვერ გაიმართნენ. ზურგზე მოკიდებაც ვერა ხერხდებოდა, გამოტილიყო დაარტახებული კაცი, რაღას არ ეცადნენ, როგორ არ ეცადნენ, ლამის კიდევაც დაუსხლტათ ხელიდანა, ლამის გადაიჩეხნენ იმასთან ერთადა. რაც იყო, იყო, გადაიტანეს. მშვიდობით ჩავიდნენ. მშვიდობით ჩაიყვანეს, იმაზე მეტი აღარაფერი აღარ მოსწევია. ჩაიყვანეს შარაგზამდისა და ეგონათ, რო მოერჩით ჩვენ ჩვენს მოვალეობასაო. ეგონათ, ფიქრობდნენ ალალადა, ამათლა რო შერჩენოდა ეს საცოდავი სიალალე, სხვები რო ბევრად გაფრთხილებულიყვნენ. ფიქრობდნენ: გავატანთ პირველივე შემხვედრ მანქანასაო. ფიქრობდნენ. ეგონათ. პირველივე შემხვედრმა გაუქარწყლათ იმედი: გაატატანა ხელები მძღოლმა, შარში არ გამხვიოთ, თავი დამანებეთო; პირველივემ გაუქარწყლათ და დანარჩენებიც იმასვე ჰგავდნენ: ერთნაირად გაჰშლიდნენ ხელებსა, ერთნაირად მოიძახოდნენ, ამოიხროდნენ იგივე სიტყვებსა, დაჭრილ კაცს როგორ გვეპყრობითო. უხსნიდნენ, არავის არ დაუჭრია, ასე იყო, ასე მოჰხდაო. სჯეროდათ, — გვჯერაო, ერწმუნებოდნენ. მაინც ვერაო, დაგვიხსენითო. ვერაო და მიჰქროდნენ დამფრთხალნი ისე, თუნდაც კლდეზე გადავცვივდეთო, ოღონდ შანში არ გვეხვდეთო, მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ დახვეულ გზაზედა, მთების გზაზედა, ხეობების გზაზედა, დამფრთხალნი ისე. ღვთისნიერი მაინც გამოჩნდა: ოღონდ რო თქვენვე წამობრძანდითო, თქვენს გაჭირვებულს თქვენ უპატრონეთო, მე ჩაგიყვანთ და ავითესები, არ გიცნობთ, არ მიცნობთ, ჰო მართალიაო. რაც მართალია, მართალიაო, დაუდასტურეს რაღა თქმა უნდა. დატვირთული მანქან მოდიოდა, რაღაც მადანით ავსებული პირთამდისა, შესაძლოა ურანის მადანითა, ტყვიისა მაინც იქნებოდა, რაც უნდა იყოს, ანთუ რაც იყო: აიბობღნენ იმ მადანზედა თავიანთი საკაციანადა. აიბობღნენ. ჩავიდნენ დაბასა თუ პატარა ქალაქშია, რაიონის ცენტრი რო ეწოდებოდა, და, რაც რო იქ გადაჰხდათ, თავიანთი ბილიკის გასაჭირი არაფრადაც არ ითქმოდა იმასთან შედარებითა, არაფრადაც არა. არ.

საავადმყოფოში:

ადგილი არა გვაქვსო.

შეიძლება რო გამოვიყენოთ რაიკომის ჯავშანიო, ოღონდაო, რაიკომმა უნდა დაგვრთოს ნებაო. ესეც გაანდეს ისე ფარულადა, ვითომ ჩვენგან არც გაგიგიათო. დავრეკავთო. ტელეფონი არ მუშაობსო. ფეხით წავალთო. დაჭრილი ჩვენ არ შეგვატოვოთო. თან ვატართო. როგორც გნებოთო: ჩვენ არ შეგვატოვოთო. ატარეს. ხან ჩამოგამდნენ, ერთი დაიცდიდა, მეორე დაეძებდა რაიკომსა. პირველი მდივანი თბილისს გაეწვიათ. მეორე — „ობიექტებზე ბრძანდებაო". დანარჩენები: ზოგს რო გაესწრო, ზოგს იმდენი უფლებაც არაჰქონდა, ჯავშანი გაეცა, ან-

თუ არც არავის გააჩნდა ამდენი უფლება, გარდა პირველისა, ხოლო პირველი ჰო თბილისს გაეწვიათ. დაბრუნდნენ. ეაჯნენ. ეხვეწნენ. ემუდარნენ, — უფრო გვარამი, თავშეკავება რო უჭირდა ჰხვთისოსა, განერიდებოდა იმ სიშორედა, სიტყვა-პასუხი არ გავიგონოო, განერიდებოდა, წამოდგებოდა მხოლოდ რო მაშინა, ისევ საკანში რო უნდა შებმულიყო. უნდა შებმულიყო: ჩვენ ისე მაინც ვერ მივიღებთო. სასწრაფომ თუ არ მოიყვანაო. უნდა შებმულიყო, შეებნენ. მოძებნეს სასწრაფოს სადგომი. ვერაო, ასე ვერ ავიყვანთ ვერავისაო, უნდა დაგვირეკოთ ბინიდანაო, ბრძანება ასეთია. ბრძანებას ვერ გადავალთო. იქ ველარ ავიყვანთ, არც დასარეკი იქ არაფერი გაგვაჩნიაო, უხსნიდა გვარამი, ვერ აგებინებდა ვერაფერსა: ბრძანებაა, კანონი კანონიაო . უადამინობა კანონიაო, — ღმერთი დიდებულო!.. მაშინ აავთიაქს მოჰკიდეს თვალი გადაღმითა. ეგება იქიდანა ვცადოთო. საკაცეც აიკიდეს რაღა თქმა უნდა. კვნესოდა დაჩეხილი კაცი: დამაგდეთ, დამეხსენით, მეტი აღარ შემიძლიანო. ხან მიბინარდებოდა. აღარ გაეგებოდა აღარაფერი. მაშინ კიდევ არა უჭირდათ. დარეკეს კიდევაცა. სასწრაფოც მოგრიალდა, მართლა სწრაფადა, მართლა საქმიანადა, მოხერხებულადაც აიყვანეს დაჭრილი, გადააწვინეს თავიანთ საკაცეშია, ესენიც ჩაისხეს, გააფრინეს, მიაფრინეს, გადმოსხეს, გადმოაიყვანეს, თან გაიტაცეს თავიანთი საკაცეი და გაუყვნენ გზასა ისეთივე აჩქარებითა, როგორი სახელიც რო შერქმევოდათ. ამათ ჰქუა არ ეყოთ, თან რო წამოეღოთ თავიანთი საკაცეი. დაჭრილს დაჯდომა არ უხერხდებოდა. საავადმყოფოს ჯერ არ მიეღო, ასე ადვილად არ მოჰხედავდნენ. იატაკზევე დააწვინეს, კარებშივე, ჯერ არ მიეღოთ. ჰხვთისო გაიქცა საკაცისთვისა. იქვე დაჰხვდა, მადლობა ღმერთსაო, ისევ ისევ მადლობა ღმერთსა. წოარბენინა. ხოლო გვარამი მოუგებდა უამრავ კითხვათა, ავადმყოფობის ფურცელს რო ავსებდა მორიგე ექიმი თუ ვინც რო გახლდა გამოყოფილი საამისოდა.

მიუგებდა.

— ეკითხებოდნენ, ეკითხებოდა: — სადაო, როგორაო.

— ისიც უკვირდა, როგორც რო მომხდარიყო, სასწაულს რო ჰგავდა. ისიც უკვირდა, სადაც რო მომხდარიყო იქ აღარავინ აღარ ეგულებოდათ, მხოლოდ რო ზღაპრად შემორჩენოდათ, როგორ რო ამოხოცეს ბერები, როგორ რო დაფლითეს ფრესკები, ზღაპრადა და თანაც, ზოგი შაჰ-აბაზს მიაწერდა, ზოგი თემურ ლენგსა, ზოგი უფრო შორსა მიდიოდა, აბრალიდა მითოსურ მოვლენებსა. რაც უნდა იყოს, მორჩა კითხვები, პასუხებიც მორჩა. შეივსო ფურცლები, ძირითადი ფურცლები. კიდევ სადღაც უნდა ჩაწერილიყო, რაღაც უნდა გამოწერილიყო. ქაღალდს ქაღალდი უნდა მიჰყოლოდა. ყველას თავისი უნდა მიეღო. ყველას უნდა გაეცა თავისი, ჩაეწერა. მოეწერა. გადაეწერა. ზოგი არ იყო ადგილზედა, მისაგნებს მიაგნეს, ანთუ თავს იდო ვიღაცამ ვიღაცის მოვალეობაი, მადლიანი რო ყველგან გამოჩნდება, თუნდაც რო ასეთ უბედურ ქვეყანაში, — მიაგნეს, მოაგვარეს, დასტოვეს, გამოვიდნენ. რაღა გამოვიდნენ, — დაქანცულიყვნენ. არაქათი გადასწყვეტოდათ. სული ხორცისგან გაჰყროდათო, უფრო ეს ითქმოდა. დამძიმებულიყო ხორცი უფრო, სული ცალკე დამძიმებულიყო. მიჩანჩალებდა თითო ორ-ორადა, მიჩანჩალებდა, მეტი ჩანჩალიც რო აღარ ძალუძდათ. პარკს მიატანეს ქალაქისასა, დაბისასა თუ რაც რო იყო, გაქუცულ პარკსა. მერხიც ძლივს მოსძებნეს, რო ჩამომსხდარიყვნენ. მოსძებნეს. ჩამოსხდნენ. ისხდნენ. ისხდნენ. როგორც რო იქნა, აითრიეს წელი. აიყოლიეს სულიცა, როგორც იქნა. აიყოლიეს, წავიდნენ. წაათრიეს. ათრიეს, ათრიეს. „რესტორანო“, თვალში რო ეცათ, შეათრიეს იქა. დაცვივდნენ სკა-

მზედა, დაიტანეს სულიცა. მერე იქ ისხდნენ მხოლოდ ეს ორნი, მოზრდილ დარბაზშია, არც რო არავინ არ შემოდიოდა, არც რო არავინ არ გადიოდა, თითქოს რო იქაც არავინ არ დაჰხვედრიათო. არც თავი ჰქონდათ, ვინმე მოეკითხათ, ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდათ. როცა რო მაინც მოითქვეს სული, ისევ დაჭრილის ბედით შეწუხდნენ. ანთუ გაღვივდა წინათგრძნობაი:

„ეგება გვერჩივნა, არ დაგვეტოვებინა?..“

ჰხვთისომ იკითხა, უფრო თავისთვისა, მხოლოდ ტუჩები რო ააცმაცუნა.

„ველარ ავიყვანდით...“

ტუჩებიც რო არ აუცმაცუნებია გვარამსა.

„არც ჩამოგვეყვანა...“

„ჰო...“

„გამოშუშდებოდა, გაიგნებდა გზასა.“

„ჰო...“

„ახლა ვინ იცის...“

„აქაც გამოშუშდება.“

„მაინც ვინ იცის?...“

ჰო...“

გარეთ ვიდოდა ხალხი. ვიდოდა. მოსჩანდნენ. არეული, აჰრელებული სახეები მოსჩანდა. გამოერეოდა ისეთიცა, დაფლეთილი ფრესკის ნიმუშად რო გამოდგებოდა. იშვიათად გამოერეოდა, ოღონდ მაინც გამოერეოდა. მიაციებდა გვარამი თვალთა, რო შთაებეჭდა, რო გამოეყენებინა. ქართული სახე შენახულიყო. მივარდნილ კუთხეში უფრო შენახულიყო. იქაც დაერბიათ რჩეული გვარები, ოღონდ ეტყობა ისე საგულდაგულოდაც არ დაერბიათ, ანთუ უფრო სწორი იქნება: მაინც ამოეყარა ყლორტი, მაინც გაეხარნა, ვიდრე კიდევ რო დაარბევდნენ, ყოველთვის რჩეულს რო დაარბევდნენ, ყოველთვის უკეთესს რო აჩანაგებდნენ. ამოეყარა ყლორტი. ამოეყარა. და ესეცაა: ჯერ აქ ისე მრავლადაც არ არეულიყო ჯიში სხვადასხვაი, უამრავი მოდგმისანი არ შემოთესლებულიყვნენ ჯერა. ღარიბ კუთხეებს არ ეტანებოდნენ გადმოხვეწილნი. მთებში ადვილად ვერ გაიტანდნენ თავსა, ესეცაა რაღა თქმა უნდა და ისიცაა, რო აღოღებულიყვნენ უკვე, აღოღებულიყვნენ და მოჰყვებოდნენ ექსკავატორებსა, ბულდოზერებსა, სკრეპერებსა, ტრანსფორმატორებსა, ათასი ჯურის მანქანებსა, რო მიმოეფშხვნათ აქაობა, მიმოეფშხვნათ და ჩამკვიდრებულიყვნენ. აღოღებულიყვნენ. აღოღებულიყვნენ. წაიშლებოდა ნათელი სახეები, მკვიდრი სახეები წაიშლებოდა, როგორც ბარში რო წაშლილიყო, ახლა მთასაც მისტანებოდა ხრწნაი იგივეი. მაინც გადმოსულიყვნენ ჯერ ისევ ფრესკისანი, მალე ფრესკებზე თუღა შერჩებოდნენ. გადმოსულიყვნენ და მიეშურებოდნენ. მიეშურებოდნენ. მიეშურებიან. არავინ არ იცდის. არავინ არავის ზედ არ უყურებს. ყველა გზას მისდევს, რო არავინ იცის თუ რა გზას დასდგომია, მიდის, მიჰყვება, რადგან რო უთუოდ უნდა იაროს, რო ერთ ადგილას არ გააჩერებენ, რო არც არვის არ გააჩერებენ, რო ყველას უთუოდ გზაზე გამოჰყრიან, რო გზაც არ არის ისე იმხელა, ყველა რო დაიტიოს, მაინც გამოჰყრიან, ერეკებიან, მაინც სადღაც მიაქანებენ, აღთქმული ქვეყნისაკენაო, ჩასჩიჩინებენ, ირწმუნებიან და მიაქანებენ. მიაქანებენ. მიაქანებენ.

„ჰა?!.“

იკითხა გვარამმა, თითქოს შემკრალმაო.

ვილაცა წამოსდგომოდათ თავსა, უხსნიდა ჰხვთისოსა:

ტყუილად იცდითო.

რატომაო.

რატომაო და ამიტომაო: არ გვამარაგებენ და ჩვენც არაფრის შემოტანის უფლება არა გვაქვსო.

ეს ცხოვრებააო.

დაეთანხმა ისიცა: შენ ეგა თქვიო. კაცისთვის პური ვერ გვიჭმევია, რა ცხოვრებააო. ცოტაც წაიხარა. ხმასაც დაუწია: მწვადი მოგვიხერხდებაო, ოღონდ ვინმე თუ წამოგვადგა, თქვენ

უნდა თქვათ, ხორცი ჩვენიაო. თავზე ხელს მაინც არ გადაგვისვამენ, მაგრამ ამაზე მოვრიგდებითო.

კიდევ კარგიაო.

კარგიო და მოართვეს მწვადი, ღვინოც მოართვეს. უკეთესი ღვინო მოართვეს: ჩვენ მდარე ღვინით გვამარაგებენ, ესეც ვითომ თქვენი მოტანილიაო. კეთილიო. კეთილი და პატიოსანიო. იქითაც შემოუსხდნენ მაგიდასა, იმას იქითაცა. იქაც ასევე მიჩუმათებითა, ერთმანეთისათვისაც რო ვერ გაესწორებინათ თვალი, ერთმანეთსაც რო ემალებოდნენ: ასე რო ეშინოდა ყველას ყველასი, ყველაფრისა რო ეშინოდა, რო უნდა მიეჩქმალა თუ რაიმ გაჩნდა, ლუკმაპურიც რო უნდა მიეჩქმალა, მოერიდებინა ავი თვალისათვისა. ავი თვალი ნახშირსაო. აღარც ნახშირი აღარსად გახლდა, სულში ძვრებოდა ავი თვალი, ავი, უამრავი, შემზარავი და შემაძრწუნები, ყველა ყველა ყველას რო უთვალთვალებდა, ერთში რო ძვრებოდა აურაცხელი, ერთიც რო გახლდა ერთი იგი და აურაცხელში რო იგივე იყო, გაძარცულიყო სულითხორცამდისა, ყველა მხოლოდ თვალიღა იყო, თვალი თვალსა ჭამდა, ფლეთდა თვალი თვალსა. თვალი ჭამსო, ძველადაც ამბობდნენ, ოღონდ იტყოდნენ სახალისოდა, გადატანითი მნიშვნელობითა. დაკარგულიყო ხალისიცა, ხატოვანი თქმაც დაკარგულიყო. გამქრალიყო საამო სიტყვანი, ლანძღვაგინება მომრავლებულიყო. დედის გინებისათვის კაცს რო მოჰკლავდა ქართველი, ახლა თვითონაც იგინებოდა. აგერ, აგერ, იგინებოდა: თავი ჩაელუნა ის ვიღაც იყო, ტუჩები დაეტანა თეფშამდისა, ისე ჭამდა, ისე იგინებოდა, — დედაც ორ შაურადაო. ფეხზედაც ადგებოდნენ, რო აღლეგრძელებდნენ დედასა. ეს ისევ თავიანთი გახლდა. დასხდებოდნენ და იგინებოდნენ. ეს უკვე ცივილიზაციას მოეტანა. ვის რა ცივილიზაცია მოსწევოდა, ჩვენ ეს რად გვარგუნა ბედმაო. კაცი კაცს ლუკმას უმალავდა, ცივილიზაციას მოეტანა ესეცა. თუ იტყვი — უფრო გაჭირვებასაო, არ იქნები მართალი; არა, არა. არა. მართალიც იქნები, ოღონდ იმასაც ნუ დაივიწყებ, გაჭირვებაში რო გაგიყოფდა კაცი ლუკმასა, ახლა დალხინებულიც რო დაგიმალავს, ნუ დაივიწყებ, ნუ დაივიწყებ, დალხინებული რო უფრო დაშინებულა, დაბრეჟნებული, გაჭირვებული; რაც არა მაქვს, რას წამართმევო, — უნიფხოსა ნიფხავს ჰხდიდენო. ცივილიზაციას მოჰყოლოდა წართმევაცა, დიდი ხალხის ცივილიზაციასა, დიდისა, დიდისა. გაბატონებულიყო დიდი, პატარა ჰქრებოდა, ანთუ აქამდე რანაირად გადარჩენილიყოო.

„რა თქვი?...“

იკითხა გვარამმა.

„განა რამე ვთქვი?!.“

გაიკვირვა ჰხვთისომა.

„თითქოს რაღაც მომესმა.

„ალბათ იმათგანა...“

„შენი ხმა იყო.“

„რა უნდა მეთქვა?.“

„რა ვიცი!..“

„ეგება სხვა ხმა იყო...“

„რა სხვა?..“

„რა გითხრა. მეც მემართება...“

„მე არაფერი არ მემართება. შენა თქვი და აღარც გახსოვს თუ რა თქვი.“

„ეგეც მემართება.“

„კიდევ რა გემართება?..“

„ისეთი არაფერი...“

„შენც მოგბეზრდა. შენც გაგაწამე. ვიცი. ვიცი. შენ არ გამოტყდები. ვიცი. გუმბათი მაინც უნდა მოვათაო. შენც უნდა მომითმინო როგორმე. მერე მარტოც გავამრთმევ თავსა.“

„მე ეგ არ მაწუხებს“, თქვა უბრალოდა, უნაღვლოდა, ჰხვთისომა, „არც იმას არა აქვს არავითარი ღირებულება ჩემთვისა თუ სად ვიქნები. ჯანდაბას ჩემი თავი...“

„ღვინო მოგეკიდა?..“

„არა!.. რა დავლიეთ!..“

იმდენიც არაფერი, არც რო ადვილად მოეკიდებოდა, დალლილობა გადაიყარა და ეს იყო სულა. გვარამმაც

დაღლილობა გადაიყარა. წელან რო ველარ აათავებდნენ ბილიკსა თავიანთსა, ახლა აღარ ეფიქრებოდათ, აუყვებოდნენ ჩვეულებრივა. აუყვნენ კიდევაცა. დაბრეცილიყო ისევ ისევე, დაცურებულიყო ისევ ისევე, ზოგან ფეხიც დაუცდებოდათ, სადაც რო ყოველთვის დაუცდებოდათ. არაფერიაო. დაცდენასაც მისჩვეოდნენ, დაცურებასაცა, გაცურებასაცა, აქ ლალატი ამოტივტივდებოდა, გაცრუებასაცა, ეს უკვე იმედს გადასწვდებოდა. რაც იყო, აუყვნენ, აათავეს და მწუხრიც დაეშვა, გვიანი მწუხრი ზაფხულის დღისა. ნესტანიც იქ იდგა, ბილიკი სადაც რო ათავდებოდა. იდგა. ელოდა. ავიდნენ, და. შებრუნდა. გაუყვა იგი ძელურისაკენა. ჰხვთისომ მიაშურა თავის სენაკს. შეჩერდა გვარამი. შეჩერდა. ყოყმანობდა. სენაკი სად გაექცეოდა, ჯერ ოჯახი უნდა მოეკითხა, თავისი ოჯახი, მთელი დააგდო, უნდა მოეკითხა. კარი მოკეტილი დაჰხვდა. როგორა ხართო, იკითხა მაინცა, მიაწვა კარსაცა, ეგებ რო ჩაჭედილა, ეგებ რო მოკეტილი არც არისო. მოკეტილიყო. კარგადაო, მოესმა, კარიდანვე არა, სარკმელიდან მოესმა. ბიჭი როგორ არისო. კარგადაო. ჩჩვილიო. კარგადაო. შენაო, შენაო. კარგადაო. ჰო არავინ მოხეტებულა, ჰო არავის არ შეუწუხებიხართო, არაო. არაო. ისევ ისევე სარკმლიდანაო. ჰო არაფერი გინდაო. არაფერიო. ბავშვებსაო. არაფერიო. სარკმელიდანვე ისევ ისევა. რაიმე მაინც რო წამოელო, კანფეტი მაინც რო წამოელო ბავშვებისათვისა, გაალებინებდა კარსა. თუმცა ეგებ რო სარკმელიდანვე გადმოეშვირა ხელი. ანთუ რაც იქნებოდა, როგორ დამავიწყდაო. ჩამოჯდა იქვე საფეხურზედა. გვიანი მწუხრი მოკლე რამ გახლდა. მითუფრო მთვარე თუ დაივახშმებდა, მით უფრო ღრუბლებს თუ წამოისხამდა. ღრუბელი არ იყო. მთვარეს დაევახშმა. ვარსკვლავნიც ისე შორს წასულიყვნენ, თითქოს ცამ სიღრმე მოიმატაო. შორს წასულიყვნენ და ძლივსა კიაფობდა, ძლივსა, ძლივსა, და ისიც ბაცი იისფერისადა. ზეცაც თუ მიენგრიათ ამდენი ბათქითა, ამდენი სროლითა, ალბათ მიენგრიათ. მიწა რო ადიოდა შადრევნებადა, ეს იმდენი არაფერდიო, — ის რაკეტული დანადგარებით, ის იმდენი თანამგზავ[illegible] ნურით [illegible] თქმა უნდა მი[illegible]და რო ბუნებრივთა, აღარც ვარსკვლავებს დასტოვებდა თვითაც აფრენილან[illegible] [illegible]ხამდა კიდევ უფრო შორს. რაც უნდა შორიდან მოგვწვდენოდნენო. ცა არეულიყო, მიწა არეულიყო, ცხოვრება ცხოვრებას აღარა ჰგავდა.

## XVII

არეულიყო თუ დარეულიყო ამათ თავიანთი საქმე ჰქონდათ: ხარაჩოები აიტანეს გუმბათამდისა. აიტანეს. ამოლესეს ნაბზარები, ნაგლეჯები, ნაპობები. ამოლესეს. წვიმის ნაჟონებიც მოსდებოდა, ახლოდან გაირკვა, მოვარაყებოდა, დაბლიდან ისიც რო ფერამღვრეულ ფრესკებსა ჰგავდა, ანთუ უფრორე: ნაფლეთებსა ფრესკებისაი. გარედანაც უნდა შეკეთებულიყო, გუმბათი ცხადია, ანთუ ჯერ გარედან უნდა დაეწყოთ. მაგრამ ესეც არაფერიო: ოღონდ იდაროსო. და იდარებს კიდევაცაო, საავდრო პირი არ უჩანდა ცასა. მაინც იჩქარებდნენ, მაინც გარედან მოექცეოდნენ გუმბათსა. არეულიყო თუ დარეულიყო, საქმე ჰქონდათ თავზესაყრელი. ის მიავიწყდათ. საქმე ჰქონდათ თავესაყრელი .მიაბარეს და მიავიწყდათ ცითმოვლენილი თუ მოხეტებული ადამიანი, თითქოს მართლა რო ციթმოვლენისა ჰგავდა, გზადაკარგული რო ბრძანდებოდა უფრო ნამდვილადა. ამათ მიავიწყდათ, სხვები მოეკიდნენ ყურადღებითა, დიდი ყურადღებითა, განსაკუთრებული ყურადღებითა, დაბეჯითებული ყურადღებითა, რაღა სხვებიო, მილიცია რო მოეკიდა ესდენ ღირსეული ყურადღებითა. მილიცია: „მე მიცავს ჩემი მილიცია" გამოეკრათ დაბის მოედანზედა კაცი-

სოდენა ასოებითა. და იცავდა თავისი მილიცია, იცავდა, იძიებდნენ; ვინა ბრძანდებითო, — დიახ, ბრძანდებითო, — საიდან თუ საით ამგზავრებულხართო ,რა დაგმართნიათო, ვინ დაგმართათო, ისინი ვინ არიან, ვინც მოგაბრძანათო, სად გადაგეყარნენ, რა ხალხიაო. რაც რო იცოდა მოახსენა რაღა თქმა უნდა: ვინც იყო, სად მიდიოდა, იცოდა, გზა როგორ დაეკარგა, ეს აღარ იცოდა. ერთი ხეობიდან მეორეში აღმოჩნდა თურმე, ერთი ნაბიჯი გადასცდა თუ არა, ერთი, ერთი, ერთადერთიო, თუმცა შესაძლოა მეტიც მომივიდა, ნაბიჯები არ დამითვლიაო. საიდან მოდიოდა და სად მოხვედრილიყო, — უკვირდა თვითონაცა, გამომძიებელს ვითომ არა უკვირდა. ვითომა. ხოლო მთაგრეხილს მართლაც არ უკვირდა, მთარგეხილსა კავკასიონისა: ერთი ნაბიჯიო, თუნდაც ერთიო, და შესაძლოა პირიქითაც რო ამოჰყო თავიო ,— სამხრეთში იყვე, ჩრდილოეთში გადაცურდეო. ეს ჩრდილოეთი, ერთი ნაბიჯით გადაჰყვები და ველარ გამოეხსნები საუკუნოობითა, ეს ჩრდილოეთი!.. ეს მაინც აქეთვე მოხვედრილიყო, ისევ სამხრეთითა. ისევ და ისევ ვერაფერი დაიდასტურა გამომძიებელმა: დაჭრილი კაცი საეჭვო არ გახლდა, არ უჩიოდა არავის არაფერსა, ვინც რო მოიყვანა, ემადლიერებოდა ,ქვალი არა სჩანდა დანაშაულისა, ჩამოეხსნებოდა რაღა თქმა უნდა, ჩამოეხსნებოდა თუ არა ერთი გარემოებაო, გარემოებაო და გარემოი იგი, საიდანაც რო მოეყვანათ დაზარალებული. გარემოი. ამაღლებაო. გვარამისაგან რო ჩაიწერეს საავადმყოფოში, — ამაღლებაო.

იქ არც არავინ არ ეგულებოდათ.

ერთხელ კიდევაც მიაყურისძირეს: თბილისიდან ატყობინებდნენ: ამაღლების მთას მიაქციეთ ყურადღებაო. ეგონათ შესცდნენ. იქ საყურადღებო არაფერი იყო გაუვალი ძეძვნარის გარდა, ძეძვნარისა, მაყვლოვანში არეული ძეძვნარისა, რაც მთავარია — გაუვალისა. ეგონათ შესცდნენ, — რაიონები თუ აერიათო, მიაყურისძირეს ამიტომაცა, ასეც რო სჩვეოდათ, ანთუ ასე რო აწყობილიყო ყველგან ყველაფერი, ანთუ ვერაფერიც რო ვერ აწყობილიყო, თვალს რო უხუჭავდნენ ყველაფერსა, ერთხელ მოუხუჭეს, მეიძლეობდა რო მეორედაც მოეხუჭათ თვალი, მესამედაც და მეოთხედაც, რასაც უბრძანებდნენ ის უნდა იმწუთშე, იმას თუ ასრულებდნენ, თორემ დანაშაულს არ ეძიებდა არავინა, ანთუ ისიცა: ველარც გაეგოთ თუ რა იყო დანაშაული, ყველაფერი რო დანაშაული იყო. და იმწუთს მაინც არაშრომითი შემოსავლები გამოცხადებულიყო დანაშაულადა, — არაშრომითიო, ჯერ ასე ბრძანებდნენ, მერე დააზუსტეს: უშრომელიო, გრამატიკოსები მიიშველიეს და დააზუსტეს სამართალმცოდნეებმა, ვითომ რო სამართალმცოდნეობაცა გვაქვსო, ვითომ რო ენის სიწმინდესაც ვიცავთო. ეს ვითომაო, ხოლო ბრძოლა გაჩაღებულიყო ნამდვილი: ჩასაფრებოდნენ ბაზრებსა, ვერავინ ვერაფერს გაიტანდა გასაყიდადა, სახელმწიფო დამზადებისათვის რო უნდა ჩაებარებინათ, რაც რო გააჩნდათ, საზოგადოებრივი მეურნეობანი რო ვერ ასრულებდნენ გეგმებსა და ეზოებში მოწეულით რო უნდა დაეფარათ აუცილებლადა. აი ეს ბრძოლა გაჩაღებულიყო: ხალხი ცდილობდა საკუთარ ეზოებში მოწეული გეტანა ბაზარზედა და ამას დარქმეოდა უშრომელი შემოსავალი სამართალმცოდნეებისა და გრამატიკოსების ერთობლივი მეცადინეობითა. ეს ცნება კიდევ უფრო ფართოვდებოდა საგამომძიებლო თუ სისამართლო კოდექსებშია, — თუ ვინცობაა დაჭყლეტილ მანქანას გაუსწორიბდი ვინმესა შენს ეზოშია, ამასაც იგივე დაერქმეოდა, დაისჯებოდი იგივეგვარადა. შენი ეზოო. „შენი ეზოთი“ გახელებულიყვნენ, ჯავრი სჭირდათ „შენი ეზოსი“, „შენი ეზო“ უნდა მოესპოთ. ჰხვთისოს არც გააჩნდა ეზოი თავისი, აღარ გააჩნდა რო აღარც მამა-

მისსა, ადრევე წაერთმიათ, მაინც ამ ჭიდილში ჩათრეულიყო: ფული სჭირდებოდათ მთებში [გახიზნულებსაცა, ფქვილისთვისა, მასალებისთვისა, სჭირდებოდათ ერთისიტყვითა. თბილისს ჩადიოდა. შეაკეთებდა მანქანებსა. ამითი შოულობდა ფულსა. ჩუმად შეაკეთებდა, კერძოდ შეაკეთებდა, ამისი ეზოც ეს იყო სწორედა და ჩასაფრებოდნენ ამასაცა. დაიჭერდნენ, დააჯარიმებდნენ, ქრთამსაც აართმევდნენ, გაუშვებდნენ, შემჩნეულიყო, რიგდებოდნენ, მასაც რაღაც დარჩებოდა, ხელსითბობდნენ ამისი დამჭერებიცა. ეს არც გახმაურებულა. გვარამთანაც არაფერს ამბობდა ამაზე, ნესტანმა ჰო არ იცოდა და არა, ამაღლების მთაც ამიტომ არ ამოტივტივებულა. ეს მერე მოჰხდა: კოლტი რო გაიმართა, არვე გაიმართა, დაიზარდნენ დედალორები, აეწყო ცხვარ-თხა, მოცადობა წამოიმართა, ფრინველმა დაჰფარა ველობი გაღმითა, — ის იქით გაღმითა, ეს აქეთ გაღმითა, თვითონ შუაში რო მოქცეულიყვნენ, თავიანთი ძელურითა, სენაკებითა, ტაძრითა, ეზოთი, ორმოთი და ორმოს ბინადარითა, — ეს მერე მოჰხდა, მანქანის ხელობას რო დაეხსნა ჰხვთისო, დროსაც რო ართმევდა და შარშიც რო ეხვეოდა, მერე ხორცი ჩაჰქონდა თბილისის ბაზარზედა, მალეც ასაღებდა, მალეც იძენდა, რაც რო სჭირდებოდათ, მალეცა ბრუნდებოდა შინა; ეს მერე მოჰხდა და მერეც გაეხვა უფრო დიდ შარშია. ძლივას გამოეხსნა, ძლივასა, გვარამს რო არც ეს შეუტყვია გამოეხსნა, მაგრამ კვალი მაინც ვერ დაჰფარა, ანთუ გამოსტყუეს, უფრო ეს ითქმის, გამოსტყუეს და მაშინ იყო რო შეატყობინეს რაიმილიციასა: ამაღლების მთას მიაქციეთ ყურადღებაო, მაშინ იყო რო მიაყურისძირეს და ახლა იყო, რო ამოტივტივდა. ამოტივტივდა.

გუმბათიც ახლა ამოტიტივდა. არა. ამოტივტივდა კარგახანია, მაყვალი რაც რო ჩამოაღლიძეს, დაინახვებოდა რაიმილიციის ფანჯრებიდანაცა, მაგრამაო მაღლდა ჰო არ იცქირებოდა მილიციაიო, ძირს იყურებოდა და ძირს არა გორავდა გუმბათებიო. [ა]იხედეს და ინანეს, ინანეს. დასძრახეს მიჩენილი გამომძიებელი: რად გაუშვიო, — დაჭრილ-დაჩეხილი არა, ის აქვე იწვა, — ჩამომყვანებიო. [ე]ნან უფრო გამომძიებელმა: იქ ასვლა აღარ დამჭირდებოდაო. რაც იყო, იყო, ავადმყოფი ჰო აქვევე ჰყავდათ, ჯერ იმას შეუჩნდა. შეუჩნდა და ვერაფერი გამოდნა იმისგანა: ეფერა, ვერაფერი გამოდა, დაემუქრა, ვერაფერიო. კერპი რამ ყოფილხარ, შენისთანა კერპები გამოტეხილანო, — ეს უკვე დაპირება გახლდა, რო წამოდგებოდა, იმ დროისათვისა. ახლავე უქაოდა ხელი, წინასწარ უქაოდა. ექიმმა გააფრთხილა, დაკითხვის ნებას ვეღარ დაგრთავთ, გართულებებია მოსალოდნელიო. ბოდიში მოუხადა გამომძიებელმა იმგვარი ღიმილითა, მალე შენც ხელში ჩამივარდებიო. იმგვარი ღიმილითა. თუნდაც დღესვეო, იმგვარი ღიმილითა, ვიდრე დაჭრილი გამთელდებოდეს, შენს საქმესაც მოვათავებო, იმგვარი, იმგვარი, იმგვარი ღიმილითა. შუბლი შეიჭმუხნა ექიმმა გამომძიებელი გადაიბადრა. თუნდაც დღესვეო და ტრაბახიც არ იქნებოდა, ისე იმგვარად რო აწყობილიყო ეს განთქმული უფასო მკურნალობაო, მკურნალთა ხელფასსაც რო ხელფასი არ ეთქმოდა, საავადმყოფოს ხარჯსაც რო არ ეთქმოდა ხარჯი: ელექტროდენის გადასახადადაც არ ეყოფოდათ, კიდევ კარგი რო ნათურებიც ვერ შეეძინათ და ელექტროსადგურიც ხშირ-ხშირად გამოურთავდა ხოლმე დენსა, კიდევ კარგიო; მედიკამენტებს ჰო ვინ აღირსებდათ!.. საწოლი საწოლს არა ჰგავდა, ლოგინი ლოგინსა, საჭმელი საჭმელსა ,სასმელი სასმელსა, არც არაფერი არაფერსა ჰგავდა ერთისიტყვითა, უნიტაზი უნიტაზსა არა ჰგავდა და წყალიც არ უდგებოდა ტუალეტებსა, თავიდანვე არ გაეყვანათ თუ მერე ამოქოლილიყო, ვერავინ გეტყოდა ვერაფერსა. თავიანთი ავადმყოფობა

ავიწყდებოდათ ავადმყოფებსა, რითაც რო შემოვიდნენ, ის ავიწყდებოდათ, ერთი რამ სენი შეეყრებოდა ყველასა: წერად დასხდებოდნენ, წერდნენ და წერდნენ, წერდნენ საჩივრებსა, ერთნაირად იწყებდნენ, ერთნაირად ამთავრებდნენ: ჩვენაო, პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობით გარემოსილნიო, ამ დღეში ჩავყრილვართო და ყველაფერი ეს ექიმების ბრალიაო,— წერდნენ და წერდნენ რაიკომსა იქვე, ცენტრალურ კომიტეტსა თბილისში, კრემლსა მოსკოვში რაღა თქმა უნდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამდე აღარ უშვებდნენ, თორემ იქაცა, წერდნენ, წერდნენ და აქავე ბრუნდებოდა საჩივრები ადგილობრივ გამოსაძიებლადა, გამოსაძიებელი რო არც არაფერი გახლდა, ოღონდ ყურადღება რო არ უნდა მოჰკლებოდა პარტიისა და ხელისუფლებისათვის სათაყვანებელ მშრომელ ხალხსა. და არც მოაკლებდნენ ყურადღებასა: დაერეოდნენ რაიკომის მდივნებსა ხანგამოშვებითა, მაგათი ბრალია ყველაფერიო, ცეკას მდივნებსაც დაერეოდნენ, ეგენიც ბევრს აშავებენო, მხოლოდ ესაა, დაფუტუროებელი მოხუცები ისხდნენ კრემლში ფეხმოუცვლელადა, რო დაცურებულიყვნენ სავარძლიდანა, თვითონვე რო ველარც აბობღდებოდნენ, ოღონდ მაინც ეჭირათ ხელითა, უდროუდროს რო არ დაცურდნენო. ეჭირათ, ეჭირათ და ჩაუშვებდნენ, ჩაუშვებდნენ და მიაყოლებდნენ მოძულებულთა თუ მოსაძულებელთა; ხოლო ეს რაო, — საავადმყოფოს მთავარი ექიმიო, კუკუს უჭერდნენ, როცა ენებათ. გადაიბადრებოდა გამომძიებელი რაღა თქმა უნდა, კიბეს ჩაირბენდა ატაცებითა, გამორჩებოდა ჩამტვრეული საფეხური და ლამის რო კისერს მოიტეხდა, მხოლოდ ლამისა და არა ნამდვილადა, ჩაიკვნეტდა ტუჩსა და დაემუქრებოდა,— დედას გიტირებო, დაემუქრებოდა ექიმსა და არა კიბესა. საჩივრებში ესეც ჩაეწერათ: ლამის კისერი მოვიტეხოთ კიბეზეო. რა გამორჩებოდათ!..

ამათ ამდენი არ ეკითხებოდათ:
გვარამსა,
ჰხვთისოსა,
ამათ გუმბათი უნდა შეეკეთებინათ, გუმბათს უნდა მოჰქცეოდნენ თავზედა, [illegible] მოექცნენ კიდევაც და-[illegible] ანაზდეული სტუმარი. [illegible] დაივიწყეს და რამდენიმე მიაწყდა ისევ ასე ანაზდეულადა. უცებ გამოჩნდ-[illegible] თითქოს [illegible] მიწიდან [illegible], როგორც იტყვიან, ანთუ კლდიდან ჩამოიმტვრნენო, იმა გარემოის შესაბამისადა. ბიჭს მაინც არაფერი არ გაჰკვირვებია. ბიჭი რიხიანად ესალმებოდა სათითაოდა: სათითაოდაც ართმევდა ხელსა, გამარჯობაო, სათითაოდაც მოახსენებდა. გამარჯობა [illegible]ცოდა ბიჭმა, უხსენებელი რო აეყალყა, იმასაც ჰო ეგრე შესძახა: გამარჯობაო, ელოდა კიდეცა, ხელს გამომიწვდის და მეც ჩავურტყამ ხელსა ჩემსაო. ელოდა კიდეცა, — აბა!.. აბა!.. ის თუ რაც იყო, ესენი გაერთვნენ, ეს მოსულნი თუ მომხვდურნიო, გაერთვნენ, გაერთვნენ, ასეთი ბიჭები რო ქვემოთაც დასტოვეს, შინაც რო ჰყავდათ ასეთი ბიჭები. ესენი გაერთვნენ, ისინი შეცბნენ, გუმბათზე რო აბობღებულიყვნენ: ვინ არიანო, საიდან მოსულან, ნებავთ თუ რაი, ანთუ როგორ შემოგვეპარნენო. თოფებიც რო აესხათ!.. სავაზნეები შემოერტყათ, გადაეკითა აბგებიცა, — მონადირები თუ ბრძანდებიან, გზადაბნეულნი ალბათაო. რო არ დადიოდა აქეთ არავინა სანადიროდა. გზადაბნეულნიო. ის თუ ვინც იყო, ის ჰო ზევიდან ჩამოგვივარდაო. შეცბნენ ისინი ერთსიტყვითა. ესენი ჰო გაერთვნენ, თვალსაც აცეცებდნენ აქეთ-იქითა: ძელურის კარშიც ქალი ჩამდგარიყო ბავშვით ხელშია, სწორედაც ისე, ისე იმგვარადა: ბიჭს რო ეგონა, ეს ის არის, ტაძარში როა, თუ ის ეს არის, აგერ როაო. ეგონა. გარბოდა ბიჭი ტაძრისაკენა, გარბოდა და ხელს უქნევდა იმათაცა, წამოდით, იქ არის, აქ რო არის, იქაც გახლავთო, ანთუ: აქ როა, იქ დაგხვდებათო. ისინი

იდგნენ, რო არ ესმოდათ ამისი არაფერი, რო არც ელოდნენ ასეთს არაფერსა. მაგრამ მაინც თოფები აესხათ, მაინც სხვა გულით რო ამოსულიყვნენ, კაცები იკითხეს, — კაცი არ არიის აქ არანაო. — ასე იკითხეს. ისინი ცოტა განსხვავებულიყვნენ ადრინდელი თაობისაგანა, ანთუ უშუალო წინაპართაგანა, ვისთვისაც რო კაცი იყო ქალიცა, ბავშვიც კაცი იყო, ანთუ მხოლოდ რო სამიზნე გახლდა ქალიცა, ბავშვიცა, კაცი რო მხოლოდ სამიზნედა ქცეულიყო, — კლასობრივი მტერიო, რო ამოეგდოთ დედაბუდიანადა. კლასი ამოეგდოთ. კლასი ამოეძირკვათ, აღესრულებინათ ქადაგებაი ცრუმოციქულთა. იმ სიცრუეში ცურავდნენ ისევა, მხოლოდ მცირედად რო განსხვავებულიყვნენ, კლასები ¦ რო უკვე მოესპოთ, ერთმანეთზე რო ასეულიყვნენ. განსხვავებულიყვნენ. განსხვავებულიყვნენ. კაცებიო. ჩამოდიოდნენ ისინი გუმბათიდანა, ნელნელა, ფრთხილადა რაღა თქმა უნდა, ჩამოდიოდნენ თუ მოხოხავდნენ, ხეები რო აეყუდებინათ, ხეებით რო აცოცებულიყვნენ.

ქალმა ქვები მიუთითა, ანთუ ქვის სკამები: ჩამოსხედითო, ქვისავე მაგიდის ირგვლივა, მრგვალი მაგიდისა, შეიცადეთ მცირე ხანსაო.

ჩამოსხდნენ. დაღლილიყვნენ. ოფლი მოჰკიდებოდათ. სამოსიც რო ისეთი აესხათ, მონადირული თუ საბრძოლველი, დამამძიმებელი ცხელი დღისა, ცუდი გზისა თუ უგზოობისა, ამათი ბილიკიც რო ვერ მიეკვლიათ.

ჩამოსხდნენ. თოფები მაინც ისე დაიწყვეს მუხლებზედა, მზად რო ყოფილიყვნენ, ვინ გამოჩნდებოდნენ თუ როგორი რანი გამოჩნდებოდნენ, რო არ იცოდნენ რაღა თქმა უნდა, ერთს რო ბავშვიანი ქალისაკენაც მიეშვირა ლულაი, ისე, ვითომ რო უნებლიედაო. უნებლიედაო: ოღონდ რო არ დაიბნეოდა, უცბად რო ვინმეს შეეძახა, ხელები მაღლაო. არ დაიბნეოდა. დაღლაც გაივლიდა თანდათანობითა, ოფლიც შეაშრობოდათ ჩებისადა, ნიავი რო უვლიდა იმაგარემოსა ისე იმგვარი, განაგრილებდა, ალაგსებდა სიმშვიდითაცა, ლბილი, ჩასხასა, სალბუნიანი, ისე იმგვარი, ავსა კაცსა ავსა სიტყვას რო გადაუყრიდა, ისე იმგვარი. სალბუნი ისედაც მოევლოთ სახუზე, ვითომ რაო და სამშვიდობოდ ამოვსულიყვნენ, ესენი არ მოტყუებულან, გვარამი და ჰხვთისოი რაღა თქმა უნდა, არც რო სალბუნითა იმათითა, არც უამრავი შეკითხვით, რო დაუყარეს და დააყარეს ჯერ ერთბაშადა და ყველამ ერთადა, მერე ყოვნებითა და სათითაოდა, ისევ ერთბაშადა, ისევ ერთბაშადა, ისევ ცალცალადა, ისევ ერთბაშად რო შესეოდნენ, თავგზა აებნიათ, წინააღმდეგობაში რო გამოეჭრათ; არ მოტყუებულან, არც ჩამომსხდარან, იდგნენ ფეხზედა, გვერდიგვერდ იდგნენ, ჩამოეშვათ ხელნბი მორჩილადა, მიგებით მიუგებდნენ სათითაოდა, ნელა, მშვიდადა, დაყოვნებითა. ერთი ეკითხებოდა ყველაზე მეტსა, ყველაზე დახლართულადაც ის ეკითხებოდა, ყველაზე ცივი სახეც იმას ჰქონდა, გამომძიებელიც ის იქნებოდა. ეგება რო სათნო სახეცა ჰქონოდა, სულერთია ის იყო მაინცა გამომძიებელი; დანარჩენთაგან: ერთი რაიკომის წარმომადგენელი გახლდა, ერთი რაიაღმასკომისა, ერთი თავმჯდომარე კოლმეურნეობისა, ერთი პარტბიუროს მდივანი, ორიცა მილიციელი. ეს ორნი ფორმით წამობრძანებულიყვნენ, დანარჩენები — სანადიროთა ვართო. სამი ძაღლიც წამოეყვანათ. ანთუ: ჯერ ისინი მოსუნსულებდნენ, მერე მოჰყვებოდნენ ესენიცა, ჯერ ისინი რო გამოძვრნენ ¦ ჯაგებიდანა თავდაპირველადა, რო წაინაბნენ, გამოძვრნენ თუ არა, რო ისკუპეს მერე ერთადა, ქვევრს რო დაესხნენ, მაგიდის ქვეშა, სარქველს დაესხნენ, მოფხოჭნეს და დაიხიეს უკანა. მოფხოჭნეს და ვერც მოფხოჭნეს რაღა თქმა უნდა, დაიხიეს და ველარც დაყოვნდნენ, ისევ დაესხნენ მეტის სიცხარითა, ქვევრს დაესხდნენ

და თავი ახალეს ერთმანეთსა, თავი ახალეს და დაბულრავდნენ სარქველზედა, გეგონებოდა, ერთმანეთი უნდა დასჭამონო. მაშინ გამოძვრნენ პატრონებიცა ჯაგებიდანა, გარეკეს ძაღლები, თვითონ შემოუსხდნენ, გარსშემოერტყნენ მაგიდასა. ძაღლები დაყუნცდნენ შორიახლოსა, დაყუნცდნენ ისე, რო მიშტერებოდნენ ქვევრის სარქველსა, მიშტერებოდნენ და ათამაშებდნენ და ჭმუჭნიდნენ დინგსა იმგვარადა, თითქოს აი და ღრენას მორთავენო, წუთი წუთზედაო, წამი წამზედაო, აი და აჰაა, აი და აჰაარ.

სარქველს ფეხები შემოვლებოდა,

მრგვალადა ცხადია, მრგვალი რო გახლდა მაგიდაი. შეთამაშდებოდა ხან, ერთი ფეხი, ხან მეორეი, ხან გვერდიგვერდითა, ხან საპირისპიროდაცა ერთიმეორისა, ხან წყვილადაც შეთამაშდებოდა, ხან ყველა ფეხი აირეოდა, შეეხლებოდა ერთიმეორესა, მოუბოდიშებდნენ ერთიმეორესა, გამოურევდნენ შეკითხვებშია, რო არ დაიშლიდნენ შეკითხვებსაცა, თანხმობაშიც გამოურევდნენ, რო წარმომდგარიყვნენ როგორც რო ნიმუში ერთპირობისა, ერთგულობისა, გამტანობისა, თავდადებისა ერთიმეორისათვისა, ანდა ერთი საქმისათვისა, რასაც რომ ყველა ემსახურებოდა, როგორც რო ერთი. და მალე ამათთვის ნათელი გახდა, ამათთვისა: გვარამისა და ჰხვთისოსათვისა, — ვინ იყვნენ თუ რად მოსულიყვნენ, რა განეზრახათ თუ რას უპირებდნენ, არც რო ჰფარავდნენ რაღა თქმა უნდა, ნათელი გახდა: აქ რო არაფრის უფლებ არა ჰქონდათ ამათა, გვარამისა და ჰხვთისოსა, ბიჭსა, ნესტანსა, ხელში ატატებულ ჩჩვილსაცა, არაფრისა, არაფრისა, სულ არაფრისა, რო შემოჭრილიყვნენ დაუკითხავადა, დაერღვიათ ყველა წესი, ყველა კანონი, მიეტაცათ მამული კოლმეურნეობისა და აუნაზღაურებელი ზარალი მიეყენებინათ; თვითონ გამდიდრებულიყვნენ იოლი შრომითა, არღვევდნენ სოციალისტური ვაჭრობის სისტემასა, შეპარულიყვნენ საკოლმეურნეო ბაზრებში და დანაშაულებრივად აძვირებდნენ ხორცსა, იცოდნენ რა, რო სწორედ აქ ირღვეოდა სახელმწიფო დამზადების გეგმები; მალულად, ტექნიკური უსაფრთხოების წესთა დაუცველად გამოეყვანათ ელექტროდენი და გარდა ამისა, რომ [illegible] არ [illegible] ამაში, საფრთხეც შეექმნათ ტრანსკავკასიის ელექტროსისტემისათვის; ხოლო ტაძარში [illegible] სხდნენ, [illegible] ცმუკეა გამოსარკვევიო; ნათელი გახდა, ნათელზე ნათელი. თამაშობდა ფეხები, ცმუკავდა ფეხები ქვევრის ირგვლივა, ორი ფეხი მომეტებულადა, გამომძიებლის ორივე ფეხი: გაიხსნა, გაიხსნა რამდენიხანია მიჭურისძირებული საქმეი, გაიხსნა და ისიც ცხადია გაიხსნებოდა თუ რად ჩაეხილიყო ხრამში ის კაცი, მართლა თავისდა უნებლიებდა?.. ჰა, ჰა, ჰა... დიდედა გაართონ ამ ზღაპრებითა, ჯერ ის ართობდა, ახლა ამათ გართონ. და ცმუკავდა ფეხები, ცმუკავდა, ცმუკავდა, ეხლებოდა აქეთ-იქითა, აქეთ რაიკომის თანამშრომელსა, იქით რაიაღმასკომისასა, ეხლებოდა, ეხებოდა და აღარც ებოდიშებოდა, არა, აღარა, რა სათქმელია: თვის დამზადების გეგმა ვეღარ შეესრულებინა კოლმეურნეობასა, ესენი თიბავდნენ, ისაკუთრებდნენ, — აგერა ჯაურები!.. ჩაზიდავენ ახლა, შეასრულებენ, გეგმას შესრულებულად ჩაიწერენ წინასწარაცა, — აგერა ჯაურები!.. ხორცის დამზადების გეგმაც ვერ შეესრულებინა, ამათ მოემწყვდიათ ეს ამოდენი საქონელი, ფრინველი ამოდენი, ამოდენი ბოცვერი, მაინც როგორ მომრავლდა ამდენი, — მოწონებასაც ვერა ჰფარავდნენ, — ვერ შეესრულებინა და შეასრულებდა, აგერა, აგერა, აგერა, აგერა. ჰა, ჰა, ჰა... ცმუკავდა ფეხები თავმჯდომარისაცა, აჰყვა ჯერ რო გამომძიებლისასა, მერე კიდევაც გადააჭარბა, ქვეშ ფეხებმა და ზევით ხელებმა: უკრავდა ტაშსა და იფშვნეტდა ხელებსა, სარეკორდო ციფრებს ეთამაშებოდა, ეთამაშებოდა წო-

დებასა სოციალისტური შრომის გმირისა, ყველა რო ასე ეთამაშებოდა თუ შესცქნაოდა, ყველაო, ყველაი, მო[illegible] თუ მოშლერალი, პოეტი თუ კომპოზიტორი, მხატვარი თუ მსახიობი ,თუნდაც რო აკადემიკოსი და ამგვარი ხალხიცა, თავმჯდომარეს რაღა გაემტყუნებოდა, ანთუ რაიკომის მდივანსა. ანთუ ვის რაღა გაემტყუნებოდა ამათ შემხვედვარეთა, — აღარაფერი რაღა თქმა უნდა. ეყარა გმირები ჰერეხებივითაო, სოციალისტური შრომის გმირები, დამშეულ ქვეყანაში, შიშველ ქვეყანაში, უსაწლკარო ქვეყანაში, უთოლებო ქვეყანაში, ბრწყინავდა ორდენები ბრწყინავდა ვარსკვლავები, ნამგალ-ჩაქუჩი ბრწყინავდა, მკრთალი, ჩამქვდარი, ჩაქამული ბრწყინვალებითა; მაინც თუ რაც იყო, გამორჩეული იყო უსაშველო ლაფიდანა და ესეც იმას შესჩურჩულებდა, ანთუ შესჩურჩულებდა ჯაურებსა, თხებსა, გაღმა რო დახტუნაობდნენ, გეგმასა, რომელს რო შეასრულებდა, ჯერ რო არცერთხელ არ შეესრულებინა, — უკრავდა ტაშსა, იღშენტდა ხელებსა. ფეხები ცმუკავდა, ცმუკავდა, ცმუკავდა, ყველანი ერთადა, მერე ერთადაც მოებჯინებოდნენ სარქველსა, ყველანი ერთადა და ირგვლივა ცხადია, თორემ ცალი მხრით თუ მიებჯინებოდნენ... ჰა, ჰა, ჰა... სიცილი აი მაშინ გენახათ...

გვარამი შეეცადა აეხსნა.

ჰხვთისო არაფერსაც არ შეეცადა, არც რო გასცლია, იდგა ისევე, ხელები ჩამოეშვა და იდგა.

გვარამი შეეცადა.

ამაოდ შეეცადა. რას აუხსნიდა, რას გააგებინებდა?...

მოვლენილიყვნენ დამცველები გეგმისა, კოლექტივიზმისა, კოლექტივიზმის კანონიერებისა. ინდივიდი, ინდივიდუალიზმი ბოროტება ყოფილიყო ამა კანონიერებითა. ინდიუიდუალიზმი უარჰყოფა ყოფილიყო გეგმისა, სოციალისტური სახელმწიფო გეგმა ყოფილიყო. ინდივიდუალიზმი უარყოფა ყოფილიყო სოციალისტური კანონმდებლობისა, სოციალისტური სახელმწიფოსი. ინდივიდუალიზმი ნაციონალიზმის საფუძველიცა ყოფილიყო, ორივე ერთად დაუძინებელი მტერი იგივე სახელმწიფოსი, სახელმწიფოს მიზანიც რო ის უნდა ყოფილიყო, ორივე რო მოემთო ერთდროულად. ერთდროულად, ინდივიდუალიზმი და ნაციონალიზმი ფიქრადაც ითვლებოდა დანაშაულად, ლამობდნენ ფიქრსაც რომ მისწვდომოდნენ და წვდებოდნენ კიდევაცა: რახან კაცი იყო, ინდივიდიცა ბრძანდებოდა, რახან ინდივიდი გახლდა, უყვარდა ერიცა თავისი, მეტი რაღა გამოძიება უნდოდა, ანთუ სასამართლო რაღა მოხელე იყო?... არაფერი რაღა თქმა უნდა. იცოდნენ. დარწმუნებულიყვნენ ესენიცა. ჰყავდათ თავიანთი თეორეტიკოსები. ეს ვინ იყო, რას აუხსნიდა, სალებავებით რო მოთხვრილიყო, ვინ დაუჯერებდა ამასა?!. ჰყავდათ დიდი თეორეტიკოსები, დიდნიცა და მცირედნიცა, რო მაღლდებოდნენ და მაღლდებოდნენ, იძენდნენ ხარისხებსა, წოდებებსა, ჯილდოებს ჰო ნუღარ იკითხავ, — ჰყავდათ, შეესწავლათ და თვითონაც გამოცდილიყვნენ, შეჰხედავდნენ და იცნობდნენ უმალვე, იცნობდნენ და იცნეს: აი ორი ინდივიდუალისტი, კერძო მეურნეობის აღდგენა რო მოუნდომებიათ, კერძო ბაზრის აღდგენა რო მოუნდომებიათ, იცნობდნენ და იცნეს. კერძო მეურნეობა ველარ გაიხარებს, ველარ აღორძინდება კერძო ბაზარიო, უმტკიცებდა რაიკომის წარმომადგენელი, მგზნებარეედა, ციტატებითა, გვარამი რო ცდილობდა აეხსნა: რის კერძო მეურნეობა, რომელი კერძო ბაზარიო, ცდილობდა ამაოდა. ჰხვთისო იდგა ხელებჩამოშვებული, არც რო ამბობდა, არც თავს აქნევდს. რაიალმასკომის წარმომადგენელი აქნევდა თავსა სამაგიეროდა, ყოველ სიტყვაზე ათჯერ აქნევდა, რო ეთანხმებოდა რაიკომის წარმომადგენელსა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეც უდასტურებდა, პარტბიუროს მდივანიცა.

მილიციელები არც უსმენდნენ, შესცქეროდნენ გამომძიებელსა. ისიც არ იქნევდა თავსა, არ დამძიმებულიყო თეორიებითა, კანონი დაესწავლა, კანონს მიჰყვებოდა, კანონი იყო თუ უკანონობაო, რაც იყო, იმას მიჰყვებოდა: საქმე აღძრულიაო, ჩამობრძანდებით რაიონშიო, პასუხს აგებთო. ამისი საყვედურიც მოადგა ენაზედა რაიკომის წარმომადგენელსა, — აქამდის სად იყავითო, — მოადგა, ოღონდ დააჭირა კბილი ენასა: ამათთან არაო, ამას რაიკომში გავჭორავო. და გამოსცილდა რაიკომის ფეხები ქვევრის თავსა, ყველა დანარჩენიც გამოსცილდა იმავედროსა, აიმართნენ, ადგნენ, გასცილდნენ სკამებსაცა. ძაღლებიც იმავწუთს უძგერნენ სარქველსა, ეძგრნენ ღრენითა, მოფხოჭნეს ღრენითა, მოფხმჭნეს და მოფხოჭნეს, თითქოს რო ქვევრი უნდა ამოაბრუნონო. ფეხები გაცვივდა უფრო შორსა. თოფები მოიმართა. თოფები ხელებმა მომართა ცხადია, დაეღერა ქვევრსა.

„რა არის?."

იჭექა ერთმა, ალბათ რო რაიკომის წარმომადგენელმა; ღრენამაც იმატა, ფხოჭნამაცა.

„ისეთი არაფერი..."

ახლაღა წადგა ჰხვთისოი წინა. ხელიც აიქნია: წადით, ეს თქვენი საქმე აღარ არისო.

„უპასუხეთ, რო გეკითხებიან!..."

ეს მილიციელი გახლდა, ერთი, ანთუ ორივე ერთადა.

„გიპასუხებთ", წარბიც არ შეუხრია ჰხვთისოსა, „უხსენებელია. ათი მეტრი მაინც იქნება." გააზვიადა რაღა თქმა უნდა.

„რა ეშმაკად გინდათ?!."

ერთადვე გაიოცეს, ერთადვე დაიხიეს უკანა.

„შემოგვეჩვია. დავამწყვდიეთ."

აუხსნა გვარამმა, ეს მაინც გამიგეთო, იმ კილოზედა.

„ვერ მოკალით?!."

ვერც ეს გაუგეს რაღა თქმა უნდა.

„სულიერია. რაც არ უნდა იყოს..."

ისევ გვარამმა სცადა თავისი.

„ეს რა სულიერია?!."

ერთმანეთს გადაჰხედეს გაკვირვებულებმა, წამიერადა რაღა თქმა უნდა, ანთუ უფრო მცირე ხანითაცა, ქვევრისთვისაც რო არ მოეწყვიტათ თვალი.

„მაშ რა არის?.."

ეს ჰხვთისომ იკითხა, ხელებჩამოყრილმა ისევა, მოწამესავითა.

ძაღლებიც გაავდნენ, გავდნენ ისე, რო აეყალყნენ ერთიმეორესა, მაგიდას შეახალეს თავი, გამოცვივდნენ და შეცვივდნენ ისევა.

„ამოუშვით!..."

იგრგვინა ერთერთმა თუ ყველამ ერთადა სულერთია, ესენი არ აჩქარებულან.

„აქ ნუუ!.." ძელური ანიშნა ჰხვთისომა, „ქალია, ბავშვებია... წაიყვანეთ და..." თქვენ იცითო.

ეს აღარ მოეწონათ ამა მოსულთა თუ მომხვდურთა, აქამდისაც რო არაფერი მოსწონდათ, აღარც დაუძალებიათ, ამოუშვითო, აღარც დაუცდიათ მეტხანსა, გაირეკეს ძაღლები და წავიდნენ, რო დაუგდეს უფრო მუქარითა: ჩამობრძანდებითო. ის არის, რაც არისო, — ეს გზაში დაადგინა რაიკომის წარმომადგენელმა, ჰხვთისოსა გულისხმობდა. ის არისო, დაუდასტურეს ერთხამადა.

## XVIII

უბრძანეს და უნდა ჩასულიყვნენ. ესენი არ აჩქარებულან. იმათაც დააყოვნეს: ტაძარში თუ რას აკეთებთო, ისიც ჰო ცალკე დასადგენიაო. აქ ამათ ეს რო განუცხადეს, იქ თბილისს აუწყეს: მოდით, მოგვხედეთე, ტაძარი თავზე დაგვანგრიესო. საქმე დგებოდა, რალაც დიდი საქმე დგებოდა. დანაშაული დიდი ერჩივნათ. მოსკოვამდის რო გაეთქვათ სახელი. ამიტომ დააყოვნეს. ხოლო ესენი რო არ აჩქარდნენ. ეგება დაგვეხსნანო, არ აჩქარდნენ ამიტომა. ამათ რო სუფთა გული ჰქონდათ. სუფთად ეჩვენებოდა ყველაფე-

რი, მაინც სუფთადა, როგორ ქუჯყსაც არ უნდა გადაჰყროდნენ. და ისევ გუმბათს მოექცნენ თავზედა, რაც უნდა იყოს, ჯერ გუმბათი გავამაგროთო.

გუმბათზედაც იყვნენ.

თვითმფრინავებიც ჰო გადადიოდნენ, შვეულმფრენებიცა, ისევ ბიჭი თუო, თორემა ესენი ყურადღებას აღარ აქცევდნენ. ოღონდ ის ერთი იმგვარად აუტყდა, აილეს თავი და მიაჩერდნენ: ზედ მათ თავზე დატრიალდებოდა, თითქოს აი უნდა აიყვანოს და სადღაც ცაში აიტაცოსო, ანთუ ორივეო, ანთუ ერერთიო, მხოლოდ რომელიო, იმას თუ არჩევდა მერე ველობზე გადაინაცვლა, შვეულმფრენმა რაღა თქმა უნდა, იტრიალა, შემოუქროლა, დააჩერდა მერე ერთ ადგილსა, დაეშვა, დაიწია და ჩაჯდა ჯაურებში, დააფრთხო ციცრები ,ქათმები დააფრთხო, დააწიოკა.

შვეულმფრენიდან ორნი ჩამოვიდნენ.

აქედან ბიჭი გაეშურა შესაგებებლადა.

ბიჭი მაყვალში ამოგანგლულიყო. სახე რო მაყვლისფერი გაჰხდომოდა, ხელებიც რო მაყვლისფერი ჰქონდა, სულმთლად უცხო არსებას თუ არა, სხვა კონტინენტის ნაშობს მაინც დამგვანებოდა, ისედაცა ჰყვიროდა, ჰყლოპინებდა ისე, გახარებულიყო ისე, თვითონვე რო ჩამოუბრძანდა ის ზეციური მანქანაი, აქამდის რო გადიფრენდა და გადმოიფრენდა, რო აზანზარებდა ამათს ძელურსა. ახლოს რო არ ენახა ჯერა, ყველა დანარჩენიც ახლა ასეთივე ეგონა ბიჭსა: ის მძლავრი გამანადგურებლებიცა, ის უშველებელი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებიცა, ყველა სხვა სახის თვითმფრინავებიცა, ეგონა, შეჰხაროდა და ეამაყებოდა. და ეღურტულებდა ბიჭი, ჰკიოდა ბიჭი: დედას უხმობდა. მამას უხმობდა, ჰხვთისოს უხმობდა, ჩვილსაცა აკვნისაი, მოდით, მოდით, რა გაჩვენოთო. და რო მირბოდა ბიჭი შესაგებებლადა, გამობრუნდებოდა, გამორბოდა უკანა, მიბრუნდებოდა, მირბოდა, გამობრუნდებოდა, მირბოდა, ურბენდა ერთ ადგილსა, ურბენდა ერბენდა. იმათ გაუკვირდათ, ჩამობრძანებულთა, ეს რა ფერის არსება შეგვხდაო. ბავშვადაც არ იგულვეს, ალბათ ტანად ასეთიაო. ერთს მაინც ისეთი წარმოსახვა ჰქონდა იმ ორთაგანს, ვინ უწყის თუ რა არ წარმოიდგინა — ცაებ რო ვერც მისწვდება და ვერც ჩამოსთვლის ხნვა ხელოვანი. სიტყვებიც რო ვერ გაარჩიეს ისე ერთბაშადა, — მაფიოდ რო არას გამოსთქვამდა ბიჭი. ჰო გაიკვირვეს, დაიბნენ კიდევაცა, თუმცა იცოდნენ, რო აქ ხალხი დაჰხვდებოდათ, რო ატყობინებნდნენ ტაძარს მოჰხედეთო, ხალხი შეესეოდა ალბათ რო ტაძარსა, მაგრამ ეტყობა რო უცნაური ხალხი, უცნაური და უცნობი აქამდისა, საიდღანღაც გადმოვარდნილი, ქრისტიანული ცივილიზაციის მონაპოვარი პირველად რო ეხილა და ბარემ რო უნდა აღეგავა მიწისაგანა, ბუნაგების მეტი არაფერი რო არ იცოდა და არც არაფერს არ დატოვებდა ბუნაგების გარდა. გუმბათზედაც ისინი თუ შენიშნეს. დროს არა ჰკარგავდნენ. შეიძლება რო გამოსცილებოდნენ ველურობასა, შეიძლება, შეიძლება რო თეფშებითაც მოვლენილიყვნენ, ყველგან რო შეენიშნათ და ჯერ არსადაც არ ენახათ ასე ახლოსა, შეიძლება, მაგრამ რაღა ტაძარს ეკვეთნენ, — იმ უცხო პლანეტაზეც სოციალიზმის ეპოქა ჰო არ დამდგარიყო, დედამიწასთან ერთად ჰო არ გაჩენილიყო ისიცა, დედამიწასთან ერთად ჰო არ მისცემოდა თავის ბედისწერასა?.. ეს შეიძლებოდა, რახან რო მსოფლიო ატეხილიყო, ის მაინც უფრო საბეჯითო გახლდა: ტრამალის ხალხი რო აწვებოდა კავკასიონის ჩრდილოეთის ტომებსა, რო შემოეჭყლიტა კავკასიონში, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ რო გადმორეკა, ახლა ესენიც გადმოცვენილიყვნენ, ხეობა ეპოვნათ მიტოვებული, ტაძარი უპატრონო, და ანგრევდნენ ტაძარსა, ტაძარსა სხვისასა, თავიანთი რესპუბლიკა რო გამო-

ეცხადებინათ, — ეს უფრო საბეჯითო გახლდა. ტრამალის ხალხი ტაშს დაუკრავდა ალტაცებითა, წამოუძლვებოდა კიდევაცა, დაიცავდა კიდევაცა სხვის მიწაწყალზედა, დაიცავდა თავგამოდებითა, აბა. აბა, დაიცავდა კიდევაცა!.. ბიჭი ჰხუტუნავდა, ჰხარობდა ბიჭი, უცნაური ბიჭი, უცნაური თუ ჯიშისა უცნაურისა, ესაა რო გადმოვარდნილიყვნენ ჩრდილოეთიდანა.

ჩრდილოეთიც იცოდა სამხრეთიცა, კავკასიონისა ერთმა იმათგანმა. — ჰო ორნი ჩამობრძანდნენ?.. თრიალეთიც იცოდა, აჭარის მთებიცა და გადაეხედა იმას იქითაცა. იქით თუ გადაეხედა, აქეთ მაინც ყველგან დაედგა ფეხი, თითქმის ყველგანა, ალბათ უფრო რო თითქმისაო, ეს ხეობა რო გამორჩენოდა: არც ევლო აქეთა, ჯერ არც არსად ამოეკითხა. არც დაეცდიათ აქამომდისა: ციხე-ციმბირი ათჯერ მოევლო, სამოგზაუროდ არა ცხადია. კავკასიონის მწვერვალებზე ასვლა ერჩივნა, ისინი აგზავნიდნენ დასაკარგავში. დაბრუნდებოდა, გააგზავნიდნენ, დაბრუნდებოდა, გააგზავნიდნენ, აი და კიდევ დაბრუნებულიყო, დაბრუნებულიყო და ამგაზვრებოდა, ვნახოთ იქაც თუ რა გვქონიაო. ეს გახლდა ლევანი, მწერალი და ტრფიალი მთებისა, მწვერვალებისა, გარდასული დროის ნაშთებისა, ციხე-დარბაზები იქნებოდა, ტაძარ-მონასტრები იქნებოდა, თუ თუნდაც ყაითნები, ანთუ აბზინდა დედოფლის სარტყელისა, ნადირობის ტრფიალიც გახლდა. ხოლო ის მეორე, იმასაც ერქვა ალბათ რალაც რო, მაინც სათქმელად ზედმეტი იქნება: ნომენკლატურული მუშაკი ბრძანდებოდა, ნომენკლატურული, ეგრეთწოდებული, ახლა ცოტა ხანშიშესული, მანამდე უშუალოდ პარტიული მუშაკი, — სწორი ხაზის გამტარებელიო, ერთი სიმღერისა არ იყოს, რო დალლილიყო, ანთუ რალაც რო შემთხვეოდა, ოლონდ მაინც რო არ მოეკვეთათ, ჩაებარებინათ საქმეი ისეთი, დიდად თავსატეხი რო არა ყოფილიყო, რო არც მოჰკლებოდა ღირსება თუ პატივი: ეს მანქანაო თუ ეს ოქროყანის მალაზიაო, შესაძლოა რო კრწანისისაცა, ეს მეოთხე საემართველოს კლინიკაო, პოლიკლინიკაცა რალა თქმა უნდა, ეს დეპუტატობაო, ზევზევით ჰო რა სჯობიან, თუ არა და ქალაქის მაინცაო, [illegible] რო [illegible] ინიც [illegible], ქვაცა ჰქონდა და კაკალიცა ერთისიტყვითა; ჩხებარქმანათ საქმე [illegible], ძეგლთა დაცვის მზრუნველობა ჩაებარებინათ, არც რო არავინ არ აწუხებდა, არც რო თვითონაც არ შეიწუხებდა თავსა: თვითონ რო იცავდნენ წარსულის ძეგლებსა, ოლონდ რო საერთოდ არაფერს იცავდნენ, მითუმეტეს რო წარსულის ძეგლებსა. ამისი საქმეც სწორედ ეს იყო. მერედამერე თითქოს შეწუხდნენო, თითქოს ცოტა დაფაცურდნენო: უცხოელ ტურისტებს რო გაუღეს კარი დაფაცურდნენ და შეალამაზეს, ტურისტულ მარშრუტებს რაც რო გასდევდა, შეალამაზეს, შეასუფთავეს, შეაკოხტავეს შორიდან თვალში რო მოჰხვედროდათ. მაშინ ცალკე კომიტეტიც შექმნეს, ამასაც მოუძებნეს უფრო მშვიდი სამსახურიო. რად მივდევ ასე ამის ცხოვრებასა, მეც ვერ მივმხვდარვარ, — ბევრს რო შევხვედრივარ ამდაგვარსა, ალბათ იმიტომა, უსაქმურები რო სჯარბობენ საქმიანთა. ალბათ იმიტომა, კეთილდღეობა რო სიყალბის ხვედრია, ალბათ იმიტომა, ანთუ ვინ უწყის თუ რატომაო, მივდევ და ეს არის: ჯერ ეს განაგებდა, რო არ განაგებდა არც არაფერსა. ისტორიკოსები თუ დაიჩივლებდნენ, არქეოლოგები თუ დაიჩივლებდნენ, ხელოვნებათმცოდნეები თუ დაიჩივლებდნენ, — გამოარკვიეთო, დააწერდა განცხადებებსა და ეს იყო, იღლებოდა ამითიცა. დაქანცული შედიოდა ცეკაში, დაქანცული გამოდიოდა შეებრალებოდათ, სიბრალული რო სცოდნოდათ იქა. შეებრალებოდათ. შეეცოდებოდათ. დაიწვოდნენ ამისი ცოდვითა. ეკლესიები თუ, ტაძრები თუ, მონასტრები თუ, — სულაც არ ეკითხებოდა, ანთუ სასაცი-

 

ლოდაც არა ჰყოფნიდა, ან თვითონვე რო მოემტრია ჯვრები, ან მამაბიძა რო ჰყოლოდა ჯვრებისმტვრეველნი. სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა. აქ მაინც ენება და წამოსულიყო.

ჩამოსულიყვნენ

მკრეხელი

და

ჯვარისმტვირთველი,

ერთად ჩამოსულიყვნენ. ერთადაც შეჰყურებდნენ გაურკვეველი ფერის ბიჭსა: თეთრკანიანს რო არა ჰგავდა, არც შავკანიანსა, არც ყვითელკანიანსა, ქართულით რო ვერ აიყოლიეს, რუსულიც რო ვერ გააგებინეს, ხელებით რო ანიშნებდნენ და არც ის ნიშნები რო არაფრად მიუჩნდა. არც ეს მოფრენილნი მიაჩნდნენ არაფრადა, რითაც რო მოფრინდნენ, იქით მიიწევდა მიიწევდა. გაფრენა უნდოდა ბიჭსა. ლევანმა ხელში აიყვანა ბიჭი. ლამის გაუვარდა ხელიდანა, თითქოს რო მხრები ჩამოემტვრაო. სხმარტალებდა ბიჭი, მიიწევდა ბიჭი, გაფრენა უნდოდა, მიიწევდა, მიიწევდა. ბეჭები უქრიალებდა ლევანსა, ნაწამები ბეჭები, მაინც ეჭირა ბიჭი, ეფერებოდა, ეფერებოდა. ასწევდა, ასჭიმავდა, გაშლიდა ხელებსა ბიჭი, აი და მივფრინავო. ჩამოწყდებოდა მკლავები ლევანსა, — მკლავები არა: ზურგი უმტყუნებდა. მოეჭდობოდა გულზედა ბიჭი, აფხოჭიალდებოდა, აჭიჭყინდებოდა, გაფრენა უნდოდა ბიჭსა, ზევით უნდოდა. ზევითა. ზევითა. ასწევდა ზევითა და: აირეოდა ჯვარი, ბეჭებზე რო ამოეჭრათ ჯვარი ლევანისათვისა, დაკოთხვებისას რო ამოეჭრათ, ჯვარი გწამს და ატარე ჯვარიო, აირეოდა, აიწეწებოდა, დაიჭიმებოდა, გაგლეჯას იყო. ჯვარი აჯდა და ჯვარს მიჰყვებოდა, ისტორია რო ჯვარი გახლდა, ახალიცა, ძველიცა, უძველესიცა, წარმართობისაცა, და წარმართობამდელიცა, ჯვარით ჩავარდნილიყო უბედურებაში, ჯვარითვე გამოეხსნა თავი, გამოეხსნა და გამოიხსნიდა. შენ მაინც გადექი ცოტ იქითაო, გაფრთხილებდნენ, შენიშნული ხარ, თვალში ნულარ ჩაუვარდებიო. შეუნიშნავი არავინ დარჩებაო, მეც კიდევ ავიტან იმათდენსაო. იტანა და აიტანდა. იტყოდი: დევივით კაციაო. ტორები მაინც ისეთი ქონდა, ხელს ჩამოგართმევდა, გეგონებოდა, ჩამოგწყვიტაო. ქალები მაინც კარგახანს იფშვნეტდნენ მაჯასა, რო ვერ იფშვნიდნენ. ხელი რო ვერ გაუწოდებიხათ, გაუწოდებდნენ და იფშვნეტდნენ მაჯასა. ეს ვითომდა არაფერიო, ვითომდა თითი მოუცაცუნაო. ძალა ჰქონდა, ძალას ებრძოდნენ, წარმოსადეგი გახლდა, წარმოსადეგობა სძულდათ, ნიჭი მოსდევდა, აგიჟებდათ ნიჭი. გაეტეხათ და ვერც გაეტეხათ, ჯერკიდევ მოსდევდა ეს ყველაფერი, ისაა, რო ჯვარი სტანჯავდა, ჯვარი სწამდა და ჯვარი სტანჯავდა. ბიჭი მიფრინავდა. აუსხლტა ბიჭი. ფეხის კოჭებითღა ეჭირა ლევანსა. მოსწყდა ბიჭი. ბეჭებზე დააწყდა ბიჭი ლევანსა. ნესტანმა მიუსწრო. ნესტანმა ჩამოართვა ბიჭი. შეძრწუნდა ნესტანი. არაფერიაო, ანუგეშა ისევ ლევანმა, სახეც დაუმშვიდდა თანდათანობითა, თვალებმა ცეცხლი გადაიყარა. არაფერიაო. კიდევაც წაეტანა ბიჭსა. აღარ დაანება ნესტანმა. ბიჭი მიიწევდა შვეულმფრენისაკენა, გაფრენა უნდოდა ბიჭსა.

მიეშურებოდნენ გვარამი და ჰხვთისოი.

ნესტანი ჰო მანამდე გამოცხადდა.

უცხო რჯულისანი არ იყვნენ ცხადია, არც ტაძრის მნგრეველებს რო არა ჰგავდნენ: ფერები ეცხოთ, ზეთი ეცხოთ, ცემენტი ეცხოთ, გაჯი ეცხოთ სამოსზედა თუ ცხვირპირზედა. მაშინვე ნდობით შეჰხედა ლევანმა, გაუქრა ეჭვი რამ თუ მოჰყოლოდა, ანთუ სამინისტროში რო უნერგავდნენ, გაუქრა, მიენდო პირველივე ნათქვამსა, მანამდე ხელისჩამორთმევას მიენდო, ვაჟკაცურ ხელისჩამორთმევასა, აღარც რო უნდოდა, ხელი გაეშვა. ასე ხელს აღარავინ აღარ ართმევდა, თითქოს რო ყველა მომჩვარებულიყო. ამათ უმალვე გაუშინაურდა, ჩაუდგა შუაში, აახ-

ქარა, ტაძარში შევიდეთო. გაიხარა. გაიხარა დიდი ხავშვივითა, ცხოვრების სიმწარემ სიხარული ვერ დაავიწყა: ეს რა გიპოვნიათ, ეს რა გიკეთებიათ, ეს რა ხალხი ყოფილხართო. გაიხარა და გაახარა ესენიცა, იმ რის შემდეგ ეს ჰო უადრესი წყალობა გახლდა, წყალობაი თუნდაც რო ღვთიური, ამ კეთილი კაცისთვის რო გამოეტანებინა. ანთუ თვითონვე რო მობრძანებულიყო ამ კაცის სახითა. გაახარა და დალოცა ციკანი ჰხვთისომა, ქათმებიც წააკლა რაღა თქმა უნდა. გვარამი დაჰყვებოდა სტუმრებსა, გვარამი ისმენდა მოწონებასა ლევანისა, ისიც ისმენდა, ის და, ის მეორე სტუმარი, ილონდ ესაა, რო არას ამბობდა, არც სუაროსა, სადღაც შორსაც გაიცქირებოდა. „შეხედე!..“ შესძახებდა ლევანი და წაავლებდა ხელსა, შეანჯღრევდა თითქოსა. მოიღერებდა კისერსა ისიცა, თვალს გაყოლებდა ლევანის თითსა, არც რო იკითხავდა თუ რას შევხედოო, ანთუ რომელსაო, სულერთი რო იყო ამისთვის ყველაფერი, ანთუ ტაძარი რო არაფრად უღირდა, არც ხუროთმოძღვრება, არც ფრესკული მხატვრობა, არც რო ჩუქურთმანი რო არაფრად უღირდა თავისთავადა, ამისთვის ყველაფერი ხარჯთაღრიცხვად ითქმოდა, სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვადა, და თუ რამეს შეაფასებდა, შეაფასებდა მხოლოდ რო ამ თვალითა, ისიც რო დაეკლო რაც შეიძლება მეტი, გადაეხაზა ანგარიშები, გაენახევრებინა, გაემესამედებინა, გაემეოთხედებინა, მცირე გაელო და ბევრი აღედგინა, ბევრი, ბევრი, ბევრი. ცეკაშიც რო ასე მოითხოვდნენ, მინისტროთა საბჭოშიცა, მერე უკვირდა თუ რად ედავებოდნენ რესტავრატორები, უკვირდა, უკვირდა, დამნაშავეებადაც გამოაცხადებდა, ხელს მიშლიანო, გამოაცხადებდა ესა ცხადია. ლევანთან ერთად რო ჩამობრძანდა, ჰო — ესამეთქი და შესაძლოა, რო აიბნეს ნაცვალსახელებში, შესაძლოა, სახელი რო ერქვას უკეთესი იქნება, — ერქვას: გერვასი ერქვას; მაგრამ ვინ უწყის დომენტის უწოდებდნენ?.. იყოს დომენტი, იყოს. იყოს. ამას ასეთი რესტავრატორები ერჩივნა, დომენტისა: არც არაფერი მოეთხოვათ, არც არას მოითხოვდნენ, წამოსულიყვნენ, გადმოკარგულიყვნენ, იღვწოდნენ მშვიდადა, უჩუმრადა, არცა ქრთამს რო არა ელოდნენ, არცა ხოტბასა. მადლობასაც არა. თითქოს ისიც ეუხერხულებოდათ, ლევანი რო აღუთქვამდა: გაზეთებში გამოვაქვეყნებთო, „ძეგლის მეგობარში“ გამოგახატავთო, ეუხერხულებოდათ: არაო, — ეუარა კიდევაც გვარამი. რას მიქვიან „არაო“, აილეწა ლევანი, ეს ძეგლი ჩემთვის აღმოჩენაა. ბევრ სხვასაც რო აღარ ემახსოვრებაო. ძეგლი ჰოოო, დათანხმდა გვარამი, სუფრასაც შემოუსხდნენ ამა თანხმობითა, ხაშლამას რო ორთქლი ასდიოდა, რო გადაჩაჩხულიყვნენ დაბრაწული ვარიებიცა, მწვანილეულზე ბოდიშს მოვიხდითო, სალათაზეცა, მხალეულზეცა, აქ ამდენი არ მოგვიხერხდებაო, ხოლო მწვადიო, —მწვადი ავაგეთ მცვრივიანიო. არაო, არაო, უარობდა ლევანი, ესაა მოვფრინდითო, ესაა გავფრინდებითო, რომელი არაჩა ურმით მოვსულვართო. ბიჭი მიეტმასნა, გავფრინდებითო, რო გაიგონა. მიეტმასნა და მიიტმასნა. ლვიძლი გადაილო ქათმისაი, შუა გაუყო ბიჭსა, ჩააწო მარილში თავისი ნახევარი, შემოახვია მსხვილი ტუჩები: უჰ, უჰ, უჰ, რა გემრიალიაო. ჩააწო ბიჭმაცა, შემოახვია ბიჭმაცა: უჰ, უჰ, უჰ, რა გემრიელიაო,— ბიჭმაცა. ჩაიგემოვნა დიდმა, ჩაიგემოვნა ბიჭმაც. აჰყვნენ სხვებიცა: უჰ, უჰ, უჰოოო... ცხელიც რო გახლდა. ბიჭი არ გამოტყდა, რო დაეწვა ტუჩები. არც შეუნიშნავთ, ლვინომ აიყოლია:

„ვაზი მოგიშენებიათ!..“

მოუწონა ლევანმა.

„არა!..“.

გაუქარწყლა გვარამმა.

„აბა ეს რა არის?..!

„მაყვალია...“

ხელი გაიშვირა გვარამმა.

„ფალსიფიკაცია!..“

შესძახა დომენტიმა, ავარდა და დავარდა, ავარდა და დავარდა, ალმოვაჩინეო.

„ეგლა გვაკლია...“

მოიჭმუხნა გვარამი, თითქოს რო ამასწინანდელი სტუმრები შემოსხდომოდნენ მაგიდასა.

„მაყვალიაო, გითხრეს,“ თითქოს რო კბილებში გამოსცრა ჰხვთისომა, „ჩვენ არ ვიტყუებით“. გამოსცრა ისე, რო დააცხვა სკამსა დომენტი, ანთუ ცივ ქვასა ესეიგი. დააცხვა.

„იხუმრა...“

გაიცინა ლევანმა, ცოტა ნაძალადევად გაიცინა, უხერხულობა დაჰფარა თითქოსა.

„მთამ ასე იცი... ცოტა გამკაცრება იცის მთამა.“

გამოესარჩლა გვარამი ჰხვთისოსა. - „მთამ არა!...“

ისე თქვა ჰხვთისომა, რო იგულისხმებოდა: ადამიანებმაო.

თავი დაუქნია ლევანმა: ციმბირის ატანაც შეიძლებოდა, ადამიანები რო არაო, მხოლოდ დაუქნია თავი, თვალიც არ გაუსწორებია, ჰიქას წაეტანა:

„ჩემთვის ეს ღვინოა და ღვინით ვილოცები: თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენისთანა ხალხს გაუმარჯოს, სხვებისა რა ვთქვა.. თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენა, თქვენა!“ მოსვა. იტვრინა. მოეუტა თვალები, მოილუშა თითქოსაო, მერე გახილა, გადეფინა რო ნათელიცა, „კარგია!..“ დასძინა, „კარგია!...“ გაიმეორა უფრო ბეჯითადა.

კარგიაო, დასძინა დომენტიმაცა, რო დალია რაღა თქმა უნდა. ჰხვთისომ მაინც ცერად გაჰხედა, ველარ მოიგებდა ამის გულსა. ნუ მოიგებდა, არც ენაღვლებოდა, უფროსობას რო მისჩვეოდა, აქაც უფროსად ჩამობრძანებულიყო. ბევრს ამისთანასაც შეჰხვედროდა, უარესსაცა, მერე თავის დაკრულზე რო ეცეკვებინა. ააცეკვებდა ამასაცა: რესტავრაცია ასე არ იწყებაო. დაუკითხავად არაფერი არ იწყებაო. თანხმობის გარეშეც არ იწყებაო.



მერე უნდა შევვესწავლა, მერე გეგმაში ჩაგვესვა, მერე ხარჯთაღრიცხვა უნდა შემდგარიყოო.

„მერე?...“

გაიღიმა ლევანმა.

„რას იზამ!..“ გაიღიმა დომენტიმაცა, მერე კი რო [illegible] რამ იყოს გადასალახავი.

„რამდენი დრო მოუნდებოდა?..“

„რამდენიც მოუნდებოდა.“

„[illegible] რამდენი [illegible] ჯერაც [illegible]ვი, ჯერაც შეუსწავლელი?..“

„რამდენიც გნებავთ!..“

„იმათ მივხედოთ!.. ამათ რას ვერჩით?!.“

„არც არაფერსა. აქამდის ჰო არც შეგვიწუხებია ესენი,“ თავს იმართლებდა დომენტი, „შეგვიწუხებიხართ?..“

„არა...“. გვარამმა მიუგო.

„არა!.. საჩივარი ალიძრა, პასუხს მოითხოვენ და უნდა გავცეთ პასუხი. ჩვენი განწყობილებანი აქ ვერ ივარგებენ. პასუხს კანონიერი საღუძვლები უნდა.“

„კანონიერი!.“ როგორღაც მკაცრად გამოსთქვა ლევანმა.

„კანონიერი... კანონიერი...“ უფრო მსუბუქად აჰყვა დომენტი, თითქოს ნიშნისმოგებითაცა, „კა-ნო-ნი-ერ-ი...“ დაუმარცვლა კიდევაცა და განუმტკიცა კიდევაცა: „კანონი კანონია!..“

„ვიცი. ამისი მეტი რა გამიგონია ორთაჭალიდან სოლოვკებამდე...“ ისევ ღიმილი სცადა ლევანმა, სცადა და ვერცა სცადა, არც მოუხერხდებოდა ამაზე ღიმილი. „მაინც რას აპირებთ,“ ხმა შეიცვალა ლევანმა, „ხელს შეუშლით?!.“

„როგორც გადავწყვეტთ...“ დაყოვნა და ისელა გამოსთქვა დომენტიმა.

„ვინა? „თქვენ?“.. თუ მე და თქვენა?..“

კიდევ დააყოვნა დომენტიმა, მერე წარმოსთქვა გაბედულადა:

„თქვენი აზრიც გვექნება მხედველობაში.“

„მაშ იცოდეთ, რო მე ამათ მხარესა ვარ,“ ჰიქა შემართა ლევანმა, „მე ისევ

ამათს სადღეგრძელოსა ვსვამ. ვთამადობ, რო არც აგირჩევივართ, ხოლო თუ ამირჩევთ, შემოგთავაზებთ ისევ ამათს სადღეგრძელოსა."

„არც აგიხირდებით," გამოეხმაურა დომენტიცა, „სუფრა სუფრაა..."

„აფორიზმებია:" გაიცინა ლევანმა: „კანონი კანონია, სუფრა სუფრაა, — აფორიზმებია!.. ცოტა დახანა და მერე: „ნეტავი ასეთი აფორიზმიც შემოგვრჩენოდეს: კაცი კაცია!.."

„ბევრი მაინც ვერ გაიმეორებს," გვარამმა დასძინა სინანულითა.

„ეგ არას გვარგია," ბრძანა დომენტიმა, „ჩვენს შორის ახლა პროკურატურაა... გამოძიება... სასამართლო... ამას უნდა ავუაროთ როგორმე გვერდი, სასჯელი უნდა ავიცდინოთ როგორმე..."

„საოცარია!.." ამოისუნთქა ლევანმა ღრმადა, ძალიან ღრმადა, „საოცარია, როცა საოცარი აღარაფერია." კიდევ ამოისუნთქა, ახლა უკვე გაჭირვებითა და ისეც მოადევნა, სვენებ-სვენებითა: „პროკურატურა... გამოძიება... სასამართლო... მაშინ სად იყვნენ... ტაძრებს რო ანგრევდნენ.... ფრესკებს რო თხრიდნენ... მღვდლებს რო... კისერზე რო ქვებსა ჰკიდებდნენ ტომრებითა... წყალში რო ჰყრიდნენ... ანთუ მაშინა: დიდებულ ფრესკებს რო გვითხიპნიდნენ ერთმორწმუნე ეგზარხოსები, ანთუ მაშინა?.."

„ბატონო ლევან!.."

შესძახა ჰხვთისომა ისე წყრომისადა, თვითონვე შეწუხდა.

„ჰა,ჰა, ჰა..." გაიცინა ლევანმა, ახლა მართლა რო გაიცინა, „რო არ იცვლება არაფერი, ჩვენც ისევ იგივენი ვ[illegible]ვით."

გაიცინა, ოღონდ განწყობილება იგივე რჩებოდა, იგივე უამური, უხერხული, უქმური, რო ვერ იტყოდი ვერაფერსა, იდეოლოგია რო არ ამობლანდულიყო, პოლიტიკა რო არ გამოჩხირულიყო, ეჭვი თუ შიში რო არ მოსდებოდა იქაობასა, რო ვერ იტყოდი, ვერა, ვერა, ისე რო დახლართულიყო ყველა და ყველაფერი. გაურბოდი და ვერ ასცდებოდი, ერიდებოდი და გაიხლართებოდი. ლევანს მართებდა მითუმეტეს რო მორიდებოდა. ერიდებოდა კიდევაცა, გაურბოდა კიდევაცა, გაურბოდა კიდევაცა. მაგრამ და რაო,— გავექეცი ლოლოსაო, დამხვდა ბალის ბოლოხაო, ისევ დომენტიმ აჰყარა დუმილი უხერხული, დუმილი მცირედი, ჰხვთისო და ლევანი რო შესცქეროდნენ ერთმანეთსა, თითქოს რო იცნეს ერთმანეთი, თითქოს რო უკვირდათ, რატომ აქამდის არ შევხვედრილვართო; ისევ დომენტიმ აჰყარაო ერთისიტყვითა: სიმღერა წამოიწყო, მე იგივე ვარ მარად და მარადო. აჰყვა ლევანი, ჰხვთისოც აჰყვა, გვარამიცა. ხმები ვერც შეაწყვეს ისე ადვილადა, ჰანგიც აერიათ თუ სხვადასხვაგვარად დაესწავლათო და კიდევაც გაეხარდათ, თავიდან დაიწყეს,ააწყეს როგორც იყო,ააწყვეს, აჰყვნენ, სიმძიმილი გადაიყარეს. დომენტიმ მოიწონა: ტელევიზორშიც გამოგმიყვანენო. ძველი სიმღერაა, ვინ გამოგვიყვანსო, ლევანმა თქვა: ჰხვთისომ გაიცინა, ალბათ რო ის ერთხელა და მეტსაც რო აღარ გაიცინებდა. ლევანმა ჰიქა გამოსცალა, ასწია და გამოსცალა, რო არც სადღეგრძელო უთქვამს, თითქოს წყალიაო, გამოსცალა და დააქანა ჰიქაი უნებლიეთა, დააქანა და ეტყობა მეტი რო მოუვიდა, შეემსხვრა ხელშია. უკაცრავადაო, შეწუხდა ლევანი. არაფერსაო, ბიჭმა გაუქარწყლა, თვითონაც რო ემსხვრეოდა ჰიქები, არაფერიაო, რო ანუგეშებდნენ, ანებივრებდნენ და უიოლებდნენ. ქოჩორი მოუჩეჩა ლევანმა ბიჭსა, მოსინჯა მაგიდაცა: ქვისა ყოფილა, — დაასკვნა ლევანმა.

„აქ ქვისაა ყველაფერი."

დაუდასტურა გვარამმა.

„კაციც ქვისაა..."

მოადევნა ჰხვთისომა.

„არ იქნება და გაძლება არ უნდა!.."

ეს უკვე დომენტიმა ბრძანა, დომენტი გახლდა, იმასაც წამოსცდა ასეთი რამა; უფროც მოლბა, — კიდევ კარგი რო გერვასი არ იყო, გერვასი ეგებ

არც მომბალიყო, დომენტი მოლბა, — უფრო დამშვიდებითაც განმარტა: საჩივარი ნაგლეჯი ქალალდით ალიძრება, ტომები უნდა მერე იმის გაბათილებასაო. მე ნაგლეჯი თუ ფარატინა ქალალდი გამომიგზავნეს, ტომები თქვენ უნდა დაალაგოთო. მე თქვენ დაგიჯერებთ, აგერა ლევანი, ლევანისა მჯერა და თქვენც დაგიჯერებთ რალა თქმა უნდა ,ოლონდ მე არავინ არ დამიჯერებს ასე ზეპირადა, მე ქალალდები უნდა მელაგოს, მე ქალალდები უნდა ვაფრიალოო. ლევანი დაგვიწერს თავის მოსაზრებასა, — უსათუოდაო, რალა თქმა უნდაო, ტომებსაც დაგიწერთო, აჰყვა ლევანიცა, — ამითი დავიწყოთ და ავაშენოთ ტომებიო. ' ისე არ იქნება, ისე სასჯელში გავყოფთ თავსაო. ამიტომა, თქვენ თუ ვერ გადაგარჩენთ, ჩემი თავი მაინც უნდა დავიცვაო, ამიტომაო, ამიტომაო, ამიტომაც გედავებითო, განა მართლა მტერი ვარ თქვენიო. ასეა, ყველა თავის იცავს, იმიტომაცაა, ყველა რო მტერია ერთმანეთისაო. ყველა რო მტერია ერთმანეთისა, ბატონობაც ადვილდებაო. ბატონები რო იცვლებიან, მტრობა არ იცვლება, არც ბატონობა იცვლება ცხადია და ბატონები იცვალონ რამდენიც გინდაო. ასე მოლბა, ასე აჭიკჭიკდა, ასე გასჭრა მაყვალის ღვინომა, ანთუ ეგებ რო ღვინომაც არა,— ესეც კაცი იყო, რაც უნდა იყოს, ეროხელ მაინც უნდა ამოელო ქანგი გულიდანა, ერთხელ მაინცაო, და უკეთეს დროსაც ვერ იხელთებდა, უკეთეს ადგილსაც რო ვერაო, იქ ისეთი წმინდა იყო ყველაფერი და ხალხიც ისეთი სუფთა შეყრილიყო, სუფთა, ალალი, წრფელი, შეწუხებული სიწრფელისაგანა. ტომებს კო გპირდებითო, შეახსენებდა ლევანი. შენი ტომებით არ დაგვჯერდებიან, აქ სხვა ქალალდების ტომები უნდაო: უნდა დავამტკიცოთ, რო სიკეთეს სჩადიან, რო არაფერი არ დაუმახინჯებიათო.

„თქვენ დაანგრიეთ..."

ვეღარ მოითმინა ლევანმა, აღარ დააცადა რო დომენტიმაცა.

„მაგითი მხოლოდ საქმეს გააფუჭებთ. არ უნდა დაივიწყოთ: ჩვენ ვართ მემკვიდრენი საკაცობრიო კულტურის ყველა მონაპოვარისა." საზეიმოდ წარმოსთქვა დომენტიმა.

კეთილიო, ლევანი დაყაბულდა, როგორც გენებოთ, როგორც ამათ დაუჭიროთ მხარი, მოადევნა სადღეგრძელოცა დომენტისა: კეთილ საქმეში გაგემარჯოთო, ჭიქა გამოსცალა და დასდო ფრთხილადა. ბიჭს ეგონა, რო კიდევ ჩაამსხვრევსო, სიცილი მორთო წინასწარა, ტაშიც შემოჰკრა. გაუმტყუნდა იმედი. იწყინა. აილო ჭიქაი და დასცხო მაგიდასა. გაიცინა ლევანმა. გაიხარა ბიჭმა. ნესტანმა მოიტანა ჭიქაი: მეტი ალარცა გვაქვსო, გააფრთხილა ბიჭი. მოიწყინა ბიჭმა, აქეზებდა ლევანი, მაინც მოიწყინა მერელა გამოცოცხლდა ბიჭი, სტუმრები რო სხდებოდნენ შვეულმფრენშია, გაიწია, მეც წამიყვანეთო. მანამდისაც ისე მიჰხტოდა წინ-წინა, ეგონა, მეც წამიყვანენო, გაჭირვეულდა მერე, სტუმრები რო ჩასხდნენ, გაჭირვეულდა, აჭყვირდა, ასხმარტალდა ხელშია, ჰხვთისოს ხელშია, ის აკავებდა და ვეღარც აკავებდა. ლევანმა გადმოჰყარა მკლავები: მომაწოდეთო, ერთს შემოვატარებთო. მიაწოდეს. შემოატარეს. ჩამოსვეს ცხადია. აღარ გაჭირვეულებულა ბიჭი. უხაროდა. ეამაყებოდა. ადგილზე ვეღარ ეტეოდა ბიჭი. მირბოდა. მირბოდა. შვეულმფრენი რო მაღლაო, ეს დაბლით მისდევდა ხელებგაშლილი ლამის რო ფრთებივითა. ლამის რო აჰყვება, გაჰყვება ფრენითაო. ლამისაო რალა თქმა უნდა, სინამდვილეში გოროხებს რო წამოედებოდა, ქვებსაცა ცხადია, ზლართანს მოადენდა, შესჭყვირებდა და წამოჰხტებოდა, წამოჰხტებოდა და გაექიდებოდა, ვითომც რო არც წაქცეულა, ვითომც რო არცა სტკენიაო, ხოლო ესაა რო ხითხითებდა, იხშობდა ტკივილსა გაბმული ხითხითითა. იხშობდა. იხშობდა.

კიდევ დაეცა და ადგომა გაუჭირდა.
ხითხითებდა მაინცა.
გვარამმა აიყვანა, ასწია, აათამაშა.
შვეულმფრენი გაუყვა თავის გზასა.
ხითხითებდა ბიჭი.

## XIX

კიდევ რო მოფრინდა შვეულმფრენი, კიდევ უფრო მხურვალედ შეეგება ბიჭი. ლევანი აღარ მოჰყოლია შვეულმფრენსა, ლევანისაგან მოკითხვა ჩამოუტანა დომენტიმა, ერთი ყუთიც გადმოიტანა, ჭიქები გამოეგზავნა ლევანსა, ნათალი ჭიქები. ერთი ყუთი. მიდექი და ამტვრიეო, ალბათ რო ამასა გულისხმობდა ძია ლევანი,, ალბათ რო ასე ეხუმრებოდა შორიდანა. ბიჭმა მოიწყინა. მოიწყინა. ხელი ჩამოართვა უგემურადა დომენტისა, დეიდა ტასიკოსაც უგემურად ჩამოართვა ხელი. ახლა ეს დეიდა ტასიკო წამოეყვანა დომენტისა, — ბიჭს ასე გააცნო: დეიდა ტასიკო ბრძანდებაო. — ანასტასია რო ერქმეოდა დაბადების მოწმობის მიხედვითა, ხელოვნებათმცოდნე რო გახლდა და ამისი კომპეტენტური აზრი რო სჭირდებოდა დომენტისა. არავინ არ გაამტყუნებდა დომენტისა მიტომა. ბიჭს მაინც არ მოეწონა: არც დეიდა ტასიკო არ მოეწონა, დომენტიც რო აღარ მოეწონა უძიალევანოდა. მაშინაც ვინ უწყის მოსწონდა თუ არა, ახლა გამოეხატა ისე აშკარადა, ყველამ რო შეატყო. ჭიქებიც უფრო დაცინვად მიიღო, დაცინვადა ამისაგანა, რო არ დაიჯერა, ძია ლევანმა გამოგიგზავნაო. საკოცნელადაც არ მიიკარა დეიდა ტასიკოი, არც შოკოლადის ფილა ჩამოართვა, ტუჩი აუბზუა. რა ამაყი ბიჭი ყოფილაო, თქვა დეიდა ტასიკომა. ბიჭმა არ იცოდა თუ რასა ნიშნავდა ამაყი", შეიძლება რო კარგი სიტყვაც იყო, მაინც იწყინა, შებრუნდა, გაიქცა, გაერიდა, კიდევ უარესი არ წამოსცდესო, აღარც რო შეხედვა აღარ ენება, თავლტანადაც რო არ მოეწონა. თმა ისე შეეჭრა, ზღარბივით რო ადგა, დეიდა ტასიკოსა რაღა თქმა უნდა ისედაც ემოსა ბიჭისაგან რო არ გაირჩეოდა, ამ ბიჭისაგან არა, საერთოდა — ბიჭისა, ბიჭებისაგანა: შარვალი ეცვა რაღა თქმა უნდა, ყვითელი, ბანანები, ბოტასები აჭრელებული, აჭრელებული ზედატანიცა, ამოტვიფრული ლათინური ასოებით. მკერდიც რო ლამის არ ემჩნეოდა, თეძოსაც არაო, თხელი რამ გახლდა, მჩატე რამ გახლდა, თითქოს მუჭშიც რო დაიჭერდაო, ოღონდ ესაა, ჩანთა ეკიდა ვეებერთელაი, ცხვირსახოცები რო ამოჰქონდა იქიდანა მალიმალა, ტუჩის ბოლოებს რო მოიწმენდდა და ჩაისროდა ისევ უკანვე, კვლავ ახალი რო ამოელო, გატკეცილი, დაუთოებული, — ჩაეგდო დაჭმუჭნული, ამოელო დაუთოებული; ეტყობოდა, რო ცხვირსახოცებით გაეტენა ჩანთაი იგი, ანთუ ჩაედგა პატარა რობოტი, რო ჩამოართმევდა, გაურეცხავდა, გაუშრობდა, დაუუთოებდა, მიაწოდებდა ისევ იგივეს იმავეწუთსა, სახელდახელოდა, თვალის დახამხამებაში. ან ასე იქნებოდა, ანთუ ისეო, ;ანთუ როგორც რო იქნებოდა, იცვლიდა აეს ცხვირსახოცებსა, ოღონდ შოკოლადის ფილაც იქიდან ამოიღო, ერთი საერთო რვეულიცა, ფანქარიცა ერთი, რო აავსო საერთო რვეული აუარებელი შენიშვნითა, თან რო ბრაზობდა, ჩხუბობობდა, ქაქანებდა და თან რო იწერდა თუ რაზეცა ბრაზობდა, რაც აჩხუბუბდა თუ აქაქანებდა თუ რაცა.

გაცხარებულიყო თბილისშივე:

როგორთუ შეიჭრნენ,

როგორთუ ჩვენთვის არაფერი უკითხავთო.

განა თუ ვის რას ეკითხებოდნენ, — არაფერსა რაღა თქმა უნდა, მხოლოდ დავალებას თუ მიიღებდა და ალიძვრებოდა მერე, ველარავინ ველარ დაუდგებოდა წინა, სხვაც ასევე ალიძვრებოდა, ესეც ისევე, მითუმეტეს, რო ვერც ვერსად მიეგნო: თუ რა ამაღლება ყოფილიყო, თუ რა მონასტერი, თუ რა ტაძარი, თუ სადაო, თუ როდიმდელი,

თუ რისი მგვანი, ვერ გაერკვია წინასწარა, რო არც ჩუბინაშვილი შეჰხებოდა, არც ამირანაშვილი, ბერიძეც არა, არც თაყაიშვილი, არც იოსელიანი, უვაროვაც არა, არცა სხვანი და არცა სხვანი, რო გამორჩენოდა ყველასა, რახან ერთს რო გამორჩენოდა, გაგულისებულიყო ამიტომაცა. მიდიოდა ისე, რო არც იცოდა თუ სად მიდიოდა, ვერც ის გაეგო, თუ ვინ იყვნენ ისინი, რა ჯურისანი, რა წყობისანი, რო არ დაჰკითხებოდნენ არავის არაფერსა, რო არც თანხები მოეთხოვათ, არც არაფერი მოეთხოვათ, არც რო არავის არაფერს აკითხებდნენ; ვინ იყვნენ, რანი იყვნენ, — სხვები რო თხოულობდნენ და თხოულობდნენ, რო არცა ჰყოფნიდათ და ვერც რო ვერაფერს აღადგენდნენ წესიერადა, ჯერ ისინი თუ რას წარმოადგენდნენ, მერე ესენი რანი იქნებოდნე,ნ — იქავე რო გაცხარებულიყო, არ განელებოდა აქამდისაცა; ბიჭსაც რო აკოცა, ემჩნეოდა მაშინაცა, ბიჭმაც რო ცხვირი აიბზუა, ზურგი რო შეაქცია ბიჭმა, იმიტომაცა, იმიტომაცა. მერე ჰო ენა აღარ დაუყენებია, დეიდა ტასიკოსა რაღა თქმა უნდა: თავსესხმოდა და ვერც იგერიებდნენ, ანთუ ვერ იგერიებდა გვარამი, ჰხვთისო რო თავისთვის გაგულისებულიყო, რო ტრიალებდა შორიახლოსა და რო ასკდებოდა გულსა თავისასა; ხოლო თუ ვიკითხავთ დომენტისაცა, — დომენტის კოჰი ალჩუზე უჯდა: როგორც დაუდგენდნენ, ისე გადაწყვეტდა, უარჰყოფდნენ, უარჰყოფდა, დათანხმდებოდნენ, იყაბულებდა, — ალჩუზე უჯდა, ეს კოჰიო, ხოლო კუდით ყავარზე გაედოო, ასედაც ითქმის და ესეც ისევე მიესადაგება დომენტისა. წრუპავდა წვენსა მაყვლისასა, ნესტანმა რო ჩაუდგა ჩაფითა, წრუპავდა, სიამოვნებდა, ნატრობდა მწვადსაცა იმდღევანდელსა, ღვინოსაცა იმდღევანდელსა, ნატრობდა მხოლოდა, რო აღარც აღარაფერი დაუკლავს ჰხვთისოსა, რო აღარც ღვინო გამოუჩენია. დეიდა ტასიკო არც წვენსა სვამდა, რო აჰქაფებოდა ტუჩები ისედაცა, რო იწმენდდა, და იწმენდდა, ენასაც რო არ აჩერებდა. მწირი რაიცნობა მაინც ებოვნა, იმეორებდა იმასაცა: შუენიერად ნაშენი, შუენიერ ადგილასო და აწ უქმ არსო, აღენიშნა ვახუშტისა, ვახუშტის მაინც არ გამორჩენოდა. ვახუშტის „აწ" ვახუშტის დროსა გულისხმობდა რაღა თქმა უნდა, მანამდისაც, რო ვინ უწყის თუ რამდენიხანია დაყრუებულიყო ეს აქაობაი. არ ივიწყებდა არც რო ამასა დეიდა ტასიკოი. შეჰხედა თუ არა რაღა თქმა უნდა. და მოჰყვა მერე: თუ როდის აიგო ჯვრის ტიპის ტაძარი პირველადა საქართველოში, თუ როგორ განვითარდა თანდათანობითა, ნახტომებიც თუ როგორი ჰქონდა, როდის სრულყოფას რო მიაღწია, კლასიკურ სრულყოფასა, როგორ დაშორდა და როგორი რა თავისებურებანი შეიძინა, რითი ჰგავდნენ, ანთუ რითი განსხვავდებოდნენ მცხეთის ჯვარი და წრომის ტაძარი და თილვის მონასტერი ერთმანეთისაგანა, რითი, როგორა, რა თუ როდისა, მიერეკებოდა და მიერეკებოდა, რო ვერ შეაყოვნებდა ვერავინა რაღა თქმა უნდა. დომენტი მაინც მიუდგამდა წვენსა: ნახე, შეჰხედე, ჯერ ფერი ნახე, მერე გემო გაუსინჯეო. არც შეჰხედავდა, არც გაუსინჯავდა, იერიში იერიშზე მიჰქონდა.

სამხრეთის ფასადიდან დაიწყო,

იერიში რაღა თქმა უნდა.

შეატყო:

მინაშენი უნდა ყოფილიყო სამხრეთის მხრითა, ცოტა გვიანდელი მინაშენი. ჩაშლილიყო. ჩანგრეულიყო. დასულიყო საძირკვლამდისა. ქვების გროვა ეყარა კედელსა. გამოაცალეს კარგახანია. მოასუფთავეს. ქვები მიაწყვეს მოშორებითა. ფასადი გამოჩნდა პირვანდელი სახითა. გამოიკვეთა ფრთაი ჯვარისაი, სამხრეთის ფრთაი. ჩრდილო ფასადზეც მიეშენებინათ, ანთუ მაშინვე, ანთუ მერეო, ჩანგრეუ-

ლიყო ისიცა ისევე, კლდის ჩამონაშალს ამოეგო ქვეში. მაყვალსაც გადაავლო, ჩაებლუჯა, ჩამჯდარიყო, გაჭედილიყო. ამას თავიდანვე არც მიეტანნენ, გადასდეს, დაიზარეს, ახლაღა იყო, კალთას რო მაინც ასუფთავებდნენ, ქვა-ღორღის კალთასა, ახლაღა მისტანებოდნენ იმასაცა, ანთუ მიეტანებოდნენ თუ დაცდიდნენ რაღა, თქმა უნდა. დასავლეთით არ იყო არაფერი მოსასუფთავებელი, ტაძარი ფრიალოზე გადამდგარიყო, არც არაფერი მიეშნებინათ, არც არაფერი ჩაშლილიყო, ვთქვათ თუ მაინც თუ ჩაშლილიყო, ჩაიხვეწებოდა უფსკრულშია, ზევით მტვერიც რო არ შერჩებოდა. შერჩენილიყო შეულახავადა აღმოსავლეთის ფასადიცა, არც რა მიედგათ, არც რო არაფერი ჩაინგრეოდა რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ისაა, ღორღის გორა რო მისდგომოდა კარებამდისა, გორაი ღორღისა და ჯაგები მაყვლისაი, რო სხეპდნენ და სხეპდნენ და მაინც რო იჭრებოდა ტაძარშია, — სხეპდნენ და სხეპდნენ, იჭრებოდა და იჭრებოდა. და იკაწრებოდა ბიჭი, რო შერბოდა და რო გარბოდა და იფშხალებოდა ბიჭი. მაყვლის ეკალი სძულდა ბიჭსა, კუნწულები უყვარდა მაყვლისაი. ეს არ ეკითხებოდა ღეიდა ტასიკოსა, არც რო აღმოსავლეთისა. ჩრდილოეთისა თუ დასავლეთის მხარეს მისციებია დიდხანსა, უფრო სამხრეთით დაანთო კოცონი: როგორთუ აგიშლიათ, როგორთუ ისევე არ დასტოვეთ, როგორც რო დახვდათო. ასე დაგვხვდაო, გაუწოდა ფოტოები ჰხვთისომა. არ იყაბულა ფოტოები ღეიდა ტასიკომა, ფოტოხელოვნებაც რო არ მოეწონა, წარწერები მოითხოვა, წარწერები რა უყავითო, ჭაოწერებს მიდაგ და მიაბჯინა ფეხი. მხრებს იჩეჩდა გვარამი. ჰხვთისოც იჩეჩდა მხრებსა. აქ ¦ არ წავწყდომივართ წარწერებსაო, უხსნიდა გვარამი. ნათალი ქვები მაინც არსად გადაგვიყრია, აგერ მივაწყეთ, გადავხილეთ საგულდაგულოთ და ისე მივაწყეთო, თუ გნებავთ კიდევ გადავჩხრიკოთო. წარწერებიო, წიოდა ღეიდა ტასიკოი, წიოდა თავისასა, გაიძახოდა თავისასა, ანთუ არ უსმენდა გვარამსა, ანთუ გადაჩხრეკა არ ეჰალისებოდა. წარწერებიო. წარწერებიო. უხსნიდა გვარამი: აქ რო არიო, ტაძროში ზე დაცურებული მაინც ამოვათრიეთ, ამოვილეთ მიწაში ჩაფლულიცაო. უხსნიდა, უჩვენებდა, რო არ გაბნეულიყო ჩაედგით კედლებშივე, სახელდახელოდა რაღა თქმა უნდა. მაინც უფრო საიმედოდა, ჩაედგათ, სადაც რო ამოვარდნილიყო ქვები: ორი კარებშივე აღმოსავლისა, ერთიცა კუთხეში სამხრეთისა. ამოვარდნილი სხვაც ბევრი გახლდა, ამათ ვერ ეპოვნათ მეტი. უხსნიდა. უჩვენებდა. თავსიმართლებდა.

არ უჯერებდა ღეიდა ტასიკოი,

გატაცებულიყო თავისი სიტყვითა,

ვრცელი, გრძელი, გაჭიმული სიტყვითა.

ქვაზედაც შედგა, საფლავის ქვაზედა, რო არ ეტყობოდა, ვისი იყო თუ როდიმდელი იყო, ,ამოეთალათ თუ ჩამოშლილიყო, ისიც რო არ ეტყობოდა, შედგა და ქადაგებდა. მთლად იმ სიტყვას ვინ გაიმეორებს, ზოგი რამ უნდა აღნიშნოს რაღა თქმა უნდა. პირველყოვლისა სძრახავდა ამათა, სძრახავდა და შეაგონებდა: რო არ იქნებოდა ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაცია წინასწარი კომპლექსური შესწავლის გარეშე, შეაგონებდა და ჰკიცხავდა კიდევაცა, რო არც იცოდნენ თუ რას აკეთებდნენო, რას აკლავდნენ თავსა, არც იცოდნენ, ვერც გაიგებდნენ; ვერც გაიგებდნენ და ვერც გარჩევდნენ, სიკეთე რა იყო, თუ სიავე რა იყო. ჯერ უნდა გაეგოთ და მერე ემოქმედათ, უამისოდ პირიქითააო, სიკეთეს იქმიან და სიავე გამოსდითო. ყოველი სიავე ავისგან არ არის, ზოგი კეთილი უგნურისგანაო. დაგიმტკიცებთო. აჰა, შეჰხედეთო: ორი წარწერა რო ერთმანეთზე მიგიდგამთ, სულ სხვადასხვა ეპოქისაო, ერთი მრგლოვანია, მეორე ნუსხურიო, ხოლო ის ცალკე რო ჩაგიშენებიათ ამ

პირველის გაგრძელებაო, ასე ადვილად დაგიმტკიცებთო. დააკვირდითო. დააკვირდითო. ახლა მაინც დააკვირდითო. დააკვირდებოდნენ სულ ტყუილადა: გვარამი რო ვერ გაარჩევდა ვერც რო მრგლოვანსა და ვერც რო ნუსხურსა, ჰხვთისოც რო ვერა, ნესტანიც ვერა, ბიჭიც ვერა რაღა თქმა უნდა. თუმცა დაატარებდა ბიჭი თითებსა ნაჭდევებზედა, მერე კაწრავდა მინამგვანსა ქვის ნატეხებზედა. კაწრავდა და კაწრავდა. ჰხვთისომ შეურჩია ლურსმანი. იმწუთას აღარა, აღარა კაწრავდა, გასცლოდა ქადაგსა, ძელურში იჯდა, ამოეთათა ხელები ჩჩვილისთვისა, ეთამაშებოდა. ახლა დიდა ტასიკო კაწრავდა გულსა. არც უსმენდა გვარამსა: ჩვენ მხოლოდ შემოვინახეთ ეს წარწერებიო, დროებით ჩავამაგრეთო, როგორც გვირჩევთ, ისე გადავიტანთო, — არც უსმენდა თუ არც ესმოდა, მიაჭენებდა თავის მერანსა, დიდა ტასიკო რაღა თქმა უნდა, მიაჭენებდა, მიაჭენებდა თითქოს რო ბედის საზღვარისკენაო: მრგლოვანი და ნუსხური ერთიმეორის გვერდითაო, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰაჰაო, შეიძლება რო მთავარი მცნება აურიოს პალეოგრაფებსაო, შეიძლება რო შეჰქმნან ისეთი თეორიები, ჯერ ჰკუათმყოფელს რო არ მოლანდებიაო. ეგეც თქვენი სიკეთეო, ეგეც თქვენი თავგანწირვაო. ბეწვია, ბეწვი, ბეწვისოდენია სიკეთესა და ბოროტებას შორისაო, ბეწვი, ბეწვი, ბეწვის ბეწვიო. მერე ამ ბეწვზე მორთო საუბარი, გონების თვალი რო უნდა ამ ბეწვსა, დიდი განათლებაც რო უნდა და ბუნების მადლიცა, ცოდნაც რო უნდა და ნიჭიცა, ურთმანეთოდ რო არ ვარგოდა არცერთი; მერე ლეონარდოც მოჰყვა, ტიციანიცა, ჯორჯონეცა, ტინტორეტოცა, ვიღა აღარა, — ისინი სულ სხვანი იყვნენო, ისინი ჰქმნიდნენ, ისინი ძერწავდნენ ჯერ არნახულ მშვენიერებასაო, ხოლო რესტავრატორობასაც თუ მოინდომებდნენ, ასე ხელაღებით მაინც არაო, ასე უკითხავად არა და არაო. არა და არაო.

კრინტი ვეღარ დაეძრა გვარამსა. პირი მაინც დაედო. თვალეში მაინც დაეჭყიტა. ასეთა შესცქეროდა. ჰხვთისო კუწავდა ფოტოსურათებსა, კუწავდა და კუწავდა. დომენტის ტუჩები გამოებერა ოდნავადა, ოდნავადაც უსტვენდა, უფრო ითქმის, რო სისინებდა რომელიღაც უვერტიურასა თუ ნაწყვეტებსა უთავბოლოდა. შეიძლება რო გაფორთდა თავითბოლომდისა, შეიძლება, მაგრამ არა, არა მგონია. ისევ ის უფრო სწორი იქნება: უთავბოლოდაო. ნესტანი არც არას გამოჰხატავდა, იდგა მასპინძლის მოვალეობითა, მოვალეობა რო ამტანობაა, იდგა, იტანდა.

სიტყვა არ ელეოდა დიდა ტასიკოსა.

აუქცევდა და მიადგებოდა ისევ ისევ პალეოგრაფებსა, იმ პალეოგრაფებსა, აქ რო უნდა დაბნეულიყვნენ.

და თითქოს უკვე დაბნეულანო, ჩაიცინებდა, ჩაიკისკისებდა.

ეს ჯერკიდევ გარეთაო, შიგნით უარესი დღე დააყარა, გამოვიდნენ და კიდევ უარესი. მაგიდას შემოუსხდნენ და არც მაშინ დამცხრალა. დომენტიც მაშინ მიეძალა წვენსა, მიუმარჯვებდა დიდა ტასიკოსაცა, ეგებ რო ცოტა შეისვენოსო, მიუმარჯვებდა, ურჩევდა, უქებდა, სვამდა ისეთი დაგემოვნებითა, ეგება ამასაც მოვანდომოო. არა, არა სჭრიდა ასეთი არაფერი. დროს არ დაჰკარგავდა: ცხვირსახოცს რო ამოიღებდა, რო მოიწმენდდა ტუჩის ბოლოსა, რო არა ჰკარგავდა დროსა არც მაშინა. ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა. მერე ეგონათ, დაიღალაო: დღე რო დაიღალა, მზე რო გადაიწვერა, რო გადადგა დასავალზედა, ნებანება რო ეშვებოდა, შეკითხვებს შეკითხვებზე აყრიდა გვარამსა, ამიტომ ეგონათ დაიღალაო; თურმე იწვევდა, თურმე ახალ საბაბს ეძებდა, ახალ-ახალი იერიშებისათვისა. გვარამი მიუგებდა ალალადა, უმხელდა, უმხელდა იმგვარ ვარაუდსაცა, ჯერ თვითონაც რო ვერ დარწმუნებულიყო, ანთუ ეჭვი რო

მაინც მოსდევდა, უმხელდა, სულერთია ველარ მოიგებდა ამ ქალის გულსა. რას მოიგებდა?.. ლამის შეიშალ დეიდა ტასიკოი, ანთუ რალა ლამისაო, მართლაც შეიშალა, რო ეუწყა რო: ვაზისა არაო, მაყვლისა უნდა იყოს ნინოს ჯვარიო, — ეს გარეთ ეუწყა. მაგიდას რო უსხდნენ, ფრესკას ისე რო არც დაჰკვირვებია, — შეიშალა, გადირია, სახე აეფუტკნა, ისე აეფუტკნა, ახტა, დაეცა, ახტა, დაეცა, იმა ქვის სკამზედა, ოდესლაც ბერებს რო გადაეცვითათ. შეშინდა ნესტანი, გაიქცა, გამოიქცა, როგორ ეშველა, რო ვერ მიმხვდარიყო.

„მკრეხელობაა!!!...“

იწივლა დეიდა ტასიკომ.

ბიჭიც გამოვარდა გარეთა, გადაიხითხითა, იწივლოსო, შებრუნდა ბიჭი. „მე არაფერი არ შემიცვლია,“ თავს იმართლებდა გვარმი, „ჯვარი როგორლაც გადარჩენილიყო. ფერი გავამუქე. ჩემი ცოდო ეს გახლავთ“.

„რამ მოგაფიქრათ?!.“

კვერთხი რო სჭეროდა, ალბათ ჩასცხებდაო, ისე მოიქნია ხელი ტასიკომა.

„ჩარჩო კუნწულებით ასხმულა, კუნწულები მაყვლისაა...“

„მტევნებია!..“

„კუნწულები...“

„ეს მე მასწავლის!..“

დომენტის მიმართა დეიდა ტასიკომა, როგორთუ მასწავლისო.

„რა ბრძანებაა!..“

ვითომ რო გაუქარწყლა დომენტიმაცა

„აქ იმდენი მაყვალია...“ არც რო გვარამი დაიშლიდა თავისასა, „და მცხეთაშიცა, ჯერ ჰო მაყვლოვანში დამკვიდრდა წმიდა ნინო?..“

„ჰა, ჰა, ჰა..“

გაიცინა დეიდა ტასიკომა, კიდევ კარგი რო გაიცინა, ნესტანი დამშვიდდა: გადარჩებაო.

„მაყვლოვანში!..“

შესძახა ჰხვთისომაცა, რო ველარ გაუძლო.

„მერე და რათ?!“, ირიბად გაჰიმა ტუჩები დეიდა ტასიკომა, „ვაზის ჯვარი არ შეიტანებოდა მაყვლოვანში?..“

„ჰო შეიძლებოდა, იქვეც რო გამოჰქროლიყო?..“

ვერც რო გაებედნა და ვერც რო დაეთმო, ისე თქვა გვარამმა.

„არ შეიძლებოდა!“ იქუხა ტასიკომა, „წმიდანის ცხოვრება, წმიდანის ცხოვრება და არა ბებრიათ ქვეყნის კარაბადინი!..“

დაეხსენიო, ანიშნა ნესტანმა, გვარამს ანიშნა რალა თქმა უნდა. გაჩუმდა. დაყაბულდა. და გაივაკა დეიდა ტასიკომა: რენესანსული სტილი ამოგიჩემებია. ასე გადაგიწყვეტია ყველა სურათიო. გაივაკა. გაივაკა. მაგდალინელი, ჩვენს ფრესკებზედა, მონანიება გახლავთ ყველგანაო, თქვენ ხორციელებად გამოგიხატიათ, იმა იგივე ხორციელებადა. რაც რო დაუტევა, რისგანაც რო გამოეხსნაო, რისგანაც რო განიწმინდაო. ან თუნდაც აი ნათლისღებაო, ან თუნდაც აი გარდმოხსნაო,—მთლად შიშველია მაცხოვარი, არავითარი საფარველიაო. შეგვხვდება შიშველი სხვაგანაცა, მაგრამ ღვთაებრივია სიშიშვლე იგი, აქ მიწიერია, „ხაზი აქვს გასმული მამაკაცურ საწყისსაო“. ეს ასე ბრძანა დეიდა ტასიკომა და გვარამმაც ასევე იმართლა თავი: „მე არ „გამისვია ხაზიო“, საკვირველია, მაგრამ „საწყისიც“ ეგრევე გადარჩენილიყო, სხვა დანარჩენიც იმის მიხედვით ალვადგინეო და თანაცაო: მე მანდ ისეთი არაფერი არა მცემია თვალშიო. იმართლა. იმართლა. მაგრამ ვაი ამ თავისმართლებასა: მაშ მე მეცაო, — განცვიფრდა დეიდა ტასიკოი, განცვიფრდა, თვალები დაჰხუჭა და პირი დაალო, მოიწურა, მოიწურა, გაიყინა თითქოსაო, ანთუ გახევდაო, ჩამოუშრა რო ტანი ეგრედა, რო ირხეოდა მანამდისა, რო იჯდა მაშინაცა, ირხეოდა, წელზევითაცა და წელქვეითაცა, ირხეოდა, ხელებს რო იქნევდა, იქნევდა ფეხებსაცა: გაიშლებოდა და შეტყუპდებოდა ბანანები, გაიშლებოდა და

მეტყუპდებოდა, აცეკვდებოდა ქვევრის თავზედა, ასკუპდებოდა, დასკუპდებოდა, და აი ჩამოხმა თითქოსაო. თუნდაც ითქვას, რო გაიყინაო. ისევ შეევედრა ნესტანი გვარამსა, შეევედრა თვალითა, საოებითა. დადრკა გვარამიცა ისევა, მოებოდიშა. ტასიკომ გაიღიმა: ვინა თქვა, არცოდნა არცოდვა არისო, — ცოდვაც არის და ცოდვაზე მეტიცაო; ეს ტაძარიო VI—VII საუკუნისა მაინც უნდა იყოს და ეტყობა, რო მაშინ უნდა დაწყებულიყოს რენესანსი თქვენთვისაო,. — გაიღიმა მწვავედა, მწარედა, გეგონებოდა, რო განადგურდება გვარამიო. არა. მხოლოდ ესაა, რო დაეხსნა ბოდიშსა: ტაძარი ტაძარია, მაგრამ ჰო შეიძლება რო ფრესკები XII საუკუნეშიც განეახლებინოთო, შეჰბედა ასე და გაიღიმა თვითონაცა, უფრო ფრთხილადა რაღა თქმა უნდა.

„შეისწავლეთ?..“

პირში სწვდა ტასიკოი, ანთუ ამდენი როგორ დააცადა.

„ჰო შეიძლებამეთქი..“

„ჰო შეიძლება!.. ჰო შეიძლება!...“ გამოაჯავრა ტასიკომა, ხმაც მიამსგავსა, ისე გამოაჯავრა, „შეიძლება — მტკიცება არ არის, შეიძლებათი ვერავის დარწმუნებთ.“

„არც არავის დარწმუნება არ გვინდა...“

ხელი აიქნია გვარამმა, უკვე გულმოსულმა აიქნია.

„დიდებულია!..“ ჩაისისინა დეიდა ტასიკომა, „არც არავისი დარწმუნება არ უნდათ, არც არავის არაფერს არ ეკითხებიან, როგორც რო ნებავთ ისე უნდა თხიპნონ ტაძარი!..“

„მეტისმეტია...“

ხმა აუკანკალდა გვარამსა.

აუკანკალდა და აუკანკალდესო, თანაც გადაჰყოლიაო, უფრო აღარ დაინდო ტასიკომა, უფროც გაფიცხდა, აქამდის თითქოს ყველაფერი უვერტიურა იყო, ოპერა ახლა იწყებოდა თითქოსაო, შეუტია და შეუტია: იხლართებოდა ხელები, ყელი ყელყელობდა, ბრიალებდა თვალები, წელი [illegible]ბოდა, იმტვრეოდა მხრები, [illegible] მკერდი, ადიოდა, [illegible] ასატანი, მთლად ფიცარივით [illegible] ყოფილიყო, პირველად როგორც რო მოეჩვენათ, ადიოდა, ადიოდა, ადიოდა და დადიოდა, ქვევით იგლიჯებოდა ბანანები, სხმარტალებდა, ეტყუპებოდა ერთიმეორესა, ის წელის რა იყო, რაც იყო, ახლა იყო, [illegible] ტყუპადა, [illegible], [illegible]ბდა მერე ერთბაშადა, გაიტყორცებოდა, სიტყვები სიტყვებად იფრქვეოდა ამასთანავე, ოღონდ ისე, რო გეგონებოდა, ბაგეს არც არხევსო, რო ვერც შეასწრებდი თვალსა, იმა სისწრაფით რო ლაპარაკობდა, იმა სისწრაფითა, იმა სიცხარითა, იმა სიმძაფრითა, სიმწვავითა ისე იმგვარითა; ტუჩის ბოლოებსაც აღარ იწმენდდა, სიცხარე რუ აშრობდა ქაფსა; ცხვირსახოცი მაინც ეჭირა ხელშია, ანთუ თითებში მოექცია, აფრიალებდა ხან თავსზევითა, ხან გვარამს ცხვირწინ უფრიალებდა, ისაა წითელი ფერისა მოჰყოლოდა, ვერ გაეხელებინა მაინცა: გაქვავებულიყო გვარამი, გაქვავებულიყო. ანთუ უკანასკნელი შამფურიღა აკლდა. ოღონდ მანამდე, დამავიწყდა მეთქვა: ფეხი რო გაჰკრა დომენტიმა გვარამსა, მავიწყდებოდა, — ეს მაშინა, ხელი რო აიქნია გვარამმა არც არავისი დარწმუნება არ გვინდაო, — გაჰკრა, მოეშვიო, იმტომაცრო მობეზრდა ამდენი ლაპარაკი, იმტომაცა რო უკვე გადასწყვეტა თავისი თვისა: რესტავრაცია, მეხერეების შეედგინა სათანადო მეცნიერთა კომისია ძეგლის შესასწავლადა. [illegible] ვიტა. გაჰკრა. ეს მეორედ გაჰკრა [illegible] ველადა იმჟამადა, მაყვლოვანში [illegible] შეიბნენ გვარამი და ტასიკოი, სწორედ იმჟამადა, ოღონდ ისე, რო არც არაფერი არ გაუგია გვარამსა, რო არც ფეხი არ მოჰხვედრია და რო გაოგნებულიყო კიდეჰაცა, რა უნდა ამ ქალსა, რას გადამკიდებიაო; და რო არც იმ პირველადა, არც ამ მეორედ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰხებია დომენტი გვარამსა, გაჰკრაო, ოღონდ არ შეჰხებია, მხოლოდ ხმა მოესმა გვარამსა, ნაცნობი ხმაი, ორმოს ბადიმი რო გამოსცემდა, ჰხვთისო რო წაჰკრავდა ხოლმე ფეხსა, საზრდოს რო ჩაუყრიდა უხსენებელსა, ხმაც მოესმა და აიწურა კიდევაცა, სუნთქვაც შეუგუბდა თითქოსაო, კოჭი აეწვა. ფეხის კოჭი რაღა თქმა უნდა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მორჩა, გათავდა. აღარც ესმოდა, ვეღარც რო ჰხედავდა ვეღარაფერსა, გაჰქრა ყველაფერი ,ყველანი გაჰქრნენ, გაჰქრა წამის უმალა, კოჭიდან საქოჩრემდის რო ავარდა ელვაი იგი, ავარდა გრგვინვითა საოცარითა, არა ამქვეყნიური, კოსმოსური გრგვინვით ავარდა, მართლაც რო წამზე უსწრაფესადა, თვით კოსმოსიც რო ვერ გაუძლებდა უფრო მეტ ხანსა, ანთუ კოსმოსიც ვერ გაუძლებდა, ამან რო გაუძლო. კაცი ქვაზე მაგარიაო, მაგრამ ვერ უძლებდა ვერცა კაციცა ამა შემზარავ წუთისოფელსა. მაგრამ მაინც რო უფრო ქვა უნდა ყოფილიყო კაცი, თუმცა რო ჩასძახიან: მიწა ხარ და მიწად იქეცო. ქვად იქცა გვარამი, ხილვაც რო დაჰკარგა ისე ერთბაშადა, ერთი მძაფრადა რო შეაკანკალა, ქვად იქცა და გაქვავდნენ სხვანიცა, შენიშნეს და გაქვავდნენ. გაქვავდა დეიდა ტასიკოცა, ბანანები რო გაეშალა, ისე გაქვავდა, გაეშალა და ის იყო უნდა შემოერტყა ერთიმეორისათვისა, ის იყო, ის იყო, და... დაააააააააააა: იწივლა დეიდა ტასიკომა...

დეიდა ტასიკომა...

იწივლა,

იწივლა.

ტასიკომ იწივლა და გვარამიც გამოფხიზლდა მყისვე, ჩაცურდა, ჩაძვრა მაგიდის ქვეშა, გასტყორცნა მკლავებიცა ბარჯებივითა, მაგრამ ლაყუჩებს ველარ მიაწვდინა, გაასწრო, გაუსხლტა უხსენებელი, თუმცა აიყალყა კიდევაცა, ყელიც მოიღერა, ჩაიქირქილა აგრეთვეცაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა ,ჩაიქირქილა, გაძვრა ბანანების ქვეშა და დურთა თავი მაყლოვანშია. ეს უცებ მოჰხდა რაღა თქმა უნდა, ისიც უცებვე და ამავე წამშია: დომენტი რო გავარდა და თვითონაც რო ველარ იგონებდა თუ როგორ აღმოჩნდა შვეულმფრენშია; ბიჭმა რო ჯოხი ატაცა, რო გასდია უხსენებელსა, მაყვლოვანს რო დაუშინა ჯოხი; ნესტანი რო აძგერა ტასიკოსა; თოფიც ძირს რო დაასკდებოდა გულგახეთქილი; ხვთისომ რო ჩამოართვა ტასიკო ნესტანსა, მაგიდაზე რო გადააწვინა, გაძრო ბანანები, დაგრიხა ბანანები, შემოუჭირა მარჯვენა ბარკალზედა, სადრეკთან ახლოს რო შენიშნა ნანესტარი, შემოუჭირა და დააცხრა ნანესტარსა ტუჩებითა, კბილებითა, დააცხდა ,ამოწოვა, ამოხვრიპა, ამოწუწნა, ამოწუწნა და დააფურთხა იქავე მაგიდაზედა, გადაშლილი ფეხების შუა. კიდევ ამოსწოვა, კიდევ დააფურთხა, იმა პირველი ნაფურთხის გვერდითა, კიდევა და კიდევა, კიდევა და კიდევა. ყველაფერი ეს ჰო სწრაფადა ჰხდებოდა!.. უსწრაფესადა. მერე დააჩერდა: ბოლო ნაფურთხი სუფთა ეჩვენა, სუფთა სისხლადა, წმინდა სისხლადა. დანარჩენები აკუწულიყო მეტნაკლებადა. პირველში მაინც სისხლიც აღარ ერია თითქოსაო. სუფთად ეჩვენა, საკმარისადა, მაინც დაეწაფა კიდევ ერთხელა, დაეწაფა თუ დაეძაგრა, თითქოს რო ძარღვები უნდა გამოდღლიძოს" გულიც ბარემ თან გამოაყოლოსო, გული დეიდა ტასიკოსიო... და წამოიწია დეიდა ტასიკოი. აღარა ჰკიოდა. აღარც აღარაფერს ამბობდა, დაბნეულიყო თუ არეოდა თვალი, ხსოვნაც არეოდა თითქოსაო, — რა დამართნოდა რო ველარ გაეგო, თუ რამ დამართნოდა, ვერც მოჰფიქრებოდა წამოიწია. წამოიწია. საქოჩრეს დააშტერდა, მხრებამდის ჩაწეწილ თმას დააშტერდა არეული თვალითა, თმებში ამოჩრილ ყურების ზოლებსა, დააშტერდა, ლაჯებსა ეგრე გაშიშვლებულსა, რა ჰხდებოდა რო ვერ მიმხვდარიყო: ვინ ჩამძვრალიყო, სად ჩამძვრალიყო, რა უნდოდა, რას დაეძებდა, ვერც მიმხვდარიყო და თითქოს არც ენება რო მიმხვ-

დარიყო, ანთუ აღარც აღარაფერი ენება. აღარაფერი. აღარაფერი.

ეს ყველაფერი ერთბაშად მოჰხდაო, დაყოვნებაც რო არ იქნებოდა.

მერე მიაფრენდა ძია ჰხვთისოი დეიდა ტასიკოსა შვეულმფრენისაკენა, თითქოს რო მართლაც მიაფრენდაო: ისე შეეტყუპებინა ტიტლიკანა ფეხები დეიდა ტასიკოსა, — ბანანები ვილას ახსოვდა, — ისე გაეშალა ხელები, ისე მიესწრაფოდა შვეულმფრენსა, თითქოსრო აგერ აფრენას არის და არ გამასწროსო, ჰხვთისოსაც ისე გაედო მხარზედა, მიწაზე ფეხს ჰო არც აკარებდა. არა, არა, მიჰქროდა ისე. გვარამიც მისდევდა, ტასიკოცა, ბიჭიცა. წაიქცეოდა და წამოდგებოდა ბიჭი, ცხვირს დაანაყავდა მიწაზედა. სისხლი წასკდებოდა. მოისვამდა ხელის ზურგსა. არც დაჰხედავდა. მისდევდა ეგრე სისხლიანი ნესტოებითა და ხელს ზურგითა სისხლიანითა. მერე ეხვეოდა დედასა მუხლებზედა, ამიყვანეო, მერე ეხვეოდა მამასა მუხლებზედა, მერე ეხვეოდა ძია ჰხვთისოსა, ამიყვანეო, რო დაჰვიწყებოდათ იმათ ყველაფერი, ბიჭიც რო თურმე დაჰვიწყებოდათ. ხელს რო უქნევდნენ შვეულმფრენსა, რო ადიოდა, რო მაღლდებოდა და რო აჩქარებდნენ თითქოსდა ხელების ქნევითა: მაღლე, მაღლე, მაღლე თბილისშიო. ბიჭსაც უნდოდა დაეჩქარებინა, ბიჭსაც უნდოდა ექნია ხელი, ყველაზე მაღლა ექნია ხელი, უნდოდა, დაეჩქარებინა, ბიჭსაც უნდოდა ექნია ხელი, ყველაზე მაღლა ექნია ხელი, უნდოდა, უნდოდა. არ აიყვანეს. გაბრაზდა ბიჭი. გაცხარდა ბიჭი. გაწვა მიწაზედა, ტირილი მორთო. მაშინღა დასწვდა სამივე ერთადა, სამივემ აიტაცა, ექვსმა ხელმა აიტაცა და სულ მაღლა, იმათზე მაღლა ფრიალებდა პატარა ხელები ბიჭისაი, ფრიალებდა, ფრიალებდა და მიაფრენდა შვეულმფრენსა. მიაფრენდა, მიაფრენდა, აჩქარებდა, როარ დაჰგვიანებოდა დეიდა ტასიკოსა

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

## ისტორიული სახელებით თრობა

არ ვიცი, ამას რა ეწოდება,
რად მათრობს ასე სახელი „ზევახ“,
რა ჰქვია სულის გრიფზე გაჭიმულ
უხილავ სიმის იდუმალ რხევას?

აქამდე რატომ არ ვამჟღავნებდი,
ამ სიმის რხევას რატომ ვმალავდი,
ან მოკრძალებით რად მითქვამს-მეთქი,
ბევრჯერ სახელი „კურაპალატი“?

მაინც რა არის სახელი „ვარსქენ“,
სახელი „ფარსმან“ ანდა „მითრიდატ“,
რატომ ვთვრებოდი, მემატიანე
ამ სახელებს რომ ჩამომითვლიდა?

რად მხიბლავს ასე „წულრულაშენი“
ან „ფანასკერტი“ ანდა „ბოდორნა“,
უნდა იყვიროს სახელი „თამარ“
თითქოს ყოველი ციხის გოდოლმა...

რატომ ვკითხულობ ან სინანულით,
ან სიხარულით, ან საწუხარით
ან სულის ჩქროლვით და ჟრუანტელით
სახელებს „ფარცხისს“ ანდა „თუხარისს“?

რა ყიჟინია? რად ლეჰავს-მეთქი,
გადარეული თეთრონი ლაგამს,
დამარცხებული და განწირული
რა ამბოხია სახელით „ძაგან?“

სახელი „დავით“, „ულუ“ და „ნარინ“
ანდა „ჯუანშერ“ ან კიდევ „სუმბატ“
ისე ციმციმებს, რომ ისტორია
ჰგავს ვარსკვლავებით მოჭედილ გუმბათს.

ჩემთან ვინ მოდის ჩუმი შრიალით,
როცა ჩურჩულით ისმის „ბორენა“,
ვინ ილიმება, ხელს წყვდიადიდან
ვინ მიწვდის-მეთქი, საამბორებლად?

სულს, დამძიმებულს ამ საუკუნის
ყველა ცთუნებით, რატომ მგონია,
რომ დაუბრუნებს კვლავ სასოებას
სახელი „მართა“ ან „სიდონია?“

ან ქართლის ჭირით გაოგნებული
რომ გაიგონებს სახელს „ქეთევან“,
გამხნევებული რად წამოიწევს
წაჩრქებული სულისკვეთება?

რად არ ‌| ნელდება ამ სახელებით
თრთობა ასაკით ანდა სიბერით,
ვით ორლესული ცეცხლისმფრქვეველი
რატომ გიზგიზებს სიტყვა „იბერი?“

## დაბრუნება

ჩემი ბავშვობის სიზმარია: ლამპის გარშემო
ირევა ქინქლა, ირწევიან ჩვენი ჩრდილები,
ალერსით მიმზერს დედაბერი...
ო, ჩვენ ვარსებობთ,
მხოლოდ ვარსებობთ სხვის თვალებში არეკლილები!..

წყვდიადში ძროხას ეფერება ხელი ბებრისა
და შინ შემოსვლას ვერ ბედავენ თოვლის კნუტები...
მე კი, ლოდინით გზისკენ თვალი რომ დამებრიცა,
იქვე ვდგავარ და ლოყით ძროხის ფერდს ვეხუტები...

ზის დედაჩემი თავდახრილი, მისი ხელია,
რომ არღვევს ნაქსოვს, დასთამაშებს ხელს ანარეკლი...
ქსოვაც ძნელია,
პენელოპე.
წერაც ძნელია,
როცა სინათლეს ემუქრება ბნელი წალეკვით!..

შემოაქვს მოხუცს ნელა ტაშტი.
წყალი ფლანელის
კაბას უსველებს.
ახლა სკამზე დამსვამს და ალბათ
დაიხრება და ცხელ წყალს ცივით რომ გაანელებს,
ჩამაყრევინებს წყალში ფეხებს და მერე დამბანს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უეცრად მეჩვენება გარემემოა
რადგან წყვდიადი, რომ მოხუცმა სხვისთვის გაავსო
ეს ტაშტი...
ახლა ამ ღამეში აქ სხვა შემოვა.
ჩვენი ცხოვრება რომ შეცვალოს უშინაარსო.

აი, მე ვხედავ: ფეხები რომ წყალში უყრია,
ოდისევსია...
ალბათ მალე წრე შეიკვრება!..
და სიბნელეში რომ [illegible] მისი ფეხები.
ნაჭრილობევზე უთათუნებს ხელს ევრიკლეა...

გაუვარდება მოხუცს ფეხი...
შეხედავს სტუმარს,
ახლა ალზრდილი უნდა იცნოს მან საკუთარი,
და დაიყვირებს, ოდისევსმა თუ ძიძას უმალ
არ დაათარა ხელი პირზე ჩუმი მუდარით...

არ დაიყვირო, ევრიკლეა,
შენი მიზეზით
ნუ გამჟღავნდება შურისგება!
არ თქვა ჯვალამდე,
რომ თავზე რისხვა დაატყდება ხვალ ოდისევსი
სახლში შემოსულ გადამთიელს და მოძალადეს!

რომ გველირსება სანატრელი დღე სიმშვიდისა,
ჩვენს დამაქცევარს დაუდგება შავი დაისი,
რომ გადმოიღებს ოდისევსი თავის მშვილდისარს,
ხალხს და ქვეყანას დამონებულს ბრძოლით დაიხსნის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუთუ ჩემნაირია სიხარული სხვათა

ნუთუ ასე ამგვარად
სხვაც ჩემსავით განიცდის
გაზაფხულის მდინარის
მოცახცახე გოფრეს.
ჯადოქარი ბუნება
უჩინარი კანისტრით
როცა ხანძარს უკიდებს
აყვავებულ სოფლებს.

ნუთუ ასე ამგვარად
გაზაფხულით დამთვრალი
სხვაც ჩემსავით ბარბაცებს
მოქანცული გრიპით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერ გაურკვევია,
გაზაფხულის მხატვარი
სანდრო ბოტიჩელია
თუ ფილიპო ლიპი!..

დღეს ჩემსავით სოფლიდან
გაძევებულ ალუბალს
სხვაც შეჰყურებს?.. მიდამოს
ღარიბსა და ღატაკს
რომ ამდიდრებს აპრილში
აყვავებულ ქალობით...
ნუთუ ჩემნაირია
სიხარული სხვათა?..

ფარას მაკრატელივით
როცა ჩაჭრის მანქანა
და ბღავილით ბატკანი
გაიქცევა ცხვართან,
და გზას დაფიქრებული
რომ ჩახედავს სარქალი...
ნუთუ ჩემნაირია
სიხარული სხვათა?..

ნუთუ ასე ამგვარად
სხვაც ჩემსავით განიცდის
გაზაფხულის მდინარის
მოცახცახე გოფრეს,
ჯადოქარი ბუნება
უჩინარი კანისტრით
როცა ხანძარს უკიდებს
აყვავებულ სოფლებს?..

სხვაც ამგვარად შეჰყურებს
ფანჯარაში ანგელოსს,
იმას, ახლა რომელმაც
გალიმება სცადა,
იმის გულისპირსა და
მაქმანიან სახელოს?..
ნუთუ ჩემნაირია
სიხარული სხვათა?..

ნუთუ ფანჯრის რაფაზე
სხვებიც ასე ელიან,
როგორ გადმოიხრება
ქალწულური ტანი?
როგორ აბრიალდება
შავი სამოსელიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს თავდაღწეული
სულის ჩირაღდანი?
გაზაფხულის ბურუსში
როცა ოქროს ძაფებით
არის განათებული
სიზმარი და ცხადი,
ნუთუ სხვისი თვალებიც
ასე დაეწაფება
მკერდზე ამობურცული
მარმარილოს ნაჭიმს?!

ნუთუ ასე ამგვარად
გაზაფხულით დამთვრალი
სხვაც ჩემსავით ბარბაცებს
მოქანცული გრიპით
და ვერ გაურკვევია,
გაზაფხულის მხატვარი
სანდრო ბოტიჩელია
თუ ფილიპო ლიპი?...

ცხვირზე თითს რომ ჩამოვკრავ,
როგორც ქნარზე დამკვრელი,
და კვლავ აკისკისდება
პაწაწინა ნატა
ისე, თითქოს იპნევა
იატაკზე კაკლები..
ნუთუ ჩემნაირია
სიხარული სხვათა?..

ანდა როცა შემოაქვს
ტორტი ხუთსანთლიანი
და თვალებში ნაპერწკალს
გაიჩალებს ათასს
და იმ სანთლებს ჟუჟრად
აპარპალებს ნიავი..
ნუთუ ჩემნაირია
სიხარული სხვათა?..

ნუთუ სხვამაც ზამთარი
ჩემნაირად დამარხა
და მოსული აპრილი
ჩემნაირად უკვირს,
ნუთუ ისიც ჩემსავით
იოცნებებს ამალამ,
როცა ერთად დავწვებით
მე და მთვარის შუქი?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ე ხ ვ ე დ რ ა

ის. რაც გახვეულია
აკვარელის ბურუსში,
განათდება წამით
უეცარი შეხვედრით.
დაქანცული ღიმილით,
ქარვის ყელსაბამით.

ცრემლში ატივტივებულ.
უსათვალოდ უმწეო
და უაზრო მზერით.
ნაოჭების ბადეში
მოქცეული თვალების
ლურჯი ფლომასტერით.

თითქოს როგორც ოდესღაც
შენ გზას თოვლში მიიკვლევ
და ეძახი: ლიკა!
თოვლში ჩაჩოქებული
ჰკოცნი უკვე სატირლად
ათრთოლებულ ნიკაპს...

ანდა აბაზანიდან
თავზე შემოხვეული
პირსახოცის ჩალმით
რომ გამოდის, მოხრილი
ეგებები კარებთან
აღმოსავლურ სალმით.

ანდა ისევ უზიხართ
ფაიფურის ქუდიან
განათებულ ლამპას
და შეჰყურებ უმწეოდ
ხელში ატორტმანებულ
იაპონურ ლამბაქს...

მაგრამ ქრება ზმანება....
გაბზარული ხმითა და
გაბზარული რწმენით
შენს წინ ქალი გაცრეცილ
ტუჩებს დგას და ისველებს
გაცრეცილი ენით.

გეკითხება: რასა იქ?
ო, შენ ახლა ვერ ეტყვი,
რომ უმწეო ნაფოტს
მიგაქანებს მდინარე;
რომ სიცოცხლე როგორმე
მალე მოგისწრაფოს.

ო, შენ ახლა ვერ ეტყვი,
როგორ ებრძვის სხეული,
როგორ ებრძვის სული,
ამერიკულ კორსეტში
გამომწყვდეულ ლუმბაგოს
--ანდა რადიკულიტს.

ეტყვი: ვცოცხლობ, რა ვიცი...
გაწვდილი ვარ ასკილის
გადატყავებულ ტოტად...
ის კი გეტყვის ღიმილით:
ო, რომ ვცოცხლობთ, ძვირფასო,
ეგ არ არის ცოტა!..

მერე თუმცა იცის, რომ
არასოდეს დარეკავ,
მაინც მოინდომებს
და გაზეთის ნახევზე
მაინც ჩაგაწერინებს
ტელეფონის ნომერს...

### სინანულის ლექსი

ხან მზესუმზირა ჰყვაოდა,
ხან მზესუმზირას შვილები,
სოფელო, როგორ მეგონა.
ღიმილს თუ მომაცილებდი...

სოფელო, როგორ მეგონა,
ასე თუ გამიმეტებდი,
ბნელში გაიგო სიკვდილმა
ბებერი ვაცის პეტელი...

ვერ გამიგია, ნაღველო,
საჯიჯგნად რისთვის დამხარბდი,
რად გინდა გამაგდებინო
მონატრებული ქალაღდი.

დამჩემდა ხელის კანკალი,
სტრიქონს წინ ველარ ვუძლევები,
ამ მუხთალ წუთისოფლისა
მეც შვილი ვიყავ უძლები.

რაც უწინ ცოტა მეგონა,
ახლა რა ბევრი მგონია,
დალონებული ბეღურა
დღეს ჩემთვის ჯადონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი, რა გვიან ამოვედ
მე უმეცრების ხაროდან,
თურმე რა ბევრი მინდოდა,
თურმე რა ცოტა კმაროდა!

დამლალა წუთისოფელმა
და მისმა ორომტრიალმა,
ვერ მიპატრონა, ქიმუნჯი
მკრა და მრავალჯერ მიარტყა.

რაც მსურდა მეთქვა, ვერა ვთქვე,
ვერ გამოვხატე სიტყვითო,
ტირილი მსურდა, შწყერივით
მხოლოდ ვამბობდი: „ქვით—ქვითო...“

კაცი თავის თავს რომ უზამს,
სხვა ისეთს ვერას უზამსო,
ცხენს ვერაფერი დავაკელ,
მსხვრევა დავუწყე უზანგსო...

ხვალ რა მომელის, არ ვიცი,
წამომეპარა შიშიო,
ზოგჯერ ქალიღა მაბრუებს
და მისი „ხელი მიშვიო“...

* * *

შენ, მეოცე საუკუნის
მივიწყებულ პიიტიკოსს,
გავა დრო და ვინ გახსენებს,
ვინღა იტყვის, ვინ ვინ იყო?...

შენს წიგნს აღარ წაიკითხავს
აღარც ორიოდე კაცი
და ეყრება დამტვრეული
სადღაც ბიბლიოთეკაში...

და თბილისის მიყრუებულ
ჩიხს სახელი რად დაარქვეს
შენი, ვერვინ გაიხსენებს,
მიაკითხონ უნდა არქივს...

თუ ვინ იყავ, ვერვინ იტყვის
ვიღაც წიგნის ჭიის გარდა,
ვის ჰქონია და იმედი
ვისა ჰქონდეს უმეცართა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ისევ მაწვალებს ფიქრი მტარვალი
და დაფანტული მესმის ხმებილა,
ისე გავიდა ეს იანვარი,
რომ ერთხელ აღარ დამსიზმრებიხარ...

ყმაწვილი კენჭებს მესროდი
და მობობლავდი ოხვრით,
და შენი: ნელა იარე!“
იყო ბლავილი თოხლის.

ახლა მე მოგდევ ქოშინით
ჩემი ასაკის გამო,

შენი ხელების მარმარილოთი
დღეს დამესიზმრე, მობუზულ ცანდალს
ეფერებოდი და თან ტიროდი...
გამომეღვიძა და გარეთ წვიმდა.

შენ მეუბნები: „დაბერდი,
რა მოგივიდა, წამო!

ო, არა! ვივლი ბოლომდე,
არ აღმომხდება კვნესა,
მე წუთისოფლის სამსალა
უნდა ბოლომდე შევსვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიცილია

აჩირეალეს მამალმა
დილა ყივილით გაფხრიწა
და ნაკუწებად აქცია
ზღვაცა და ჩვენი საძილეცა.

როგორ არ ამცნო ქვეყანას
და როგორ უნდა დამალო,
დღე რომ თენდება ასეთი,
სიცილიურო მამალო!

ეს ჩემთვის დღემდე უცნობი
ხმელთაშუა ზღვის ქარია
და სიცილია ცხოვრების
გვიანი საჩუქარია!

გახარებული საჩუქრით
ვიწრო ქუჩებში დავძვრები
და ნორმანების ოდესღაც
მიტოვებული ტაძრები

სულს მიშფოთებენ სიცივით,
ობლად მზის სხივი ჰიატებს...
მსურს პეპლებივით ყურეში
აფარფატებულ იახტებს

რომ შევყურებდე დამთვრალი
ფორთოხლის ქვეყნის სინათლით.
მისი სცილა და ქარიბდით
და მისი ტაორმინათი...

დღე ბრუნავს. როგორც ბორბალი
აყირავებულ ეტლისა.
და არსებობა მაბრუებს
აბოლებული ეტნისა..

მერე ღამდება.... ბნელდება
და ფერმკრთალდება სურათი.
მერე ვამაყობ კაფეში
ნათქვამი „ბონასერათი“..

ცხოვრებამ კიდევ საჩუქრად
რა უნდა გამომიგზავნოს?
იტალიურზე უმეტეს
მე ვერ დამათრობს „ჩინზანო“..

და ჩემს ესოდენ უმწირეს
და ღარიბ ბიოგრაფიას
ალბათ არ დაემუქრება
დღეს სიცილიის მაფია!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბი სულაკაური

## ვიდრე

რა აკივლებთ ამ დედაკაცებს?
ჩემი ეგზოტიკური გამომეტყველება?
მე ხომ იმისთვის არ ვქანაობ
ნელ-ნელა თოკზე —
  თვალდაჭყეტილი და
ალბათ ენაგადმოგდებული)
ვინმე მოვხიბლო.
ვიცი ასეთი სიმშვიდის ფასი!
თორემ აბა გადაჭრან თოკი,
სანამ მიწას დაენარცხები,
მოირბენს ვინმე მადლიანი,
ყურში ჩაგყვირებს:
  „ნუ დამზარდები,
ერთი, სიგარეტს მომიკიდე...“
მაგრამ
ბევრჯერ დაათოვს წყალს და ნაპირებს
და გაუქმებულ ხეებს
და ყველანაირ სიმშვიდეს
და გაუქმებული ხეების იქით
დაათოვს ცასაც.

* * *

მე უცაბედად,
მოულოდნელად მოვიხედე
და იმის ნაცვლად,
რომ შენს თვალებს,
რომ შენს მზერას წავწყდომოდი,
ღამის პეპელა დავინახე
გახუნებული,
გაცვეთილი,
ყველანაირი მზით ნანახი
შემოდგომის ქართლის ველივით.
ფანჯრის რაფაზე მიცოცავდა
(ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით)
დიდი ხნის წინათ დაკარგული
ყველანაირი სინათლისათვის.
უკვე ფრენას გადაჩვეული.
(მაშინ შენ მთებზე ლაპარაკობდი,
კიდევ იმაზე,
რომ ჩვენ ჭკუით სავსე ბრმები ვართ

და როგორ ვცდილობთ დაბრმავებულნი
ამ მთებზე ასვლას.
მე არ ვიცი, ეს ვინა თქვა,
ან ვინ გითხრა,
არ მაღელვებს.
ვერც იმას ვიტყვი:
კარგად თქვა მეთქი.
ჩვენ ბავშვობიდან,
არა, უფრო ადრეც გვიყვარდა მთები)...
ალბათ იცი,
რომ მე მკვლელი არა ვარ, ძმაო,
მაგრამ არ იცი, რომ მკვლელი ვარ...
გადავწყვიტე და გავაკეთე ეს
მტკიცე ხელით და ცივი გულით,
ისევე, როგორც შენ იზამდი...
ჩვენ მსგავსები ვართ.
ჩვენს მოცულობაში გაზრდილი
სურვილების
გზის დამთმობები,
მომფერებლები.
და ეს კარგია!
ეს წესია
იმ ქალაქისა
სადაც ბუნებრივად,
ჩვეულებრივად ლაპარაკობენ,
იღვრებიან,
იგინებიან,
სინდისი ქენჯნით....
და ყველაფერი მაინც ჰკიდიათ
ველური კუნთები
და სხვა ათასი, ათიათასი ღირსებით
შემკულ
ფეხებზე....
უმიზნოთ ვწუწნით შეშლილ მთვარეს,
დღეებს,
სიგარეტს,
რამ დაგვავიწყოს,
რომ თვალებში ჩვენს უძველეს სქესს
სევდა უდგას დაბადებიდან.

* * *

ყოველი გამარჯვების შემდეგ
იმღერე გოგონავ...
არ დაგავიწყდეს —
გამარჯვებაც ბედთან შერიგებაა.
მოდი, იმასაც შეურიგდი, რომ გამარჯვებამ
შეიძლება ბევრი ვერცხლი მოგიტანოს...
ოღონდ
(ბედთან შერიგების) ბანალური თაიგული
ყვავილებისა
სულ უბრალოდ (დაუდევარი მოძრაობით)
შეიძლება ააფეთქო. (ისევე,
როგორც ფერადი მინის გრძელფეხება ჭიქები).
ისიც იცოდე —
ეჭვი, ნაღველი და ირონია — ეს სამი ძაღლი
ძალზე ახლოდან ისუნებიან.
(არ იფიქრო — ქუჩის „ფარჩაკი“ ძაღლებივით
უყეფდნენ მთვარეს).
მათი მოცულობა და პერსპექტივა
იქიდან შენსკენ გაიზრდება (აუცილებლად).
ეს არ არის გაკვეთილი,
პარაგრაფი. ანდა რამე სხვა,
ეს არის —

შენთვის უცნობი ნაპირები.
შენთვის
ჩემი აღმოჩენილი.

## კაფე „თბილისი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობი კაფე. უცნობი კაფე.
ოთხკუთხა ანფასი. ბოლო ნაფაზი.
შემწვარი კარტოფილი. დაჭრილი პროფილი.
უკაცო ქალები .თითქმის ჩამქრალები.
უქალო კაცები. მღვრიე, ზარმაცები.
ხმელი უცხოელი რაღაცას მოელის.
ღვინო და ყავა. „დალიე, წავა...“
ორმაგი ფარდები. „აქ გადავარდები...“
მწვანე კედლები. „შენ მე რას მედრები...“
ჩუმი დიალოგი. „შენ მიდი, ალოკე...“
ძილი და ღვიძილი. მტკივანი ღვიძლი.
შავი როიალი. ბარბაცი, ბორიალი.
გვერდითაც მთვრალები. შუშის თვალები.
გარსონი ლევონი. ქამელეონი.
სახემოცინარი: ცხოვრება წინ არი.

ნაირა გელაშვილი

ჟურნალის ბიბლიოთეკა

# სარკის ნატეხები

## მესამე ძალა

მამიდაჩემს უზარმაზარი, მთელს სოფელში სახელგანთქმული მამალი ჰყავდა; ერთი ყოვლად საზარელი რამ და პირქუში. მახსოვს, ამბობდნენ, თვრამეტ კილოს იწონისო. ტანი იოდისფერმოსისხლისფერო ჰქონდა, ფრთები კი ისეთი ჭრელი, რომ იმის მაცქერალს მეც თვალები მიჭრელდებოდა. გაფარჩხულდეზებიან, სქელ ფეხებს ისე მაგრად ადგამდა მიწას, ისე მრისხანედ ატრიალებდა მძიმენისკარტიან, მრგვალთვალება თავს, თითქოს მარტო დედალვარიებისა კი არა, მთელი კარ-მიდამოს პატრონ-მარჩენალი თვითონ ბრძანდებოდა. მხოლოდ მამიდაჩემს არ ერჩოდა. სხვებს კი, ჩემის ჩათვლით, შეიძლებოდა მფრინავი ურჩხულივით დასცხრომოდა თავს, თუკი სადმე მოიხელთებდა. იმისი შიშით ეზოში თამამად ვერც კაცი შემოდიოდა, ვერც ძაღლი, თუმცა, მაღალი ბადით იყო შემოზღუდული მისი სამფლობელო ე. ი. ეზოს ის ნაწილი, სადაც საქათმე იდგა და კრუხ-ჭუჭულა დაფუტფუტებდა. დილაუთენია, საქათმის თავზე, ამომავალი მზის ფონზე წითელი ქერპივით აღიმართებოდა ხოლმე, იმ თავის სქელ ნისკარტს აღებდა და თავზარდამცემი ხმით გვაუწყებდა ახალი დღის მოახლოვებას.

მაგრამ არ ვიცი, ეს ამბავი მამალით უნდა დამეწყო თუ ჩემი მამიდაშვილით, თუმცა, ორივე თანაბრ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ისტორიაში.

ჩემი მამიდაშვილი გოგო, ჩემზე ათი წლით უფროსი, ე. ი. თხუთმეტი წლის ბრძანდებოდა და წარმოიდგინეთ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩემზე ეჭვიანობდა. ე. ი. ეჭვი ულრღნიდა გულს, რომ დედამისს მე უფრო ვუყვარდი. რა თქმა უნდა, თავს არ იტკიებდა იმაზე ფიქრით, რომ მე ისეთი პატარა და თან სტუმარი ვიყავი, დედა იქ არა მყავდა და მამა, და მაშასადამე, სრულიად ბუნებრივად უნდა მიეჩნია, თუკი მამიდაჩემი განსაკუთრებით მეფერებოდა.

ცხადია, ის სულ სხვა საკითხია, მამიდაჩემს ეგრე ვერაგულად რომ ვუპასუხე იმ სიყვარულზე და სულ წყალში ჩავუყარე ის მოფერებანი, ის ორი აქცია მაქვს მხედველობაში, რომელთა გამო ჩემი მამიდაშვილი სიხარულით ცას ეწია, რაკი მამიდაჩემს თავი მოვჭერი და მთელი სოფლის სალაპარაკო გავხადე, მაგრამ ეს მერე იყო მოგვიანებით, როცა აცივდა.

აცივებამდე კი მე და ის, მიუხედავად იმისა, რომ დღისით კარგა გვარიანად ვძიძგილაობდით, ხშირად კი დაუფარავ ბრძოლას ვაჩაღებდით, —

---

გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 8.

ღამით იძულებულნი ვიყავით გვერდიგვერდ დაგვეძინა, რადგან ორივეს გარეთ, ეზოში, ღია ცის ქვეშ გვიყვარდა ძილი. მამიდაჩემი „ლეჟანკებს“ გვიშლიდა და ძილის წინ იმას შუბლზე, მე კი ორივე ლოყაზე მკოცნიდა.

ერთხელაც საშინლად ნაჩხუბრები დავწექით... ვტიროდი კიდეც, მუქ-ლურჯ ცაზე მოციმციმე ნათელ-მსხვილ სიმსხო ვარსკვლავებს ცრემლებით სავსე თვალებით ავცქეროდი, რომ გამოც ისინი წყალში ტივტივებდნენ. უხმოდ ვუზიარებდი ჩემს სიმარტოვეს და უბედურებას. ჩემი მტერი კი იწვა იქვე, ჩემს გვერდით, ხელის გაწვდენაზე ,და არხეინად ფშვინავდა....

დილას ძალიან ადრე გამეღვიძა და... თვალი რომ გავახილე, იმწამსვე ისევ დავხუჭე თავზარდაცემულმა, ვიფიქრე მომეჩვენა მეთქი. ნელა გავახილე ისევ და არავითარი მოჩვენება! — ნამდვილად ის იყო: ის საშინელი მამალი! არ ვიცი, რა მანქანებით გადმოფრენილიყო იმ მაღალ ბადეზე, როგორ დაეღწია თავი მისჯილ ზონისთვის, მაგრამ ახლა აქ ჩვენს წილ ეზოში დაბრძანდებოდა თვალების ჰყეტითა და მუქარის შემცველი თავისტრიალით, როგორც იცოდა. თან ჩვენსკენ იხედებოდა მრისხანედ და ხშირ-ხშირად.

გული გამეყინა და ვიდრე საბანში ჩავიკარგებოდი, ჩემს მტერს გავხედე... იწვა ნებიერად, ნეტარად თავგადაგდებული და აქეთ-იქით მკლავებგადაყრილი. ჩემსავით ბამბაზიის კი არა, ლამაზი ყვავილებიან-რუშებიანი, ცისფერი ღამის პერანგი ეცვა და გრძელი თმა შიშველ მხარზე ჩლა საბანზე ეფინებოდა. გამახსენდა, როგორ მიჩქმიტა წუხელ და ჩემს ნახატებს როგორ დასცინა... ენითაღუწერელი სილამაზის ქალები დავხატე, იმან კიდევ „გომბეშოებს გავნანო“ სამჯერ მითხრა.

და უცბად ე. ი. ვიდრე შიშით გონდაკარგული საბანში ჩავრგავდი თავს, თვალი მოვკარი, რომ ის ურჩხულ-მამალი მის ნებივრად გადაკიდებულ, სავსე მკლავს, მკლავს კი არა ხელის მტევანს მიშტერებოდა... და მეც გავქვავდი და მონუსხულივით მივაცქვდი მამლის მზერას. ჩემს გონებაში მზესავით ამობრწყინდა დიდებული პერსპექტივა, რაც მამლის თავში უკვე პროჟექტორივით ენთო ალბათ. ალაფხვერი ალში მესმოდა, თითქოს სამყაროში ყოველი ბგერა გამოართეს. მთლიანად თვალებად ქცეული მხოლოდ იმას ვხედავდი, მამალმა ერთი ნაბიჯი წინ როგორ გადმოდგა, თავი შეატრიალა და ახლა მეორე თვალი ჩაასო ზემოხსენებულ ხელის მტევანს...

რაღა დიდი მიხვედრა სჭირდება იმას, თუ რა ჯადოქრული ფორმულებით მივმართავდი გულში იმ ჩემი მტრისკენ დაძრულ საშინელებას, რომელიც უკვე სამართლიანობად და სილამაზედ მეჩვენებოდა; ფიქრით როგორ ვკარნახობდი, არ გადაეხვია დასახული მიზნიდან, გეზი არ შეეცვალა და არ გადაეფიქრებინა უკვე სრულიად აშკარად გამოკვეთილი განაზრახი; რა მტკიცე ძაფს ვაბამდი იმის ნისკარტსა და იმ საძულველ ხელისგულს შორის. ისიც ნელ-ნელა უახლოვდებოდა, ხან ერთი თვალით, ხან მეორით ეყინებოდა უცხო სამიზნეს... და მისი თვალი სულ უფრო დიდდებოდა და დიდდებოდა...

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ამ მაგიურმა რიტუალმა, მაგრამ აი, მისი სისხლივით წითელი ბიბილო უკვე ნეტარად გადაგდებულ ხელისმტევანთან აცახცახდა. მე სული შემიგუბდა: უცებ ზემოთ აქანდა წითლად მოცახცახე სავარცხელი, ჩემმა მოკავშირემ მოწყვეტით დაიქნია თავი და სქელი, რკინასავით მაგარი ნისკარტი იმ ხელისგულს ჩასცა, რომელმაც გუშინ ასე გამეტებულად მომიგრიხა ყური.

ერთდროულად აღვიქვი ამომსკდარი სისხლის გეიზერი და სრულიად არაადამიანური, ველური ღრიალი. შემდეგ კი ელვისსისწრაფით განვითარდა მოვლენები: ის ღრიალი დაკონკრეტდა ორად ორ მაგრამ მრავალგზის განმეორებად სიტყვად: „ვაიმე მომკლა, ვაი-

მე!", მისი საბანი ჩემსკენ გადმოფრინდა, ჩემი დაჭრილი მტერი შეშლილივით წამოიჭრა, ფეხშიშველა და თმაგაწეწილი რატომღაც ცბრუტივით დატრიალდა, მაჯა ხელით ეჭირა, სისხლის შადრევანს მაღლა სწევდა ჰაერში და ყველაფერს წითლად წუწავდა. მერე ერთი განსხვავებულად შეჰღმუვლა და ვეფხვისებური ნახტომით ზედ დამასკდა. მთელი ძალით მირტყამდა, საბანქვეშ მოვექცეი, ის ზემოდან მაწვა და მგუდავდა და მტორავდა. ვიგრძენი, გონებას ვკარგავდი...

თავი რომ ამოვწიე საბნიდან, ვიხილე: მამიდაჩემს თმებით დაეთრია საკუთარი შვილი და თან შიგადაშიგ მუშტებსაც აზელდა, ის კიდევ დამთხვეულივით გაიძახოდა: „ნახე რა მიყო! მომკლა! მომკლაო-ო". ვიფიქრე, ემანდ საქმის ვითარება ისევ ჩემს წინააღმდეგ არ შემოტრიალდეს მეთქი და ხელებგაწვდილმა მამიდაჩემს შევღაღადე: „მამიდა, მამიდა, მე კი არა, მამალმა ჩაუნისკარტა, კაცო, მამალმა!" აგრე გავყიდე ჩემი მამაცი მოკავშირე, იქამდე ვიდრე ერთხელ მაინც დაიყივლებდა.

მამიდა შედგა, ხელი უშვა ჩემი მტრის თმას და იგი ძირს გაიშხლართა. მამიდამ ახლაღა შენიშნა თავისი სახელგანთქმული მამალი, რომლისკენაც მე ვუთითებდი. ის ხის ძირას იდგა და ამ უბედურებას თავისი ბრიყვული რისხვითა და მედიდურობით გამოსცქეროდა. თუმცა, მე მგონი, ამით თავისი დაბნეულობის დაფარვა სურდა. და აქ, მამიდაჩემი უეცრად დაიკუზა, ელვისსისწრაფით წაიძრო ფეხიდან თავისი ქმრის ვეება ფეხსაცმელი (რომელშიც ალბათ, უეცრად წაყო ფეხი დაჭრილი შვილის ღრიალით თავზარდაცემულმა) და მთელი ძალით მოიქნია...

მთელი ეს ჯოჯოხეთი იმით დაგვირგვინდა, რომ ფეხსაცმელი ზუსტად მოხვდა მიზანს: ყრუ ბრაგვანი გაადინა მამლის მკვრივ ფერდზე, იმან ეშმასეული რაღაც ხაფი ხმით დაიხივლა და მესერზე შეფრინდა, ხოლო მამიდაჩემი ძირს გაიშოტა: პირდაღმა თავისი დასისხლიანებული შვილის ფეხებთან...

ასეთ მძაფრ ილუსტრაციას შურისძიების ამაოებისა და კიდევ იმისა, რომ ახლობელი მტრის წინააღმდეგ გარეშე მტერთან კავშირის დაჭერა რა ღირს, ჩემს ცხოვრებაში იშვითადღა შევსწრებივარ. მართალია, სხვა მოსაზრებებიც არსებობს დემონოლოგიასა თუ პოლიტიკაში, მაგრამ აჰ, არა! რა შემაცვლევინებს ჩემს რწმენას, იმ სისხლიანი დრამის გადამტანს, სადაც ყველანი ერთნაირად ნაცემ-ნაგვემნი ვეყარენით აქეთ-იქით, თვით ჩემი ყოვლად ობიექტური მამიდაც კი.

### ტყე

გომბორის მთაზე ხდებოდა ეს ამბავი. იქ დასასვენებლად მივემგზავრებოდით ხოლმე ზაფხულობით (მეორე სოფლიდან).

სატვირთო მანქანებზე ლოგინი, ჭურჭელი, ნავთქურები და რა აღარ ელაგა. ჩვენი ძროხაც მიგვყავდა და ქათმებიც. სატვირთო მანქანის ძარაზე იდგა ხოლმე დამფრთხალი ბელა და აქეთ-იქით ქათმები ფართხალებდნენ გალიებში.

პირველად იქ ვნახე ის, რასაც ტყე ჰქვია.

ხეები, რომლებსაც მანამდე ვიცნობდი, ან ჩვენი იყო, ან ჩვენი მეზობლების ანდა ვინმესი. ე. ი. ვიღაცის საკუთრებას წარმოადგენდნენ, და პატრონის ხელიც ეტყობოდათ.

აქ კი არავისი, უპატრონო ხეები იდგა: ველური, უცხო და უხილო. დაბურული და ძლევამოსილი გახლდათ ის ტყე, სოფლის გაღმა, გზის ორივე მხარეს რომ ატეხილიყო.

ჩვენი ხეები შინაურები ეუვნენ, ესენი კი: გოლიათი მუხები, (თუ არ ვცდები) თელები და ნეკერჩხლებიც შეთქმულებივით გამოიყურებოდნენ, რაღაც სიპირქუშე და უცხოობა ახლდა მათ იდუმალ-ძალმოსილებას.

თავიანთსავე ფოთლების სქელ ფენაში ჩაფლოდათ ძირები, ე. ი. დედამიწასთან შეხების ადგილი არცერთს არ უჩანდა. და რომ მივდიოდით, ჩვენც მუხლებამდე ვეფლობოდით იმ ათასნაირ ფოთოლთა სასაფლაოში. შიგა და შიგ ხავსიანი ლოდები და კუნძები გვხვდებოდა. წყარო გადმოანკარებდა ლოდსქვემოდან. დიდი ჩიტები გაიფრენდნენ ხოლმე უცხო ძახილით და ზემოთ, ტოტებში დიდი, მძიმე ბუდეები მოსჩანდა. ამ დაბურული ტყის ძლიერ ფოთლებში მზე სუსტად ილვრებოდა და არამიწიერი, სიზმარეული შუქით ანათებდა ძირს დაცვენილ, მჭკნობარე ფოთლებსა და ტოტებს შორის მოქცეულ სივრცეს. მიწის, ტენის, სოკოს, ხავსის სუნი იდგა...

ამ ტყეში ზოგიერთ მუხას ფოთლები ზუსტად ისე ჰქონდა დალაქული, როგორც მე მეყარა წითელი ლაქები, როცა წითელა მჭირდა. დიდ ბედნიერებად ვთვლიდით ასეთი ფოთლების პოვნას. ერთ ხეს რამდენიმე ტოტი ან ყუნწულა შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი. თვითონ (ესოდენ გამორჩეული) მუხა კი იშვიათობას წარმოადგენდა, ე. ი. საძებნელ-საპოვნელი იყო და ჩვენც ვეძებდით. მერე სასოებით ვაგროვებდით წითლად დალულუდოებულ ფოთლებს და შინ მიგვქონდა.

წითელას მე ისე შევადარე, დედაჩემმა კი, როდესაც პირველად მივუტანეთ ეს საოცრება, დაკვირვებით შეათვალიერა და სრულიად სერიოზულად სთქვა: „ავადმყოფი მუხის ფოთოლია". როგორ შეიძლებოდა ის გოლიათი მუხა — ავად, ხოლო ავადმყოფობა ჯანმრთელობაზე უფრო ლამაზი ყოფილიყო! რას არ გაიგებ დიდებისაგან. მაგრამ, დედაჩემის ნათქვამი გავრცელდა, და ახლა უკვე ზოგი ბავშვიც „ავადმყოფი მუხის ფოთოლს" გაიძახოდა.

დიახ, და თითქოს იმ ტყის მთელი თავზარდამცემი იდუმალება და სიუცხოვე არ იყო საკმარისი, — ადგილობრივი მკვიდრნიც და დამსვენებელნიც (დიდები, ცხადია) სულ იმას ამბობდნენ, ტყეში ყაჩაღი იმალებაო. დღესაც არ ვიცი, მართლა იმალებოდა იქ ვინმე თავზე ხელაღებული თუ ჩვენ გვაშინებდნენ! ამის შედეგი კი ის იყო, რომ იმ ყაჩაღით ტყეში გაპარვაზე ხელი ვერ აგვაღებინეს, მაგრამ ჩვენი შიში და დაძაბულობა, რაც ისედაც არ გვაკლდა, როცა სუნთქვაშეკრულნი ხეებქვეშ დავძვრებოდით, — გაასმაგეს. ხან რომელი ხის უკან მელანდებოდა, ხან რომელისა, — თოფიარაღში ჩამჯდარი, დანა-ხანჯლიანწვერებიანი „ყაჩაღი". გზაზეც ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე ცხენზე ამხედრებულს. მოკლედ, იმდენი შიშით სიცოცხლე გამიმწარდა, თან ტყეც მაგნიტივით მიზიდავდა და არ შემეძლო ამ მიზიდულობას წინ აღვდგომოდი: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამხელა ფუღუროები ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა!

თან სულ იმას ვფიქრობდი და ვერ გამეგო, მე რა შუაში ვიყავი!

ყაჩაღი იყო და ყოფილიყო, მაგრამ რა უნდოდა სრულიად უცნობი ბავშვისგან, რომელსაც ის თვალითაც კი არსად ენახა?! ვერაფრით გავიგე, რითი უკავშირდებოდა ჩემი და იმ ყაჩაღის ბედი ერთმანეთს, რომ ახლა ჩემ ქმედებათა ორიენტირად ქცეულიყო. და ჩემს გეგმებს, ფიქრებს, საქციელს სულ თავის ირგვლივ, თავისი ყაჩაღადყოფნის გარეშემო ატრიალებდა. რომ არა ყაჩაღი, ტყეში მარტოც კარგად გავიპარებოდი და იქაურობის შესწავლას უფრო გულდაგულ, მთელი არსებით შევუდგებოდი... ახლა კი იძულებული ვიყავი, ჩემზე უფროს ბავშვებს, მათ შორის ჩემს ძმას ავტორიტეტებოდი! დედაჩემისთვის დამემალა! ტყეში ხმამაღლა დაძახება მეშინოდა, რომ იმას არ გაეგონა! და რატომ იყო ის, სრულიად უცნობი კაცი, რომელმაც ვიღაც მოკლა, რაღაც საშინელება ჩაიდინა და გაიქცა, — ჩემი მტერი, რატომ უნდა მშინებოდა მისი — აი ეს კითხვები

აღარ მეხსნებოდა, და ამ საიდუმლოს ამოხსნის სურვილმა ისე მტანჯველად შემიპყრო, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე: ტყეში მას ისევე დავეძებდი როგორც „ავადმყოფი მუხის ფოთოლს". აუცილებლად უნდა მეკითხა: რას მერჩოდა:

ერთხელაც ტყეში რომ დავიარებოდი სუნთქვაშეკრული (გოგო-ბიჭებს კარგა მანძილზე ჩამორჩენილი), გზას გავხედე და ის დავინახე! ცხენიდან ჩამომხტარიყო, ქვაზე იჯდა და რაღაცას აკეთებდა. მგონი ხურჯინში ეძებდა რაღაცას.

არც დავფიქრებულვარ, ქვემოთ დავეშვი. უნდა გითხრათ, რომ ის ტყე გზისკენ დამრეცად ეშვებოდა და ტყიდან გზაზე კაცის სიმაღლეზე უნდა ჩამხტარიყავი... ან ხეთა გრძელ, ზემოთამოყრილ ფესვებს ჩავყოლოდი.. ჩავხტი. მაგრამ იქვე გავშეშდი. რაღაც გამახსენდა. უკანვე ავბობღდი (ამჯერად ფესვების დახმარებით) და გვარიანად გადავიყვლიფე მუხლები. მივირბინე მუხასთან, ტანჯვით შეგროვილი „ავადმყოფი ფოთლების" თაიგული ავიღე, უკანვე გავიქეცი და ისევ ჩავხტი.

წითელფოთლიანი ყუნწულები მაგრად მქონდა ჩაბღუჯული... გული ბაგა-ბუგი გაუდიოდა, მუხლის ტკივილს ვერც ვგრძნობდი. ის კი გავაცნობიერე, რომ საჭირო იყო ლამაზი ვყოფილიყავი. ხელისგული დავინერწყვე, თმაზე გადავისვი და ყოველშემთხვევაში ლოყებზეც მოვიტარე...

მაგრამ კაცი, რომელიც ახლა ფიქრში წასული იჯდა, ხელები მუხლებზე გადაეკიდა და მუხლებშორის მიწას ჩასცქეროდა თვალგაშტერებით, უცებ წამოდგა, თოფი გადაიკიდა და ცხენს მოახტა...

წინ რომ ჩამიარა, ერთი შემომხედა (შეიძლება გაკვირვებულად, შეიძლება არა, არ ვიცი); ცხენს მათრახი გადაუჭირა და გააჭენა. მე გავიფიქრე, ჩემთან მტრობისთვის ალბათ ახლა არა სცალია, ეჩქარება და სხვა დროისთვის გადადო მეთქი.

გაქვავებული ვიდექი და ვაცქეროდი, ვიდრე თვალს სულ არ მიეფარა. ის რას მიხვდებოდა, როცა მე თვითონ მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ წითლად დაფოთლილი მუხის ფოთლები მასთან მომქონდა, ვითარცა თილმის ანდა ზეთისხილის რტო — ზავის შესაკვრელად, რადგან მისი წყალობით მშვიდი ტყე და მშვიდი ძილსიზმარი მენატრებოდა. და საშინელება იყო, შეურიგებლად, სამუდამოდ დაპირისპირებულნი რომ დავშორდით ერთმანეთს.

ერთხელ მე და ჩემს უფროს ძმას, დიდმა ქარმა მოგვისწრო ტყეში, თითქმის ქარიშხალმა. საშინელი გუგუნი და ბუბუნი იდგა, ჭრიალი, შრიალი, გმინვა და კვნესა. ფრინველთა დაზაფრული ამოკივლება და სრულიად უცხო რაღაცა ხმები გულს გვიხეთქავდა; ხეები იზნიქებოდნენ, ფოთლები ტოკავდნენ, ცვიოდნენ ფრინავდნენ... გაქცეულ რაღაც ცხოველებსაც მოვკარით თვალი... მერე იჭექა...

ამ საშინელ ზრიალსა და დაბურულობაში, უზარმაზარ, უცხო ხეთა ქვეშ დარჩენილი გულში განწირულად ვუხმობდი იმას, რომლის სიახლოვე ყველაზე უფრო რეალური იყო, ვინც ამავე ტყის წიაღში იგულისხმებოდა და ახლა გაცილებით უფრო მშობლიური გამხდარიყო, ვიდრე თუნდაც ხმელი ფოთლებიდან ამოღებული ნაზი ფურისულა...

თითქმის როგორც მამას ისე ვუხმობდი რატომღაც ჩვენზე გადაკიდებულ, შეჩვეულ ყაჩაღს...

## ოპოზიცია
## ანუ ჩემი უფროსი ძმა

თუმცა ჩემზე მხოლოდ სამი წლითაა უფროსი, მაგრამ მაშინ, პატარაობაში, საშინლად უფროსი მეჩვენებოდა, რადგან აგრესიული იყო ჩემს მიმართ.

თუ ზუსტად შევაფასებ მის როლს ჩემს ცხოვრებაში, უფრო ზუსტად: ჩემს ბავშვობაში, უნდა ვაღიარო, რომ იგი ოპოზიციის ფუნქციას ასრულებდა. ოღონდ აქვე დავძენ: ფრიად „არაკონსტრუქციული ოპოზიციისა“, ესე იგი, ადამიანურად რომ ვთქვათ: ერთთავად კრიჭაში მედგა. მეტსაც ვიტყვი: მისი თვითდგენა არსებითად ჩემს დაჩაგვრაში ვლინდებოდა და მისი ოპოზიციობაც საკუთარ უპირატესობათა ბოროტად გამოყენება იყო, სხვა არაფერი. გაივლიდა — გამარტყამდა, გამოივლიდა — ხელსა მკრავდა, და ა. შ. ცხადია, სრულიად უაზროდ და უმიზეზოდ. თან, და რაც ყველაზე საშინელია, გაუთავებლივ დამცინოდა!

ერთი სიტყვით, იმ აუტანელი კატეგორიის ბავშვებს განეკუთვნებოდა, კახეთში „მწვიტინას“ რომ ეძახიან. ამ ყოველივეს შედეგი კი ის გახლდათ, რომ კითხვაზე: ვინ მიგაჩნია შენს უპირველეს მტრადა და დუშმანად!-ო, დაუფიქრებლად დავასახელებდი ჩემს უფროს ძმას.

ამასთან, ჩემი უსაზღვრო უიღბლობა იმით გვირგვინდებოდა, რომ შუათანა ვიყავი. სამ-სამი წელი მაშორებდა თვითოეულ ძმას, და მართალია, სრულიად განსხვავებული მიზეზით, მაგრამ მაინც ორივესთან მიწევდა ჩხუბი. მათ შორის კი მთელი ექვსი წელი გაბმულიყო და ალბათ ამიტომ, ისინი, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან არ კინკლაობდნენ. ამგვარად, თუ ჩემი ძმები მონაცვლეობით ჩნდებოდნენ ბრძოლის ველზე, მე გაუთავებელი ორომტრიალის უცვლელი მოქმედი პირი გახლდით და შესაბამისად, ოჯახური შფოთის ძირითად მიზეზად აღიარებული მშობელთა მიერ, რომელნიც იმით მაკარგვინებდნენ ჭკუას, რომ არასოდეს იძიებდნენ, თუ ვინ იყო შუღლის წამომწყები, ე. ი. ვის ეკუთვნოდა აგრესიული ინიციატივა! ამას კი ჩემთვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პირველი არასოდეს ვიწყებდი და მხოლოდ ვპასუხობდი ხოლმე. ეჰ, რა ფუჭად გაისმოდა სამყაროს სივრცეში ჩემი ხმა: „პირველად მაგან დამარტყა“-მეთქი, რომ ვღრიალებდი.

გარდა ამისა: ჩემი უფროსი ძმა როგორც პირველი (ანუ კახეთში რომ ამბობდნენ: „სიყრმის“) შვილი ისე უყვარდათ, ესე იგი გამორჩეულად! ჩემი უმცროსი ძმა — როგორც უმცროსი. მე კი ესეც ვერ მშველოდა: ერთადერთი გოგო რომ ვიყავი. ერთი სიტყვით, ადრევე ჩამესახა რწმენა, რომ ძაღლად არავინ მაგდებდა.

სწორედ ეს განცდა უნდა ყოფილიყო იმპულსი იმისა, რომ რაღაც მითი შევთხზი ჩემი „აყვანილობის“ თაობაზე. შვილად აყვანას ვგულისხმობ, ცხადია. მაგრამ ამ ამაღელვებული სიუჟეტის შეთხზვაში ხელს სწორედ ჩემი შუათანობა მიშლიდა. რატომ „ამიყვანდნენ“, როცა შვილი, ე. ი. ჩემი უფროსი ძმა, უკვე ჰყავდათ?! და არც იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ გადაწურული, რომ შვილი კიდევ ეყოლებოდათ, რაკი ჩემი უმცროსი ძმა არსებობდა! ამ გარემოებამ ე. ი. ორ ძმას შორის ჩემმა ქრონოლოგიურმა ჩართულობამ საგრძნობლად გაართულა ისედაც ჩახლართული ისტორია, რადგან აუცილებელი გახადა რაღაც ბნელი მომენტების დამატება იმის თაობაზე, თუ როგორ გახდნენ იძულებულნი ჩემი თავლითუნახავი, ბედკრული მშობლები სადღაც „ჭინჭრებში“ (ზოგჯერ კი: ტყეში) გადავეგდე და როგორ მიპოვეს „ამათ“, ე. ი. ხილულმა მშობლებმა და როგორ უთხრა ვიღაც მკითხავმა, რომელიც ამ სცენას შეესწრო შემთხვევით, რომ თუ არ „ამიყვანდნენ“, ღმერთი რისხვას დაატეხდა თავს... და ა. შ. სხვათა შორის, ასე შვიდი-რვა წლის ასაკიდან მოკიდებული სადმე, ოჯახს გარეთ უსაზღვრო შინაგანი სიამოვნებით, თითქმის ტკბობით, და გარეგანი სევდით ვუამბობდი ხოლმე ჩემი ძნელი წარმოშობის ამბავს „დაინტერესებულ“ პირთ, და თანდათან ვამდიდრებდი და

თვითონვე ვიჯერებდი. ეს ისტორია საიდუმლოს შარავანდედს მადგამდა და უსაზღვროდ ზრდიდა ჩემს ღირებულებას... ჩემსავე თვალში. საკუთარი ღირებულების გაზრდა კი ნამდვილად მჭირდებოდა, რადგან მას წამდაუწუმ აკნინებდა ოპოზიცია — ჩემი უფროსი ძმა.

მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე და მკლავში ცოტაოდენი ღონე შევიგრძენი, ჩემმა ბრძოლამ ტირანიის წინააღმდეგ რადიკალური ხასიათი მიიღო! ახლა ნამდვილი ხელჩართული ომი იმართებოდა და ერთხელ ისეთი წუთიც დადგა, როცა გავიფიქრე, მტერი მოვკალი ე. ი. შემომაკვდა მეთქი: ჩვეულებისამებრ ნერვები რომ დამაწყვიტა და ჰკუაზე გადამიყვანა, გაათრებულმა დავტაცე ხელი რაღაცას, გავუქანე... და დავინახე, როგორ შეელება თავ-პირი სისხლით და... ჩაიკეცა. ჯერგანუცდელი შიშისაგან კინაღამ მეც გული წამივიდა. მაგრამ მალევე მივხვდი, გადამწიფებული ბროწეული რომ მეხეთქა თურმე... უცებ წამოვარდა, დამეჯღანა, წვენით შეღებილი ტუჩები მოილოკა და სახლიდან გავარდა...

საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ ჩვენს ანტაგონიზმს მსოფლმხედველობრივი საფუძველიც ჰქონდა, მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე მოგახსენებთ. თუმცა ერთნაირად გვესმოდა ჩემი გამზრდელისა და ყველას ბებიისაგან, კატას ვინც მოჰკლავს, იმ ქვეყნად ცხრა ეკლესიის აშენება მოუწევს, რადგან კატას ცხრა სული აქვსო, მაგრამ რად გინდა! მე მჯეროდა და ის კი აინუნშიაც არ აგდებდა! ერთი კატა ხეზე ჩამოახრჩო, მეორე წყალში დაახრჩო, მესამეს ხაფანგის თოფით მოუსწრაფა სიცოცხლე და საერთოდ, მათ ჭირად იყო მოვლენილი. მარტო რაც მე მქონდა დათვლილი, ცხრაჯერ-ცხრა ეკლესიის აშენება ელოდა იმ ქვეყნად, ესე იგი, თითქმის იმაზე მეტის, ვიდრე გრიგოლ ხანძთელსა და დავით აღმაშენებელს აუგიათ ერთად ამ ცოდვილ მიწაზე, და ჩემის აზრით, ფრიად უპრიანი იყო, აქედანვე კირითხუროობას შესდგომოდა და ეს საქმე საფუძვლიანად შეესწავლა, რადგან იქ ვინმეს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა! უნდა გითხრათ, რომ ჩემი ძმის მიერ საიქიოში ურიცხვი ეკლესიის აგების პროცესი მონუმენტურ სურათად მეშლებოდა თვალწინ: ვხედავდი მის ჭაპან-წყვეტას, მძიმე ლოდის ქვეშ მუხლები რომ ეკეცებოდა. ცხადია, ეკლესია მთის წვერზე იგებოდა ჩემს ვიზიონში. მის მიერ ნატანჯი და ბოლომოღებული კატები კი ადამიანისხელები გამხდარიყვნენ. მსუქნები, მბზინავბეწვიანები და ძლიერები მწვანე თვალების ბრჭყვიალითა და გრძელი მათრახების თქმაშ-თამაშით ადევნებდნენ თვალყურს ცოდვილის დამსჯელ-გამასწორებელ ჯაფას, და... „კუდი ყავარზე ჰქონდათ გადებული“ (ეს გაუგებარი გამოთქმა აუცილებლად ჯდებოდა ხოლმე ამ მისტიურ პანორამაში). მაგრამ, ჩემი იმქვეყნიური მოკავშირენი ვერაფერს მშველოდნენ ამ ქვეყნად ჩაგრულს.

აგრეთვე სრულიად ამოუცნობი იყო, ასე საჭიროებისამებრ სად პოულობდა გველებს, მაგრამ სისტემატურად ხოცავდა! არ იფიქროთ, თითქოს ქვეწარმავალთა მიმართ განსაკუთრებული სიძულვილი ამოძრავებდა. ჩვენი, კერძოდ, ჩემი გულისგახეთქვა იყო მიზანი! იმ მოკვდინებულ გველს ან სახლის კიბეზე გააწვენდა, ან ღობეზე გადაკიდებდა, ერთხელ კი თავის ამხანაგს პირდაპირ ფეხებში ჩაუგდო და იმან შიშით გონება დაჰკარგა! სამწუხარო ის იყო, რომ გველების მკვლელთა იმქვეყნიური სასჯელის შესახებ არავინ არაფერს ამბობდა სჩანს, ქვეწარმავლები მართლაც სრულიად მოძულებულნი და დაუცველნი არიან ამ სამყაროში, რაც უსამართლობაა, რაღა თქმა უნდა, თორემ ხომ ბევრად

უპრიანი იქნებოდა მათ მკვლელებს ხვრელებსა და სოროებში ეცოცათ იმ ქვეყნად, ეკლესიების აგების შემდეგ, რაღა თქმა უნდა.

რადგანაც მატერიალიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა, ე. ი. სულის არსებობა არა სწამდა, — არც არაფრის ეშინოდა, არც ღამით სასაფლაოზე ბოდიალის და არც იმ ცხრა ეკლესიის... მაშინ როდესაც, მე ყველგან სულები მელანდებოდა და ხშირად მათი ჩურჩულიც (მეჩვენებოდა, რომ) მესმოდა. რის გამოც ჩემმა გამზრდელმა რამდენიმეჯერ წამიყვანა დანით, ნახშირითა და წყლიანი ჯამით ალჭურვილ შაოსან დედაბერთან, და შეალოცვინა.

სხვათა შორის, ერთხელ სადღაც, მიუვალ კლდეზე აფოფხდა და იქიდან არწივის პატარა მართვე მოიყვანა! მაინც რა უგულისყუროა ზოგი დედა! თავიდან თავს ევლებოდა იმ თვალებბრიალა მართვეს, და თუმცა თავგადაკლული ვეხვეწებოდი, ახლოს არ მაკარებდა, მერე კი ჩემი გამზრდელის მოსავლელი გახდა. გაიზარდა და როგორც ამბობდნენ, ქათმების მოტაცება დაიწყო... და ჩვენმა მთვრალმა მეზობელმა, ერთმა მეღვინემ, თავისი „გეკოთი“ მოკლა. სხვათა შორის, ჩემი გამზრდელი ძალიან ტიროდა და ქოქოლას აყრიდა იმ კაცს, „ბოროტიაო“ ამტკიცებდა. ჩემმა ძმამ კი არ დაახანა, და სასწრაფოდ გაუწვინა მჯოშთობილი ჭრელი გველი „ბოროტს“ კიბის თავზე და სულ მალაყებს გადადიოდა, იქედან თავზარდაცემული ღრიალი რომ შემოესმა... განა არ აჯობებდა არწივი და გველი მართლა შეეჩვია და შეეყვარებინა! მაგრამ სად ეს ველური და სად დიადი ზარატუსტრა!

ხსენებული გვაროვნული ოპოზიცია ჩემთვის განსაკუთრებით აუტანელი მაშინ შეიქნა, როდესაც მე გარკვეული ასაკიდან განვითარების არტისტულ-რომანტიულ და ამაღლებულ-პათეტიურ ფაზაში შევედი, ანუ როდესაც ე. წ. მაღალმა სტილმა შემიპყრო. ამის გამოხატულებად კი ის იქცა, რომ მე და ჩემს ამხანაგს გოგოებს „კონცერტების“ დადგმის ვნებამ დაგვრია ხელი. სხვათა შორის, ამ სტიქიამ პირველად სწორედ მესამე სოფელში იფეთქა და ჩვენს პირველ მაყურებლებად ღვინის ქარხნის მუშები იქცნენ, ღამის მორიგეებად რომ რჩებოდნენ ხოლმე შავ ხალათებსა და შავ ჩექმებში გამოწყობილნი. დედების კაბებით მოსილნი ვმღეროდით, ვცეკვავდით და დეკლამაციასაც მივმართავდით ქარხნის ეზოში, ღვინის კასრებით შემოფარგლულ ცარიელ ადგილას... ახლა თავზარი მეცემა ჰირიოფლი მასხამს იმის გახსენებაზე, თუ ერთობ საეჭვო ვოკალური მონაცემების პატრონი რაგვარის თავდავიწყებით ვასრულებდი მთვარიან ღამით რაღაც რთულ სონატას ტრფობაზე, ტანჯვასა და სიკვდილზე, ხელებს როგორ ვიწვდიდი წინ... მართლაცდა ანგელოზისებრი ეთქმის იმ თვინიერებას რითაც კასრებზე შემომსხდარი თუ ძირს, ბრეზენტზე მიმოწოლილილი მუშები იტანდნენ ამ ყოველივეს. არა მგონია, მათი ენით აღუწერელი უდრტვინველობის მიზეზი ის ყოფილიყო რომ მათი „უფროსის“ შვილი ვიყავი... ვფიქრობ, ალალად აფასებდნენ ჩვენს უანგარო თავდადებას, მშრომელთა კლასისათვის ხვედრის შემსუბუქებას რომ ემსახურებოდა და შეიძლება, მართლა ერთობდნენ კიდეც... ყოველ შემთხვევაში, ერთ-ორ ხნიერ მუშას ნამდვილად აუჩუყდა გული და აუწყლიანდა თვალი, როცა ერთხელ სონატას ნაცვლად გულისგამგმირავი გრძნობიერებით წარმოვსთქვი: „დედაბერი მიმჯდარა ბუხრის ახლოს კუთხეში, თვალში ცრემლი მიმქრალა, მოხუცს ვინ სცეს ნუგეში...“ და ა. შ. ანუ „დედისერთა ლენინთან.“

ჰოდა, მას, ე. ი. ოპოზიციას, სწორედ კულმინაციური მომენტების შერჩევა უყვარდა, და აი, არიისა თუ

ლექსის ზენიტში დამპალი პამიდორი თუ ლაყე კვერცხი გამოქანდებოდა ხოლმე რომელიმე ხიდან ბუნებრივი ესტრადისაკენ.

როცა ერთხელ მუშებმა დაუძახეს, „რა გინდა, ხელს რათ უშლიო“, ხიდან ჩამოხტა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ჯიბეები განზე გაჭიმა და განაცხადა: „მეზიზღება ფოლორცობა და იკლიკანტურობაო.“ შეტრიალდა და წავიდა. ასე თერთმეტ-თორმეტი წლისა ბრძანდებოდა მაშინ.

უნდა გაცნობოთ, რომ ეს სიტყვები პაპაჩემის ლექსიკონიდან ჰქონდა მითვისებული. არადა, „დანახვის ხატი“, ე. ი. მიმბაძველი ხარო, მუდამ მე მიკიჟინებდა. საერთოდ უღრესად სიტყვაძუნწი პაპაჩემი ამ ორი, ჩემთვის ყოვლად გაუგებარი ცნებით, სრულიად კონკრეტულ მოვლენას აღნიშნავდა. როგორც გვიან დავადგინე, არაბუნებრიობა, სიყალბე და გადაპრანჭულობა ჰქონდა მხედველობაში (ძირითადად ქალების მხრიდან, ცხადია). ვფიქრობ იგივე მოვლენას გამოხატავდა ჩემს მშობლიურ კუთხეში გავრცელებული ოღონდ ბევრად უფრო მძაფრი ისეთი ლექსიკური ერთეულები როგორიცაა „გოწლოწულობა“ და „გატყლარჭულობა.“

გამორიცხული არ არის, რომ მისი მძვინვარე სიძულვილი სასცენო ხელოვნების მიმართ ერთი ყოვლად ფატალური ამბით დაიწყო, რომელიც მეორე სოფელში მოხდა, მე, ჩემი უფროსი ძმა და კიდევ ორი ბიჭი ისე გაშეშებულები ვდგავართ, თითქოს სურათი უნდა გადაგვიღონ. ის ბიჭები ძმები არიან. უფროსი ჩემი ძმის ტოლი და მისი ამხანაგია (აი, სწორედ ის, ვისაც მან ფეხებში გველი ჩაუგდო), უფროსი კი ჩემი ტოლია, ე. ი. ოთხი წლისა და ჩემი ამხანაგი (ის, ვინც ჩემს სიზმარში ჩემთან ერთად უყურებდა ვარსკვლავის გადაქცევას თოჯინად. იხილე „პირველი ორი სიზმარი“) ჩვენს წინ ვიღაც ქალი დგას, ხელებს იქნევს და პირს აღებს, ვიღაც ორი ადამიანი კი გარშემო გვივლის და ხან თმას გვისწორებს, ხან ტანსაცმელს. ხან ხელებს... და ყველანი ერთად გვაიძულებენ ვიმღეროთ.... განა „ქუჟუნა წვიმა“ ან „აი, კახეთი, ჩემი კახეთი“, ო, ჟრო, ღმერთო ჩემო, რაღაც შემზარავად თბილ სიმღერას გვასწავლიან სასწრაფოდ და სახელდახელოდ. შემოდგომით თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლიათ, შენიშნავდი მომხიბვლელ მინდორ-ველად... პაა-წაა-წიიიი-ნააა მარჯნის ფერიყვავილიიიააა, იმერეთში ეძახიან სააპოოვნეეეელას...“ ტექსტი არ ვიცით და ვერ ვიმახსოვრებთ, და მელოდიას ხომ ნუღარ იკითხავთ! (მაგრამ მერე, გვიან აღმოვაჩინე, რომ სამუდამოდ ჩამტვიფროდა გონებაში ვითარცა კოშმარი რამ იმ სიმღერის შემოდგომა და მარჯნისფერყვავილებიანი იმერეთი). ვდგავართ, პირს ვაღებ და ორივე ყურში თავზარდამცემი ხმები ჩამესმის. არადა, კულისებში ხდება ეს ამბავი, მეგობრებო, სოფლის კლუბის კულისებში... დარბაზი კი უკვე ხალხითაა სავსე და სადაც არის რაღაც გრანდიოზული კონცერტი უნდა დაიწყოს და ჩვენც უნდა წარვსდგეთ მაყურებელთა სამსჯავროს წინაშე, როგორც ჩანს, კონცერტის ორგანიზატორთა არნახული თავგამოდება, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ერთბაშად გამოევლინათ ჩვენი მუსიკალური ტალანტი, მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ოთხივენი „უფროსების“ შვილები ვიყავით, თორემ, ჩვენდათავად, არანაირი ვოკალური გამოსხივებით არ მიგვიცია ამის ჯზი. ისიც ჩანს, რომ ბოლო წუთებში გაასხივოსნა ამ პრაქტიკულმა იდეამ მათი გონება. მამაჩემმა, ეტყობა არ იცოდა, რა სატანჯველშიც ჩავცვივდით მისი თანამდებობის წყალობით, თორემ ნამდვილად არ დაუშვებდა ესოდენ ძალმომრეობას ჩვენს მიმართ. მით უფრო, რომ მსგავსი „ფოლორცობანი“ შაჟი ჰირივით სძულდა.... აღარ

მახსოვს, როგორ დამთავრდა ის რეპრესია-რეპეტიცია, რადგან საშინელების მოლოდინი ბავშვობაში გონებას მიბნელებდა ხოლმე... თუმცა, ჩემი წარმოსახვა ახლაც უარს ამბობს იმ შემზარავი ფინალის წარმოდგენაზე. ჰოდა, შეიძლება, ამ განსაცდელმა ჩემი ოპოზიცია სამუდამოდ გააუცხოვა სცენისაგან, მე კი სცენის დაძლევის წყურვილით აღმანთო, რაც ქალაქშიაც გამყვა.

ქალაქში ვოკალურ-ქორეოგრაფიული ნომრები დრამატიულმა შესცვალა. ჩემი მეზობელი და ამხანაგი გოგო ველურ და სისხლიან სიუჟეტებს თხზავდა, სადაც მე მუდამ მსხვერპლის როლი მერგებოდა ხოლმე. მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში იმ ცეცხლოვანი დედოფლის ასული ვიყავი, რომელსაც თავისი ქალიშვილის (ე. ი. ჩემი) სატრფო შეუყვარდა და ღვიძლი შვილი (ე. ი. მე) ძილში მოაშთო, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად მძინარე, ნახევრად მომაკვდავი პირმშო ევედრებოდა... „ნუ მომკლავ, დედაო." თანაც ამ ვერაგობის მთელი სიშავბნელე იმით ასმაგდებოდა, რომ ჩემი სატრფოს უსიტყვო სანქციით ხდებოდა... და ამ ფატალურ და დამუხტულ დინამიკას ყოვლად საზიზღრად ჩაფუშავდა ხოლმე ჩემი უფროსი ძმა, რომელიც ისევ „ზენიტებში" ხან ფარდას ჩამოგლეჯდა, ხან მამალივით ყიოდა ან ძაღლივით ყეფდა, ხან კი ველოსიპედით შემოჯირითდებოდა ხოლმე პირდაპირ სასახლეში ანუ სცენაზე და ერთხელ ჩემს მზაკვარ სატრფოს თავზე გახეული რეზინის ბურთიც ჩამოაცვა.. ყველაზე სავალალო კი ის იყო, რომ მისი მდაბიო გამოხდომები „მაღალი სტილის" ტალღებიდან ძირს ჩამოანარცხებდა ხოლმე მაყურებელთა რიგს, რომლის თავშიც ჩვენი, გრძელცოცხიანი ქურთი მეეზოვე აღმართულიყო, და ისინი — ძირითადად პატარა ბავშვები და ბებიები — მხიარულ ხითხითს ან სულაც ხარხარს ეძლეოდნენ. ვიტანჯებოდი, მეგობრებო! — ამ ყოფითი სიტლანქითა და უბირი აგრესიით!

თან, ამ დროს უკვე [illegible] ის ასაკი, როცა გავაცნობიერე, რომ უსამართლობისა და [illegible] ეს განსხეულება ღმერთს აგრე ნაზად დაეჯილდოვებინა ჩემზე გაცილებით უფრო ფართო და [illegible] მომწვანო [illegible], გრძელი [illegible] წამწამები რომ ერტყათ გარს. როგორი ასატანი იყო ჩემთვის [illegible] ჩემი [illegible], არაფრით [illegible] სწორწამწამებიანი თვალები, დაჩაგრულობის მთელს ამ კონტექსტში, მეგობრებო, მთელს ამ კონტექსტში!

ოღონდ, ხსენებულ კონტექსტში ახლა ველარაფრით მომითავსებია ერთი ეპიზოდი, რომელიც რა დაუჯერებლადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ნამდვილად მოხდა და ძალზე მკაფიოდაც მახსოვს: „საგარეოდ" გამოწყობილ-გაკრიალებული, ქათქათა ბაფთებით ორივე ნაწნავზე (მაშინ ჩემთვის საძულველი) მუსიკის გამოცდაზე მივდიოდი. არადა, ჩვენი საკმაოდ ფართო ქუჩა გვარიანად ატალახებული იყო.. აქვე უნდა გავიხსენო, რომ „კარგი აღზრდისთვის" ერთიანად მობილიზებულ, მებრძოლ დედაჩემს მუსიკაზე ისიც დაჰყავდა, ოღონდ, რატომღაც აკორდეონი მიუსადაგა მის ტალანტს, რომლის თავისებურებაზეც ალბათ საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა... ის კი — ესთეტიკისა და არტისტიზმის მტერი, — ინსტრუმენტის სიდიდესა და სიმძიმეს იმიზეზებდა, და ამიტომ დედაჩემს დაჰქონდა. მაგრამ, ჩვენმა მშობელმა ველარ გაუძლო აპოლონური ტვირთის სიმძიმეს და ხელოვნების საკურთხეველზე საკუთარი ჯანის მსხვერპლად მიტანას: მომცრო აკორდეონი შეუძინა და გაკვეთილებზე მარტო გაუშვა. ის კი გაკვეთილების ნაცვლად ქუჩა-ქუჩა დაათრევდა ვერშეცნობილ საკრავს და კოჰობანას ან ლახტს თამაშობდა...

ჰო, ახლა კი ისევ იქ დავბრუნდეთ, ჩვენს ატალახებულ ქუჩაზე, რომელიც

მე— ახალთახალ ფეხსაცმელებში გამოწყობილმა — უნდა გადავიარო. და აი, მას მუყაოს ორი ნაგლეჯი უჭირავს, წარა-მარა იკუზება და ხან ერთი, ხან მეორე ფეხის ქვეშ მიგებს, მონდომებით. თვითონ სულ იგანგლება ტალახში, ხოლო მე ციმციმ გადავყავარ განიერ ქუჩაზე, ტალახის შხეფიც კი არ მეკარება....

შეიძლება, ეს დედაჩემის ზრძანება იყო და ფანჯრიდან გვადევნებდა თვალყურს. არ ვიცი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ისიც უნდა გავიხსენო, რომ მას, ამ დადებით ეპიზოდამდე ბევრად ადრე, იმავე ქუჩაში, ერთხელ სამი, (სხვა ქუჩის ბინადარი) ბიჭი დაესხა თავს და ცემა დაუწყო. მე ქუჩის მეორე მხარეს ვიდექი, სახლის კედელს აკრული, ასე შვიდი წლის და სრულიად უმოქმედოდ, შეიძლება ითქვას, განიარაღებული შევცქეროდი ამ სცენას, ე. ი. ძალმომრეობას ჩემი მჩაგვრელის მიმართ. სადარბაზოდან მეზობელი კაცი გამოვიდა, თვალი ჰკიდა რა საზოგადოებრივ უწესრიგობას, ერთი შემოგვყვირა: „რას დაგლია პირი, ვერა ხედავ შენს ძმასა სცემენ, რატომ არ ეხმარებით", — გაჰანდა და „ხულიგნები" მიჰფანტ-მოჰფანტა. მე კი დავიმალე, რათა ჩემს ოპონენტის არ დავენახა, რომ დავინახე იმისი მარცხი. ისე კი, იმ კაცმა ტყუილად დამიყვირა, რადგან, მართალია, ურეაქციოდ ვიდექი, მაგრამ სულ გულშეღელი მეთუთქებოდა! და თან სრულიად გამორიცხულად ვთვლიდი მიხმარებას, რაკი ასეთი რამ არანაირად არ შეესაბამებოდა ჩემს უკვე ჩამოყალიბებულ წარმოდგენას ქუჩისა და ჩხუბის კოდექსზე. სხვა საქმეა, ბიჭი რომ ვყოფილიყავი! მიხმარება გოგოს, თანაც, უმცროსი დის მხრიდან ხომ უფრო შეულახავდა თავმოყვარეობას. განსაცვიფრებლად მომეჩვენა, იმხელა კაცს ეს ელემენტარული რამ რომ არ ესმოდა! სხვათა შორის, ახლა ისიც განსაცვიფრებლად მეჩვენება, მე რომ მესმოდა, ე. ი. პიკვირს ჩემი ე. წ. ტაქტიანობა. მაგრამ, ნამდვილად ასე მოხდა ეს ყველაფერი. ოღონდ, ამ ამბიდან ხანი რომ გამოხდა, და ერთხელ იმ სამი ბიჭიდან ერთ-ერთმა, მათ შორის ყველაზე უმცროსმა, ისევ ჩამოიარა ჩვენს ქუჩაზე, მე, „კლუბიბანის" ხამამში გართულმა, ჩემი „ძლკა"-ს გავუშვანე კბილებში ვლეჭე, და კარგა მაგრად ავაღრიალე. „სისხლის ყივილის" ანუ გვაროვნული სოლიდარობის უმძლავრესი მუხტით აძალამოცემულმა. ეჰ, რა ვიცოდი მაშინ, რომ ჩემს მიერ აღრიალებული ისეთი დღემოკლე იქნებოდა. ლამაზი ბიჭი დადგა, თვალებბრიალა, და ასე ოცდახუთი წლისა სრულიად უაზროდ მოკლეს — რესტორანში ვიღაც ოხრებმა.

ასე წელწელა, ბრძოლა-ბრძოლით მივიწევდით სასტიკი და დაუნდობელი სამყაროსაკენ, რომელსაც, უბრალოდ, ცხოვრება ერქვა. სხვათა შორის, სამივენი, ესე იგი, მე და ჩემი ძმები ნაკლებსოციალურ და სრულიად არაპრაქტიკულ ადამიანებად ჩამოვყალიბდით, ოღონდ, ჩემი უფროსი ძმა — ჩვენს შორის ყველაზე მავნე და დაუდგრომელი — ყველაზე მეტად ამოვარდა სოციალური კონტექსტიდან, რაკი უკიდურესად პრაქტიკულ გარემოში, მოუწია ტრიალმა მამაჩემის პროფესიის გაყოლილს, სადაც ვერავობისა და „ფოლორცობის" გარეშე თავის გატანა შეუძლებელი იყო. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ის ჩვენს შორის ყველაზე დიდხანს, ე. ი. გვიანდელ ასაკამდე და დიდის თავდავიწყებით კითხულობდა ზღაპრებს,ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ...

და ეს ყველაფერი მაინც კატით მინდა დავასრულო. ამჯერად ჩემს კატაზეა ლაპარაკი. გვიან, უკვე შვილის პატრონმა და ცხოვრებისგან გვარიანად სიქაგამოცლილმა ნებაყოფლობით შევიფარე ერთი უპატრონო, ბავშვების მიერ ნაცემ-ნაგვემი, განაწამები კატის კნუტი. ჩემმა შვილმა უბით რომ მო-

მიყვანა შინ. ცხადია, უდრტვინველ მსახურებას ითხოვდა ისიც... იგულისხმება საჭმელი, სასმელი (თანაც იმ ქვეყანაში, სადაც ცხოველი კი არა, ადამიანია აბუჩად აგდებული, ესე იგი ადამიანის ტვინიც და სტომაქიც... ისე რომ, ეს ჩვენი კატა იმ ძეხვს და სოსისს, მაგალითად, პირს არ აკარებს, რასაც ჩვენ გულდადინჯებით შევექცევით...) გასეირნება, სიყვარულის ფაზების დროს მისთვის მიჯნურის გამოძებნა, ეზოში რამდენიმე დღით დატოვება, მერე ჩემი ძრომიალი ბნელ სარდაფებში, მოძებნა, აყვანა, გაწმენდა-გასუფთავება, ექიმთან ტარება, როცა ავადაა, მანქანის შოვნა, წამლების ძებნა, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ ფეხმძიმობა, დაძაბული მშობიარობა, რომლის დროსაც გვერდიდან არ მიშორებს... 5—6 კნუტის წამოზრდა, მათ მიერ ჩემი სახლის დაპყრობა, მერე მათი ჩამორიგება, წესიერ, კეთილ ოჯახებში... თან ეს ყველაფერი ქალაქში, მეოთხე სართულზე, შორს მიწისაგან... და რაც მთავარია, ჩემი ამ ტანჯვა-წამების გამო გაუთავებელი სიტყვიერი თუ უსიტყვო დაცინვის ატანა დედაჩემის, ჩემი ძმების, თუ რძლების მხრიდან... დედაჩემის უწყვეტი სიტყვიერი საყვედურები და ქოქოლა... მაგრამ ეს ჯვარი არც ისე მძიმეა, როცა გიყვარს.... ჰოდა, არც ჩემი ამაგის აღწერის სურვილი მაწუხებს... მაგრამ იმიტომ გამახსენდა, რომ ეგებ ჩემმა ჭკვიანმა და ნაფერებმა კატამ და მისმა მრავალრიცხოვანმა, ჩემს ხელში გავლილმა შთამომავლობამ გადასწონოს ჩემი ძმის მიერ მოშთობილ-დაცხრილული კატების რისხვა, რომელთა ცხრა-ცხრა გრძნეული სული ცხრა-ცხრა ეკლესიის აგებას ითხოვს... მართალია, ის, უკვე ორი შვილის მამა, სრულიად მოულოდნელად, ადვილად მოექცა ქრისტეს რჯულზე თავისი ღვთისმოშიში მეუღლის გავლენით და თვით მკაცრ საეკლესიო კოდექსსაც კი დაემორჩილა, მაგრამ... ეს ღირსშესანიშნავი მეტამორფოზა ოდნავადაც ვერ აკნინებს ჩემი კატის ულრმეს, მე ვიტყოდი, მისტიურ მნიშვნელობას...

რა თქმა უნდა, ჩემი ყოფილი ოპოზიცია ნამდვილად იმსახურებს მადლიერებას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისთავად სრულიად არააგრესიული ადამიანი დადგა, ჩემს საქმეში რომ საერთოდ აღარ ერევა, არამედ, პირველ რიგში თავისი მოღვაწეობის იმ ასპექტის გამო, რისი წყალობითაც დროზე გამოცხადდა ჩვენს მშობლიურ კუთხეში განსაკუთრებით ათვალწუნებული სენისაგან, პაპაჩემი „იკლიკანტურობასა და ფოლორცობას" რომ უწოდებდა, მით უფრო, რომ ხსენებული მოვლენა იმ საქმიანობაში, რომელსაც მივდევ ბევრად უფრო სავალალო და სავაგლახოა, ვიდრე ცხოვრებაში.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ძმა ძმაა, ანუ ის, ვისაც განსაკუთრებით სურს, ტალახში სუფთად გაიარო.

## აკბარა

წაბლისფერი ლეკვი მყავდა. (ეს უკვე ქალაქში). აკბარა ერქვა, მგონი, ფილმი იყო ასეთი, „ვეფხვი აკბარა" და იმის გავლენით დავარქვით. მაგრამ რა ვეფხვი, ნუკრსა ჰგავდა,: ნაზი თხელი, ლამაზფეხება, ყოჩივარდას უგავდა თავი. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სულ რაღაცას გვეკითხებოდა წყლიანი, ნუშივით თვალებით.

პირველ სართულზე ვცხოვრობდით და ხის აივანზე ედგა ჩვენი ძველი ტანსაცმლით დათბილული ყუთი.

ომობანას თამაში აგვიტყდა იმ ხანებში, უფროსი ბიჭების თაოსნობით რაღა თქმა უნდა. მთავარი შტაბი იქვე, მშენებარე სახლის რომელიღაც სართულზე გვქონდა, შტაბის ფილიალი კი ჩვენს საერთო ეზოში, გარაჟსა და ღობეს შორის, კაკლის ხის ქვეშ.

მე ფრონტის ფოსტალიონი ვიყავი. ბრძოლის ველიდან (ამწევებს, აგურისა და ქვიშის გორებს შორის რომ იშლებოდა) დაჭრილებისა და მომაკვდავების წერილები უნდა გამომეტანა ცოც-

ხალი თავით. ზოგჯერ, მომაკვდავის ნაცვლად თვითონ ვწერდი: „მე ვკვდები, მაგრამ ნუ გეშინიათ. ჩვენი სამშობლო გადარჩება. მტერს ვანადგურებთ. გაგვიმარჯოს ჩვენ და ყველას...“ და რაღაც ამდაგვარს....

ცხრა-ათი წლისა ვიქნებოდი. თუმცა ის გოგოც, ჩვენი სახლისავე ბინადარი, ჩემხელა იყო, რატომღაც არც შტაბს, არც ფრონტს არ გააკარეს ე. ი. არ ათამაშებდნენ. არ ვიცი რატომ, არ დავინტერესებულვარ. შეპყრობილი ვიყავი ომით, ხოცვა-ჟლეტით, გმირობითა და წერილებით...

და აი, ერთხელაც, წერილებიანი საველე ჩანთით ეზოში რომ შემოვენთე, თავზარდამცემი წკმუტუნი და ყმუილი შემომესმა...

ჩვენი სახლის მესამე სართულიდან მოჰქროდა... ჩემი აკბარა და დაკივლება ვერც მოვასწარი, — მიწას დააწყდა.

იმ გოგოს გაეტყუებინა და მერე ძალით აეყვანა თავის ბინაში, რათა ფანჯრიდან გადმოეგდო და ამით ჩვენზე, ყველაზე შური ეძია..

დავინახე კიდეც, როგორ მიიმალა ფანჯრის უკან...

რამდენიმე საათს იტანჯა, სისხლი სდიოდა პირიდან, დამტვრეული თათებზი უსიცოცხლოდ ეყარა...

მუხლის ჩოქზე ვიდექი, მე და ჩემი ძმები, თავზე ოდნავ ვუსვამდი ხელს, რომ არ სტკენოდა, თვალებში ვკოცნიდი; ვევედრებოდი ღმერთს, დედაჩემს, ყველას, რაიმე ეშველათ; ვევედრებოდი თვითონ აკბარასაც, რომ გადარჩენილიყო...

უკანასკნელად შემომხედა წაბლისფერი, ნუშივით თვალებით, უსაყვედუროდ, უკანასკნელად მკითხა რაღაცა... და მერე მოკვდა.

მგონი, მეც თვალთ დამიბნელდა... გონს რომ მოვედი ძალიან დიდი, მძიმე ქვა (ეხლაც არ მესმის როგორ დავძარი), ორივე ხელით რომ ჩამებღუჯა, ზემოთ ავწიე და იმ გოგოს მამის მანქანას დავუშვი. იქვე ეზოში იდგა, ჩვენს შტაბთან ახლოს, ახალთახალი და გაკრიალებული (მგონი, „პობედა“).... ფანჯარა ჩაემსხვრა და საჭეც ჩაეჭეჭყა.... მერე, გიჟივით ვტრიალებდი, და რაც ხელთ მხვდებოდა: ქვას, ჯოხს, რკინას — ყველაფერს ვესვროდი, იმსხვრეოდა, ეჭეჭყებოდა.

იმ გოგოს მამა ზუსტად ისევე გადაირია, თავისი ცხოვრების ამოულებული მიზანი და ნუკვი ჩემს მიერ უსასტიკესად იავარ-ქმნილი რომ იხილა, როგორც მე შევიმალე ჩემი საწყალი, დამსხვრეულ-დაჩეჩქვილი ლეკვის ტანჯვით. გონგადასულმა „გეკო“ გადმოკიდა თურმე ფანჯრიდან, მაგრამ ცოლმა კივილით აუკრა თურმე ხელი.., თორემ, ალბათ, მეც მიმაწვენდა ჩემი პატარა აკბარას გვერდით... სროლის ხმამ გამაჩერა.

ეზოში წივილ-კივილი და ღრიანცელი ატყდა, და დედაჩემმა და მეზობლებმა შინ შემათრიეს და დედაჩემი ყველას ეხვეწებოდა მამაჩემისთვის არ ეთქვათ ეს ამბავი, რომელსაც სწორედ იმ საღამოს ველოდებოდით.

მაგრამ მაინც უთხრა ვიღაცამ და არანაკლებ გააფთრებული მამაჩემი ძლივს დააკავეს მეზობლებმა, სადღაც უკვე მეორე სართულზე....

მაგრამ მთელმა ამ ალიაქოთმაც ვერ დაჩრდილა აკბარას ტანჯვა და მისი თვალები, ის უსაშველობა რაც თავს დამატყდა, რასაც შეცოდება ჰქვია. არც ვიცოდი, რაღას შეეძლო ჩემი შველა, რა მომარჩენდა... რაღა დამიხსნიდა ამ ტანჯვისაგან და.... ავად გავხდი...

ასე ვთამაშობდით ომობანას ომში, საშინელ ომში.

## ჩემი უმცროსი ძმა

ის საღამო, თუმცა სამი წლის ვიყავი, ასე დამამახსოვრდა:

დაბინდულ ოთახში თუნუქის ღუმელი ანთია. ზედ ქვაბი დგას: ალბათ, რადგან ორთქლს ვხედავ, ღუმელიდან ზეამდინარეს. სადღაც, (ალბათ კომოდის თავზე) ბამბა, ბინტი და ისეთი

რაღაცეები მოსჩანს, რაც დედაჩემის საუფლოს განეკუთვნება... გვერდით, ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე დედაჩემი იგულისხმება, მაგრამ ვერ ვხედავ...

ოთახში სიცივე შემოიჭრა: კარი შემოიღო, ვიღაც ქალი შემოვიდა და დიდი, ყვითელი, მბზინვარე ტაშტი შემოიტანა. ვიღაც თეთრხალათიანი ქალი თალხ-ყვითელი შუქით გავსებულგაბერილი აბაჟურის ქვეშ დგას და ხელში მაკრატელი უჭირავს. ხსნის და ხურავს, ხსნის და ხურავს... მე უაზროდ დავბორიალებ, ზედ არავინ მიყურებს, ვგრძნობ უკიდურესად ზედმეტი ვარ და ტირილი მინდა, მაგრამ ძილი მერევა...

იმდენად უმნიშვნელოა ეს ყველაფერი, არც ვიცი რატომ დამამახსოვრდა. რაღა მაინცდამაინც ეს ეპიზოდი ჩაიბეჭდა ჩემმა გონებამ ჩემი ცხოვრების სათავეში, როცა მრავალი, გაცილებით უფრო მძაფრი ამბავი სრულებით არ მახსოვს, თუმცა, ის ამბები, როგორც უფროსების მონათხრობიდან შევიტყვე, ჩემს თვალწინ და ჩემი მონაწილეობითაც კი მომხდარა.

შეიძლება იმიტომ, რომ ბამბის ბინტის, მაკრატლისა და მსგავსი საგნების მეშინოდა, მაგრამ ალბათ უფრო იმიტომ, რომ იმ ღამით ჩემი უმცროსი ძმა გაჩნდა; თუმცა მის გაჩენას არ დავსწრებივარ, რაკი უკვე მეძინა, მაგრამ ჩემს ძილს არავითარი მნიშვნელობა არა ს. ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც დაბადებაა, ეტყობა თავისთავად ხვევდა ყველაფერს საიდუმლო ბურუსში, თვით ყოვლად უსიამოვნო, მჭახე და ბასრ საგნებსაც კი... რადგან ყველაზე მეტად სწორედ ის გამოუთქმელი ატმოსფერო დამამახსოვრდა, თალხი შუქითა და ორთქლით შეზავებული ატმოსფერო, რომელშიც ქალების გამტკნარებული, შეპყრობილი სახეები დაცურავდნენ....

რომ ჩემი ძმა მართლაც იმ ღამის გაჩნდა, ეს დიდი ხნის შემდეგ დავადგინე: როცა დედაჩემს დაწვრილებით აღვუწერე ზემოთ გადმოცემული ვითარება. მან დამიდასტურა და ისიც მითხრა, ის თეთრხალათიანი ქალი ჩემი ექთანი იყოო (რომელსაც რა თქმა უნდა ვიცნობდი, მაგრამ იმდღევანდელ ქალთან ვერ ვაიგივებდი).

ცხადია, არც მიფიქრია, დედაჩემისთვის ხსენებული ატმოსფეროც აღმეწერა... ატმოსფერო, რომელიც, როგორც ახლა ვაცნობიერებ, ერთიანად დამუხტული იყო რაღაც უცნოსა და უსახელოს მოახლოებით, რაღაც შორეულის მომნუსხველი სიახლოვითა და გარდუვალობით (თურმე უკანასკნელი საფეხურიდა რომ უნდა გადმოევლო გამოსაჩენად: დედაჩემის მუცლიდან ჩვენს ოთახში), ხორცის, სისხლის, სუნთქვის, სიცოცხლისა და ბედის ნაყენით... ე. ი. ჩემი ძმის მოვლინებით.

—.—

რა აღნიშვნა სჭირდება იმას, სიტყვა „საყვარელი" ამ შემთხვევაში რომ სრულიად ზედმეტია, არაფერს ამბობს და ძმისა თუ დის მიმართ მისი ხსენება სისულელეცაა და სიტლანქეც (ვინც ასე არ ფიქრობს, იძახონ რამდენიც უნდათ: „მიყვარს და მიყვარს ჩემი და, ძმა, დედა, მამა და სამშობლო". რაკი სირცხვილის გრძნობა აგრე უხვად არ რიგდება ამ ქვეყანზე, მათ მაგივრადაც მორცხვებს რცხვენიათ).

შეიძლება ოდნავ მივუახლოვდე რეალობას, თუ ვიტყვი: დროთა ვითარებაში აღმოჩნდა, რომ ჩემი ძმა მე გამიჩნდა.

* * *

გული მეწურებოდა ხოლმე, ე. ი. ჩემი ყოფიერების სილაღეს მისი წყალობით წყალი შეუდგა. შეიძლება ითქვას, თანდათან რაღაც ექსისტენციალური დისკომფორტი დამეწყო. არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, თევზივით პატარა პირი რომ ჰქონდა და ძალიან ცოტას ლაპარაკობდა (რაც ალბათ, იმით აიხსნება, რომ თევზის ზოდიაქოზეა დაბადე-

ბული). ამით იმის თქმა მინდა, რომ, ჩემდა სავალალოდ, სრულიად დაუცველი ბავშვი აღმოჩნდა. დაუცველი და გულისგამგმირავად მორიდებული.

უფალ ღმერთს ამ ბავშვისთვის თავის დასაცავი არც ერთი სიტყვა არ ესწავლებინა. და მახსენდება სრულიად თავზარდამცემი ეპიზოდები: ვიღაცა დიდი, ყრუ, მრისხანე და ღონიერი (სულ ერთია ვინ, ასეთი იყო მასთან შედარებით ყველა, ვინც კი უჯავრდებოდა) თავზე დაჰყურებს და უჯავრდება. რიყის ქვებივით ცვივა სიტყვები, თავზე ეყრება პატარას, ჩეჩქავს და ქოლავს...

ის კი დგას და ხმას არ იღებს და მერე ირკვევა, რომ ტყუილად უჯავრდებოდნენ: „რად გატეხე!" რა ვიცი რა, სათამაშო, ჭიქა, საათი თუ რაღაც ჯანდაბა და უბადრუკობა... და თურმემე ვიღაც სხვას გაუტეხია (შეიძლება მეც) ან თავისით გამტყდარა... და იმ სამ სიტყვას: „მე არ გამიტეხია" არ ამბობს, თუმცა უკვე სამი წლისაა, მერე ოთხის, მერე ხუთის,, შვიდის, ცხრის და ვერცერთ ასაკში ვერ თქვა. განა სიჯიუტის გამო! არა გაჯიუტება ხომ ბრძოლაა, იმის გამო, რომ ბრძოლა არ შეეძლო, რომ არასოდეს იბრძოდა იმაზე უკეთ ყოფნისთვის, ვიდრე იყო, რომ თანახმა იყო ბედისწერაზე. ე. ი. უდრტვინველობის გამო.

და დგას და შეშეერილია ბრალდებებს... დაუცავი. მე კი მისი სახე ვეღარ უნდა მოვიშორო: ცრემლი რომ უგორავს ლოყაზე, პატარა პირს რომ ვერ ხსნის და ვერ ამბობს სიმართლეს. და ტყული როგორ უნდა ეთქვა, თუნდაც / მხსნელი!

—.—.—.—

და ალბათ ჩემი გულისმოწყურვისათვის ე. ი. დამსჯელი ტკივილისათვის რომ გამეძლო, რასაც მისი არსება და ასეთობა მანიჭებდა, ხშირად ვეჩხუბებოდი, რაღაცაზე ვეკინკლავებოდი, დამირტყია კიდეც!

რა თქმა უნდა, იმ ყოველი დარტყმით ჩემი კუთვნილი ჯოჯოხეთის აუცილებელ ინვენტარს ვიპოვიდი: რომელიც მერე გრდემლივით სცემდა ჩემი გულის ორივე თუ, რა ვიცი, რამდენ საკანს, ნაყავდა, წეწკავდა, რათა ცოცხლად მეტრიალა გეჰენაში, ლამეთ უდაბნოებსა თუ სიმშრალის საბადოებში... და თვალიდან ვეღარ მომეშორებინა ჩემი მოქნეული ხელი, მილიონჯერ რომ იმეორებდა ერთსა და იმავე მოძრაობას, მიმართულს მისი ლოყისკენ ხელისკენ, მხრისკენ თუ მუხლისკენ.

(სხვათა შორის, მსგავსი დარტყმები უფრო ღრმა ანალიზს რომ მოითხოვს, ამას მერე მივხვდი, როცა ჩემს შვილსაც დავარტყამდი ხოლმე, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ. „გულსუწადინოდ" და ჩემივე გულის გასაგმირავად).

—.—.—.—

ის ზოგჯერ თავს ინებივრებდა: პურს დააქუცმაცებდა, ციცქნა ნატეხებზე ზემოდან ციცქნავე ყველს დაასკუპებდა და პატარა მაგიდაზე ჩაიმწკრივებდა. პატარა სკამზე იჯდა, იმ ლუკმებს, რომლებსაც „ჩიტებს" ეძახდა, აუჩქარებლად, სათითაოდ იდებდა პირში, და თან პირს რომ მოკუმავდა, ზედ ხელისგულს მიიდებდა ხოლმე, თითქოს შეიძლებოდა ის „ჩიტი" უკანვე გამოფრენილიყო, თან ქუსლებს იატაკზე ატყაპუნებდა, ოღონდა ჩუმად. გრძელ მწკრივად იცოდა „ლუკმების" ჩარიგება ზოგჯერ ის მწკრივი კუდით წრესაც კი ჰკრავდა მაგიდაზე: დედა ხშირად იგვიანებდა.

—.——.—.

სოფლადაც და ქალაქადაც ბევრჯერ ვუცემივართ მისი გულისთვის. ე. ი. სხვებს, მტრებს, მოწინააღმდეგებს.

ერთხელ, პირველ სოფელში (სადაც დავიბადეთ, ჩვენ, სამივენი) ეზოს გარედან მისი ტირილი შემომესმა.

დიდი ორღობე ჩვენი ეზოს ბოლოსთან უფრო ვიწრო ორღობეში უხვევდა და იქ ჩიხი იქმნებოდა აი, იქ გაისმოდა მისი ტირილი.

ადგილს მოვწყდი და გავექანე. აი, ჩიხში შევუხვიე და მივქრი. შორიდან ვხედავ, როგორ კრა ხელი (უკანასკნელად) ჩემი ხნის ბიჭმა. ის კი დგას, სამი წლისა და ქვითინებს, ცალი მუშტით ისრესს თვალებს.

არ ვიცი, რა სახე მქონდა, ეტყობა, ქალღმერთი ნემეზიდა ჩემთან შედარებით დაჩაგრულ, გერ გოგოდ გამოჩნდებოდა... რადგან მტერმა ერთი კი შემომხედა, მერე დაფეთებულმა ქვას დასტაცა ხელი და გამომიქანა.

გონს შინ მოვედი, საწოლში. პირში სისხლის გემო, ხელებზე სისხლის ნაკვალევი და თავი შეხვეული მქონდა. ხოლო ბებიაჩემი წყევლით იკლებდა მთელ იმათ საგვარეულოს და ნაგრამ-ნაშიერიანად მიწაში სდებდა. თურმე გულაღმა დავცემულვარ, დიდი, სიპი ქვით თავგახეთქილი, შუბლიდან შადრევანივით ასხამდა სისხლი და ჩემს პატარა ძმას კინაღამ ენა ჩავარდნია შიშისაგან.

და ტკივილებით რომ თავი მისკდებოდა და დღეები და ღამეები მარადისობად რომ მექცა ლოგინში, და იმ ვარვარა უდაბნოში გონდაბინდული რომ მივიწევდი სადღაც წინ, წინ, და რომ ვიცოდი რომ უნდა გამეღწია აუცილებლად — ეს მხოლოდ იმიტომ რომ იქ, ბოლოში შუქურასავით ენთო მიზანი — შურისძიება! ჩემი პატარა ძმის გამო, მისი ცემისა და ჩემი თავის გატეხვით მისი სულიერად განადგურების გამო. სამაგიეროს გადახდის გარეშე სიკვდილის უფლება არა მქონდა. სიცოცხლეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

დიდ ხანს მომიწია ლოგინში წოლამ, მერე ოთახებსა და მერე ეზოში ულონოდ ბორიალმა. ოღონდ იმ დარეტიანებული და მტკივან თავში შურისძიების ნაირ-ნაირი ვარიანტები დაქროდნენ და იხვეწებოდნენ.

აი, გარეთ გავედი როდეც, გარეთ — ე. ი. ბრძოლის ველზე. ბავშვები ირეოდნენ. მტერმა დამინახა. განაპირდა, მერე თავის ეზოში შევიდა. ჭიშკართან აიტუზა. მე იქითკენ არც ვიყურები, ისე ვიქცევი, თითქოს არაფერი მახსოვს. მტერი გვიყურებს. ჩვენ ვთამაშობთ. ძალიან საინტერესო რაღაც ახალ თამაშს ვიგონებთ. შეიძლება, ეხლაც მქონდეს დამუშავებული ის ტაქტიკა თავის წიაღში. დიდი მოძრაობა და ყიჟინაა. მტერი გვიყურებს. ველარ ძლებს, ნელა გვიახლოვდება. მე — არაფერი, ვერც ვამჩნევ. შემოგვიერთდა. სხვებში არ ვარჩევ. ხელში წნელი მიჭირავს, ისე, უბრალოდ, თითქოს ვერც ვგრძნობ. შეუმჩნევლად ვილაცის ეზოში გადავინაცვლეთ. მტერი სულ გალაღდა. შიში ჩამოსწყდა და შებოჭილი თავკისერი თავისუფლად აუმოძრავდა. ეზოში ხარებგამოშვებული ურემი დგას. ზედ ავვარდი, სხვებიც მომყვნენ. ისიც მორბის. ხტუნვა-ხტუნვით! — ოღონდ კოფოს მხრიდან კი არა, სადაც უკვე ბევრი ბავშვი ზის, აწეული ბოლოდან ადგება ურემს... ,იქ კი მე ვდგავარ. და დადგა დიადი წამი. მგონი, სამჯერ დავატრიალე ის წნელი ჰაერში, და გადავუჭირე ერთი შეჰლრიალა, ხელები აიფარა და გაიქცა... ყურის აპკი და ტუჩი გაუსკდა თურმე. კარგა ხნით დაუქვეითდა სმენა. მე სამუდამოდ დამრჩა წარბებშუა ნაჭრილობევი.

აღარ მახსოვს, გამიკვირდა თუ არა მაშინ, შურისძიებამ კმაყოფილების განცდა რომ არ მომანიჭა. თუმცა არც ის ვიცი, ველოდი თუ არა რაიმეს მსგავსს. ცხადი ის იყო, რომ სიცარიელემ და დაღლილობამ შემიპყრო, საღამოს რატომღაც სიცხე მომცა და ბოლოს გული ამერია.

საშინლად გავიბრძოლე, როცა ბებიაჩემმა კუჭის ამორეცხვა დამიპირა. და რა თქმა უნდა, სწორედ მოვიქეცი, რადგან რამაც გული ამირია, იმის ამორეცხვა შეუძლებელი იყო.

ეს გახლდათ ჩიხი — სადაც ბედის-

წერამ შემბგდო, ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ, რადგან თვითონ მეც დაუცველი ბავშვი ვიყავი , შინაგანად სრულიად არა — აგრესიული, ბრძოლის არავითარი ჟინი არ მჭირდა და ჩემთვის მინდოდა ყოფნა, — მაგრამ ჩემი უმცროსი ძმა არ მაძლევდა ამის საშუალებას, თავისდაუნებურად, რაღა თქმა უნდა. და მისი გულისთვის მუდამ იმ ჩიხში ვემწყვდეოდი, რომელსაც „სამაგიერო“ ან გნებავთ, „შურისძიება“ ერქვა.

—.—.—.

და აქ ქალქის გამოტოვება არ შეიძლება, რომელსაც სულ სტოვებს ხოლმე ჩემი გულის დამზოგავი ჩემი მეხსიერება.

ცხადია, რასაც აქ „გარეთ“ ანუ „ქუჩა“ ერქვა, გაცილებით ბნელი, მრავალფეროვნად მზაკვრული და სასტიკი იყო. და პატიოსნება მოითხოვდა, შენი თავის ამარა ყოფილიყავი. ის კი ყოვლად უპატიოსნოდ მოიქცა, ის მსუქანი და მძიმე ბიჭი! ჯერ ერთი, ჩემი პატარა ძმა აატირა, აღარ მახსოვს, რატომ და რა ვითარებაში, და მერე, მე რომ წავაქციე და კარგად დავზილე, შინ წაეთრა და დედა და ბებია ჩამოიყვანა, თავისნაირივე დიდები და მძიმეები. და თქვენ წარმოიდგინეთ, გამომეკიდნენ! სამივენი!, რაც უსაზღვრო სირეგვენე იყო მათი მხრიდან, რადგან მაშინ ჩემი დაჭერა იმ დონდლო იხვებს კი არა, ხვლიკივით ბიჭებსაც გაუჭირდებოდათ! დაუძაბავად გავრბოდი, თან შიგა და შიგ ვჩერდებოდი, გულისგამხეთქად ვემანჭებოდი და გავყვიროდი: „ლადო, ლადო, კვერცხი დადო!“-მეთქი (იმ ბიჭს ლადო ერქვა). ფანჯრებიდან ხალხი გადმოეკიდა, შეძახილებით, და უმეტესობა მე მამხნევებდა. (ჩემი მდევრები მდიდრები იყვნენ). და მიუხედავად გულშემატკივართა სიმრავლისა, მარტოობის შეგრძნება უკვე ყელში მებჯინებოდა... რადგან მამა მხოლოდ კვირის ბოლოს ჩამოდიოდა. დედა სულ ავადმყოფებთან იყო და როცა საღამოს, როგორც იქნა, მოვიდა და როცა დავწექით, ტირილი დავიწყე და ჩემი პატარა ძმაც ამყვა...

—.—.—

სხვათა შორის, იმ საკამათო აზრს, რომ ადამიანი დედამიწაზე რამდენჯერმე იბადება, — დამოუკიდებლად მივადექი, თანაც სრულიად ნორჩ ასაკში, რადგან სიტყვა „ალარასოდეს“ ამ ქვეყნად ყველაზე გრძელ სიტყვად მეჩვენებოდა (მარადისობის საზომადაც კი) და სრულიად მანადგურებდა. გავიგონებდი თუ არა ვინმეს პირიდან გადმოცურებულ ამ „ალარასოდეს“-ს თავზარი მეცემოდა და ტირილი მეძალებოდა. მის ჩურჩულით გამეორებასაც კი ვერ ვბედავდი და რაღა გასაკვირია, წარმავლობით ესოდენ შეჭირვებული მრავალგანსხეულების იდეას რომ მივდგომოდი ვითარცა შველას. და, აი, როცა ამ ქვეყნად ჩვენს ხელახლა მოსვლაზე ვფიქრობდი, არა ერთხელ მინატრია გულის სიღრმეში, რომ ჩემი უმცროსი ძმა ჩემს უფროს ძმად დაბადებულიყო. ერთხელ დედაჩემსაც შევთხოვე, ამის შემდეგ ჯერ ჩემი უმცროსი ძმა გაეჩინა და მერე მე, რითაც დიდი გაუგებრობა, ე. ი. მშობლის დაბნეულობა გამოვიწვიე. (სხვათა შორის, როგორც მაშინ, როდესაც უჩემოდ დარჩენილი დედამიწის ხილვით გულგასენილმა დედაჩემს შევლალადე: „მითხარი, არსად არ მთავრდება „ალარასოდეს!?“).

—.—.—

და რათა ქალაქის სახე დასრულდეს და მისი როლი ჩემს ცხოვრებაში ამომწურავად წარმოჩინდეს, ნავები უნდა გავიხსენო. წყლის არა, ჰაერის ნავებს ვგულისხმობ ე. ი. ნავ-საქანელებს. ეს ნავები ყველაზე მეტად მიყვარდა ქალაქის იმ მცირერიცხოვანი საგნებიდან, რომლებიც მიყვარდა. შეიძლება

იმიტომ, რომ სოფლის საქანელებზე გამოქარულს მეშმობლიურებოდა; შეიძლება იმიტომ, რომ მხოლოდ აქ ვახერხებდი ჩემი შესაძლებლობების, უფრო ზუსტად, გაქანების განხორციელებას, რაც სხვაგან ყველგან სრულიად ჩახშობილი იყო.

მოკლედ, პირველად წავედით „შატალოზე“ მეხუთე კლასში, ათიოდე ბავშვი ვიქნებოდით და ჩემი წინამძღოლობით გეზი ვაკის პარკისკენ ავიღეთ. სადაც ის საქანელა ნავები იდგა. ფული არ გვქონდა. გზად ჩემი სახლის წინ უნდა ჩაგვევლო, შინ ჩემი უმცროსი ძმა და ბებიაჩემი მეგულებოდნენ, და კიდევ რაღაც... სახლში ავირბინე. ჩემი ძმა სამზარეულოში გავიხმე და ატაცებულმა ვეჩურჩულე და ვეჩურჩულე. ისიც მივიდა თავის სათამაშო მანქანასთან, პატარა კაბინის კარი გამოაღო და რაღაც აიღო... ხელი ჩავკიდე, კიბეები ჩავირბინეთ... „ხო გინდა ქანობა, ხომ გინდა ქანაობა“, — მეთქი უაზროდ ვეკითხებოდი...

გიჟებივით ავცვივდით კიბეებზე, მე და ჩემი კლასელები და ნავებს მივაწყდით. პარკთან ახლოს მცხოვრები დიდად გავარჯიშებული გახლდით ამ ნავებზე და ახლა ჩემს სტიქიაში მოხვედრილს ფრთები უნდა გამეშალა. ატაცებული ვიყავი მეთქი, თავის გამოჩენის, შესაძლებლობათა გადმოფრქვევის საშუალება რომ მეძლეოდა.

ჩემი ნავი ვეება კენწეროებს უსწორდებოდა... ყველაზე მაღლა იჭრებოდა ჰაერში. ჩემი თანამენავე—თანაკლასელი გოგო თავიდან ყოჩაღად ამყვა, მაგრამ მერე ლამის შეუღლად აღმართული ნავიდან თავდაყირა გადმოშვების შესაძლებლობა რომ გაიცხადა. ტროსებზე ჩაფრენილი, გაფითრებული გახევდა და მუხლებში ველარ იხრებოდა.

აბა, ქროლვა-სრბოლაში მოხვედრილი ადამიანი დროის ნელ და თანაბარ სვლას როგორღა იგრძნობს.. არ ვიცი, ქანაობის რამდენი ულუფა გადავაზით...

უცებ, „მენავე“ ქალმა დაიძახა: „მორჩა ვაჩერებო!“ და ხელი ალმართა. ე. ი. მთელი ჩვენი ფული გათავდა და უკანასკნელად რომ ავიჭერი მაღლა, ჰაერში ვიდრე ნავი ფიცარნაგიდან ამოწეულ მუხრუჭზე გაიხრიალებდა, მაშინღა შევნიშნე: ის... ჩემი პატარა ძმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა ძირს წითელი ფხვნილით მოფენილ მიწაზე, გაუქმებული პატარა კიოსკის წინ. ბაღის მესაკუთრის მიყურდნობილი და თავაწეული ამომყურებდა. ისიც, შევნიშნე: ცალი ფეხი ოდნავ მოხრილი ჰქონდა, ცალი ხელი ბადეზე ჩაევლო. დაიღალა ბავშვი: ლოდინით. გახვითქული და ავარვარებული ჰაერშივე გავიყინე, ამოვარდნაზე აძგერებული გული თითქოს გამიჩერდა... აღარ მახსოვს, როგორ ჩამოვედი კიბეზე. მასთან ახლოს მისვლა ვერ გავბედე. თვალში მეცა, რომ გაქუცული ბატინკები და კოჭებთან რეზინგაყრილი, გაცრეცილი შარვალი ეცვა. რვა წლის იყო მაშინ. თავი დავღუნე და წავედი. ისიც გამომყვა, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს, შორიახლო მომდევდა, არც შინ ამოუღია ხმა... ერთხანს ჩუმად იჯდა პატარა სკამზე, მუხლებზე ხელები ეწყო, პეშვებით მაღლა, მერე ღრმად ამოისუნთქა და თავის სატვირთო მანქანასთან ჩაიჩოქა. ძარაზე კუბები დააწყო. მერე ნელა გამოხსნა კაბინის კარი და შეიხედა. იქ, საიდანაც წეღან (ვიღაც ნათესავის ნაჩუქარი) ხუთმანეთიანი გამოვაღებინე, როცა გაცხარებული ვეჩურჩულებოდი და ნავებზე ქროლვის ნეტარებას აღვუთქვამდი.

—.—.—

მაღლიდან, ე. ი. ჰაერიდან მის გამომეტყველებას ვერ გავარჩევდი, ცხადია, მიწაზე კი მისთვის სახეში არ შემიხედავს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, როცა ჩემს წარმოსახვაში მის ზემოთ ამომზირალ სახეს მოლოდინი აღარ შორდება, აი, ახლა გავახსენდები ჩემს დას და ნავში ჩამსვამსო. —

მოლოდინი და გაწბილება. და მიუმატეთ ამას მისი მუდმივი მუნჯი სევდა და უუფლებობა, არასოდეს ბედნიერების, კარგად ყოფნის უფლებას რომ არ აცხადებდა, არც თავის გამოჩენასა და სხვათაგან გამორჩევის სურვილს, თუმცა ოჯახის ყველაზე ლამაზ და ნიჭიერ წევრად გაეჩინა უფალს. მიუმატეთ ეს ყველაფერი ერთმანეთს და მაშინ შეიკვრება მისი იერი, მზედ რომ ჰკიდია ჩემს ჯოჯოხეთში.

რადგან, ჩემი ჯოჯოხეთი ის სივრცეა ან უსივრცობა, რომლის მეცხრე გარსში ანუ გულში მე ვდგავარ — დაისრული ყველა იმ არსების შეხედვით, რომელთა წინაშე მოვასწარი ჩამედინა დანაშაული.

გამოუსწორებელი (რადგან: მიმლტოლავ დროში ან დროზე სწრაფ ფიქრში ჩადენილი) დანაშაული.

ჩემი გულის ჯოჯოხეთია ბინადარნი: ადამიანები, ჩიტები, ცხოველები...

და ჩემი პატარა ძმის სახე, რომელსაც ჰაერში ალმართული ნავიდან დავყურებ—ნაღვლიანი მზე ამ უსაშველო უსივრცობისა .

ჩემი ჯოჯოხეთის სხვა გარსებში კი ის არსებები განლაგებულან, რომლებიც მე მიშავებდნენ რაიმეს და: მაშავებდნენ. დაშავებული გულის სკნელებზე გესაუბრებით.

—.—.—

უცნაურად მეჩვენება. რომ მისი ბავშვობიდან ბევრს ვერაფერს ვიხსენებ. მასზე სიზმრები კი კარგად მახსოვს. სიზმარში ხშირად ვხედავდი ხოლმე და იქ მუდამ მეკარგებოდა და სულ ვეძებდი გაუთავებლად.

აი, დიდი ხნის დაკარგულია. არ ვიცი სად არის, სად უნდა ვეძებო. დარდი მჭამს, ფანჯარასთან მივდივარ. ჩემი ფანჯარა მაღლაა მიწიდან, და ვხედავ: ორი, შავწვერებიანი, აბრანძული კაცი მიდის ძირს, ერთერთს გუდა აქვს მოგდებული და იმ გუდიდან ჩემს უმცროს ძმას ამოუყვია თავი. ტანჯული, მორჩილი, არასმომლოდინე სახე აქვს. კიბეზე ჩავრბივარ, მაგრამ არ ვიცი, ჩავუსწრებ თუ არა ან გაქცეულებს თუ დავეწევი.

აი, ისევ დაკარგულია. ვეძებ, ...ქუჩებში, ქუჩაბანდებში. ერთ სახლს ჩავუარე და ვიგრძენი, რომ იქ არის, დამწყვდეული. დარაბებიან, დაბალ ფანჯარაში ვიხედები იქ არის! იმ ბნელ ოთახში, ასე, ოთხი წლის, ზის პატარა სკამზე, პატარა რკინის მაგიდაზე კი პურის ჩიტების“ ნაცვლად კენჭებია ჩამწკრივებული.

—.—.—.

არ ვიცი, რა მოუვიდა იმ ბავშვს, სად წავიდა, თავს როგორა გრძნობს იმ ახალგაზრდა კაცში, ვინც ახლაც ჩემი უმცროსი ძმაა და ისევე ის უმწეო პირი აქვს, მაგრამ უკვე პაპაჩემივით დიდი ხელები.

შეიძლება, ეს კაცი როცა ტყუის, იმ ბავშვს ძალიან ავიწროებს ამ ტყუილებით; შეიძლება, უკვე იბრძვის კიდეც და ის ბავშვი სრულიად ფრთხება და იბნევა... მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თავსმოხვეული, იძულებითი ბრძოლატყუილი რომ არსებობს, სწორედ ის ეჭირვება ჰირად: ტყუილი უხერხულობით გამოწვეული, როცა კარგად ყოფნას იგონებ, და გინდა სხვები დაარწმუნო. რომ ფეხი მოკიდებული გაქვს დედამიწაზე და ბრძოლა — რათა სხვათა ჯირითმა შენი ბავშვები არ გაგითელოს.

—.—,—,—

ქუჩაში თუ ერთმანეთი დავინახეთ, შეიძლება თვალიც ავარიდოთ. ჩვენ ჩვენთვის მივდივართ. რად მივუტანოთ ერთმანეთს საწუხარი.

ერთმანეთს მარტოობას არ ვურღვევთ, არც ტელეფონის, არც კარის ზარით: ურთიერთ-დახმარება აღარ შეგვიძლია და ისე კი გვიჭირს ერთი-—მეორესთან მისვლა, რადგან ორივეს დახმარება გვჭირდება.

სხვები ამ ყველაფერს ალბათ გულგ-

რილობას ეძახიან, რადგან არ იციან რა არის სიმორცხვე და უხერხულობა: უმწეობით აღძრული..

—.—.—.

სიზმარში კი ისევ ვწვალობ. სულ რაღაცა ემართება, სულ მეკარგება. თან, შინაგანად, ადგილიდან წამომაგდებს ხოლმე წლებით ვერდაბლაგვებული, ბასრი შიში: რომ თმის გარეჭისას შეიძლება კეფაზე წვრილი ხალები გაუკაწრონ, ან ცოლმა ან პარიკმახერმა. ხალები, რომელთა გამო სულ ხელის კანკალით ვკრეჭავდი ხოლმე თმას ბავშვობაში. ხოლო მისი მეუღლე დარწმუნებულია, რომ მძიმესიზმრიან ადამიანებს შეუძლიათ ოჯახშიც სიმძიმე შეიტანონ.

—.—.—

და როდესაც ბავშვს ველოდებოდი, ე. ი. ჩემს საკუთარს, რამდენიმეჯერ ვნახე ასეთი სიზმარი:

პატარა, ცისფერი, კრიალა ტბა (ანდა ოვალური აუზი). პატარა თევზები დაცურავენ, მათ შორის ერთი ძალიან საყვარელია, თითქოს გულზე ძაფით მყავს გამობმული. ერთი ბეწო პირს აღებს, უნდა რაღაც სთქვას და ვერ ამბობს... უცბად (ან თანდათან) ვიცი: ეს ჩემი უმცროსი ძმაა, თან ჩემი შვილიც... რომელიც არ მახსოვს, როდის, როგორ, რა ვითარებაში გამოჩნდა. მერე თევზი მართლაც იქცევა ჩემს ძმად: წყლიდან ამომყავს, ხელს ვკიდებ და მიმყავს, ჩემი პატარა ძმა, რომელიც თან ჩემი შვილია...

—.—.—

ჩემი შვილიც მარტში, თითქმის ჩემი ძმის დაბადების დღეს გაჩნდა, ე. ი. თევზის ზოდიაქოზე.

მარტშივე გარდაიცვალა მამაჩემი, ჩემი შვილის გაჩენამდე რამდენიმე წლით ადრე. ჩემი ძმის დაბადების დღეს დავკრძალეთ. იმ დღეს მამაჩემის მიერ მისთვის საჩუქრად ნაყიდი საათი გადავეცით, მამამ გამოგვიგზავნაო, რათა არ მიმხვდარიყო, თავადაც მძიმედ დაშავებული, რომ მამაჩემისთვის დრო უკვე გაჩერებულიყო.

თევზისავე ზოდიაქოზე, მარტის იმავე დღეებში გაჩნდა ჩემი უმცროსი ძმის უმცროსი შვილი, ჩვენი ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, ერთ-ერთი პაპის სეხნია — გიორგი.

□ბაბრძანება იძნება□

## ზაზა თვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სევდის ზღვა

შემოდგომის წვიმიანი დღის შემდგომი
წვიმიანი ღამე.
ოთახში ვზივარ.
ვზივარ, ჩემს გულში ვიქექები,
იქნებ სევდის ზღვას მივაგნო,
სევდის ზღვასა და მის მდორე ტორტმანს,
მის მძიმე ფრთონას, კაეშნის ტალღებს...
....სევდის ზღვა,
ჩუმი, ნისლისფერი.
სევდის მთრთოლვარე ხმებით სავსე...
...მსურს შიგ ჩავეშვა,
ფსკერზე ჩავყვინთო
და იქ დამხვდეს ჩემივე ოთახი,
ხის კარები, საწოლი, კარადა, ფანჯარა.
და მაგიდაზე — იგივე რვეულები...
იქ, იმ ოთახში მაგიდას ვუჯდე
და მახსოვდეს მხოლოდ
შემოდგომის წვიმიანი დღის შემდგომი
წვიმიანი ღამე...

### სკოლა

მირბის ლუღლუღით, თავგზაარეული.
ხელში უჭირავს დაჯღაბნილი ძველი რვეული.
და ამ რვეულში გადამტყდარა მისი იღბალი,
მისი ცხოვრების ბედისწერა და მომავალი.

ფეხდაფეხ მისდევს მასწავლებელთა მკაცრი კრებული,
ბაყვებზე კაბებგადახსნილი, აღშფოთებული...
სკოლის ლავგარდნებს, მოაჯირებს, ფანჯრებს, გისოსებს
ზედ შესევია ბეღურების ურიცხვი გუნდი;

მათი ჭყლოპინი, საზარელი მკვეთრი ჟივჟივი
გაქცეულს თავზე დასტრიალებს, აბნევს, აგიჟებს;

ისიც დერეფნებს მიაწყდება. გარბის გიჟივით,
დერეფნის ბრტყელი იატაკი ხთქავს მის ნაბიჯებს.

ხელში უჭირავს დაჯღაბნილი წითლად რვეული,
მასწავლებელთა კლაკნილი ხელრთვა და ხელწერილი.
გულის ფსკერიდან დანთხეული სისხლის ფერებით.
დაფურთხებული, მიგდებული, [illegible]

გარბის, დაეძებს, გამოსავალს, კედლებს ეხლება.
მისდევს დარაჯიც ხელში ჯოხით, კბილებში ღვარძლით.
გამოსავალი კი არსად ჩანს.
ასეთია პედაგოგთა ურყევი ნება,
კარგა ხნის წინ რომ გადუწყვეტიათ მისი სვებედი.

გარეთ მზე ჰკივის, ჰკივის ჭრელი იალკიალი,
და ქარით ფარდებმოფლეთილი ცის სიტრიალე,
ცის ლურჯ სიღრმეში ჩამხობილი მთის მწვერვალები
და მუხრუჭების შეუმწყდარი, მყოვრი ღრჭიალი.

დახშულა სკოლა, ჩაკეტილა ტვინის კოლოფი.
ჰა, მოჩანს ბოლო. კვლავ თავისკენ მირბის ბოლოდან.
მირბის და მისდევს პედაგოგთა მრისხანე გუნდი,
თითქოს მიჰქონდეს მათი იმედი, მათი საუნჯე.

კვლავ ბელურების ქრიამული ისმის გარედან.
ფრთების ხეთქება, ნისკარტის და კლანჭის კაკუნი;
ყურისწამღები ღრიანცელი თვით სიბერემდე
და წუმპეებში ამოთხვრილი ეს საუკუნე.

## დღე

ცეცხლის კვეთება, შორი ბრწყინვა, შორი კიაფი
ღამეს ანათებს და მაგონებს სხვა განთიადებს:
დადის ოთახში ალმაცერი, ელამი ბავშვი
და ფანჯრებს სწვდება ანთებული სივრცის სისავსე;

ოთახის წყვდიადს, ბინდის სუნთქვას, ლანდების
ჩურჩულს,
მტვრიან ფარდაგებს, კარადის კარს, ლოგინის საფენს
იგი ზურგს აქცევს და ფანჯრიდან გასცქერის ქუჩას —
ხელუხლებ დილას, ავტობუსებს, ხეებს, ქვაფენილს;

თეთრი სინათლით იელინთება ყოველი ფერი —
სახლების ბაცი ფასადები, კედლების ხაო,
ცემენტის მტვერი, სახურავთა ჭრელი მარაო...
მზე დილის ქუჩებს მოედება ელვარე მზერით;

ღამის ოთახსაც შეეცვლება მძინარე სახე —
ოთახის სავსე, რბილი, ბნელი, დიდი საგნები
დილის ნათელში მკვეთრდება და პატარავდება,
იქცევა მარტივ სანიშნებად, გზების გამგნებად...

...მე კი მაგიდის სიბრტყეს ვუზი ღამენათევი,
ჩემს წითელ თვალებს მივაჩერებ ჩემს ფიქრთა
წყვდიადს,
ჩემს დაბალ ლოგინს დავეცემი ღამურასავით
და მწარედ მახსოვს, რომ ისევ [illegible] დღეა.

## ხ მ ა

ჩემი ბავშვობის სანაწყებში, ძმა,
მე შემომესმა საიდანღაც ხმა.
არ ჰგავდა მწარე მასწავლებლის ქლერას
და ბაღის ნეტარ დერეფნებში
მიმოიძრვოდა უხილავი, უენო მზერა...

ჩემი ხელები — ბალღის, ლიზღის,
ბრმა პლასტილინით
ძერწავდა ნივთებს
და ამ ნივთებში ჩანდა ვლენილად
უცნაური და ძველი, უცნობი, უსისხლო რასა...

ბაღის მდუმარე დერეფნიდან, მინის კარს იქით,
ჩანდა ნავები, ხის კიბეები
წითელ-მწვანენი,
ანაზდეულნი და უეცრად შემოფეთებულნი
ბავშვობას შორის,
შორს, ამ სოფელს გადაშორებულნი,
იქ, სადაც მზეზე ჰყვავის ვაშლის ხე,
ძველი მესერი.
ძელს შემსჭვალული ჩუმი მზერა და უნჯი გული,
უნჯი, უნჯი,
მისი შეკრთომა, მეყვსეული მწველი ქიმუნჯი...

იქ იმ მზისგულზე
ჩუმად ღვიოდა ეს ყოველივე, ჩემო კეთილო:
მესერი — ჩიტთა დასაფრენი,
კარი — უგლიმი და ჩაკეტილი;
ხომ ხედავ, არ ჩანს გასასვლელი,
აქ არ ჩანს თავის დასაძვრენი
ჩემო კარგო ძმა,
მესმის შენი ხმა,
მესმის შენი ძახილი, შენი ქლერა, ყვირილი,
მესმის შემი ხმა,
შენი ხმა...

და არ ჰგავს მწარე წუთისოფლის ქლერას,
და ცნობადის ბრმა დერეფნებში
კვლავ მიმოიძრვის
უცნაური, უთქმელი მზერა...

### კა[illegible]ანი

ქუჩების ზემოთ, მეხუთე სართულზე,
მზის სხივზე ფანჯარა იელვებს მარტო;
აისის ბინდში, დაცლილ ბინებში
რაღაც უთქმელი ილვრება დარდი.

ქუჩების ქვემოთ, გადასასვლელებში,
მოულოდნელად სინათლე ქრება;
სისხლიან ღელეში ჩაყრილი ხელები
მდუმარედ მოელის ახალ ცხოვრებას.

მოედნის ძვალ-რბილი მტრის ლეშით მოფენილა
და დილის ყრუ თალებს მიუყვება მზერა
და მასშიც ჩუმი სევდა ჩანს ვლენილად
და ფრთებმოყაშყაშე დაფრინავს ძერა.

ქალაქის წიაღების გუგუნი და ძგერა
იფარებს გადათხრილ მაღაროთა ფარილს;
ქარში მოსისინე ბალახის ღეროებს
ყანგიან ჩანგივით ახივლებს ქარი.

ცისკენ კი გაწოლილა ღრუბლების ნაფლეთები,
იქ, სადაც ქუჩისფერი ჩანს მქისე ხიდი,
და ქარში იფანტება მტრედების დაფეთება
და ხიდქვეშ გამლღვალი მდინარე მიდის.

### მხნე შეძახილი

ვზივარ საშინელ სიმყრალეში.
არ ვიგუდები.
ხელში მიპყრია კალმისტარი — ლურჯად მჯლაბნელი.
სტრიქონს სტრიქონზე ვავსებ მარჯვედ.
თავში ნახერხს გააქვს ჩხრიალი.

ფიქრი, გველივით დაკლაკნილი,
თითებს მიჰყვება,
ქაღალდს ავსებს და ამაყად კვდება.
ქუჩაში ვტყორცნი...
ვავიხედავ — ისევ აქ არის!

გმირი, ნამდვილი გმირი, დევგმირი!
თან მხნედ გაჰყვირის:
— ეს დღეც ჩათავდა, ჩაიარა, წავიდა, მოკვდა,
უკან არასდროს დაბრუნდება, გაქრა, გაქარწყლდა,
წარსულის ჯურღმულს შეერია, აღარ არსებობს,
აღარც არასდროს იარსებებს არარსებული,
ზუსტად ისევე აღარ არის,
როგორც ათასი წლის წინანდელი რომელიმე დღე
წარსულს შერთული, უკუნეთში გამქრალი, ფუჰი,
ისევე გაქრა, გადაშენდა;
დამშვიდდი, მორჩი,
დადე ეგ ლურჯი კალმისტარი, ლურჯად მჯღაბნელი,
ეს ყველაფერი უკვე იყო და გაიარა...

. . .

ყოველი დღე და ყოველი წუთი
არის ორმაგი აზრით აღვსილი.
და ორმაგ აზრებს შორის მსვლელებს და მოღლაბუცეთ
დრო გვერდს აუვლის,
როგორც გრძელი მრავალწერტილი...

ყოველი დრო და ყოველი წამი
არის ჭიქებზე დამცვრეული სასმელის ნამი.
მაგიდის ფერებს, და ალმაცერ, ელვარე მზერებს
სინათლემ თავზე დაამსხვრიოს წამები ღამის.

წამების ღამე, ღამის გრდემლი, გლისპი, უგლიმი,
მდინარე, სადაც სუფრის სიცილს ერთვის თენება;
სუფრის მოთავე ვაჟკაცების მძვინვარე ნება
და დედაკაცთა თვალის ღიმი, კბილის ციმციმი,

ბროლის კბილების, ბროლის სახის, ლოყების, ტუჩის,
საყოველთაო ალტაცების და სიღლაბუცის,
ბრმა სიღლაბუცის, მჭიდროდ კრულის მკერდის
ფსკერებზე
და ფსკერის ფსკერთან შეხეთქების და შეძგერების,

ძგერების, როცა ჩამოჰკრავენ ბედის ზარები
და გაიხსნება კაცის გულის ღრმა იარები,
სადაც გაივლის, გადაივლის ქალის ხატება
და ღამეებში მიფანტული დაეხეტება.

დაეხეტება, როგორც მთვრალი, გადაჩეხილი,
გადამსხვრეული შორ წარსულში, ბნელ სანახებში,

მოუკრეფავში, დარდუბალაში,
სადაც ამაყად ილრიჯება ყრუ ყა[illegible]
ულვაშიანი, მძლავრი, ბრიყვი, ხელში [illegible],
სადაც იწყება რაღაც ჯანდაბა და არ თავდება,
და არ თავდება, არ თავდება, გრძელდება, გრძელდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მყრალი [illegible]

ფურცლიდან შემომახტა გომბეშოდქცეული
(რვეულის გაყვითლებული ფურცლები,
ძველი დღიური,
ლურჯი, გაცრეცილი, ყდამოხეული),
შემომახტა და მეკვრის
მსუქანი, ლოხი, ცივი, სლიპინა,
ყვითელი ფურცლით გაყვითლებული,
სქელი, ცივხორცი, გომბეშოსეული....
დაბნეული ვზივარ
(შუბლზე ხელისგულს ვისვამ და ისევ)...
რაც მოხდა — მოხდა,
მაგრამ ვუყურებ და ვხედავ, რომ
უსასრულოა
გომბეშოსებრი, ვასაკადქცეული..
დრო თითქოს მიდის,
მაგრამ მაინც იგივე დროა —
ბურთივით, მწვანე, რეზინის, სველი,
მოდის, მოხტის, მოედინება
და ფურცლებს ავსებს...
გაოცებული ვზივარ,
უაზროდ, სულელურად,
გველისეული, გაბრტყელებული, გომბეშოდქცეული...

## შინ შემალული

— გაალე კარი!
კარი გაალე! გაალე კარი! —
მესმის გარედან.
რას ნიშნავს „გარე"?
„გარეთ" რა არის?
— კარი გაალე! გაალე კარი! კარი გაალე! —
ისევ ისმის.
კარს ვაღებ.
ირგვლივ არავინ არის.
— გაალე კარი! კარი გალე! გაალე კარი! —
ღია კარებში ვდგავარ და მესმის.

ირგვლივ — მინდორი, მზე, ხეები,
შორი ტყისპირი,
ტყის ლურჯი ზოლი — სიშორის ნისლით გარემოცული.

კარებში ვდგავარ, კარის ზღურბლზე,
კარის ჩარჩოს ხელით ვეხები.
— გააღე კარი! — ისმის გარედან
(კარების დირე)
— გააღე კარი! კარი გააღე! გააღე კარი!
(მინდორი, ნისლი, ტყე, სერი, ზოლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე გავაღე!..
ვყვირი, გავყვირი.
სიჩუმის ბამბა ყვირილს აგუბებს,
მიგუბებს ყურებს, გულს..,
სიჩუმის ტბაში ჩაძირული უხმო ციმციმი
და მზის სხივებში გარინდული ელვარე არე.

მე ზღურბლზე ვდგავარ, სივრცეს ვუმზერ.
— გააღე კარი! კარი გააღე! გააღე კარი! —
მესმის გარედან —
არა გარეთ, არამედ გარეთ...

მე კარებს ვხურავ.
მერე ვრაზავ.
უკან ვბრუნდები,
სკამზე ვჯდები, ხის მაგიდასთან
და სინათლის ზოლებს ჩავცქერი.

— გააღე კარი! — მესმის გარედან — კარი გააღე!
ვიცით, მანდა ხარ!
ისიც მანდ არის!...

## წამი

მთელი ღამე ვზივარ,
ვზივარ და ვწერ.
ვწერ, რომ ვზივარ,
ვზივარ და ვწერ.
გარეთ, ქუჩაში,
სიჩუმეში, წვიმაში, ნისლში,
მოისმის სამი მოკლე სიგნალი.
ოთახში,
სადაც შიშით, სიფრთხილით, ეჭვით ავსავსე
ვზივარ და ვწერ, რომ
შიში, სიფრთხილით, ეჭვით ავსავსე ვზივარ ოთახში,
უეცრად ჩნდება ვეება ბუზი.

მისი ბზუილი და შავი ფრენა —
საიდანღაც,
არსაიდან...

ორივე კარი და ფანჯარა დაკეტილია.
ქუჩაში — წვიმა, სიცივე, ჯანღი.
ოთახში — სევდა.
ბუზის ბზუილი — წყვეტილი, ხშირი.
და მე,
რომელიც ვზივარ და ვფიქრობ,
რომ დრო,
ეს წუთი, ეს წამი, ეს დრო.
რომელიც, აი, მოედინება,
და რომ შეამჩნევ — ალარსად არის,
დროის ამ ვიწრო, მარადიული, გრძელი მდინარის
ჩემს გულში დენა
და ეს ოთახი,
ეს ქალაქი, ქუჩა და ღამე,
უკუნი ღამე,
როცა წვიმის და სიბნელის სევდა
ყველაფერს ავსებს,
ეს დრო,
ეს წუთი,
წამი,.,.
ეს წამი..

გიორგი ლობჟანიძე

## არყოფნის ღამე

ჩამორღვეულა კლდე გულმაგარი
და ჩამოშლილა ბილიკ-კბოდიან.
მე კვლავაც ველი,
თუმც არც იმედით,
არც მონატრებით
აღარ მოდიან...
რად ამიპყრია ზეცად თვალები
და უნუგეშოდ შევცქერი მზებნელს,
ვინ... შემწედ, ახლა ვინ დამიდგება
სიყვარულის და სინათლის მძებნელს...
დაეჭორფლება ჯვარ-ხატი გუდანს,
მიიზარება წუხილით არე,
ბილწი ხელებით მზე გამოგუდეს
და მიიხურეს სულეთის კარი...
არ დამახვედროთ წინ ეგ ღიმილი —
მარადისობის მძლე სიზმარივით,
რადგან მზე-მიწის მოჭრილი თავი
გასისხლულა და კვდება ხარივით....
ახლა ხარებიც მზეს მისტირიან,
ვერ გაივლება კვალი საგუთნე,
უკანასკნელი მისტერიაა
და ისიც სხვებმა დაისაკუთრეს

* * *

და ისიც სხვებმა დაისაკუთრეს...
და ისიც სხვებმა დაისაკუთრეს...
და ისიც სხვებმა დაისაკუთრეს....

* * *

მზეს რას უწუნებ,
კაწარკუწურო,
მზეს რას უწუნებ,
არ დაგიშლიო
ღრუბლებთან თამაშს, —
ხომ გეუბნება,

მზეს რას უწუნებ,
კაწარკუწურო,
ან შინაბრობას
რაღას წუწუნებ,
გაჰყევი...
ცაში გელოდებიან
თეთრი ღრუბლები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე ვარ წარმართი,
უხსოვარი ხნიდან გეძახი,
ხმას ვით მოგაწვდენ
ამ ამღვრეულ
დღეში ფარები,
იყო დრო, როცა
ამაღლებულ სულთა ხარებამ
სამლოცველოდან გამირეკა
ნიშა ხარები...
მე ვარ წარმართი,
უხსოვარი ხნიდან გეძახი..
და თუ მოგიხმობ
და თუ ისევ ისე გეზრახვი,
განა იმიტომ, მოგაბრუნო
კვლავ ძველ უბეში,
მინდა მომავლის გზა და გეზი
სწორად წარმართო...

მე ვარ წარმართი,
უხსოვარი ხნიდან გეძახი...

## ალექსანდრე ბიბიტაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე დამესიზმრა ჩვენი ანბანი,
დილით მე და შენ ვცვლიდით
ყვავილებს,
მზეზე გვეხურა თეთრი საბანი,
მზე, მთები, კაცს რომ აადილდილებს

და გამეღვიძა როდესაც კენტად,
ფიქრებით, სევდის შორს გამრიყავით,
იყო ჩემს გვერდით ყველა ამ ქვეყნად,
მხოლოდ შენ ჩემთან აღარ იყავი.

შემოდიოდა ღია კარებში
იქ დამასხისა ძველი რტოები
და ბაემანზე ისევ ქარებში
მეძებდნენ ძველი სამრეკლოები.

* * *

ქართულ ცაზე ველარ ვხედავთ
იმ ქორსა და იმ ძერას,
კარგია რომ უკვე ვბედავთ —
სულს ვასწავლით სიმღერას.

გჩუქნის ბიჭი ია იებს,
თან გარშემო გევლება,
უსმენს ტკივილს შენაციებს,
ვილაც რომ იცრემლება.

მაგრამ შენ მე კვლავ მენდობი,
ვისა ჰგავხარ ვისავით,
იმ სილაღით, იმ შენდობით,
როცა ერთად ვიყავით.

* * *

სევდა მახრჩობს, მენატრები,
სისხლი ისევ სევდას უტევს,
ძველებურად მედარდები,
მზაფრავს შენი სისათუთე.

ვგმობ ტელეფონს, უნდა გნახო,
სანთლის მიმომაქვს ღერები,
შენ ერთნახადო არაყო,
თუ კი ალალ მემტერები..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამ ბოძღიაშვილი

# გაშლშნავი სიტყვა

1912. 28. V

1948. 18. III

განმარტოებით მდებარე, მზისაგან ფერდებშეტუსულ პატარა ბექობზე დაუკრავთ თუშებს შავი ბაირაღი. ტარით ბარგში გამაგრებული ნიავზე გაშლილა და შავად ფრიალებს.

გახდილ თექებზე სხედან მეომართა კუშტად გამომზირალი სახეები. წარბის გრძელი ბეწვებით დაჩრდილულ თვალებში სისხლი ჩამდგარა და... ილესება ხმალი, იბასრება ხანჯალი.

ძალოვანი მაჯა სწრაფად მოძრაობს, ჩვეულებრივად ასრულებს ნაცნობ სამუშაოს და სალესავების ხრიალში დროულად მოისმის ბაირაღის კალთების ტყლაშუნი ან მეზობელი ბანაკიდან მოუსვენარი ცხენის ჭიხვინი.

ხმას არავინ იღებს.

ყველა საკუთარ თავთან დარჩენილა, საკუთარ ფიქრსა და განცდასთან.

ბრძოლის ჟინით ადუღებული სისხლი აწვება ტვინს, ტკბილ განცდებს იკეცავს გული და ჭუჭყიან ხელზე დაბერილი ძარღვები გველის წიწილებად წვებიან.

რაზმელები კარზე მომდგარ ბრძოლას თვალით ხედავენ. აგერ იმ გორებს იქით მტერია მოფარებული, თათრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

აი, აქ კი ერეკლეს კარავი დასკუპებულა უზარმაზარი კრუხივით და ამ კრუხის ირგვლივ ქართველები წიწილების დარად ფუსფუსებენ, ემზადებიან. მთელ ბანაკს რაღაც იდუმალი, შემმართებელი იერი დაჰკრავს.

ბრძოლა იწყება.

ქართული მკლავი სიკვდილის ქარიშხალსააყენებს, მტრის ურდოს სისხლიან მიწაზე გაშლის და ერეკლეს დროშა არდაგანს გადავა.

ბრძოლა დაიწყება... მაგრამ როდის?! დღეს თუ ხვალ?!

ეგ სულ ერთია. მეომარს აბჯარი ყოველი წუთისათვის მზად უნდა ჰქონდეს, რომ პირველსავე ძახილზე მკლავს შეეძლოს გაშლა, გველისპირულს მზის სხივებზე გაკრიალება.

უჰ... თვალებმა ველურად გაიკრიალეს, ჯავრიანი მკერდ-გული მოუსვენრად შეტოკდა.

ნეტავი ჩქარა იქნებოდეს!

ნეტავი...

ერეკლეს გრიგალივით უცბათ უყვარს წამოქროლება და რომელი მუხა იქნება, გაუმაგრდეს, შეირჩინოს ჰაერში ტოტები და მიწაში ფესვები.

ერეკლე ვაჟკაცია, ლომგული, ვეფხის ნაშიერი, პატარა კახს ირმის ძუძუ უწოვია, თურმე ირმის ძუძუ ბარაქიანი, მეტად ღალიანია.

მგელმუხლაა. შემბედავი, უშიშარი.

იმასთან დედაკაცსაც მთების ოდენა გული გაუხდება, მხდალიც მტერს შაელეწება.

ფიქრობენ თუშები.. .ფიქრობენ და დინჯად ემზადებიან.

კვლავ მოისმის რკინაზე აცურებული ქვის გაბმული, არეული ხრიალი და ქარის მსუბუქ ფრთაზე გადაშლილი შავი ბაირაღის ტკაცანი.

ქავთარმა სალესავი თექაზე დააგდო, ქვის ხორკლით ატალახებული ხმლის პირი გაქონილ პაჭიჭზე რამდენჯერმე გადაისო და მარცხენა ულვაშმა ოდნავ გაითრთოლა — ღიმილის ნიშნად.

— ჩემმა შვილდამ გაიცინა, ვაჟებო, გამოცდილი და ვაჟკაცური მარჯვენა ამით სამ კისერს ერთად ისე მოსხეპავს, როგორც ალაზნის პირად ამოსულ ჩალის ღერს!

ჩამავალი მზისაკენ გაწვდილ ფოლადის პირს ცალი თვალით გახედა. კიდევ ერთხელ მოიწონა და ნელა, თითქო ფრთხილად, ჩაუშვა შვილდივით მოხრილ ქარქაშში.

— ჰო, ჰო, — ნაძალადევად ჩაიცინა იბომ: — თათრები მაინც ჩალის ღერებივით არიან გამხმარნი. იტყვის კაცი, შემოქნეულ ხმლის ქარსაც ვერ გაუძლებენო.

— საკვირველია, კაცებო, ან ფეხზე როგორ დგანან ეგ რჯულ ძაღლები, ამდენმა ლაშქრობამ როგორ ვერ მოიდნო მაგათი აყროლებული ლეში.

—ერისტო, როგორ ფიქრობ, ჩვენ უკეთეს დღეში ვართ?! — დაიბუზბუნა ზაქარიამ. მოღრეცილ კისერს ცალი თვალი გააყოლა, ანთებული ლადარივით მიარჭო მოსაუბრეს და ისევე შეეკითხა.

— ერთი მითხარი, წელიწადში რამდენჯერ გძინებია გულმშვიდად საკუთარ ტოლიკზე?!

— შენ მართალი ხარ, ზაქარ, ჩვენში კაცის მოსვენებას ვინ კითხულობს, ხიფათი საკუთარი ჩრდილივით დაგდევს დღე-მუდამ, ხმალი რომ ჩააგო, დედაბუდიანად გადაგწვავენ, გაგთელავენ, ჩვენ მაგათზე უარესად გვფქავს სიდუხჭირის წისქვილი. სამაგიეროდ, იქ მთებია, ზაქარ, ლამაზად გაშლილი, თავისუფალი მთები. ეს გვინახავს. სალი. სუფთა ჰაერი აძლევს ადამიანს ვაჟკაცურ ჯანსა და გულს.

—აქ კი, ბარად, ხაშმია, დამბალი ჰავა, არც ძილსა აქვს გემო და არც ჭამას, ფუჰ!

— მით უმეტეს, ვაჟებო, დახაშმულ ბარში მკლავი თუ არ გაიქნიე, არ ივარგებს, სისხლი აყროლდება.

— მართალს ამბობ, — მოტყდა ზაქარია და თავისთვის დაუმატა: — ბარის სისხლი ჰარამია, ხშირად გამოშვება უნდა, რომ დაწმინდავდეს, თორო...

— ვაჟკაცი, მთაში იქნება თუ ბარში, ბრძოლისათვის გაუჩენია ღმერთს. მუდმივად ქარქაშში მდებარე ხმალს ბარაქიან პირზე ჟანგის ფერფლი გადაეკვრის. ხშირად ქალის კისერზე ნახვევი მკლავი მობობდება, მოდუნდება, ტოლაკებ მიყუჩებული გული კი დიაცურად განაზდება, დაპატარავდება, ცემას მოუკლებს და ძარღვებში უხალისოდ მოძრავ სისხლს ობი მოედება. რას ამბობთ, ვაჟებო, სისხლს მართლა რომ გამოშვება უხდება, რომ ვაჟკაცს მკერდზე ბალანი შერჩეს, ბალნიან მკერდქვეშ კი ყოველთვის არწივის გული ფეთქავს. სწორედ მიხვდი, ზაქარ, სწორედ!

ქავთარის აპრიალებული თვალები ცის დასავალს მოხვდა და თუშის მომცრო ტანი ბორაგიანმა ფეხებმა ბაირაღისაკენ წაიღო.

— ხი, ხი, ხი, ხი ზაქარიას ცალი თვალი ისეთივე ფრთხილია და მიმხვედრი, როგორც ჩემი ცალი ყური. — ჩაიხითხითა ცალყურა ნაკუდამ და ბანჯგვლიანი ხელი მეგობრულად დაჰკრა ცალთვალა ამხანაგს.

— მახინჯი ყოველთვის მახინჯს ხედავს, ეშმაკსაც თავისი კუდი ურჩევნია მთელ ქვეყანას... — ზაქარიამ თამბაქოს ლეჭვისაგან ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა, გაცინება სცადა, მაგრამ, როცა ვერ მოახერხა, ისევ მოიღუშა, კბილები დამალა.

ამასობაში მზე მთის უნაგირში ჩაჯდა. ქარმა უკლო ქროლას, საღამოს სი-

ცხემ კბილები აილესა და ჰაერი უფრო დაამძიმა. ბერომ სისხლისფრად ანთებულ დასავლეთს გახედა და ბაირაღის ტართან მჯდომ ახალგაზრდა თუშს მიუბრუნდა:

— მზე ჩადის, დაგაზ, ჩქარა დალამდება, ჩვენ კი ხალის გასაზელი წყალი არა გვაქვს.

ჭაბუკმა ხუჭუჭი თმით დახუნძლული პატარა თავი ასწია და მოკლედ გადმოაგდო:

— ახლავე წავალ.

ხმალი იმანაც ჩვეულებრივად პაჰუჯს გადაუსო, გაწმინდა, გააპრიალა და გამახვილებულ ფოლადს პირზე ცხენის ძუა ნელა დაუშვა. ბეწვი მოხვდა ფხას. ოდნავ შეეხო, და ორად გადაკვეთილი დავარდა თექაზე.

ღიმილმა ოდნავ გადასწია ახლად აბალნული ზედა ტუჩი. კბილებმა ალმასებრ გაიკრიალეს. „არ მიმტყუნებს“ გაიფიქრა იმან, საყვარელი გორდა ქარქაშში მოაქცია, მოიგდო ზურგზე თავისი „ყოლჩაღი“ და თავქვე შურდულივით დაქანდა.

ბერომ გავარდნილ ჭაბუკს თვალი გააყოლა, მკერდზე დაცემულ ულვაშის ბოლოს თითები ფიქრიანად შეახო და თავისთვის წაიბუზღუნა:

— ცოცხალი ბალღია, დედისერთა, ცოდო იქნება მაგისი სიკვდილი!

შემდეგ მარცხენა ხელით ბურნუთის ფხვნილი ცხვირთან მიიტანა, რამდენჯერმე ხარბად შეიყნოსა და ირგვლივ გაშლილ ტრამალებს უნდოდ გადახედა:

— ამ ტიალ ადგილას შუა მაინც იყოს ღამე ცეცხლს დაანთებდა კაცი, — ცხიკ, ცხიკ!..

— მწვადად ხომ არ გინდა აგვაგო, ამ სიცხეში ისედაც ვიწვით! — გაიკვირვა შორთიმ.

— ჯერ შენ ბალღი ხარ, შორთი, არ იცი, ღმერთს როგორ უნდა მოუბრუნო გული. ცეცხლი და ბოლი სიცოცხლის უტყუარი ნიშანია, ჩამქრალი კერა და ცივი ნაცარი სიკვდილის მაცნე. ღამე რომ დამქრალი ცეცხლით გავატაროთ და დილას ცივი ნაცრით დავუხვდეთ, ღმერთი განრისხდება და ხვალა ნახე ჩვენი დღე, მტერს სულ ნაცარტუტად აადენინებს ჩვენზე.

— თუ სინათლეზე წამოსული მტერი თავს დაგვესხა, მაშინ ღმერთი ვეღარ გვიშველის! — თითქო უნებურად წამოსცდა შორთის, ეს საკმაოდ გაბედული სიტყვები, რომლებმაც ყველა გაოცებული მეომარი მისკენ მოახედა:

— რა სთქვი?

— ღმერთი ვერ გვიშველისო?!

— როგორ გაბედა?..

— ურწმუნო სული თუ უდგა?!

აყაყანდნენ რაზმელები, თვალებიდან რისხვა გადმოლვარეს და რამდენიმემ ხმლის ვადაზეც გაიკრა ხელი.

— მოიცათ!... — შეაჩერა ბერომ,— ბალღია, ბალღური სიტყვა წამოსცდა. არც კი დაფიქრებულა რა უნდა ეთქო. ბალღს თვითონ ღმერთი მიუტევებს ესეთ ცოდოს.

თუშები დაწყნარდნენ ცოტა, ძლივს გასაგონი ბუზღუნით თექებზე წამოწვნენ. ბერომ კი თავჩაღუნულ და სუნთქვაშეკრულ შორთისაკენ გაზიდა თვალი.

— ბალღო, ზოგჯერ აუხედებულ ენას კბილის დადგმა უნდა, უილაჯო ტვინის შეცდომას კი გულში ჩამარხვა. ღმერთი იმდენად მოწყალეა, რომ შენისთანა ბალღის ტიტინს ყურს არ ათხოვებს, არც გაწყრება, მაგრამ შენ მაინც უნდა იცოდე; ურწმუნო, ღმერთის მაგინებელი, საქრისტიანოს მტერია, ეშმაკის ყურმოჭრილი მონა, დაიხსომე: ხატის ძალა დიდია, მისი ყმა ყოველთვის გამარჯვებული იქნის.

მცირე ხანს დაფიქრდა, ულვაშის ორივე ბოლო ყურებზე სამჯერ გადაიხვია და მხიარული იერით დაუმატა:

— სულელო, გგონია, რომ ერეკლე შენი ტვინითა ცხოვრობს?.. ის ღვთის მსახურია და ღმერთის წყალობით მის ყარაულებს კაცი კი არა, ჭიანჭველაც ვერ გადმოეპარებათ აქეთკენ.

ისევ სიჩუმე გაიშალა. თითქოს დაეას მიექანცოს, ხმის ამოღებას არავინ

აპირებდა. რამდენიმემ ყალიონს მოუკიდა და ხარბად გააბოლა. ზოგმა თამბაქოს ახალი ნაჭერი მოაქცია კბილებში და ყბა მადიანად მოიქნია. სხვამ ბორაგი გაიხადა, შიგ ჩაცვივნილი ქვიშა და მიწა ამოყარა, ჭრელი, კბილებად ნაქარგი წინდები დაბერტყა და თექაზე პირაღმა გაწოლილმა კრიალოსნის თავის დაუწყო შინჯვა...

— გამარჯვებათ, ხალხნო! — ერთბაშად შეარხია მყუდრო ჰაერი ბოხმა ხმამ.

მეომრებმა წამოიხედეს. მათ წინ ორი კაცი იდგა, ორივე ახლოს ნაცნობი, ახლო მეგობარი და თანამებრძოლი.

— დილოიძევ, გაყრილო ძმაო!..

ახლო მეგობარო და თანამებრძოლო.

— კოხიო, ბობლიას შვილო!..

— გამარჯვებათ, გამარჯვებათ!

— გამარჯვებით გატაროთ სამების მადლმა.

ისევ აყაყანდნენ, ახმაურდნენ, მისასალმებელი სიტყვებით გაყრუვდა იქაურობა. რკალად მოეხვივნენ მოსულებს.

ნაკუდა დილოიძეს მრავალგზის გადაეხვია. ქავთარს კოხიოსათვის მხრებში ხელი გაევლო და მძლავრად არხევდა.

ეს ამოდენა ხალხი გუნდად შეიკრა და იმ ორს ფუტკარივით დაეხვია. ხელის ჩამორთმევა და მოკითხვა ერთმანეთში ისე აირია, რომ ცალკეულ სიტყვას ვერ გაარჩევდა კაცი. იდგა ერთი გუგუნი, შრიალი.

შუაში მოყოლილმა ბერომ ორივე ხელი ჰაერში გაასავსავა და ხმამაღლა დაიძახა:

— მოიცათ, კაცებო, დაწყნარდით, ერთურთს ვაცადოთ, დასხედით, აბა ჩაიმუხლეთ.

გუგუნმა იკლო, გუნდამ რღვევა და დაშლა დაიწყო.

— შავ დილოიძევ, მოდი ძმობილთან, ჩამოჯექ თექაზე. —

მოიწვია ძმობილი ნაკუდამ და თუშური ქუდი მოთლილ ყურზე დასწია.

— კოხიო, ჩემო დაკარგულო მეგობარო, შენაც მოიწიე აქეთ, ჩვენებური თექა ხო არ გეუცხოვება ,ბიჭო! — მოუსვენარი ქავთარი ხელჩაჭიდებულ კოხიოს თექისაკენ ეზიდებოდა.

როგორც იქნა, დაწყნარდნენ, დადინჯდნენ ისევ, მუხლებზე ჩამსხდრებმა თანამგრძნობი, მოლიმარი თვალებით დაუწყეს შინჯვა მოსულებს. ზაქარიასაც კი დიდძლია მისთვის ძნელი ამბავი: ერთადერთი თვალი უციმციმებდა, ბაგის მარცხენა კუთხე ყურისაკენ გაწეულიყო და ორიოდე ყვითელი კბილი გამოეჩინა. ის ილიმებოდა, სიხარულს გადაეწმინდა მუდამ მწყრალი მოღუშული ელფერი.

მცირე სიჩუმის შემდეგ დილოიძის ბოხი ხმა ისევ შეენთო ჰაერს:

— აბა, ძმებო, როგორა ხართ თქვენი საქონლით, ჯალაბით, სახლ-კარით, ჯანით, ღონით?

— კარგად, ობოლავ, კარგად, თქვენი სიკეთის გაგონების მეტი არა გვიჭირს რა, ვცხოვრობთ სამების მადლით. სახლებში ყველანი კარგად გავწირეთ, აქ მყოფებს კი თვითონაც ხედავთ.

— წმინდა სამებას ვთხოვთ, კვლავაც მაგრე გვსმენოდეს. სისალე და დოვლათი ნუ მოგიშალოთ იალსრის მადლმა! —

დააბოლოვა კოხიომ დილოიძის მიერ დაწყებული მოკითხვა და მის გვერდით მოკეცილ ბლუჯოს ხელი გადახვია, თან დინჯად შეეკითხა:

— აბა, განაყოფო, ჩვენები ხომ მშვიდობით არიან, ბიძაჩემი მიტრო, თედოლე, ლაზარე, ან... — კიდევ ვილაცის ხსენება უნდოდა, მაგრამ თვალებზე ჩრდილმა გადაურბინა, სიხარულის ნაპერწკლები მიამქრალა და თავში დაკრულივით გაყუჩდა.

— თქვენა, მთიდან დაკარგულო ვაჟებო, როგორ შეეწყეთ აქაურობას, როგორ მიგიღოთ ბარმა, ამ ადუღებულმა ჰავამ?..

— ღმერთი მოგიზღავს მაგ ყურადღებისათვის, ბერო, არა გვიშავს რა,

კარგად არის, თუ — ავად, მაინც ვღოღიალობთ.

— ქალაქში ერეკლეს სასახლე და თვითონ ერეკლეც ცდაშია, არ მოგვაწყინოს, მაგრამ...

— ესეა, ვაჟებო, ესე, მთიდან ჩამოვარდნილ არწივს ბუმბული გასცვივა, უბუმბულო ფრთა კი ვეღარ იფრენს.

— ალბათ აგრე იქნება... — დაეთანხმა ქავთარს ორივე „ბარად ჩამოვარდნილი არწივი" და სახის იერი ოდნავ შეეცვალათ.

— ობოლავ, შენ ისევ ისა ხარ, ისევ ის მთაში ნავლი ობოლა, მარტო ქერქი გამოგიცვლია, ჩვენებური ლეგა თექის მაგიერ მეფის სკადრისი ატლასით დაგიმშვენებია მხრები. შენ კი, ბობღიას კოხიო, სულ გამოცვლილხარ ქერქითაც და ხორცითაც. რატომ მიტოვე, ბიჭო, ბებერი მამა, ეგრე უნდა ამაგის გადახდა?!. ობოლას რომ უყურო, ეგ მთაშიც ობოლია, ბარშიაც, ოჯახი არც ერთგან არ აწუხებს. ღილოიძე ქარივით თავისუფალია, თუნდა მთას მიაწყდება, თუნდა — ბარს. შენ კი მშობლის ცოდო კისერზე გადევს. ეგრე არ უნდა ბიჭო, არა!..

ბეროს ხმას აღელვება დაეტყო, გრძნობამ ერთობ გაიტაცა, შეეშინდა, ურიგოდ არ დაებოლოვებინა და გაჩუმდა.

ყველამ კოხიოს გადახედა. ის თავჩაღუნული იჯდა და ფრჩხილებით თექის ბეწვებს სწიწკნიდა.

— ბეჩავი ბებერი, არაფერს იმჩნევს, თითქო ჯერ კიდევ ყოჩაღად დადის, ოდნავ წელში მოხრილი. იმას ხო კაცი ჯავრსა და სიხარულს ვერ შეატყობს. ყოველთვის ღრუბელი აწევს სახეზე. მუდამ შეკრული შუბლი ახლა უფრო შეიკრა, მარტო თვალებს ეტყობა ჯავრის კვალი. ის ხალისი და სიჭრელე სულ დაეკარგა, მაინც დადის, რას იზამს!..

— მოიცა, იბო, ამ თათრებს დედა ავუტიროთ და მერმე კოხიოს თუშეთში გამოყვანა ჩემი ვალი იყოს.

ქავთარმა მხარში გაჰკრა ხელი თავჩაღუნულ კოხიოს და კითხვით დაუმატა:

— ხო წამოხვალ, ძმობილო, იმედს ხომ არ გამიცრუებ? ერთად უნდა გადავითარეშოთ ქისტეთს. უშენოდ მუხლეში ჩვენებურს ძალას ვერა ვგრძნობ, მოიგონე ჩვენი ძველი ლაშქრობა, მოიგონე ერთად გადატანილი ხიფათი და მითხარი, რომ წამოხვალ, უარს არ იტყვი.

მხარში გაკრულმა ხელმა კოხიოს სახე გამოაჩინა. მეომრებმა ვერაფერი შეამჩნიეს, მხოლოდ ცხვირის ორივე ნესტო ნერვიულად უთამაშებდა, ეს იყო ერთადერთი ნიშანი მისი მღელვარებისა.

შავთარს არ უპასუხა, თავი ისევ მძიმედ დაუშვა მკერდზე.

— ობოლავ, შენც წამოდი, ორივეს წაგიყვანთ, სამების მადლმა, აქ ვერ დაგტოვებთ.

— ჯერ თათრებს მივაკითხოთ, მერმე იქ ვნახოთ, თუ დაგვხოცეს მე და კოხიო, ლეშს რაღა კითხვა მოუნდება, ჩვენებურად ჩაყარეთ ხურჯინში, პირი მაგრად მოუკარით და რამდენიც უნდა იფხაკუნოს, სადღა წაგივათ... — ნაძალადევი ხუმრობის კილოთი შეესიტყვა ღილოიძე ნაკუდას მუქარას და წარბებქვეშიდან გაპარული თვალი მოსულ ლაგაზს წააწყდა.

— გამარჯვება, ლაგაზ, შენც აქა, კაცო!..

— გამარჯვება ნუ მოგიშალოს იახსრის ხატმა, ჩვენო ობოლავ, შენაც მშვიდობიანად გევლოს ბობღიას კოხიო!..

კოხიომ ერთბაშად თავი აიღო, სალამი დაუბრუნა მოსულს და სწრაფად წამოდგა.

— ობოლავ, დიდხანს შევრჩით ლაპარაკს, დროა, წავიდეთ, საქმეს მივხედოთ.

— მართალი ხარ, მაგრე იყოს. — დასტური მისცა ღილოიძემ და აშლილ მეომრებს განუმარტა:

— ერეკლემ გამოგვგზავნა. მტერი

შეათვალიერეთო, გზად მიმავლებმა თქვენკენ შემოვუხვიეთ და აი, აქამდე დავრჩით.

— საქმეს კიდევ მოასწრებთ, ღვთის მადლით, ჯერ ხო მთლად არ დაღამებულა. მტერს კი ღამე უფრო კარგად დასუნავს კაცი. მაინც წადით, ერეკლეს საქმის დახანება არ უყვარს, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ჭირშიაც და ლხინშიაც!

ბერომ ორივეს მაგრად ჩამოართვა ხელი, ცხვირთან ისევ ბურნათი მიიტანა და უკან მიდგა, სხვები მიუშვა გამოსათხოვებლად.

— გამარჯვებით, კაცებო, გამარჯვებით, ხვალ ხმლის ტრიალში კიდევ მოვიკითხოთ ერთურთი!

— გზა მშვიდობისა მოგცეთ წმინდა სამებამ, გამარჯვებით გევლოთ ქვეყნის ოთხივე კუთხეს!

დილოიძე და კოხიო სწრაფი ნაბიჯით გადაეფარნენ მახლობელ გორას.

დარჩენილებმა თავიანთი თექები მოძებნეს საკუთარ ფიქრს მიჰყვნენ ისევ. დუმილი ისევ ფრთა დააკეცა რაზმელებს...

მოისმა ცხენის თქარუნი, ქვაზე დაკრული ნალის წკრიალი და ნესტოებდაბერილმა მთავარსარდლის შავრამ თუშების ბანაკთან მძლავრად დაუსტვინა.

ყველამ მაღლა აიხედა, მხოლოდ არავინ წამომდგარა. მათ წინ, გახურებულ ცხენზე, ერეკლეს მთავარსარდალი დავითი ამხედრებულიყო.

— მშვიდობა, თუშნო!

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა!

— იცოდეთ, ხვალ დილას, მზის ამოსვლისას დავიწყებთ იერიშს, თქვენ უკანა ფრთაზე დარჩებით, სამარქაფო რაზმად. თუ გაწყრა ღმერთი და თათრებმა დაგვჯაბნეს, მარტო მაშინ გადმოგვეშველებით.

თუშებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ კი გაკვირვებული თვალებით სარდალს მიაშტერდნენ. ბერო მძიმედ წამოჯდა, ვაჟკაცური, ხშირი ბალნით დაფარული ძარღვიანი ხელი გრძელ ულვაშზე გადაისვა და თითქო მთამ დაიგრუხუნა:

— ვინ იბალღა ფგეები? ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით.

დავითი შეუყოყმანდა, მხოლოდ ესღა მოახერხა:

— ასეთია მეფის ბრძანება.

— ერეკლესი?!

— ჰო, ერეკლესი. —

— წადი, უთხარი ერეკლეს, აქ მოვიდეს! უბრძანა თუშმა მთავარსარდალს ისე, თითქო მეფეს კი არა, პატარა ბავშვს იბარებსო თავისთან.

— თვითონ ერეკლემ გამომგზავნა თქვენთან ამ ამბის გადმოსაცემად.

— შენ მაინც ერეკლე არა ხარ, ბატონიშვილი მოვიდეს, გითხარით.

— ჯიუტობის დრო არ არის, საქმე წახდება, — სცადა ერთხელ კიდევ სარდალმა.

— დავით, ბევრი ლაპარაკი საქალეპოში იციან, ჩვენ კი კაცები ვართ! — მოსჭრა მოკლედ ბერომ და განზე გადააფურთხა.

— თქვენ იცით... ჩაილაპარაკა სარდალმა და უხერხულად მხრები აიჩეჩა. შემდეგ გატრიალებულ ცხენს სადავე მიუშვა და ულაყის განიერმა მკერდმა გაგლიჯა სივრცე.

პირველად ხმა ვერავინ ამოიღო. ისე გააშეშა თვითოეული მათგანი მოტანილმა ამბავმა. უცნაურმა ბოლმამ და გამოურკვეველმა წადილმა მეტყველების უნარი დაუკარგა, თითქო ტუჩები მაგრად მოეკუმათ და მიწას ჩაშტერებოდნენ.

ასეთი მრავლის მეტყველი დუმილი გაგრძელდა რამდენიმე ხანს.

ნაკუდა გამოერკვა პირველი.

— მეფის ბრძანება!.. — ბრაზიანად გაიმეორა იმან და თამბაქოს ნალექი გადააწიტა.

— აქ ომი იყოს, ჩვენ კი აქ ვისხდეთ დიაცებივით, შორიდან ვუყუროთ. ფუჰ! — ქავთარმა დასავლეთის ჩასისხლებულ ღრუბლის ნაგლეჯებს მიაკურთხა და ულვაშის გრძელი ბეწვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერჩა ვაჟკაცს ხელში.

— არა მგონია, ბატონიშვილი ერეკლე მაგრე არ გასჯიდა. არა სჩვევია მაგისთანები.

— ბერის მაინც გაიხმობდა სათათბიროდ.

— ვინ იცის, თავადები აუბნევდნენ გზა-კვალს. შეუჩნდებოდნენ და თავისას გაიტანდნენ. ისინი ხომ ყოველთვის ცდილობენ, მეფე თავიანთ სალამურზე ათამაშონ. ერეკლეც ხშირად წამოეგება ხოლმე ანკესზე.

— ჩვენ დაუკითხავად, დასტურის გარეშე სწყვეტს ერეკლე ჩვენს საქმეს, ესრე არ ივარგებს.

ზაქარიამ ის ერთი თვალი უფრო ფართედ გადახსნა, ბოლმიანად გააელვა და ისედაც გრძელი ცხვირი უფრო დაუგრძელდა, მოიღუშა, გაჯავრდა.

— თუ მიგვიშვა მტერზე პირველად, ვრჩებით, თუ არა და მივდივართ უკან! — გადაჭრით და მტკიცედ განაცხადა ბერომ.

— მაგრე აჯობებს, მაგრე —

დაუდასტურა ყველამ

გამოსაყვალს რომ წააწყდნენ, მოეწონათ, წინამძღოლის გადაწყვეტილება ჭკუაში დაუჯდათ, გულით შეუქეს გამჭრიახობა, მაგრამ ყაყანი ამით როდი შეწყვეტილა. ხმაურობამ უფრო იმატა და ბოლოს ქრიამულად გადაიქცა. უთანხმოების გუგუნად.

გაქაფული მერანი მიაგდო ერეკლემ თუშების რაზმთან. მძლავრად მოზიდულმა სადავეებმა ყალყზე შეაყენა და მისმა ტორებმა ჰაერში შეითამაშეს, ბელტად მოთხრილმა მიწამ კი შუქი შეუნთო იქაურობას.

ყაყანი ერთბაშად შეწყდა, თითქო პირი ქვიშით ამოუვსესო. რამდენიმე ათეული თვალი მიეგება მოსულს.

მეფე უნაგირზე შესწორდა. ისარივით მჭრელი თვალები მოავლო ირგვლივ.

— რა ამბავია, თუშნო, რა განგიზრახავთ?!

რაზმელები წამოიშალნენ, აქამდე ჩამოღუბლულ სახეებზე სიამოვნების, სიხარულის ღიმილმა გადაირბინა.

ყველას ცალკეული გული ერთს გრძნობდა, და ეს ერთი სიყვარული იყო, სიყვარული ამ ზვიადი ადამიანისადმი.

მათ წინ მეფე იდგა და...

რაზმს უყვარდა იგი.

უყვარდა არა როგორც მეფე არა...

მათ მეფე არ ეცოდნენ, არ სურდათ გაეგოთ. ისინი პატივით უხვდებოდნენ მხოლოდ ერეკლეს, პატარა კახს, უფრო მეომარსა და ფოლად გულიანს.

— რა განგიზრახავთ-მეთქი, ღალატს თუ აპირებთ?! — გაუმეორა ერეკლემ რაკი პირველ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო.

მაშინ ბერო გამოეყო ამხანაგებს.

მაგარმა ნაბიჯებმა აზიდეს მისი მძლავრი ტანი. მიუახლოვდა მოსულს.

ცხენის სადავეებს ბალნიანი ხელი გაავლო და...

პირდაპირ, მოურიდებლად შეხედა მეფეს თვალებში.

—ერეკლევ, ჩვენ საომრად მოვედით მთიდან. საომრად დაგვიბარე აქ.

— ჰო, მართალია, საომრად მოგიწოდეთ.

— ბრძოლისათვის შორიდან ყურება ომს როდი ნიშნავს ერეკლე!..

— მერე რა გინდა მაგითი თქვა?..

— ისა, რომ პირველად ჩვენ მიგვიშვი მტერზე.

— ხო, ხო! — გაეცინა მეფეს: — თქვენი ჯერიც მოვა, ბრძოლას მოესწრებით.

— ჩვენ მაინც პირველად გვინდა მივეტიოთ, გული ვერ მოითმენს შორიდან ყურებას! — არ იშლიდა თავისას ბერო.

— არ იქნება. თქვენ მარქაფად მეყოლებით. წინა ფრთას ზურგი უნდა გაუმაგროთ, თუ გაჭირდა, მაშინ გადაერევით.

— მაშინ ჩვენ წავალთ, უკან დავბრუნდებით.

მეფე აენთო, ამისთანა დროს ასეთი ურჩობა.

— ალბათ თქვენც რუსების სატკივარი გადაგედოთ, გინდათ, ზურგი შემაქციოთ, მარტო დამტოვოთ მტრის ხახაში. ეს ხომ ღალატია, ბერო!.. მოღალატეს კი უფალი მოჰკითხავს.

— გწყალობდეს იმისი მადლი, ერეკლე!.. ღალატის გულში გამვლებს რისხავდეს სამება, იახსრისა ხატი, ქვეყნად უქუდოდ მავალს მტერზე მოქნეული ხმალი ცხრად გადაემტვრას, რას ამბობ მაგას, ბატონიშვილო, ეგ რა გვაკადრე? —

— ომის წესი შემდგარია, თუშნო, ზურგი უნდა გაამაგროთ-მეთქი, ხომ გაიგონეთ!

— ერეკლე :აი, მანდ, ჩვენს მონამგლედ ფშავ-ხევსურნი დგანან. დილას ყრილობა მოვახდინეთ და გადავწყვიტეთ, შენი ნებით ბრძოლა ჩვენ დავიწყოთ, სამივე თემმა ერთად. თუშფშავ-ხევსური მთის საერთო ჭირმა შეაძმობილა, შეაკავშირა. ბრძოლა ცალკე არც ეხერხებათ. შემდეგ მოესწრებითო, გვეუბნები. პირველად მიტევებულმა რაზმმა მტერი რომ მილეწოს, გააქციოს, ჩვენ სადლა ვიომოთ. დაბრუნებულმა რა ვუთხრათ ჯალაბს. აუგია, ერეკლევ, ომიდან უომრად წავიდეს კაცი.

— მტერს მაგრე ადვილად ვერ მოვდრეკავთ წელში, ისინი ხუთჯერ გვჭარბობენ, მაგათი გარღვევა ძალიან ძნელი საქმეა. ვფიქრობ, ომი რამდენიმე დღეს გასტანს და ყველას შეგვხვდება ჩვენი საკბილო. ოღონდ ვივარგოთ, გული არ შედრკეს. ეგეც არ იყოს, თქვენი და ბარელების გამარჯვება ვის გაუყვია, იმათი ომი და გამარჯვება თქვენთანაც თანაზიარია.

— ეგ მართალი თქვი, ერეკლევ, რა ბედენაა, მაგრამ შორს დგომას მაინც ვერ მოვითმენთ, გული გასკდება ლოდინით. შეიძლება მოთმინებამ გვიღალატოს და უფრო ცუდი რამ მოვახდინოთ, საერთო საქმეს ზიანი მოვუტანოთ.

— კმარა-მეთქი, ჩემი სიტყვა თქვენთვის კანონი უნდა იყოს.

— ბატონიშვილო, მაშინ ჩვენ წავალთ უკან!

ერეკლეს ცალი წარბი ცახცახით ზევით აეზიდა, თვალებში რისხვა ჩაუდგა და ტუჩები აუთრთოლდა, ხმა ვერ ამოიღო. დაფიქრდა მეფე, იგრძნო საგრძნობი. ის კარგად იცნობდა ამ ჯიუტ ხალხს. იცოდა, რომ მათთან მისი მეფური ძალა უძლური იყო და...

გულისთქმა ისევ გონებას დაუმორჩილა, მეტი გზა არ იყო, უნდა დაეთმო. თორემ ისედაც რიცხობრივად მცირე ქართველი ჯარი მტერს ერთ ლუკმად არ ეყოფოდა.

— კარგით, თუშნო, თანახმა ვარ, წინა კედლად თქვენ წახვალთ ჩემი პირადი წინამძღოლობით. ჩემს ძახილზე გამოდით, თავისით არვინ გაბედოს. ეგრე გადაეცით ფშავ-ხევსურთაც.

— ხო, ხო, ხო!.. ესრე აჯობებს, ერეკლევ, ესრე, — ჩაიგრუხუნა ბერომ და მოწონების ნიშნად მძლავრად დაარტყა თავისი უზარმაზარი ხელი მეფის უნაგირიდან გადმოკიდებულ მუხლს.

— ჰო და ეგრე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

— შენაც გწყალობდეს, ბატონიშვილო, ყოველთვის გამარჯვებული გვენახე...

ულაყმა იგრძნო ფერდებში მსუბუქად მოხვედრილი ქუსლი. გახელდა, თვალების ბრდღვიალით ტანი შეათრთოლა, გაჭიმა და პირდაღებული გავარდა სხვა რაზმისაკენ.

თუშებმა კმაყოფილი თვალებით გააცილეს მხედარი და არეული სიმღერა აადევნეს მის ფართოდ გაშლილ ბეჭებს:

„ბატონიშვილი ერეკლე,
ერთი პატარა კაცია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გაცია".

1938 წ. იანვარი

ლეოპოლდ სტაფი

# ევროპული პოეზია

## ნეტარი წამის სევდა-სალბუნი

I.

მთები! ვინ მოსთვლის, მთები რამდენ სასწაულს
უფლობს,
მზის დამბურავი ღრუბლები რომ კვამლივით
ბოლავს!... —
სხივების ხმალი ფაფარს აჭრის უხედნელ ღრუბლებს
და ჰგავს ჭრილობა სიამისგან სხეულის ჟრჟოლას.
ბუმბერაზების სამიჯნუროდ ფონია მთები,
სადაც სხეული სხეულს ეწყმის სანუკვარ ნატვრად,
რომ აღფრთოვანდნენ და განზავდნენ ციური შვებით —
ნისლში, ელვაში და ქუხილში და კიდევ სადღაც!

ზეცას დაკბილულ კონგურებით ქიმები თხრიან
და მოუხმობენ არწივებს და წვიმებს და მეხებს...
ხრამთა ფილტვები ისუნთქავენ სივრცეთა წიალს,
ქართა რემები სიშორეთა ტკბილეულს თქვლეფენ.
მიუნარცხება ექო მჭახედ ქარაფებს შუბლზე, —
ლოდების ნაფშხვენს ჩამოყვება და ჰაერს ფატრავს.
ნეტა, მწვერვალთა ჩახუტება შეგვეძლოს უცებ —
ნისლში, ელვაში და ქუხილში და კიდევ სადღაც!

რა შეიძლება შექმნილიყო აქ, სულის გარდა! —
ამ ღვთიურ ფონზე ზეციერნი სპექტაკლებს დგამენ..
ტკბობაა ლხენით და არასდროს ეშვება ფარდა
და ვარსკვლავების ძვირფას ქვებით ივსება ღამე.
ეხ, ჩამოიკრას ცაზე გული, ვით ტაძრის ზარი!
მაგრამ მშვიდად ხარ და კვლავ იქნევს სიცივე მათრხას,—
შენ ხომ გინდოდა ბედნიერ დღის გაგეღო კარი —
ნისლში, ელვაში და ქუხილში და კიდევ სადღაც!

II.

შენკენ სავალი გზა გაგრძელდა და ვიღამ მიხსნას!
შენი მეორედ ნახვა კიდევ როდისღა მიწევს!
ბედნიერებას მოწყურებულ ჭაბუკურ სისხლით

როდემდე კვებოს სიყვარულმა ეს დრო და სივრცე! —
ჰო, მოგონებებს, რასაც მე ამხლოვ ფიქრებით შენზე, —
შთანთქავს ორივე და ჩემს ხსოვნას აკლდება შუქი...
მითხარ, იმქვეყნად ნუთუ სული სიცოცხლეს შესძლებს,
არ შეუძლია ნეტარებით სიკვდილი თუკი!!!

დაბრუნდი, გესმის?! თორემ ქრება უზეთოდ ლამპა!
ბედნიერებას ზოგჯერ ვკარგავთ უაზროდ, უცებ,
როგორც კარგავენ ძვირფას ბეჭედს აკლდამის კართან,
როგორც სათიბში ცელი ფანტავს ყვავილთა ფურცლებს,
არ მისცე ნება მოგონებებს — მოგვენთონ ცეცხლად,
ვიდრე არ გაქრნენ თავისსავე სამარში ჩუმად...
მითხარ, იმქვეყნად ნუთუ სული სიცოცხლეს შესძლებს,
არ შეუძლია ნეტარებით სიკვდილი თუკი!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გზას მეორედ ვერ გავივლით... — ისეთიც არის
ქვეყნად საათი, ჩვენ რომ არ გვაქვს მომართვის ნება.
იგი ერთსა და იმავე დროს არასდროს დარეკს
ორჯერ. და მყის დრო ვინც უარყო — ლატაკი კვდება.
დრო მკურნალია, ოღონდ მწარე წამლით გვწამლობს,
გვავიწყებს ტკივილს ძალზე ძვირფასსს და გულის ნდომას.
მაგრამ სულს, თვითონ სიკვდილშიაც სიცოცხლე ძალუძს,
თუმც ამა ქვეყნად ნეტარებით არ ძალუძს კვდომა.

III.

მარგალიტდება ვერცხლის მოლზე ღამეში ნამი
შენი მშვენების უმწიკვლობით, ნუ სტირი, კმარა!
როგორც მიჯნურთა სარეცელი, ღრმა არი ღამე, —
მიწვეული ვართ სანეტაროდ, — წამოდი ჩქარა!
მომე ტუჩები — პეპლის ფრთები, — დავადნე ზედა!
ეგ ხელუხლები მკერდიც მომე, ძვირფასო, ბარემ! —
ნუ უფრთხი ვნებას! — წამი იგი ტკბილია მეტად, —
მის შემდეგ ყოფნა არ იქნება არ იყოს მწარე.

რად მეშინია, რომ გადავცდე ზღურბლს, რომლის იქით
დამცხრალი სული ჩავლილ სევდას ცრემლებით ნამავს!
სიმღერას ახშობს მოშრიალე ხეების რიგი,
ნავსაყუდელში ნახავს ნავი ნავარდის სამანს.
კვდება ყოველი, მაგრამ ვიდრე იქცევა ფერფლად —
გრძელდება წამი, რასაც ითვლის ვარსკვლავთა მხარე...
და რარიგ ტკბილი უნდა იყოს ის წამი, ნეტა
რომ ყოველივე იმის შემდეგ აღმოჩნდეს მწარე!

განა სიზმარი იქნებოდა ნეტარი უფრო,
ან დაგვიყრიდა განა ცხადი უფრო ტკბილ საჯენკს,
რომ არ მოგვესვა ბოლო ტანჯვის შხამი და ქუფრი
და არ შეგვეხო პირველ ტკბობის ბაგეზე ბაგე?
ვარსკვლავი ვერცხლის თასით გვაღვრის სინათლეს
ნეტარს.

ღამე კი გვიცავს, ვიდრე ჟამი წასვლისა დარეკს...
ნუ უფრთხი ვნებას! — წამი იგი ტკბილია მეტად, —
მის შემდეგ ყოფნა არ იქნება არ იყოს მწარე.

IV.

მოკლეა ღამე. და ვარდები თავს ცუდად გრძნობენ
ამ დამტკბარ ბუღში, და უდროოდ-სურთ ჭკნობა ნაზებს.
ვარსკვლავთ თასებში ღვინო კვლავაც ისხმება ტკბობის
და სილამაზე ჩვენთვის დარდობს ცარიელ ცაზე.
ასეთ ღამეში სიყვარულზე ნუ დაძრავ სიტყვას!
ნეტა მას, კოცნა ვინც შეიტკბო და უცქერს მთვარეს!
რით გვიმასპინძლებს უხილავი ხვალ, ნუღარ მკითხავ...
ვინ გითხრა, წამი რომ ას წელზე პატარა არის?!

ვარსკვლავებს ალვრის ცა ნამიან ბალახთა მყესებს,
სევდის ვერცხლისფერ ძაფებს ღამე ართავს და ართავს.
ჩემი ტუჩები შენს დაღლილში ოცნებით კვნესენ... —
ტკბობა გვაშმაგებს, სიშმაგეში სიბრძნეა მართლაც.
სიყვარული და ღვთის რჩეულნი კვდებიან ადრე
და მაინც გვხიბლავს სილამაზე მთისა და ბარის...
მზეც ლამაზია, ეფარება თუმც მწუხრის ფარდებს... —
ვინ გითხრა, წამი რომ ას წელზე პატარა არის?!

მოდი, ჩაყვინთე ჩემს მკლავებში და გრძნობით მბრწყინავ,
ფარული აზრით მოსვი სიბრძნე განცხრომის ჟამის...
წამს შეიმეცნებს და განიცდის არსობით ვინაც,
მარადისობას მას უბოძებს ყოველი წამი.
მარადისობა სიყვარულში სვამს წამის ტუჩით
თავის მშვენებას და წეროებს მიჰყვება ზარით...
ამქვეყნად კვდება ყველაფერი და დგება ყუჩი... —
ვინ გითხრა, წამი რომ ას წელზე პატარა არის?!

V.

თვალებო, ცრემლის ნისლეთიდან რატომ გაჰყურებთ
ჩამავალი მზის ამ ნელინელ გარდაცვალებას,
თუკი თქვენს გუგებს, ვით ჰრილობებს შხამით ნაპკურებს,
ტკივილს აყენებს მისი ცქერა და გებრალებათ?!
გეყოთ, თვალებო, მზიანი დღე ხომ იყო გრძელი! —
ჯობს მისი ხსოვნით ანუგეშოთ გული ნასეტყვი!..
ჯობს აიფაროთ მზის ჩასვლამდე, თვალებო, ხელი! —
ნუთუ სიხარულს მწუხარება მოსდევს ასეთი!

განშორების ჟამს ნუ აკოცებთ ტუჩებს, ტუჩებო, —
იმ თაფლის ბოლო წვეთით უკვე ველარ დატკბებით...
ჟრჟოლის სიამე სახეს რჩება ღრმა ნაოჭებად,
შუბლზე თბილ ხსოვნის ადგილს იჭერს ცივი დარდები,
და მაგ დარდების ფსკერი ნუთუ ისე ღრმადაა,

რომ უკმარობას ჩვენ სიკვდილით უნდა ვავსებდეთ
და იმ გზას ვადგეთ, უფსკრულებზე რომ ვერ გადავა! —
ნუთუ სიხარულს მწუხარება მოსდევს ასეთი!

ჰოდა, შეწყვეტილ სიმღერასა და ექოს შორის,
და ტალღასა და მისკენ მიმსწრაფ ნაფეხურს შორის,
და წერილსა და აჩქარებულ მის გახსნას შორის,
და კიდევ, სტუმრად მიწვევასა და წასვლას შორის,
და გაწვდილ ხელსა და ტოტებზე მზე-ვაშლებს შორის,
და ბაგესა და თასში მთრთოლვარ ზედაშეს შორის —
თვლემს ნეტარება, რაც სავსეა ცის სინაზით...
მაგრამ უნდა ვზღოთ მწუხარებით ლხენა ასეთი!

VI.

დაშაქრდა დარდი, როგორც ბალი გვიანი სთველის,
ფოთოლთა ოქრო მკვდარ ზაფხულის ხსოვნად რომ მოსავს.
სულს ბურავს დარდი, დარდითა მაქვს თვალები სველი, —
ჩავლილ გაზაფხულს არ მომიტანს აპრილის მოსვლა...
ჩანს ტრფობის სევდა ნეტარების ბოლონდელ ხატად...
სთვლური ღიმილი ჩვენთა სულთა, აცოცხლებს ყანას...
იჭერს მზის აჩრდილს მებადური ქსოვილის ბადით... —
ეხ, ვარდებიდან რა იყნოსა, ქარს ახსოვს განა?!

იყო, — წავიდა! სამყურებმა არც კი უწყიან,
ფუტკრებმა სულის რა ნაწილი წაიღეს მათგან.
ჩვენ ვსვამდით ძვირფას ღვინოების სიამეს უცხოს,
მაგრამ ბოლომდე ვერ დავლიეთ, — სხვა ჟამი დადგა, —
დაბერდა ბალი, სად ჰყვაოდა ვაზიც და ბალიც,
და დღეს ყვავილთა დამჭკნარ შუბლზე ფიფქები წვანან,
წაშალა ქარმა ჩამოცვენილ ფოთლების კვალი... —
ეხ, ვარდებიდან რა იყნოსა, ქარს ახსოვს განა?!

ბედნიერებას ის აქვს დარდად, რომ ყველა მიდის.
დამცხრალი ვნება ოქროვდება ხსოვნათა გამო —
ეხვევა სევდა, როგორც სურო, ეხვევა რიდით,
რადგან ვერასდროს ვერ ჩაიცვამს პირვანდელ სამოსს.
ვნებამწირია, ვინც წყაროზე წყალს ცოტას დალევს,
წყალი კი დიდხანს თრთის და გული დაწყდება თანაც.
კოცნას მისტირის ბაგე — უნდა გაცივდეს მალე... —
ეხ, ვარდებიდან რა იყნოსა, ქარს ახსოვს განა?!

VII.

ეხ, სიჭაბუკევ! ეხ, ვარდებო! ეხ, ჩემო კარგო!
მშვენიერება წარმავლობით მარადი გახლავთ...
მე სიყვარულის გზაზე უფრო სანდო და ქარგულ
ადგილას კოშკი ვერ ავიგე და რა ვქნა ახლა?!
გულს, ყოველივეს რომ ეჩვევა და ფეთქავს რიდით —

გარს ეხვევიან სინანულის ლანდები გუნდად
აქ, სადაც სთვლობის შესახვედრად ზაფხული მიდის.
ხოლო შუადღე შეღამებას განელტოს უნდა!

ვით სთვლობა, რომლის ლამაზ კაბას სიგრძე და განი
შემოაცვდება და სიშიშვლე შერჩება გორაკს —
ისეა ყველა სიყვარული, და თვითონ ვარიც —
ჩავლილთა ღამენათევარი — იქცევა შორად.
უმწეო წამი თრთის, ცახცახებს, ვით ვერხვი დიდი,
რომელმაც იცის რომ წააქცევს ნაჯახი უნდო
აქ, სადაც სთვლობის შესახვედრად ზაფხული მიდის,
ხოლო შუადღე შეღამებას განელტოს უნდა!

ისურვე კოცნა დაუკოცნელ ყელის, ტუჩების,
რათა არ იყვნენ მუდამ კოცნის ოცნებით სავსე.
თუ მოგონება შეინახე, როგორც საუნჯე —
დაემსგავსება უსათუოდ ის შუშის ნამსხვრევს.
ვით მზესუმზირა, ჩემი ოქროს სარკმელი მშვიდი
ჰვრეტს განა მარტო იმ მზეს, ახლა მწუხრი რომ ბუნდავს
აქ, სადაც სთვლობის შესახვედრად ზაფხული მიდის,
ხოლო შუადღე შეღამებას განელტოს უნდა!

VIII.

ცვივა ფოთლები შემოდგომის უმწეო მზეზე
ისე, ვით კოცნა სასოების — სიწმინდით სრულით.
შუბლზე მემჩნევა უკვე გულის ყოველი კვნესა,
ხოლო სიმშვიდის მდინარეში ნაბანი სული —
გამოტირებულ სიყვარულის ბინდით და ჩრდილით
არ უბრუნდება უკვე გავლილ დღეთა სამანებს...
...მისი ტუჩები იყო ძალზე ცხელი და ტკბილი,
ბაღში კი იდგა და ჰყვაოდა იასამანი...

განკურნებულა ჩემი გული დარდებით წვისგან
და აღარ იცის, ვერ იხსენებს აქამდე კიდევ,
თუ რად დაფლითა ისე ულვთოდ დღეების რისხვამ,
როგორც ფოთოლი, გაყოლილი გრიგალის ზვირთებს.
სულს, ნისლებში რომ იძირება მოწყენილ დილით,
არ სურს წამება მოგონების ძველი საგანით...
...მისი ტუჩები იყო ძალზე ცხელი და ტკბილი,
ბაღში კი იდგა და ჰყვაოდა იასამანი...

ვინ, სად დაგესლა ის ტუჩები, გულს აღარ ახსოვს,
არც სურს ახსოვდეს, საგულეში მდუმარებს, ვხედავ,
გულს უხარია, დრო რომ დგება ნაღველით სავსე
და აღარ უნდა მობრუნება ბედნიერ დღეთა.
არ ვდარდობ სიზმრებს, რომ გამქრალან, ვით ქაფი ძილის,
ან რად ვიკვლიო იმ სიზმრების ავან-ჩავანი?!.
...მისი ტუჩები იყო ძალზე ცხელი და ტკბილი,
ბაღში კი იდგა და ჰყვაოდა იასამანი...

IX.

ეხ, სულო, სულო! მზიანმა დღემ ნაზი ვარდებით
კვლავ ჩაუარა შენი სახლის სარკმელს და ლობოს.
შენ ძილის მომგვრელ ყაყაჩოთი გიჯობს დათრობა,
ვიდრე სიცოცხლის შთამბერავი ვარდები კრიფო...
აი, შენს ზღურბლთან ჩაიარა შუადღემ ისევ,
ოღონდ ისეთი ცივი მზერით, არ გცნობდეს თითქოს.
აკი შენ, გულო, დაემალე სიმწარეს ისე,
ხომ ვერ გიპოვის ველარაფრით ცხოვრების სიტკბო.

მთელ დღეს იტირო, მოგონებით დაღვრილი ცრემლი
აღარ გამშვიდებს, მაგრამ მაინც სიამეს აფენს.
დღისით ჩეროებს ღამის შიშით წყევლი და წყევლი,
დღეს ნატრობ, როცა ღამე ახვევს სიბნელის ძაფებს.
რად წამლავს სთველის მონაბერი ქარები მქისე
შენში გაზაფხულს, რაც ნაყოფის მწიფობას ითხოვს?
აკი შენ, გულო, დაემალე სიმწარეს ისე,
რომ ვერ გიპოვის ველარაფრით ცხოვრების სიტკბო.

რა მოხდა, ექლით თუკი ვარდმა თოვლივით თეთრმა
გადინა სისხლი! — ხომ გატკბობდა სურნელი ვარდის!
ერთ ნაპირს გასცდი, მართალია შენ ნავით ერთხელ,
მაგრამ მეორეს ვერ მიადექ და ამას დარდობ.
უფრთხი იმედის გაცრუებას და ეძებ მიზეზს,
რომ განერიდო ნეტარებას, რაც გრძნობებს გითრობს.
აკი შენ, გულო, დაემალე სიმწარეს ისე,
რომ ვერ გიპოვის ველარაფრით ცხოვრების სიტკბო!

X.

არ ჩაუარა განა სულმა ღალატის ხაფანგს
ტყვეობის შიშით, რაკი სურდა შარბათი ლხენის?!
განა ისაა სათნოება, დღეს სულს რომ ღაფავს?!
ვხედავ, მოვტყუვდი მე ცდუნების მოთაფლულ ენით.
გადავუარე მე მდევრებით მოფენილ ზეგანს,
ლაღი ჩიტივით და ლავეშვი სიმღერის ხმაში...
მაგრამ თუ ზარი მოგონების დღეს ჩემთვის რეკავს,
იმ სამრეკლოზე ძველი წყენა მნათეა მაშინ.

არც კი დაპხედა მოშუშებულ წყლულის ნაწიბურს
მშვიდი შრიალით შემოსილმა შუადღის შუქმა.
მე, ვერცხლისფერი აბლაბუდა ქვეყნად რაც იყო,
შემომაბლანდა სიყვარულმა... განათუ უქმად!
დავწყვიტე სუსტი ბორკილები — ვიქეცი მეხად,
რომ საბოლოოდ გავქცეოდი ტყვეობას საშიშს...
მაგრამ თუ ზარი მოგონების დღეს ჩემთვის რეკავს,
იმ სამრეკლოზე ძველი წყენა მნათეა მაშინ!

ვით ქარაფს ნავი, ისე უფრთხის გარდასულს აზრი...
უგზოდ დარჩენილ გულს კი ტანჯავს იმაზე ფიქრი,
რომ ვინც ოცნებით მიდიოდა ცხოვრების გზაზე,
უცებ სიკვდილის სარეცელზე არ მოხვდეს იგი...
გათავდა!.. სისხლი საფეთქლებზე არ მასობს ეკალს,
სიმშვიდე ბრწყინავს უკვე შუბლის ნაოჭთა ღარში...
მაგრამ თუ ზარი მოგონების დღეს ჩემთვის რეკავს,
იმ სამრეკლოზე ძველი წყენა მნათეა მაშინ!

თარგმნა ᲑᲐᲗᲣ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲛ.

დიმიტრი ლიხაჩოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტელიგენტობის შესახებ

ინტელიგენტობა განათლებულობაში არ უნდა აგვერიოს.

განათლებულობა ძველი შინაარსით ცხოვრობს, ინტელიგენტობა ახალს ქმნის და გააზრებს ძველს, როგორც ახალს.

მეტიც... წაართვით ადამიანს მთელი მისი ცოდნა, განათლება, შეგიძლიათ ის თვით მეხსიერების გარეშეც კი დატოვოთ, მაგრამ თუ იგი, ამავე დროს, შეინარჩუნებს ინტელექტუალურ ფასეულობათა შეთვისების უნარს, ცოდნის შეძენის სიყვარულს, ინტერესს ისტორიისადმი, გემოვნებას ხელოვნებაში, პატივისცემას წინობრივ საკითხთა გადაწყვეტაში და ენის სიმდიდრესა და სიზუსტეს მეტყველებისას და წერისას — სწორედ ეს იქნება ინტელიგენტობა.

ცხადია, ინტელიგენტობა განათლებულობაში არ უნდა აგვერიოს, მაგრამ ინტელიგენტისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა სწორედ განათლებას აქვს. რაც უფრო ინტელიგენტია ადამიანი, მით მეტად მიუწევს მას გული განათლებისკენ. და აქ ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი თვისება განათლებისა: რაც მეტი იცის კაცმა, მით უფრო იოლად იძენს იგი ახალ ცოდნას. ახალი ცოდნა ადვილად „თავსდება" ძველის მარაგში, ალიბეჭდება მეხსიერებაში, პოულობს თავის ადგილს.

მოვიყვან პირველსავე მაგალითს, რომელიც გამახსენდა. ოციან წლებში ვიცნობდი მხატვარ ქსენია პოლოვცევას და მაოცებდა მისი ნაცნობობა საუკუნის დასაწყისის ბევრ ცნობილ ადამიანთან. გაგონილი მქონდა, პოლოვცევები მდიდრები იყვნენო, მაგრამ ცოტა უკეთ რომ მცოდნოდა ამ ოჯახის ისტორია, მისი სიმდიდრის ფუნომენალური ისტორია — რამდენ საინტერესოს და მნიშვნელოვანს გავიგებდი მაშინ მხატვრისგან. მე ხომ მზად მექნებოდა „მალითა", რათა გამეგო და დამეხსომებინა.

ან კიდევ. სხვა მაგალითი იმავე დროიდან. ოციან წლებში ჩვენ გვქონდა ბიბლიოთეკა უიშვიათესი წიგნებისა, რომლებიც ი. ი. იონოვს ეკუთვნოდა. რამდენი ახალი ცოდნა შემეძლო შემეძინა წიგნების შესახებ, იმ დროისთვის თუნდაც ცოტა მეტი რომ მცოდნოდა წიგნებზე.

რაც უფრო მეტი იცის ადამიანმა, მით უფრო იოლად იძენს იგი ახალ ცოდნას.

ფიქრობენ, რომ ცოდნის სფერო მეხსიერების რაღაც გარკვეული მოცულობით არის შეზღუდული, სხვადასხვა ცოდნებია მოთავსებული დიდ სივიწროვეში. პირიქით, რაც უფრო დიდი ცოდნა აქვს კაცს, მით უფრო იოლია მისთვის ახლის შეძენა.

ცოდნის შეძენის უნარიც ინტელიგენტობაა.

გარდა ამისა, ინტელიგენტი „განსაკუთრებული წყობის" ადამიანია: იგი შემწყნარებელია, ინტელექტუალურ სფეროში იოლია მასთან ურთიერთობა, ის არ ემორჩილება არანაირ — მათ შორის, არც შოვინისტურ — ცრურწმენებს.

ბევრნი ფიქრობენ, რომ ერთხელ შეძენილ ინტელიგენტობას შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებს ადამიანი. მცდარი აზრია! ინტელიგენტობის ალს შენახვა სჭირდება. ბევრი უნდა იკითხო და იკითხო შერჩევით. ინტელიგენტობის მთავარი (თუმცა არა ერთადერთი) ალმზრდელი, მისი უმთავრესი „საწვავი" კითხვაა. „გონს ნუ ჩააქრობთ!"

წარმოსახული საუბარი „ერთი-ერთზე" ჩემს წარმოსახულ მეტოქე-აკადემიკოსთან „უზკოეს" სასტუმრო ოთახში. ის: „თქვენ ხოტბას ასხამთ ინტელიგენტობას, მაგრამ შეხვედრაზე, რომელიც ტელევიზიით გადაიცა უარი თქვით ზუსტად განგესაზღვრათ რა არის ეს". მე: „დიახ, ახეა. სამაგიეროდ შემიძლია გაჩვენოთ რა არის ნახევრადინტელიგენტობა. მითხარით, ხშირად ხართ ხოლმე „უზკოეში"?" ის: „კი, ხშირად". მე: „თუ შეიძლება მიპასუხეთ, რომელი მხატვრების ფუნჯს ეკუთვნის XVIII

საუკუნის ეს სურათები?“ ის: „არ ვიცი“. მე: „მართალია, ძნელი კითხვაა. იქნებ გეთქვათ რა სიუჟეტებია ამ სურათებზე ასახული. ეს ხომ იოლია“. ის: „არა, არც ეს ვიცი. რაღაც მითოლოგიაა“. მე: „აი, სწორედ ეს უინტერესობა გარემომცველი კულტურული ფასეულობებისადმი არის არაინტელიგენტობა“.

ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ადამიანური თვისება არის ინდივიდუალობა. იგი დაბადებიდან, „ბედისგან“ გვეძლევა და გულწრფელობის მეშვეობით ვითარდება: ყველაფერში შენი თავის ერთგული უნდა იყო — პროფესიის არჩევიდან დაწყებული და ლაპარაკისა და სიარულის მანერით დამთავრებული.

საკუთარ თავში გულწრფელობის აღზრდა შესაძლებელია.

კულტურის უშუალობა და უშუალობის კულტურა. კულტურა ყოველთვის გულწრფელია. იგი გულწრფელია თვითგამოხატვისას. და კულტურული ადამიანი არასოდეს ცდილობს ვინმედ ან რამედ მოგვაჩვენოს თავი (იქნებ, იმ შემთხვევების გარდა, როცა ამას ხელოვნების— მაგალითად, თეატრალური ხელოვნების — კანონები მოითხოვს, მაგრამ აქაც საჭიროა თავისებური უშუალობა). ამასთან, უშუალობასა და გულწრფელობასაც უნდა გააჩნდეს თავისი კულტურა, რათა ცინიზმად, მაყურებლის, მსმენელისა და მკითხველის წინაშე სულის გადმოტრიალებად არ გადაიქცეს.

ხელოვნების ყოველი ნაწარმოები სხვებისათვის იქმნება ,მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვანი შემოქმედების პროცესში თითქოსდა ივიწყებს ამ სხვებს. იგი „მეფეა“ და „მარტოდმარტო ცხოვრობს“.

კანონთა დონეები: ფიზიკური, ფიზიკურზე მაღლა დგას ბიოლოგიური, კიდევ უფრო მაღლა — სოციოლოგიური და ყველაზე მაღალ საფეხურზე — კულტურული. ყველაფრის საფუძველი პირველ საფეხურებშია, გამაერთიანებელი ძალა — კულტურულ დონეში.

მოწაფეობისას ვიყავი ჩრდილოეთში პომორებთან. გამაოცა მათმა ინტელიგენტობამ, განსაკუთრებულმა ხალხურმა კულტურამ, ხალხური ენის კულტურამ, განსაკუთრებულმა ხელნაწერმა განათლებულობამ (ისინი სტაროობრიადცები იყვნენ), სტუმრების მიღების ეტიკეტმა, კულტურული შრომის, ჭამის ეტიკეტმა, დელიკატურობამ და ა. შ. და ა. შ. სიტყვები ვერ მიპოვნია ჩემი აღფრთოვანების გადმოსაცემად.. გაცილებით უარესი შთაბეჭდილება მოახდინეს ყოფილი ორიოლისა და ტულის გუბერნიების გლეხებმა. აქ დამხვდა ბატონყმობისგან, გაჭირვებისგან დაჩაგრულობა და უწიგნურობა. პომორებს კი საკუთარი ღირსების გრძნობა გააჩნდათ. ისინი [illegible]. დღემდე მახსოვს ოჯახის თავის, ჯანიანი პომორის აღფრთოვანება და გაოცება ზღვით (ისე [illegible] ზღვას, როგორც ცოცხალ არსებას). დარწმუნებული ვარ: ტოლსტოი რომ მოხვედრილიყო მათთან ურთიერთობა და ნდობა მაშინვე დამყარდებოდა. პომორებს მხოლოდ ინტელიგენტობა როდი გააჩნდათ. მათ ჰქონდათ [illegible] და არც ერთი მათგანი არ [illegible] და პეტერბურგში გადასახლებას. მაგრამ როდესაც პეტრემ ისინი მეზღვაურებად აიყვანა, პომორებმა მისი ხომალდები [illegible]. ისინი იმარჯვებდნენ [illegible] ადრიატიკის [illegible], ბალტიის ზღვებზე... და ასე მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში. ჩრდილოეთი საყოველთაო წიგნიერების მხარე იყო, ხოლო აქაურები უწიგნურებად იმიტომ იყვნენ ჩაწერილები, რომ ისინი (ერთობლივ ჩრდილოელები) უარს ამბობდნენ საერო ნაბეჭდი პროდუქცია ეკითხათ. სწორედ მაღალი კულტურის წყალობით შეინარჩუნეს მათ ფოლკლორი.

ინტელიგენტები სძულთ ნახევრადინტელიგენტებს, რომლებსაც ძალიან უნდათ სრული ინტელიგენტები იყვნენ. ნახევრადინტელიგენტები ადამიანთა ყველაზე საშინელი კატეგორიაა მათ თავი ყოვლისმცოდნეები ჰგონიათ, შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ, იმბრძანებლონ, სხვათა ბედი განაგონ და ა. შ. ისინი არავის არაფერს ეკითხებიან, რჩევას არ სთხოვენ, არ უსმენენ (მორალურად ყრუები არიან). ნამდვილმა ინტელიგენტმა იცის თავისი „ცოდნის“ ფასი. ეს მისი უმთავრესი „ცოდნაა“. აქედან მომდინარეობს სხვებისადმი პატივისცემა, სიფრთხილე, დელიკატურობა, გულისხმიერება სხვათა ბედის გადაწყვეტისას და უტეხი ნება ზნეობრივი პრინციპების დაცვისას (მაგიდაზე მუშტს მხოლოდ ხუსტი ნერვების პატრონი აბრახუნებს, ვინც დარწმუნებული არ არის თავის სიმართლეში).

ტოლსტოის ყველა ნაწერს ახასიათებს „ფორმის სიმორცხვე“. მას არ უყვარდა ვრონსკების გარეგნული ბრწყინვალება. მაგრამ იგი ჭეშმარიტი სულიერი არისტოკრატი იყო. იგივე ითქმის დოსტოევსკიზე. მას სძულდა თვით ფორმა არისტოკრატიზმისა. მაგრამ მიშკინი თავადი გახადა. თავადს უწოდებს გრუშენკა ალიოშა კარამაზოვს. ისინი სულიერი არისტოკრატები არიან. გაკრიალებული დახრულებული ფორმა სძულდათ რუს მწერლებს. თვით პუშკინიც კი პოეზიაში პროზისკენ ისწრაფვის — უბრალო, ლაკონური უხამკაული პროზისკენ. ფლობერები რუსულ სტილს არ ესადაგება. მაგრამ ეს დიდი თემაა.

ერი, რომელიც არ აფასებს ინტელიგენტობას, დასაღუპად არის განწირული.

თარგმნა ზაზა ქვერცხიშვილმა

ქართული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# გიორგი ლეონიძის პოეზია

საქართველოს უკვდავების, უძლეველობის სიმბოლოდ გამოიყურება განმარტოებით მდგარი, მეხთატეხისაგან ტანდაბზარული დიდებული ხე („შავი ზღვის პირს შავი მუხა“), რომელსაც აჟივჟივებული ჩიტები შემოხვევიან და ნაჭრილობევს უამებენ: „ნისკარტებით ზედ აფენდნენ ცისარტყელას ჩამონაჭრებს“.

ეს პირწმინდად ლეონიძისეული სახეა, მის მიერ დანახული, ნაგრძნობი და მისებურადვე გამოთქმული. გრძნეული ხილვაფართოვდება, ივსება, ფერიულ ხანახაობად იქცევა:

ნისკარტებით ციდან სხივი
და ცვარ-ნამი ჩამოჰქონდათ,
და რამდენიც ეგალობათ,
ხეს იმდენი ბზარი ჰქონდა.

ყოველი მხრიდან დაძრული ქარიშხლების პირისპირ ისევ ამაყად, პირქუშად დგას უდრეკი ხე და ტალღების ყოველ დაკვრაზე ფესვებს იმრავლებს, სულ უფრო მძლავრად ებიდება მშობელი მიწის წიაღს.

ეს ის მუმლდახეული, საუკუნეებში გამოვლილი, ქირქდახეთქილი მუხაა, ჩვენი ხალხის შეუმუსვრელ ჯიშს რომ განასახიერებს, მოთხრა და დაცემა რომ არ უწერია.

გიორგი ლეონიძე ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების უბადლო მცოდნე იყო (ამაზე არაერთგზის თქმულა). ქართველებს უყვარდათ სხვადასხვა სასმისებსა თუ იარაღებზე, შენობის ფასადებსა თუ საფლავის ქვებზე მარჯვედ გალექსილი სტრიქონების ამოკვეთა. ამგვარი ჩვეულების თავისებური სტილიზაციაა ლექსების მცირე რკალი „ძველი ქართული წარწერები“.

პირველი ლექსი „წარწერა თასზე“ — ოდესღაც სილამაზით განთქმული ბანოვანის პირით ნათქვამი ყმაწვილქალობის სევდიანი გახსენება და გამოგლოვებაა, ნიავქარივით ჩაქროლილ ახალგაზრდობაზე ვაება, რასაც მუდამ მწვავედ განიცდიდა თითონ პოეტი.

ახევე სხარტი და უშუალოა „ტაძარზე“ — მაღალოსტატურად გალექსილი მცირე მინაწერი, ქებათა ქება ქედმადლიანი ხარისა, რომელმაც კაცზე არანაკლები წვლილი გაიღო მთის კორტოხზე წამომართული უფლის სახლის ასაშენებლად. ამ რამდენიმე სტრიქონს რომ ჩაიკითხავ ,ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს უზომოდ ნაჯაფარი „საწყალი ხარი ნიკორა“ თავისი დიდრონი, წყლიანი თვალებით მოგვჩერებოდეს.

ყველაზე ლაღი და შთამბეჭდავი ამათ შორის ბოლო ლექსი — „რაინდის ეპიტაფია“ — გახლავთ. აქ თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე გმირი (ავთანდილიც შეიძლება ვიგულისხმოთ და ტარიელიც) გველაპარაკება. გულხელდაკრეფილი მოყმის დანაბარებში მამა-პაპათა კეთილშობილურ ტრადიციებზე აღზრდილი დიდგვაროვანი ფეოდალის მთელი ცხოვრება და არსებობის წესია — დატეული — მონადირის, მეომრის, ძმადნაფიცის, თავისი ულლის გამწევზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცის სახე იკვეთება რუსთველურად მოქნილ შაირში:

მიყვარდა სმა და ნადიმი,
ამხანაგები რჩეული,
თეთრი მიმინო მიყვარდა,
ჩემს ცერზე შემოჩვეული.
ვიცოდი მიჯნურისათვის
ცრემლთაღვრა, გაჭრა, ხელობა,
რაზმის გაპობა სეტყვასებრ,
ყაბახზე ცხენფიცხელობა,
მომსხლა სიკვდილის ნამგალმა,
საფლავს მქნა ჩამონაყარი,
დავტოვე ცოლი ლამაზი,
ცხენი და კოშკი მაღალი..
ცხენი უკულმა აჰკაზმეთ,
ცოლმა დაიჭრას კავები,

გაგრძელება .დასაწყისი იხ. ჟ. „მნათობი“, №

ხმალი ხელთ დამაჭერინეთ
დამიწებული მკლავებით,
დაფას დაჰკარით, მიმღერეთ,
სთქვით შოთას ტკბილი ტაეპი.

ესაა სულის ხსენებაც და უკვდავების თავისებური სურვილიც; ყველაფერი, რაც უყვარდა და რისი ნატვრაც თან წაიყოლა სამზეოდან წასულმა, ნათელს მოსწყვეტილმა კაცმა ბნელ სამარეში.

გიორგი ლეონიძეს პატარა ბიჭობიდანვე შესისხლხორცებული, გათავისებული ჰქონდა „ქართლის ცხოვრება“, თითქმის ზეპირად იცოდა ჩვენი ქვეყნის სისხლიანი მატიანეები, ჩავლილს, ისტორიის ფსკერზე დალექილს ვერ ეთიშებოდა; შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერთდროულად ცხოვრობდა წარსულსა და დღევანდელობაში. გასაოცრად ჰქონდა გაფაციცებული სმენა, ელანდებოდა ეკლესიის „გადაპობილი თაღი“, ხავსით დაფარული კედელი, შუაღამისას შეატოკებდა უეცრად „ტანაბჯრიანი კაცის ქვითინი“... ხოლო იმ კლდეკაცს კი სხვა ვერაფერი ააქვითინებდა თუ არა თავისი სამშობლოს დაცემა, გადამთიელთაგან ფეხით გათელვა.

რაგინდ სიმშვიდე და იდილიური სურათი არ უნდა იყოს — მთვარით გადაქათქათებულ ეზოებში აივანზე დაწვეული თეთრი ვარდები ფშვინავდეს და შორიდან ურმულის ნარნარი ჰანგები ისმოდეს, პოეტი ქართლის ნაგვემ ხნულზე მაინც ძველ, მოუშუშებელ იარებს ხედავს:

აქ ისტორიამ გადიგრიალა
და მიწა ჩუმად ისინჯავს ტკივილს.

სხვაგანაც ასეთივე იდუმალი საღამოა დახატული. „თამარის ხიდს დასადარელი“ მთვარე ოქროსფერ ნათელს ღვრის, შემოჯარულ მთათა ლურჯი სილუეტები გასუდრულან. ფოთოლიც არ ტოკავს, მაგრამ პოეტს ამ მოჩვენებითი სიჩუმისა არა სჯერა, მის ნესტოებს ხანძრის მძაფრი სუნი სწვდება და თვალწინ თემურ ლენგის დატრიალებული სისხლიანი კალო დაუდგება, ნანობს, რომ მამულის ხსნა ამჯერადაც დაუგვიანდა:

უცბად მეყნოსა სუნი დამწვრისა,
თემურის ხანძრის ნატისუსალი,
თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა
და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი!.

ასეთივე შეგრძნება კიდევ უფრო ხელშესახებად არის გადმოცემული ამავე ციკლის სხვა ლექსში. შემზარავი ამბების, განადგურების მაცნე ქრონიკებში თავჩარგულ პოეტს ზოგჯერ კიდეც ეეჭვება, რომ მისი მამული მიწის პირისგან არ აღგვილა, მის მკვიდრებს, ძველ ქართველთა შთამომავალთ კიდევ აქვთ შენებისა და ბრძოლის თავი, არ დაკარგვიათ შემოქმედების ჟინი, აღორძინების იმედი:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“,
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მო[illegible] როგორ [illegible]

გამოვვარდები, ხარ თუ არა,
კიდევ [illegible] ჩურჩულში ჩემი?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აზრებს
და მიხარიან, რომ ისევ [illegible]

არ უნდა გვიკვირდეს — ჩვეულებრივი მოკვდავისთვის გაუგებარი და შეუსმენელი რჩებოდა საუკუნეთა თვალუწვდენ ჟამში დაგუბებული გნიასი, რასაც პოეტის გრძნეული სმენა იჭერდა; ამიტომ იყო — მისი სამშობლოს მიერ გამოვლილი გრძელი და ეკლიანი გზა ერთ განუყოფელ მონაკვეთად რომ ესახებოდა, ამიტომ იყო, მის ტვინსა და გულში წარსული წარსულად ვერასდიდებით რომ ვერ იქცა, ამიტომაც ამოიგმინა ასე ტკივილიანად და მწარედ:

როგორ მტანჯავდა, როგორ მესმოდა,
რა ყურმახვილად მეყურებოდა...
ჩემი სამშობლო როგორ კვნესოდა, —
ლომის ძახილი მეყურებოდა...

ამ სტრიქონების დამწერმა კარგად იცის, როდის ჩაესვენა საქართველოს დიდების მზე, როდის გადაქანდა ჟამთასვლის ზღვაში ჩვენი ხომალდი, დაილეწა ჩვენი ეკლესიის გუმბათები, შეიბღალა წმინდა ხატები... მონღოლთა შემოსევებს ველარ გაუმკლავდა თამარის მეფობის შემდგომ, დაცემისა და დაქვეითების გზაზე დამდგარი, შინაური აშლილობისაგან დასუსტებული საქართველო.

„მეცამეტე საუკუნე“ ჰქვია გიორგი ლეონიძის უცნაური, მღელვარე, ცვლადი რიტმით დაწერილ ლექსს, გატიალებისა და გაპარტახების გრანდიოზულ სურათებს რომ გადაგვიშლის. ცეცხლიანი გრიგალის სუნთქვა ახლავს პირველსავე სტრიქონებს: „მოსქრის ურა ცხენი მონგოლური დაღით“... ვხედავთ როგორ ულაპლაპებს ზაც ულაყს ოფლიანი, დამღადაკრული გავა, როგორ გადასდის ლაგამამოდებულ ლაშებზე ყვითელი ქაფი და ნაპერწკლებს ყრის გიშრისფერი თვალები. მტვერში გახვეულ ლაშქარს კვალდაკვალ ყანების გადამჭმელი კალიების ღრუბელი მოსდევს. აქვეა ჩამოთვლილი, რა დარჩება ფლოქვებით გათქერილ, შუბით აჩიჩქნილ, ხანძრებით გადაძოვილ მიწაზე:

ხვალ ნახავთ სახლებზე
ღრიანკალს, ბუს.

დამდნარ გალავნებს,
გოგირდის ბურს,
ძოედნებზე აზელილ თმას და ტვინს,
აჩეხილ ფალავნებს...
ცხენის ქაჩაჩში
ჩარჩენილ თავთავს,
უზანგში — მტევანს,
ვენახში — სამარეს...
ნაფუძრებს თეთრი ძვლით მოთესილს,
მეწყერებს,
ტრამალებს,
ტრამალებს...

თითქოს ყველაფერი გათავებულია. ახლა კირწმინდა განადგურების შემდეგ ამ განწირულმა ქვეყანამ ველარასოდეს ვერ უნდა წამოსწიოს თავი, მაგრამ ლექსის დასასრულს მაინც ჰიატებს იმედის სხივი; როგორც მხგავსი შემოსევების დროს ხჩვეოდა, მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი მთებს ეხიზნება, რათა არსებობა შეინარჩუნოს, გამრავლდეს და მოძალადისგან დადგმული მონობის უღელი მოიშოროს:

და ქართლი განკვართული,
ნაპრალებში,
მღვიმეებში
ჩააყენებს ნათელს!

გიორგი ლეონიძეს არაერთხელ გამოუხატავს თავისი შორეული თუ ახლო წინაპრებისადმი თაყვანისცემა, გულწრფელი მოწიწება. განსაკუთრებულ სითბოსა და ყურადღებას იჩენდა იგი ჩრდილში დარჩენილი, ჩუმი მოღვაწეებისადმი, ვისაც თავად „უძეგლო მომღერლებს“ უწოდებდა. ერთი მათგანი, ვისაც მშვენიერი ლექსი მიუძღვნა, ბესიკის ტოლი იოსებ დავითაშვილი იყო.

შემოქმედება თავშეწირვის, დიდი მსხვერპლის გარეშე არ არსებობს, სხვას ყველაფერს ავიწყებს, მთლიანად ნთქავს მასთან შეზიდებულ პიროვნებას და ადვილი წარმოსადგენია რა დაემართებოდა არაფრის მქონე სახრალო დღიურ მუშას, ვისაც კალამთან ერთად შალაშინიც უნდა ხჭეროდა ხელში და ისე მოეპოვებინა ლუკმაპური ოცნებებში გავარდნილი, მიწას მოწყვეტილი, შორს გაიტყუებ იგი მუზის ფრთამალმა ჩიტებმა და დარდმორეული, ნაადრევად ჯანგატეხილი გაცილდა ცოდვიან წუთისოფელს.

ყვედრებაზე მეტად (საყვედური მოჩვენებითია) ალერსი და თანადგომა იგრძნობა გიორგი ლეონიძის მიმართვაში. აქ ჩანს თვით იოსებ დავითაშვილის სპეტაკი ბუნება, მისი განუმეორებელი, „სოფლის სუფთა ლრუბელის“ დარად შეურყვნელი პოეტური სამყარო:

ლექსი რალად გინდოდა,
უბედურო ხარატო?

არ იცოდი, ოცნება
ხშირად გულსაც ლალატობს!

არ იცოდი, დიდებას
ბევრი ცრემლი სჭირდება?
გადაგჩეხეს, დაგლუპეს
წითელგულა ჩიტებმა!

იალქნებს მკერდით
ჭექილებს დარაჯი,
რა ცანცახით დამიწდი
დახეულ სუდარაში.

ტყუილად როდი ნატრობდა მათი ჩიხის კალთის მტვერს, მოსაჩვენებლად როდი ეთაყვანებოდა; გიორგი ლეონიძემ კარგად იცოდა — ჩვენს ერს სახეს მუდამ ასეთი პატიოსნად მოლვაწე უბრალო ადამიანები აძლევდნენ და, უპირველეს ყოვლისა, მათი დამსახურება იყო, საქართველო რომ არ გადაშენდა, დღევანდელობამდე შეურცხვენლად მოიტანა თავი.

გიორგი ლეონიძის პოეზიაში ხშირად გვხვდება მეტაფორებად მოაზრებული სიტყვები: „ჩუქურთმა“, „ჩუქურთმისმჭრელი“. შეიძლება ითქვას, რომ ამ პოეტური სახეების პირველწყარო, სათავე იოსებ დავითაშვილის პიროვნება და შემოქმედება გახლავთ.

შეუძლებელია გიორგი ლეონიძის თუნდაც რამდენიმე საუკეთესო ლექსი ჩამოვთვალოთ და მათ შორის არ მოვიხსენიოთ „ნინოწმინდის ღამე“ — სიყვარულის, შეგობრობისა და სილამაზის ნამდვილი აპოთეოზი, ქებათა ქება ყოველივე იმისა, რაც ადამიანის სიცოცხლეს, არსებობას აზრს ანიჭებს.

ამ სოცრად ლაღ, ამღერებულ ლექსში, მეგობარ პოეტებთან ერთად გატარებული გაზაფხულის ერთი ღლის სახსოვრად რომ არის დაწერილი, თავიდანვე რუსთაველის ღვთიური თვალი ტრიალებს. „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროსთან კავშირსა და სიახლოვეზე პირველივე სტროფი მიგვანიშნებს:

ნინოწმინდა.. პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი აქაფებული;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული.

„ვეფხვი დაქალებული“ უმალ ნესტანის გარეგნულ სახეს გვაგონებს. რამდენიმე მაგალითიდან გავიხსენოთ ერთი — როგორ მყავს წარმოდგენილი ტარიელს თავისი გადაკარგული მიჯნური:

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად
დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად
მომინახავს...“

მერმე სტროფი აგრძელებს დაწყებულ ხაზს.

რაზედაც უშუალოდ ავთანდილის ხსენება მეტყველებს; ამ ერთ პატარა შტრიხს რაინდთა დიდებულ ეპოქაში გადავყავართ, როცა მეგობარს მეგობრისთვის თავის გაწირვა ცხოვრების წესად ჰქონდა გადაქცეული:

საზანდარმა ლამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...

ეს არის ალბათ გაზაფხულის ერთი ულამაზესი სურათთაგანი, რაც ქართულ პოეზიაში შექმნილა. შუაღამის ცაზე წითლად გადაბრიალებული ვარსკვლავები ატმებით დახუნძლულ ვენახთან არის შედარებული ისე პირდაპირ და თამამად, თვით შედარების კვალი არსად რჩება; ბალახში მოწოლილი რძე თითქოს ირგვლივ განფენილ ბაღ-ვენახებში ტრიალებს... ამის მერე სილამაზით, ხიმშვენიერით ატკინება კიდევ უფრო მძაფრდება; განუყრელი მეგობრები, თანამეინახენი უეცრად წვიმიანი ცხენებზე ამხედრებულ, ნინოწმინდის ჭალავანში შემოჭირითებულ ხაზარებად წარმოდგენენ თავს (ეს, ცხადია, თვით ამ ლექსის ავტორის ფანტაზიაა). ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ,ნათდება დატყვევებული წამი, რომელიც ხსოვნიდან არასოდეს ამოიშლება:

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ლამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძრენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

აქ იხევ იელვებს ქალის სახე, ყოვლის დამმონებელი ხიკვდილივით ძლიერი სიყვარული. ქვა გულის პატრონსაც რომ შეაბარბაცებს. ნიაღვარივით მოვარდნილი გრძნობა ტამერლანის ხმალთან არის შედარებული (გიორგი ლეონიძე ამ აზიელი დესპოტის სახელის ორგვარ ფორმას ხმარობს იმისდა მიხედვით, სად რომელი ევფონია მოუხდება):

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ლამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა.

ამ სტრიქონების ავტორი, ჩვეულებრივ, შედარების დროს არ გაურბის ხოლმე დამხმარე, დამაკავშირებელ სიტყვებს (როგორც, ისე, ვით და სხვ.) და ეპიტეტიც სახურველია, მაგრამ ლექსის ამავე მონაკვეთში რამდენიმე ისეთი სახე—შედარებაც გვაქვს, უფრო მეტაფორისაკენ რომ იხრება — შემაერთებელი კავშირები არიდებულია.

„ათაბაგის ქალის სიყვარული“ და „ზამბახებიანი ღამე“ რომანტიულ ბურუსში ხვევს პოეტის ნეტარ და ტკივილიან მონატრებას. დიდებულია თვით ღამის ასეთნაირად წარმოდგენა — ციდან ამ უნაზესი ყვავილის მფენა, აბრეშუმივით მოშრიალე ლურჯი ფურცლები ეშვება.

განმაცვიფრებელია ზედიზედ ორი შეუნილბავი, პირდაპირი [illegible] შედარება: „ძუძუები ოქროს კალმახებია“, (გავიხსენოთ სხვა ლექსის სტრიქონი [illegible] ვარსკვლავი თამარის ძუძუ...“), „წამწამები აქვს ფვათუხის ყანისა...“ ქალის მშვენიერება და სახის ასე დახატვა მხოლოდ ლეონიძეს შეუძლია.

ბოლო სახე, ბოლო შტრიხი გვაგონებს მეთექვსმეტე საუკუნის გამოჩენილი იტალიელი მხატვრის ჯუზეპე არჩიმბოლდოს ალეგორიულ სურათს — „გაზაფხულს“ (ამ უცნაურ მხატვარს, როგორც ცნობილია, სჩვეოდა სხვადასხვა მცენარეებისა და ნაყოფებისაგან წელიწადის დროებად პერსონიფიცირებულ ადამიანთა გამოსახულებების გამოყვანა).

ამავე ტიპისაა ქალის მოხდენილი ტანისა და მთლიანად გარეგნობის დახახატად მოხმობილი ბრწყინვალე მეტაფორები, მომდევნო სტროფში რომ არის ერთმანეთზე გადაბლართული. იშვიათი სილამაზის პორტრეტს დახრულებული სახე ეძლევა.

წინანდლის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!

ქალის ფრინველთან შედარება გიორგი ლეონიძის ნაცადი და საყვარელი ხერხია („ციცარში“ უკვე ვნახეთ); იგი მას ყოველთვის სხვადასხვანაირად იყენებს და შთაბეჭდილება მუდამ ახალი და სახურველია.

სიყვარულის „იმ პატარა იარამ“, პირველად „ნინოწმინდის ლამეში“ რომ არის ნახსენები, მთელი ცხოვრება არ შეიკრა პირი, სამუდამო გამოდგა და სამარეშიც თან ჩაჰყვა პოეტს.

ოციანი წლები და შემდგომი რამდენიმე წელიწადი (ახალგაზრდული ასაკის გარდა ამას სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც განსაზღვრავდა) ყველაზე ნათელი და ნაყოფიერი გამოდგა გიორგი ლეონიძის პოეტურ შემოქმედებაში.

ამავე ხანებშია დაწერილი რამდენიმე ბრწყინვალე ლექსი, თბილისის განუმეორებელ სახეს რომ წარმოგვიდგენს. ერთი მათგანია „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“. ლექსი თითქოს აყვავებულ ხეთა დამარხვეული, აწყვეტილი ქარის ქროლვასთან არის შეწყობილი, მიმორხეულ ტალღებად მოედინება.

თავიდანვე გარიჟრაჟის განუმეორებელი სურათია დახატული. კაშკაშებს მთაწმინდის შემოგარენისგან განუყოფელი ცისკრის ვარსკვლავი,

მაგრამ მნათობის ხატი უაღრესად თავისებურია — ეს უფრო ივრის გაღმიდან გამოყოლილ სიყმაწვილისდროინდელ შთაბეჭდილებას გავს:

მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა
ნუშის ნაფერთალი,
ცას ვარსკვლავი ანათებდა,
ვით კამეჩის თვალი.

რტოებიდან ჩამოყრილი, ჰაერში ატაცებული ყვავილები „მოფრიალე მანდილებს“ არის შედარებული. განცვიფრებს პოეტის მახვილი მზერა — თვით მოუხელთებელი, ეფემერული ფერების საგნიერი სიცხადით წარმოსახვის იშვიათი უნარი:

ცას ლრუბელი დაეყარა
თეთრი, როგორც ყაჭი.

უცნაურად გაკლაკნილ ღრუბლებს ზოგჯერ მართლაც დაჰკრავს თავალერილი აბრეშუმის ჭიის ხრიალა კანის ფერი; ამის შემჩნევა და გადმოცემა, ახეთი ხაზის მიგნება ნიჭსა და გამორჩეულ ოსტატობას მოითხოვს.

ამ ლექსის ყოველი ფრაზა გასაოცრად ტევადი და მეტყველია. თვითეული დეტალი ფართოდ შეიძლება გაიშალოს, ნაირგვარ სურათებად დალაგდეს. ფანჯრიდან შემოჭრილ პირველ სხივზე დაბზრიალებული კამათელი ზან შავი წერტილებით დაკენკილ კალმახის ზურგს აგონებს პოეტს, ზანაც ყაბახზე გამოყვანილ, ყალყზე შეყენებულ ცხენს:

ღამე იყო გათეული
მეეზოვის ქურქით
და სარკმელთან კამათელი
კალმახური ზურგით —

ბზრიალებდა, ყალყზე იდგა,
ვით ყაბახის ცხენი...
(სად ლპებოდა ბექდიანი,
ვაჲ მანანას ხელი?).

ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი, ამავე დროს, მოულოდნელიც, ფრჩხილებში ჩასმული შეძახილია, ხულის ვაჟკაცური ყივილი — მტკივნეული წარმოდგენა იმისა, რომ ბნელ მიწაში ჩაიშალა ოდესღაც მშვენიერი ქალის უნატიფესი ხელის მტევანი, ზედ რომ ძვირფასი ბეჭდის თვალი კიაფობდა.

გიორგი ლეონიძე, შეიძლება ითქვას, ფრანსუა ვიიონის დარად მისტიროდა გარსული ეპოქების განთქმულ ბანოვანებს, გადამქრალ, დაფერფლილ სილამაზეს. განსაკუთრებულად მეცხრამეტე საუკუნის ყოფა და გარემო ხიბლავდა, ლიტერატურული სალონები, თავშესაყარი ადგილები, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ნათესავ-მეგობრები იკრიბებოდნენ.

პოეტს თითქოს არ სჯეროდა, რომ ეს პირმშვენიერი არსებები დამიწდნენ. ვეღარა-სოდეს გაივლიან თბილისის მზიან ქუჩებში. ერთ გვიანდელ ლექსში იგი შეშფოთებული კითხულობს:

მითხარ, მაია,
მითხარ, მანანა,
დღეს სადღაა არის
თქვენი მშვენება?
ან თქვენობით რა გვეშველება?
მითხარი, ნინო,
ეკატერინა,
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა,
მართა, —
ნუთუ აღარ ხართ
ამ ქვეყნად მართლა?

აქვე შენატრის იმათ ხვედრს, ვისაც აქ ჩამოთვლილი იშვიათი კრებულის ხილვა რგებია წილად, ვისაც სმენია მათი ტკბილი ხმა. ერთადერთი შტრიხი მთელს მათ ღვთაებრივ გარეგნობას აცოცხლებს:

მე თვითეული ზოლი მთვარისა
თქვენი დალალის ჩქერი მგონია....
და მეხარბება მე მათი ბედი,
ვისიც იყავით შარავანდედი,
ვისაც თქვენი ხმა გაუგონია...

განთიადის შუქში გახვეული თბილისის ქებად ნათქვამი ზემოთ მოხმობილი ლექსი თითქოს ნუშის სიფრიფანა ყვავილის ფთილებითაა მოქარგული. პირველსავე სტრიქონებში დახატული მშვენიერი სახე ლექსის შუა წელში ევფონიურად მდიდრდება და უფრო ექსპრესიული ხდება („ქარმა ქალაქს დაუშინა ნუშის ნაფერთალი...“), რასაც მოსდევს ძილბურანიდან თავის დაღწევის, გამოღვიძების ფერადოვანი სურათები. აქ არიან ნაღვინევი, პირგამშრალი პოეტები, მემწვანილეს „გიშერთვალა ვირი“ გაუგდია წინ, მესაზანდრეებიც თადარიგს იჭერენ, რომ ზრიალი დააწყებინონ ნამიან ჰაერს. ყველანი ერთად შნოსა და ლაზათს მატებენ აფუფუსებულ დედაქალაქს:

თბილისი კი — ისუნთქავდა
მზის შუქს გამაკურნელს
და ჰყნოსავდა ლექსებისა
და ტარხუნის სურნელს!

ამ ლექსს თემატურად, ინტონაციურად (საზომიც იგივეა) უშუალოდ ეხმიანება ხამიოდე წლის შემდგომ (1929) დაწერილი „თბილისის პოეტები“.

ოციანი წლების თბილისში პოეზიას, მუსიკას, მხატვრობას, ხელოვნების სხვადასხვა დარ-

გებს ნამდვილი ალმავლობა დაეტყო, რასაც ხელსაყრელმა გარემოებებმა მოუმზადა საფუძველი და რაზედაც საკმაოდ თქმულა. ამ დიდი, განუმეორებელი ეპოქის სუნთქვა იყო გადმოცემული გალაკტიონ ტაბიძის მღელვარე სტრიქონებში: „შფოთიანი თბილისი, პოეტების სამეფო".

სწორედ „პოეტების სამეფოდ" არის წარმოდგენილი ჩვენი უბერებელი დედაქალაქი ხსენებულ ლექსში. აქ, მართალია, აშკარა ნოსტალგიაა გამოხატული მოშლერალთა ძველი, გადაშენებული მოდგმის, სინდის-ნამუსიანი, გამქრალი საქართველოს გამო, მაგრამ თვით ის, ამ ძალისა და გაქანების ლექსი რომ იწერება, ჩვენი ერის უშრეტ ენერგიაზე, მისი სულიერი ძალების ამოუწურავ მარაგზე მეტყველებს. პოეტი, ჩვეულებისამებრ, ქ სათქმელს შორიდან არ უვლის, შეუმზადებლად, პირდაპირ გვეუბნება.

ჩვენ ბევრი ვართ პოეტები,
თითქოს ღრუბლის ხორო,
ბევრი როგორც საყვარელთან,
სამელნესთან ცხოვრობს,

პოეტის ღრუბელთან შედარება არ არის უჩვეულო ამბავი, ლექსზე მაფიქრალის მეოცნებე, ამაღლებულ, რომანტიულ ბუნებაზე მიგვანიშნებს. სამელნეც შემოქმედი პიროვნების, მწერლის აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ ამ ნივთის საყვარელთან გაიგივება („სამელნესთან ცხოვრობს"), ძალზე თავისებურ და ამდენადვე თამამ მხატვრულ სახეს ხდებს, რაც ასე მძაფრად გვაგრძნობინებს ხელოვნებისადმი, მუზებისადმი თავშეწირულ მსახურებას.

აქედან მოყოლებული, დაურიდებლად არის გამოხატული თანამედროვეთადმი უკმარისობის გრძნობა, ლექსთან შეჭიდებულთა უნიათობა, მათი უმწეობა, ვის ნაცოდვილარსაც გარდასული ხანის ოსტატების ეშხი და მომხიბლაობა აკლია:

ბევრი მუქთად იტრიალებს
სიტყვის სანაყელსა,
ძველ პოეტებს ვერ აჰყვება,
ვერც ბესიკის ყელსა.

კონტრასტი თანდათან ღრმავდება, უფრო სახინო ხდება, წყნარ, მშვიდ გარემოს დიდი ქალაქის ზზამით მოწამლული ყოფა, ბოჰემის იხშივარში გათანგულთა ყოველდღიურობა ენაცვლება:

ის თარბა ჩონგურებით
სამოთხეში შავა,
ჩვენი ყელი შაშხი არი,
გაბოლილი შავად.

ახალმა, სასტიკმა დრომ სიმღერასთან ერთად დაწვრილმანება, დაკუცმაცება, ზუსტმეცნიერობა მოიტანა და პოეტიც ლოცავს ლირიულ წინაპრებს, რომელთა სიმღერასაც [illegible] მცირედი კვალიც არ დასტყობია, არც რაიმე საფასური მოუთხოვიათ:

მშვიდობა, გინდ შენს ბაღებში
ტკბილად [illegible],
[illegible] სულის [illegible]
სტრიქონობლივ ფულად!

[illegible] ზიზღს გვრიდა [illegible]რული ანგარიში—პოეტის ტიტანური გარჯის, სულისშემძრავი შთაგონების ნაყოფის ფულზე გადაყვანა, უმოწყალოდ დამცირება და დახურდავება.

ამიტომაც თქვა აქვე გამწარებულმა: „...მღვრია მტკვარი... ლექსებითურთ თან წაგვიღებს", გაგვრიყავს და სადმე ქალაქგარეთ მიგვახვეტავსო.

სხვათა ცოდვებსა და უილაჯობას თავის თავზედაც იღებს პოეტი და ეს თვითგვემა მის გულისწყრომას ძალას მატებს, ეფექტს აძლიერებს. უდიერ კალმოსანთა გაცამტვერების, გაქრობის მიზეზი აქვეა გაცხადებული და ახსნილი:

რადგან მღერა არ ვიცოდით,
სიმღერების წესი,
გულს ნახმევი არა ჰქონდა
და სიტყვას კი ფესვი.

გიორგი ლეონიძე ასეთ ხელმოცარულ ჯგროსთან მისათვლელი არასოდეს ყოფილა. ეს, ცხადია, თავის განზრახ დამდაბლებაა და პოეტურ ხერხად უფრო გამოიყურება. ყველაზე ნაკლებად მასზე შეიძლებოდა თქმულიყო ის საყვედური, ამ ბოლო სტრიქონებში რომ გაისმის.

სიცოცხლის უთვალავი მადლითა და მშვენიერებით აღტაცება და აქედან მომდინარე ამაღლებული, ზეაწეული განწყობილება გიორგი ლეონიძის ერთი უმთავრესი თვისებათაგანია. ეს ქედლევარი, დაუოკებელი გრძნობა მის მრავალ ლექსშია გადმოცემული. „მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო...." ასე ჰქვია ერთ მათგანს და სათაურშივე ჩანს ავტორის მძაფრი ემოცია, სილამაზისაგან გაოგნებული კაცის განცდა. კვლავ თბილისური განთიადი, კვლავ მზის ამოჩენის დიდებული სურათი. საგნებს ისეთი დასრულებული მოხაზულობა ეძლევა, ისე მკვეთრად და ამავე დროს ბუნებრივად არის შეფერილი, თითქოს ფეროხმანის ხელს გამოუყვანია ლურჯად გადაჭიმულ ვეება მუშამბაზე:

გადქყარა ნარიყალას
ნაცრიანი ბური.
ხაში,

ხილი
და თონიდან ამოყრილი პური,
თაბახი და საზანდარი,
მზე შინა და გარეთ —
ეგებება მზეს თბილისი
თავის ექვსი კარით...

ლექსში რამდენჯერმეა ნახსენები „მიგებება" და ეს უმთავრესად გულისხმობს მოსწრებას, მოსწრებას სიცოცხლის უმშვენიერესი წამით, ტკბობისა, მოსწრებას სიყვარულისას. რადგან დრო ულმობლად მიექანება, ხელიდან უსხლტება ადამიანს — ყველაფერი რჩება, თავიდან იწყება, მას კი თანდათან ჭკნობა უნდა შეეპაროს, თვალთა ჩინი დაკარგოს და სამზეოს გაშორდეს.

გიორგი ლეონიძეს მუდამ გული ეწურებოდა იმის გახსენებაზე, რომ ახალგაზრდობა ეცლებოდა. ეს წუხილი აქაც ძალზე საგრძნობია. მასავით მტკივნეულად არა გვგონია რომელიმე ქართველ პოეტს განეცადოს სიჭაბუკესთან განშორება (ამ მოტივს ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით). გულდაწყვეტას აძაფრებს გაზაფხულის თბილისის შეუდარებელი მშვენიერება, სისხლის ამფორიაქებელი სურათი, რომლის მხოლოდ წარმოდგენა შეგიძლია, რომლისთვისაც უკვე აღარ არსებობ — შენი სიცოცხლის მშფოთვარე ტალღა ჩავლილია:

მიეგებეთ,
ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული,
ადგება და წავა!
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
მტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები,
ფასკუნჯების თავად!
განა გასძლებს სიჭაბუკე,
ვაი შენი ბრალი,
ხელებშუა გაქანდება,
ვით ნიაღვრის წყალი,
ისევ—ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაივლის
თვალციმციმა ქალი.

ამ სტრიქონების დამწერს, უპირველეს ყოვლისა, ლექსთან, პოეტებთან აქვს საქმე და მათვე მიმართავს; აუცილებლად, გულის ფეთქვის გარეშე ჩამომწკრივებული უტყვი, უსიცოცხლო სიტყვების გროვა ლექსად ვერ იქცევა. ნამდვილ შემოქმედებას დიდი ვნება, დიდი ცეცხლი სჭირდება და ამიტომაც არის აქ ნახსენები ძველი თბილისის ორი მშვენება — ეთიმ-გურჯი და ფიროსმანი, თითო მეტყველი შტრიხით არის გადმოცემული მათი ბოჰემური ყოფა:

განა ლექსი ლექსი არის,
თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო,
გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..
ჰკივის თათრულ სიმღერებით
მწველი ეთიმ-გურჯი,
სწვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.

აქვე სიყვარულის ორი საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი — ბესიკი და საიათნოვა დაწყვილებული და განზრახ, ხაზგასმული კონტრასტის შესამჩნევლად ნათქვამი, რომ მათ სიყვარული არაფრად მიაჩნდათ; ეს ირიბულად მოქნეული ფრაზა, ღიმილიანი პარადოქსი უფრო აღწევს მიზანს, ვიდრე ამას მათი დამწვარ, უნუგეშო მიჯნურებად გამოცხადება გააკეთებდა:

მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხვის ძალი —
სამაია სამთაგანა!

პოეტს კი ისევ და ისევ ლექსის დარდი აქვს, სიმღერის გადარჩენაზე წუხს, ლექსს დასტრიალებს მისი მაძიებელი ფიქრი, გული და გონება, სილად ჩამოთვლის ზოგ რამეს, რაც იმდროინდელ თბილისს თავისებურ იერს აძლევს, ფერსა და სურნელს მატებს, რისი გადმოცემაც მისმა დაგეშილმა სიტყვამ უნდა შესძლოს:

მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჰიანურს მტირალს,
მეტივეს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას? —
მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას?

ლექსის ბოლოს ეს შეძახილი თუ შეკითხვა უკვე რიტორიკულ ხასიათს იღებს. პოეტმა თითონვე უთხრა საკადრისი ქება განთიადის ბურუსში გახვეულ საყვარელ ქალაქს; ლვედივით მოქნილ სტრიქონებში მოაქცია მისი განთქმული უბნების განუმეორებელი სილამაზე. მეტის გაკეთება კი სიტყვასთან თავდავიწყებით შეჭიდებულ კაცს აღარც მოეთხოვება.

გიორგი ლეონიძის ლირიკაში ძველი პოეტებიდან განსაკუთრებული თანაგრძნობითა და სითბოთი არის დახატული თბილისის სახელგანთქმული აშუღის საიათნოვას პიროვნება, ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს („თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით"?), სადაც დლევან-

დილობა და წარსული უწყვეტი ჯაჭვით არის გადაბმული, თავსა და ბოლოში საიათნოვას სახე მხჭვალავს. ეს ლექსი ეძღვნება ყველას (უპირველეს ყოვლისა, პოეტებს), „სიყვარულით ვინც კი გათანგულია!!" სწორედ მელექსეების საყურადღებოდ გაისმის ცეცხლოვანი მოწოდება: „მიანარცხეთ ჩანგზე სალმთქლები!" — ის, რაც სიყვარულის ალზე დამწვარმა საიათნოვამ გააკეთა.

პოეტს უფლება არა აქვს განზე დარჩეს, განუდგეს ეპოქას, მშობელი ხალხი ღვთის ანაბარა მიატოვოს, არ უერთგულოს საკუთარ მრწამსს,დაივიწყოს ყოველგვარი გასაჭირის გადამლახველი სიმღერის მადლი და ძალა; აქ მას მოხდენილად აქვს გამოყენებული ერთი თითქოსდა ჩვეულებრივი დეტალი, „საქართველოს მეფის საზანდარის" აღსასრულის ჟამს რომ უკავშირდება. ეს დეტალი ოსტატის ხელში უდიდესი განზოგადების ძალას იძენს და ჭეშმარიტი პოეზიის სიმბოლოდ გვევლინება. სურათი რომ უფრო ნათელი და მთლიანი გამოვიდეს, მოვიტანთ ბოლო ორ სტროფს:

მე მაკრძალებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე, მეხმა როგორ დააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება!
ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ — შენივ სიტყვის
იმედით...
საიათნოვას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...

თბილისურ ციკლს განეკუთვნება და ამშვენებს უშუალოდ განუმეორებელ აშულზე დაწერილი უძლიერესი ლექსი „საათნოვა", რომელშიც ოსტატურად არის ჩართულ-ჩაწნული თვით საათნავას სტრიქონები, ფრაზები, გამოთქმები, მისი ლექსიკა და ბუნებრივად იქმნება სახურველი კოლორიტი, ლირიკული გმირის შესაფერისი გარემო:

ეს საწყალი საათნავა
სიყვარულმა გაათავა!
უძილოდ ღამეს ათევდა,
„ვით ვარსკვლავი მთვარისათვინ, —
ზარუ —
ზარბაბ —
ზარისათვინ".
მისხალივით გული სტკივა,
მისი სიტყვა ცაში მივა:
„არ გეწყინოს, ჩემო კარგო,
სიტყვაშიაც იგავი მაქვს
რომელ ერთხელ გენაცვალო,
განა რამდენი თავი მაქვს?"

ამ ლექსის ავტორის მეტყველება ალაგ-ალაგ სასაუბრო კილოს უახლოვდება, რაც უშუალობის განცდას ბადებს. ეს თითქოს გადმოსახილია აშულის გამოხმობილ, გაცოცხლებულ ლანდთან, გულში ჩამწვდომი, დიალოგის ფორმაში მოქცეული ბუნებრივი შეხმიანება. გიორგი ლეონიძეს უადრესად ფაქიზი ძაფები აქვს გაბმული სიყვარულის ძველ მომღერალთან. ზოგჯერ საგანგებო დაკვირვებაა საჭირო, ეს კავშირი რომ დავინახოთ. საიათნოვას ერთ ლექსში არის ასეთი ფრაზა: „ნეივანზე მზე წამოდგა" — გიორგი ლეონიძის ლექსის მომღერენ [illegible] ნაკვეთს უძღვის აშკარად ამის მონათესავე პოეტური სახე, ამგვარადვე აგებული. [illegible] განთიადის [illegible] შემამზებიის სურათია და ხატული:

ხეივანში ჩადგა მთვარე,
აივანზე ოხრავს ქალი.
ტირის თარი დამარხული,
მიზრავს სცვივა ნაპერწკალი;
— რად ალსდეგი, რად მეძახდი,
რა ოცნებას მიპირებდი?
თარი ტირის..., რათ უნდოდა,
ჩვენ ისედაც ვიტირებდით...

თარის მონოტონური, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჟღერა მართლაც წაავავს ტირილს (რამდენს გვეუბნება თვით საიათნოვას ხელთ ნაქერი „დამარხული თარი") და პოეტი კვლავ საიათნოვას მიმართავს, ტირილის ხმაზე მომღერალს, ამხნევებს, რომ მას სიკვდილი არ უწერია ისევე, როგორც უბერებელი და უკვდავია მისი სიმღერა.

გიორგი ლეონიძე საერთოდ ხშირად და, კერძოდ, ამ ლექსშიც იყენებს ცალკეულ სიტყვათა ოსტატურ განმეორებას, რაც დიდად აძლიერებს შთაბეჭდილებას. მარჯვე მხატვრულ ხერხად გვევლინება. აქვე ყელგამშვერილი, საამოდ მჟღერი თარი ოქროსავეანდიან შევარდენთან არის შედარებული (გავიხსენოთ, რომ აკაკი ერთგან ია-ვარდებით მორთულ ჩანგურს არწივივით ცაში მონავარდეს ხედავს):

შენ იტირებ, არ მოკვდები.
შენ იმღერებ დღე ათასი.
ქურჩებშია ჩირაღდანი,
აბრეშუმის ფიანდაზი.

შენი თარი — შავარდენი
არის ოქროს ავქანდითა.
ცხრა კუბოში რომ იძინო,
გასძლებ ლექსის მჟავბადითა.

ახეთი ძალა აქვს ნამდვილ, ღვთიურ ნიჭს. „ცხრა კუბოში" ძილიც ვერ კლავს, საფლავის პირქუში დირეც ვერ აკავებს. „გასძლებ" ის სიტყვაა ,დროსა და დავიწყების ფერფლს რომ ებრძვის. „გასძლებ ლექსის მჟავბადითა..." — ასე სხვა ვერავინ იტყოდა. პოეტმა იცის, რაც

აძლებინებს თარზე აკვნესებულ, სიყვარულის ალზე დამწვარ ძველ თბილისელს („გახძლებ, ვიდრე შემოგცინის, ხმა ვისთვის არ დაგელალა“...). ეს ის „შავგვრემანი, ყელმაღალა...“, „პირლამაზი მეზობელია“, ცეცხლი რომ გააყრევინა აშუღის ანთებულ გულს. ყველა სიმღერის სათავე ქალია. შეყვარებულს სხვადასხვა ხმაზე უმღერიან. პოეტი აქ ორ სიმღერას არჩევს: ერთს — ლერწამის ლულუნთან შეწყობილს და მეორეს — სისხლში რომ ბორგავს. მკერდს გიზგრევს. თითონ ამ მეორის მხნმერპლია, მისი ქარბორბალა ებჯინება მღელვარებისგან გადაკეტილ ხორხში. ჩვენ თითქოს ლექსის გმინვა გვესმის.

ვაჰ სიმღერა არის ორი:
ამღერებენ ერთზე ლერწამს,
მეორე კი სისხლში დადის,
გრიგალივით ყელს მიღეწავს.

ორი უნდა საქროლავიც,
როგორც ორი ბოლო — მერცხალს,
ლექსი ვარდებს მოყოლილა,
გულს რომ სისხლით გაგირეცხავს.

ცალკე გამოყოფილ ფინალურ სტროფამდე გიორგი ლეონიძე თითქოს ემშვიდობება საიათნოვას აჩრდილს განზრახ მიამიტურად დასმული კითხვა, რომლის პასუხი ლექსის თავშივეა და, საერთოდაც, არ მოითხოვს არავითარ პასუხს, ძალზე თბილ, ინტიმურ განწყობილებას ქმნის. „საყვარლისგან დაჩაგრული“ საიათნოვა ლექსებში ხშირად მიმართავდა საკუთარ თავს: „შე საწყალო...“ და გიორგი ლეონიძეც მიმართვის ამ ფორმას იყენებს.

შე საწყალო ფეიქარო,
ხმადამთვრალო საათნავა,
ქიანურო ცეცხლის მყრელო,
რა ნაღველმა გაგათავა?!

„ხმადამთვრალო საათნავა“... — ძნელია კაცმა შემოქმედებითი ექსტაზი ამაზე უფრო მოქნილად და ზუსტად გადმოსცე. რამდენის მთქმელი და დამტევია ეს ერთი, თითქოსდა უბრალო ეპითეტი „ხმადამთვრალო“, საუცხოო სახეა, აგრეთვე, „ქიანურო ცეცხლის მყრელო“ — შემოქმედის არსებაში დაბუდებულ ცეცხლს ,სიმღერისა და ლექსის თქმის იშვიათ ნიჭს რომ გულისხმობს.

ძველი მომღერლების ნეტარი დრო წასულია. ახალმა ხმამ ახალი სიმღერა უნდა თქვას. გულში დატრიალებული ვნებები ახლებურად უნდა გამოხატოს. სალექსო მოედანი ვერ დარჩება. „საათნავას“ დამწერს ძალიც შესწევს ქადილისა და არც მალავს, დიდ ასპარეზზე მისი გამოჩენის ჟამი რომ დამდგარა:

დღეს თბილისის მეიდანზე
მე ვარ ლექსის ქანდირბაზი;
სამქებაროდ ჩახჩახებენ
ჩირაღდანი, ფიანდაზი.

„ქანდირბაზო“ თოკზე მოსიარულე ჯამბაზს, მუშაითს ნიშნავს, მაგრამ, ცხადია, „ლექსის ქანდირბაზი“ გამოცემული ლექსის წერაში ფაზელირებული [illegible] აზრით არის ნახმარი (ანევე იყენებს ამ გამოთქმას თავის ერთ ლექსში [illegible] გრიშაშვილიც). თვით გიორგი ლეონიძის ხაზის კი უშუალოდ საიათნოვას პოეზიაში [illegible] მისი ლექსის („ბაღი ბულბულით ავსილა“) ერთი სტრიქონი: „მეიდანი გამართული, ქანდირბაზი არ აკლია!“ თითონ აშუღთა მეფესაც, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ამ სტრიქონში მეტაფორული აზრი აქვს ჩადებული.

გიორგი ლეონიძეს პოეზია და ახალგაზრდობა განუყოფელ ცნებებად ჰქონდა წარმოდგენილი და პირდაპირ შეიძლება ითქვას, ესიკვდილებოდა სიჭაბუკესთან განშორება, ენანებოდა, თითოეული ოქროს დღე ფრთებს რომ დაკეცავდა, ჟამთასვლის ოკეანეში გადიშრიალებდა.

ეს განცდა უმძაფრესად, ხელშესახებად არის გადმოცემული მისი ლირიკის ერთ-ერთ მშვენებაში „სიმღერა პირველი თოვლისა“. ბუნების თითქოსდა ჩვეულებრივ მოვლენას იგი არნახულ სასწაულად აღიქვამს: დროის დინებას, წამთა განუწყვეტელ დნობას პოეტი ეფემერულ, მაგრამ მაინც მატერიალურ გარსს უძებნის, ახალმოსული თოვლის ფიფქებად წარმოიდგენს — თვით ჰაერში მორიალე ფანტელები კი მიმინოსგან დაფეთებული მტრედების გუნდს აგონებს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ლექსის წერისას პოეტს ალაგ-ალაგ სათქმელი ყელში ებჯინება, სული უგუბდება და ამის გამო სტროფებში სტრიქონთა რაოდენობა არათანაბარია (ზოგან — ხუთი, ზოგან — ექვსი, ძირითადად კი მაინც კლასიკურ სქემას მიჰყვება — ოთხი სტრიქონისგან არის შეკრული), ექსპრესიაც უჩვეულოდ ძლიერია. პირველი გრძნობა, რაც პირველივე სტრიქონებიდან გვაწყდება, ესაა ლამაზი გაოცება, აღტაცებისა და სინანულის უცნაური ნარევი:

ეს თოვლია ,თუ ,მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ,
ეხურათ სავერდები..

ახე ლაღად და თამამად მხოლოდ მას შეუძლია იმღეროს, „...ვისი გულიც გულია! ვისაც თოვლში ოცნებით გაუვლია!“ აქ თვალშეუდგამი სიმაღლეა განჭვრეტილი, ზღაპრული

სამყარო, „ვარსკვლავთა ოთახებში" გამოკეტი-ლი თოვლის ულამაზესი კრისტალები, გაღვიძე-ბისთანავე ფარფატით რომ ეშვებიან დედამიწა-ზე, მდინარის პირას.

ფანტელების თავბრუდამხვევი სისწრაფე უეცრად წამოშლილ მტრედებად ეჩვენება პო-ეტის თვალს; ეს იგივე მისი სიყმაწვილის დღე-ები და ოცნებებია, გაღმა გაშურებული, რასაც თავი უნდა დაუსწროს, დაეწიოს, შეუძლებე-ლი შეძლოს. და ამ დროს ჩნდება მოუთმენე-ლი სურვილი ლტოლვისა, ყველაფრის მოს-წრებისა, სანამ სიყმაწვილე იმ თოვლივით არ გაპარულა, სმენა დაუძაბავს, მის ყურს ფრთე-ბის გახშირებული ფათქუნი სწვდება:

ჩქარა,
მინდა ვუყელო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!
ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

„ორმა გუნდმა." — სიოცარი ზომიერება და სიზუსტეა; სხვანაირად არახგზით არ შეიძლე-ბოდა თქმულიყო. რამდენჯერმე გამეორებუ-ლი სიტყვა — „ჩქარა" — პოეტის უმძაფრეს ტემპერამენტს, მის დაუდგრომელ ხასიათს ავ-ლენს, დაუფარავად გვიმჟღავნებს, რომ მისი ყველაზე სანუკვარი ფიქრები ახალგაზრდობას უკავშირდება, ჯანყიან, ბობოქარ წლებთან არ-ის გადანასკვული.

ამ ლექსის დამწერს, შესაძლოა, თვალწინ ედგა თავისი დიდი წინაპრის, დავით გურამი-შვილის სახე, ახსოვდა მისი ჰმუნვა; „დავითი-ანის" შესავალში გამოთქმულია გულისტკივი-ლი იმის თაობაზე, რომ დავითმა მოცალეობის ლოდინში ხელიდან გაუშვა ის მცირე დროც, მას რომ ჰქონდა და ჩანაფიქრის სრულად გან-ხორციელება არ დასცალდა: „ვერა ვსთქვი, მო-ცლას ვუცდიდი, ნეტამცა არა მეცალა!"

გიორგი ლეონიძე თითქოს მართლაც მოსწ-რებაზეა, ცდილობს, რაც შეიძლება გაიხანგრძ-ლივოს ცხოვრების ულამაზესი ხანა, რადგან ამ დროს თვლის ყველაზე ფასეულად. გოეთეს მსგავსად მასაც წამოუძახნია: „წუთო, შეჩერ-დი!" — მაგრამ მუდამ მიაჩნდა — ახალგაზრდუ-ლი სისხლით დაწერილს სულ სხვა მადლი ჰქო-ნდა. ამიტომაც მისტირის ამ ლექსში გაფრე-ნილს, მოუბელთებელს:

წასულა და წასულა,
ნეტა საით წასულან
ის პატარა სიზმრები?
სიჭაბუკის დღეები
შორიდან მომბლავიან,
როგორც მთიდან ირმები.

ირემი სიყვარულისა და სიჭაბუკის სიმბო-ლოდ ხშირად არის გამოყვანილი გიორგი ლე-ონიძის ლექსებში და მსგავსი შემთხვევები კვლავაც შეგვხვდება.

საერთოდ, პოეტების ერთი ნაწილი ძალზე ძნელად ურიგდება სიყმაწვილის წლების გა-როვლას. [illegible] მენტსაც ძალზე მიესადაგებოდა მის მიერ ხში-რად გამოყენებული სიტყვა [illegible]. [illegible] სრულიად საწინააღმდეგო მიდრეკილებას იჩ-ენდა. ნაადრევი ბქნობის უკიდურესად გამძაფ-რებული განცდა გასდევს ესენინის ლირიკას. მან ადრევე გამოიტირა თავისი სიჭაბუკე.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სრულიად ახალ-გაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილი განსჯებით დამძიმებულ მოხუცს უთანაბრებდა თავს. გარ-დაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე დაწე-რილ ერთ-ერთ შედევრში — „ცისა ფერს" — ნათქვამი აქვს: „და ახლა, როს სისხლი მაქვს გაციებული" — და ამ სევდიან ამოძახილში ადრეულ სიყმაწვილეზე წუხილი ჩანს. ზემოთ რაც ითქვა, ეს ამა თუ იმ პოეტის თვისება გახლავთ და არა ნაკლი ან ღირსება.

გიორგი ლეონიძის ლექსის შუა ნაწილში სი-ნანულისა და უკმარისობის გრძნობა კიდევ უფ-რო ძლიერდება. თავში მინიშნებული სახეც (ფანტელების დაფეთებულ მტრედებთან შედა-რება) მეტ სიმკვეთრეს იძენს, თავის მხრივ აფართქალებული მტრედი პოეტის სუფთა გულ-თან არის შედარებული:

ვაჲ, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა!
საკალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე.

და როგორც
ციცინათელა
აბედს არ ეკიდება,
სიჭაბუკის გარეშე
ლექსს ვინ მისცა დიდება?

სტრიქონების „საკალმახე წყალივით" აწკ-რიალება, რა თქმა უნდა, ულამაზესი, დიდებუ-ლი სახეა, მაგრამ აბედისა და ციცინათელას ერთად მოხსენიება გაცილებით ღრმა აზრს იფარავს და ეს კონტრასტი შუქსა და ძალმო-სილებას მატებს მომდევნო სტრიქონებს. სი-ჭაბუკე ამ ცეცხლის სინონიმია, ხოლო ლექსი (გიორგი ლეონიძეს ასე სწამს) ახალგაზრდული გზნების გარეშე ღლევანდელი და უსიცოცხლოა. „საქართველოს ლექსის მეხანძრენი..." — სა-კუთარი თავისა და მეგობარი პოეტების ასე დახასიათება „ნინოწმინდის ღამეში" ამ ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის წაკითხვის მერე უფრო ცხადი ხდება. პრომეთესეული ცეცხლის დაგზნებას მცხუნვარე ნალვერდალი ჰირდება, ციცინათელას ცივად და ლურჯად გაკვესებული ციცქნა ნათელი საამისოდ არ გამოდგება.

ლექსის ბოლო, მეხამე მონაკვეთი ისევ მაჟორულ იერს იღებს, ზეაწეული ტონალობით გამოირჩევა; პოეტი ისევ იყენებს თავის საყვარელ შეკითხვის ფორმას, როცა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იბადება სახურველი შედარება ლექსის კომპოზიციის ხიმტკიცე/ მატებს სტრიქონთა ვარიაციული განმეორება, რაც აძლიერებს მუსიკალურ ელემენტს და ლექსის [illegible] რენის თავისებურ სახეს ქმნის:

— ეს ცრემლია, თუ გულმა
დასძრა ლექსის მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ
და ჰქონდათ იმედები...

— ეს ლექსია, თუ მღერის
გავლილ დღეთა კრებული?
გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული?

— არა!
ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა;
არა, ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა!

გასაოცარი მგზნებარებაა დაბუდებული ამ შეძახილებში, როცა ავტორი ხან სიზმარეულად შეფერილ რეალობას იჯერებს, ხანაც ოცნებას წარმოსახავს პოეტურ ხინამდვილედ („—არა! ეს თოვლი... არი...“ „არა, ეს მტრედებია....“).

ლექსის ბოლო ორ სტროფში კვლავ იფეთქებს ჩაუქრობელი ქინი ჰაერში არიალებული, მტრედების გუნდებად მოლანდებული ფიფქების — გაფრენილი [illegible], ჭაბუკური ოცნებების დასაწევად („ჩქარა! მინდა ვუყურო...“, „ჩქარა, თორემ წასული...“), დაუძლეველი წადილი იმისა, რაც მუცლით ნაშობის ძალას აღემატება.

ადვილი შესამჩნევია — შედარებებს შორის მიჯნა, მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, იქმნება მოხმობილ შედარებათა ჯაჭვი: ერთი სახე ბუნებრივად გადადის მეორეში, მეორეს მესამე ცვლის, თვით შედარების ძირი, ფუძე კი უცვლელი რჩება: ახალგაზრდობა — იგივე ჰორიზონტი, პოეტის ჭაბუკური გული — ლექსების საუფლო.

ყველაფრიდან ჩანს, ამ ლექსის დაწერას ბიძგი თავიდან ცაში დატრიალებულმა და ქარს გაყოლილმა ხვავრიელმა თოვლის ფანტელებმა მისცა, რასაც მოჰყვა ერთ ძაფზე ასხმული ბრწყინვალე სახეების წყება — მტრედების გუნდი, ირმების ჯოგი, ყვავილებით გადანათებული მინდორი...

ამჯერად გვინდა სწორედ ეს ბოლო შედარება გამოვაცალკევოთ:

გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული.

ულამაზესი, მრავლის დამტევი სახეა. ფუტკარს ლალას სწორედ ყვავილოვანი მდელო აძლევს. რა მოხდენილად, ფერთიანად არის ნათქვამი მინდორთან შედარებულ გულზე: „დილას მოფუტკრებული“. უძველეს სახეს ახალი სული აქვს ჩადგმული. ნიადაგ მოფუსფუსე ფუტკარი პოეტის სარკეს, ემბლემას რომ წარმოადგენს, ეს აკაკის პოეზიიდანაც კარგად ვიცით, მაგრამ გიორგი ლეონიძის მიერ შექმნილი ხატი სრულიად თავისებურია, წარმოსახვას დიდ გასაქანს აძლევს. ერთ ასევე ადრინდელ ლექსში ამ საუცხოო მეტაფორის საგულისხმო ნაირსახეობას ვხვდებით:

და გული აყვავებულა,
დიდი მინდორის ნაირი.

□ გაგრძელება იქნება □

ალექსანდრე აბდალაძე

# ერევნული ბიბლიოთეკა

## ასე უსამართლოდ?

1987 წელს ერევანში გამომცემლობა „მაიასტანმა“ („სომხეთმა“) სომხურ ენაზე გამოსცა ლეოს (იგივე არაქელ ბაბახანიანის) თხზულებათა კრებულის ათტომეულის მეექვსე ტომი, რომელშიც შეტანილია ლეოს გამოკვლევები: „სტეფანოს ნაზარიანცი“, „გრიგორ არწრუნი“ (ეს ის გრიგოლ არწრუნია, რომელთანაც პოლემიკა ჰქონდათ ილიასა და აკაკის) და „მესროპ თალიადიანი“. ამ გამოცემას ჰყავს ოთხი შემდგენელი, შვიდკაციანი სარედაქციო კოლეგია, ხოლო მეცნიერი რედაქტორია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე მკრტიჩ გეღამის ძე ნერსისიანი. წიგნს ერთვის ნარკვევი — „რედაქტორისაგან“.

ლეოს დასახელებული ნაშრომებიდან პირველი ორი დაუწერია მიმდინარე საუკუნის დამდეგს. „სტეფანოს ნაზარიანცი“ დაისტამბა ორ წიგნად თბილისში 1902 წელს, ხოლო „გრიგორ არწრუნი“ — 1902-1905 წლებში სამ წიგნად ასევე თბილისში. „მესროპ თალიადიანი“ კი დაიწერა შედარებით გვიან და დაიბეჭდა ბაქოში გამომავალი სომხური ჟურნალის „გორწ“-ის („საქმე“) 1917 წლის რამდენიმე ნომერში.

ერევანში რას გამოსცემენ და რას არა, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ სარედაქციო კოლეგიასა და მეცნიერ რედაქტორს ის მაინც უნდა გაეკეთებინათ, რომ კრიტიკული შენიშვნები დაერთოთ „სომეხ კლიოჩევსკიდ“ წოდებული ლეოს ნაშრომების იმ ადგილებისათვის, სადაც შეურაცხყოფილია საქართველო და ქართველი ერი. სამწუხაროდ, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. უფრო მეტიც, აკადემიკოს მ. ნერსისიანს, როგორც ქვემოთ საგანგებოდ იქნება საუბარი, ჭეშმარიტად მიაჩნია ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ლეოსეული ხედვა.

ვინ იყო ლეო? „სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეოთხე ტომში (ერევანი, 1978 წ.) მის შესახებ ნათქვამია: ლეო (1860, შუშა — 1932, ერევანი) იყო სომეხი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მწერალი, ლიტერატორი, პროფესორი (1925), სომხეთის მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტის ნამდვილი წევრი (1925), 1895-1906 წლებში იყო თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის „მშაკის“ („მუშაკის“) მუდმივი თანამშრომელი და მდივანი. 1906-7 წლებში ასწავლიდა ეჯმიაწინის (ეჩმიაძინის) გევორგისეულ აკადემიაში, შემდეგ დაბრუნდა თბილისში და მთლიანად ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. 1924 წლიდან მიწვეულ იქნა ერევანში და სახ. უნივერსიტეტში ასწავლიდა სომეხთმცოდნეობის სხვადასხვა საგნებს გარდაცვალებამდე. დაძლია რა კლერიკალურ-კონსერვატიული ისტორიული შეხედულება, ლეო დადგა იმ დროის მოწინავე სომეხთმცოდნეობის პოზიციებზე და სომეხი ხალხის ისტორიის მრავალი საკითხი ახლებურად გააშუქა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მისი მნიშვნელოვანი შრომები — „სტეფანოს ნაზარიანცი“, „გრიგოლ არწრუნი“, „წმ. მესროპი“... სომეხი ხალხის ისტორიას ლეო მჭიდროდ უკავშირებდა მეზობელი ქვეყნების ისტორიას, ავლებდა პარალელებს, ახდენდა შედარებებს, აღნიშნავდა ურთიერთგავლენებს, ავლენდა თავისებურებებსა და საერთო მომენტებს სომეხი და მეზობელი ხალხების სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ლეოს ნაშრომები შეიცავენ როგორც მდიდარ ფაქტობრივ მასალებს, ასევე დაწურულ საისტორიო განზოგადებებს. იგი გამოირჩევა წერის მანერის თავისთავადობით და თხრობის გამჭირვალობით. ამ თვალსაზრისით ლეო სწორუპოვარია სომხურ ისტორიოგრაფიაში. საერთოდაც ლეო სომხური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელთაგანი იყო და დიდი ზეგავლენა მოახდინა სომეხ ისტორიკოსთა შემდგომ თაობებზე.

ლეოს თხზულებათა კრებულის მეექვსე ტომის პირველივე აბზაცი ასეთია: „რუსების მფლობელობა ამიერკავკასიაში ოფიციალურად დამყარდა 1801 წლის 16 თებერვალს. ამ დღეს

ჩრდილოეთის სახელმწიფოს საკუთრება გახდა ჩვენი ვრცელი, ლამაზი ქვეყნის ერთი პატარა ნაწილი — საქართველო (ვრასტან). მაგრამ ან სახითაც მომხდარ ფაქტს უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კავკასიისათვის" (გვ. 7)

ყურადღებას აღარ მივაქცევთ სხვა უზუსტობებს და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთელი ამიერკავკასია სომეხთა ქვეყნადაა გამოცხადებული. რა თქმა უნდა, XX ს-ის დამდეგს ლეო ინტერნაციონალური მოსაზრებებით არ ხელმძღვანელობდა და მთელი ამიერკავკასია ამ რეგიონის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ხალხებისათვის საერთო სამშობლოდ არ მიაჩნდა. განსახილველ წიგნში მსგავსი სულისკვეთება არ ჩანს. ლეო ამიერკავკასიის თუ მთელი კავკასიის გაგებით გამოთქმას — „ჩვენი ქვეყანა" სხვაგანაც ხმარობს. 1867 წ. დაბეჭდილ წერილში გრ. არწრუნი თურმე აცხადებდა, რომ თბილისში არაა საჭირო უნივერსიტეტის გახსნა. ლეო არ იზიარებს თავისი დიდი მოძღვრის, როგორც თვითონ უწოდებს მას, გრ. არწრუნის ამ აზრს: „შესაძლებელია, მაგალითად, ვაჩვენოთ, რომ თბილისის უნივერსიტეტი, მეორე მხრივ, მოიტანდა იმ სარგებლობას, რომ უმაღლესი განათლება მისაწვდომი გახდებოდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაბალი, ხელმოკლე ფენებისათვის" (ლეო, ტ. 6, გვ. 287-288). ისევ ლეოს თანამემამულეები თუ ისწავლიდნენ თბილისის უნივერსიტეტში. თორემ ქართველები, ლეოს აზრით, სწავლასთან მწყრალად ყოფილან: „1802 წელს მთავრობამ თბილისში გახსნა თავადაზნაურთა სკოლა, რომელიც დიდ ხანს ერთადერთი რუსული სკოლა იყო ამიერკავკასიაში. მაგრამ იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ თავადაზნაურთა ფენისათვის და იმდენად პატარა იყო, რომ 45 მოწაფის მეტს არ იღებდნენ. თუ რაოდენ უმნიშვნელო იყო სწავლის მოთხოვნილება ქართველ თავადაზნაურობაში, დასტურდება იმ გარემოებით, რომ მთავრობა მოწაფეების მიზიდვის მიზნით იძულებული გახდა ულუფა ეძლია მათთვის. სკოლის მოწაფეები ქართველი თავადაზნაურობის უმნიშვნელოვანესი გვარების შვილები იყვნენ. მაგრამ მიუხედავად მთავრობის წამახალისებელი საშუალებებისა, სწავლის სიყვარული არ განვითარდა პრივილეგირებულ ფენაში. კეთილშობილი მოწაფეები ძალიან ხშირად გარბოდნენ სკოლიდან და ამ მოვლენას თავადი ციციანოვი იმით ხსნიდა, რომ „უჩვეულო და ბარბაროსულია" ადგილობრივი ხალხის წეს-ჩვეულება" (ლეო, VI, გვ. 11).

ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი რომ გადაგვარებული იყო, ამას არც ჩვენ უარვყოფთ, მაგრამ ეს გამოიწვია საუკუნეების მანძილზე საქართველოს თავს დატეხილმა ჟამთა სიავემ და ნიშნის მოგებით ამის თაობაზე წერის უფლება არავის არა აქვს. ლეო ამ შემთხვევაში და საერთოდაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე საუბრისას, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების პოზიციაზე დგას. როგორც ჩანს, მას ხელს აძლევდა ამგვარი პოზიცია. XIX ს. პირველ წლებში ზოგიერთი ქართველი თავადი ან აზნაური თუ დიდ მიდრეკილებას არ იჩენდა სწავლისადმი, ეს იმის გამოც მოსდა, რომ მათ არ იცოდნენ რუსული ენა და, რაც მთავარია, იმდროინდელ სკოლაში გაბატონებული იყო სწავლების ყოვლად უვარგისი მეთოდები, პუტაპეტი, სულის შემხუთველი რეჟიმი (იხ. დიმიტრი ყიფიანის „მემუარები"). მიუხედავად ამისა, სოლომონ დოდაშვილი რომ არ ვახსენოთ ([illegible] არ იყო არც თავადი და არც [illegible]), XIX ს-ის დასაწყისშივე განა არაერთი ქართველი თავადისა თუ აზნაურის შვილი არ დაეწაფა სწავლას? არა მგონია, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვათა სწავლაში ჩამორჩენის შესახებ ლეოს რაიმე მასალა ეპოვოს.

გავითვალისწინებთ რა მთელი მისი შემოქმედების სულისკვეთებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლეო ამიერკავკასიას „ჩვენს ქვეყანას" იმიტომ ეძახის, რომ იგი ძველი სომეხი მემატიანეების ტრადიციების ერთგული გამგრძელებელია. ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მამად აღიარებულ მოვსეს ხორენაცის (აგრეთვე სებეოსს, დრასხანაკერტცის და სხვებს) სომხეთი ე.წ. „დიდი სომხეთი" ორ ზღვას, შავ და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ, კავკასიონის ქედამდე განვრცობილ ქვეყანად მიაჩნიათ (იხ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984). სომხეთს ისტორიულად სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან თუ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თითქმის განუწყვეტლივ ავიწროებდნენ იმდროინდელი დიდი სახელმწიფოები, იმპერიები და სომეხთა ხელისუფალნი ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელო საზღვარი ჩრდილოეთის მიმართულებით, საქართველოსა და კავკასიის ალბანეთის ხარჯზე გაეფართოებინათ. ამგვარი მისწრაფება, გარკვეული მიზეზების გამო, გაზვიადებით აისახა ძველ სომხურ მატიანეებში (იხ. ჩვენი წერილი 1988 წ. 19 თებერვლის „ლიტერატურულ საქართველოში").

ლეოს მსგავსად, ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსიც უსაფუძვლო თეორიებს თხზავს ძველი სომეხი მემატიანეების ტენდენციურ ცნობებზე დამყარებით საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ. ასე მაგ., ცნობილი სომეხი ისტორიკოსის, ა. ალპოიაჭიანის მიხედვით, საქმე იქამდე მისულა, რომ XI ს-ის შუა ხანებისათვის, „სელჩუკების ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის საქართველო უკვე საკმაოდ გასომხურებული ქვეყანა იყო". (ა. ალპოიაჭიანი, სომხურ ახალშენთა ისტორია, ტ. II, კაირო, 1955, გვ. 45, სომხურ ენაზე). ისე გამოდის, სრული გასომხურებისაგან საქართველო „დიდ თურქობას" (დღემდე რომ ავად სახსენებელი

გვგონია!). თურქ-სელჩუკებს უხსნიათ, „მფარველად“ მოგვევლინნენ ისინი! დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი და მათი თანამოაზრეები, თურმე ნუ იტყვით, ნახევრად გასომხურებულ საქართველოში მოღვაწეობდნენ. IX-XI სს-ის ამიერკავკასიის პოლიტიკური ისტორიის კარგად ცნობილ, სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობის დამადასტურებელ, მღაღადებელ ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, „ქვათა ღაღადსაც“ რომ ყური არ ვათხოვოთ, ა. ალპოიაჯიანისა და მისი თანამზრახველებისათვის, როგორც ეტყობა, საერთოდ უცნობია გრიგოლ ხანძთელის, სტეფანე მტბევარის, გიორგი მერჩულეს, იოანე ზოსიმეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, გიორგი მცირეს და სხვა იმჟამინდელ ქართველ მოღვაწეთა სახელები, მათი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი მოღვაწეობა, კერძოდ, გარკვეული მიზეზებით გამოწვეული ანტიმონოფიზიტური (ანტიგრიგორიანული, ანტისომხური) განწყობილება, თორემ მსგავსი განცხადებების გამოხმაურებას, ალბათ, სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ.

როგორც ეტყობა, ლეოს მიუჩნევია, რომ თურქ-სელჩუკებმა საქართველო მხოლოდ დროებით გადაარჩინეს სრულ გასომხურებას, XIX ს-ში კი ეს პროცესი თითქმის დასრულებული იყო და ამიტომაც ეძახის იგი ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოსაც „ჩვენს ქვეყანას“. ამგვარი შეხედულებები საფუძვლად დაედო სომხეთის დაშნაკური მთავრობის ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზიებს საქართველოს მიმართ. როგორც ცნობილია, იმ წლებში გამოცემულია სომხეთის ორი რუკა, რომლებშიც თბილისი, მცხეთა, გორი, ახალქალაქი, ახალციხე, ბათუმი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული (იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები, 1989, გვ. 60; „ივანე ჯავახიშვილის არქივიდან“, „ლიტ. საქართველო“, 23. IX. 1988; ჩვენი წერილი 1990 წ. 2 სექტემბრის „კომუნისტში“. სხვათა შორის, საზღვარგარეთ გახიზნული დაშნაკცუტიუნის პარტია ამიერიდან კვლავ აპირებს აქტიურად ჩაებას სომხეთის ცხოვრებაში).

მიმდინარე საუკუნის დამდეგს, როცა ლეო ზემოთ დასახელებულ თავის ნაშრომებს წერდა საქართველოში, კერძოდ, თბილისში ქართველთა სომეხთა ურთიერთობა საკმაოდ გამწვავებული ყოფილა. ამისა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო თბილისის საქალაქო არჩევნები, რომელიც უმეტესწილად მდიდარი თბილისელი სომხები ვაჭრების სცენარის მიხედვით მიმდინარეობდა (იხ. გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 114-117, 158-164). გამწვავებული ურთიერთობის გამოძახილია ილიას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, რომელიც პირველად 1899 წელს დაიბეჭდა. ამასთან დაკავშირებით ლეო აცხადებს: „ჩვენს დღეებში, როცა შოვინიზმმა ეგზომ დააბრმავა ქართველი მოღვაწეების ერთი ნაწილი, სომეხთა წინააღმდეგ ლამის ჯვაროსნულ ლაშქრობას ქადაგებენ, სომეხთადმი ამ სიძულვილს ქართველი შოვინისტები აფუძნებენ იმ ფაქტზე, რომ საქართველოში მევახშეები უმეტესწილად სომხები არიან“... (ლეო, VI, გვ. 474). ლეო სომეხთა სიძულვილში ბრალს დებს გაზეთ „დროებასაც“: გარკვეული დროიდან „დროებამ“ დაიწყო „სომეხთადმი სიძულვილის ქადაგება“ (იქვე, გვ. 475). „დროებაში“ XIX ს-ის 70-იან წლებში „მშაკის“ რედაქტორის, გრ. არწრუნისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ დაიბეჭდა აკაკის წერილებიც და ალბათ, ამას გულისხმობს ლეო. შოვინისტ ქართველ მოღვაწეებშიც სხვებთან ერთად მას უთუოდ ნაგულისხმევი ჰყავს ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და ვაჟა-ფშაველაც, რადგან ისინი იმ წლებში იძულებული გახდნენ ემტკიცებინათ, რომ საქართველო არ იყო გასომხურებული და არც აპირებდა ამგვარი ბედის გაზიარებას.

ქართველი მოღვაწეები თუ ზოგჯერ პროტესტს გამოთქვამდნენ, მათ ჰქონდათ ამის სრული საფუძველი. მდიდარი სომეხი ვაჭრების ხრიკების მეოხებით თბილისის საქალაქო არჩევნებში ილია ჭავჭავაძე და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეები რომ გააშავეს (გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 116-118), ხოლო ამავე დროს 1875 წლიდან 1887 წლამდე თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი „მშაკის“ რედაქტორი გრ. არწრუნიც იყო (ლეო, VI, გვ. 718). ამაზე და მსგავს ფაქტებზე ქართველებს არავითარი რეაგირება არ უნდა მოეხდინათ? ცხადია, მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი და ილიამ ყოველივე ეს ასე შეაფასა: „თქვენი წკიპურტიცკი გვწყინსო და ჩვენს პანღურს — კი ნუ იწყენთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან, ამით გვითათბირებენ“. „განა აშკარა არ არის, რომ იმისთანა მეცნიერნი, როგორიც პატკანოვია, ფილოსოფოსი არწრუნია და ვილაც ეზოვები, ხუდაბაშოვები და მთელი მათი ამქარი (მათ შორის ლეოც — ა. ა.), არაფერს მოაკილობენ, ოღონდ-კი თავისი შავი გაათეთრონ და ჩვენი თეთრი გააშავონ იმისდა მიხედვით, რა დროს რა სწყურიანთ, რა დროს რა უხდებათ ტანად და პირად“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. V, 1987, გვ. 28, 108).

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრები სომეხი მევახშეების თავგასულობას, ამის შესახებ უამრავი ცნობა არსებობს. ასე მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძე გვაუწყებს: ვინმე ივ. ჯ-სკი, ეროვნებით რუსი, „მეტად დიდხანს იყო ბოქაულად, მას ძრიელ ბევრი გაჭირვებული კაცის მამული აუწერია მევახშეებთა ვალში. ბევრს ალაგას ბევრი ღატაკი კაცი დამხობილა შეუწყალოდ, უმეტესათ მოვალენი დამხობილან თვით ქრისტიანთაგან, უფრო სომხებისაგან. ურიისაგან კი ამგვარ საქმეთა მაგალითიც არ ყოფილა...

ერთმა ახეთმა სომეხმა მევახშემ ეს პრისტავი (იგ. ზ-სკი — ა. ა.) მოაბეზღა ბევრის გლეხების მამულების აღწერით და დარბევით. სხვათა შორის, ერთხელ მან ხსენებული პრისტავი წაიყვანა და ერთი კაცის მამული აღწერა და გაყიდა. შემდეგ უძრავის ქონების გაყიდვისა, განაგრძო თვით მოძრავი ქონების გაყიდვაც. მოძრავი ქონების გასაყიდათ სახლში პრისტავი წაიყვანა... იგი პრისტავს სთხოვდა, რომ ამას აღეწერა აკვანიც კი, სადაც ბავშვი იწვა და ერთი ხელი ლოგინი, რომელზედაც ერთი მოხუცი ავადმყოფი იწვა"... ეს მევახშე გლეხს 100 მანეთ ვალში თურმე 100 თუმანს ახდევინებდა (ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში 1990, გვ. 45-47; იხ. აგრეთვე ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1954, გვ. 128).

ლეოს სიტყვით, „1866 წელს თბილისში შემოღებულ იქნა ქალაქის მმართველობის ახალი დებულება. პირველ ქალაქისთავად აირჩიეს არწრუნი (გრ. არწრუნის მამა, ერემია —ა. ა.) და ამ არჩევანით კმაყოფილი დარჩნენ ქალაქელები... „თბილისის ხალხმა — წერდა „მაიკაკან აშხარჰი" („სომხური სამყარო", თბილისში გამომავალი სომხური ჟურნალი — ა. ა.) — იცის, რომ პ. (პარონი, ბატონი — ა. ა. ) არწრუნი არის საქმიანი და პატიოსანი კაცი და ეს უკვე საკმარისია. პ. არწრუნის არჩევის დღიდან პატიოსანი ნაცნობები შეხვედრისას ულოცავდნენ ერთმანეთს, რომ პ. არწრუნი არჩეულ იქნა ქალაქისთავად" (ლეო, VI, გვ. 284-285). ვითომ ქართველებიც ასე გახარებული იყვნენ ე. არწრუნის თბილისის ქალაქისთავად არჩევით? თუ გავითვალისწინებთ არჩევნებთან დაკავშირებულ ქართველ-სომეხთა დაპირისპირებას, წინააღმდეგობებს, ამგვარი რამ, ცხადია, უნდა გამოვრიცხოთ. ლეოს, უბრალოდ, თბილისელი ქართველების აზრი ანგარიშგასაწევად არ მიუჩნევია. რამეთუ თავის წინამორბედებთან, თანამოაზრეებთან ერთად ისიც ფიქრობდა, რომ „თუ სადმე ვილაც „ვრაცები" (ქართველები — ა. ა.) ყრილან — ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით თვითონ ეს „ვრაცები" ვითარცა ერი არაფრად სახსენებელია, იმიტომ, რომ გაწყვეტისა და გადაშენების გზაზე დგანან და, თუნდ ესეც არ იყოს, ქკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავბედისა გაიგონ რამ, აღებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ ულირსებია, მეურნეობისა და ჩალვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ეს პატარ-პატარა საბოსლეებიც-კი ვერ მოუხმარებიათ, რომელთაც, ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოსეძახიან" (ი. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 22).

1872 წ. ე. არწრუნმა თბილისის „ტექნიკური საზოგადოების" სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც „აცხადებდა, რომ აუცილებელია ამიერკავკასიიდან რკინიგზის გაყვანა ინდოეთისაკენ". ეს მოხსენება იმავე წელს ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნდა კიდეც. ე. არწრუნი „ფიქრობდა, რომ ინგლისელთათვის ინდოეთის მფლობელობის დიდი ნაწილის წართმევა შესაძლებელი გახდებოდა, თუკი გაიყვანდნენ რკინიგზას ინდოეთისაკენ სპარსეთის გავლით. მისი აზრით რკინიგზა უნდა დაწყებულიყო ბაქოდან და უნდა გაეყვანათ იგი ჩრდილო სპარსეთის გავლით მეშჰედის, ჰერათისა და ქაბულისაკენ" (ლეო, VI, გვ. 228). რუსეთის იმპერიის ხელისუფლეთა დიდი ხნის ნალოლიავები ოცნებაც ხომ სწორედ ინდოეთის დაპყრობა იყო. ე. არწრუნმა თვით ავღანეთის რუსეთის მიერ დაპყრობაც იწინასწარმეტყველა! რა თქმა უნდა, ასეთ კაცს იმპერიის ხელისუფლება ყურადღებასა და პატივისცემას არ მოაკლებდა. მით უმეტეს, რუსეთისადმი ურჩი საქართველოს დედაქალაქში. ქართველი მოღვაწეები კი თავიანთ თანამემამულე. რუსიფიკატორული პოლიტიკის ხელშემწყობთ არ ინდობდნენ და, ცხადია, ისინი ვერც ე. არწრუნისა და მის თანამზრახველებს მოეფერებოდნენ.

საინტერესოა, როდის და რანაირად გაჩნდნენ ეს არწრუნები თბილისში? ისევ ლეოს მოვუსმინოთ: „1818 წელს ქალქ ვანიდან (მდებარეობს თურქეთში — ა. ა.) თბილისს ესტუმრა მდიდარი სომეხი ვაჭარი... იგი წარუდგა საქართველოს მთავარმართებელს გენერალ რტიშჩევს და განუცხადა, რომ სურს ოჯახით გადმოსახლდეს თბილისში, მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომობა. მთავარმართებელმა რტიშჩევმა, გაეცნო რა გარემოებებს, აღუთქვა მას მფარველობა და შემწეობა და იმავე წლიდან თბილისის მცხოვრები გახდა ეს, წარმომავლობითა და სიმდიდრით ცნობილი უცხოელი.

„იგი გეორგ აღა ერან-არწრუნი იყო"

ეს გეორგი გრიგოლ არწრუნის ბაბუაა. აღსანიშნავია, რომ ცოტათი უფრო ადრე რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I წერდა თავად ციციანოვს, „სომხები, როგორც მრეწველი ხალხი, რომელსაც თავის ხელში აქვს მოქცეული აზიის ამ ნაწილის მთელი ვაჭრობა, ღირსია თქვენი განსაკუთრებული ყურადღებისა და მფარველობისა, რადგან გავითვალისწინებთ რა, რომ მათ ავიწროებენ სპარსეთში, არ შეიძლება ვერ ვიწვევართ, რომ ეს ხალხი დიდი რაოდენობით დამკვიდრდება საქართველოში, რათა მათ თავიანთი თავი უზრუნველყოფილად ჩათვალონ მთავრობის მიერ დამყარებული ჩინებული წესრიგით" (იხ. ლეო, VI, გვ. 208, 218). რუსეთის ხელისუფალნი, ისახავდნენ რა აგრესიულ მიზნებს თურქეთისა და სპარსეთის მიმართ, ამ საქმეში სომეხთა გამოყენებასაც აპირებდნენ. ამავე დროს მათი გულის მოგებას, გადაბირებას საქართველოს ინტერესების შელახვის ხარჯზეც ცდილობდნენ. ცხადია, ქართველი მოღვაწენი უკმაყოფილო იქნებოდნენ იმით, რომ XIX ს-სა და XX ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოში რუსეთის ხელისუფალთა სურვილით დიდი რაოდენობით ჩამოსახლდა სომხური

მოხამლეობა. ისინი აქ XIX საუკუნემდეც ხომ მრავლად, საკმარისად მკვიდრობდნენ.

თბილისში დამკვიდრების შემდეგ გეორგ ალა არწრუნის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი თავისი თავადური წარმოშობის დადასტურება გახდა. მართალია, მას არ მოეპოვებოდა სათანადო საბუთები, ისიც ღმერთმა უწყის, ერაწ-არწრუნები წარმომავლობდნენ თუ არა ძველი ხომხური სამეფო გვარიდან. მაგრამ გეორგ ალამ მაინც მიაღწია მიზანს (ლეო VI, გვ. 218-214). საგულისხმოა, მან ამისათვის დიდძალი ქრთამიც გაიღო.

თავადობის ძიებასთან ერთად, გეორგ ალა შეუდგა თბილისში მამულების შეძენას: „უწინარეს ყოვლისა, 1818 წ. მან იყიდა თავად ორბელიანების ბაღის ერთი ნაწილი 1700 მანეთად", სიონის მახლობლად. „მტკვრის პირად, რუსულ საეკლესიო მმართველობას ჰქონდა ძველი, დანგრეული ქარვასლა. საქართველოს ეგზარხოსმა ხელსაყრელად მიიჩნია ამ მამულის გაყიდვა". მან იგი 1821 წ. 200 000 მანეთად მიჰყიდა გეორგ არწრუნის. გეორგის ვაჟმა, ერემიამ „ორჯერ მიმართა მეფისნაცვალს და იყიდა მისი ბაღიდან დახლოებით 400 საჟენი ფართობი 122000 მანეთად. იყიდა აგრეთვე მიწა მეორე მეზობლისაგან, სამხედრო შტაბისაგან და ასე გაიფართოვა მამული"... (იქვე, გვ. 222-228, 281). ბუნებრივია, ქართველი მოღვაწეები ვერ შეურიგდებოდნენ იმ გარემოებას, რომ თბილისის მიწა ზოგიერთი თავქარიანი თავადის, იმპერიის დიდმოხელეთა და მდიდარი სომეხი ვაჭრების თვითნებური ალებმიცემობის საგანი გამხდარიყო. მათ ყველაფერი უნდა ეღონათ იმისათვის, რომ ქართული მიწა საქართველოს კეთილდღეობის სამსახურში ჩაეყენებინათ.

ლეოს რატომღაც ისიც აღელვებს, რომ თბილისში ქართული გაზეთი „დროება" ყოველდღიური გამხდარა: „თბილისში გამომავალი ორი რუსული გაზეთი 1877 წ. ყოველდღიური გახდა. ის კი არადა, იმავე წელს დაიწყო ქართული „დროების" ყოველდღიურად გამოსვლაც. ხოლო ჩვენ?" ამასთან დაკავშირებით ლეოს მოაქვს ვინმე ასიაცის სიტყვებიც: „სირცხვილი არაა ჩვენთვის, სომხებისათვის, რომ რუსების და თვით ქართველების გაზეთები უკვე ყოველდღიური გახდა, ხოლო სომხურმა გაზეთმა ჯერ ვერ მიაღწია ამ მდგომარეობას?" (ლეო, VI, გვ. 541, 588, 570). თბილისში იმ ხანებში ქართულზე უფრო მეტი სომხური ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, თუ ლეო და მისი თანამოაზრეები აღელვებულან, ამით თავიანთ თანამემამულეებს მოუწოდებენ — ფრთხილად იყავით, ყურადღება არ მოადუნოთ, ქართველებმა თბილისი არ „წაგვართვან". სხვათა შორის,

1878 წლიდან „მშაკიც" ყოველდღიური გახდა.

ლეოს განსახილველი წიგნის რედაქტორი აკადემიკოსი მ. ნერსისიანი წიგნისადმი დართულ ნარკვევში აღნიშნავს რა, რომ გრ. არწრუნიმ 1872 წ. თბილისში დააარსა თავისი ცნობილი გაზეთი „მშაკი", რომლის უცვლელი რედაქტორიც იყო გარდაცვალებამდე (1892 წ.). ამავე დროს აცხადებს: „მართალი იყო ლეო, როცა წერდა: [illegible] ნაწარ[illegible] სომხური და [illegible] [illegible] უკმაყოფილებას გამოთქვამდა ზოგიერთი მოხ[illegible] არწრუნის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქართებში [illegible] აქ, სომხური სინამდვილის [illegible]ლში, გახაგებია, უფრო მძვინვარე, უფრო დაუნდობელი უნდა ყოფილიყო" (ლეო, VI, გვ. 857). მაშასადამე, მ. ნერსისიანსაც თბილისი „სომხური სინამდვილის გულად" მიაჩნია. ჩვენ კიდევ მოვითხოვეთ მისგან, რომ ლეოს ნაშრომებში არსებული საქართველოსა და ქართველი ერის შეურაცხმყოფელი ადგილებისათვის კრიტიკული შენიშვნები დაერთო! რას ვეძებთ, რა დაგვიკარგავს! მ. ნერსისიანს შეეძლო თბილისის შესახებ ლეოსეული უფრო სხარტი გამონათქვამიც შეერჩია. მაგალითად, ლაპარაკობს რა 1870 წ. ამბებზე, ლეო წერს: „თბილისის სინამდვილე, რა თქმა უნდა, სრულიად სომხობის სისხლხორცეულ ნატეხს წარმოადგენს"... (იქვე, გვ. 854).

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, საკითხავია, 1882 წ. რუსეთის ბატონობის საწინააღმდეგო შეთქმულებას, რომლის ცენტრი თბილისი წარმოადგენდა და რომლის მიზანი თბილისიდან და საერთოდ საქართველოდან დამპყრობელ რუსთა განდევნა იყო, სომხები აწყობდნენ თუ სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი, ორბელიანები და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეები? ნუთუ თბილისის სომხური სინამდვილე ახულდგმულებდა ბარათაშვილს, როცა მტკვარი და მთაწმინდა თავისი ტანჯული სულის მესაიდუმლედ გაიხადა? ილიას აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და მათ თანამოაზრეთა დასის მოღვაწეობა თბილისში ხელს არ უშლიდა ამ ქალაქის „სომხური სინამდვილის" შენარჩუნებას?

კიდევ ბევრი „მარგალიტის" ამოკრება შეიძლება დიდი ტირაჟით დაბეჭდილი ლეოს განსახილველი წიგნიდან, ისევე ,როგორც მისი სხვა თხზულებებიდანაც. მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი ნაწყვეტებიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რა სახის ნაშრომები იბეჭდება ერევანში (საზღვარგარეთ დასტამბულ არმენოლოგიურ ლიტერატურაზე რომ არაფერი ვთქვათ) საქართველო-სომხეთის, ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხებზე.

## ქართული ბიბლიოთეკა

სოლომონ ლეკიშვილი

# ი. ჭავჭავაძის ერთი მივიწყებული ავტოგრაფის შესახებ

ცნობილია რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობის შესწავლისათვის მის ჩანაწერებს და უბის წიგნაკებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ავტორის ინტერესებსა და მსოფლმხედველობაზე ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე და სხვ.

ამ თვალსაზრისით ერთობ დიდი მნიშვნელობისაა გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ დავით კარიჭაშვილის პირად საარქივო ფონდში შემონახული ი. ჭავჭავაძის რვეულ-კონსპექტი, სათაურად „სამახსოვრო". მასში მოთავსებულ მასალათა თარიღები მოიცავს მიჯნას 1865—1875 წლებს შორის და განეკუთვნებიან ილიას მოღვაწეობის ე. წ. დუშეთის პერიოდს.

ვინაიდან „სამახსოვრო" (28 გვ. ზომით 28X19) ანონიმურია, სამუზეუმო დოკუმენტებში მის თავდაპირველ გამტარებლებს (1939 წ.), იგი, ჩაუთვლიათ ფონდშექმნელის დ. კარიჭაშვილის ხელნაწერად. მათ ვერ შეუმჩნევიათ, რომ რვეული — კონსპექტის შედგენის წელს, 1865 წ. დ. კარიჭაშვილი 8 წლისაც არ იყო. ამგვარმა უზუსტობამ განაპირობა დასახელებულ ფრიად საყურადღებო დოკუმენტის რამოდენიმე ათეული წლით მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენა.

რვეულში მოთავსებული მასალა, შემდგენლის მიერ თემატურად ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით არ არის დაჯგუფებული. ილია იწერდა ყველაფერს, რასაც საჭიროდ სცნობდა, რაც მოსწონდა და აინტერესებდა, აკეთებდა შენიშვნებს. ამდენად მასალა ზოგჯერ წარმოადგენს ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ხასიათის ჩანაწერებს. მათ შორის ერთ ნაწილს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია, ხოლო მეტ ნაწილს დღემდე არ დაუკარგავს თავისი ინტერესი ი. ჭავჭავაძის ცხოვრება—მოღვაწეობის შემდგომ, გაღრმავებული შესწავლის საქმეში.

კონსპექტ-რვეულის საინტერესო ხასიათმა მოგვცა სტიმული, გაგვერკვია ვინაობა ამ მასალის ნამდვილი ავტორის.

პირველი, რაც ამ ხელნაწერ კრებულზე დაკვირვებისას მოგვხვდა თვალში, ესაა ხალხური ლექსების ჩაწერის ქრონოლოგიური თარიღები და გეოგრაფიული სახელები: დუშეთი, სტეფანწმინდა, კარდანახი, 1865, 187—72 წლები, აგრეთვე ისიც, რომ „სახსოვრის" შემდგენელი დიდადაა დაინტერესებული ლესინგით, გოეთეთი, სპენსერითა და შლოსერით.

აღნიშნულმა გარემოებებმა გვაფიქრებინა, პარალელი გაგვევლო ხელნაწერში მოცემულ ფაქტებსა და ილია ჭავჭავაძის 60—70-იანი წლების ბიოგრაფიულ ქარგას შორის. ამ ვარაუდის სისწორეში საბოლოოდ გვარწმუნებს შემდეგი ფაქტები: 1. ილიას ქართულ-რუსული ხელწერა და კონსპექტ-რვეულის ხელწერა აბსოლუტურად ერთია; 2. „სახსოვარში" წარმოდგენილი ლექსების დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია თვით ილიას მიერ.[1] 3. კრებულში მოთავსებული ზოგიერთი უცხოელი ავტორის (სენეკა, დანტე, ი. ტენი, ლ. ბერნე) ნააზრევი ი. ჭავჭავაძეს დროდადრო შეტანილი აქვს თავის სხვადასხვა ნაწერებში; 4. დაბოლოს, ურთიერთდამთხვევა „სახსოვარში" ამოწერილ ცალკეულ ციტატებსა და ი. ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების შესატყვის გვერდებზე ილიასეულ განაზაზებს შორის.

მთლიანად ხელნაწერი კრებული ილიას დიდი მუყაითი შრომისმოყვარეობის კიდევ ახალი, უტყუარი საბუთია და წარმოადგენს 1865-75

[1] „კრებული", 1872 წ. № 7, 1873 წ. № 1, № 3, 5, 6, 7, 8, 10).

წწ. მისი საქმიანობის ამსახველ ერთგვარ ლაბორატორიას. რადგან „სახსოვარი" ძირითადად შეიცავს ქართულ და რუსულ ერთმანეთთან დაშორებულ მასალებს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ცალ-ცალკე განხილვა.

## ფოლკლორული მასალა და მასთან დაკავშირებული საკითხები

რვეულში წარმოდგენილია სამოცამდე ლექსი, გამოცანა, ანდაზა, აგრეთვე ლოცვები (ხევსურული), რომელთა ჩაწერის უადრესი თარიღია 1865 წელი, ხოლო უგვიანესი 1871 წლის 18 ოქტომბერი. ეს ლექსებია: 1871 წელს სტეფანწმინდაში ჩაწერილი „ვაჟკაცსა გული რკინისა?, „ნეტავი ლაშქარს შეგვყარნა", „არც ვარგა ქალი", „კარგი ყმა მაშინ კარგია", „ლაშარის ჯვარსა", „კარგი ყმა ლაშქარს", „გაგვიძეღ, ბერო მინდიავ", „ვაჟკაცს დიაცის დანდობა", „ძმაო, რაი სჯობს", „ბლოვს ბერდიაი",[1] როსტომ მხთქვა", „ნეტავი ნატვრა", „ლამაზის ცოლის პატრონსა", „ნეტავი მოვკვდე", „ლამაზო, შენსა ხვევნასა", აგრეთვე კარდანახში გაგონილი „ქალმა სთქვა", „ა, ქალო", „კარგსა დროსა სჯობს", „ღმერთო, ნუ შემყრი", „ამაღამეელო ღამეო", „ჩავარდი საგონებელსა", „ირემო, მთასა მყვირალო", „თუში ვარ, გოგოლაური", „პატრონ თქვა", „ზრდილნი არიან იმერნი", „არ უნდა ჭირში გატეხვა", „ხოლომონ მხაჯულისა" და „გიორგი ერისთავის ექსპრომტი", გამოცანები თვალებზე, ნარდზე, ჭადრაკზე.

დასახელებული ლექსებიდან გარკვეული ნაწილი ადგილზე ფიქსირებული მასალაა (კარდანახში გაგონილი ლექსების ციკლი), ხოლო ნაწილი წარმოადგენს ადრე შესრულებული ჩანაწერების გადათეთრებულ პირს (სტეფანწმინდაში ჩაწერილი 18 ლექსი)

ეს ფოლკლორული მასალა თუმცა ძლეისათვის ძირითადად გამოქვეყნებულია (გარდა ორი ლექსისა, მათი მცდარი ზინაარსის გამო), ჯერ თვით ილიას მიერ 1867—1872 წწ. ხოლო შემდეგ დაბეჭდილი აქვს ფ. გოგიჩაიშვილს პ. უმიკაშვილისეული კოლექციის საფუძველზე, 1938 წ.), მაგრამ კრებულის ამ ნაწილს მაინც გაარჩია ერთგვარი უპირატესობა ხევსურთან შედარებით. მაგალითად, ხელნაწერში მოთავსებულია მთქმელთა ვინაობა. აი ისინიც: გიორგი ჯორჯაძე („თუში ვარ", „პატრონ თქვა"...), გიორგი მუხრანსკი („როსტომ მხთქვა"...), ილია აბხაზი („ლამაზო, შენსა ხვევნასა", „ლამაზი ცოლის პატრონსა"), დ[illegible] („ნეტავი ნატვრა მანატრა") და გიორგი [illegible] თავი.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ერთი [illegible] ცნობა, რომელიც ი. ჭავჭავაძეს ხალხურ ლექსებთან ერთად ჩაუწერია ილია აბხაზისაგან: „ხვანეთის სამთავროში ციოყ დადეშქელიანისა სახლში არიო დღემდე თამარის ბეჭედი, რომელსაც აწერია:

„ღვთისშობელს ვეხავ მისი ამარი
და ძესა მისსა მონებს თამარი".

ცნობილია, რომ ჩვენში ფოლკლორის შეკრება, ამ დიდი ეროვნული საქმის წამოწყება და ხელდური სახით კვლავ ხალხში გავრცელების ინიციატივა ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ისიც კარგად იცის მკითხველმა, თუ რა ხარბად იყენებდა ილია ფოლკლორულ მასალას თავის ნაწარმოებებში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ზემოთჩამოთვლილი ხალხური ლექსები წარმოადგენს. მაგალითად, 1871 წლის 22 მარტის თარიღით ს. სტეფანწმინდაში ჩაწერილია: „გაგვიძეღ ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო", და სხვა, ი. ჭავჭავაძეს ეპიგრაფად წაუმძღვარა „ქართლის დედას", ხოლო გიორგი ჯორჯაძისაგან გაგონილი „არ უნდა ჭირში გატეხვა, თუ კაცი გონიერია", და სხვა, მან გამოიყენა უფრო გვიან ოცდაათი წლის შემდეგ „ივერიის" 1895 წლის საახალწლო ლექსში.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ სამი ლექსი: „ქალმა თქვა...", „პატრონ თქვა", „ირემო, მთასა მყვირალო" უცვლელად აქვს შეტანილი ი. გოგებაშვილს „დედაენის" პირველსავე გამოცემაში.

ცალკე გვინდა შევეხოთ ხელნაწერ რვეულში მოცემულ ხევსურულ ლოცვებს, (მათ შორის პირველი ორი უსათაუროა, ხოლო დანარჩენ ორს „სამკვდრო" და „საქორწილო" ეწოდება). რომლებიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, წარმოადგენენ მოხევეებთან საუბრის („მგზავრის წერილები") ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროს. ესენი ილიას 1885 წელს ჩაუწერია სტეფანწმინდაში.

შევადაროთ დასახელებული ლოცვებისა და მოხევესთან დიალოგის ის ფრაგმენტები, რომელთაც, ჩვენი აზრით, უშუალო კავშირი აქვთ ერთმანეთთან:

[1] ამასთანავე ანგარიშგასაწევია ტექსტობრივი სხვაობა ლექსის „ბლოვს ბერდიაი..." შეადარე, „სახსოვარი", გვ. 16. ჟურნ. „კრებული" 1873 წ. № 7).

ხევსურული ლოცვები:

1 ლაღს მტერთან ჩაუფარე, მიწრიელ დაულაგმე, შინ მშვიდობით მიიყვანე, თუ რამ გამოვიდოდეს ღვის კარზედ გამოშვებული ღვთის იახაული ხორციელთ ბეგრებდეს..

სამკვდრო ლოცვა:

2. ღმერთო, იხოიშნე; ღმერთო, რაც დამკლებია, ნულარას დააკლებ; ღმერთო, დაცემული აღადგინე, ატირდომილი გააცინე.

ქორწინების ლოცვა:

3. ... ღმერთო, ცარგვლის გამჩენო... ბედიანი მქენ, დოვლათიანი

„მგზავრის წერილები":

„ადრიდა?.. შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იახაულს მის ყუდროს არ მივკერძოთ, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდით, ატირდომილს ვიხოშნიდით".

„აწინა, ქვრივ-ობოლ ვინ გაიკითხვის, ატირდომილ ვინ გააცინია, დაცემულ ვინ აღადგინის?"...

„...აქაველ კანმრთელნი არნ... ცარგვლის გამჩენმა განაგო".

დამოწმებული მაგალითებიდან ცხადზე უცხადესია, რომ მოხევესთან საუბრის ტექსტზე მუშაობისას ილიას უსარგებლია მის მიერვე 1865 წელს ჩაწერილი ხევსურული ლოცვებით, რაც „სამახსოვროს" უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

დასასრულ, არა ნაკლებ საინტერესოა „სამახსოვროს" 21-ე გვ. მოცემული და დღემდე გამოუქვეყნებელი ილიას შემდეგი შენიშვნა საბას იგავზე „კაცი და გველი": „სიბრძნე სიცრუის ზღაპარი კაცმა რომ გველი დაიხსნა, — წერს ილია, — და გველმა მადლის მაგიერ ყელში წაუჭირა და სხვა — ეს ზღაპარი მოლდავიაშიც არის ცოტად გადასხვაფერებული (ნახე: „Русский Вестник", ივლისი, გვ. 547 1875 წ. ილიას მიერ დასახელებული წყარო წარმოადგენს ვინმე ოდისეი პოლიხანდრიადეს ვრცელ მოგონებას.

მოგონების ავტორი, სხვათა შორის, იხსენიებს მამის ნაამბობ მოლდავურ იგავს იმაზე, თუ როგორ დაისაჯა ერთხელ ერთი კაცი კეთილის ჩამდენისათვის. ეს მოლდავური იგავი ილიას საბას „კაცი და გველის" მონათესავედ მიუჩნევია. მოლდავური იგავის შინაარსი ასეთია: კაცი სიკვდილისაგან იხსნის მორის ქვეშ მოყოლილ გველს, რომელიც მაშინვე დასახრჩობად იმეტებს გადამრჩენს.... ისინი სამართალს კითხავენ ჯერ ძროხას, შემდეგ ცხენს. ორივენი უცხადებენ, კეთილის ჩამდენი უნდა დაისაჯოსო, ხოლო საბასთან კი როგორც ვიცით, კაცი გველს იხსნის ცეცხლისაგან.. ორივე განსახჯელად მიდიან ჯერ ჭადართან, შემდეგ ხართან. პასუხი ერთია: „კარგისათვის კარგი არავის უქნია". როგორც საბასთან, ასევე იგავის მოლდავურ ვარიანტში გლეხს იხსნის მელა, რომელიც კინაღამ შეიწირა მის მიერ გადარჩენილმა ადამიანმა. როგორც ვხედავთ, ილიას მიერ მოძებნილი პარალელი სავსებით მართებულია. ეს იგავები მსგავსნი არიან, როგორც თემით და მასალით, ასევე ყველა სხვა ნიშნებით, რაც უაღრესად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს. ამ არაკის წარმოშობის წყაროსა თუ გავრცელების არის შესასწავლად.

## II. ფრაგმენტები ევროპელ ავტორთა შრომებიდან (ჩაწერილია რუსულად)

ხელნაწერი რვეულის ეს ნაწილი წარმოადგენს შემდგენლის მიერ 1865—1872 წწ. დამუშავებული ლიტერატურის გულმოდგინედ შედგენილ, მრავალმხრივ საინტერესო კონსპექტს. კერძოდ მასში ლიტერატურული წყაროს ზუსტი მითითებებით წარმოდგენილია ფრაგმენტები ჰ. ჰაინეს, ლ. ბერნეს, ფ. შლოსერის, ჰ. სპენსერის, ი. ტენის, ლესინგის ნაწარმოებებიდან, რომლებშიც ან ავტორებს გამოთქმული აქვთ თავიანთი შეხედულებები ხელოვნების, საერთოდ, პოეზიის და, კერძოდ, პოეტის დანიშნულების შესახებ. „სახსოვარში" ამასთანვე ვხვდებით საყურადღებო ციტატებს მიუნცერის, მაკიაველის და სხვათა შრომებიდან. ციტატებთან ერთად ი. ჭავჭავაძეს აქ მრავლად აქვს ჩანიშნული გვერდები ამავე და სხვა ავტორების ნაწარმოებთა შრომებიდან.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონსპექტში ჩანს ილიას განსაკუთრებული ინტერესი ლესინგისა და ჰაინეს ესთეტიკური შეხედულებებისადმი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ილიას მიერ ამოწერილ რამდენიმე ადგილს დასახელებულ ავტორთა ზოგიერთი შრომიდან. ამ მხრივ მეტად საინტერესოა შემდეგი ციტატი ჰაინედან („გერმანიის შესახებ"):

**«Народ требует, чтобы писатели переживали с ним его обыденные страсти, чтобы они приятно щекотали или оскорбляли его собственные ощущения; народ любит, чтоб шевелили его чувства»**

(იხ. ჰაინე, ტ. 5, 1866, გვ. 324).

ილია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ფ. შლოსერის შემდეგ გამონათქვამზე:

**«Образцовые произведения искусства, управляемого вместо истинного вдохновения правилами и примерами, но отличающегося логическим и изящным выражением мыслей — суть произведения таланта; произведения же гения**

запечатлены характером высшего образования и творческою способностью гения, знаком с правилами и законами разума, но сила и полнота фантазии которого этим не ослаблена». (Шлоссер. «Всемирная история», том I, 1868 г., стр. 310—311).

ილია განაგრძობს ამოწერას, ამჯერად უკვე „სახელგანთქმულ სპენსერიდან“.

«Поэзия рассматривается как проводник мысли, производит более сильное впечатление отчасти потому, что следует всем законам эффектной речи, отчасти потому что поступая таким образом, она подражает естественным выражениям возбужденного состояния. Поэт развивает из типических выражений, которыми люди высказывают страсть и чувство, те избранные формы сочетания слов, в которых лучше всего можно представить сосредоточенную страсть и чувство». (Спенсер, «Научные, политические и философские опыты», том I. СПБ., 1866, стр. 83).

მოულოდნელი არც ის არის, რომ ილია საგანგებოდ დაინტერესებულა ცნობილი გერმანელი პუბლიცისტის, ლუდვიგ ბერნეს შემდეგი სიტყვებით:

«Столетия проходят безвозвратно, времена года сменяются одно другим, погода счастья изменяется, ступени возраста идут вверх и опускаются вниз. Ничего не вечно, кроме перемены, ничто не остается неизменным, кроме смерти. Каждое биение сердца наносит нам рану, и жизнь была бы вечным кровотечением, если б на свете не было поэзии. Она дает нам то, в чем отказывает природа: золотое время, никогда не покрывающегося ржавчиною, весну, никогда не увядающую, безоблачное счастье и вечную юность. Поэт утешитель человечества; он становится утешителем, когда само небо уполномачивает его к этому, когда бог кладет на его чело свою печать и когда он приносит на землю небесные вести из-за презренного курьерского жалования». (Берне, «Надгробное слово», т. II, 1869, стр. 288).

ესთეტიკისადმი ილიას განსაკუთრებული ინტერესის კიდევ ერთი დადასტურებაა მის მიერ „სახსოვარში“ შეტანილი სპენსერის შემდეგი გამონათქვამი:

«Писатель, в котором сила выражения вполне соответствует состоянию чувства, будет бессознательно употреблять то разнообразие в способе представления своих мыслей, которое требуется искусством... человек в совершенстве одаренный природою, должен бессознательно писать всяким стилем, ибо способ выражения необходимо отвечает состоянию чувства». (Спенсер, том I, Спб., 1866, стр. 90—92).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, [illegible] დასავლეთევროპელ ავტორთა შრომების გაცნობისას ილია ჭავჭავაძე მარტო ესთეტიკისა კითხვებით როდი კმაყოფილდება. ილიას უთუოდ მოსწონებია თომას მიუნცერის ასეთი დებულება, რომელიც ფანქრით აქვს ამონიშნული:

«Недостаточно кричать беспрестанно «вера», «вера», «вера» и наполнить этим словом огромные томы. Иметь веру — значит трудиться для освобождения земли».

ილიას თავის კონსპექტში შეუტანია აგრეთვე შეფსტბერის ორი შემდეგი ფრაზა:

«Убеждение в существовании Бога не может иметь никакого влияния на представление о том, что прекрасно, или хорошо, или благородно, потому что представления эти предшествуют идее о божестве, или, по крайней мере, совершенно не зависят от этой идеи: суеверный же, напротив, считает хорошими и добрыми вещи, сами по себе ненавистия и дурныя».

ინტერესს მოკლებული არაა „მაღალი საზოგადოების“ შლოსერისეული კვალიფიკაცია, რისი ჩანიშვნაც „სამახსოვროს“ ავტორს აგრეთვე საჭიროდ უცვნია:

«Высшее общество боится умственных усилий и не отличается вообще ни особенными познаниями, ни силою в умственном труде».

„სახსოვარში“ დიდი ადგილი უჭირავს ციტატებს 70-80-იანი წლების რუსეთის ერთ-ერთ პროგრესულ ჟურნალ „დელო“-ში (1872 წ. № 5) მოთავსებულ სტატიიდან „Общественно-психологический этюд“.

ზვერდს ვერ ავუვლით „დელოს“ აღნიშნული სტატიის ერთ საინტერესო ფრაგმენტს, რომელიც თავისი შინაარსით მახლობელი უნდა ყოფილიყო ილიასათვის:

«Народ должен любить создание своей духовной деятельности, своих идей и стремлений, он должен полюбить прежде всего самого себя и проникнуться уважением собственного достоинства, чтоб обратить эту любовь и на других».

ჟურნალ „დელოსადმი“ ილიას დიდი ინტერესი დასტურდება მის მიერ დუშეთიდან მეუღლისადმი გამოგზავნილი ერთი უთარიღო წერილითაც: — „სამ წიგნს „დელოსი“ გიგზავნი.

მანდ ყურადღებით წაიკითხე „Об американских женщинах". მოვალე და ეგზამენიას ჯიზაშ"[1] ვინაიდან ილია აქ, ამ წერილში არ უთითებს ჟურნალის წელსა და ნომერს, გავეცანით „დუშეთის პერიოდში" გამოცემული ამ ჟურნალის ნომრების ხარჩევს. გამოირკვა, რომ ილიას მიერ მოწონებული სტატია სათაურით: „О женском деле в Америке" გამოქვეყნებულია „დელოს" 1872 წლის პირველ, მეორე და მეხუთე ნომრებში და ეკუთვნის ცნობილ პუბლიცისტს სერგეი შიშკოვს (ე. ი. მიახლოებით დგინდება ილიას ამ პირადი ბარათის თარიღიც. კერძოდ, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1872 წლის მეორე ნახევრის პირველ თვეებში). ეს ფაქტი ნათლად ცხადყოფს აღნიშნულ პერიოდში ქალთა ემანსიპაციის საკითხისადმი ილიას დიდ ინტერესს.

ცხადია, „სახსოვარში" წარმოდგენილმა შრომებმა დიდი როლი შეასრულა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძის იდეური ჩამოყალიბების საქმეში.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ზოგიერთი ფაქტი „სახსოვარში" მოტანილი რამოდენიმე ციტატით სარგებლობისას ილიას მიერ სხვადასხვა დროს. დავიწყებთ სენეკას აფორიზმით:

**О, как счастлив тот, кто исправляет нас не только своим присутствием, но и одною мыслью о своем присутствии».**

საინტერესოა სენეკას ორი სხვა ციტატაც, რომლებიც ილიას 1887 წ. შეტანილი აქვს თავის „დამაკვირდი"-ში ესენია:

**«Носи в твоем сердце человека. чтобы почитать его с любовью (со страхом), которая освещала твой внутренний мир».**

ამ ციტატის ჩაწერიდან ოცდაათიოდე წლის შემდეგ გაბრიელ ქიქოძის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში იგი ილიას ასე აქვს გადმოცემული: „ნეტავი იმასა, ამბობს ძველად ბრძენი, ვისაც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცო".[2]

აი, მათი შესატყვისი თარგმანები „დამაკვირდიდან": „გულში ატარე ადამიანი, რომ პატივსცე იმ სიყვარულითა, რომელიც ათბობს და ანათებს შენს სულიერსა ბუნებასა".

„ბედნიერია იგი, ვისაც ისე უყვარს სხვა, რომ მარტო ერთის მისის ხსენებით იწვრთნება და კეთდებოდეს. ვისაც ნიჭი აქვს სხვის ამისთანა სიყვარულისა, იგი თვითონაც მალე შეიქმნება ღირსი თაყვანისცემისა".[3]

ი. ჭავჭავაძე მთარგმნელს ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა და მოითხოვდა

[1] (იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. X. გვ. 257).
[2] (ი. ჭავჭავაძეს ტომი IV გვ. 251).
[3] („დამაკვირდი", გვ. 129).

მისგან ორიგინალის აზრის დაუმახინჯებლად გადმოცემას. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ „სახსოვარში" წარმოდგენილი ციტატის ილიასეული თარგმანები ამავე დროს რუსულიდან ქართულ ენაზე გადმოტანის კარგი ნიმუშებიცაა. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ „სახსოვარში" წარმოდგენილ კიდევ რამოდენიმე მაგალითს.

„Человеческая честность" — ვკითხულობთ რვეული-კონსპექტის მე-17 გვერდზე, — — **весьма редко передается в наследство, поэтому-то она и должна украшать имя того, кто ее проявляет».**

აი, დანტეს ამ ნაწყვეტის ილიასეული თარგმანი „დამაკვირდიდან": „პატიოსნება ადამიანისა ძალიან იშვიათად გადაიცემის მემკვიდრეობით, მოდგმით, ამიტომაც იგი უნდა ამშვენებდეს მარტო იმის სახელს, ვინც მისი მქონებელია".[1]

ზედმეტი არ იქნება, თუ ხელახლად დავიმოწმებთ ლ. ბერნეს ზემოთ მოტანილი ვრცელი სტატიის ერთ ადგილს:

**«...Каждое биение сердца наносит нам рану, и жизнь была бы вечным кровотечением, если б на свете не было поэзии».**

ლ. ბერნეს ეს აზრი ი. ჭავჭავაძეს მოხდენილად აქვს გამოყენებული ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისას წარმოთქმულ სიტყვაში „თვითეული ცემა გულის ძარღვისა, — ამბობს ილია ამ სიტყვის დასაწყისში, — გვჭირს და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო, თქვა ერთმა ბრძენმა".

საყურადღებოა ისიც, რომ „სახსოვარში" წარმოდგენილი რვა ავტორის ათი წიგნიდან და ორი სხვადასხვა სახელწოდების ჟურნალიდან დღეისათვის ილია ჭავჭავაძისეულ ბიბლიოთეკას შემორჩა უმეტესი ნაწილი, აქ ვერ ვხედავთ მხოლოდ შლოსერის „История XVIII в.» ი. ტენის «О предмете поэзии,» მაკიაველის «Государь», აგრეთვე ჟურნალებს — «Русский вестник» და დელოს" ზემოთ განხილულ ნომრებს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ „სახსოვარი" უდავოდ ილიას პირადი არქივის ნაწილია და იგი ნაყოფია მის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული გულმოდგინე შრომისა: „სახსოვარი" თავისი შინაარსით სავსებით ამართლებს შემდგენლის შერქმეულ სახელს.

„სახსოვარი" ახალ შუქს ფენს ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ და საინტერესო მუშაობას, მისი მოღვაწეობის იმ პერიოდში, როდესაც დროის მხრივ დიდ მწერალს საგრძნობლად ზღუდავდა სამსახურებრივი მოვალეობანი.

[1] („დამაკვირდი", გვ. 19).

ალექსანდრე მენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭეშმარიტი ქრისტეს ძიებისათვის

## (სახარების მოტივები დასავლეთის ლიტერატურაში)

ბიბლიას სამართლიანად უწოდებენ კაცობრიობის თანამგზავრს. მისი მრავალმხრივი გავლენა ცხოვრებასა თუ შემოქმედებაზე საყოველთაოდ ცნობილია. მეოცე საუკუნის მწერლები ბიბლიურ თემებს მიუბრუნდნენ და ეს არც შემთხვევითი მოვლენაა, არც კონიუნქტურული. იგი ორგანულადაა ჩაქსოვილი იმ ხანგრძლივ ტრადიციაში თავის სათავეს ანტიკური ხანიდან რომ იღებს. თანამედროვე მწერლებს „სახარების ინტერპრეტატორებს ამ ტრადიციაში ადგილი რომ მივუჩინოთ და თანაც გავერკვეთ, თუ რად რჩება სახარება მარად და მარად საჭირბოროტო თემად, ცხადია, მხატვრულ ლიტერატურაშიც, ალბათ საჭიროა თვალი გადავავლოთ ახალი აღთქმისეული სიუჟეტიკის ისტორიას პროზასა და პოეზიაში. საყურადღებო წერილის ჩარჩოები ფართო განხილვის საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ საკვანძო მომენტებით შემოვიფარგლებით, ანუ თვალს გადავავლებთ, თუ როგორ ასახავდა ქრისტეს პიროვნებასა და ცხოვრებას დასავლეთელი პროზაიკოსების შემოქმედება. ფილოსოფიასა და ეხეისტიკას თითქმის არ შევეხებით. ეს განსაკუთრებული თემაა და ცალკე უნდა განიხილონ.

თავდაპირველად კი რამდენიმე სიტყვით უძველესი დრო უნდა მოვიხსენიოთ.

### უძველესი აპოკრიფებიდან შტრაუსამდე

სახარების ლიტერატურულ-მხატვრული ინტერპრეტაციის პირველი მცდელობა თითქმის ამ წიგნივით უძველესია. ეგვიპტესა და სირიაში ამას მაშინაც კი ცდილობდნენ, როცა ახალი აღთქმა მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

უძველესი აპოკრიფების ავტორებს სურდათ ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრების საკუთარი ვერსია შეექმნათ და დაესრულებინათ ის ეპიზოდები, სცენები თუ დიალოგები, რაც მათი აზრით ევანგელისტებს გამორჩათ. სახარებების გარდა აპოკრიფებისათვის ასეთივე ნიმუში იყო ძველი აღთქმა, ანტიკური რომანები, ბიოგრაფიები და კიდევ აფორიზმების თუ ლეგენდების სხვადასხვა კრებული აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც უხსოვარი დროიდან რომ არსებობდა. ზოგადად კი აპოკრიფულ ლიტერატურას „მეორადი" შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ასეა თუ ისე, მაინც კანონიკური სახარებიდან ამოიზარდა.

უძველეს ხანას ზებუნებრივისაკენ სწრაფვა ახასიათებდა. თუ აპოკრიფებს მის პროტოტიპებს შევადარებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ მათ შემქმნელებს განა მარტო ბელეტრისტიკული დეტალები შექონდათ თხრობის ქსოვილში, განსაკუთრებული მგზნებარებით აღწერდნენ იმ ეფექტურ სასწაულებს წარმოსახვაზე შემაძრწუნებელ ზეგავლენას რომ ახდენდა. აპოკრიფები გვიამბობენ, რომ უკვე ბავშვობაში, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, იგი ზებუნებრივ ძალას ამჟღავნებდა, რომ აღდგომის საიდუმლო უამრავი შეძრწუნებული მოწმის წინაშე აღსრულდა და ა. შ. ერთი სიტყვით, ევანგელისტების მკაცრ და უბიწო თავდაჭერილობას უსამანო ფანტაზიის თარეში, ფოლკლორული ქსოვილი და ხანდახან გნოსტიკური ფილოსოფიიდან ნასესხები რთული მეტაფიზიკაც კი ენაცვლებოდა.

მიუხედავად ამისა, ანდა ნაწილობრივ შეიძლება სწორედ ამის წყალობით, აპოკრიფებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს და სახვით ხელოვნებაშიც ფართოდ აისახნენ. და მაინც, ბიბლიურმა კანონმა ისინი არ აღიარა. ახალი აღთქმის კანონიკური კრებულის შემდგენელთა

განსაცვიფრებელმა ალღომ თავი სწორედ აქ იჩინა.

უტყუარობის პრობლემა გვერდზეც რომ გადავდოთ (აპოკრიფებში ანაქრონიზმების სიმრავლე პირდაპირ თვალში საცემია), უნდა ვაღიაროთ, რომ წმინდა მხატვრული ღირსებულებითაც კი იგი ბევრად ჩამორჩება ევანგელისტების ქმნილებებს... აპოკრიფული ლიტერატურა იმდენადვე განსხვავდება ახალი აღთქმისაგან, როგორც უხეში იმიტაცია დიდი ორიგინალისაგან. ევანგელისტების დაჯაბნის მცდელობა დიდი ლიტერატურული მარცხით დასრულდა. ამ თვალსაზრისით, აპოკრიფები თითქოს წინასწარ განსჯვრიტეს ამგვარი მცდელობის მომავალი ბედი.

ალბათ არ იქნებოდა სწორი, რომ გამოგვეცხადებინა, მხატვრული ლიტერატურა სახარებისეულ თემაზე ტყუილად იწერებოდა. იგი სრულქმნილი არ არის, მაგრამ გარკვეული ღირებულება, როგორც სახარების ამა თუ იმ ასპექტის აქტუალიზაციისა და გააზრების ფორმას, უდავოდ ქონდა.

ამგვარი გააზრების სურვილი მას შემდეგაც არ გამქრალა, როცა კანონიკური საბოლოოდ განმტკიცდა. ამის დასტურია შუა საუკუნეების დასავლეთში, ბიზანტიასა და ძველ რუსეთში მდიდარი აპოკრიფული ლიტერატურის არსებობა. მისი ერთი ნაწილი მხოლოდ ძველი ტექსტების თარგმანი იყო, მეორე კი ახალი ცდებით შეივსო. კანონიკურის არსებობა სახარებასთან ან ახალი აღთქმის სხვა წიგნებთან მეტოქეობის პრეტენზიას უკვე გამორიცხავდა. მწერლები მხოლოდ პარაფრაზით კმაყოფილდებოდნენ და მის საკრალურ მნიშვნელობაზე პრეტენზიას აღარ აცხადებდნენ.

რენესანსის ეპოქიდან ქრისტიანული სიტყვის ოსტატები უპირატესობას ძველი აღთქმის თემებს ანიჭებდნენ. ეს გასაგებიცაა. მწერლები და პოეტები სულ უფრო და უფრო მზირად რწმუნდებოდნენ, რომ ახალი აღთქმის თემები ძნელი დასაუფლებელი იყო. ძველი აღთქმა ხომ ადამიანს ღვთის წინაშე მისთვის დამახასიათებელი ვნებებით, კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით ალსავსეს წარადგენს, სახარება კი პერსპექტივას ცვლის და კაცობრიობის შეკითხვის პასუხად მარადისობას აცხადებს. ამ წმინდა სიტყვის პოეზიის ან პროზის ენაზე „თარგმნა" არც ისე იოლი აღმოჩნდა.

ისეთმა გიგანტმაც კი, როგორიც ჯონ მილტონი იყო, 1671 წელს პოემა „დაბრუნებული სამოთხე" რომ შექმნა, მამაცური მცდელობის მიუხედავად, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თვით გენიოსიც კი აქ თითქმის გადაუჭრელი ამოცანის წინაშე დგება და არა რაღას უნდა ელოდე, როცა ამ ამოცანას ნაკლები მასშტაბის მწერლები ეჭიდებიან?

ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა, როცა 1778 წელს ფრიდრიხ კლოპშტოკმა ვნების კვირის მოვლენებისადმი მიძღვნილი ეპოსი „მესიადა" გამოსცა. თანამედროვე ადამიანის ალქმაში პოემის ხარვეზებს აშკარად ფარავს მუსიკა ჰენდელისა, რომელმაც კლოპშტოკის ტექსტზე ორატორია შექმნა. მაგრამ თავისთავად „მესიადა" უზვსიტყვიანი და მაღალფარდოვანია და ალეგორიებით, მომაბეზრებელი სცენებითა თუ სალვთისმეტყველო მსჯელობებითა გადატვირთული. შელამაზებული ფასადი სახარების შინაგან სიდიადეს აცამტვერებს. კლოპშტოკმა უძველესი აპოკრიფების ავტორთა ბედი გაიზიარა, თუმცა მას, ცხადია, თავისი პოემით სახარების შეცვლის პრეტენზია არ ქონდა.

მე-18 საუკუნის დასასრულს ზოგიერთ ავტორს მოეჩვენა, რომ მიაკვლია პასუხს კითხვაზე, თუ რად აღმოჩნდა შეუძლებელი იესოს ცხოვრების ასახვა. კონვენტის წევრმა, ასტრონომმა შარლ დიუპუიმ და მწერალმა რომანტიკოსმა ვოლნეიმ განაცხადეს, რომ ქრისტეს სახე სხვა არა არის რა, თუ არა უძველესი მზიური მითის ერთ-ერთი ფორმა და სწორედ ამიტომ, მასში ადამიანური თვისებების აღმოჩენა ვერავინ შესძლო.

ეს შენიღბული კაპიტულაცია გახლდათ. სწორედ ეს იყო აღიარება, თუნდაც ისტორიული ჰიპოთეზის სახით, რომ საუკუნეების მანძილზე ლიტერატურა განუხორციელებლის მიღწევას ცდილობდა.

დიუპუისა და ვოლნეის ვარაუდმა ვერავინ დააკმაყოფილა. ჯერ კიდევ მათი უფროსი თანამედროვე ჟან-ჟაკ რუსო აღიარებდა, რომ „მითოლოგიური ჰიპოთეზა" მხოლოდ ახალ, ძნელადგადასაჭრელ პრობლემებს ქმნიდა. „სახარება, — წერდა იგი, — ჭეშმარიტების ისეთ დიად, განსაცვიფრებელ და განუმეორებელ თვისებებს იტევს, რომ მისი გამომგონებელი თავად გმირზე საოცარი იქნებოდა". რუსო თვალნათლივ ხედავდა, რომ სახარებაში უამრავი მოვლენა ეროვნულის საზღვრებს ცილდებოდა, სწორედ ამიტომ მოუწოდებდა, შეუცნობლის წინაშე მდუმარედ და მოკრძალებით დაიხიეთ უკანო.

მაგრამ რაციონალიზმისათვის, რომელიც თვლის, რომ „ხალი აზრი" ყოვლისშემძლეა და ყველა საკითხში უკანასკნელ მსჯავრად გვევლინება, რუსოს ფრთხილი პოზიცია ისევე მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც მითების თეორია.

მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე რაციონალისტებმა ზუსტად ჩამოაყალიბეს საკითხი: თუ ქრისტე არც უფლის მოვლინებაა და არც გამოგონებული გმირი, მაშ ვინღა არის? იქნებ უფრო დავუახლოვდეთ მის პიროვნებას თუკი სახარებისეული ისტორიიდან ყოველგვარ ზერაციონალურს გამოვრიცხავთ?

ეს ორიენტირი მრავალმა მწერალმა და მოაზროვნემ აიტაცა და ქრისტეს ცხოვრების

ჩატევა მორალიზებული განმანათლებლობის პროკრუსტეს სარეცელში ცდილა. მათ რიგებს განეკუთვნება ახალგაზრდა ჰეგელიც, რომელმაც 1795 წელს საკუთარი „აპოკრიფი" შექმნა. მასში ახსნილი გონიერი ცხოვრების უფერული მოძღვრება სახარებისეულ ქრისტეს ხატთან ახლოსაც ვერ მიდის და მაინც, ამგვარმა მარცხმა ქრისტიანული სანყისის მხატვრულ-ისტორიული რეკონსტრუქციის ექსპერიმენტები ვერ შეაჩერა. უფრო მეტიც, რაციონალიზმის გავლენის ზრდასთან ერთად ლიტერატორებს ქრისტეს ხატი უფრო და უფრო იტაცებდათ.

საფრანგეთის რევოლუციის მრისხანე მოვლენებმა კარლ ვენტურინი შთააგონა იესო ამბოხების ბელადად წარმოეჩინა. მისი „ნაზარეთელი დიდი წინასწარმეტყველის რეალური ისტორია" (1800—1802 წ.) სახარებისეულ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი რომანია, სადაც ფანტაზიას ჭეშმარიტად უსამანო გაქანება მიეცა. შემდგომი ავტორები ამავე გზას მიუყვებოდნენ. რაციონალიზმის მიუხედავად მათ წიგნებში წარმოსახვას ძველი აპოკრიფების ავტორებზე ნაკლები გაქანება როდი ჰქონდა.

ეს ცდები ერთგვარად დააჯამა 1835—1836 წლებში გამოცემულმა, ჰეგელის მიმდევრის, დავით ფრიდრიხ შტრაუსის წიგნმა „იესოს ცხოვრება". შტრაუსი თეოლოგიის პოზიციიდან ამოდის და ცდილობს ქრისტიანობის იდეალურ არსსა და ისტორიულ კრიტიკას შორის კომპრომისი მოძებნოს. შედეგი გამანადგურებელი აღმოჩნდა. ქრისტე შტრაუსთან უნივერსალური ადამიანობის მატარებელი „იდეაა" მხოლოდ. ასეთ „იდეას" კი შტრაუსის აზრით „არ უყვარს", როცა ერთი სახით წარმოაჩენენ. იესო მხოლოდ რწმენისა და ეთიკის ქადაგი გახლდათ, ბოლო ყოველივე ის, რაც მის შესახებ სახარებაშია მოთხრობილი — რეალობა კი არა, მითების ციკლია და მომავალი მაცხოვარი — მესიის ძველი აღთქმისეული რწმენიდან ნასესხები. თავისი „აპოკრიფი" „ისტორიული იესოს" ცხოვრების შესახებ შტრაუსმა ოცდაათი წლის შემდეგ დაწერა, როცა მისი წიგნით გამოწვეული ქარტეხილი ცოტა ჩაწყნარდა.[1] მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთში უკვე გამოცემული იყო წიგნი ქრისტეს შესახებ, რომელმაც გაცილებით უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაცილებით უფრო დიდი გავლენაც იმ მწერლებზე ამ სიუჟეტს მოგვიანებით რომ იყენებდნენ.

ამ წიგნის ავტორი ერნესტ რენანი გახლდათ.

## რენანის ექსპერიმენტი

1845 წლის 6 ოქტომბერს, წმინდა სიულპისის სემინარიის ფართო კიბეზე, ანაფორაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი ჩამოდიოდა. მან იცოდა: დღეს უკანასკნელად მოვიდა სემინარიაში. არადა, მხოლოდ ოცდაორი წლის იყო და სულ ახლახან მღვდლად კურთხევისთვის ემზადებოდა. ახლა კი ეს მღვდლობა უკვე წარსული იყო. გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა მტკივნეულად მძიმე აღმოჩნდა. ბუნებით ნაზი და მგრძნობიარე ჟოზეფ ერნესტ რენანი, სანამ რუბიკონს გადალახავდა, დიდხანს ბორგავდა, იტანჯებოდა, მეგობრებსა თუ მოძღვრებს რჩევას ეკითხებოდა და თავს ებრძოდა.

ბრეტონელი მეთევზის შვილი აღიზარდა პროვინციულ წყნარ ქალაქში, რომელიც ლეგენდებით სუნთქავდა და ძველებური, ტრადიციული ღვთისმოსაობის ატმოსფეროს ქმნიდა. ღვთისმოშიშ დედას შვილის სასკოლო წარმატებები და მომავალი საეკლესიო კარიერა ახარებდა. ბრწყინვალე ნიჭის წყალობით, ახალგაზრდა ბრეტონელი სალვთისმეტყველო მეცნიერების შესასწავლად პარიზს წარგზავნეს.

ეს იყო პირველი ელდა მის ცხოვრებაში. მოგვიანებით მწერალი იხსენებდა: „ბუდისტი ლამა ან მაჰმადიანი ფაკირი უცებ აზიის შუაგულიდან ხმაურიან ბულვარზე ერთი თვალის დახამხამებაში რომ გადაგესვათ, ალბათ უფრო ნაკლებად გაოგნდებოდნენ ვიდრე მე, როცა მოულოდნელად აღმოვჩნდი იმ საზოგადოებაში, რომელიც ასე განსხვავდებოდა ჩვენ ბრეტონელ მხცოვან მოძღვართა საზოგადოებისაგან. ეს ღირსეული მოღვაწენი, სრულიად გახევებულნი და გაქვავებულნი, ოზირისის იმ კოლოსალურ ქანდაკებებს ჩამოჰგავდნენ, მოგვიანებით ეგვიპტეში ასე რომ მატკბობდნენ, როცა ნეტარი სიმშვიდით განდიდებულ ქანდაკებათა რიგს ვუჭვრეტდი. ჩემი ჩამოსვლა პარიზში ერთი რელიგიიდან მეორეში გადახტომა იყო. ჩემი ბრეტონული ქრისტიანობა ისევე არ გავდა აქ დამხვდურ ქრისტიანობას, როგორც ძველებური, უხეში ტილო თხელ ბატისტს არა გავს".[1]

ამ ხმაურიანი და ზედაპირული ცივილიზაციის შემოტევას რენანი ბოლოს და ბოლოს კაუმკლავდა. თანდაყოლილი და ჩანერგილი სიწმინდე, მეცნიერების სიყვარული და მოძღვართა ყურადღებიანი მზრუნველობა პარიზის ვულგარული ცდუნებებისაგან თავის დაღწევაში დაეხმარა.

მაგრამ მას სხვა ცდუნებები ჩასაფრებოდნენ.

იმ წლებში კათოლიკური მეცნიერება მთელი ძალით ებრძოდა იმ ახალ მეთოდებსა და დასკვნებს, გერმანიაში ბიბლიის მკვლევარები რომ ამუშავებდნენ, ახალი მკვლევარები ამტკიცებდნენ, ყველა წმინდა წიგნი როდი ეკუთ-

---

[1] საქმე ეხება ე. შტრაუსის წიგნის მეორე ვარიანტს, რომელიც 1864 წ. გამოიცა.

ვნის იმ ავტორებს, რომლებსაც ტრადიციულად მიაწერენ, ბიბლიური თქმულებების ერთი ნაწილი თანდათანობით, მრავალი ნაწყვეტისაგან იქმნებოდა. ამიტომ მთელი ქრონოლოგიის გადახედვა და ბიბლიური თქმულებების მთლიანი რეკონსტრუქციაა საჭირო.

დღეს იშვიათად ფიქრობს ვინმე, თითქოს ეს წმინდა ისტორიული პრობლემები რწმენისა და ბიბლიური მოძღვრების არსს ეხებოდეს. ეკლესიამ ესა თუ ის წიგნი წმინდად და კანონიკურად იმიტომ კი არ აღიარა, რომ იგი უძველესი ქრონოლოგიის თუ ფაქტობრივი დეტალების სიზუსტით გამოირჩეოდა, არამედ მისგამო, რომ იგი ეკლესიის ცოცხალ თქმულებას, მოციქულთაგან შეთვისებულ მის მრწამსს შეესაბამებოდა. მაგრამ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, კათოლიკებს შორის სხვა შეხედულებები ჭარბობდა. მათი აზრით ბიბლია ფაქტების საკითხში აბსოლუტურად უცოდველი იყო და ყოველგვარი მეცნიერული აზრი, რასაც ტრადიციულ შეხედულებებში ცვლილება შეჰქონდა, მიუღებელი გახლდათ. რენანი კი ბიბლიის პროტესტანტ მკვლევარებს სწავლობდა და მათი მრავალი თეორიის საფუძვლიანობაში რწმუნდებოდა. ამან მის გულსა და გონებაში მძიმე განხეთქილება წარმოშვა. მეგობრებთან მიწერილ წერილებში ხშირად ჩიოდა, ნეტავ პროტესტანტად დავბადებულიყავიო.

თუმცაღა პროტესტანტიზმი მალე უსუსურობად მოეჩვენა. რენანის რწმენას შეუხორცებელი ჭრილობა გაუჩნდა. მისი ეჭვები შეიტყო თუ არა, გამწარებულმა დედამ ვერა და ვერ გაიგო, რად განუდგა შვილი ეკლესიას რაღაც სადავო განმარტებების გამო, შვილს კი მიაჩნდა, რომ დედა ჭკვიანი, მაგრამ „არასაკმარისად განათლებული" იყო. ბედის ირონიით კათოლიკური მეცნიერება მოგვიანებით ამ უბრალო ქალის მხარეს აღმოჩნდა.

მაგრამ მიზეზი ალბათ მხოლოდ ბიბლიური მოძღვრება როდი იყო. პოზიტივიზმმა და რაციონალიზმმა დაარბია რენანის აზროვნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მის სკეფსისს მხარი აუბა ჰენრიეტამ, რენანის დამ, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა და პატივს ცემდა. მისი დახმარებით ყოფილი სემინარიელი საერო ასპარეზს უბრუნდება. იგი თავს აღმოსავლურ ფილოლოგიასა და ისტორიას მიუძღვნის, აქვეყნებს თარგმანებს, წერს უძველესი ენების შესახებ ესსეებსა და გამოკვლევებს.

თანდათან ყალიბდება მისი ახალი მსოფლმხედველობა, რაც ჭეშმარიტად წინააღმდეგობათა ხლართებად გვევლინება. იგი ჴრელიგიას უარყოფს და ამავე დროს მისით აღტაცებულია, დაუსრულებლად ქადაგებს ღმერთზე, მაგრამ ვერავინ ხვდება თუ რა აზრს დებს ამ სიტყვაში, სკეპტიციზმსაც ქადაგებს და რომანტიკულ იდეალისტადაც ცდილობს დარჩენას. მისი აზროვნების საფუძველი პირველობაა და თამაში, რაც არ წამს, იმითი ტკბობა და რაც აჭვებს იმისი რწმენა. რენანი მე-19 საუკუნის სულით განმსჭვალულ „პროგრესისტად" რჩება და ამასთანვე, არასოდეს უშვებს ხელიდან შემთხვევას ადამიანის ძალისხმევის ამაოებაზე ილაპარაკოს.

რენანის სულიერ დრამაზე შეგნებულად შევჩერდით. ეს მეტად განაპირობებს მისი წიგნის ხასიათს. ეკლესიას ჩამოშორდა, მაგრამ ქრისტეს პიროვნების მიმართ თავისებური სიყვარული მაინც შეინარჩუნა. ერთ-ერთ სტატიაში 1857 წელს იგი წერდა, რომ ისტორიკოსები ისევე მოკრძალებით უნდა მოეკიდონ სახარებას, როგორც ძველი ოსტატები სახარების თემებზე შექმნილ ტილოებს ეკიდებოდნენ, ქვემოთ დავინახავთ, თავად მწერალი ამ პრინციპს როგორ იცავდა.

1860 წელს რენანი მონაწილეობდა აღმოსავლეთის იმ ექსპედიციაში, რომელიც ნაპოლეონ III-ის მთავრობამ მოაწყო. ამ დროისათვის ახალგაზრდა სწავლულს ფრანგ სემიტოლოგებს შორის ავტორიტეტი უკვე მოპოვებული ჰქონდა. ჰენრიეტა მასთან ერთად გაემგზავრა. სწორედ ის იყო მოწმე და სულის ჩამდგმელი რენანის პირველი ცდებისა ქრისტეს შესახებ წიგნის კონტურები გამოეკვეთა. მოთხრობა აღმოსავლური პეიზაჟით გარემოცულ გზაზე იწერებოდა, რაც უჩვეულოდ აცოცხლებდა ევანგელისტების მონათხრობს. რენანს თან წიგნებისა და სახელმძღვანელოების მინიმუმი ჰქონდა წაღებული, მაგრამ თვალწინ გადაშლილი პანორამები მისთვის „მეხუთე სახარება" გახდა.

ჰენრიეტა ძმის ნაშრომის დამთავრებას ვერ მოესწრო. ლიბანში ორივე ციებ-ცხელებით გახდა ავად და როდესაც რენანი მრავალდღიანი ბურანისაგან გამოერკვა, დის გარდაცვალების ამბავი შეიტყო. სწორედ მას მიუძღვნა თავისი „იესოს ცხოვრება", რომელიც პარიზში 1883 წელს გამოიცა.

წიგნი ისტორიული თხრობის სტილით იყო აგებული, მაგრამ რომანის აშკარა ნიშნებს ატარებდა. წყაროების მითითებამ და ეპოქის ღრმა ცოდნამ მკითხველი შეცდომაში ვერ შეიყვანა. უძველესი ყოფის ცოცხალი სურათებისა და ბუნების აღწერის გვერდით, თვითნებურ ვარაუდთა სიმრავლეც მოჩანდა. რენანმა ცთუნებას ვერ გაუძლო და, კლასიკური რომანების მსგავსად, თავისი წიგნი დაასრულა თავით: იესოს მტერთა ბედი".

წიგნმა დიდი წარმატება მოიპოვა. ერთნი აღფრთოვანებულნი იყვნენ, მეორენი აღშფოთებულნი. წლინახევრის განმავლობაში „იესოს ცხოვრება" ცამეტჯერ გამოიცა.

ავტორს არ დაუმალავს თავისი მიზანი სახარებისეული ქრისტესაგან შეექმნა ადამიანის

სახე, ცოცხალი, ინდივიდუალური ხასიათი, რაც კარგად ცნობილი მოვლენების საზღვრებს გასცილდებოდა. მხატვრული თვალსაზრისით ეს ამოცანა ერთი შეხედვით შესრულებული იყო.

მაინც რას ვპოულობთ რენანის წიგნში?

მისი საყვარელი ლიტერატურული ხერხი კონტრასტებია. იგი ცოცხლად აღწერს აყვავებულ გალილეას, პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილს, მის ბაღებსა და ჭეჭილს და უპირისპირებს სუსხიან, მთიან სამხრეთს, პირქუშსა და უდაბურ იუდეას. გალილეაში ქალები და ბავშვები ფერხულს უვლიან და მღერიან, იუდეა კი კუშტი, წესდების მკაცრი მიმდევარი ფანატიკოსებითაა დასახლებული. იესო ნაზარეველი ჭაბუკია, რომელიც ჩრდილოეთის „მომხიბვლელ" გარემოში აღიზარდა. იგი წმინდაა, გულუბრყვილო და ადამიანებისადმი სინაზითა თუ შემწყნარებლობითაა ალსავსე. იესო ' კეთილ ლატაკთა ბედნიერ სამყაროს, ულრუბლო „გულის რელიგიას" და ზეციური ნეტარი მამის რწმენას ქადაგებს. რენანის გამოთქმით ეს იყო „წმინდა კულტი, რელიგია მღვდლებისა და წეს-ჩვეულებების გარეშე, რაც გულის წადილითა და ღმერთის წაბაძვის მცდელობით შეიქმნა"... ერთი წლის განმავლობაში, წერს რენანი „ღმერთი ჭეშმარიტად დედამიწაზე ბინადრობდა". მაგრამ იდილია დაირღვა. „მომხიბვლელი მოძღვარი" გოროზ იუდეველ მეუდაბნოეს, იოანე ნათლისმცემელს გადაეყარა. შეჩქვიფება იესოს გულში სწორედ მან შეიტანა. სიყვარულისა და სიხარულის ქადაგმა ამ შეხვედრის შემდეგ ქვეყნის უფრო ენერგიული დამორჩილება ჩაიფიქრა. იგი სწავლულებს ედავება, მოჩვენებით სასწაულებს ჩადის (ან უფლებას იძლევა ახეთი სასწაულების არსებობა დაიჯერო) უკმეხი და მოუთმენელი ხდება, თავის მიმდევრებს შეუძლებელ მოთხოვნებს უყენებს და საბოლოოდ იერუსალიმისკენ მიემართება, რათა ფარისეველთა ბნელი სამეფო ბრძოლაში გამოიწვიოს. ერთი სიტყვით, იესოს ცხოვრებას რენანი კონტრასტების სწორედ იმ მეთოდით გარდაქმნის, რომელსაც ბუნებისა და ყოფა-ცხოვრების სტილიზებული სურათების შექმნისას იყენებდა.

იერუსალიმში ჩასვლა ტრაგიკული კვანძის გახსნით მთავრდება. „მეორე" იესო, ეს „პირქუში გიგანტი", რომელმაც პირველი დათრგუნა, სიცოცხლეს ჯვარზე ასრულებს. გოლგოთას სცენას რენანი ამთავრებს პანეგირიკით, რაც მისგან უცნაურად და ორაზროვნად ჟღერს: „უკუნითი უკუნისამდე განისვენე შენს დიდებაში, ლირსეულო მოძღვარო; გმირობა შენი აწ ჩადენილია და ურყევია ღვთიურობა შენი; ნუ შეგიშფოთდება სული, ვერარა საბედისწერო შეცდომა უკუნითი უკუნისამდე ველარ დაარღვევს შენს აგებულ შენობას" და ახე შემდეგ და ახე შემდეგ.

ზოგიერთმა გულუბრყვილო მკითხველმა ეს ხოტბა ჭეშმარიტებად მიიჩნია და ვერ შენიშნა, რომ ეს უბრალო რიტორიკა გახლდათ. აბა, რით უნდა ალფრთოვანებულიყავით? რა სახე შექმნა ფრანგმა ინტელექტუალმა? სხვის [illegible] ნაში მოქცეული სუსტი ადამიანის სახე, ვინც ილუზიებითა თუ [illegible] წლების გულუბრყვილო დოქტრინებით სულდგმულობდა. ადამიანი, რომელიც „უცოდველი სიცრუისათვის" [illegible] წინააღმდეგობებით გახლდათ ალსავსე. მისი მოძღვრების არსი, პარიზული მეჩხანური გემოვნების შესაფერისი სენტიმენტალური ბანალურობის კრებულია. ეპოქისა და ბუნების ცოცხალი სურათების აღწერას არ შეუძლია მდგომარეობის გადარჩენა. ჩარჩო მშვენიერია, მაგრამ შიგ არსებითად საცოდავი კაცის ხატია მოქცეული...

შეუძლებელია იმის წარმოდგენაც კი, რომ სწორედ ამ რომანის გმირმა ჩაუყარა საფუძველი დიად, მსოფლიო რელიგიას, რომელმაც ისტორიას გეზი უცვალა. არადა მარტო აღდგომის მოვლენების რენანისეული მსჯელობა რად ღირს. თურმე ყოველივეს თავი და თავი მარიამ მაგდალინელი ყოფილა. „ჰალუცინაციით შეპყრობილი ქალის ვნებებმა მსოფლიოს მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი მიანიჭა", — პათეტიკურად აცხადებს რენანი. მაგრამ განა წარსულშიაც და აწმყოშიც ჰალუცინაციით შეპყრობილი ქალები ცოტანი იყვნენ? და ბოლოს და ბოლოს განა თავად გალილეაში არ გვხვდებოდნენ ახალგაზრდები, ვისაც ნაზი სული და უბრალო რწმენა ჰქონდათ? როგორ მოხდა, რომ საკაცობრიო ქრისტიანობის მდინარე სწორედ სახარებისეული მოვლენებიდან იღებს სათავეს? ერთი სიტყვით ჭეშმარიტი, რეალური ქრისტე რენანის წიგნში არ ჩანს. მისი შექმნილი ხატი კი ყალბი და არასახიამოვნო აღმოჩნდა. ამ მარცხის ფონზე სადავო წვრილმანებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე აღარა აქვთ.

ასევე ყალბი აღმოჩნდა რენანის მოწოდებაც, მოწიწებით მოვეპყროთ ქრისტიანობის ფუძემდებლის ხატებას, რომ განაცხადა ამან განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი, როცა ქრისტეს სიკვდილისწინა ნალვლიანობის ჟამს წარმოთქმულ გეთსემანიის ლოცვებზე დაიწყო მსჯელობა. რენანი უკიდურესად ტრივიალურად განსჯის. „იქნებ, — წერს რომანისტი, — ჩუხჩუხა გალილეური წყაროები გაახსენდა, სადაც გაგრილება შეეძლო, ანდა ვაზის ბუჩქები თუ ლელვის ხეები, რომლის ჩრდილშიც დასვენებას შესძლებდა, ან იქნებ ახალგაზრდა ქალწულები ახსენდებოდა, რომლებსაც ვინ იცის, მისი შეყვარებაც სურდათ?". ყოველი

სიტყვის მიღმა აქ ერთადერთი აზრი იმალება: „ის ადამიანია, ყოველი ჩვენგანივით უბრალო ადამიანია, არც მეტი და არც ნაკლები". და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა ტრაგიკული და წმიდათა წმინდა წაებილწა და ელემენტარულად თუ სწორხაზოვნად გადაექცია.

ასეთი იყო რენანის ექსპერიმენტი.

მისი წიგნით გამოწვეულმა პირველმა შოკმა გადაიარა თუ არა, ქრისტიანმაც და არაქრისტიანმა მწერლებმაც მისგან არც თუ ისე ურიგო ჭკუისსწავლებელი გაკვეთილი მიიღეს, დადებითი თვალსაზრისითაც და უარყოფითითაც. ერთნი სამართლიანად აკრიტიკებდნენ რენანს თვითნებობისა და გადაჭარბებისათვის, მეორენი კრიტიკოსებს ეთანხმებოდნენ, მაგრამ რენანისაგან „ისტორიულ ფერწერას" სწავლობდნენ. და მაინც, პროზაიკოსთა უმეტესობა ინტუიციურად მიხვდა წიგნის უმთავრეს ხარვეზს. რენანმა ვერ შესძლო ჩამოექნა ის ქრისტე, რომელმაც „სამყაროს სინათლე" მოჰფინა.

და მისმა მარცხმა განაპირობა სახარებისეულ თემებთან მიდგომა მე-19 საუკუნის თითქმის მთელ ბელეტრისტიკაში.

## რენანიდან შვეიცერამდე

1877 წელს რენანის მეგობარმა გუსტავ ფლობერმა დაწერა მოთხრობა „იროდიადა", რომელიც რუსულად პირველად ი. ს. ტურგენევმა თარგმნა. ამ მოთხრობაში დაწვრილებითაა აღწერილი მკვდარი ზღვის სანაპიროზე მდებარე ჰეროდეს სასახლე. მთები, რომლებიც „გაქვავებულ, აქოჩრილ ტალღებს გავდნენ", სამეფო კარის ზნე-ჩვეულებები, იროდიადას წინააღმდეგ მიმართული ნათლისმცემლის ფილიპიკები და დიდი ვნებათა ღელვანი. აქ მხოლოდ იესო არ ჩანს. იგი „კადრს მიღმაა" მიმალული. მოთხრობის დრამატულ პერიპეტიებში მისი მონაწილეობა მხოლოდ ბუნდოვნად იგულისხმება.

ფლობერმა ღირსეულად შეაფასა რენანის წიგნის ყველაზე ძლიერი მხარე — „ჩარჩოს" იუველირული დამუშავება და ამ „ჩარჩოს" მიღმა არც თავად გაუბედავს გასვლა.

თითქმის იგივე საშუალებას იყენებს რენანის დიდი თაყვანისმცემელი ანატოლ ფრანსი. თუმცა მისი მოთხრობა „იუდეის პროკურატორი" (1892 წ.) გაცილებით უფრო საინტერესო და ღრმაა, ვიდრე ფლობერის მოთხრობა. „სალამბოს" ავტორმა უძველესი დროის მხოლოდ ერთი ცოცხალი ეპიზოდი შექმნა, რაც სამუზეუმო ექსპონატივით საინტერესოა. ფრანსი კი შეეცადა გარკვეულიყო იმ კაცის ფსიქოლოგიაში, ვინც იესო ნაზარეველს სიკვდილი მიუსაჯა და მასში უბრალო ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებები მოეძებნა.

მოქმედება გოლგოთის მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. იუდეას ყოფილი მმართველი იმ დროის შესახებ მეგობარს ესაუბრება. მეგობარი მისი ბრძანებით დასჯილ იესოს შეახსენებს. მაგრამ დახეთ საოცრებას — პროკურატორი ვერაფერს იხსენებს. მან კურტიზანი ქალის, მარიამ მაგდალინელის[1] სილამაზეც კი არ დაივიწყებია, უდანაშაულოს სიკვდილი კი მის მეხსიერებაში პირწმინდად წაშლილა. ამაოდ ცდილობს თანამოსაუბრე მისი მეხსიერება გამოაცოცხლოს. პილატე ჯიუტად ამტკიცებს: „არა, არ მახსოვს, არაფერი არ მაგონდება".

როგორც ჩანს ფრანსს სურდა ეთქვა, რომ ვიღაც გალილეველის ჯვარზე გაკვრა პილატესათვის უმნიშვნელო მოვლენა იყო. მართლაც ისტორიული დასაბუთებით ცნობილია, რომ პროკურატორი არასასურველ ხალხს ხშირად უსწორდებოდა ყოველგვარი ძიებისა და სამსჯავროს გარეშე და ამ სისხლიან ფონზე თითქოს „იუდეის მეფის" ჯვარიც უნდა ჩაკარგულიყო. არადა, სურდა ფრანსს თუ არა, მკითხველი მაინც გრძნობს, რომ საქმე არც ისე მარტივადაა... რომაელს თითქოს არ სურდა იმის გახსენება, რაც მის სინდისს ბუნდოვნად აწუხებდა...

ასეა თუ ისე თავად ქრისტეს სახის შექმნა ფრანსს არ უცდია. მისი ხატის შექმნის მცდელობა ოსკარ უაილდს ჰქონდა, სიკვდილის შემდეგ გამოცემულ ნაწარმოებში „De Profondis", მაგრამ ეს სახარების ბელეტრიზაცია კი არა, უფრო ესსე — მსჯელობაა. „სულაც არ მიკვირს, — აღიარებს იგი, — ვირწმუნო, რომ მის პიროვნებას მაგიური ზემოქმედების უნარი ახასიათებდა. მჯერა, რომ მხოლოდ მის გამოჩენასაც კი ტანჯული სულებისათვის მშვიდობა მოჰქონდა და მათ, ვინც მის სამოსსა და ხელებს ეხებოდნენ, ტკივილი ავიწყდებოდათ როდესაც იგი ცხოვრების დიდ გზაზე გვერდით ჩაუვლიდა, ხალხისათვის ნათელი ხდებოდა სიცოცხლის ის საიდუმლო, რაც აქამდე ფარული იყო. ბრბო, როცა იგი მთის ფერდობიდან ქადაგებდა, შიმშილს, წყურვილს და ამქვეყნიურ საზრუნავს ივიწყებდა. მის მეგობრებს, როცა ტრაპეზის დროს მის ლაპარაკს ყურად იღებდნენ, მდაბიო საკვები გემრიელად ეჩვენებოდათ. წყალი მშვენიერ

1 მარიამ მაგდალინელის გაიგივებას მეძავთან, რაც ლუკას სახარებაშია აღწერილი (გვ. 7. 36—50) თავად ბიბლიურ ტექსტში საფუძველი არ აქვს იგი წარმოიშვა ლათინურ აგიოგრაფიულ ტრადიციაში, რაც გრიგოლ დიდის სახელთანაა დაკავშირებული.

ღვინოდ და მთელი ხახლი თითქოს ნარდიონის მოტკბო სურნელით იჟღინთებოდა“.

ციხეში ჯდომისას უაილდი ხშირად კითხულობდა სახარებას, მაგრამ არ მალავს, რომ ქრისტეზე წარმოდგენა რენანის წიგნის მეშვეობით უფრო შეიქმნა. ამ წიგნს იგი მშვენიერ მეხუთე სახარებად თვლიდა, რომლისთვისაც „თომას სახარების“[1] დარქმევა სურდა. ფრანგი მწერალივით, ოსკარ უაილდსაც შეფასებისა და აღქმის ესთეტიკური კრიტერიუმი აქვს გაბატონებული. და მაინც, სწორედ ამ კრიტერიუმის გამო არ ჩამოუქნია ქრისტეს სახე დრამაში „სალომე“ (1893 წ.) რომელიც სიუჟეტურად ფლობერის „იროდიადას“ უახლოვდება, მაგრამ, მისგან განსხვავებით, მძაფრი ეროტიზმითაა გაჟღენთილი. (დრამაში მოციქვავე სალომეს, იროდიადას ქალიშვილს ვნებიანად უყვარს იოანე ნათლისმცემელი და მხოლოდ იმიტომ ღუპავს მას, რომ კაცმა იგი უარყო).

ამრიგად ფლობერის, ფრანსისა და უაილდის ახალი აღთქმის თემებზე შექმნილ მხატვრულ პროზაში ქრისტეს სახე არ მოჩანს. ეს ფაქტი უდავოდ ყურადღებას იმსახურებს. სიტყვის ოსტატები თითქოს შეცბუნებული უტრიალებდნენ ირგვლივ მთავარ ამოცანას, მთავარ გმირს და ვერ ბედავდნენ იმ ზღვარის გადალახვას, რაც მისგან აშორებდათ...

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის ქრისტიანმა მწერლებმაც ასეთივე სიფრთხილე გამოიჩინეს. ამის მაგალითია, კერძოდ, ამერიკელი ლუ უოლესის რომანი „ბენ—ჰური“ (1880 წ.), რომელიც ახლა ძალიან ცნობილი გახდა მის მოტივებზე გადაღებული ფილმის წყალობით. მისი გმირი არისტოკრატიული წარმოშობის, სახარებისეული მოვლენების თანამედროვე, უდრეკი მებრძოლია. ბენ—ჰურს წამს, რომ იესო მესიაა, ამიტომ ცდილობს ჯვარცმას გადაარჩინოს, შემდეგ კი მის მოწაფეებს შეუერთდება. რომანი რელიგიურ ხასიათს ატარებს, ქრისტე ზოგიერთი თვალსაზრისით რომანის ცენტრია — და მაინც, თავად იესოს სახე ფარული რჩება. ბენ—ჰური მხოლოდ წამიერად მოჰკრავს მას თვალს.

რაღაც ამდაგვარს ვეხვდებით პოლონელი კათოლიკე პროზაიკოსის ჰენრიკ სენკევიჩის ნაწარმოებშიც. მისი მოთხრობა „გავყვეთ“, ჯვარცმის მოვლენებს ეძღვნება. აქ დაწვრილებითაა აღწერილი ისტორიული ანტურაჟი, რაც სენკევიჩს რენანისაგან ბევრადაა აქვს ნასესხები, მაგრამ თავად გოლგოთა თითქოს გარეშე მაყურებლის თვალითაა დანახული. გმირის ჭეშმარიტი შეხვედრა ქრისტესთან ისტორიულ კი არა, შინაგან პლანში ხდება.

მასალები რენანის წიგნისა „ანტიქრისტე“ რომელიც ნერონის დროინდელ ქრისტიანობას ეძღვნებოდა ფართოდ აქვს გამოყენებული სენკევიჩს თავის გახმაურებულ რომანში „Quo vadis“ („ვიდრე ჰხვალ“, 1896 წ.). თუმცა ის ეპოქა თავად მწერალმაც შესანიშნავად იცოდა და ანტიკურ წყაროებს ორიგინალში სწავლობდა. რომანმა მაშინვე მოიპოვა მკითხველთა ფართო აუდიტორია და ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა (რუსული თარგმანი ოცზე მეტჯერ გამოიცა).

სენკევიჩმა პირველი საუკუნის სამოციანი წლების რომის მრავალმხრივი მჩქეფარე ცხოვრების პანორამის ფონზე ორი სამყარო, იმპერიული და ქრისტიანული ერთმანეთს შეახალა. ცეზარების სამეფოს იმპოზანტური ფასადის მიღმა, შინაგანი გახრწნისა და კრახის სიმპტომები დაინახა, ქრისტიანული თემები კი, თუნდაც დევნილნი და მოძულებულნი, ზნეობრივი თუ სულიერი აღმავლობის თესლს ატარებენ, მომავალი მათ ეკუთვნით. მოქმედ პირთა შორის ახალი აღთქმის პერსონაჟებიც გვხვდება: მოციქულები პეტრე და პავლე. მაგრამ წიგნში მოვლენები უკვე იმ ქრონოლოგიური ჩარჩოს მიღმა ვითარდება, რომლითაც ახალი აღთქმა იფარგლება. არსებითად სენკევიჩი სწორედ იქიდან იწყებს თხრობას, სადაც მოციქულთა საქმეები მთავრდება. ამიტომ ქრისტეს ცხოვრება რომანში მხოლოდ პეტრეს ქადაგების პრიზმიდან შეიძლება გამოჩნდეს. ამგვარად, მკითხველი წიგნში სახარების პირდაპირ მხატვრულ ინტერპრეტაციას არ ხვდება.

სულ სხვა საშუალება გამოიყენა შვედმა მწერალმა ქალმა სელმა ლაგერლიოფმა, რომელიც ჩვენში კარგადაა ცნობილი საბავშვო მოთხრობით იმ ბიჭუნაზე, ბატით რომ იმოგზაურა. მისი წიგნი „ლეგენდები ქრისტეზე“ (1904 წ.) სახარების ნორმებს შეგნებულად ცილდება. ეს არის ბრძნული ზღაპარი ან არაკივით მშვენიერი აპოკრიფების ციკლი, რომელსაც არა აქვს პრეტენზია აღწეროს თუ „როგორ მოხდა სინამდვილეში“ ან თუნდაც „როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო“. ლაგერლიოფის სიმბოლოები და ალეგორიები ჩრდილოეთის უძველეს, ხალხურ ლეგენდებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სახარებას.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე მხატვრულმა ლიტერატურამ თითქოს ახალი ბიძგი მიიღო იმ ისტორიკოსებისა და კრიტიკოსების ფართო გამოკვლევებით, რომლებიც ცდილობდნენ რენანის შეცდომები თავიდან აეცილებინათ. უპირველეს ყოვლისა, აქ უგროთწოდებული „ლიბერალური ღვთისმეტყველების“ მომხრეები უნდა მოვიხსენიოთ. მათ მიზნად დაისახეს გაეთავისუფლებინათ სახარება ლე-

---

[1] „თომას სახარებით“ მწერალი ამ სახელის მქონე უძველეს აპოკრიფს კი არ გულისხმობდა, არამედ თომას დაეჭვებას, (იოანეს სახარება, 20, 24—28) რომელიც უაილდს რენანის სკეპტიციზმს ახსენებდა.

გენდურის ქანებისაგან" და მიგ „ქრისტეს წმინდა მოძღვრება" მოეძებნათ. ლიბერალური სკოლის კრიტიკი, ისტორიკოსი ადოლფ გარნაკი გამოდიოდა, რომელმაც თავისი შეხედულებები ლექციების ციკლში ჩამოაყალიბა. ეს ციკლი, სათაურით „ქრისტიანობის არსი", 1901 წელს გამოიცა. ლექციებში იესოს სახარება განიხილებოდა მხოლოდ მის ქადაგებად ღმერთზე, როგორც კაცობრიობის მამაზე, სულის ფასეულობაზე, და იდეალის ზნეობრივ ხამსახურზე.

რენანისაგან განსხვავებით, გარნაკი წყაროებს მკაცრად, ობიექტურად ეკიდებოდა და სწამდა, რომ ჭეშმარიტია „მეტაფიზიკისა და დოგმებისაგან თავისუფალი ნამდვილი ქრისტიანობა" (მაშინ, როცა რენანი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა ჭეშმარიტების შეცნობის შესაძლებლობას).

გარნაკის „კომპასს" უამრავი მწერალი წაებლაუჭა და მამაცურად შეება იმ ამოცანას, რომელიც XIX საუკუნემ ვერა და ვერ გადაჭრა.

მაგრამ მკითხველებს კვლავ იმედგაცრუება ელოდათ.

მართალია, ახალი დამოკიდებულება სახარების სულთან რენანზე უფრო ახლოს იდგა, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში სასურველი ნაყოფი მაინც არ გამოუღია. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელი მაგალითია გერმანელი მწერლის გუსტავ ფრენსენის რომანი „წმინდა მიწა" (1905 წ).

რომანის გმირი, პრონციელი ჭაბუკი კაი იანსი ოცნებობს თავი დაეღწიოს დაჭაობებულ წრეს და ახალ იდეალებს ეძებს. სიღარიბის მიუხედავად, იგი უნივერსიტეტში მოხვდება, სადაც ბევრს ფიქრობს ადამიანის მოწოდებაზე. მისი სწავლისა და ფიქრის შედეგია ის ხელნაწერი, რომელსაც ხალოლეს აჩუქებს. ხელნაწერის სათაურია „ცხოვრება მაცხოვრისა უახლესი გამოკვლევების მიხედვით: თანამედროვე საზოგადოების აღორძინების საფუძველი".

თავად ფრენსენი რომანის ბოლოსიტყვაობაში წერს, რომ ეს ჩასმული თავი („ხელნაწერი"), „მრავალწლიანი შრომისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის კეთილსინდ[illegible] შესწავლის" ნაყოფია. წიგნის დასასრულს ბიბლიოგრაფიასაც კი ურთავს, სადაც აშკარად მოჩანს „ლიბ[illegible]ალური ღვთისმეტყველების" რაოდ გავლენას განიცდის რომანისტი. და მაინც, ჭეშმარიტად ისე არ გაწვიმდა, როგორც ქუსდა. ახზე მეტ ბვერდიანი მოთხრობა ცხარე, ბანალური და არაფრისმთქმელი რიტორიკითაა გადატვირთული. არსებითად კვლავ რენანის გადამღერებაა, თანც ზოგიერთი თვალსაზრისით მას საკმაოდ ჩამორჩება. ფრენსენი იმასაც კი ვერ ახცდა, რომ წიგნის დასასრულს თითქმის უცვლელად, რენანის ბოლო ფრაზა არ გაემეორებინა:

„ადამიანებმა, ბრძანებს ფრენსენი, [illegible] იმიტომ ირწმუნეს ქრისტეს აღდგომა, რომ ამის დაჯერება სურდათ.

„კვლავ აღსდგება", — ლალადებდნენ ძველი წიგნები... „უნდა აღსდგეს"... — ჩურჩულებდა ხალხი და აქეთ-იქით ხევდიანად იმზირებოდნენ, „უნდა აღსდგეს!" — [illegible] ტა[illegible] ხედნი და ქალი [illegible], სადაც იგი ხშირ რაღაც ოროოდე კვირის წინ დადიოდა. „კვლავ უნდა ვიხილო, — [illegible] პეტრე ვინც უყვარდა იგი. — [illegible] [illegible] შემდეგ [illegible]

„ჩუ!.. იხილე რამე პეტრე?"

და მეორე დღეს მთელ მხარეში პირველი ხმები დაირხა: სწორედ იმ ტბის ნაპირას, სადაც ახე ხშირად დადიოდა, ხალამო ხანს პეტრემ იხილა იგი. ბინდში იდგა — ალერსიანი, ნათელი აჩრდილი — და პეტრეს შესცქეროდა".

ახეთი მარტივი, ფსიქოლოგიური ლოცვებით ცდილობს რომანისტი იმ მოვლენების ახსნას, რომელიც ქრისტიანობის ჭეშმარიტ საწყისად გადაიქცა. ნაკლებად უფიქრდება იმ ფაქტსაც, რომ მოსემ, ბუდამ, ისაიამ და სოკრატემაც ღრმა კვალი დასტოვეს თანამედროვეთა სულებში, მაგრამ არავის დაუჩემებია ჩვენმა მოძღვრებმა სიკვდილი დაამარცხეს და მკვდრეთით აღსდგნენო.

მაინც რად მოეჩვენა ორიგინალურად ფრენსენს „მარდიული ძლევამოსილების" ის რწმენა, რომელიც მისი აზრით, ქრისტეს მოძღვრების არსია? ახეთი რწმენა ხომ მსოფლიოს მრავალ წმინდა წიგნში შეიძლება მოიძებნოს? „ლიბერალური ღვთისმეტყველება" და მისი მიმდევარი ფრენსენი ამ კითხვაზე ჩამოყალიბებულ, დასაბუთებულ პასუხს ვერ იძლევა.

„წმინდა მიწის" გამოქვეყნებიდან ; ერთი წლის შემდეგ რელიგიური ფილოსოფოსისა და მუსიკოსის ალბერტ შვეიცერის ნაშრომი გამოჩნდა. მეორე გამოცემაში ამ წიგნს სათაურად „იესოს ცხოვრების გამოკვლევათა ისტორია" ერქვა. შვეიცერმა შეისწავლა სახარების რეკონსტრუქციის მცდელობათა ისტორია XVIII—XIX საუკუნეებში და დარწმუნდა, რომ ბელეტრისტებიცა და ისტორიკოსებიც ერთნაირად სუბიექტურები იყვნენ. ყოველი მათგანი სახარებაში იმას ხედავდა, რაც სურდა, რასაც საკუთარი მსოფლმხედველობა კარნახობდა. და რა უცნაური პარადოქსია! თავად შვეიცერიც ვერ აცდა ცდუნებას. წიგნის დასასრულს ქრისტეს ცხოვრების საკუთარი ვერსია მოგვაწოდა და დიდად ვერ დაშორდა იმ „ლიბერალურს", რომელსაც თავს ესხმოდა.

## ახალი ცდები

შვეიცერის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მოლაშქ შემოვიდა იმის მტკიცება, რომ „მან

საბოლოოდ დაასამარა იესო ნაზარეველის ჭეშმარიტი სახის შექმნის იმედი". არადა, მოულოდნელად წიგნის ბაზარი სახარების ახალი, ლიტერატურული თუ მხატვრული, ქრისტიანული თუ არაქრისტიანული ინტერპრეტაციის ნაკადით სწორედ მაშინ გაივსო. ეს ნაკადი ვერც მითოლოგიური თეორიის დროებითმა აღორძინებამ შეაჩერა. თუმცა XX საუკუნის პირველ ათეულში ზოგიერთი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი (ა. დრევსი, ა. ნემოევსკი, პ. კუშუ და სხვ.) მის ენერგიულ პროპაგანდას ეწეოდნენ.

ამასთანავე საინტერესოა, რომ ამოცანის მხატვრული გადაჭრის ახალი „გასაღები" მაინც ვერავინ მოიპოვა. მორის მეტერლინკი ფლობერის, ფრანსისა და უაილდის გზით წავიდა. დრამაში „მარიამ მაგდალინელი" (1908 წ.) იგი მომნანიე ცოდვილის შინაგან კონფლიქტს აღწერს, რომელი მისგან მოითხოვს წარსულ, ცოდვილ ცხოვრებას დაუბრუნდეს, სამაგიეროდ კი იესოს გადარჩენას პირდება. ქალი უარზეა მოძღვრის მცნებების ერთგული რჩება. ქრისტე დრამაში არ მონაწილეობს.

გერჰარდტ ჰაუპტმანის შთაგონების წყარო აღმოჩნდა დასავლეთელი მხატვრების ტილოები, არც თუ იშვიათად ქრისტეს თანამედროვე ცხოვრების ფონზე რომ ასახავდნენ და დაწერა რომანი „ღვთისგლახა ემანუელ კვინტი" (1910 წ.). რომანის გმირი ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცხოვრობს და რაღაცით ჩამოჰგავს სახარების ისტორიას. ბოლოს და ბოლოს იქმნება აზრი, რომ ეს გმირი ქრისტეს რეალურა ხორცშესხმული სახეა. მართალია ემანუელს ჯვარს არ აცვამენ, მაგრამ საზოგადოება მოიკვეთავს და იგიც სოფლებსა თუ ქალაქებში ყარიბობს. თანაც ყველგან ერთი და იგივე მეორდება. კარის ზღურბლთან ეკითხებიან: „ვინ ხარ?" იგი პასუხობს: „ქრისტე". — და კარიც მაშინვე იკეტება.

„ნებსით თუ უნებლიედ ზეცას მადლი უნდა შევწირო, — პირქუში ირონიით წერს ჰაუპტმანი, — რომ ეს ყარიბი, მხოლოდ უბედური, ამა ქვეყნის ღვთის გლახაა და არა თავად ქრისტე, თორემ ახლით კათოლიკური თუ პროტესტანტული მღვდელი, მუშა, ჩინოვნიკი, სხვადასხვა ჯურის ვაჭარი, გენერალი, ეპისკოპოსი, აზნაური თუ ბიურგერი — ერთი სიტყვით უამრავი ღვთისმოსავი ქრისტიანი რისხვისა და წყევლა-კრულვას დაიმსახურებდა". შემდეგ კი მწერალი იდუმალების ნიღაბს იფარებს: „ვინ იცის, იქნებ ჭეშმარიტი მაცხოვარიც იყო, ლატაკი ღვთისგლახის სამოსით მორთული მაცხოვარი, უფლის მიერ ჩაგდებული თესლის მომწიფებისა და მისი მეუფების ნაყოფის ხილვა რომ ისურვა?"

ემანუელი მთებში გარდაიცვალა. საიდუმლოება ამოუხსნელი დარჩა. ამგვარად ჰაუპტმანს ვერავინ დასდებს ბრალს ქრისტეს ხატი გააუალბეო. მას ხომ ყოველ წუთს შეეძლო ეთქვა: ეს მაცხოვარი კი არა, საბრალო ღვთისგლახაათ. და კარგადაც მოიქცა უკან დასახევი გზა რომ დაიტოვა. მეტისმეტად უბადრუკი და კურიოზულია მისი გმირი, თუმცა ზოგიერთ მომენტში სულიერი სიდიადის აშკარა ნიშნებს ატაიკეტება.

ალბათ გასაოცარიც იქნებოდა ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში ისეთი წიგნები რომ არ გაჩენილიყო, სადაც ქრისტეს ამბოხების ბელადად წარმოაჩენდნენ. ამგვარი რომანები, პიესები და გამოკვლევები ნამდვილად უამრავი გაჩნდა. ოციან წლებში მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო ანრი ბარბიუსის აპოკრიფი „იესო". (1927 წ.) რომელიც სახარების მიბაძვითაა დაწერილი და სახარების მსგავსად თავებად და მუხლებად არის დაყოფილი. მას თან ერთვის ისტორიული ნარკვევი „იესოს იუდები" (1927 წ. რუსულ თარგმანში „იესო — ქრისტეს წინააღმდეგ მ. — ლ. 1928 წ.) და დრამა — მისტერია „იესო ღვთის წინააღმდეგ" (1927 წ.) .ამ სამ ნაწარმოებში ბარბიუსი სახარების რადიკალურ ინტერპრეტაციას გვაწვდის. ჩვენამდე მოღწეული ტექსტები, ამტკიცებს ფრანგი მწერალი, სრულიად ფალსიფიცირებულია, იესოს ვერავინ გაუგო, რადგან მავანმა და მავანმა მისი ქადაგება დაამახინჯა, სინამდვილეში ის რევოლუციონერი და ათეისტი იყო და ოცნებობდა კაცობრიობა ყოველგვარი ხელისუფლების უღლისაგან გაენთავისუფლებინა. თვით ანტირელიგიურმა ლიტერატურამაც კი აღიარა, რომ ამგვარი კონცეფცია ქვიშის ქოშკს გავდა. „იესოს ათეიზმის" თავად არსის აბსურდულობის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, სახარებებში (როგორც კანონიკურ, ისე აპოკრიფულებში) გადაკვრითაც არსად არის ნახსენები, რომ ქრისტე მხარს უჭერდა ზელოტებს— ამბოხების ქადაგებს.

ბარბიუსისა და მისი ინტერპრეტაციის მეტნაკლებად გამზიარებელების (ა. რობერტსონი, ჯ. კარმაიკი და სხვ.) მცდელობამ დაასაბუთა გერნაკის სიტყვები: „არის რაღაც ამაღელვებელი ყველას მისწრაფებაში ამ იესო ქრისტეს თავისი პიროვნებისა და ინტერესებისაგან გამომდინარე შეხედოს, მასში თავი შეიცნოს ან მისი რაღაც ნაწილი მაინც მოიპოვოს".

ამ დროისათვის სახარების მეცნიერული კვლევა-ძიება ძალას იკრებდა. სურათი იხვეწებოდა და თვითნებურ დასკვნებსა თუ ფანტაზიას სულ უფრო და უფრო მცირე ადგილს უტოვებდა; სწორედ ამიტომ, როცა გერმანელი მწერალი ემილ ლუდვიგი, რამდენიმე მშვენიერი, ბელეტრიზირებული ბიოგრაფიის ავტორი, ქრისტეზე წიგნის წერას შეუდგა, ცდილობდა წყაროებსა და მოცემულ ისტორიებთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო. ნაწარმოებს სათაურად „ძე კაცისა" ერქვა და 1928 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნდა. ლუდვიგმა კატეგორიულად არ ისურვა ახალ აღთქმაში მოცემული ქრისტეს სიტყვებისათვის რაიმეს დამატება ან მათი პარაფრაზირება. „ქრისტეს ბაგეებს შენი სიტყვა რომ ათქმევინო, — წერდა იგი. — შენი ინტუიციური ძალა სულ ცოტა ქრისტეს ძალას მაინც უნდა უტოლდებოდეს. სწორედ ამიტომ ქრისტეს ყოველი სიტყვა თუ საქმე რომელიმე სახარებიდან უნდა იყოს აღებული". მაგრამ მეორე შეცდომას ვერც ლუდვიგმა აარიდა თავი. მას სურდა გმირის შინაგან სამყაროში შეეღწია და მისი თვითშეგნების იდუმალი დინამიკა შეეცნო. ასეთი ტიპის ანალიზი, რაც თავისთავად სხვა ნებისმიერი დიდი სახის შექმნისასაც კი რთულია, უცილობლად დამდაბლებისა და გამარტივებისაკენ მიგაქანებს. ლუდვიგმა ღირსეულად ვერ შეაფასა ევანგელისტების თავშეკავება, რომლებიც ქრისტეს მუდამ „გარედან" აღწერდნენ ე. ი. ისეთს, როგორც მას ადამიანები ხედავდნენ და ესმოდათ.

შეიძლება ითქვას, რომ ლუდვიგის წიგნის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა აღმოჩნდა ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსის, ფრანსუა მორიაკის რომანი „იესოს ცხოვრება" (1936 წ.), რომელსაც სათაურის ერთგვაროვნების მიუხედავად, არც რენანის წიგნთან აქვს რაიმე საერთო.

თუ ლუდვიგი თემის ღვთისმეტყველ ასპექტებს შეგნებულად უვლიდა გვერდს, ქრისტიანი მორიაკი სულაც არ ცდილობს ამის მიჩქმალვას. იგი მაცხოვარს ევანგელისტების თვალებით შესცქერის და მათ რწმენას იზიარებს. უფრო მეტიც, იგი ხაზს უსვამს, რომ ეკლესიის გამო კი არ ირწმუნა ქრისტესი, პირიქით, ქრისტეს გამო ირწმუნა ეკლესიისა, მორიაკი აღიარებს. ჩემს მრწამსს განამტკიცებს „მხოლოდ იგი და არა ქრისტიანობის მომხიბვლელობა და ლიტურგიის მშვენიერებაო". „მე რომ ქრისტიანი არ ვიყო, — წერს სხვაგან, — ვერ შევძლებდი რელიგიასთან იმ გზით მივსულიყავი, რომლითაც გიუსმანსი მივიდა". იგი გულისხმობდა სახელიერო გზას ხელგიელი რომანისტისა, რომელიც ქრისტიანად ეკლესიის ხელოვნების და ღვთისმსახურების ზეგავლენით მოიქცა.

თუ ლუდვიგი სახარებისეული ეპოქის ისტორიულ ატმოსფეროს უამრავ გვერდს უძღვნის, მორიაკი ამას მხოლოდ გაკვრით ეხება. რომანში ყოფისა და კონკრეტული ვითარების მხოლოდ ცალკეული შტრიხები გაკრთება, რითაც წიგნი ხელშესახები და გრაფიკული ხდება, მაგრამ ეს შტრიხები „არქეოლოგიური კოლორიტისაგან" თითქმის განთავისუფლებულია.

თუ ლუდვიგს ქრისტეს სულიერი ცხოვრების საიდუმლოს გაგება სურდა, მორიაკი ევანგელისტების გზას მიუყვება. ლაკონურად, მოკრძალებითა და მზრუნველობით მოგვითხრობს მომხდარ ამბავს. ძუნწი შტრიხებით ოსტატურად ხატავს ქრისტეს ირგვლივ შემოკრებილ ხალხს და მის სიტყვებსა თუ საქციელზე მათ განსხვავებულ რეაქციას აღწერს. ქრისტეს სახე სწორედ ამაში ირეკლება და საბოლოო ჯამში, ქმნის შეხვედრის შთაბეჭდილებას, შეხვედრისას [illegible], სიყვარულთან, რომელიც ქვეყანას მოევლინება.

„აღდგომის საიდუმლოთი, — წერს მორიაკი, „ქრისტე [illegible] მიწაზე. თუმცა ამაზე საუბარი, მხოლოდ ისტორიაზე საუბარი ნიშნავს [illegible]. თამეთუ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს არსებობა კვლავაც გრძელდება... რამდენიმე თვის შემდეგ, მოწაფეთა თვალთახედვის არიდან გაქრა თუ არა, თავის მტერს, სავლეს მოჰკრა თვალი სინათლით და ესაუბრა. არადა, წმინდა პავლეს ხომ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ასეთივე მოწმე იყო აღდგომისა, როგორც ისინი, სიკვდილის დამთრგუნველ ქრისტესთან ერთად რომ სვამდნენ და ჭამდნენ".

მერცე საუკუნის შუაწლებში, სახარებისეულ თემებზე შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში ორი ტენდენცია გამოიკვეთა. რენანის ექსპერიმენტს ასე თუ ისე ორივე მათგანი ითვალისწინებს, მაგრამ თუ ერთი ქრისტიანულ მსოფლმხედველობას და ევანგელისტების შეხედულებას ინარჩუნებს, მეორე ჯიუტად ცდილობს თემასთან წმინდა „მიწიერი" მიდგომა მოიძიოს.

მეორე ვერსიას შვედ პერ ლაგერკვისტთან და ბერძენ ნიკოს კაზანძაკისთან ვაწყდებით.

კაზანძაკისის რომანი „უკანასკნელი ცდუნება" (1952 წ.) რენანისეული ქრისტეს გეთსემანიის ლოცვის ელემენტარული გარჩევა. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ამ წიგნის მიხედვით სულ ცოტა ხნის წინ გადაიღეს ფილმი, რომელმაც მძაფრი პროტესტი გამოიწვია (იხ. ამის შესახებ „ИЛ" 1989 წ. № 2, გვ. 252). ლაგერკვისტის მოთხრობა „ბარაბა" (1950 წ.). უფრო ფართო მიზნებს ემსახურება. ჯვარცმულ იესოს ავტორი ბრბოსა და პილატეს გადაწყვეტილებით განთავისუფლებულ ყაჩაღს უპირისპირებს. ბარაბასათვის უცხო და გაუგებარია სიყვარულის სახარებისეული მცნება, იგი ძალას უფრო ენდობა. და მაინც, ეს პირქუში და უხეში კაცი ვერაფრით ვერ თავისუფლდება იმ შთაბეჭდილებისაგან, რაც ძასზე განთავისუფლებასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა მოახდინა. იგი თითქოს ქრისტეს უნებური ორეული ხდება და ცდილობს დაარწმუნოს თავიც და სხვებიც, რომ ეს უცნაური მაცხოვარი, მისი მიმდევრებიანად, ილუზიის მსხვერპლნი არიან. ფრენსენის მსგავსად ლაგერკვისტიც ისე წარმართავს თხრობას, თითქოს მოწაფეები ჩქარ აღდგომას ელოდნენ. პეტრე ეუბნება ბარაბას: „უეჭველად აღსდგება. ზო-

გიერთები ფიქრობენ, ხვალ დილით აღსდგებაო... მართლაც, თავად რატომ არ ჰ უნდა აღსდგეს, თუკი სხვების მკვდრეთით აღდგენა შეეძლო?" და ცხადია, რასაც ასე მოუთმენლად ელიან, ახდება კიდეც (თუნდაც მხოლოდ ზოგის წარმოსახვაში). მოგვიანებით, ოცდაათიოდე წლის შემდეგ ბარაბა რომაელ ქრისტიანებს შორის აღმოჩნდება და როცა ქალაქში ხანძარი იწყება, ყაჩაღისათვის წამიერად აენთება რწმენა, ჭეშმარიტი ქრისტე. ზვიადი შურისმაძიებელი მოგვევლინამ და ბარაბაც. მისი დახმარების სურვილით, სახლებს ნაკვერცხლებს ესვრის. შემდეგ შეიპყრობა და ჯვარზე გააკვრა, რაც ბარაბამ ვერა და ვერ აიცილა თავიდან. მაგრამ ქრისტიანებისაგან განსხვავებით, ყაჩაღი რწმენისა და იმედის გარეშე კვდება და სულს წყვდიადს აბარებს...

1958 წელს გამოქვეყნდა პოლონელი მწერლის იან დობრაჩინსკის რომანი „ნიკოდიმის წერილები". ავტორი კათოლიკეა და აპოკრიფების ჟანრი შეგნებულად აალორძინა. ამბავს იოანეს სახარებაში მოხსენიებული იუდეველი სწავლული და საბჭოს წევრი გვიამბობს. წიგნი აგებულია წერილების ციკლით, რომლებსაც ნიკოდიმი დახავლეთში, თავის მეგობარს იუსტუსს უგზავნის. ამგვარად დობრაჩინსკიმ თავი აარიდა რენანისა და ლუდვიგის რისკიან ცდებს, რომლებიც ქრისტეს აზრისა და გრძნობების შეცნობას ცდილობდნენ. ყოველი ფაქტი — ნათლისმცემლის ქადაგებიდან, მკვდრეთით აღმდგარის ბოლო მოვლინებამდე — ნიკოდიმის და რომანის სხვა მოქმედ პირთა აზრებსა და აღქმებშია გარდატეხილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წერილები იმიტაციის შთაბეჭდილებას მეტისმეტად ტოვებს. ძალიან ხშირად ვხვდებით პეიზაჟებისა და ბუნების აღწერას, რაც იმ პერიოდის პირად კორესპონდენციებში ცოტა არ იყოს უადგილოა. მაგალითად, იესოსთან გალილეაში შეხვედრის ამბავს ნიკოდიმი თავის მეგობარს ასე აღუწერს: „ნამი გაზვრეტილი დოქიდან გამოჟონილი რძის წვეთებივით ფარავდა ბალახს. გამოქვაბულმა მთა თითქოს შუაში გაკვეთა და მის მწვერვალზე ორი კუზი გააჩინა. ამ ნაპრალიდან, როგორც სამკუთხედი ფანჯრიდან, ისე მოჩანდა გენესარეთის ტბის კამკამა ზედაპირი, რომაული ცირკის ვეებერთელა არენას რომ გავდა.. იმ დილით ჩვენს თვალწინ რუხმოყვითალო ბურუსი გადაიშალა, რომელშიც მზის სხივები ამაოდ ცდილობდა შემოჭრას." და ამგვარი პასაჟები თითქმის ყველა თავში, ნიკოდიმის თითქმის ყველა წერილში გვხვდება. გარდა ამისა, ავტორი ხშირად ათქმევინებს ქრისტეს ისეთ სიტყვებს, რაც ევანგელისტებთან არ არის მოცემული. ამ მაგალითზე მკითხველი თავად შეიძლება დარწმუნდეს, რამდენად უფრო მართებული იყო ლუდვიგის პოზიცია, ამგვარ თვითნებობას თავს რომ არიდებდა.

გერმანელი სწავლული გ.ი. ცუშელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დობრაჩინსკის რომანი გარკვეული თვალსაზრისით „აგიოგრაფიული თხზულების სტილზეა დამოკიდებული", და მაინც, შემთხვევითი არაა, რომ რომანი ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა და არაერთგზის გამოიცა. დობრაჩინსკი ფაქიზად აღწერს ნიკოდიმის შინაგან მერყეობასა და ღელვებს, მის გზას რწმენისაკენ, მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა რომ ჰპირდება. ახლობელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი რომანს ტრაგიკულ ელფერს უქმნის, რაც თავისთავად მას სიცოცხლისუნარიანობასა და პოპულარობას ანიჭებს. ისტორიული კოლორიტი „წერილებს" ზანდახან მძიმე ტვირთად აწვება, მაგრამ წიგნის ამ თვისებას მაინც ვერ აკნინებს. მისი წარმატება თემისადმი უკვდავმა ინტერესმა განაპირობა, თანაც თემა მეტისმეტად არაა გამწვავებული და პირველწყაროსთანაც ძალიან ახლოსაა. დობრაჩინსკი დაეხმარა მკითხველს ისე ნათლად წარმოედგინა მოვლენები, თითქოს რომანის გმირებთან ერთად მასში მონაწილეობასაც კი იღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თავად ქრისტეს სახე რომანში არ არის ისე ნათელმოსილი, როგორსაც სახარება გვიხატავს.

გასაოცარი აქ არაფერია. მხატვრული ლიტერატურისათვის ეს ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. ჩვენი საუკუნის ერთადერთი ბელეტრისტი, რომელიც ვგონებ მიერია ამ ამოცანას კლაივ სტეიპლ ლუისი იყო, მაგრამ მის ციკლში, ფანტასტიურ ქვეყანას ნარნიას რომ ეძღვნება, ისტორიული ქრისტე არ მონაწილეობს. მის სიმბოლოდ წმინდა ლევ ასლანის სახე გვევლინება, და მაინც, ეს იგავური სახე სახარებისეულ ქრისტეს სულთან უფრო ახლოსაა, ვიდრე რომანისტების ყველა მცდელობა ახალი აღთქმის მოვლენები „მხატვრულად აღეწერათ".

## 3. პანასისა და გ. ოტერო სილვას რომანები

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ჰენრიკ პანასის და მიგელ ოტერო სილვას სულ ახლახან დაწერილი წიგნები, რომლებიც თითქმის მაშინვე ითარგმნა რუსულად.

თუ დობრაჩინსკი ამბავს რწმენის მაძიებლისა და მომპოვებლის ნიკოდიმის ენით გვიყვება, ჰ. პანასმა თავის რომანში „იუდას სახარება" (1978 წ.) არჩევანი მოღალატე მოციქულზე შეაჩერა, ორივე შემთხვევაში არჩევანი, როგორც ჩანს, პირადი და ავტობიოგრაფიული იყო და ალბათ ზწორედ ამით აიხსნება, რომ პანასის იუდა ქრისტეს წრისათვის ცოტა უჰ

ვეული ფიგურად გვევლინება. რომანის თანახმად იგი ალექსანდრიის მდიდარ ოჯახში გაიზარდა და ფართო, დასავლეთური განათლება მიიღო. იუდა ტიპიური სკეპტიკოსია, ვინც ღვთისმაძიებლობის გზა გაიარა, მაგრამ თავისი ადგილი ვერსად იპოვა. საოჯახო ფირმის ფინანსური საქმეები მის ენერგიას ბოლომდე ისრუტავს, სული კი უკუნ მელანქოლიაშია ჩაძირული.

მაგრამ აი, იგი გადააწყდა ულამაზეს მარიამ მაგდალინელს, ვინც რომაელთან კავშირის გამო ყველამ შეიძულა. იუდა ცდილობს მოტყუებით მოიპოვოს ქალი, მაგრამ მოულოდნელად სხვაგვარი მეტოქეები გამოუჩნდება. მარიამი ვინმე იესოს მოწაფეებს შეუერთდება და თავის გულს ახალ მოძღვარს მიუძღვნის.

იუდა იმედს არ კარგავს და შეაღწევს კიდეც მათ წრეში, სადაც არავინ იცის, რომ ის მდიდარი და განათლებული კაცია.

მომხდარ ამბავს იგი უკვე ღრმა სიბერეში აღწერს და დობრაჩინსკის გმირივით ვინმე მეგობარს მიმართავს. ისევე როგორც მისმა კათოლიკე თანამემამულემ, პანასმაც ვერ შექმნა ერთიანი სტილი. იუდას ჩანაწერები ალაგ-ალაგ ისტორიულ ნარკვევს ემსგავსება და თუმცა პეიზაჟების სიჭარბე არ შეიმჩნევა, სამაგიეროდ გადატვირთულია ქრონიკის სულით განსხვავებული პასაჟებით და იმ ეპოქის ისტორიული გამოკვლევებით.

რენანის გავლენა კი, ისევ და ისევ ამ წიგნის გვერდებზეც იჩენს თავს. პანასი მზადაა აღიაროს მისი ზოგიერთი საეჭვო დებულება, კერძოდ ის მოვლენა, თუ როგორ შეცვალა ნათლისმცემელთან შეხვედრამ იესოს ქადაგება. თავად იესო კი რომანში სუსტი და მერყევი კაცია, რომელიც თითქოს თვითდინებით მიიწევს წინ. მან იცის, რომ მოწაფეები რომის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებიან (ეს უკვე ბარბიუსის მოტივია) და თუმცა წარმატების არ სჯერა, მათ შეჩერებას მაინც არ ცდილობს, არჩევს მათთან ერთად დაიღუპოს. მხოლოდ იუდა, რომლის გონიერება ქრისტემ უცებ შეამჩნია დროულად „გამოთიშა თამაშიდან", რათა მოგვიანებით ჩვენთვის რაღაც მნიშვნელოვანი ეცნობებინა (თუმცა რა უნდა გვაცნობოს, მთლად გასაგები არ არის).

ამბოხება დაამხეს წინამძღოლი ჯვარს აცვეს. მაგრამ მარიამი იუდამ მაინც ვერ დაიპყრო. ამ ქალის ეგზალტაციამ მკვდრეთით აღდგომის რწმენა წარმოშვა (ისევ და ისევ რენანი), და როცა ქალის აღფრთოვანებული სიტყვები მოისმინა, წამიერად თვით იუდას სკეპტიციზმიც კი შეირყა, თუმცა, და ეს ალბათ მოსალოდნელიც იყო, ჰიპნოზი დიდხანს არ გაგრძელებულა.

მაგდალინელი გაქრა. სევდიანი იუდა უმიზნოდ დაეხეტება, მაგრამ ქალი ვერა და ვერ დაივიწყა. შემდეგ რაღაც თემიც კი ჩამოაყალიბა იესოს ხსოვნის პატივსაცემად. თუმცა გაუგებარია, რა მიზანი ჰქონდა...

რომანს ღრმა წინააღმდეგობრიობა ახასიათებს. ერთი მხრივ იგი პირველი საუკუნის რელიგიურ-საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური რეალიებითა და უძველესი ტექსტების ციტატებითაა გადატვირთული, მეორე მხრივ ისე თვითნებურად უდგება სახარებას, რომ ამას ჰიპოთეზურ რეკონსტრუქციასაც კი ვერ დაარქმევ. ამგვარი მოქმედების საშუალება მისცა მწერალს [illegible] არის თუ არა ჭეშმარიტება ის ყოველივე, რასაც სახარება გვიამბობს და კიდევ სურვილმა, საკუთარი გემოვნების შესაბამისი ახალი სახარება შეექმნა. თუნდაც ჰიპოთეზის სახით რომ დავუშვათ აზრი, ყოველივე სწორედ ისე მოხდა, როგორც პანასმა წარმოგვიდგინა, მაშინვე აღმოჩნდება რომ ქრისტეს მოძღვრების ამბავი რამდენიმე ათწლეულში იმპერიის სხვადასხვა მხარეს ათასობით ადამიანის გონება რომ დაიმორჩილა, ცარიელი სიტყვები ყოფილა. მაშ საიდან გაჩნდა მისი ძალა? თუ ამ ძალის საფუძველი ისაა, რომ „მსოფლიოს სურს მოტყუებული იყოს" (რომანის საბოლოო ფრაზა) განა იმპერიაში იმ დროს კი არ გვხვდებოდა უამრავი სხვა მნიშვნელოვანი დოქტრინა თუ მრწამსი, სახარების წინაშე ძალაუნებურად უკან რომ დაიხია?..

სულ სხვაგვარად არის აგებული მიგელ ოტერო სილვას რომანი „და იქცა ქვა იგი ქრისტედ". სიუჟეტურად იგი სახარების ძირითად მიმართულებას არ ცილდება. ოტერო სილვა ზოროტად არც ფსიქოლოგიას იყენებს და არც ისტორიულ კოლორიტს. სამაგიეროდ მთელი წიგნი დიალოგებისა და გრძელი მონოლოგებისაგან შედგება, რაც უმეტესად ტრადიციული ტექსტის პარაფრაზაა მხოლოდ. ამ პარაფრაზების მიზანია სახარება თანამედროვე ენასა და აზროვნებას დაუახლოვოს. მართალია დროდადრო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ოტერო სილვა ნათლისმცემლის მიერ იროდიადას წინააღმდეგ მიმართულ ფილიპიკებს აღწერს, მწერალს ზომიერების გრძნობა ღალატობს, მაგრამ საერთო ჯამში, სახარების აქტუალიზაციის ამოცანა ძირითადად შესრულებულია.

მაშ რისთვის დაწერა კომუნისტმა ოტერო სილვამ წიგნი ქრისტეზე?

მიზეზი სწორედ ისაა, რის გამოც ამ თემას მორწმუნეებიც, ათეისტებიც და სკეპტიკოსებიც ერთნაირად უტრიალებდნენ. როგორც ჩანს, ორი ათასი წლის შემდეგაც არ გაქრა სახარების მაგნიტური ძალა და ეს ყველას კვლავ და კვლავ იზიდავს. ფუნდამენტური ფასეულობების ძიებისას შეუძლებელია მას გვერდი აუარო.

სახარებას ადამიანის პიროვნება არნახულ სიმაღლეზე აჰყავს და მასში მარადისობის ანარეკლს ხედავს. სახარებისათვის ყოფიერება მოვ-

ლენათა უაზრო ცვლა თუ აბსურდი კი არა, ნათელი სულიერი საწყისის ბრძოლაა სიძულვილის, ეგოცენტრიზმის, ამაოებისა და მეტისმეტი მიწიერების დამღუპველ სტიქიებთან. სახარების მიხედვით ადამიანი ნივთიერებათა შემთხვევითი პროდუქტი როდია. წყვდიადიდან წამიერად შობილი და წყვდიადშივე ჩასაქრობად განწირული. ადამიანი უკვდავ სულს ატარებს, ზეციური მამის შვილია და მისი უმაღლესი ამოცანაა: მეორე შობით, „სულად შობით" თავის პირველხატამდე ამაღლდეს.

ყოველივე შექმნილის მიზანია — ღვთის სასუფეველი მოიპოვო, როცა ბოროტებას და სიკვდილს დაამარცხებ. მაგრამ, გვასწავლის სახარება, ჩვენს არასრულქმნილ ქვეყანაშიც ეს სასუფეველი, თუმცა „შეუმჩნევლად", მაინც ჩვენს გვერდით იგრძნობა. იგი თავს იჩენს, თუ განეფინება მაცხოვარში, ვინც სიკვდილი დაამარცხა, თავს იჩენს იმ იდუმალი სიყვარულით, როცა ადამიანი ადამიანს, ხალხი კი არაამქვეყნიურს გადაუხსნის სულს.

ქრისტე არ მოგვიწოდებს ცხოვრებას გაექეცით. სახარებისეული იდეალი ამქვეყნადვე უნდა იქმნეს ქმედითი. ბუნება, შრომა, სისხლი და ხორცი, ზეშთაგონებული და გარდაქმნილი, აი, ეს არის ადამიანი — შემქმნელის თავისუფალი თანამოზიარე. აბსოლუტური რწმენა ღვთისა, მისი მსახურება, ადამიანურობის გაღრმავება საუფლოსთან გვაახლოვებს.

ქრისტემ უთხრა მოწაფეებს „უკუნითი უკუნისამდე" თქვენთან დავრჩებიო. მისი მოძღვრება კი არა, თავად დარჩება — მკვდრეთით აღმდგარი, სამყაროსთვის მოვლენილი ღვთიური საიდუმლო ხატი. აი, რატომ დამარცხდა ყველა, ვინც კი სცადა იგი მხოლოდ მორალის მასწავლებლად წარმოეჩინა. იგი უსასრულოდ მეტია იმ ბრძენზე, ვინც ეთიკურ აფორიზმებს ქმნის. ამგვარი გამოთქმები ფილოსოფოსებთანაც და უძველეს წმინდა წიგნებშიც უამრავი გვხვდება. სახარების ძალა ზნეობის ახალ სისტემაში კი არ მდგომარეობს, მისი ძალა ის ცენტრალური ხატია, მასში რომ ვპოულობთ,

ვინ შექმნა იგი? ვინ არიან სიტყვის ის უდიდესი ოსტატები, რომლებიც ყველა დროის გენიალურმა პროზაიკოსებმა და პოეტებმა ვერ დაჯაბნეს?

გერმანელმა ისტორიკოსმა ადოლფ იულიხერმა როგორღაც თქვა, თავად ევანგელისტები ვერ წვდებიან მას, ვისაც ხატავენ და თემებს ძლივს იმორჩილებენო. არადა, შედეგი ნათელია. ლიტერატურის ისტორიაში უნიკალური ფენომენია სახარების ეს ოთხი მცირე მოცულობის წიგნი, რომელიც პროფესიონალმა მწერლებმა კი არა, იმათ შექმნეს, ვინც ჭეშმარიტი სამოციქულო თქმულება ჩვენამდე მოიტანეს.

არა, ქრისტიანობამ როდი შექმნა ანონიმურად ქრისტე. ის მცირე მაგალითებიც კი, ამ წერილში რომ მოვიყვანეთ, საწინააღმდეგოს ამტკიცებს. დღეს ისტორიკოსები უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ სახარებაში უძველესი ტრადიცია, ამ განსაცვიფრებელი მოვლენების მოწმეთა ცოცხალი მეხსიერებაა აღწერილი. ისტორიული კრიტიკის შედეგების გარეშეც ნათელია, რომ ოთხი სახარების მსგავსი ტექსტების მიღმა განსაკუთრებული რეალობა იმალება. გოეთე ბრძანებდა: „ჩემთვის ოთხივე სახარება უტყუარია, რადგან ყოველ მათგანში გრძნობა ანარეკლი იმ სულიერი სიმაღლისა, ქრისტეს პიროვნებისაგან რომ მოედინება და ასეთი ღვთაებრივი სხვა არა არის რა ამ ქვეყანზე."

ოდესღაც მიხეილ პრიშვინს კითხეს: „ქრისტემ თავად შექმნა თავი თვისი, თუ სხვებმა შექმნეს?" სხვებში იგულისხმებოდა ევანგელისტები, ეკლესიის მსახურები და ხალხური ლეგენდის შემქმნელნი, მწერალმა უპასუხა: „ქრისტე — რწმენის თავი და თავია". ასეთია ქრისტიანული შეგნების პასუხი იმ ამოცანაზე; რომელსაც სახარება მხოლოდ წინაშე წამოჭრის. თითქმის ოცი საუკუნე ასაზრდოებდა იგი მსოფლიო კულტურას, კვლავ და კვლავ ამოუწურავი რჩებოდა, ზეშთაგონებას, ძალას იწვევდა და სიცოცხლის, სიკვდილის, მარადისობისა და დედამიწაზე ადამიანის მოწოდების შესახებ ფიქრებს წამოშლიდა.

თარგმნა მანანა მიქელაძემ.

ია ბაჩეჩილაძე

ქართული ბიბლიოთეკა

# გახსენება

გაზეთ „თბილისის“ 1990 წლის 27 ივლისის ნომერში („თბილისი“, 1990 წ. 27 ივლისი, გვ. 5) გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „პატივი ვცეთ პოეტის ხსოვნას“, რომელსაც ხელს აწერს ათოველ მწერალთა ჯგუფი. წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ტერენტი გრანელის სახელი. გამოთქმულია სურვილი, — საქალაქო საბჭომ იზრუნოს ტერენტი გრანელის საფლავის მოწყობაზე, რომელიც მუგამად ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონშია (როგორც ვიცით, ტერენტი გრანელის ნეშტი აქ ცოტა ხნის წინ გადმოასვენეს პეტრე-პავლეს სასაფლაოდან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში).

ტერენტი გრანელის მოღვაწეობა ჩვენი ახლო წარსულის იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ნიჭი და შემართება ხშირად ცხოვრების ბოროტ ძალებთან ჭიდილში ილეოდა. სწორედ ასეთ ჭიდილში მიიფერფლა პოეტის ტანჯული სულიც. ერთხანს თითქმის სულ მიივიწყეს ეს უნიჭიერესი პოეტი.

ამ ხუთიოდე წლის წინ გაზეთი „თბილისი“ წერდა: „ტერენტი გრანელის ქართულ ლიტერატურაში დაბრუნებას პირველი ბიძგი „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1960 წლის 17 ოქტომბერს[1] გამოქვეყნებული ანონიმი ავტორის წერილმა („უსნევდონიმები და ავტორები“) მისცა[2].

მართლაც, ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან საზოგადოება დაინტერესდა ტერენტი გრანელის პოეზიით. გამოიცა მისი ლექსთა კრებულები, ლიტურებითა და რამდენიმე პირადი წერილით.

მიუხედავად ამისა, პოეტის ცხოვრება და შემოქმედება ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი — ბევრი რამ მისაკვლევი და დასადგენია, ამიტომ ყოველი ახალი მასალა ტერენტი გრანელის შესახებ უძლესად ფასეულია და, ვფიქრობთ, დიდ ინტერესს გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში.

ამ წერილში წარმოგიდგენთ რამდენიმე მომენტს ტერენტი გრანელის მოღვაწეობიდან.

1919 წელს ტერენტი გრანელი სცემს ჟურნალს — „კრონოსის სარკე“. (აქვე ვურთავთ ჟურნალის პირველი და მეორე ნომრის თავფურცლების ფოტონიმუშებს).

ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია ტერენტი გრანელის სონეტი, რომელიც მან გრიგოლ რობაქიძეს უძღვნა:

„ტ. წალენჯიხელი[1]

სონეტი:

გრიგოლ რობაქიძეს

ავი ზმორებით დაითალხა შენი ფარდები.
ფიქრთა მორევში დაეშვებე ალურ ზანგებით,
მეწამულ გედი გინახულებს ოქროს სანკებით
და შენც ოცნებით მზის სხივებში გადავარდები.

ფარულ თვალებით გაგაოცებს შავი დარდები
და თვით ეროსი აგამღერებს ფერად ჰანგებით.
ფერწასულ მთვარეს შენ შორდები ყვითელ
მანგებით,
რკინის სხეულით ბოროტ სიკვდილს
ეხაბარდები.
საფირონ ღამით გაგაბრაზებს ლექსი
ქართული
და ყრუ რიტმები, ერთმანეთში
გადახლართული,
სტეფან მალარმეს გაგონდება თეთრი წიგნები.
წითელ ფერებით ჩამოდნები მწვანე კანდელი,

---

[1] სინამდვილეში წერილი 17 სექტემბრის ნომერშია გამოქვეყნებული (ი. გ.).

[2] გაზეთი „თბილისი“, 1985 წ. 25 ივნისი, გვ. 3, გივი ცქიტიშვილი, „ხსოვნას ნათელი მოგონება აცისკროვნებს, თბილისი — პოეტის ოცნება და სინამდვილე“.

1. ტერენტი გრანელის ერთ-ერთი ფსევდონიმი.

ცეცხლის რკალებით აგათრთოლებს
კორიანტელი
და უთვალავი მოთარეშე ქუჩის ციგნები..."

**ვახავები მიზეზების გამო 1979 წელს გამოცემულ ტერენტი გრანელის ლექსთა კრებულში ეს ხონეტი წარმოდგენილია მიძღვნის გარეშე[1]. ვფიქრობთ, შთამომავლობამ უნდა იცოდეს ლექსის ადრესატი.**

**ჟურნალ „კრონოსის სარკე"-ს მეორე ნომერში მოთავსებულია ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსი.**

„კონნე ხპერელლი

**ჩემი მართალი**

**შენ სარკეში ტერენტუს გრანელს!**

ლურჯი წვეთებით ამოსწურე თეთრი ოცნება
შეშლილთ ღიმილი ამოსწყვიტე სითამამეში
მაღალი სიტყვა დაბალ აზრში თუ გაოცდება,
შავ კარლეილთან გაშიშვლდები ცოდვილ
ღამეში.

ახალ ლოცვებში შეიყვარე ლოთი ხუცესი,
ცივი ამბორით აკვნესე კუბო საყდარში,
გამხდარ ფრჩხილებით ამოჰშალე ცამეტი
წესი
და უცხო ბგერა აალევე სევდიან გვარში.

ამპარტავნობენ შენი ყოფნით ფართო ქუჩები,
არაყეთელი დაიმონე ქურდულ სინაზით,
ნაცნობ ყაბახში იკუმშება ზიზლით ტუჩები,
ნაწამებ ბალში მიაბიჯებ სისხლიან ხაზით.

ორჯერ დაჰდუღრე ბალღმიანი საფლავთ
შხუილი,
ყვითელი რიტმით ითამამე შემოდგომაზე,
ქამთა სრბოლაში არ იმსხვრევა შენი ტყუილი!
მიხვალ, გიცნობენ შორეულნი დაწმენდილ
ხმაზე".

**ჟურნალის იმავე ნომერში ტერენტი გრანელი თითქოს პასუხობს მეგობარ პოეტს „კონნე ხპერელს" ლექსში „ფანტასტიური ღამე":**

„... ჩვენი სიტყვები ყველასათვის
ფიანდაზია,
თავის ლექსებში იხედება კონნე
ხპერელლი
უძილო ღამე, ყრუ ფიქრები და
ფანტაზია
ცხოვრების რბენა, მარტოობა
აუწერელი..."[1]

**„კონნე ხპერელი" ტერენტი გრანელის ქაბუკობისდროინდელი მეგობრის, ახლა განსვენებული ლიტერატორის, კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძის ფსევდონიმია.**

**კონსტანტინე გაჩეჩილაძე იმ ათიოდე გამოჩენილთა შორის იყო, ვინც „1934 წლის შემოდგომის ერთ ნისლიან დღეს" (ფრაზა ამოღებულია კ. გაჩეჩილაძის მოგონებიდან ტერენტი გრანელზე — ი. გ.) ტერენტი გრანელი პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიწას მიაბარა. მას არასოდეს მიუტოვებია მივიწყებული პოეტის საფლავი, თუმცა, წლებით დამძიმებულსა და გულით დაავადებულს, საკმაოდ უჭირდა პეტრე-პავლეს სასაფლაოს სიშორე. გრძნობდა, რომ საფლავს დაკარგვის საშიშროება ელოდა, მისი თხოვნით ადგილობრივმა მღვდელმა, აწ განსვენებულმა შიო თურქაძემ აზრუნა ტერენტი გრანელის საფლავის შეძლებისდაგვარად მოწესრიგებაზე. ამის შედეგია, რომ დღეს შთამომავლობას არ დაეკარგა ტერენტი გრანელის საფლავი, რათა არ ეთქვა პოეტისავე სიტყვები:**

„საშინელებამ უცნაურად დაგასამარა"[2]...

**კონსტანტინე გაჩეჩილაძის პირად არქივში აღმოჩნდა მისი წერილი, მიძღვნილი ტერენტი გრანელის დაბადების 70 წლისთავისადმი:**

**წერილი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.**

**გთავაზობთ აღნიშნულ წერილს, რადგან, ვფიქრობთ, იმ პირის მოგონება ტერენტი გრანელზე, ვისაც მასთან სულიერი მეგობრობა და შემოქმედებითი თანამოკალმეობა აკავშირებდა, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.**

ია გაჩეჩილაძე,
ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი.

1. **ტერენტი გრანელი**, რჩეული, გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბ., 1979, გვ. 303.

1. ჟურნ. „კრონოსის სარკე", 1919 წ. ნოემბერი, „საბჭ. საქართველო", 1979 წ. გვ. 49, იქვე, გვ. 437, შენიშ. 6.

2. **ტერენტი გრანელი**, „ფიროსმანიშვილს". რჩეული, გამომც. „საბჭოთა საქართველო". თბ., 1979, გვ. 185.

# სპეტაკი გულის მესაიდუმლე

(ტერენტი გრანელის დაბადების 70 წლისთავის გამო)

შორს გაქრილი მზერა.
ღასიცხული სახე.

ნახევრადგაბლეჩილი ბაგის სევდიანი ღიმი-ლი და დაუდევრად აბზეკილი წაბლისფერი თმა.

ერთი შეხედვით ბოჰემის სტილი.
შიშნაკრავი მოძრაობა.

აი, ნაბიჯი შეანელა: მახვილმა სმენამ მოხე-ტიალე მუსიკოსის ვიოლინოს ხმა დაიჭირა. კვნესის ქუჩის მელოდია. ახლა მისი ყურადღე-ბა ცის უჩვეულო სილურჯემ მიიტაცა.

ეგერ „ზიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი".

ჭეშმარიტად მისთვის ხილულეთი საოცრება-თა სადგური იყო მიუწვდომელი.

— გრანელი! — წაიჩურჩულა გამვლელმა და პოეტს თვალი მიადევნა.

გრანელი — თავისი დროის უნიჭიერესი პო-ეტი. მე იგი ახლადგახსნილი უნივერსიტეტის დერეფანში გავიცანი 1918 წელს. მაშინ ის წა-ლენჯიხელის ფსევდონიმით იბეჭდებოდა ადგი-ლობრივ ჟურნალ-გაზეთებში. ის არ ყოფილა სტუდენტი ჩვენი უნივერსიტეტის, ლექციებს მაინც ესწრებოდა და ერთთავად სულ ახალგა-ზრდებში ვხედავდი.

რა ძნელია იმ ადამიანზე ლაპარაკი, რომე-ლთანაც ახლო მეგობრობის წლები გაკავშირ-ებდა: დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ სიტ-ყვას ნეკროლოგის იერი არ მიეცინოს.

გრანელი ტერენტი სამსონის ძე კვირკველ-იას ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი დაიბა-და 1897 წელს სოფ. წალენჯიხაში (ზუგდიდის მაზრა). დროის კვალობაზე ოჯახი არ ყოფილა ბედის მომდურავი, მაგრამ მოულოდნელად გა-რდაეცვალა დედა მომავალ პოეტს, ხოლო მამა უბედური შემთხვევის გამო სამუდამოდ დახახ-იჩრდა. ამის შემდეგ მდგომარეობა ერთბაშად გაუარესდა და ტერენტი იძულებული გახდა, საოჯახო საქმეებში მხარში ამოდგომოდა მამას.

ამ ამბავმა ბუნებით მგრძნობიარე ყმაწვილი უზომოდ დაანაღვლიანა. ეს განწყობილება მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. მართა-ლია, დედინაცვალმა თითქოს სცადა დედის და-კარგვით გამოწვეული ტკივილების მოშუშება, მაგრამ დედის სითბო მაინც განუმეორებელი დარჩა. ტერენტი, მიუხედავად იმისა, რომ ოჯა-ხური საქმეებით იყო ძალზე გადატვირთული, სოფლის სკოლაში სწავლას მაინც განაგრძობ-და და თანაც დიდი წარმატებით. სწორედ ამ დროს მიიქცია აღმზრდელთა ყურადღება მომა-ვალმა პოეტმა ნიჭიერი ლექსებით და მათივე რჩევით დაუწყია გაზეთებში ბეჭდვა. სამწუხა-როდ, ამ დროს გამოქვეყნებული მისი არც ერ-თი ლექსი მიკვლეული არაა, რადგან, რომელიღაც ჩვენთვის უცნობი ფსევდონიმით წერდა. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვიცით მისი ფსევდონიმები: ტ. წალენჯიხელი, ტ. ნ-ელი, ტ. წ., ტერენტუს გრანელი. და ტერენტი გრანელი. [illegible] ძიების შედეგ[illegible] წარმართვა, ამ ლექსების მიგნე-ბას დიდი მნიშვნელობა ექნება ტ. გრანელის შემოქმედებითი გზის ზრდისათვის თვალის მისა-დევნებლად.

ცოტა შეგვიანებით სწავლამოწყურებული ახალგაზრდა თბილისში გადმოდის, აქ იგი უზ-ომო ხელმოკლეობას განიცდის, მაგრამ დიდი ქალაქის სუნთქვამ და მისმა კულტურამ ისე მო-აჯადოვა, რომ უკან გაბრუნებას მცირე ხელფა-სიანი სამუშაო ამჯობინა ჯერ რკინიგზაზე, შე-მდეგ ტრამვაის პარკში. სადაც არ უნდა ყოფ-ილიყო ის, არასოდეს არ წყვეტდა კავშირს რე-დაქციასთან.

ბოლოს კიდევაც გადავიდა „ახალი ნაკადის" რედაქციაში სამუშაოდ (რედაქტ. ალ. წერეთე-ლი, შემდეგ თბ. სახ. უნივერსიტეტში კლასიკ-ური აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამ-გე).

1919 წლის ოქტომბერში ტ. გრანელი სცემს ჟურნალს „კრონოსის ხარკე". ჟურნალის სა-ხელი მან აიღო ამავე წლის 15 მარტს გაზ. „ახ-ალ ნაკადში" მოთავსებულ ლექსის „თეთრი გვირგვინოსანის" ქვესათაურიდან. ეს ლექსი „ახალი ნაკადიდან" მთლიანად გადაბეჭდა ჟუ-რნალში, მხოლოდ უქვესათაუროდ.

დასახელებული ჟურნალის ერთპიროვნული რედაქტორი იყო ტ. გრანელი და მოწინავეც მისია ნამდვილად.[1]

„კრონოსის ხარკე"-ს ბევრი გამოეხმაურა მაშინდელ პრესაში. ბევრი თანაგრძნობით შე-ხვდა ჟურნალს (უნდა ითქვას, რომ მაშინ ჟუ-რნალისა და გაზეთის გამოშვება არ იყო იოლი საქმე, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ქაღ-ალდს ვერ იშოვიდა საქმის წამომწყები!), ზოგიც — მწყრალად. ახეთი იყო, თუნდაც, საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსი იპ. ვართაგავა. მან გაზ-ეთ „ობნოვლენიეში" (რედ. პ. გოთუა) ვრცელი ფელეტონები მოათავსა სათაურით „Думы о грузинской литературе" (იხ. გაზ. „Обновление", 1919 წ., № 18, 25, 30). სტატიის ავ-ტორი არ დახჯერდა „კრონოსის ხარკიდან" ლე-

1. დასახელებული ჟურნალის მომდევნო ნო-მერში, ნიშნად ჩვენი ახლო მეგობრული ურთი-ერთობისა, მან მშვენიერი ლექსი მიუძღვნა: „ფა-ნტასტიური ღამე", რომლის სარითმო სტრიქონ-ში ჩემი მაშინდელი ფსევდონიმი ჩააწნა (იხ. „კრონოსის სარკე" № 2).

ქსების შინაარსის მოტანას და ტერენტი გრანელის ლექსი რუსულ ტრანსკრიპციით მოიყვანა, გამკილავი სიტყვები, რა თქმა უნდა, არ დაუკლია მხცოვან კალმოსანს. ამ წერილის შემდეგ ჟურნალის არც ერთ თანამშრომელს წერაზე ხელი არ აუღია. ისინი კიდევაც ამაყობდნენ ამ ამბით, იგონებდნენ რა იპ. ვართაგავას ულბლო გამოსვლას ყაყა-ფუშაველას წინააღმდეგ.

ჩვენ მაინც ხვდებოდა, რომ ცისფერყანწელები გამოესხმაურებოდნენ იპ. ვართაგავას წერილს, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში დუმილი არჩიეს. შეიძლება ფარულად კიდევაც ემათ, რადგან ამ დროს პოეზიაში ისინი თამადობდნენ. ეს მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ მათ სუფრასთან ტერენტი გრანელი არავის უნახავს.

განსაცვიფრებელი მაინც ის იყო, რომ როგორც პატივცემული ბენო ქელბაქიანი თავის შესანიშნავ მოგონებაში ტერენტი გრანელის შესახებ წერს, იგივე იპ. ვართაგავა ხუთ ათი წლის შემდეგ ქიათურაში გამართულ ლიტ. საღამოზე ქება-დიდებით იხსენიებდა ტერენტი გრანელს.

„ქიათურაში ტერენტი გრანელს დიდებული ლიტერატურული საღამო მოუწყვეს, მოხსენებით გამოვიდა ცნობილი კრიტიკოსი და მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა.., ამ შესანიშნავმა ადამიანმა ბევრი ლამაზი სიტყვით შეამკო ტერენტი გრანელის პოეტური ნიჭი..“ (იხ. „ცისკარი“, 1967 წლის იანვარი, № 1, გვ. 128).

როდის იყო პატივცემული კრიტიკოსი მართალი? როცა გაზ. „ობნოვლენიეს“ ფურცლებზე ტ. წალენჯიხელსა და ტ. გრანელს ხხვებთან ერთად, რომ იტყვიან, მიწასთან ასწორებდა, თუ ქიათურაში მოწყობილ ლიტ. საღამოზე, სადაც გრანელის უბადლო პოეტური ნიჭი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ყველას გასაგონად აღიარა?

კიდევ კარგი, რომ საკუთარი შეცდომა მხცოვანმა ლიტერატორმა თვითონვე გამოასწორა.

იმავე 1919 წელს ტ. გრანელი სცემს სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთს „ია“, რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა. პერიოდიკის ავტორი, სამწუხაროდ, ხსენებულ გაზეთს არ იცნობს (იხ. გ. ი. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1918 — 1945 წწ“, 1947 წ.).

ტერენტი გრანელი სულმოუთქმელად შემოიჭრა ქართულ პოეზიაში და სულ რამდენიმე წელიწადში თბილისის ახალგაზრდობის უსაყვარლესი პოეტი გახდა.

ტ. გრანელის პოპულარობის ხელსახებ ფაქტს წარმოადგენს 1924 წელს მისი სახელით გამოსული გაზეთი, სადაც მოთავსებული იყო გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების პოეტისადმი მიძღვნილი სტატიები.

პოეტის პოპულარობა იზრდებოდა, მატერიალური მდგომარეობა კი გამოუსწორებელი რჩებოდა:

„უზრუნველობა და სიხარული
ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა“-ო — ამბობს ერთგან პოეტი ჩვეული გულახდილობით.
ვერც თანამგრძნობი მეგობარი იპოვა მან, რომ გულის ტკივილი გაენდო:

„ჩემს გულისწყრომას, ჩემს [illegible]
მე ვუამბნებ [illegible], სიბნელეს“.
([illegible]).

ამას ზედ დაერთო უიმედო სიყვარული. საყვარლის [illegible] მოხვედნიდან უკ-
არავს პოეტს, [illegible] მისი [illegible]:

„ახლაც მწყურია მე შენი ნახვა,
ახლაც მწყურია და მენატრების“.

პოეტის ზღვა მწუხარების, ბნელი უიმედობისა და ამოუღვრელი ხევდის მიზეზთა მიზეზი სწორედ აქაა დამარხული.

როცა ნაღველმა დასძლია, პოეტმა გადაწყვიტა გაქცევა თბილისიდან, მისი ნისლითა და ლამეებით გაწვალებულმა. პოეტი ახლა ქუთაისს მიაშურებს:

„მიხარია და მადლობა უფალს,
რომ მეღირსა ქუთაისის ნახვა“.
(„რჩეული“, გვ. 268).

პოეტი ელის „სხვანაირი დღის გათენებას“, მაგრამ ვერც ქუთაისმა შესძლო აზვირთებული სულის დაოკება, „დამლუპველ გზას“ იგი გულდაცლილი სატრფოსაკენ მოჰყავს. მან კარგად იცის, ძალიან კარგად, რომ ამ უიმედო სიყვარულს მოსდევს —

„ისევ ღამე წვალების,
ღამე სასტიკი და ულმობელი“.

ეს ნაპირებგადასული ხევდა რომ არ ასვენებს პოეტს: „ჩემი ფიქრები მხოლოდ შენ მოგდევსო“-ო, მიმართავს იგი საყვარელ არსებას და შიში იპყრობს, რომ შეიძლება მისი უნახავი მოკვდეს:

„მე შეიძლება, ამაღამ მოვკვდე
და სიკვდილის წინ შენ ველარ გნახო“
(„რჩეული“. 140).

ტ. გრანელი თავის ლექსებში მუდამ ჭვარცმულის განცდებით ხვევლინება და, რაც მთავარია, არავის უცდია პოეტის რქიდან ჩამოხსნა და ეშვის ეკლის გულიდან ამოგლეჯა. იგი საკუთარი ტკივილებით უყურადღებოდ დარჩა მიტოვებული:

„მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს,
და ჩუმად ვიტან წამებას ამდენს“
(1926 წ. ლექსები, გვ. 34).

არ ვიქნებით მართალი, თუ ტ. გრანელს მუდამ ცრემლიანი თვალებით წარმოვიდგენთ, ყველა მიცვალებულის დამტირებლად. იმედიანი გამოხედვაც არ ყოფილა მისთვის უჩვეულო და უცხო: „ალბათ, ოდესმე გაივლის ჩემი ასეთი წამება“-ო, — ამბობს ის საკმაოდ დამაჯერებელი ტონით.

„მე ვუბრუნდები ახალ ცხოვრებას,

მომწყინდა ქუჩა და ხეტიალი",

ეს ხომ მობრუნებაა სიცოცხლისკენ. მიწასთან შერიგებული პოეტი მთელი ხმით აცხადებს:

„უარვყოფ სიკვდილს, ხელახლა მინდა
ისევ სიცოცხლის გზები ვეძიო"

(სიცოცხლე", გაზ. „კომუნისტის დროშით").

სიცოცხლე მაინც ტკბილია, მზის ჭვრეტა ნეტარებაა მარადი:

„მე ასე ვატყობ, უფრო ფრთას გავშლი,
უფრო ივლიან თეთრი ფიქრები,
თუ ცხოვრებასთან დავიჭერ კავშირს,
თუ მე ცხოვრებას შევურიგდები?"

(„დაბრუნება ცხოვრებასთან")

ეს ნამდვილად რეალიზმის პოზიციებზე დგომა და დეკადენტური განწყობილებისათვის ზურგის შექცევაა.

პოეტი თითქოს ნათქვამს არ სჯერდება და მეორე ადგილას დასძენს:

„მწამს მხოლოდ ერთი — მშრომელი
ხალხი,
მეც მშრომელ ხალხის რიცხვში
ვითვლები".

ამას იტყვის მხოლოდ ის, ვინც იცის შრომის ფასი და ოფლის მადლი.

ამის შემდეგ სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ აირჩია თავისი ვრცელი განხილვის საგნად ტ. გრანელმა მაშვრალთა გამორჩენილი პოეტის ი. ევდოშვილის შემოქმედება, რაც, სამწუხაროდ, დღემდის არავის შეუნიშნავს.

და განა მარტო ეს? ჩვენ ტ. გრანელის არც ბიოგრაფია გვაქვს დაწვრილებით შესწავლილი და არც მისი უაღრესად საინტერესო შემოქმედება განხილული.

და ეს უნიჭიერესი პოეტი, რომლის უაღრესად მელოდიური ლექსები ახე ხიბლავდა თანამედროვეთ, 1934 წლის შემოდგომის ერთ ნისლიან დღეს ათიოდე გამცილებელმა პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიწას მიაბარა და მისანიშნებლად ცემენტის ერთი პატარა ბალიში დაუტოვა.

მორჩა და გათავდა.

ამით მოიხადეს თავისი მოვალეობა პოეტის წინაშე უდიდესი ვალი.

ტ. გრანელის მიმართ ყველას მოკლე ჰქონდა ხელი. არც ცოცხალს ჰქონია შესაფერისი საცხოვრებელი ფართობი (იგი ხომ კიბის ქვეშ ცხოვრობდა მერკვილაძის ქუჩაზე), და არც გარდაცვალების შემდეგ ღირსა მიცვალებისადმი განკუთვნილი ნორმა.

კიდევ კარგი, რომ ადგილობრივმა მოძღვარმა შიო თურჯაძემ, ჩვენი თხოვნით, მოუარა ქვე[illegible] მი[illegible] საფლავს, ამოუყვანა საძირკველი და შემოავლო გისოსი (ვაი, სირცხვილო!).

მაგრამ იციან თუ არა მათ, ვისაც ამის ცოდნა ევალება, რომ განაშენიანების პერსპექტიული გეგმით ეს სასაფლაო ბალად უნდა გადაკეთდეს და პოეტის საფლავიც სამუდამოდ დაიკარგება!

(ახე დაიკარგა ჩვენი უყურადღებობით დიდ ფერმწერის ნიკო ფიროსმანის საფლავი და დღეს ცრემლით დავეძებთ მას).

გვიან არ აღმოჩნდეს თითზე კბენანი.

ჩვენმა გულგრილობამ ეს შესანიშნავი შემოქმედი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიყვანა.

ჩვენმა დაუდევრობამ ამ უნიჭიერესი პოეტის ხელნაწერთა დიდი ნაწილი სამუდამოდ დაუკარგა შთამომავლობას.

და დღეს ისევ ვუმალავთ ჩვენს ახალგაზრდობას ტერენტი გრანელის უაღრესად მელოდიურ ლექსებს და პოეტის წმინდა სისხლით დაწერილ სტრიქონებს.

უნებლიეთი შეცდომა ეგების არ ჩაგვითვალონ ცოდვად.

„ოღონდ პოეტს ნუ დავმარხავთ მეორედ"

კონსტანტინე ბაჩიჩილაძე

---

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-18 და განყოფილებების — 93-55-16; 93-55-17; 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5. 08. 91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 11. 91 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საღრ.-საგამომცემლო თაბახი 16.58, ტირაჟი 20.000. შეკვ. 1527
მ. კოსტავას ქ. № 14

Ь 204/128

ფასი მ.— 60 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**«МНАТОБИ»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**